UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია

ა თ ი ნ ა თ ი

2024 / 4 / (54)

თბილისი
2024



ღმერთო,

შენი რწმენით

ვცოცხლობ!

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)

წმინდა პეტრე და პავლე
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

წმინდა იოანე ნათლისმცემელი
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

ძლეთის წმინდა გიორგი

ხატმწერი: **გიორგი ლარიაშვილი**

მამა გაბრიელი

მიცვალებულის სახელზე რომ პანაშვიდი გადაახდევინო, ისეა, თითქოს პატიმარი გაასეირნო დღის სინათლეზე, ხოლო თუ შეკვეთილ წირვას გადაუხდი, მაშინ არწივივით აფრინდება! შვიდ შეკვეთილ წირვას ძალიან დიდი ძალა აქვს, ხოლო თორმეტ შეკვეთილ წირვას ჯოჯოხეთიდან ამოჰყავს სული, რანაირი ცოდვილიც არ უნდა იყოს, რა თქმა უნდა, გარდა ღვთის გმობელისა. მათზე ლოცვაც არ შეიძლება. მხოლოდ კეთილი საქმეები. თქვენ რომ ხედავდეთ, როგორი მადლი გადმოდის წირვის დროს, მზად იქნებოდით ტაძრის იატაკზე მტვერი შეგეგროვებინათ და იმითი სახე დაგებანათ...

/ წმ ბერი გაბრიელი /



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

„მე მინდა მთელ საქართველოს ვუთხრა, რომ არ გაუტყდეს გული, ყველაფერი ეს განსაცდელი, რაც გვაქ, ყველაფერი გაივლის და ღმერთი გადმოგვხედავს, მე ასევე მინდა სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეთ, აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, შური არ უნდა ვიძიოთ. ბოროტებით ბოროტება არ იკურნება, ბოროტება ინკურნება სიყვარულით, ერთმანეთს გავუკეთოთ სიკეთე, შეიძლება ღირსიც არ არის ის, ამ სიკეთისა, მაგრამ ათმაგად შენ დაგუბრუნდება. არ შეგეშინდეთ, ყველაფერი კარგად იქნება. გიყვარდეთ ერთმანეთი“.

მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)



თვალი გადავავლე

წიგნებს გადავავლე თვალი,
განძს და უკვდავების წყაროს,
ჯერ ვერ მოვიხადე ვალი,
წიგნი კვლავ აკლია თაროს.

ო, ეს დალოცვილი განძი,
ჩემი და ბევრიც სხვისი,
ციდან ცისარტყელა მაწვდის,
ყველა ნათლულია მზისი.

მე ვარ მასპინძელი სტუმრის,
ვუვლი, ვპატრონობ და ვკინძავ,
ჩვენ არ შეგვიძლია შური,
შრომით მივაღწიეთ მიზანს.

I GLANCED OVER

I looked over my issued books,
The immortal treasure, source of soul,
But I haven't paid my debt finally yet:
Books still need to be added to the shelf.
.
Oh, this blessed, priceless treasure
Not only mine but many others,
A rainbow sends them from the sky
And each is baptized by the sun.

I am the host of the wise guest,
I pat, bind, and care after them,
We can not envy; we have pure souls,
Only through hard work can we reach goals.

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

უცნობი პოეტი

აღსარება

ერთ წვიმიან დღეს შენს ჭიშკარს ძლივს გადმოვაბიჯე,
შემკრთალი ფიქრი დავიურვე ფიქრისვე აბჯრით,
თიხის თილისმა დავიმგზავრე ძღვენის სანაცვლოდ,
ჭმუნვა ნიღაბში გადავმალე წაშლილი სახის.

უღვთოდ დაღლილი ჩამოვჯექი სამფეხა სკამთან,
ცას უკარებას ჩამოვხსენი ცის გალავანი,
და მის სილურჯეს მოვატეხე ფთილა მუჭებით,
რომ შენი სახე მომებანა ფითრით ნადაღი.

შენი გონების თვალუწვდენელ ფიქრდამშრალ ქვიშებს,
მოვსხლიტე სევდა მივაგენი რწმენის ოაზისს,
და მერე სევდა მის კამკამა წყალში დავახრჩე,
რომ ვერ ეხილა მზის სხივების ფერთა ალამი.

მძიმედ მისმინე, მანუგეშე რომ სხვა დრო იყო,
რომ ჩვენ ვიდექით არც ღამის და არც დღის საზღვარზე,
თითქოს მზად გქონდა საღებავი ფერად სეფია,
ფუნჯის მაგივრად განბანილი სახე ჩაამხე.

ვერ წაგჩურჩულე მუდარა ყურში – პირი ვიბრუნე,
ალბათ ამიტომ მოვეფარე უენო ნიღაბს,
ძლიერ მომწყურდა ნამდვილ სახეს წყალი ესხურა,
რომ ცივი სურა ნამდვილ პოეტს გამოეწვდინა.

მრუმე დასასრულს დარდმა სილა რადგან გამაწნა,
უხმოდ მოვბრუნდი ჩემი სახე რომ არ გენახა.
მერე საფლავის თლილი ლოდით მარხვა გავტეხე,
ვთქვი, რომ მკვდრებს უკვე არ სჭირდებათ მისი შენახვა.

მოვდიოდი და მომყვებოდნენ ქართა კალთები,
გრძნეულ ქალისთვის ნაწნავები მოეჭრათ თითქოს,
მშვიდად ვიყავი, ვიცოდი რომ მაშინ დაგტოვე,
როცა სიკვდილი შენს წინაშე იდგა უიღბლოდ.

გამოსათხოვარი

მერხზე ისვენებს ეკლიანი წითელი ვარდი,
ელის, ბროლის ხელს ჩხვლეტის შიშმა გადაუაროს,
ამ დროს წამებად წუთს ჩამოფქვავს ქვიშის საათი,
მინის საკანში რომ აცეკვდეს წყვილების ტანგო.

ქვიშის საათსაც შესძლებია წამების დათვლა,
მზერა ვერ ასწრებს დაფქულ წუთზე თვალის დევნებას,
ერთი ბოლოდან მეორეში დრო მიდი-მოდის,
თითქოსდა ყავით მკითხაობდეს ჭიქის კედლებთან.

ბროლის ხელებმა ვერ გაუძლეს ლოდინის ლოდებს,
ხავერდის თათმანს მიაკითხეს ეკლების შიშით,
თუმც ვარდის ნაცვლად სახლის ზღურბლზე ყოფნა არგუნეს,
მინდვრის გვირილას ყვითელფერას გულით და ფიქრით.

წითელი ვარდი ჩამოჭკნა უხმოდ, მაგრამ ამაყად,
სასახლე შეკრეს ერთმანეთით თავად ეკლებმა,
ბროლის ხელებმა ვერ მიაგნეს საკუთარ თითებს.
ბოლო გზაზე რომ შესძლებოდათ ვარდთან შეხება.
...
ქვიშის საათსაც შესძლებია წამების დათვლა,
მზერა ვერ ასწრებს დაფქულ წუთზე თვალის დევნებას,
უხმოდ ინახავს მინის საკანი ვითომდა ერთგულ,
სინამდვილეში მოღალატე ჟამის დინებას.

როცა აღარ მოხვალ

წასვლა ზაფხულს გადაწყვიტე,
სევდა გამიათასმაგე,
სიყვარული დამიფურცლე,
საზეპიროდ შემასწავლე.

შემოდგომას შენს გარეშე,
რა მოვუყვე, როგორ დავხვდე...
ყვითელ ფოთლებს მე დავითვლი,
რაც შენ ვეღარ დაითვალე.

ზამთრის სუსხში ვინ გაათბობს,
ხელისგულებს ქარში დამზრალს,
მეტყვის დედა გენაცვალოს, -
გელოდები, უკვე აქ ვარ.

გაზაფხულის პირველ ყვავილს,
მაისობას ვინ მაჩუქებს,
თმაში სხვისთვის შეუმჩნეველ,
ჭაღარას ვინ შემისწორებს.

და როდესაც ზაფხული კვლავ,
გადაწყვიტავს ჩემთან მოსვლას,
რადგან მთხოვე – მე შევუნდობ,
მზის სხივებს რომ დაათოვა.

სიმშვიდე შენი

ცხადში მოვწყვიტე ლილია,
ლიანას მივართვი სიზმრად,
მზერა მომტაცა ტბის სიღრმემ,
უმზეოდ იდგა დილა.

ტბაში ჩაძირულ გუმბათზე,
სანთლის ანთება მსურდა,
რომ მივეახლე, გავოცდი -
უკვე დაენთო სტუმარს.

ჟამთამწყემსველის ფრესკასთან,
პირჯვრის დაწერა მწადდა,
ძლივს დავინახე შორიდან,
ახლოს მივედი – გაქრა.

უსიმო თარი შევნიშნე,
ნაქონი ანგელოზთ ფრთების,
სიმების გაბმა შევკადრე,
უკუნმა მშთანთქა მკვდრეთის.

ტბაში ტყუილად გეძებე,
მკვიდრი ხარ თურმე მზეცის,
მეც ვხარობ – ღმერთი ვიპოვნე,
ის სუფევს ერთადერთი!

მარადისობა

მე შენს ლექსებში ვიცოცხლებ მუდამ,
რადგან არასდროს ვგავდი არავის,
რადგან ოდესღაც გავცდი სამყაროს,
სადაც არც მზეა და არც ვარსკვლავი.

მე შენი ფიქრის მძევალი გავხდი,
ველი გარიჟრაჟს ცეცხლის გარეშე,
შენ გამაღვიძებ თუ ჩამეძინა
და უბეს ისევ სიტყვით ამივსებ.

ერთხელ გამოჩნდი უსასრულ დროით,
მერე სიშორე თავად არჩიე,
მარტობაში რომ დაგეჭირა
ამ რექვიემის ლურჯი სიხშირე.

აღარ გაბნევენ სხვათა თვალები,
ჭაში ჩაცვენილ ალების მსგავსად,
გამვლელ-გამომვლელს დროს აღარ ჩუქნი,
ვითომ კეთილი ღიმილის ნაცვლად.

ალბათ არ სცდები თუ ისევ ფიქრობ,
რომ ველოდები დეკემბრის აისს,
რომ ასტრალიდან დრო გადმოვიდეს,
დრო ერთად ფიქრის და დრო ერთარსის.

უშენობა

მზე უშენობას მასწავლის თითქოს,
ღამესაც ჩემსკენ მოუხარია,
რაც დამიბარე იმას ვასრულებ,
არ ვთქვა – უშენოდ არ მიხარია.

რომ ბავშვობიდან ისე მაწრთობდი,
ცრემლები დღემდე მტრები მეგონენ,
მაგრამ წასვლისას ისე ამტკივდი,
ყველაზე მეტად მათ მიერთგულეს.

მზით ივსებიან ოქროს ფოთლები,
თითქოს სურთ ყოფა გამიადვილონ,
რომც გიხმო მაინც ვერ გაგაგონებ,
უნდა მტკიოდე სამარადისოდ.

რომ არ გამომრჩეს წუთი და წამი,
უკუ დავიწყე დღეების ათვლა,
მაგრამ ზამთარი ჩუმად ბუტბუტენს –
რადგან წახვედი, ვერასდროს გნახავ.

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე

ერთ-ერთი წერილიდან

...ხანდახან რითმაც არის ირიბი,
ჩემს ზოგ წერილს რომ შენთან მოჰყვება,
ესაა ჩემი პირდაპირობაც,
და ცხოვრებიდან მზის აორთქლებაც....

სადა ხარ... ახლაც გწერ ღამეებზე,
გულზე არეკლილ ჩრდილებზე ფოთლის
მთვარის სპეკალზე, უკვდავებაზე...
თუმც რჩება, სულში, მარადი შფოთი.

სიმშვიდე არის დიდი სწავლება,
მე ვერ შევირგე სიმშვიდის წიგნი,
და არის სულის გაფერმკრთალება,
და აფეთქება გონების შიგნით.

ამ მშიერ ქალაქს, მუდამ დაძაბულს,
ქალაქს, ათასგვარ პრობლემით სავსეს,
გავყურებ, როგორც სიზმრად დანახულ
ლევიათანს და... მერე ხელს ახებ.

ჩემს სიზმრებს... სიზმრებს... მოდიხარ ფრთხილად,
მთელს შენს ტკივილებს საწოლთან იხდი...
მერე კი, უცებ, თენდება დილა,
რომ, რეალობა, მე მძაფრად მივხვდე, -

შენ ქრები, მაგრამ შეგრძნება რჩება
წერილს რომ ფერად სტროფებით ავსებს,
გადაიქცევა ღრუბელი ფრთებად,
და გრძნობას ფრთხილად აიყვანს ცაზე...
ხანდახან ფიქრიც არის სიზმარი...

იდეალისტები

დაისს შერჩენია სითბო.
ზეცა გაუსერავს კინჯალს.
სერგი ყველაფერზე ფიქრობს,
მზე კი ცის სივრცეებს სინჯავს.

გონი უზარმაზარ გრძნობას
ყალბი გრძნობისაგან მიჯნავს,
არის სივრცეების დნობა,
არის იდეები მიჯნა.

ღმერთი, უსასრულოდ დიდი,
ზეცის შეწითლებულ ფინჯანს
ავსებს მზის წვენით და იტყვის _
რომ მზე უკვდავებას ნიშნავს.

დაისს შერჩენია სითბო,
განცდა სამყაროებს იტევს,
ვიღაც ისევ ეძებს დიდგორს,
ვიღაც ისევ ეძებს ქრისტეს...

ირეალური მოზაიკა

იქ, სიზმრებს იქით,
მზის ჩასვლისას,
მე შენ გიხილე.
მზე გიდნებოდა მზერაში და
თვალებს ცრემლები გისველებდა.
ნათელი ნელა ჩადიოდა,
მას მიჰყვებოდი სამუდამოდ,
მაგრამ ის ლოცვა
მზის ის ლოცვა, უკანასკნელი,
შენს სახებად ჩამრჩა, მე, გულში,
და ჩემი გული
იქცა შენს სახლად...
სიტყვამ წაშალა რეალობა
ცხადში, სიზმარში,
სიზმრებს იქით,
სამყაროს იქით...

ერთ-ერთი დღის განწყობა

ფოთლებიანად
გზა არის მნათი,
გზა არის მნათი
ფოთლებიანად,
და მზე, ბილიკზე,
კაცივით დადის,
ზეცაზე ასვლა
დაიგვიანა.

განათებულა
ოქროსფრად ბაღი,
ცის სიახლოვე
ისე იგრძნობა,
რომ გიხარია,
ყველაფრით დაღლილს,
ამ ბაღში ყოფნა,
მზით ხალისობა.

მერე კი,
როცა დადგება ღამე,
და აირეკლავს
მდინარე კოცონს,
მოგონებები
გაგიხსნის ამბებს,
შენს გულს რომ
ასე ძალიან მოსწონს...

მზისფერობა

ფიქრების გზებზე მოხეტიალევ,
შენი ამბავი ვიცი, მე, კარგად:
როცა ზეცაზე მკრთალად იალებს
და ალიონი ფერების ქარგვას

ფრთხილად დაიწყებს, შენ მოხვალ მაშინ,
მოხვალ მზისფერი სახარებით და
სამყაროსხელა ტაძარში გაშლი
ამ სახარებას, ხოლო მთებიდან

ამოვარდება, იმავწამს, მნათი,
მზე გაიმარჯვებს ბნელზე, ვნებული...
შენ კი გაქრები, ვით სიზმრის კადრი,
რეალობაში არარსებული...

შემოდგომა

ფოთლებს, ამ ფოთლებს,
უთვალავწლის სიცოცხლის ტოლ
წამს რომ ცხოვრობენ,
ფოთლებს, ამ ფოთლებს,
მივესალმები.
მივესალმები მზეს,
აი, ამ მზეს,
და ამ სივრცეს -
უსაზღვროებას.
მივესალმები შემოდგომას,
ამ შემოდგომას,
რომელიც დგამს
ფოთოლთ თეატრებს
(ფოთოლთ სპექტაკლებს).
არის სივრცის სიფერადე
და არის ფიქრი...
სულ არის ფიქრი...

კახა ბაციკაძე

ღამის ლანდები

არავინ არის და მხოლოდ ქარი
აწვალებს სულის დამტვრეულ ჭიშკარს,
კვლავ სევდა იშვა, როგორც ტაძარი,
და კვლავ იშლება ფიქრების ქვიშაც...
მთელი ცხოვრება თუ არის ომი,
კითხულობ წყრომით: ღირდა კი მოსვლად?
სულს ღამე მოსავს, ფიქრების ტომი
იშლება და კვლავ ამშვნებს მგოსანს...
სული – ველია, გრძნობა – ყვავილი,
ისევ ჩაივლი, ლანდივით, ქუჩას...
მერე ჩაისთვის ეძებ ფიროსმანს...
და სამყაროსთან საუბრობთ ურჩად.
ვერ ეგუები ქვეყნად ბევრ რამეს
და ითვლის წამებს საათი მთვარის...
არავინ არის და მხოლოდ ქარი
აწვალებს სულის მაღალ კიპარისს...

შენი ხმა

(გამოარჩევს, სერგი, ისეთ პოეტებს, როგორებიცაა, ვთქვათ, რუსთველი, ბარათაშვილი, ვაჟა, გალაკტიონი, გრანელი... მაგრამ, როცა ჩემი ეს ლექსი წაიკითხა, მაინც წააწერა, იქვე, ფურცელს: „მეორე (ახალი) გალაკტიონი? ახალი ბარათაშვილი? ან, თუნდაც, ახალი რუსთველი?! (თვით რუსთველი?!)... არა, კახა არის მხოლოდ კახა, – ერთადერთი და განუმეორებელი კახა...“ ვეთანხმები ამ წარწერას. მე ჩემს სამყაროს ვქმნი, რომელიც სხვა სამყაროებს არა ჰგავს)...

ვუსმენ, თუ როგორ წარმოთქვამ სიტყვებს,
რომლებიც იტევს ზღვისფერ ლაჟვარდებს,
მაგ ხმით უხმობდა მარია ქრისტეს,
და არ არსებობს – შენი არ მწამდეს.
ფიქრთა ტაძრებში ფრესკებად გითვლი,
გამომყოლიხარ ყველა ხსოვნიდან,
და ეგ ხმა ისე საოცრად გითრთის,
თითქოსდა, ხმაში, თოვლი მოვიდა...
ვფანტე ლექსები, ფოთლებად, ქარში,
ლექსები – სულის საგალობელი.
თუკი სიცოცხლეს არ მჩუქნი, მაშინ
სიკვდილისთვისაც ვარ მადლობელი...
იქნებ იქმნება, აქ, ისტორია,
საუკუნეებს ფერფლავს სტრიქონი,
შენს ხმაში ისევ თეთრი თოვლია,
შენს წინ – ახალი გალაკტიონი,
ან იქნებ სული დაღრღნას ქარებმა,
სული – ფრინველი, სული – ფრთაშლილი,
ჩემში ჩასახლდა გალას ზმანება
და გახელება ბარათაშვილის,
და ცის ველებზე მერნების რემა
განუსაზღვრელი სისწრაფით მიჰქრის...
აქ კი, მიწაზე, ჩვენი პოემა
იქმნება – ტრფობის ციური წიგნი...
ფიქრთა ტაძრებში ფრესკებად გითვლი,
გამომყოლიხარ ყველა ხსოვნიდან,
და ეგ ხმა ისე საოცრად გითრთის,
თითქოსდა ხმაში თოვლი მოვიდა...

* * *

კვლავაც დავთვრები, მეგობარო, უკვე მეასედ...
თუ არ იცვლება ეს ცხოვრება, დედაც ვატირე...
არც მე ვიცვლები და სასმისი ისევ შეავსეთ,
არ ვემსგავსები ამ ცხოვრების მურტალ ვამპირებს...

ფიროსმანივით მაძებარი ვარ სარდაფების,
სინესტის სუნი გამჯდარია ფიქრის ქილაში,
გაბმული არის სევდის ღმერთთან სულის ძაფები,
და კვლავ ვარდება ფიქრის ვარდი გრძნობის სილაში...

ალეწილია ამ ცხოვრების ჭრელი მაგიდა, -
ვერ მოიძებნა, შესაფერი, მისთვის, თამადა...
ვარ ამ სამყაროს იდუმალი ვინმე მაგი და,
თუნდ ერთი ლექსი შექმნილიყო, ღირდა ამადაც

ამ სამყაროში შემოგვევლო, მზერა მოგვევლო,
აწ კი შორია, უფრო, გზები წინ რომ მოგველის...
ვერვინ ამოგხსნა, უცნაურო წუთისოფელო,
თუმც კი ეცადა – ფაუსტიც და მეფისტოფელიც...

* * *

თოვლი მოვიდა,
ვით ძვირფასი, თეთრი ირემი,
და მოიტანა
გასაოცრად თბილი ნათება...
იბადებიან ფანტელები,
როგორც ფიქრები...

უცნაური განწყობებიდან

მე ისევ შენი თვალებით ვცხოვრობ,
არ არის მათზე მაღალი ზეცა,
გული ვადარე სისხლისფერ კოცონს,
ვეფხის ტყავივით მეც გრძნობა მეცვა...

ხანდახან ძველი რითმებით ვტკბები,
თანამედროვე კრიტიკის ჯიბრზე,
ცაში ანთია ვარსკვლავთა ტბები,
ხანდახან ვფიქრობ ლამაზ ვერლიბრზეც...

ვამბობ: სიტყვების ვარ წინამძღვარი,
ვფლობ პოეზიის სულ ყველა დონეს,
აქ არ არსებობს ჩემთვის საზღვარი,
ვერ მიწესებენ აკრძალულ ზონებს.

და სიყვარულად მოდის ლექსები...
და ოცნებებად მოდის ლექსები...
მოგონებებად მოდის ლექსები...
ქრისტეს ღიმილად მოდის ლექსები...

ფიქრის გორაზე ვარ შემომდგარი
და ვუმზერ სულის შეშლილ ტრამალებს,
დღეს მე თვითონ ვარ ის შემოდგომა,
ლექსთ-ფოთოლთ-ცვენა რომ ვერ დავმალე...

* * *

რაც უნდა ლექსით გაქო, გახარო,
ეს არ იქნება გარდამეტებით,
ლექსით შეგიქმნი ახალ სამყაროს,
ამ სამყაროსთვის არ მემეტები...

სიტყვით ყოველი ტკბილი შექება
იქნება მხოლოდ თქმული სიმართლედ...
ყველაზე შავი ღამეც თენდება,
როცა შენ ჩნდები – დიდო სინათლევ...

გიორგი ზუხბაია

ბეთჰოვენის მტრედები

ის სახურავზე ცხოვრობდა სახლის;
ჰაერს, ხელივით, ფიქრი შევახე;
ის სახურავზე ცხოვრობდა და მას
თეთრი მტრედების მეფეს ეძახდნენ.

და ყოველ თეთრ მტრედს ფეხზე აბამდა
წერილებს, თავის სულის შემთხოვებს...
და რომ ეტყოდნენ – ვის უგზავნიო,
გიპასუხებდათ: ვის და – ბეთჰოვენს...

გამთენიისას მათ ააფრენდა;
ახლა ვეხები სევდას თითებით;
და ბეთჰოვენის თეთრი მტრედები
ზეცას ფარავდნენ ფრთების სითეთრით.

ის იყო გიჟი – ყველამ იცოდა,
მაგრამ მე, ერთხელ, დავხუჭე სული,
და ბეთჰოვენი წარმოვიდგინე -
თეთრი მტრედებით გარემოცული.

თეთრი მტრედები ისხდნენ მის მხრებზე,
შავ როიალზეც... მფრენნი თეთრ ნისლად...
და მაშინ მივხვდი, რომ ეს მტრედები
იყო მუსიკა ბეთჰოვენისა...

ის სახურავზე ცხოვრობდა სახლის;
ჰაერს, ხელივით, ფიქრი შევახე;
ის სახურავზე ცხოვრობდა და მას
თეთრი მტრედების მეფეს ეძახდნენ...

ჟოლოსფერი

სუნთქვა გიახლოვდა
ციურ შორი გზიდან,
როგორ გიხაროდა
ფერი შორი მზისა.

ღრუბლებს შენ უმზირე
გრძნობავ სათაყვანო,
თითქოს ხელის გულზე
ეს მზე აგეყვანოს.

ვნება გაირინდა,
შუქი დაგეღვივა,
როგორ ატირდი და
როგორ გაგეღიმა,

როცა მიმხილველი
გულზე ჟრჟოლვა მღერის,
როცა მზის სხივები
გახდნენ ჟოლოსფერი,

როცა ცის ალერსი
ფრფინვამ იფარულა,
როცა მზის ალები
იქცნენ სიყვარულად...

ლექსი, წვიმა და აფრენილი ყვავილები

გული ფეთქავს მხოლოდ შენსკენ,
ველებს ღალავს სადაფივე,
ყვავილები მოსწყდნენ ფესვებს
და ზეცისკენ გადაფრინდნენ.

ნედლი ჰავა გაირინდა,
მე ვუძღვნიდი გულს იარებს,
წვიმამ ხელი ლექსს ჩასჭიდა
და ბილიკი გაიარეს.

გული ფეთქავს სადღაც ზემოთ,
სივრცეს იგი დაიდარდებს...
და მზის სხივთა გარეშემო
ყვავილები დაფრინავდნენ...

პოეზია

ბერდიაკონი ნეოფიტე
გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტერი



ვეფხისტყაოსანი

გვახსენდება ლეგენდებად, მითებად,
ის, რაც არის ადათი და წესი,
თავისუფალ საქართველოს დიდების,
ნუ აყოვნებ – დაისხი და შესვი!

რაც ვაჟკაცებს გამარჯვებას პირდება,
ღრმად გულებში, რომ გაუდგამთ ფესვი,
თავისუფალ საქართველოს დიდება –
ხალხში მღერის რუსთაველის ლექსი.

წარსულისკენ გავიხედე ფიქრებში,
რვაასი წლის იქით გადავეშვი,
ისევ ისე დახმარება სჭირდება,
გამომწყვდეულს ციხე-სიმაგრეში.

ალბათ უფრო გემრიელი იქნება
არა ჭიქით – სჯობს დავლიოთ პეშვით.
ის, რაც ქართველს თან დაჰყვება ფიქრებად,
ხალხში მღერის რუსთაველის ლექსი.

ხელში იღებ, ჩახუტება გინდება,
ხმა ჩაგესმის ხმალ-ხანჯალთა ლესვის,
რუსთაველის, საქართველოს დიდების –
გინდა პეშვით, გინდა ყანწით შესვი!

ღრუბლები

ხან თეთრი ხარ ხან შავი ხარ და ხან რუხი
შეგციცინებთ, რომ გიხდება ახალუხი
გვასველებ და თანაც გვრეცხავ რახა-რუხით
როცა გვწუწავ არც კითხვა გვაქვს, არც პასუხი.

ვერ ვისვენებთ თუ ღრუბლები არსად არის
ზურგის ქარი ხან სად იყო, ხან სად არის
ვერ გაჩერებს ვერც კარი და ვერც ჭიშკარი
ვეღარ გაგნებს გზა სხვისი თუ საკუთარი.

თვალს გაყოლებთ-გაელვარებს მზის ფერები
როცა გინდა მიხაკივით იმტვერები
ხან ბჟუტავ და ხან ბურთივით იბერები
მე მზადა ვარ, შენზე ვწერო სიმღერები.

ღრუბელი ხარ, თვალჟუჟუნას საწინდარი
მერე რა რომ მარჯვნივ-მარცხნივ გფანტავს ქარი
მოგყავს წვიმა საყვარელი-სანუკვარი
ვერ მასველებ, ქოლგის გაშლა მოვასწარი.

ხან ტოტებად გვეჩვენები ჭადრის, მუხის
შინ შევრბივართ როცა იწყებ ჭექას-ქუხილს
ჩვენ გვაყრუებს-ზოგზოგები ვიწყებთ წუხილს
ხმა ღრუბლების შეჯახების რახა-რუხის .

ხან თოვლი ხარ ხან მგონიხარ ნამქერები
მეჩვენება, რომ ბავშვი ხარ ნაფერები
ჭექ და ქუხ და გვემუქრები ამპერებით
ზედ გეტყობა ძაფები და ნაკერები.

ზეცას ვუმზერ და შორიდან ვეფერები
მაღლა-მაღლა კენწეროში ვეწერები
არ ველოდი ღრუბლებისგან, არ მეგონა
თვითმფრინავებს თუ რეცხავდნენ კერხერებით.

არ ბერდები არც თმები გაქვს არც წვერები,
მზის ჩასვლისას შუბლს გიმშვენებს წარწერები
იწელები, წვეთ-წვეთობით იწველები
ვიღიმებით შენი დედამიწელები.

მიყვარს თქვენთან საუბარი და ლუღლუღი
ღრუბლები ხართ ხელგაშლილი და გულუხვი
ნეტავ იმას, ვისაც ესმის, ვისაც უღირს
ხმა ზეცაში შეჯახების რახა-რუხის.

მგონი თქვენი მზერა-ცქერით დავითვერი
ბევრს ვეცადე, ღრუბლებს შორის ვერ გავძვერი
დღისით რუხი, საღამოსკენ ვერცხლისფერი
მე ღრუბლებში მავიწყდება ყველაფერი.

21 აპრილი 2024 წ.

ვუძღვნი სოფელ რუხის ძირძველ მაცხოვრებლებს.

დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი

იმდენი და ამდენი

ერთმანეთს რომ შევიყვარებთ, ამით გვიცნობს გამჩენი,
მშრალი რწმენა მონობაა, საჭიროა საქმენი,
შურმა ძმაც კი არ დაინდო, გაიხსენეთ კაენი,
მტრობამ დღემდე მოაღწია, გაამწარა რამდენი.

ავი ყველა საბრალოა, ავკაცობის ჩამდენი,
დაუსჯელი არ დარჩება მართლის წრემლის დამდენი,
ერთგულება ერთობაა, მეგობრობის საყრდენი,
პირში გამხელს რა გეშლება ახლობელის ბაგენი.

სასუფეველს დაიმკვიდრებს განსაცდელის დამთმენი,
საღამომდე დაივიწყეთ მკვახე სიტყვა საწყენი,
მავნე ბილწი აზრებია, ბოროტების დამტენი
არავისი განიკითხოთ იმდენი და ამდენი.

გაატარე საცერში

აზრი სანამ შემოგივა გაატარე საცერში,
აჩქარებით ნუ აზროვნებ, ჩავარდები საფრთხეში,
დიაცთან რომ ისაუბრებ, არ უმზირო სახეში,
ისეთ ვინმეს ემეგობრე, ვინც ივარგებს საქმეში.

განსაცდელი დაითმინე, იქ იქნები ნათელში,
შენი მტერი რომ გაიცნო ჩაიხედე სარკეში,
სიამაყით გაებმები ბოროტების მახეში,
არავის არ დააბრალო რატომახარ ამ დღეში.

სიტყვა სანამ წამოგცდება, განაბაჟე ბაგებში,
ვისი სული როგორია იხილვება თვალებში,
სიხარბეში ქაოსია, სიმშვიდეა ნაკლებში,
მამრში ცივი გონებაა, თბილი გული ქალებში.

ხუთკუნჭულა ძლიერია, ვიდრე დევი ზღაპრებში,
სტუმარს გარეთ შეეგებე, ქრისტე იცდის კარებში,
საქართველო ისევ რჩება იმპერიულ საზღვრებში,
ამბობენ, რომ წინ მივდივართ, ჩვენ კი ვრჩებით ვალებში.

ქედმაღლობა კუზებშია, მორჩილება აქლემში,
პოლიტიკა სიცრუეა ოპიუმი მასებში,
სნეულება მძიმეშია, ჯანმრთელობა მჩატეში,
ჭიანჭველა მადლით შრომობს, ბუზი ბზუის ნაკელში.

მადლობელი ვარ

სიყვარულისთვის, ღმერთო, მინდა მოგიძღვნა ქება,
სიხარულისთვის რომ მივიღე ლოცვებით შვება,
სინანულისთვის ცრემლებით, რომ ვნებები კვდება,
სასოებისთვის ახალი დღე ისევ რომ დგება.
შენი სახელით ყველაფერი სიკეთით ხდება,
ცივი ცხოვრება სულიწმინდის წყალობით თბება,
ყოველი უწყი სავედრელი არა რა მრჩება,
ჩვენთან ხარ მუდამ, არ გწყინდება ცოდვილთა კვება.
მადლობელი ვარ, რომ ინებე სამღვდელო ცხება,
გონების გული, როცა გიგრძნობს, მომავალს ხვდება,
დაცემულს ხშირად სიყვარულის წკეპლები მხვდება,
უშენოდ სული მარტოობის სევდისგან ცვდება.
წუთისოფელმა დაგივიწყა, უმადლოთ ხმება,
წვიმის გარეშე მდინარეც კი რუსავით შრება,
უძღები ისევ გაუცხოვდა, შველივით ფრთხება,
რცხვენია უკან დაბრუნება, სიმწრისგან თვრება.
ადამიანის მომავალი არჩევით წყდება,
ჩვილი, ახლახანს მოვლენილი, ვარდივით ჭკნება,
ამპარტავნების აისბერგი დარდებით დნება,
განსაცდელისთვის, ღმერთო, მინდა მოგიძღვნა ქება!

სიყვარულით გეფერებით
(მ ე გ ო ბ რ ე ბ ს)

მაპატიეთ, ყოველ დილით ადრიანად გაღვიძებთ,
პოეტობას არ ვიბრალებ, უფლის სიტყვით გარიგებთ,
ზოგი ბრაზობთ, ზოგი ხარობთ, ზოგიც ალბათ მაგინებთ,
თუ გაწუხებთ, გავჩერდები, კარებს ნუღარ გამიღებთ.

მზრუნველობა არ მასვენებს, იმედია გამიგებთ,
"საუზმეს" რომ მოგიმზადებთ, ბავშვებივით გასინჯებთ,
არც "გუდიანს" არ ვეძახი, არც ეშმაკით გაშინებთ,
სიყვარულით გეფერებით "მწარე" ენით გამხილებთ.

ია მოსულიშვილი

* * *

ცაზე, რამდენჯერ ვთვალე ვარსკვლავი,
ვეძებე ჩემში უცხოს სადარი,
აღმა და დაღმა, სად არ ვიარე...
ყველგან თვალები ვნახე,ჩამქრალი.
სხივი ვეძებე, მზის მეცხრე სხივი,
სულის და ხორცის მკვეთრი საზღვარი
და შიშმორეულს დედამიწაზე,
სულზე ჩამაცვეს გონის აბჯარი.
ბევრი ვიარე და ცხრა მთას იქეთ,
იდგა აზრებში ფიქრთა ლაშქარი,
მე კი დღეს ვგავარ ,დაგვალულ მიწას,
გამოფიტული და გამომშრალი.
სხივი ვეძებე,მზის მეცხრე სხივი,
თვალით აღქმული ფერთა ნაზავი,
ვივსები ახლა ფერისცვალებით,
როგორც სამყაროს არსში ნამგზავრი.

* * *

ჩემი სიჩუმე ,სინანულს მოჰგავს!
ფიქრებს დაჰყვება სევდის ჩრდილები
და შემოდგომის ფოთოლცვენაში,
ვამჩნევ ნელ-ნელა როგორ ვმძიმდები...
ვდგავარ, ხმაურობს მთელი სამყარო!..
და ყველა ფერი წამში იცვლება ,
ჩვენ სილამაზედ აღვიქვამთ, მაგრამ...
ყველა ფოთოლი გარდაიცვლება!
დიახ,გარდასვლა არის ფერადი!..
წლის,შემოდგომის ფოთლების მსგავსად,
ზოგჯერ სიჩუმეც არის ჟღერადი,
ცრუ არსებობაც– ცხოვრების ნაცვლად.
ვდგავარ,ხმაურობს მთელი სამყარო!
ქარი კი ფოთლებს ქუჩაში ფანტავს,
ფიქრს აყოლილი სევდის ჩრდილები,
ფოთოლცვენაში აქსოვენ ნატვრას.

* * *

უხსოვარ გონში ნაძერწის -ფიქრებში გადმოსახლება,
უფლის განგებით სიზმრებში– წმინდანთა გამოცხადება.
კვლავ მძინავს, რწმენით ვჯერდები,ველი თვალების ახელას!
სამყაროსეულ ფერების,გზადაგზა გამონათებას!
მაშინ კი ვიტყვი დრო -ჟამის მთელი სიზუსტით თანხვედრას!
ამ ყველა ნიშნის სანაცვლოდ ,ვიღებ ვარსკვლავურ დახვედრას.
მანამდე სიტყვებსაც ვერ ვამბობ,დღის სინათლეც კი ღამეა...
ციურ სხეულთა სივრციდან ,ჩემს მესაიდუმლედ მთვარეა.
ეს მე ,უხსოვარ გონიდან გამომაყოლეს გრაგნილად,
სამყაროს მინიშნებების აღქმა მქონოდა მარტივად.
კვლავ მძინავს! რწმენით ვჯერდები...მაქვს დროის წამი ,საფიქრად.
დროდადრო ცას ვესახები, შვიდქიმ ვარსკვლავურ ნათებად.

* * *

გულო ჩემო!..დაითმინე ტკივილები,
იმედები გამოზარდე ნატვრით სავსე,
ლურჯ ოცნებას მიაკემსე თეთრი ფრთები,
სევდისფერობ!..მაინც, როგორ დამემსგავსე?!
სევდავ ჩემო!...გამომწვარო ფიქრის ალში,
მოქარგულო! მოგონების შავ-თეთრ ძაფში.
გმალავდი და კვლავ ჩნდებოდი ნისლად თვალში,
მივდიოდი...მომყვებოდი მაინც კვალში.
ოცნებებო! მაზიარეთ ზღვისფერ ტალღებს
და ზეცისკენ გამიშალეთ იალქნები...
უსასრულო...უსასრულო...სამყაროში,
ცის კიდეზე მზის სახებად გამოვჩნდები.

* * *

დიახ, მოძღვარო! -ბევრი ცოდვა ჩამიდენია,
ცნობიერებით სხვისი განსჯა გამიბედია,
მარცვალ-მარცვალ ჩამომიშლია ყველას ქმედება
და მათი ხვედრი, ჩემს ყოფასთან ბევრად მეტია.

დიახ, მოძღვარო! – ბევრი ცოდვა ჩამიდენია,
სიტყვა სიტყვის წინ,სამსჯავროსთვის დამიწერია .
არ მიბრძოლია სხვების ველზე ჩემი მახვილით,
უმოქმედობაც ზოგჯერ ყველაზე დიდი მტერია.

დიახ, მოძღვარო! – გულწრფელობა არც თუ ძნელია,
მაგრამ სიმართლეც, ბევრჯერ უთქმელად დამიტევია.
ასეც ვყოფილვარ, უნებლიედ გამოფიტული,
ყველა ვალი და დებულება დამვიწყებია.

დიახ, მოძღვარო! – სინანულის ალი მედება,
ეს ემოცია ცეცხლის ალზე მეტად მწველია,
თვალის ნაპრალებს, მომდგარი ცრემლის წვეთები,
სავედრებელი ლოცვის მერე ,სულის მცველია.

* * *

დღე დიდი დღესასწაულის
სადიდებელი უფლისა,
კურთხევა ყველა ხილის და...
ფერისცვალება სულისა.
მცხეთას დარეკეს ზარები,
გალობის სამ ხმოვანება,
მდინარე ხეკორძულაზე,
სამყაროს გახმოვანება.
წყლით ყველა ცოდვის განბანვა,
ზეციდან უფლის წყალობა.
მზის სხივთა თვალის სწორება,
ერთ არსად ყოფნის ჩაწდომა.
დღე დიდი დღესასწაულის
ფერისცვალების სულისა,
სამყაროს მინიშნებებით
გზა დიდი სიყვარულისა!

* * *

მღელვარებდნენ, ეს თვალები ,
ქარში მდგარი...
მთვარის ჩრდილებს მიჰყვებოდა
მათგან სევდა,
დაბალ ნოტზე ღიღინებდა ,
ჩემს წინ მტკვარი
და თვალების ანარეკებს, ცაზე ჰფენდა.
დატბორილი, დგას ფოკუსი,
ფერგამკრთალი.
თავად მესმის ჩემი გულის, მძიმე ფეთქვა!
გავისროლე ოცნებები ნირწამხდარი,
სამყაროში, ერთი სიტყვა,მსურდა მეთქვა!
მოგონებამ გამიტაცა,ქარში მდგარი,
ერთადერთი უფლისადმი რწმენა შემრჩა!
დაბალ ნოტზე ღიღინებდა ,
ჩემს წინ მტკვარი
და თვალების ანარეკებს ცაზე ჰფენდა!

* * *

ვხედავ გადაშლილ ველებს და მინდვრებს,
შორით მდგარი მთა აწვდილი ცამდე.
რწმენა მივსებდა ,ლოდინის სივრცეს,
რომ შევხვდებოდით ,ოდესღაც სადმე.

მანამდე ურჩი გრძნობით თვალები,
მოზაიკურად ყოფდა ბილიკებს
მხოლოდ ეს ერთი განცდაღა დამრჩა
მე მაშინებდა ჩემი სიცივე.

არავინ არ თქვას რომ უშეცდომოდ,
დროში გალია ყველა საათი
და გარდასული მანძილის ზომვით
გონს მიწეწავდა ფიქრთა კამათი.

სად იყავ მაშინ? ან მე სად ვქროდი...
როგორც ნარნარით ქარი, კაბაში?!
ახლა სინანულს კვალში ვაყენებ,
როგორც გლეხკაცი ხარებს სამკალში.

ასეც ყოფილა, ცხოვრების რიტმი,
განუსაზღვრელად ბედთან თამაში,
ზოგს სიღარიბე თელავდა ტანზე,
ზოგის სულს კიდევ ბნელი ნაკადი.

გაუთქმელობის ვდგავარ მიჯნაზე,
არსი მომყვება, ცრემთა ნაკადში,
როგორც იების ფერთა სინაზე,
მსგავსი აჩრდილით დაგსდევ, გზა-კვალში

ოჰ,თურმე , როგორ ნელ-ნელა თბება,
სიცოცხლის წლები, ვაკის სავალში.
გთხოვ, დამეწიე მთების ფერდობზე
და დამეხმარე, ცამდე ასვლაში.

ეთერ ჭელიძე

უფალო

შენი მოიმედე ვარ შენი მარად მხმობელი!
მადლის ერთი ნამცვრევი არ მომაკლო აროდეს.
შენს კარებთან დამაგდე შენი მადლის მთხოვნელი,
ყოველი დღე სიცოცხლის, სიყვარულით ხარობდეს!

გამიმრავალფეროვნე ჩემი საგანთიადოს
ზვრები, საშემოდგომო კაცის გამრჯე ხელითა,
გადაბელილ საყანეს მარცვალ ავახმიანო
ოქროსფერი თავთუხი ზურმუხტ მინდორ ველითა!

მშვიდობის ცას მამთხვიე, ღრუბელგამონაწურებს...
უასაკო ცრემლისგან გამომიხსენ მამული.
მოჩეხილი კალთები რახანია მამწუხრებს
გამოიხსენ უფალო ხე, შენივე დარგული...

დატეხილი ტოტოები უიმედოდ მოყრილა,
არ იციან რარიგად ჰპოვონ თავშესაფარი.
გასცლიაო ნაჯაფარ ქართველობას ოფსილა?
ეს დღე აღარ შობილა და არც ეთქვას არავის.

ამიტომაც ივარგე არ წაგართვან მეობა,
დარწიე ჯიშის და შენი გენის აკვანი,
შენი სისხლი ადიდე არა ,,შენი-ჩემობა“
განმარიდე ,,მოყვარე“, ,,მოღიმილე“ მზაკვარი!

შენად სცანი შენია, ერთგულების დრო არის
შეიგრძენი წინაპრის სისხლის წვეთის დიდება!
მოძმისაგან განდგომა ტოლფასია ღალატის
(ვიდრე შენი მოსაზღვრის მადა არ დამშვიდდება)

შენი მოიმედე ვარ, შენი მარად მხმობელი!
მადლის ერთი ნამცვრევი არ მომაკლო აროდეს!
შენს კარებთან დამაგდე შენი მადლის მთხოვნელი,
ყოველი დღე სიცოცხლის სიყვარულით ხარობდეს!

*

მომასხი ლაბადად ეგ შენი მუზები
ეგ შენი ნამზერი მიკმიე სანთლებად,
მასწავლე ჯოჯოხეთს რარიგად უძლებდი
ან შემოფლეთილი დრო, როგორ ნახლდება!
    გულსაკიდს თუ დარჩა სურვილის ადგილი
    იმედის ხატებთან შენში რომ სახლდება.
    ლოცვებში ჩაღვრილი თუ არის ნამდვილი
    ის, რასაც არ ელი და მაინც ცხადდება!
მომასხი ლაბადად შეშლილი სიზმრები,
მითხარი სად არის მართალთა ადგილი.
რა არის ის ძალა, ასე რომ ვიცვლებით...
ჩვენსა და ღმერთს შორის რად ჩნდება მანძილი?!

თეატრალიზებული ეპოქა!

შეუცნობ დროის ქვაფენილს
ისევ ამოყრილს, ვალაგებ...
ხალიჩას ფეხქვეშ დაფენილს,
საშემოდგომოდ დავაგებ..

მიუხედავად იმისა
სხვადასხვა ეტაპს გავდივართ,
ეს კიბეც ვერ გამიგია
ასვლას ვერ ვასწრებთ, ჩავდივართ...

სიკეთეც არსად სწერია,
სადაც სავსეა მარცვალი,
გაბღენძილია ის ღერო,
ფშუტეა, რომლის თავთავიც!

შეუცნობია არსობა...
თეატრალიზმის ეპოქა!
საკუთარ მოძმის დამხობამ,
ვერ შთაგვაგონა შენდობა!

შევყურებ ბროწეულივით
ალმურმოდებულ სავანეს,
ტუჩმოკვნეტილი სურები
რომ გადადიან ალავერდს...

და ფიქრსაც, ილაჯმოცელილს
ვეღარ ვასწავლე დუმილი,
მკლავს აპეურებდაწყვეტილს,
ერის ერთობის წყურვილი!

არჩილ ბადრიაშვილს

2024 წლის 10 აგვისტოს შხელდაზე დაღუპულ
მთამსვლელს.

ვერ გიმასპინძლა შხელდამ,
მთებს გასჩენია ბზარი...
ნისლი ქარაფზე შედგა.
ზარი, სვანებო, ზარი...
ცას სიკვდილის ხმა ესმა...
ელვამ მოგკვეთა მხარი,
მყინვარს ჯაბრალი შერჩა
ზარი, სვანებო ზარი!
მწვერვალ დალაშქრე სად არ,
ოქროს წერაყინს იხდენ,
ისევ მწვერვალზე დგახარ,
შხარამ და შხელდამ გიხმეს...

თოკი გაუწყდა იმედს,
კლდეს მიესალტა ჯანღი,
რამდენმა გითხრა ,,მუხბე“,
გმინავს სვანური ზარი.
ვერ გიმასპინძლა შხელდამ
უშბამ დადრიკა თავი,
თეთნულდმა, მთების დედამ
ჩამოიხოკა ღაწვი...
ვერ გიმასპინძლა შხელდამ,
მყინვარს გაუჩნდა ბზარი...
გულში ჩაგიკრავს დედა
გაგაცილებენ ზარით..."

ვინმეს ესმის?

თავს ვერ ვაღწევ აურზაურს
შინ არის თუ გარეთ,
უსასრულოდ ვგლეჯ და ვკაფავ
მავნე ეკალ-ნარებს.
ვერც სიტყვით და ვერც ქარაგმით
ვწმენდ შებურვილ ფარებს,
ჰგავს იმ დრამას რომ ვეღარ ხსნი
ტაძრის ,,მძიმე“ კარებს.
ან კანდელი გულს რომ ეწვის
თავს ვერ უყრის სათქმელს...

ამის მერე შენ თავს ერჩი,
ხელით სრისავ ცხრაფერს...
შენ კი, ისევ ისე უნგრევ
სიჩუმის ხმას კარებს
და არისხებ გონს მოსვლისთვის
ცას შეკიდულ ზარებს,
მაგრამ ესმის? ესმის ვინმეს?
ხმას არ მოსდევს ექო...
არც მას არ ჰყავს მოპასუხე
და შენც დუმხარ ღმერთო!



მირზა ვარძუკაშვილი

მარტო ვსაუბრობ....

მე ახლა გიჟის მმოსავს სამოსი,
მარტო ვსაუბრობ მთვარეს და მზესთან.
წყვდიადშიცა ვარ ძველ დროს ნამყოფი,
როცა დავმარცხდი მებრძოლი ბედთან.

ახლა სულ მარტოდ მარტო ვარ ჩემთვის,
კითხვებზე თავად ვპასუხობ ჩემს თავს.
დანისლული მაქვს ბინდით თვალები,
ღვთის გარდა გონი ვეღარვის ხედავს.

კალამ ფურცელთან ვმეგობრობ მხოლოდ,
გულიც გიჟივით სტროფებში ფეთქავს.
ბოლო დროს ასე ფიქრებთან ვმყოფობ,
კენტად შევყურებ გულღია ზეცას.

ამაოების არ მინდა რამე,
გიჟის ხალათი ჯობია მეცვას.
დამცინოს თუნდა ეშმაკმა ღამე,
არ მიმატოვოს მხოლოდ მსურს ღმერთმა.

გადაიფრინეს....

გადაიფრინეს თვალს მიუწყდნენ ბუდის მერცხლები,
გაზაფხულამდე იმკვიდრებენ იქ სად მზე ბუდობს.
ამ ზამთარს შევრჩით მხოლოდ მე და ფიქრთ ბეღურები,
სულ მარტოდ მარტოდ სიყვარულით ყინვასთან ვუბნონთ.

რა გადაიტანს უმერცხლებო ამ მძიმე ზამთარს,
თუმც არ სტოვებენ კავკასიის გულს თეთრნულდები.
სულში ბობოქრობს მყინვარწვერი უშბა და შხარა,
ყინულ საფარქვეშ ამოზრდილი იაგუნდები.

გადაიფრინეს სულის ზეცა გრძნობის მერცხლებმა,
არა მტოვებენ დალოცვილი სტროფთ ბეღურები.
აქა მსურს მხოლოდ აქ იხაროს ჩემმა ედემმა,
თუნდ უმერცხლებოდ სისხლში მენთოს გულის ბუხრები.

რა გითხრა აბა....

რა გითხრა აბა ჩემო გვირილავ,
ჩემთვისაც დადგა მძიმე ზამთარი.
შენი სიკვდილის ცრემლით ტირილმა,
გახადა ჩემი ყოფა სხვაგვარი.

აღარ მახარებს შენ უხილველად,
არვის პირიდან სიტყვა ნათქვამი.
კაცთ სიცივისგან გარდასაცვლელად,
იქცა ჩემი და შენი ამბავი.

გაზაფხულამდე გაიწელება,
კვლავ მოსვლა შენი ყვითელ კაბაში.
შენ უნდა გნახონ იათ მტრფობელად,
მე დამამწყვდიონ მიწის საკანში..

ასეთს აგემე სიცოფე....

კაცს ყველა იმით მასპინძლობს
ვისაც რა უდგას სუროში.
ყველაც გულწრფელად არ სტუმრობს,
მის ოჯახს სიმყუდროვეში.

ბევრი განანებს სიცოცხლეს,
გველს აწვენს მშობლის უბეში.
ასეთს აგემე სიცოფე,
ტყვია წამების ნუგეში.

რა აღარ ვნახეთ....

რა აღარ ვნახეთ მე და შენ,
მიწავ ტანჯულო ქვეყნისა.
ვერცხლთ მოყვარენო ვაი თქვენ,
გამყიდველებო ღმერთისა.

ჩაიკარ გულში რამდენი,
გაზრდილი გმირი დედისა.
რამდენს უმშობლე ქვეყნისთვის,
გულს ნაბრძოლს მიწავ შენთვისა.

არ გინდობს მაინც არავინ,
ყველა შენ გთელავს ფეხითა.
მოვა დრო ლაზარესავით,
აღგადგენს ქრისტე მკვდრეთითა.

დათბა ისევე....

დათბა ისევე როგორც შარშან ეტყობა მოთოვს,
და ნოემბერიც მოაყოლებს გრძნობებს სევდიანს.
შემოეცალა სამოსელი არყიან კორომს,
ო ამ ნისლებსაც ვეღარ ვუმზერ თვალებ ცრემლიანს.

ეს შემოდგომა მიირწევა ზამთრის სუსხისკენ,
მზეც ვეღარ ათბობს დედამიწას გულ სისხლ ძარღვიანს.
ო ბეღურებიც რაღაც ისე ვერ ჟღურტულებენ,
ვეღარსად ვისმენ სიტყვას მართალს სიტყვას მადლიანს.

ზეცად ღრუბლებმაც მოუხშირეს კოპებად შეყრა,
ჩამოიცლიან გულს შემოყრილ სევდას ნაგროვებს.
იწირპლებიან თვალებიდან სისველეს ცრემლად,
ვიცი ზამთარი უკვე მოსვლას არ დააყოვნებს.

დათბა ისევე როგორც უწინ მოვა ზამთარი,
გულს მოიბოხრებს და მზეც დილით ისევ ამოვა.
სიტყვაძვირობით არყი მაკრთობს როა გამხმარი.
ტანზე ფოთოლი გაზაფხულზეც რომ ვერ გამოაქვს.

დრო ყველაფერზე ყველაფრისთვის პასუხს მოითხოვს,
გამხმარი არყიც წყვილთ გაუთბობს სადღაცა ბუხარს.
აგიზგიზდება ოთახს მოჰფენს სინათლეს სითბოს.
გარეთ გინდ თოვდეს თოვაშიც ხომ ქალს ვიღაც უყვარს....

დღეს კიდე გნახე....

დღეს კიდე გნახე ისევ ისე სახემცინარი,
შეგატყვე თითქოს წარსულიდან დარდობდი არცრას.
ისე კეკლუცად ჩამიარე თანაც მოხდენით,
თიხის ტაძრიდან სულმა იწყო მეგონა გასვლა.

ვინიცის კიდე ცხოვრებაში სად არ შეგხვდები,
არც კი შეირხევ არასოდეს მგონია წარბსაც.
დღეს სულ სხვა იყავ შავ დალალში ვითარცა გედი,
დაამშვენებდი ასე ვფიქრობ უძირო ტბასაც.

ო საოცრებავ წუთის სოფლის ამაოების,
მიწით შექმნილი მიმატოვა ლურჯთვალა ცამაც.
დავდივარ ახლა ხელ ცეცებით ამ სიბნელეში,
და კბილით ვიგლეჯ ნაიარევ ნასისხლარ ტანსაც.

დღეს კიდევ შეგხვდი უცაბედად რაღად ნეტავი?
თუმც სადღაც გულში გამცრა კიდეც მესიამოვნა.
ახლა კი მჯერა რომ სიკვდილით აღარ მოვკვდები,
მე სიყვარულმა უკვდავების დამიახლოვა.

* * *

ეს რამდენიმე ღამეა,
ვერ დავასვენე კალამი.
რატომღაც სულ წერასა მთხოვს,
მშიარია თუ მაძღარი.

მეც გულს არ უტეხ ფურცლებზე,
გადამაქ მისი განცდანი.
არ მინდა რომ ჩამითვალოს,
უმოქმედობა ღალატში.

გვერდს მიდგას უღალატოდა,
როგორც ბავშვობის ძმაკაცი.
მე კალამი და ფურცელი,
სულ ვართ ფიქრებთან თამაშში.

არ მაკარგვინებს არც ერთ წამს,
უქმად ლოგინზე წვალაში.
შამბულები ვართ ხარივით,
სტროფების ყანის სახნავში.

წინ მე უდგავარ კალამი,
მაგარი არის კვალვაში.
ფიქრები გვეხმარებიან.
კვლებში მარცვალის ჩაყრაში.

ასე ვართ მე და კალამი,
ლექსების თოხნვა ბარვაში.
დრო ჟამიც გვერდში მოგვყვება,
გვშველს ჩაყრილ თესლის მარწყვაში

განა მე ვიყავ....

განა მე ვიყავ ხელის შემშლელი,
მზისთვის როდესაც გინდოდა კოცნა.
მან შეგიშალა ამაში ხელი,
დედამიწის რომ ვერ შესძელ ცნობა.

ნუ დამაბრალებ მე შენ შეცდომებს,
ჭეშმარიტების არ გესმის როცა.
მე კი პატივს ვცემ გულით შემნდობელს,
ვისაც კი ესმის რას ნიშნავს მოცდა.

ნელი საგინაძე

შენ საქართველოვ!

შენ საქართველოვ უნდა გაუძლო
ყველა ჭირსა და ვარამს,
შენ საქართველოვ არ გაქვს უფლება
დაჩოქებისა არა!

შენ უძლეველი გოლიათი ხარ
და არვინ მკითხოს რათა,
ზედ ბუმბერაზი კავკასიონის
დაგფარებია კალთა!

გუთნის დედა ხარ, ლომი , არწივი,
გასრულდა შენი ტანჯვა,
შენ უფლის დედის წილი მიწა ხარ
არ დაიჩოქებ, არა!

ცის გვამში ვიცი ყველა ბოროტმა
შენ მოგიქნია ხმალი,
შენ ისევ დგახარ დედაბოძივით
მათი არც კი სჩანს კვალი!

წაბორძიკების უფლებაც არ გაქვს
იმედის ჩინად სჩანხარ,
სიზმარცხადი ხარ ღვთისმშობელისა
მუხლმოუდრეკლად დგახარ!

მტერს სურდა შენი მთლად გადაქრობა,
შურის თვალითაც ბევრმა ირბინა,
ბოლოს და ბოლოს სამყარომ იცის
ქრისტე, რომ გადგას გვირგვინად!

შენ საქართველოვ უნდა გაუძლო
ყველა ჭირსა და ვარამს,
შენ საქართველოვ არ გაქვს უფლება
დაჩოქებისა არა!!!

ახალო წელო

ახალო წელო, ხვავრიელად შემოდგი ფეხი,
ჩემო ქართველნო,
ყველა ოჯახს გწყალობდეთ ღმერთი,
ჭერის და ფუძის ანგელოზნო, იმერ-ამიერ
თქვენ დაიფარეთ საქართველო მრავალჟამიერ!

ქრისტე უფალო, მეკვლედ მოდი და გაგვაოცე,
ამ მიწის ზურგზე გაბნეული ქართველობა
ყველა დალოცე,
დედავ ღვთისაო, ძირმადლიანი ქართული ენით
მიგონიერე და მიმრავლე ქართული გენი!

დალოცე ესე, ჯიში-ჯილაგი ჩამომავლობა,
კაცს ვაჟკაცობა უდღეგრძელე, ქალს კი ქალობა,
არ ილეოდეს ნათლობები, შობა, ქორწილი
დედა მარიამ დაბადებიდან ვართ შენი წილი!

ღმერთო, აკმარე ქართველობას ჭირი-ვარამი,
თქვენთვის სავსე აქვთ ქვევრ-ღვინოთი სავსე მარანი,
ქვრივს, ღარიბს,
მაშვრალს შეუმშრალეთ ცრემლების უპე,
თქვენი მადლით და სიხარულით აუვსეთ უბე!

დამბადებელო მამაო, ძეო და სულო წმინდავ,
საქართველო რომ მიძლიეროთ მხოლოდ ეს მინდა,
თქვენ დაიფარეთ ჩემი მიწა ავი თვალისგან
და როგორც წესი ნათელი
ჰფინეთ მზის და მთვარისგან!

უპირველესი სადღეგრძელო უფლის ასწიეთ,
ღმერთო, ეს მოდგმა სიხარულის მწვერვალს აწიე,
ქრისტეშობაა აგუგუნეთ "მრავალჟამიერ"
შენ საქართველოვ, გამიბრწყინდი იმერ– ამიერ,
წელო ახალო, ბედნიერი შემოდგი ფეხი,
ჩემო ქართველნო, ყველა თქვენთაგანს
გწყალობდეთ ღმერთი!!!

წმინდანები

წმინდანების სულში მყოფი, ღმერთი მინდა დავინახო,
სულ არ ვჯავრობ ამისათვის ვინმესგან, რომ გავილახო,
მათ დაკონკილ წმინდა კაბას, მინდა მუხლი მოვუყარო,
შავი თეთრისგან ვარჩიო, აზრებს თავი მოვუყარო!

მათ ნაფეხურს მინდა კრძალვით ავედევნო აჩრდილივით,
მათთან სულ ცოტა ხნით ყოფნა, დავუყენო სულს ჩრდილივით,
მე იქ მინდა, ხალხისთვის, რომ უანგარო მადლი მადლობს,
ამ გარჩევის ნიჭს, რომ მჩუქნი, ამისათვის ღმერთო გმადლობ!

მათი კარის ზღურბლთან მდგარი, დაინახავ სხვა სინათლეს,
და უდიდებ უკვე გვირგვინს, მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს,
არ დატოვა დედამიწა, ქრისტე ღმერთმა, ჩვენმა მცველმა,
"ქართველი თუ იზამს ამას" – სიტყვა თქვა სიმართლის მთქმელმა!

თქვენთანა ვარ მარადისო" – უფლის სიტყვა ყველა ახდა,
წმინდანს სულის კერიაში დაემოყვრა, შეესახლა,
მე, იქ მინდა, სადაც უფლის მადლი, მართლის მთლად ერთია
ჯვარს, რომც მაცვან, მაინც ვიტყვი, წმინდანთან ქრისტე ღმერთია!!!

ვიცოდი რომ მოხვიდოდი

წუხელ, როგორ ჩემს ეზოში უჩვეულოდ ბარდნა,
დათოვლილი ბროწეული თეთრ ყინვის ხეს ჰგავდა,
მერე, ქარი ამოვარდა, რა საშინელ, მძაფრად
თოვლის ნამქერს ჩემს სარკმელზე ზედ აყრიდა ამბად!

ღმერთო, როგორ ფრთილა ფიფქი გაგიჟებით ბარდნა,
შენი კვალი თეთრ თოვლზე კი, სულაც არსად სჩანდა,
ყინვის ეტლი ზამთრის ღამეს ორნამენტით რთავდა
ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, ვიცოდი და მწამდა!

ყური მოვკარ ნაცნობ ექოს, ეს ხმა შენს ხმას ჰგავდა,
ბრაზიანი ქარიც თეთრ ფრთბს ჭიშკრის კარებს ჰკრავდა,
სრაფად სარკმლის მძიმე, მუქი გადავწიე ფარდა
შეგამჩნიე, გამეხარდა, ახდა ჩემი ნატვრა!

მხრებზე ჩამოგეკიდე და არ გაგიშვი ,რა ვქნა,
ჩემი მზერა შენს თვალებში თეთრ თოვლივით ჩადნა,
მერე, სადღაც შორს გავფრინდით, აღარ მახსოვს , ალბათ
თოვლის ფრთილა ფანტელებმა გააგრძელეს ბარდნა!!!

ჩემი თვე – დეკემბერი

ჩამომდგარა სულში როგორ
ქრისტეშობის დარი,
თეთრი ფიფქი მოფრიალებს
ჩემსკენ გადამთვრალი!

დეკემბერის ცივი სიო
სუსხიანი მზერა,
ყურში მესმის გულქათქათა
ფანტელების მღერა!

ყინვის ეტლი თეთრი რაშით
თოვლის თეთრი გუნდა,
ბუხრის პირას შემოხსნილი
ქართულ ზღაპრის გუდა!

ჩემს ეზოში ჩამომდგარი
ქრისტეშობის დარი,
თოვლში თეთრად დახატული
ანგელოზის კვალი!

ალილოზე ღვთის დიდების
ცას სწვდებიან ხმანი,
მოციმციმე ვარსკვლავების
მიცემული ბანით!

დეკემბერი გულქათქათა,
დაბრძენილი ქალი,
ჩემი თვე და ჩემი წილი
მარგალიტის თვალი!!!

გაათეთრა უთენია ქუჩა

ისე მშვიდად მოფრინავენ
ფანტელები ციდან,
დათოვლილი სტრიქონები
დაგიწერო მინდა!

გაათეთრა უთენია
ქუჩა,ეზო-კარი
მე, აქამდე გელოდი და
შენ კი არსად სჩანდი!

შეყინული ხის ტოტები
ცას ხაზავენ თეთრად,
გადამქრალა ელვარება
ნაირ-ნაირ ფერთა!

დაჟინებით აქ, თეთრ თოვლში
შენს ნაფეხურს ვეძებ
ამ, ბარდნია ფანტელებმა
დამიფარეს ეგებ!

მოხვალ, ვიცი მომილოცავ
დღეს, თოვლიან ღამეს
და მრავალჯერ მომიყვები
შენს და თოვლის ამბებს!

ფანტელები რა საყვარლად
ეშვებიან ციდან,
თოვლისფერი სტრიქონებით
მოგეფერო მინდა!!!

თოვს

თოვს. უშენობა მომეძალა ამ სითეთრეში,
მე კი ჯიუტად ყველა ფანტელს ვარქმევ შენს სახელს,
თითქოს ხვდებიან ეს ლამაზი ფერიები და
სულ სიყვარულით მიკოცნიან თმებსა და სახეს!

გადაათეთრა, ო რა ძლიერ გადაათეთრა,
თოვლის ზეწარში გაეხვია მთელი სამყარო,
ვერსად ვერ გხედავ, მენატრები და ლამისაა
შენს მოსაძებნად, ფანტელების ჯარი ავყარო!

თოვს. ალბათ ,იქნებ ჩემს ჯინაზე მუხლამდეც დადოს,
მე კი ჯიუტად, თეთრ ფიფქებთან შენს სახელს ვამხელ,
მილეული დღე გაედევნა სადღაც ფანტელებს
და ასაფურცლავ კალენდარზე დრო ფურცელს ახევს!!!

მანანა სამყურაშვილი

ვფიქრობ და ვერა გამიგია რა...

სიცოცხლის ვარდმა შემომღიმილა,
თვალს მომეფონა ფერადი ფერით,
ვარდთა ფერებმა მომნუსხეს მაგრამ,
ხოტბა შევასხი გვირილას ქებით...

გვირილას, ოდეს ჩემსა მეგობარს,
ბევრჯერ გავანდე გულის დარდები,
ვპუტე, ვაცალე თეთრი ფურცლები,
უხმოდ ვუმხილე გულის დარდები...

ბევრჯერ ცრემლითაც ვბანე და ვრეცხე,
მისი ლამაზი თეთრი ბაბთები,
ჩამოვახიე ღვთით ბოძებული
უსათუთესი კაბის კალთები...

მხოლლოდ მას ვანდე ის საიდუმლო,
სხეული დარდით რომ ვეღარა სძრავდა,
გული შეშლილი , აღშფოთებული
სულის ღილებს რომ ვეღარა ჰკრავდა...

კითხვაზე პასუხს თითქოს დავნებდი,
ველოდებოდი მის აღსრულებას,
რატომ ვბედავდი მე, ურცხვად ნეტავ?-
რად ვნებდებოდი გვირილის ნებას?

ეულ ფოთოლით გული ხარობდა,
ეს სიყვარულის იყო ნიშანი,
ხან ისე სწრაფად ამიხდებოდა
ვფიქრობდი, ალბათ არის მისანი...

ვფიქრობ და ვერა გამიგია რა,
ახლაც დავდივარ მასთან ფიქრებით,
დიდი გულით რომ გამცნობთ სიყვარულს
იმ წუთში არა, გვიან მიხვდებით!

მტვერი ვარ, ნუთუ ვერ მიხვდით?!...

ნეტავ როდიდან, არ ვიცი,
ქრისტეს პერანგი მაცვია,
წამებულ ჯვარს კი ზემოდან
თვით ჩემი სული აცვია...

არ მორჩა სისხლის წვეთები,
ზეგარდმო სულის წამება,
მიწურულ სიცოცხლის ბოლოს
იქნება სულის ამება?!

ვერ მოვიშუშე იარა,
თუმც დედის გული მწყალობდა,
ჩემს სულის დაღრეჯილობით
ის ორჯერ მეტად წვალობდა...

გაუარესდა სიცოცხლე,
ძვალ-რბილი მცვივა ლუკმებად,
აჩეხილი მაქვს სხეული-
ნაფლეთ– ნაფლეთ და უკლებად..
.
შემოგრჩი წუთისოფელო,
უცხო წამების ნიმუშად,
სოფლის თავიდან– ბოლომდე
მრავალი დამრჩა შავ მუშად!...

დამძიძგნეს ხორცი თიხისა,
სული მიმსხვრიეს მინისა,
მტვერი ვარ, ნუთუ ვერ მიხვდით?!
ქრისტეს რჩეული მიწისა!...

დიდრონი ფეხის ტერფებით
ყველამ ზედ გადამიარა,
რაღაც ცხოველი ვეგონე,
ვერ მიცნეს ადამიანად.

დამწიხლეს, სულის ბაღდადი
წუნწუხში ამომითრიეს,
შვილი ნანატრი უბიდან
მალულად ამომითრიეს...

ეხ, უცხო სულის ჟმოტებმა
სულის კარები მიმტვრიეს,
ჩემი უიღბლო სიცოცხლე
მუხლებზე გადაიმტვრიეს...

სულის სიმზე ჩამომჯდარი...

ცის კანდელი მინათებს და გულზე ლოცვას მაწერს,
ყველა სხივი ქერუბიმთა გულის სიმებს არხევს,
დროის შეყვარებული ვარ, დრო არაფერს არ მწერს,
ქარი ურცხვად მოჩვეული, სულის სიმებს არხევს.

შეიმოსა გული თითქოს, დარდის სამოსელით,
ჩემს გარშემო ხმა მომესმა უცნაური ფერის,
მოვიდა და ჩამომიჯდა, ნიჭი მომცა წერის...
რატომ ნეტავ, ხმადაბლა და უცნაურად მღერის.

სულის სიმზე ჩამომჯდარი ქარი ურცხვად მღერის,
რა ტყუილად გაისარჯა, რა ტყუილად მელის,
ძველებურად ჩითის კაბას, ბაბთა აღარ შვენის,
ვერ მოვირგე სამოსელი, ქარი მაიც მელის.

არ წამოვალ, გამეცალე მზეო, ჩადი, წადი,
ვერ ატყობ?!– რომ გვიანია სტუმრობა არ მწადის,
ყვითელ ფოთოლს სულის სიმზე საშინლადა სცივა
და ქარვისფერ შემოდგომას ცრემლი დარდად სცვივა.

თვით სილამაზეც არ იქნება უკვდავყოფილი...

ვარდთა ნადიმი ვერ გახდება მზის შესადარი,
მათი ფერები არა მზის ფერს არ ემსგავსება,
გადაშლილ გვირგვინს დაუფერფლავს წვიმა-ავდარი,
შემოდგომის ხელს ჩააკვდება მათი არსება.

ცის კაბადონზე ზაფხულის მზე, გადიხარხარებს,
მასაც ხომ ებრძვის დაუნდობელი შავი ღრუბელი,
მოლხენილსა და პირმცინარეს თალხებს აფარებს,
ღრუბელი ავი, შეუპოვარი, უწვრთნელ– უბელი.

დროც გვტოვებს, ჟამიც, წამიც, წუთიც და ისე მიჰქრის,
არვის არ ძალუძს სილამაზის შენარჩუნება,
ფერებს იცვლიან: მზე, ბუნება, მთელი სამყაროც-
და კაცთა მოდგმა ყველა სულდგმულზე მალე ხუნდება.

დროს მისდევს კაცი, მაინც უყვარს მისი დიდება,
იქნება ასე, ეს ქვეყანა ღვთისგან შობილი,
ლოცვა-ვედრებით,თხოვნითა და რწმენის დიდებით,
თვით სილამაზეც არ იქნება უკვდავყოფილი...

იკმარე, შენი რაცა გაქვს...

უფლის ხელთნაშენ ტაძარში
ღვთის მონაზონად ვიქეცი,
ცოდვები ვერ ვაღიარე, სიტყვა
შიშით ვერ გავეცი.

დავდექ, უყურებ შეშლილი,
უფალი პირჯვარს მწერავდა,
განა არ იცის?– ცოდვა მაქვს,
შვილს, მაინც ვერა მწირავდა...

რომ არაფერი არ მითხრა
ამით მე უფრო შევშინდი,
გულს სინანული ჩამეჭდო,
მისი დუმილით გავკვირდი.

მელოდა, დიდხანს მელოდა,
ფიქრობდა ალბათ რას ვიტყვი,
მე, კი ვიდექი ურცხვი და
შეუგნებელი ვით ბრიყვი.

სიტყვა არ დამცდა არც ერთი,
არც სინანული მეტყობა,
თავი ჩაღუნა, გაჰკვირდა,
ბრძენი, ბრიყვს, მე, რას მეტყოდა.

დასძინა მხოლოდ ერთი რამ,
სწორად ვერ გზარდე ყმაწვილო,
ცოდვები ბევრი დაგიდევს,
ვის გინდა გაუნაწილო?!

,,პაპის ნაჭამმა ტყემალმა
შვილიშვილს მოსჭრა კბილიო,"
ხელს ნუ შეაწვდი არ გინდა
სხვის ბაღში ტკბილი ხილიო.

იკმარე, შენი რაცა გაქვს,
გინდაც ნაცრისა კვერიო,
თუ გინდა სასახლედ გექცეს
ერთი ასანთის ღერიო.

ნაბიჯი ისე გადადგი
ჭიას არიდე ფეხიო,
მიტომ, რომ გაგიძლიერდეს
ჯიში, ჯილაგი, ფესვიო.

ვერვინ დაჯაბნა კახეთის მეფე!...

მტერთა მიჯნამდე დგას ურყევ ბურჯად
საქართველოს, ოდეს ნალეწი სხეული!...
უბე კალთები უფლითეს, ჩეხეს,-
დატოვეს ბევრჯერ მკერდგარღვეული!...

ცხარე ცრემლებით იბანდა გულ– მკერდს,
დედა მშობელი მარიამისა!...
ჭირისუფალი დღემდე დგას ძაძით,
ცრემლნაქუხარი დარიალისა!...

შამქორის ველზე ომს რომ იგებდა,
ნარიყალაზე ფენდა ნადიმებს!...
მის გულზე ნავალ რამდენ ხელმწიფეს
დღეს, ჩვენ კი არა, მტერი ადიდებს!...

მტერი რომ ლესდა ჟანგიან ხანჯალს,
ერეკლე მაშინ ისროდა ქვემეხს,
მტერი თუ კახეთს მოადგებოდა,
კახთა ხელმწიფე ჰგავდა ელვას, მეხს!

ღამე ზეცას რომ უკეცდა ფაფარს,
ერეკლეს ხმალი ჰგმირავდა ფაშას,
ჭადრის ფოთოლსაც ვერ შეარხევდა,
ქარს განგმირავდა ავსა და აშარს!...

იდგა კარიბჭედ, კახეთის ბურჯად,
ღმერთს ავედრებდა წყნარსა და ლურჯ ცას,
ქარქაშში ჩაგებულს ვერ იხილავდით
ომისთვის ალესილ ერეკლეს ფარ– ხმალს!...

ფუთიანი ხმლის წვერს პატარა კახი,-
არ მიიჩნევდა შრომად და ჯაფად!...
გარუჯული მზე, სხივს რომ გაჰფენდა,
სისხლი მიჰქონდა ალაზანს ქაფად.

კახეთს უვლიდა არწივის ფრთებით,
კავკასიონი ერტყა მას ქამრად!...
ვერასდროს გახდა კახეთის გული
შამილისა და ფაშას საკენკად!..

ერეკლეს გულზე მირონცხებული-
კახეთი დღეს დგას სალოცავ ხატად,
უბადლო მეფის მოქმედებებით
ყველი დარჩა მნახველი სახტად!...

ვერვინ დაჯაბნა კახთა ხელმწიფე!-
ხმალშემართული ულაყზე მჯდარი
დღემდე გაჰყურებს შირაზის ველებს!
მტერი ზურგიდან რომ არ მოადგეს,
არ გაიკარებს ფარსმან ქველებს!...

თხოვნა მაქვს ღმერთო!..

ცა, მერცხლისფრთას რომ წარბად გადიფენს
დღე, საოცნებო მომაფენს იმედს,
მზე, სხივთა მძივებს მუხლზე დაიფენს,
ღამე, ვარსკვლავის შეიბნევს ღილებს,

მთვარე დაჯდება თვალცრემლიანი და
ცის ტატნობზე მოჰყვება მითებს...
მე, ღამის მუხლზე მშვიდად ჩამომჯდარს,
ზედ გადმომაფრქვევს მუქ ფერის ნისლებს.

რითაც ჩემს სულის დარაბას ვკრავდი
ღმერთო, ის მომეც და არა, ნისლი,
მხოლოდ ერთი რამ, მარადიული
მომამკევინე ზე ყანის ისლი.

მომიხმე მაშინ, წითლად რომ ელავს
ფეხმორთხმით მჯდარი ყანის ყაყაჩო,
პატარძალივით ველზე რომ ღელავს
და თავის კაბით ძლიერ ამაყობს.

მე, მაშინ მოვალ მზე ცის ტატნობზე
ოქროს მარაოს რიდით რომ კეცავს,
უკანასკნელი თავნება სხივი
ფეხმოტეხილი ფეხით რომ ცეკვავს.

მე, მაშინ მოვალ, დღესთან პაემანს
თავნება დილა მორცხვად რომ ბედავს
და ღამისაგან გადახეულ გულს,
მზის ოქროს სხივით ნაზად რომ კემსავს!

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

იმედი არ დაიგვიანებს

წვიმს, წვიმამ წალეკა ნაცნობი ნაპირი,
ნისლები ამ გრძნობებს კვლავ ასევდიანებს,
პირქუში ქარები ჩანს ვნებააშლილი,
ჩემს თავზე ღრუბლები საშიშად რიალებს.

მოწყენით მივყვები წვიმიან ნაკვალევს,
მგონია, სამყარო ვნებისგან იცლება,
ვიღაცა სასულეთს გულდაგულ ალაგებს,
უფსკრულთა ნაპრალი ხალახლა ივსება.

იქნება, ჩემს სულში ხმა აღარ გაორდეს,
ეს ჩემი ხომალდი თუ გაშლის იალქნებს,
და... სანამ ეს წვიმა ჩვენს ცოდვებს ჩამორეცხს,
მზეც მოვა, იმედი არ დაიგვიანებს...

ჰეი, მამულო, გაძარცვულო ღვიძლი შვილისგან, უნდა გაცოცხლო, შევინახო შენი დიდება

მინდა, სიმართლის აბჯარი მეცვას,
მსურს, მოვიხადო მხედრული ვალი,
ვიყო ერთგული ჩემი მამულის
და მივიტანო სამსხვერპლოდ თავი.

კმარა სიყალბე, მიეთ-მოეთი,
ერთხელაც უნდა სათქმელი ითქვას,
უნდა დავგმანოთ სიცრუის კარი,
სიმართლე უნდა გმირულად იშვას.

ვერ მოვეფერეთ სიწმინდეს ჩვენსას,
კვერთხი უპყრია გამცემს და უნასს,
ვერ დავინახე ერთგული კაცი,
ვინაც ძმის კარავს დარაჯად უდგას.

ვერ დავიცავით ქართული სიბრძნე,
რაც ქართულ სიტყვას მზეგრძელად უთქვამს,-
ყალბი სიმართლე და ილუზია,
თავზე მთებივით დაგვადგეს ურცხვად.

ჩვენ, რა ხანია, ბედოვლათობით,
გადავამრავლეთ ავაზაკობა,
ეს რომ დავუშვით – ძალა არ გვეყო,
გადამთიელიც მიტომ აბორგდა...

რომ მოვიფხანოთ გული ყასიდად,
ყალბ შეგონებებს ვაძლევთ სულისთქმას,
გვჯერა სიცრუე, მონაჩმახები
და ყურს არ ვუგდებთ ნამდვილ გულისთქმას.

ჩაიგდეს ხელში სადავეები,
ჭკუა ნაკლულმა და შეშლილებმა,
მათ დაახალეს ტყვია ჩემს მამულს
და აატირეს მრავალი დედა...

ამდენ ჭიდილში, წია-წიაში,
გამოიფიტა ქართული ზეცაც,
მოღალატეთა ნაკორტნი მიწა,
თანდათანობით ფეხქვეშ გვეცლება.

გამოიღვიძეთ, უნდა გავბედოთ!
თუმცა, არ არის დღეს ეს ადვილი,
ცრუს, მოღალატეს, იქედნეს ნაშობთ
რომ მივუჩინოთ მისი ადგილი.

შეინარჩუნო სიწმინდე შენი,
ეს კანონია შეურყეველი,
რომ სისხლის ფასად უნდა დაიცვა,
საუნჯე შენი ხელუხლებელი.

ჩვენი ქვეყანა – სამოთხის მხარე,
არ დავანებოთ მოვარდნილ მეწყერს,
ბოლოსდაბოლოს, ეს შავი წყალი
ჩამოვურეცხოთ ჩვენს ქართულ ფესვებს.

სიცოცხლეს ითხოვენ...

მზე შემოდგომისა ცას აღარ ანათებს,
დაბურულ ხევებში ნისლები ჩალაგდა,
სევდიან ბაღნარებს სიცივე ანაღვლებს,
მთის წვერებს ამშვენებს ქათქათა ჭაღარა.

ძველებურ ოდაში ბუხარი გიზგიზებს,
თავისთვის უცნაურ სიმღერებს ღიღინებს,
ცეცხლოვან ენებით ქმნის ფიქრთა ჰიბრიდებს,
ბუნდოვან აზრებთან ნისლებში ლივლივებს.

დროდადრო ღვივდება, ხმამაღლა ტკაცუნებს,
და მოგონებებში თანთადან იღვიძებს,
რომ აღტაცებული ტაშს უკრავს კაცუნებს,-
ამაზეც ხანდახან ხმამაღლა კისკისებს.

აქ, ახლოს – ბუხართან, ფრთოსნებიც ჩამოსხდნენ,
ოცნებით შორეულ ცას მოგზაურობენ,
წარსულის ლანდები აქ ხელებს ითბობენ,
რა გასაკვირია სიცოცხლეს ითხოვენ...

არ შეჩერდება სვლა ზეციური

წავალ, წუთიერ პატივს მივაგებ
დარდს, – გულგრილობას გადავაყოლებ,
სადაც გვირგვინებს, აუღელვებლად,
წვავენ ნიღბების სასაფლაოზე.

თუ დასრულდება ცხოვრების დრამა,
მეც დავასრულებ თამაშს უნიჭოს,
აქ, საბოლოოდ, დავხურავ ფარდას
და შევასრულებ ჩემს როლს უნიღბოდ.

წავალ, გავყვები უდრტვინველ ტალღებს,
სულის სინათლით დავფერავ აფრებს,
სადაც ქარები მიაცილებენ
თეთრი ხომალდის უშფოთველ მგზავრებს.

მზის საფეხურებს გავყვები წყნარად
და სიმფონიას ცას შევუკვეთავ,
ნაჩუქარ ვარდებს გზადაგზა დავყრი,
წარსულ ცხოვრების დანაფურცლებად.

კვალად, – გულდაგულ ამოვშლი წარსულს,
მიწიერ ფესვებს ამოვიკვეთავ,
რიდით დავკრძალავ მშფოთვარედ წასულს,
წავალ და უკან არ მოვიხედავ...

რადგან ღალატი, დრტვინვა და ვნება,
სივრცეებს მიაქვს დანაშრევებად,
სისხლის წვეთები ლაქებად რჩება
სცენიურ ფარდებს ანაბეჭდებად...

არ შეჩერდება სვლა ზეციური
და არც სამყარო არ დასრულდება,
მხოლოდ, აღდგომა, იქ, – დემიურგის
წმინდა წიაღში აღესრულება.

მალვინა ჭელიძე

მონატრება!..

მომენატრბით ვიცი ძალიან,
,,ნეტამც ძალიან არ მომენატროთ"
მინდა მოვხატო ფუნჯით ტკივილი,
მინდა ლამაზი ფერებით ვხატო.
მოვხატო ზეცა ნათელ სხივებში,
ისევ აცეკვდეს წვიმის წვეთები,
რა ძნელი არის სიშორით დაღლა,
არადა ბედისწერას ვნებდებით.
ჩამოწვა თალხი,ბინდია ირგვლივ,
ღამე, დუელში მიწვევს და მითრევს,
ქუჩა,რომელიც გაივსო ხალხით,
რა უსასრულო ტკივილებს იტევს.
ნეტამც, არასდროს არ მომეხატა
სული ლამაზი,სული დაღლილი,
მოუყვებოდი სამყაროს ზღაპარს
პირ მომცინარე,ლაღი ბავშვივით.
მინდა მოვხატო ფუნჯით სიცოცხლე,
ლამაზ ფერებში მინდა მოვქარგო,
უსასრულობას ვიტევ და ვითმენ,
ნეტამც ძალიან არ მომენატროთ.

* * *

ვაფერადებდი შემოდგომის დარდიან
დღეებს,
იდგა სიჩუმე უსასრულოდ,
ცოტა ციოდა,
საღამო მშვიდი,
შევეხიზნე ბუნების ფერებს,
და ამ სევდაში დრო მიდიოდა.
თუ აგიჩემა მარტოობამ
დარდს გაგიბევრებს,
აბობოქრდება სული შენი
როგორც ფანტანი...
გულს ნურასოდეს გააკარებ
ტკივილს და წვიმებს,
რადგან, არა ხარ მეტის ამტანი.
გტკივა სხეული,
უსამართლო
სიტყვების განცდა...
თითქოს სიმშვიდეს გაუჩინეს
მწველი ხანძარი,
ნუ განიკითხავ,
შენ სიმართლეს
ვერ ჰპოვებ რადგან...
სულს აუშენე რწმენის ტაძარი.
ეძიე შენში ხვთის სიმშვიდე
ეძიე , ჰპოვებ...
ხშირად ღიმილით წამოგცდება,
რა დავაშავე,
ვეღარ ვერევით საკუთარ თავს
და დარდებს ვმონობთ,
არ დავაცალეთ სულს სიმშვიდე,
არ დავაცალეთ.
გავაფერადებ შემოდგომის
სუსხიან დღეებს,
ნაწვიმარ ქუჩებს,
სხვა თუ არა
მე შევიყვარებ,
მე შევიფარებ ფოთოლთცვენით
გაძარცულ ხეებს,
ყველა სულდგმულს თუ უსულგულოს
მე შევიწყალებ!...

ემიგრაციიდან დაბრუნება

თითქოს მდუმარებამ შემიჩვია,
თითქოს ამბორია ხეთა,
ეზომ შემოდგომა შეიფერა
მე კი, სიმარტოვე მეტად...
ირგვლივ ყველაფერი ნაცნობია,
ირგვლივ ყველაფერი მიყვარს,
გული, არც არაფრის დამთმობია,
მშვიდად ვეფერები მიწას.

თუმცა, სული ორად გაყოფილი
ისევ მოგზაურობს სადღაც,
თითქოს შემოდგომის ფოთოლთცვენაც
ვეღარ გადაურჩა ავდარს.
ახლა დარია და მზე დამნათის,
ვეტრფი ჩემი ბაღის ჩეროს,
თუმცა, მოგონება გამიახლდა,
მაგრამ მდუმარებას ვფერობ!

დუმილის მიღმა

დუმილის მიღმა არის სამოთხე,
რომელიც გიყვარს, ხან კი გაოცებს...
დუმილში არის აზრთა მარაგი,
თმენის და სიტყვის იგავარაკი!
დუმილი არის სევდის ნარჩენი,
შემოთელილი... ტკივილს ნაჩვევი...
არის გრძნობები, სიტყვა მავანის
ბევრი დათმენა...ბევრი ღალატი...
ამ უსასრულო დუმილის მიღმა,
ვიღაცას უფრთხი, ვიღაცას იცავ!
ზოგჯერ ცრემლები ასველებს მიწას,
ვიღაცა გძულს და ვიღაცა გიყვარს...
გზად განფენილი ეკალ-ბარდები,
გკაწრავენ, მაინც არ დმარცხდები!
დუმილში არის აზრიც და სიბრძნეც,
თითქოს დუელში ვიღაცას იწვევ!.
ფიქრობ და უხმოდ მაინც ნებდები,
ირგვლივ რაც ხდება, თითქოს ვერ ხვდები...
დუმილში არის სულის ომები
ხან იმარჯვებ ხან, არ ემონები!
დუმილში არის აზრთა სხვაობა,
ზოგჯერ მცდარი და ზოგჯერ რაობა...
დუმილი შენი თუკი გაძარცვეს
შენი შენი მრწამსით უნდა გადარჩე!
დუმილის იქით...დუმილის მიღმა,
ვერავინ ხვდება რა ხარ, ან, ვინ ხარ?!

ბელა მოდებაძე

ცხოვრებამ ბევრი რამ დამანახა...

სადღაც შორეული წარსულიდან
ლანდად გაკრთობილა მოგონება,
ცხოვრებამ ბევრი რამ დამანახა
ფიქრები არ ღირს მოდუნებად.

სადაც, მართლაც ვარდი დამითესავს
მე იქ ეკალ-ბარდში გამივლია,
უკან მომიხედავს დანანებით
წლები ცრემლის ფრქვევით დამითვლია.

ვნანობ?... მოგატყუებთ თუკი გეტყვით
არა, არაფერს ვთვლი სანანებლად,
ტვირთად, ჩვენი ჯვარი ყველას გვადევს
მხრებზედ, გოლგოთამდე სატარებლად.

წლებიც მემატება ნელა-ნელა,
ვხედავ, თმაც კი სწრაფად შევერცხლილა,
უწინ თითქოც ცაში დავფრინავდი
ახლა მიწას ფრთებიც შეკვეცილა.

ისევ შორეული წარსულიდან
ბეწვის ხიდს გავდივარ გეგონება,
ცხოვრებამ ბევრი რამ დამანახა
წარსულიც აღარ ღირს დაღონებად.

ასე შემიყვარდა „გ უ რ ი ა"

დასავლეთში ულამაზეს კუთხეს
გამორჩეულს ბუნებით თუ ხალხით,
კულტურით და ტრადიციით განთქმულს
ვუცქერდი და ბედნიერი გახლდით.

გურიაა, ეს ლამაზი მხარე
თვალს გჭრის მისი ზღვის ხედი თუ მდელო,
ვერ ვნახავდი შესაფერისს ვერსად
ევროპას თუ ამერიკას მევლო.

იუმორი?... საოცარი, სხარტი აქვთ
სითბო გინდათ?... უხვად ნახავთ გამცემთ,
სტუმარია თუ უბრალოდ გამვლელი
მასპინძლობით გულს არ წყვიტავს არც ერთს.

დაგილოცავთ ამ მადლიან კუთხეს
თითოეულს ოჯახსა და ფუძეს,
ღმერთო ჩემო ნუ მოაკლებ წყალობას
ადგილს,სადაც სიყვარული სუფევს.

უფალო შეგვიწყალენ...

როგორ გადაღლილხარ, ჩემო საქართველო,
ბრძოლით, შინა თუ გარეშე მტერთან,
მხარი ჩამოგტეხეს, თითქოს დაგაჩოქეს,
გულზეც ნაიარებს კემსავ.

ქართველთ მოძულემან, სული გაგაცალეს
მიწაც მტკაველ-მტკაველ ზომეს
ენის სიწმინდის და ტაძრის შესამუსრად
თავად სატანაც კი შობეს.

ქართველს აიძულეს, სახლ-კარს მოგლეჯოდა,
უცხო მიწის ნერგად დარგეს,
სახლის დატოვება, მითხარ ვის რად უნდა
კარგი პატრონი რომ ყავდეს.

ღმერთო დალოცვილო, ჩვენზედ მოიხედე,
მშობელს გაუმთელე გული,
ყველას შვილი გულში, მშვიდად ჩაახუტე
აღარ გაუგლიჯო სული.

დ ა ვ ე ლ ო დ ე ბ ი...

უკვე აცივდა, მთებში ნისლი ჩამოწოლილა,
წვიმის წვეთებიც თითქოს ყურთან ჩუმად ჩურჩულებს,
თვით ბეღურებსაც დატყობიათ დილის სუსხი და
ყვითელ ფოთლებში გახვეული, ვეღარ ჟღურტულებს.

სულ ცოტახანში, შემოდგომაც მიითვლის დღეებს,
მერე კი მკაცრი, ზამთრის სუსხი მოგვეპარება,
კიდევ რამდენი, წელიწადის დროებს დავითვლი
ან მშობლიური სახლის სითბო მომენატრება.

მომნატრებია, მერე როგორ მომნატრებია,
დედის კალთაზე ჩვილ ბავშვივით თავის დადება,
დაველოდები, იმ დღეს თმენით დაველოდები,
უფლის განგებით, ეს ოცნება როცა ახდება.

ვუძღვნი გურიას, გურულებს და განსაკუთრებულად,
ჩემს უსაყვარლეს და მონატრებულ მეგობრებს ლანჩხუთში...❤❤

შემოდგომის ფოთოლცვენა

ჩაფიქრებული გავუყევი ლამაზ ხეივანს,
თავზე მათოვდა, გაყვითლებულ ფოთოლთა ჯარი,
ფერთა გამაში, მზის სხივები ისე ელვარებს,
ვით დიდ კოცონზე ასხლეტილი ცეცხლისა ალი.

იქვე მახლობლად ჩამოვჯექი, ვუცქერ პეიზაჟს
მსგავსი მშვენება, ცხოვრებაში არსად მინახავს,
ფოთოლთა ცვენა, მივამსგავსე ცხოვრებას ჩვენსას,
რომელსაც შემდეგ, ისტორია შემოინახავს.

ფიქრებში გართულს, მზერა ერთი ხისკენ შეჩერდა,
რომელსაც თითქმის დასცვენოდა ყველა ფოთოლი,
მხოლოდ ერთიღა შერჩენოდა გულის იმედად,
მაგრამ ის ერთიც მომეჩვენა თითქოს ობოლი.

ქარი ნელ – ნელა ძლიერდება, უტევს ჯიუტად,
ფოთოლიც ცდილობს ტოტს ჩაეკრას,
როგორც დედა-ჩვილს,
ცრემლმორეული ვჩურჩულებდი, იქნებ გაუძლო,
ყოველი წუთი მიგლიჯავდა თითქოს გულის სიმს.

როდის ყოფილა, ძლიერებთან სუსტს გაემარჯვოს,
ქარის წინაშე ეს ფოთოლიც სუსტი აღმოჩნდა,
მოფარფატებდა, ტოტებს შორის ბოლო ფოთოლიც,
მე კი ამ სცენის შემხედვარე, ცრემლი მახრჩობდა.

უკან წამოველ, ჩემი გული მოიცვა სევდამ
ცხოვრებაც ჩვენი, სულ რაღაცა ერთი წამია,
მხოლოდ ლოცვაა ხსნა სულისა, ჩვენი ერთობის
მარადიული, ისეც ვიცით...არაფერია.

ჩემს საყვარელ პატარა მეგობარს ანდრიას ...

დაბადების დღისადმი (10 წლის)

ყველამ ვიცით, რომ ემიგრანტობა
გმირობაც არის და თან ტვირთია,
ტვირთი, რომელიც მხრებზე გვაწევს და
გადაბიჯებაც არ შეგვიძლია.

უცხო მიწაზე თვალის ცეცებით
ვამსგავსებთ თითქოს, ქუჩაში გამვლელს,
შვილთა ალერსი მოგვნატრებია
თავადაც გვიკვირს, რით ვიტანთ ამდენს.

სწორედ ასეთ დროს, ასეთ ყოფაში
სახეს ღიმილიც რომ დაჰკარგვია,
სულის ნუგეშად, გულგასახარად
ჩამოგვივიდა ბიჭი ანდრია.

და უცებ გულიც გაგვიხალისდა
ვიღას გვახსოვდა დარდი, ფიქრები,
ბედნიერება და სიხალისე
გულში გვათოვდა როგორც ფიფქები.

დღეს კი ყველანი ამ სიხარულით
დაბადების დღეს გილოცავთ შვილო,
ბედნიერება გვინდა გისურვოთ
საყვარელო და ყველაზე ტკბილო.

როდესაც დედა წარმოთქვამს ლოცვას
ყოველი შვილის სანთლად ანთია,
გთხოვ დაგვილოცე, უფალო ჩვენო,
ჩვენი ვაჟკაცი ბიჭი ანდრია.

„არ გამოსცადო უფალი შენი"...

ჩვენ ხომ ცხოვრება, ყოველდღიურ გამოცდას გვიწყობს,
ზოგს მთლად დააქცევს, ზოგსაც დიდძალ სიკეთეს უზღავს,
განსაცდელის ჟამს გაგვახსენდეს მხოლოდ ერთი რამ,
მიტევება და შენდობაᲥ შევთხოვოთ უფალს.

განსაკითხავი თუა ვინმე, ნუ განვიკითხავთ,
რადგან არაა მართებული ეს ქცევა ჩვენი,
სარწმუნოება გვეუბნება, ყველას გვასწავლის,
არ გამოსცადო, თვით უფალი და ღმერთი შენი.

ერთად ვილოცოთ, ტაძრად თითო სანთელიც ვანთოთ,
ჩვენში ქიშპობა, ორგულობა, ვის გაუგია,
გასაყოფელიც, მითუმეტეს რა გვაქვს ქართველებს,
სადაც რწმენაა, იქ ღმერთი და სიყვარულია.

თბილი სიტყვა ყველას ათბობს...

როცა რამე კეთილ საქმეს გააკეთებ,
გაიარე ქვაზე დადე წინ დაგხვდება
ასევეა, როცა რამე ცოდვას იდებ
ცხრა თაობას, შენს მონაგარს გადასწვდება.

ცხოვრებაში რაც არ უნდა კარგი იყო
რაც არ უნდა სიკეთე და მადლი თესო,
არავისგან არასოდეს არ ფასდება
ჩაგითვლიან...ასეც უნდა გაკეთდესო...

ეჰ...არადა რა კარგია როცა ვინმეს
შენი თბილი ღიმილი და სული ხიბლავს,
როცა ნათქვამს ღმერთის რისხვად არ ჩაგითვლის
წყევლა-კრულვით ჯოჯოხეთში არ ჩაგიყვანს.

ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში ფასი არ გვაქვს
მოფერება, ტკბილი სიტყვაც უკვე გვაფრხობს,
თუკი რამე სიტყვით, საქმით შეგვიცოდავს
მხოლოდ ღმერთმა, მხოლოდ ღმერთმა დაგვინახოს.

საბოლოოდ თქვენთან შევჩერდი...

ცხოვრებისეულ გამოწვევებს ხშირად გავურბი
არ ვიცი რამე მაშინებს თუ რისკი მაკლია,
ერთგულებაში, ვფიქრობ არ მყავს ქვეყნად ბადალი,
მაგრამ რატომღაც გულში სხივი აღარ ანთია.

ბევრი ვერ მიგებს, როგორ ვცდილობ აზრების ახსნას,
ზოგიც კი სიტყვებს მოუძებნის სულ სხვა შესატყვისს,
მე რასაც გავცემ, ვფიქრობ იმას ვერასდროს ვიღებ,
ყოველთვის ვკარგავ, ვერ ვპოულობ რიგში ჩემს ადგილს.

განა, ოდესმე ვემართლები ვინმეს რაიმეს,
ვიმსახურებდი, რაც მოვიმკე ალბად შედეგი,
შემოვიარე გადაღლილმა, ფიქრმორეულმა
ჩამოვჯექი და წამიერად თქვენთან შევჩერდი.

ვუძღვნი ჩემს უახლოეს და უსაყვარლეს მეგობარს

ნანა გიგუაშვილს❤

დიდხანს ვიფიქრე რა დამეწერა
მეპოვა სიტყვა, როგორც შეგფერის,
სათუთიც იყოს, მოსაფერებიც,
სწორედ ისეთი, შენ რომ შეგშვენის.

ერთგულება და სიკეთის თესვა
რომ არ გეშლება ეს უკვე ვიცი,
სწორედ ამიტომ ჩვენი ერთობა
ათეულზე მეტ წლებს მიტომ ითვლის.

სული შევიცან პირველად შენში,
ამას არ უნდა ზედმეტად ფიცი,
დილიდან ფიქრად ამეკვიატე
შენც გეფიქრები ყოველთვის ვიცი.

თითქოს ერთმანეთს კვალდაკვალ მივსდევთ
ცხოვრების გზებმაც სად არ გვატარა,
საკუთარ მიწას მყარად მდგომელნი,
საზღვრების მიღმა გადაგვატარა.

ემიგრანტობას ერთად გავდივართ
თავის კვალს ტოვებს ირგვლის ყოველი,
არ უნდა გავტყდეთ, უნდა წამოვდგეთ
რადგან გვმფარველობს ჩვენ ღვთისმშობელი.

მართლა რა უნდა ვინატრო მეტი
უნდა გავუძლოთ დღევანდელ ყოფას,
გულით და სულით ვუსურვებ ყველას
სწორედ, შენფერი მეგობრის ყოლას.

მიყვარს ფიქრები...
საუბრები საკუთარ თავთან...

მიყვარს ფიქრები, საუბრები საკუთარ თავთან,
ამ საფიქრალთან ერთად გავხდი ღამის მთეველი,
ოცნების კართან ეჰ, რამდენჯერ შემომაღამდა
ერქვას ოცნება, თუნდაც დარჩეს აუხდენელი.

ცხოვრების გზაზე, საფიქრალი ვის დალევია,
დაღმართსაც ბევრჯერ შეუცვლია მძიმე აღმართი,
ხალხი აჭრელდა, ზოგი რჩება ადამიანად,
ზოგს კი თავადვე ეუბნები წადი... ნახვამდის...

რა შეგვიძლია, გაუსაძლის წუთისოფელში,
სიყვარულის და ერთმანეთის გატანის გარდა,
ჩემს ოცნებებშიც და ფიქრებშიც უფალს ვთხოვ მუდამ,
გადმოაფაროს ჩვენს ტანჯულ ერს, მფარველი კალთა.

დავით იოსებაშვილი

„ქართულ ლექსს გაუმარჯოს!!!"

ქართულ ლექსს-
საოცრად ლამაზს...
გაზაფხულივით-
სიცოცხლის ტალღას...
ლაჟვარდებს მაღალს-
გენიით ნახატს..
სიბრძნეს რუსთველის
და აკაკის ტალანტს...
გალას მოქნეულ-
რითმების ჟღერას..
ვაჟას ბუბუნსა
და ილიას კალამს..
ქართულ ლექსს-
გაუმარჯოს!!!
ტერენტის ვნებებს
და გოგლას დიდ ნატვრას-
მზესავით უკვდავს...
მუხრანის ტკივილს,
მურმანის სევდას,
ანნას მშვენებას-
თუთებში დამტკბარს..
ქართულ ლექსს-
გაუმარჯოს!!!
ლადოს და მირზას -
გედის სიმღერას...
მგოსნებს ჯვარცმულებს-
უღვთოდ ტანჯულებს..
პაულოს,ტიციანს
და მათ ნაწამებ საძმოს..
გულში დაწერილ-
ვეფხვსა და მოყმეს..
ქართველი ერის-
ნიჭსა და ჯიგარს..
ქართულ ლექსს-
გაუმარჯოს!!!

„ლომისგულა საქართველო"

სისხლით,
ცრემლით,
დანამულო-
ბრძოლის ველო...
ვეფხვისა და მოყმის-
მთქმელო ერო...
ცისარტყელით მოქარგულო-
მთა და ველო..
იყავი და იქნები-
საჯილდაო მუდამ ლელო...
თავგანწირვის,
რაინდობის,
სულისა და გულის-
რთველო...
უფლის კვართის
და გრაალის თასის-
შეფიცულო დიდო მცველო..
ვაზის-ჯვარით,
გოლგოთას გზას მიმავალო-
ლომისგულა საქართველო.

„პოეტი"

პოეტი იყო ,
არის გოლგოთა,
საქართველოში-
მიჰგავს ჯოჯოხეთს..
ეკლის გვირგვინი,
ლაფი და ტყვია,
აღიარება-
ასი წლის შემდეგ..
ზეცაში მიდის-
ტანჯული სული..
მიწაზე რჩება-
კრებული ლექსის..
ვითარც გამხელა-
დიდი სიმართლის..
სამშობლოსათვის-
თუ არ ეწამე..
პოეტი გერქვას-
არის სიყალბე.

..სვეტიცხოველი"

დიდი ქმნილების-
სიბრძნე გრძნეული...
სიმფონია -
სულის ზეობის...
ეს მომნუსხველი-
სიმეტრიები...
ამღერებული ორნამენტები,
უკიდეგანო ფანტაზიები,
ცას მიბჯენილი-
ტაძრის გუმბათი..
თაღებს შერწყმული-
პილიასტრები...
გაშლილ სხივებში,
ელვარე ქრისტეს-
ცეცხლისმფრქვეველი
ქერუბიმები..
მირონმდინარე-
სვეტი ციური..
მთელი სამყაროს-
მძლავრი საყრდენი...
ძველი ფრესკების-
მკრთალი ფერები...
ქართული გენის-
წრფელი დასტური..
არსუკიძის მკლავი-
მოჭრილი...
შეფარებული ჩრდილებს-
წარსული...
ხან ხვლიკისფერი,
ხან მეწამული,
ბევრჯერ მტრებისგან,
ჯვარზე გაკრული,
ლაზარესავით -
მკვდრეთით აღმსდგარი..
ღმერთის და კაცის-
საგა ერთობის..
დგას საუკუნოდ,
მცხეთას ვედრებად,
საქართველოის-
ტაძართ-ტაძარი...
მარად უკვდავი-
სვეტიცხოველი.

„შენ ხარ სიზმარი"

შენ ხარ -
სიზმარი...
ვარდისფერი
და საოცარი...
ხილვა ფერადი,
არ ხარ მირაჟი,
შენ ხარ მარადი,
ქალი ტანადი,
დილის რიჟრაჟში,
სუნთქვა ცვრისნამის....
სიყვარულის ჟამს-
ფიქრთა მწვერვალი..
შენ ხარ სიცოცხლის-
საშო უკვდავი..
მზე მოელვარე-
კაცის გუგებში..
ხარ სამოთხეც
და ხარ ჯოჯოხეთიც..
მაინც სანატრი,
მაინც ძვირფასი,
შენ ხარ ცხოვრების-
სვეტიცხოველი..
დიდი გრძნობების-
გულის ზღაპარი..
შენ ხარ სიზმარი,
ვარდისფერი
და საოცარი...
რაღაც უკვდავის.,
რაღაც მთავარის,
არ ხარ მირაჟი,
შენ ხარ მარადი,
წუთისოფლის-
აზრი არსობის.

* * *

მე ბრძოლის ველზე-
ათასჯერ მომკლეს..
ციხე მინგრიეს,
ვენახი მიწვეს,
გამინადგურეს-
ფოლიანტები..
ფრესკებს -
დასთხარეს ლურჯი თვალები..
გოგო-ბიჭები-
მონად წამისხეს..
სისხლის ხვრეპითა-
დასკდნენ ყორნები..
გვამები უღვთოდ-
მზეში გამიხრწნეს..
ზარებში დაწვენ-
ბერი მამები..
როცა ეგონათ-
მორჩა ქართველი..
აღარ ჭაჭანენს-
მისი სახელი..
მაშინ მკვდრეთიდან-
აღვსდექი ისევ..
როგორც მეწყერმა-
მტერი წავლეკე..
საქართველო
და მისი დიდება..
კვლავ დაიბადა-
უფლის წყალობით...
მე ბრძოლის ველზე-
ათასჯერ მომკლეს..
მაგრამ ფერფლისგან-
აღვსდექ ქართველი.
სვეტიცხოველში-
იესოს კვართი..
ისევ ბრწყინავს და
მავსებს სიცოცხლით.

მაგული კორძაია

დილა მშვიდობის!

განწყობა

სულსაამოდ
რეკს ზარები სიონს,
თავს მევლება შემოდგომის სიო,
კაკანათი დაუგიათ წამებს,
სამერმისოდ უნდა გადავწიო...

ფიქრი გრძნობად აქციეს და
ფოთლებს მიტომ შვენით ფოთოლცვენა,
ასე,
მეც ჩავწურე
საწნახელში წლები,
დაღვინებულ გრძნობებით ვარ სავსე.

ყელს იღერებს
სიყმაწვილის ხსოვნა,
ფოთოლივით
ვფარფატებ და ვვანცობ,
მივეფიცხე შემოდგომის მზეს და
ზამთრის სუსხსაც სიყვარულად მაცნობს.

"ღობე-ყორეს"
თავის დარდი ჰყოფნის,
იმდენია მოდებული ტვირთად,
ავდექი და ჩემი "დღეს და ხვალე"
სულ ავკინძე ზურმუხტ,იაკინთად!

* * *

ხან ისე ძლიერ მიჭირს გაღწევა,
აზრუპოვართა
ლაბირინთიდან,
დავეხეტები ბნედაშეყრილი,
სულგამოცლილი
ვხდები ნივთი და...

ყველა სიშლეგეს
ერთად მოვუხმობ,
საკუთარ თავთან თუ "გამივიდა"...
ვწუხვარ,
ამ ზღვართან ადამიანი თავისი
ნებით როგორ მივიდა!

მედიდურობა ლოკავს თავისთავს,
გვერდებში განგრევს გამჭოლი მზერა,
ადამიანი არც როს გაზრდილა,
ადამიანი თოთოა ჯერაც...

მთვარეულივით,
უმისამართოდ დაბარბაცებენ
ჩვილი ვნებანი,
დახეთქილი აქვთ ძუძუს კერტები,
დედებს, შვილების გამომკვებავი.

რაღაც გვაღელვებს და ყოფითს იქით,
ცის სილაჟვარდემ დაკარგა ფერი,
რა ადვილია,
უწყლო მიწაზე
ქარმა გაგფანტოს
შენ "მიწის მტვერი".

სწორედ ამიტომ, ორლესულივით
მოქნეულ კალამს მადლი სწყურია,
მყინვარებზეც კი
სულის გვალვისგან ამომშრალია წყალი სრულიად...

– დრომოჭმულიო
– გაკრთება ფრაზა,
როცა რაღაცა სუფთა გვაღელვებს,
ვერც პეპლის ფრთებით ვიპოვით შვებას,
ჩვენს კუთვნილ წამებს დრო მიაგელევებს.

გახამებულა ირგვლივ მზისფერი,
ადამიანიც გახამებულა,
არავის გვიჭირს შენს წინ
-უფალო!
-ლამის ჩვენ ვიქცეთ უფრო ვნებულად!

ფიქრები თბილისზე

სიტყვებთან იმდენი
ბრძოლა მიწევს,
შეგმოსე,ხანაც გაგაშიშვლე...
ფურცელები, უბეში
შენახული, მომყვება,
შენს იქით აღარ მიშვებს.

დავყვები იდუმალ
ქუჩაბანდებს,
ჯერ კიდევ იმედად მესახება,
ნეტავ და მართლა ისევ შევძლოთ,
შენს გულში ღირსებით შესახლება.

მაცოცხლა ღიმილით, თბილისურით,
ქუჩას რომ აკენწვლით ჩაივლიდი,
დღეს თითქოს ყველა
ჟონგლიორობს,
სად გაქრა ის პეწი ან ის რიდი.

მტკვარიღა დუდუნებს ძველებურად ,
კვლავაც ჩვენს
თბილისურ
ამბებს ყვება,
მადლობის კალამმა ამომხედა,
წერეო,უთუოდ გამომყვება...
თბილისო ,შენმა სიყვარულმა
სიცოცხლის
წყურვილით გამომკვება!

_წავედი
ვაჟასთან ჩამოვჯექი,
მთისა და ბარისა
იბუბუნა,
ლაღი და ამაყი დავაბიჯებ ,
მათით ხომ ცხოვრება წაღმა ბრუნავს.

ჩემს ქალაქს ამაყად გადმოვხედე,
დიადმა წარსულმა გამაბრუა,
სხვაგვარი ფიქრებით დავფარფატებ,
მთაწმინდამ თბილისი დამიბრუნა!

მერკანტილური ქაოსი, ყველგან და ყველაფერში

ენა მუცელში ჩამივარდა...
ფარდის ჩამომშვები არსად ჩანდა,
ყარდა,
სოფელი ყარდა...
ადამიანი თავისთავის გარდა,
ყველაფერს ჰგავდა...

ამ და მრავალ
ამბავს
უსიყვარულოდ ვლამბავთ,
ვლამბავთ,
მერე კუდებს ვაბამთ,ვაბამთ...
დასაბმელი თავი გვაქვს,
თავს ვერ ვაბამთ!
აბსოლუტური
სიცარიელე...

"ჩხრიალებს ბამბა",
თავს ვიტიალებთ,
ვწრიალებთ,
ვპოულობთ?
-ადგილს ვერ და
"სახელს"ვშოულობთ...
სახის ამძრობს...

არ გვსურს არაფერი,გავიაზროთ.
სულ რომ დავირაზმოთ,
"სახედ თვისად"...
_ვინმემ გაითავისაა?!
უარაფროთ,
სამყარო არ მიგვიჩნევს თავისად,
თუ არაფერს არ ჩავთვლით,
სირცხვილად
საძრახისად...

_ძარღვი მტკივა,
სხვისიც და...
სისხლისაგან ვიცლები...
ჰოი,ადამიანო!
ნუთუ არ შეიცვლები?!

* * *

დილავ პარნასის ,უიარაღო ვგავარ მეომარს,
მუზის ნამსხვრევებს ვეფერები,
ყოფით ნაოხარს,
ცრემლი შეაშრა ცას და მიწას
ფესვი გაუხმა,
"თიხის ნატეხს" რომ დრო არ რჩება სულის
საოხად...

ცრის, ფოთლებივით მცვივა განცდები,
ქარი ვერც მფანტავს და ვერც მაფხიზლებს,
უნდა შევძლო და ჩემს თავში ვიშვა,
ვიდრე სუნთქვასაც გამიკაპრიზებს...

ჰაერიც თითქოს ირიბად გვიმზერს,
ვერშემჩნეული წვეთივით ვქრებით,
და შემოდგომის
დასალიერთან,
ამ ლექსსაც ისე,
უნებურ ვყვები...

უემოციოდ გახელილ თვალებს,
ნეტავ სინათლის რა ვალი ჰმართებს?
წაიღეთ მზე და მზის სხივიც, ოღონდ,
მუზის ნამსხვრევებს
ნუღა წამართმევთ!

წამს ვიპარავ

"დროს ვიპარავ,"
-არ ყოფილა თურმე ჭორი,
გართხმული ვარ
ტყუილსა და მართალს შორის,
დაერქმევა, ალბათ
ერთხელ დაერქმევა
ცას ცისფერი,
აემღვრევა ღრუბელს ფერი...
სულ ახლოა,
რაც გვეგონა გუშინ შორი.

დროს ვინ ჩივის,ისე გვხიბლავს დროსთან ომი,
ქვასაც ვხეთქავთ
რომ არ იყოს "ორჯერ ორი"...
ვერ დაოკდა ხავსნაკიდებ ქვებზე წყალი,
აძრობს სიქას,
დრო დროშია შთენილი და მიგვატოვა აქ,
და – იქაც?...

მოდრეიფობს დროშით დრო და
დროს თავისთავი მოშივდა...
აღარ დარჩა,
(გუშინ,
დღეს,
ხვალ)
ილუკმება, თავისთავს სჭამს...
საჩვენო კი წამიც
არ ჩანს!

ვეჭვობ, ამ ნაწერმა
გაძლოს,
თუმცა, ამ წამს, სულთან ახლოს,
სტრიქონ მინაწერად სახლობს,
და ამ წამით,
განცდის ძაფი
ქსოვს ამ დროში სამოსახლოს,
მარადიულ განცდის წამით,
ჩემს თავთან ვარ უფრო ახლოს,
მედროვე დრომ
დროის ხელით,
ვერ გაბედოს,ხელი მახლოს!

წვიმს და
შთამაგონა წვიმამ:
-არ გავკიცხოთ,მზეს დაგვიცხობს...
დრო თუ ფიცხობს,
ვერ გაგვიცნო...
დროს ვერ "ვკლავ "და ფრჩხილებს
"ვიძრობ..."
გზაა ღორღიანი, ვიწრო.
-დრომ გამქურდა,
წამს ვიპარავ,
გავაჩერო, ეს დრო
ვინძლო!

მზე შემოდგომის

რა უნდა მითხრა,
მზევ,
შემოდგომის,
ვიცი რომ სითბოს ვერ
დამპირდები,
ფოთოლცვენას ვარ ადევნებული,
-ვერ შეაჩერებ...
მაინც მჭირდები.

მხოლოდ
სიმშვიდის სხივი მომფინე,
შალი აქვე მაქვს
მოგონებების,
წლების, გადაშლილ
წიგნის ფურცლებზე, თრთიან ჩამცხრალი,
თოთო ვნებები!

უჩვეულოა ყოველი წამი,
ახლა ტკივილსაც
ღიმილით ვხვდები,
ჯადოსნურ სხივებს მიფიცხებული,
ჰო,
მართალა ,უფრო
ლამაზი ვხდები...

რა უნდა მითხრა,
მზევ,
შემოდგომის,
ზამთრისპირს
აბა
რა შეაჩერებს,
შენ რომ სათუთად მეღვრები სულში,
ვიცი,ზამთარიც
სითბოს მაჩვენებს!

რა უნდა მითხრა,
მზევ, შემოდგომის,
წლები თუ ზამთარს
ვერ შემაჩვევენ,
ზამთრის პირამდე
მიმაცილე და ...
ვიქნები მშვიდად,
ვერც
შემამჩნევენ...

იმედი

დამაპაუზეთ,
– უჯრედებო,
დამაპაუზეთ,
თორემ ამ სოფლის ირონიას ჩანს
რომ ვერ ვუძლებ,
დამაპაუზეთ,
ნეგატივი ლუპიდან მიმზერს,
სხვა შეგრძნებები დასული მაქვს
ვგონებ რომ ნულზე...
დამაპაუზეთ!
– სანამ სისხლმბადი ძალა
თქვენც არ გამოგლევიათ,
იქნებ სინდისი ამ ქუჩაზეც
გამომვლელია...
დამაპაუზეთ!
– ვიდრე ჩემში,
ჩემი ცოდვები
უ ფ ა ლ ს
ე ლ ი ა ნ!
დამაპაუზეთ...

ია ჯღარკავა

ტერენტი გრანელს

დღე პოეტური, ღამე კოშმარის,
დილა ცისფერი, ღამე მთვარული.
სული უთვისო, მიტოვებული,
ხორცის ტალახში ამოგანგლული.

განცდა სიკვდილის, ფიქრი სიკვდილზე,
ნესტი სამარის, ჩერო მოკლულთა.
ხმა უდაბნოში დაკარგულ მწირის,
ნუგეში ფლიდთა, ცრუთა, ორგულთა.

ძილი კიბის ქვეშ- ძილი უძილო.
თვლემა დაღლილი დღიურ წამებით.
გიჟურ თვალების სიღრმე უძირო-
ჟრჟოლა სხეულის გარდაცვალებით.

სული ტალახში ამოგანგლული,
ნაჭაობარი მიწის ალმური.
დარდი ცხოვრებად ნაპერანგარი,
ლექსი შეთხზული ლამაზ კალმურით.

საფეხურებით ნაჭყლეტი გონი,
ხედვა სხვაფერი, ნაგრძნობი გლუვი,
ხმა საიმქვეყნო, მღერა48-49 გედური-
ცა ცისფერი და ცა გრანელური.

ზამთარი

გარეთ თოვს და ფარავს მთა- ბარს,
ატკაცუნებს ცეცხლი მუხას -
დიდ ბუხარში კუნძი გდია,
მოსდებია ალი ბუხარს.

თეთრ მანდილად დასდებია
ტყემლებსა თუ ხეებს ალვის.
თეთრ ბუნებას ალამაზებს
ანაბოლქვი ბუხრის ალის.

დიდ ბუხარში კუნძი გდია,
ახვებია ალი ბუხარს.
გარეთ ხენი დათოვლილან -
თოვლი ჰფარავს ალიბუხარს.

თეთრ კაბაში გამოწყობილ
შიშველ ხეებს შვენით ფარჩა -
ფოთლები სულ გასცვენიათ,
მარადმწვანედ ნაძვი დარჩა:

წიწვებიან რბილ ტოტებზე
თოვლი ადევს ბამბის ქულად -
გარეთ კვლავ თოვს-
ფიფქებისგან ხეები სულ დატვირთულან.

ჩიტები ხან თოვლზე ისხდნენ
და სციოდათ ყინვის ორთქლზე,
როცა თოვა წამოიწყო,
ნაკვალევი დარჩათ თოვლზე.

ხეებს ზამთრის მოსასხამი
კოჭებამდის მოახურა -
გატრუნული ეს ბუნება ჰგავდა
ნამდვილ ზამთრის სურათს.

გარეთ თოვს და ჰფარავს მთა- ბარს,
სახლში იწვის მუხის კუნძი,
ხვავრიელად ფარავს მთა- ბარს,
არ ყოფილა თოვლი ძუნწი.

ლურჯი ყვავილი

დიდხანს მესმოდა ყორნის ჩხავილი.
მერე, როდესაც წახვედი ჩემგან -
მიდიოდი და მიგქონდა სევდად
ჩემგან მოძღვნილი ლურჯი ყვავილი.

თვალს მიეფარე. ვიფიქრე, მორჩა!
დღე დაღამდა და აღარც ინათებს -
თან წარიტანე ვნება- სინათლე.
მზე ჩავიდა და მთვარე გამოჩნდა.

ვიდექი დიდხანს. არ მახსოვს, როდის:
მივლასლასებდი დათივლილ გზაზე.
შენ ჩემი გული ისე ჩარაზე,
შიგ მზე ვერ აღწევს - სითბო არ მოდის!

თეთრი თოვლივით მიდნება სული-
რა ვქნა, მე ვეღარ დაგედევნები!
ვიცი, რომ მაინც გზა ამებნევა-
ბედი ურჩია და თავგასული.

მერჩივნა ისევ ყორნის ჩხავილი,
ვიდრე ის, მაშინ რაც დავინახე:
მაშინ დამეცა თავზარი, როცა
ვერცხლისფერ თოვლზე ეგდო ყვავილი.

მე – თოლია

დღე ინავლება - ქრება მზის შუქი.
ცხელ უდაბნოში კვდება თოლია.
მეც თოლია ვარ - სევდის აშუღი,
ვისაც სიმღერაც აღარ ჰქონია.

მზემ იგრძნო დაღლა და მე კი - ვერა.
ქარსაც მობეზრდა ქვიშის ჭენება.
და ისე, როგორც მზე ჩაესვენა,
მალე ჩემი მზეც ჩაესვენება:

ის დრო არ მოვა, როცა თვალღია
მერნით დავქროდი ჭენებ- ჭენებით
და აწი მიწას თუ მომაყრიან,
საფლავს მორთავენ წვრილი ჭერმებით...

თეთრი თოლია კვდება ქვიშაზე.
წყალი შორსაა, მზე კი მწველია.
(მე კი მეტყობა ყველა ნიშანზე,
რომ ჩემი გული მზეშიც სველია).

მე დავასწარი თოლიას ლტოლვა -
სიკვდილმა მოგვცა ბევრი სინაზე
და ისე მოკვდა თოლია, როგორც
ამასწინ მოვკვდი მე ცხელ ქვიშაზე.

დამშვიდობება უგულოდ

მე მზიან დილას მივესალმები,
მივესალმები ყოველ მზის სხივსაც.
მას, ვისაც უყვარს ამქვეყნად ვიღაც -
იმ გულდამწვარსაც მივესალმები.

გეგონა, აღარ შემეძლო ოხვრა,
სულ მომღიმარე გენახე რადგან.
რაა ცრემლები, რა მოდის მათგან,
ამდენმა დარდმაც გული გამოხრა!

მოგესალმები შენც, არ გემდური,
არც რა მიზეზით გაგებუტები.
წავალ და ღრუბლებს ჩავეხუტები,
შვებას ვიპოვი მე უბედური.

მე მზიან დილას მივესალმები,
ღრუბლების ჩრდილში დავისადგურებ,
ყველა ოცნებას გავანადგურებ
და ცას მოვქარგავ თეთრი ალმებით.

წვიმაში, ქარში ცაში ვიქნები,
იქნებ ღრუბლებში გავინაპირო და
იქიდანაც გეტყვი: ორპირო,
სხვას გაუყავი შენი ფიქრები.

მე მზიან დილას მივესალმები,
თუნდაც ავდრიან დილას, მოქუფრულს.
მაინც ვერავინ მომიბრუნებს გულს
და მე უგულოდ გემშვიდობები.

ნატალია აბდუშელიშვილი

სანაპიროზე

სანაპიროზე
ზღვის ტალღები
ბობოქრობს, ღელავს,
მზის სხივი აღწევს
ჩემს გულამდე,
ქვიშა ცხელია,
დავიჩოქე და იქაც
შენი აჩრდილი დამდევს,
უშენობა კი საყვარელო
მართლაც ძნელია
ტალღების ხმაურს
უცნაური ბგერები ახლავს,
და ტალღებივით
აბობოქრდა მოგონებები,
მიყვარდი მაშინ და მიყვარხარ
ამ წუთში ახლაც,
მაინტერესებს შენ თუ ისევ მოგეწონები???.

დეკემბერი

დეკემბერი მიილევა მალე,
მერე დიდ მთებს გადაბარდნის თოვლი,
გადაღლილი მივუჯდები ბუხარს,
ფინჯან ყავას შევექცევით ორნი.
დაღლილ თვალებს მოადგება ცრემლი,
სიყვარული გახსენევით ფიცხობს,
მთელ სხეულზე მომედება ცეცხლი,
მე მიყვარხარ შენ კი სხვაზე ფიქრობ!

განთიადამდე

... მოვა სიმშვიდე დაღლილ
თვალებს ცრემლებს შეაშრობს,
განთიადზე კი
მზის ამოსვლას
შევხვდებით ერთად,
გიამბობ ამბავს
იმ გაფრენილ
დაკარგულ წლებზე,
ნაშემოდგომარ ფოთლებივით
სადღაც რომ გაქრა...
მოვა სიმშვიდე,
დასრულდება
ლოდინი ხვალის,
კეთილ ფერიას დაემგვანა
ღამის სიზმარი,
უნდა დაბრუნდე
მხოლოდ შენ ერთს
ეს გული გელის,
სიყვარულია ერთად ყოფნის ჩემი მიზანი.
გამოვიძერწოთ
ცეცხლდში დავწვათ
ყველა ტკივილი,
მოლოდინებმა დამაბერა მართლაც დამტანჯა
დამიბრუნდება ძველებურად
სახის ღიმილი,
და მხოლოდ შენ ერთს საყვარელო
გულში დავხატავ!

გულში

გულში შემოგისახლე,
სულ მინდა რომ აქ იყო,
სიყვარული მხოლოდ შენ,
მინდა შენ ერთს გაგიყო.
შორს ღრუბლებში თარეშობს,
შენი სულის ჰანგები,
თითქოს აქვე ახლოს ხარ,
მაინც რად მეკარეები.
სევდა დარდი
აღარ მსურს,
ყველას ვტოვებ წარსულში,
მინდა გთხოვო იცოდე,
მომეც შენი ნუგეში.
მთვარის შუქზე დაისის,
ერღად მინდა ვიცეკოთ,
ყვავილების დედოფალს,
იქნებ გამომეცეკვო..

ფესვები

ფესვები მეძახის
ბოლომდე ჩვენი ხარ,
გახსოვდეს
ჯიში და ქალობა,
შენ ქართვლის
დედის გენიხარ,
თან დაგდევს
უფლის წყალობა!

მონატრება

გუშინ კარი
შემოვაღე დედა,
იქ, არ დამხვდა
ალერსი და სითბო,
ყველაფერი
მოწყენილა ირგვლივ,
აღარაფერს აღარ
ქონდა სიტკბო.
გახუნებულ
სავარძელში ჩავჯექ
და ბავშობა
გამახსენდა წამით,
ნეტავ იმ დროს დამაბრუნა ახლა,
კაკლის ხეებს დავურბუნდი წამში.
გავძახებდი
სიყვარულით ყველას,
შემობრძანდით
ვისადულოთ ერთად,
ეხ! წავიდა ყინვამ შემომრთვილა,
შენ კი დედი დარჩი
ჩემში ღმერთად.
მოწყენილი
გავყურებდი სარკმელს,
რომ მტუქსავდი
მამი ისიც მახსოვს,
ახლა ვამბობ სიყვარულით სათქმელს
და ბავშურად თითქოს ისევ ვმასხრობ.
თვალს ვუსწორებ
ახლა სიმარტოვეს,
სიჩუმეა ...დრო
გასულა დიდი,
ჩემი წლები
თქვენსას დავატოლე,
დავინახე ამ
ცხოვრების ხიდი.
ცახცახებდა მარტოდ სული ვერხვი,
მოწყენილი იდგა
ძველი კერა,
პაწაწინამ იქ
ავიდგი ფეხი,
დავბრუნდები ჩემი უფლის მჯერა!

დარდი

გენატრება სულ
დარდი გაქვს,
არ გასვენება ფიქრები,
თითქოს ვიღაც განუგეშენს,
მერე ისევ მშვიდდები.
გულში ისევ
სითბო მოდის,
სიყვარულით ივსები,
თავსაც თითონ ანუგუშებ,
დალევ ღვინოს ითვრები.
თვალები სულ დაეძებენ,
იქნებ როგორ ვჭირდები.
მონატრება
ქარიშხალს გავს,
მოაქვს დიდი ზვირთები,
ვერავის ვერ გაენდობი,
სწორედ მაშინ გიჟდები

რატომ?

რატომ დაღონდი ემიგრანტო
თვალზე არ
გიხდება ცრემლები,
მხრებში გაიმართე,
ამაყად გაიარე,.
აყვავდებიან
ტყემლები.
უფალს შესთხოვე ჯამრთელობა,.
ყოველ დღე.
 აანთე სანთელი,
აბა რა იცოდი
 ეს გელოდა,
გული აღარა გაქვს ჯამრთელი!

სასმისი

შემივსეთ სასმისი.
წყურვილი მოვიკლა,
შემივსეთ
 ბოლომდე დავლიო,
ძარღვებმა რომ იგრძნოს
ჩუხჩუხი ბადაგის,
არა სთქვათ
სუსტია ქალიო!

მიყვარს სიცოცხლე

წუთისოფელში გასულს
 წლებს ვითვლი,
არ თუ ბევრია...
 დრო მიქრის,
მე მაინც ტკივილს
მახსოვს და ვითვლი,
მაწუხებს
ბევრჯერ ფიქრი.
ქარი გზადაგზა
მაცლის თხელ
 ფურცლებს,
არ მეკითხება ცვივა,
მიკვირს ძალიან
ან როგორ ვუძლებ,
ვტირი, განვიცდი მტკივა.

ჩემი ცხოვრება

ფურცელ– ფურცელ გადიშალა,
ამ ცხოვრების წიგნი,
მოფერება დამიშალა,
ეკალივით მწიწკნის.
ვითვლი იარებს
 ყოველ დღე,
სხეული მეწვის... მტკივა,
მაინც გრძელი
 გზით ვიარე,
მწვერვალზე
 ჩემით მივალ .
წინ დიდი გზაა სავალი,
უკან დარდი და წვიმა,
ჯერ არ ჩანს გამოსავალი,.
ნაიარები მტკივა.

თინიკო ხარიტონაშვილი

დედა!

დედა ერთია, როგორც უფალი,
ერთადერთია ამ ქვეყანაზე,
ვისაც უყვარხარ ყველაზე მეტად,
ვინც არასოდეს არ გაგცვლის სხვაში;

არ გიღალატებს, არ გიორგულებს,
სამაგიეროს არ გადაგიხდის,
რაც უნდა მოხდეს გაგიტანს მაინც,
არ განგიკითხავს არავის თვალში...

დედა დღე და ღამ შენთვის ლოცულობს,
შენზე ფიქრებით მუდამ დაღლილი,
ყოველთვის ყველგან გულით გატარებს,
ის მფარველია, ვით ანგელოზი,
რომელიც დადის დედამიწაზე...

ჩვენ დედის ამაგს ვერ გადავიხდით,
რომცა დავისვათ ის ხელის გულზე,
დედისთვის მუდამ უნდა ვილოცოთ,
რომ დიდხანს გყვავდეს ამ ქვეყანაზე...

და თუ აღარ გყვავს ჩვენ უკვე იგი
და ვეღარ გვატკბობს სურნელი მისი,
თითო სანთელი მაინც დავუნთოთ,
რომ გავუნათოთ იმ ქვეყნად სული.

მე მიყვარს სიცოცხლე!

მე მიყვარს სიცოცხლე, მონავარდე უკიდეგანოდ,
სიცოცხლე, რომელიც სიყვარულს ატარებს,
სიცოცხლე, რომელიც უკვალოდ არ ქრება,
დაჰქრის და ნაკვალევს გზა და გზა სტოვებს.
მე მიყვარს სიცოცხლე, სიკვდილს რომ ებრძვის,
ხელჩართულ ბრძოლაში მუდამ რომ ამარცხებს,
გამარჯვებული კვლავ რომ წამოდგება
და კვლავაც ბილიკებს სითბოს რომ აფრქვევს.
მე მიყვარს სიცოცხლე სიკეთით სავსე,
სიკეთე, რომელიც ბოროტზე იმარჯვებს,
წაქცეულს მუდამ ხელს რომ აშველებს,
ფეხზე აყენებს და გზას აგრძელებს...
მე მიყვარს სიცოცხლე, მონავარდე უკიდეგანოდ,
ლამპრად რომ ანთია და გზას გვინათებს,
მე იმ სიცოცხლის მოტრფიალე ვარ,
მის ნაკვალევზე გავლას რომ შესძლებ.

ემიგრანტის ფიქრები.

ჩაფიქრებული და სევდიანი,
ვდგავარ და გავცქერი ზღვას,
ზღვა კი გასცქერის ცას.
ცა ლამაზ ქუდად ახურავს ზღვას.
ციდან ეშვებიან თეთრი თოლიები
და ზღვას გაჰკრავენ ფრთას,
შემდეგ კი ისევ ცისკენ ისწრაფვიან,
იქ პოულობენ ხსნას...
მე კი კვლავ ვდგავარ ჩაფიქრებული
და ვერ ვპოულობ ხსნას...
ზღვა კი ჩვეული ბობოქარ სულით,
კვლავ ვერ იოკებს თავს .
მისი ტალღები ხმაურიანნი ეხეთქებიან ბანს,
შემდეგ კი ისევ, თითქოს მტყუანნი,
უკან იხევენ კვლავ...
და მე კი ისევ ჩაფიქრებული,
ახლაც გავცქერი ზღვას,
ზღვა კი გასცქერის ცას,
ცა კი ბურუსში უკვე გახვეული,
თითქოს ემალება ზღვას...
მე კი სევდიანი, ჩემი ნოსტაალგიით,
ხან ზღვას გავცქერი და ხან ბურუსიან ცას,
იმ იმედით, რომ იქნებ ვიპოვო ხსნა...

ვუძღვნი ჩემს შვილიშვილს გიორგის.

იყავ დღეგრძელი, იყავ მზეგრძელი,
ბედნიერებამ თვალებში გკოცნოს,
ამ ქვეყნად რაც კი არის ძვირფასი,
სულ ყველაფერი შენ დაგებედოს!

შენს ლამაზ თვალებს ჩემო ძვირფასო,
არ დროს დაეტყოს სევდა და დარდი,
სათნო სახეზე მუდამ გქონდეს,
ღიმილი დიდი ბედნიერების!

გეცხოვროს ისე კაცურ– კაცურად,
უკან მოხედვის არ მოგერიდოს,
შენმა მშობლებმა შენი გაზრდისთვის
დე, იამაყონ და იდღეგრძელონ!

შენ, ერთადერთო დიდო იმედო,
ჩვენი ცხოვრების დღევ ხვალინდელო!

ჩვენი ცხოვრება

ჩვენი ცხოვრება უზარმაზარი მავთულხლართია,
რომელსაც კაცი, ვერ გაართმევს თავსა ადვილად,
ვერ გაგიგია, რა აირჩიო,
,, რომელი გზითა მიხვალ ტაძრამდე,,...
მაგრამ მე მაინც სიყვარული ავირჩიე
ცხოვრების გიდად,
გზად დავუფინე სიკეთე და მიტევება
გასავლელ ხიდად,
რადგანაც ვხვდები, რომ ცხოვრება არაფერია,
მხოლოდ და მხოლოდ ერთი დიდი გაელვებაა...
გაელვებას კი ჭექა-ქუხილი მოჰყვება ხშირად
და მერე სადღაც იწვიმებს ალბათ,
სადღაც ქარიშხალი დაგლეჯს ყველაფერს,
მერე იდარებს და ცისარტყელა დაამშვენებს
ცასა მაღალსა...
ჩვენი ცხოვრებაც ამის მსგავსია:
სადღაც ქაოსია, სადღაც სიმშვიდეა,
ზოგან სიკეთეა, ზოგან სიმშურეა,
ზოგან სიძულვილს სიყვარული სცვლის...
მოკლედ, არ ვიცი, ყველაფერი ერთმანეთში
არეულია,
ეს ჩემი ლექსიც ცხოვრებასავით არეულია...
მე დაბნელი ვდგავარ და მაინც,
სიყვარული ავირჩიე ცხოვრების გიდად!

გაზაფხულის ერთი ციდა ყვავილი

გაზაფხულის ერთი ციდა ყვავილი ვარ,
ნუ მომწყვეტავთ, ნუ მომისპობთ სიცოცხლეს,
რადგან ჩემი სიყვარული თქვენდამი,
დიდია და უსასრულო იცოდეთ...

მე მნდა რომ თქვენ იცხოვროთ სამყაროში,
სადაც მხოლოდ ირგვლივ იდილიაა,
სადაც ყველას უხარია ერთმანეთი
და ყოველ დღე სიყვარულსა სჩუქნიან.

გაზაფხულის ერთი ციდა ყვავილი ვარ,
გამიფრთხილდით, ნუ გამთელავთ ფეხით,
თუ კი მოსპობთ ჩემნაირებს ქვეყანაზე,
გამეფდება სიძულვილი იცით?

მე კი მინდა, რომ იცხოვროთ სამყაროში,
სადაც ყველას უხარია სიცოცხლე,
სადაც შური, ბოროტება არ არსებობს,
მხოლოდ არის სათნოება სიკეთე...

მეც ხომ ერთი თქვენნაირი არსება ვარ,
ვისაც უნდა თქვენთან ერთად სიცოცხლე,
რადგან ჩემი სიყვარული თქვენდამი,
დიდია და უსასრულო იცოდეთ...

ისე მწყურია სიცოცხლე!

ისე მწყურია სიცოცხლე,
როგორც მწყურვალსა წყალი,
როგორცა ჩიტსა ფრთები სჭირდება,
რათა აფრინდეს ცაში.

ისე მჭირდება სიცოცხლე,
როგორც მინდორსა ცვარი,
რომ აღმოცენდეს მცენარე
და რომ არ დარჩეს ღრმაში...

ოხ, როგორ მინდა სიცოცხლე,
რომ გარიჟრაჟი ვიგრძნო,
გამთენიისას რომ მაღვიძებდეს
მზის ანარეკლი სითბო.

ოხ, როგორ მინდა სიცოცხლე,
რომ მოვეფერო ქარს,
მინდა ვიქროლო მასავით
და მოვეფერო ზღვას...

ოხ, როგორ მინდა სიცოცხლე,
ვეფერებოდე პეპლებს,
ველზე გვირილებს ვკრეფდე,
თმაში ვიწნავდე მათ...

ცოტა ხანს მერე ცაში ავფრინდე
და წამოვიდე წვიმად,
ყველას შეეხოს მისი წვეთები,
სიცოცხლე იგრძნონ ციდან...

იცით რად მინდა სიცოცხლე?
რომ მოგეფეროთ თქვენ,
მერე კვლავ მინდა ცაში ავფრინდე
და მოგვევლინოთ მზედ!

მინდა რომ მერქვას კვლავაც ქართველი!

მე მინდა შენთან ჩემო ქვეყანავ,
მინდა რომ მერქვას კვლავაც ქართველი,
გემუდარები ხელს ნუ ამიქნევ,
ნება მომეცი ვიყო ქართველი.

მინდა ვისუნთქო შენი ჰაერით
და მქონდეს სუნი ქართული მიწის,
მიწის რომელიც გაჟღენთილია,
სურნელით ძვალთა მამა– პაპების...

ხელს ნუ გამიშვებ, მაგრად ჩამკიდე,
არ მისცე ნება უცხოთ წართმევის,
შენი შვილი ვარ, სხვაგან ნუ გამზრდი,
ნუ მიასყიდებ ჩემს თავს ნურავის...

არ მინდა მერქვას მე ემიგრანტი,
ნუ დამავიწყებ საკუთარ ენას,
,,ენა, მამული, სარწმუნოება,,,
მინდა რომ მქონდეს კვლავაც ქართული.

არ მინდა ვიყო მე ემიგრანტი
და ვიზრდებოდე უცხო მხარეში,
არ მინდა ვიყო სხვის ქვეშევრდომი
და უცხო ქვეყნის გუნდრუკ მკმეველი...

გემუდარები, შენ ჩემო მიწავ,
გთხოვ, დამაბრუნე ჩემს სამშობლოში,
მინდა ჩაგეკრა და გითხრა ყურში,
შენ არ გყავს შვილი, დასაკარგავი!

მარეხი რიკაძე

„ვა ჩემი ბრალი"

შორს სადღაც ღამემ მუხყრა კარი,
გაბადრულ მთვარეს კი,ასდის ალი,
გარშემო აკრავს სიცივის რკალი,
ვდგავარ,შევცქერი,ეული,მთვრალი,
ო,რამდენი გაქვს შენ ჩემი ვალი,
რომ არ გიყურო,დამივსე თვალი,
ვიბორიალე,დავტოვე კვალი,
დაბბელებულა დიდი ტრამალი,
წინ კლდე ყოფილა დიდი და მყარი,
ვერ დავინახე,ვა,ჩემი ბრალი!!

* * *

თვალზე ეულად ჩამოსული
ცრემლი გინახავს?
დიდი ხანია გიცნობ,მაგრამ
მაინც ვინა ხარ!?

გულის უცრემლოდ ტირილი
თუ გაგიგონია?
ცრემიც გამიშრა,
ლექსიც ვეღარ მამიგონია!

ის თუ გინახავს,
უყინვოდ რომ აგაკანკალებს?
რომ გეძიმება მაგრამ მაინც
ვერ ხუჭავ თვალებს?

და ის თუიცი,
ბოლოს რატომ იმღერის გედი?
სანამ ვიმღერებ,მანამ მოდი,
არა გწამს ღმერთი?!

* * *

ცივი ზმანება,მწარე წარსულის,
მთვარეულივით ფხიზლად ზმანება,
მივდივარ,ფეხით ბალახებს ვთელავ,
მივდივარ მაგრამ არ მეზარება,

მთვარე მოსაწყენ ამბებს მიყვება,
წინ ნისლებია,როგორ ვიარო?
ამ ერთხელ მაინც გამომესარჩლე,
გზები მასწავლე ბედო,ტიალო,

ფერთა ცვალება, გრძნობების თმობა,
მერე ყირაზე თავით დადგომა,
თუმცა განფევამ ასე ინება,
მაინც არ მინდა განზე გადგომა,

ყალყზე წამოდგა ქედებზე ნისლი,
თან აიყოლა ფიქრების დასი,
წუთით არ მინდა ქვეყნად სიცოცხლე,
თუ ამ სიცოცხლემ დაკარგა ფასი!

„მე ვარ ცოდვილი"

მე ვარ ცოდვილი! მაგრამ ვწერ ჩემთვის,
ბევრჯერ ტრფობაზეც მიჩურჩულია,
მიღიღინია სტრიქონთან ჩუმად,
რადგან მდუმარედ ყოფნა რთულია,
მე ვარ ცოდვილი, რამოხდა თუკი
შენს წინაშე მსურს მონანიება?
დამღალა ფიქრმა რომ მიმატოვე
და აღარ მინდა შურისძიება,
მე ვარ ცოდვილი და ამიტომაც
სულის სიმშვიდე ვერსად ვიპოვე,
და განგებამაც ასე ინება,
ვერც შენი გული ვერ მოვიპოვე,
მე ვარ ცოდვილი და კარგად ვიცი
ცოდვები მადევს ძალიან დიდი,
და ამიტომაც გაღმა ვერ გავალ,
მეშინია რომ ჩამიტყდეს ხიდი,
მე ვარ ცოდვილი,ჩუმად ვწერ მაშინ,
შენი თვალები მწცავენ როდესაც,
ვიცი არასდროს არ შემიყვარებ,
მაგრამ იქნებ ეს მოხდეს ოდესღაც?!

მამუკა ოჩიაური

არხოტის მონატრება

მხარეა ისეთი, გულს ააგიზგიზებს,
სუნთქვაც აჩქარდება სიცოცხლის მკვებავი,
დღე, შემოგატარებს არხოტის ცის კიდეს,
ღამით, გიმასპინძლებს მთვარე – ცის ლებანი.
გულზე მოგაწვება წარსული ნატრული,
ნისლი მთაზე წვება ცივი და უგულო,
დღეც ჩამოღამდება, მზის სხივის ნათლული,
ბარში მყოფს გულით გსურს ასეთ მთას უყურო.
იმედი არასდროს კვდება და ილევა,
მთისკენ რომ მიილტვი გულით და გონებით,
მერწმუნე, ხალისი სულ გადაირევა,
როცა ნასახლარში სიპს ეამბორები.

გნახავ და გეტყვი

გნახავ და გეტყვი, რა ამბები გადამხდა უცხო,
(ბორგავს იაბო ნესტოები უთრთის ჟინიანს)
სტუმრებს ამ დილით ქადისკვრები ბებომ დაუცხო,
მიჰყვება დილა გზებს ღრუბლიანს და გზებს წვიმიანს.

ვუკეთებ ლაგამს, თოქალთოზე უნაგირს ვადგამ
ტორებით მიწას გვერდებს აგლეჯს ცხენი მალ მალე,
მე მეჩქარება მთაზე ასვლა,ამჯერად რადგან,
შენ ჩემსკენ მოხვალ, მოუყვები მთათა ტრამალებს.

პაპა მასპინძლობს მოსულ სტუმრებს წლებდამეხილი,
დროებამ პაპის ვერ გატეხა სიცოცხლის ქანცი,
ხელიდან ხელში მოგზაურობს ტანდაგრეხილი
საუკუნისწინ მოტანილი შავფერა ყანწი.

შენსკენ მაქვს ისევ გამოწვდილი გული და ფიქრი,
იაბომ ტორით გადათელა ბილიკი ძველი,
დროის წისქვილში ჩამოიფქა ამ ღამის "იფქლი"
და მიაბარა იმ წარსულეთს ღამეთა ძღვენი.

მოვდივარ,მომაქვს პირმზითების ველთა სურნელი,
გაშიშვლებული, გულმოშიში შენი ტრფიალი,
მინდა რომ მალე მოგახვიო მზერა მზრუნველი,
შენი კისკისი მოვისმინო ხალისიანი.

გნახავ და გეტყვი რა ამბები გადამხდა უცხო,
ტორტმანით მისდევს დილა ბილიკს ღრუბელ – წვიმიანს,
ბებომ ამ დილას ქადისკვრები სტუმრებს დაუცხო,
ბორგავს იაბო ნესტოები უთრთის ჟინიანს.

ღამე ანატორში

ანატორიდან ჩავხედავ არღუნს
ნისლს ,მთვარის სხივთა სერავს დანები
მდინარის გრგვინვას სიცივით არღვევს
ტანხორკლიანი ქვის აკლდამები.

დრო ავგულობით აყუჩებს ტკივილს,
მტკივან კედელთა გოდება მესმის,
მარადისობის ქალწული კივის,
თრთის ვერ გამხმარი უკვდავი ფესვი.

ძვლებს დაეშალა მანტია ხორცის,
ძარღვები სიმთა მუსიკას უკრავს,
თუ რამ გააჩნდა სიცოცხლეს მოცლილს,
წარსული, იმედს ნელ – ნელა უკლავს.

სად დაიკარგე დღევ ბედნიერო?!
ნისლიდან სხივო ძლივს ამოცლილო,
გმირ სისვაურთა* ძველო იერო -
დროს მიკერილო მბრწყინავო ღილო.

ორჯერ ამოდის მზე – ცის მნათობი,
ორჯერ შეხვდები დაისს, ალიონს
და ცდილობს ჭალა მტკიცე დანდობით,
რომ დაფლეთილი ნისლი დალიოს.

აქ მიეყინა მარადისობას
სოფელი,ხალხი ,ჭირი ,ვარამი
და დააბნელებს დროის მისნობას,
შავ აკლდამებში ცივი წკვარამი.

გოდებენ ძაძით მორთული სულნი,
ტირის ბავშვობის მკვდარი დღეები,
ჩამოიღვენთნენ ცრემლად ორსულნი
დატოვეს წმინდა სამოთხეები.

და მთვარის სხივი ბალახს ჩაწნული
შემორჩა ბექობს – "სამანი ყანის",
გწვავს, ტექსტი სიპზე ამოკაწრული: -
"გაღმა სოფელში ასკილი ყვავის ".

სისვაური* – ანატორში მცხოვრები გვარის ხალხი (სისვი ხევსურულად მწვანეს ნიშნავს,გადმოცემის მიხედვით მათ მწვანე ფერის თვალები ჰქონდათ და მწვანე ტალავარი ეცვათ)

სოფლის მცველნი

გათენდა დილა, ჩამქრალა კვარი,
წვიმს, მთებს ნისლები შემოახვიეს
ვზივარ ჭერხოში, ჭრიალებს კარი,
ნელა ედება ნისლი ახიელს.

ტანდაფლეთილი სიჩუმის ლანდი
ნასახლარებში ცდილობს დამალვას,
რად გაზარმაცდა თათარა* მარდი
გუშინწუხრ ჩემთან სურდა ამავლა.

ალბათ მუხლებმა შემოუტია
და ხელჯოხითაც აღარ იწვალა,
წლებია წვალობს, რა ჯიუტია
ბარში წასვლისთვის ვერ მოიცალა.

ჩუმად ბურტყუნებს რის ექიმიო
მითავდებაო მოხუცს დრო-ხანი,
გულს სიყმაწვილის უვლის ჟინიო,
მაგრამ ცხოვრების ყანა მოვხანი.

გაგვილეწია სამზეოს კალო
(ფიქრმა ცარგვალი შემომატარა)
გათენდა დილა, ჩამქრალა კვარი,
სოფელს შემოვრჩით მე და თათარა.

თათარა* -კაცის სახელი ხევსურეთში

ამაღლება

ამაღლდი სულო ნარეკლიანო,
სხეულს ურჩება წყლული მრავალი,
ვცდილობ, სამზეოს ისე ვიარო
დავტოვო კარგი შთამომავალი.

სდუმს ნისლიანი ცათა სამყოფი,
ჩამოაწვიმა ისევ ნასახლარს,
აღდგა, ამაღლდა უფლის ნაყოფი
ის ღმერთმა ცაში გადაასახლა.

მოკვდავი რჩება მზის ფინიშამდე,
მერე თბილი მზეც ხდება ყიოში,
ჩვენს ნამოქმედარს, მოქცევას რამდენს
ხურჯინით ვზიდავთ საიქიოში.

ბესო ჩუბინიძე

მე არ მოვკვდები...

მოვა დრო, – წავალ...
იქ, საიდანაც ვერ დავბრუნდები
თუკი გიყვარვარ, შენ მაპატიე,
დანაშაული არდაბრუნების!

მოვა დრო, – გარდავიცვლები...
მე არასოდეს, არასოდეს მოვკვდები ვიცი,
მე სხვაგან, სხვაში, სხვანაირად დაგიბრუნდები
სიცოცხლეშივე მოგეცი ფიცი.

მოვა დრო, – ჩემზე დაგცვივა ცრემლი,
მაშინ, მე როცა აღარ ვიქნები,
გული გალღვება, ეგ გული გრდემლი,
გაგიტაცებენ ჩემზე ფიქრები.

მოვა დრო, – სხვაგან, სხვაში,
სხვანაირად მოგევლინები,
მხოლოდ თვალებით თუ მიცნობ მაშინ,
იცოდე – მე არა ვკვდები, გარდავიცვლები...
შენ ეს გახსოვდეს, მერე და მაშინ!

როცა მე წავალ, უკვდავი არ ვარ,
დამრჩები ოქროდ, ვერცხლად და ქარვად
და გაიხსენე – ოდესღაც, მერე,
რომ მე ვიყავი მაგ გულის მპარვლად.

მოვა დრო, – წავალ...
იქ, საიდანაც ვერ დავბრუნდები,
თუკი გიყვარვარ, შენ მაპატიებ,
ამ დანაშაულს არდაბრუნების..!

ეპილოგი

ვარ ფრთამოტეხილი მე მთის არწივივით,
და თათმომტვრეული ცხოველთ მეფესავით,
ქორბუდა ირემივით რქებგადაგლეჯილი,
ჯიხვის შუბლისავით სისხლგადაჩქეფილი.

პოეტთ მეფესავით განადგურებული,
გიჟი თერგივით, ნგრევით მომავალი,
ვარ მუხმოყრილი, ეული განდეგილი,
ციდან ჩამოყრილი სეტყვით დამარხული.

ვარ იუდასავით მე სულშეძრული,
ვარ რომეოსავით თვალებდაბინდული,
ვარ მწყურვალი და მე ვარ მშიერი,
ვარ უსუსური, მე მგლის ნაშიერი.

ვარ დონ-ჯიხოტი და მე ვარ იაზონი,
სალვადორ დალი ვარ და ფიროსმანი,
დათა ვარ თუთაშხია, მე ტყის აბრაგი,
ვარ მონა, შავი, აფრიკელი დიდი ნილოსმანი.

ფეხმოტეხილი ძაღლი ვარ ერთგული,
და შვლის ნუკრი ვარ მე თვალნამიანი,
ხმელი წიფელის ფესვი ვარ გამხმარი,
და სიტყვით დაკოდილი კაცია-ადამიანი.

მე სანთელი ვარ ტაძარში ჩამქრალი,
მე ნავი ვარ ტბაში ჩაძირული,
მე ილია ვარ, წიწამურთან განგმირული,
სემირამიდა ვარ, ბაღებად დაკიდული.

ადამიანი ვარ – გულით გატეხილი,
კაცი ვარ, თუმცა რწმენა ნირწამხდარი,
მე მზის სხივი ვარ, ზეაცში დაკარგული,
თოვლის ქვეშ ია ვარ, ცოცხლად დამარხული.

მაგრამ... მე შვილი ვარ, უფლის გაჩენილი,
მე კაცი ვარ ძალადაკარგული, – არა გამოცლილი,
ხვალ ისევ გათენდება, – ღმერთო დამეხმარე,
იმედს ნუ მიმტყუნებ, – იმედს შერჩენილი!

ლექსო გამიშვი

ლექსო მიმიშვი, უაღვირო წითელ მუსტანგად,
თავი მანებე, გადამჩეხე ქარაფს დაჭრილი
და კლდის ქიმებზე მიმატოვე, ხელი გამიშვი,
ფრთამოტეხილი მე არწივი ცაში აჭრილი.

ლექსო, მანებე თავი ჩემდა მოძულებული,
დამტიე მარტოდ, ფიქრთან ჩემთან დარდით ეული,
არაგვის წყალში გადმისროლე ცრემლმორეული
და მიმატოვე გაყინული, ჯვრის ქვეშ რჩეული.

ლექსო, შემეშვი გზად მიმავალს ნუღარ მაჩერებ,
მე სიკვდილისკენ დაჯავშნული მეპყრა ბილეთი,
ჩემი გულისთვის დედამიწას ნუ გააჩერებ,
ისედაც ჩავალ, არ იდარდებს ხალხი მილეთი.

ლექსო შემეშვი, დამასვენე დაჭრილი ლომი,
ფაფარდამწვარი და ბრძოლაში დამარცხებული,
მე ხომ ვიომე ჩემი წილი ცხოვრების ომი,
ახლა გამიშვი, ნუ მაცოცხლებ ლახვარცხებული.

ლექსო, ამჩეხე, ბევრ ქარიშხალ გატანალი,
მუხად მოსული, დღეს ფესვებში გამოლპობილი,
წამაქციე და ნაჯახი დამცხე, მე ვერ ვივარგე
აქ ჯვრის ნატვრის ხედ გამოწყობილი.

ლექსო, გამიშვი იქნებ მელიან, იქნებ იქ მაინც არის ადგილი,
აქ, სტუმრად მოსულს მომეკვეთა თვალი ნატირი,
შენ რა გგონია ასე ძნელია, ფრთები გავშალო არის ადვილი,
ლექსო გამიშვი, ჯოჯოხეთს სტუმრად და აასრულე სულის წადილი.

ლექსო, შემეშვი. . . ფიროსმანად დამტიე მარტო,
მე ხომ დავხატე ჩემი წილი ცხოვრების ტილო,
ახლა გამიშვი, მოუბრუნებლად არც იქ მელიან. . .
და ეპილოგად მათქმევინე – ბოდიში შვილო!!!

მზიური შავაძე

* * *

გეძებდი და ვეღარ გპოვე
ღამემ შთანთქა სული წმინდა,
სიყვარულის ნეტარება
მომწყურდა და ჯერაც მინდა.

მახსენდება სანთლის შუქზე
მგრძნობიარე სახის კვალი,
ათრთოლებულ მაგ გულმკერდზე
მორცხვად ვავლე ორივ თვალი.

ბაგე ხმობდა საალერსოდ,
ცეცხლის ალად გახვეული,
ვერ გავბედე ოლოლივით
მორცხვობისგან დაბნეული.

თმებზე ვიგრძენ ისრუტავდი,
სურნელებას ვნებიანად,
და მერე კი აღარ მახსოვს
გავმთლიანდით ერთიანად.

ჯერაც დასდევს ეგ სურნელი
ბალიშს, სადაც გედო თავი,
ღამის აჩრდილს შეუერთდი,
ცის ლაჟვარდში გაფრთიანდი.

მონატრება საზღვრებს გასცდა
ან რად მოდი,ანდა წადი,
მე ხომ სულის აკორდივით
ჩაგისვი და დიდხანს მწამდი.

გეძებდი და დღესაც გეძებ
ვერ გავფანტე ნეტარება,
მაგ ქოჩორის სურნელება
ტკივილამდე მენატრება....

მონატრება G E G E

მომენატრა და თან როგორ
ჭირხლიანი მთა-გორები,
ცვარ მიბნეულ მარგალიტი
ჟინჟღლით სავსე მდელოები.

მომენატრა მთის ურდულზე
მიბნეული ვარსკვლავები,
მთვარე ლაღად დაკიდული
მოტრფიალე ის თვალები.

მომენატრა ცივი ქარი,
სოფლის წყარო, მთის კამკამა,
წყურვილ ძლიერ მოკიდული
ეს გონება რომ აწამა.

მომენატრა ორღობეში,
მოჭრიალე ხარ ურემი,
ყანის თავზე დიდი მსხალი
თუთა ბროლის მოულევი.

მომენატრა ოდის თავზე,
ადენილი ფუტის ფენა,
ღრუბლებში რომ შეერთდება
და ჩიტების ლაღი სტვენა.

მომენატრა მშობლიური,
ახალი და ძველი ყოფა,
სხვის მიწაზე დაღლილ სხეულს
გაუჭირდა უკვე ყოფნა.

მომენატრა გულის გულში
ჩარჩენილი ნეტარება,
და ეს გული მწუხრისათვის
შენს გამო არ მენანება.

მომენატრა ნატერფალზე
დავემხო და მინდა ვკოცნო,
როგორ ძლიერ მომენატრე
გეფერო და გაგაოცო.

მომენატრა ეგ ფესვები
შენი ვაზის რტო და რქები,
მე თუ მოვკვდი უშენობით
წამიყვანე,რაღაც ქენი....

იქნებ დაბრუნდე❤

მთვარეს ვუერთე სულის ნაწილი
ღამის კოშმარებს ავხსენი ფარდა,
ზღვა ისე შმაგად ღელავდა ჩემთან,
ეს გული და ზღვა, ერთმანეთს გავდა.

შორს გავსცექროდი ჰორიზონტისკენ
გამოჩნდებოდი თითქოს და მწამდა.
იქნებ დაბრუნდე,იქნებ დაბრუნდე,
გრძნობა მოგკივის,სული კი მწვავდა.

სევდისფერ ჰანგებს შევაფრქვევ ზეცას
გულს ავამღერებ ტრფობის ქარცეცხლში,
ღამის ლანდებთან რომც დამემალო,
თვით სიყვარული შეგიცნობს ჩემში.

იქნებ დაბრუნდე და მონატრების
ბადაგით თრობის სურა დაცალო,
ანდაც სიმღერა მამღერე შენზე
მგრძნობიარე გულს ესეც აცალო.

მე ხვალაც მოვალ ამ სანაპიროს
თეთრი აფრებით შევხვდები დაისს,
დამჭკნარ ვარდებსაც გამოვიყოლებ
და გაგახსენებ იმ ზღაპრულ მაის.

თეთრი ვარდები ლარნაკში ტირის
ღაწვზე აწყდება კვირტებს ღადარი,
სევდიან ღამეს მეჩურჩულება
თუ არ დაბრუნდა, ნეტავ სად არი?!

* * *

მთვარესთან მიყვარს შენზე ჩურჩული
ის საიდუმლოს არასდროს ამხელს,
გაფაციცებით ვყვები მიჯნური,
თუ კი გიყვარვარ, პასუხსაც არ მცემს.
მთვარე გამიხდა მესაიდუმლე
და ვარსკვლავების დასი,
ვნების მორევით გაშმაგებული
შენ სიყვარულის დავცალე თასი.
გამიმზისგულდა არენა ცისდა,
გამილამაზა სამყარო ღამის,
მოგელი ისევ მთვარის ჩასვლამდე
ლტოლვამ გამადნო ლამის.
ქარებმა მამცნო ფეხის ხმა შენი,
თითქოს მოქროდი როგორც მერცხალი,
ოცნება მკლავდა ბაგე მეგემა
ვერ შევიკავე ცხელი კურცხალი.
შენი თვალები ვარსკვლავებს გავდა
გამიცისკროვნა კუნჭული ბნელი,
ალიონისას სული დამძიმდა
შემოხვეული არ გქონდა ხელი.
და ისევ მთვარეს ვესაუბრები
მინდა დავწერო შენთვის ბარათი,
აღარ მსურს მუდამ ასე ლოდინი
თვალებით მთვარემ მიწყო კამათი.
ღრუბლებს უსარკავს მთვარის სასახლე,
ვერ მივაგენი კარი მასპინძლის,
დავრჩი უშენოდ და მთვარეც არ მყავს,
სიშორე მომკლავს...დრო ამ მანძილის...

* * *

17.10.2024.სურათის მიხედვით შექმნილი მოკრძალებული,
ექსპრონტად ლექსი.მივიღე გამოწვევა ბატონ გოჩა ჭაბუკაიძე ქართველი❤

ოცნებებს რომ ავიხდენდი
ვიცოდი და დღემდე მწამდა,
ამ წუთების მოლოდინი
გულ-კუნჭულში როგორ მწვავდა.

მოდი გიცდის ნეტარება
ცა გასარკულ ვარსკვლავებით,
ბადრი მთვარე ვნებიანი
დანისლული ლურჯ თვალებით.

ლამპიონის შუქზე მინდა
აამღერო როიალი,
დაგანახო სიყვარულის
ზღვა გრძნობების არეალი.

სიო ჩადგა ფაციფუცობს,
ფეხის ხმაზე მოტრფიალე,
თითქოს მღერის,უკრავს თანაც
ჩვენს სურვილზე მგრძნობიარე.

ზღვის ტალღებზე სხივი მოჩანს
ეგ ხომ შენი ნაწილია,
მთელი ამ ხნის მოლოდინი
განა ჩემთვის ადვილია?!

მოდი ერთად გავეხვიოთ
ლამაზ ღამეს ჰანგთა ჟღერით,
ვიჟღურტულოთ ჩიტებივით
ვარსკვლავებიც ვკრიფოთ ხელით...

თეიმურაზ კვარაცხელია

***

ის ერთხელ მოდის ცად ატყორცნილი
სურვილთა გრძნობა,
ერთხელ გაიშლის სამყაროს წესი მთებს ასულ რწმენას,
ფრთები ვით აფრა, ზღვებს გადალახავს და ისევ მოვა,
მოვა, რომ ისევ იმედი მისცეს სინდისთა ქცევას...
ის ერთხელ მოდის, როცა სურვილებს თან ახლავს რწმენა,
როცა სიყვარულს ადამიანი თვით ჩუქნის დოვლათს,
როცა ვით ბუჩქი, მუჭად შეკრული ერთად ვართ ყველა,
ადამიანი, არა თუ დროის, ცის არის მონა..
თეთრ კაბას მიშლის სულის კარებთან იმედად მდგარი,
გალაკტიონი ფაფარაშლილ ცხენს ლურჯ ფერებს ურჩევს,
როცა ამბიონს ცრემლმორეული ეწვევა ქალი,
ღამის სინათლე, ვით მზეთა სხივი, ანათებს ქუჩებს...
განაჩენია, შესრულებია მზეს ბევრი წელი,
ღმერთთან ჭიდილში მომდევნო ცოდვას ვერ აცდა კაცი,
რუსთველის კალამს ჯერ არ უცვლია მისივე ფერი,
დროს ელოდება, იქნებ და მოხდეს, მომხდარა რაც კი...
მოსასხამები, მოსასხამები, ო ეს დრო ფუჭი,
კაცი ხორცს არგებს სამოსელს მისას, სულს როცა უჭირს,
შევჭაღარავდი, დროთა ჭრილობამ მიცვალა ფერი,
თუმცა მანამდე, სანამ ამ სოფელს სიმართლეს ვუხსნი...
ის ერთხელ მოდის, მას სიყვარული ჰქვია სახელად,
გრძნობათა ფოთლებს მასში მეტადრე
სიცოცხლე მოსწონთ,
როდესაც მიყვარს, მე ყველა გრძნობას
ვანთებ სანთლებად,
რომ არ წამერთვას იმის უფლება, რაც რჩება ბოლოს.

***

მე ტანს სიყვარული მეცვა,
მეცვა იალქნების ფერი,
ამას დაბადება ერქვა,
ერქვა დაბადება შენი...
სიზმარს ვუკერავდი კაბას,
ნიავს ნისლებს ვფენდი მისას,
იქნებ მორგებოდი აფრად -
გრძნობას, ზღვის ტალღად რომ იქცა...
ვგრძნობ, რომ სიყვარულის გარდა,
შველის ვერაფერი ასაკს,
რომ არ გამივიდეს ვადა,
გრძნობებს არ ჩავუქრობ ხანძარს...
შვიდგზის ვეღარ მშველის ლოცვაც,
როცა ავადა ვარ შენით,
როცა ამ სოფელში ყოფნას,
ციურ სიყვარულით ველი...
ვგავარ შეყვარებულ აისს,
ნაადრევად მოსულ აპრილს,
როცა მოლოდინი განცდის -
თვალს და წამწამს შუა მაზის...
ლექსთა სურვილების სწორო,
ქალო, უნახავო მზეთა,
შვება იქნებ ჩემში ჰპოვო,
როცა ტუჩს მივწვდები შენსას,-
როცა აგისრულებ წადილს,
შენ რომ ელოდები ისეთს,
როცა სულთა ქროლვას ნამდვილს,
ისევ დავუბრუნებ იმედს...
მუზა არ მასვენებს, ურჩობს,
ლექსის კართან ვდგევარ ეხლაც,
იქნებ სულით შევწვდე უფრო,
იმას, რაც ოცნებად მექცა...
ვხედავ, როგორ მჩუქნის ღიმილს,
შენი სადედოფლო შარმი,
ალბათ ამიტომაც მიღირს,
მეფის რომ დავიდგა ტახტი,-
რითაც გაზაფხულის ფერებს,
უფრო დავუფასებ ამაგს,
გითხრა, რა მოხდება მერე?.
გეტყვი, თუ ამისთვის მზად ხარ.

მე ტანს სიყვარული მეცვა,
მეცვა იალქნების ფერი,
ვნატრობ იმ გრძნობების ცვენას,
როცა შენ გახდები ჩემი.

***

ტერენტი გრანელს

ლექსის კაცებად ბევრი ამ ქვეყნად არ იბადება,
თუმცა მე ვინ ვარ, კაცს პოეტობა რომ შევუფასო,
ცა ვარსკვლავებით, ლექსის სათქმელად რომ ემზადება,
უფლებას ვირჩევ, კარგი და ცუდი რომ შევადარო...
დიახ, ვიტოვებ იმის უფლებას, ლექსად რომ ვიქცე,
ვაზეციურო, თუნდაც მცირე ხნით წესის დამდგენნი,
სიცარიელე რომ ამოვავსო, დავმარცვლო ისე,
ღილი ჩავუხსნა იმ ლექსს რომლითაც მკვდრეთით ავღდგებით...
ნუ მკითხავთ ახლა, რატომ გავბედე ლექსთან შეხება,
იმ ლექსთან, რომლით გრანელთან მისვლას ვერავინ ბედავს,
ნიჭი ჭირდება, ტერენტისამებრ დრო რომ აღიქვა,
აკინძულ აზრებს რომ არ გაექცნენ ფიქრები ვერსად, -
რადგან ნათქვამმა, მის ნაფიქრ აზრებს ბევრად გაუსწრო,
რადგან სათქმელი რაც დარჩა მის ლექსს, უფრო მეტია,
ვერ გაუცვითავს ჟამი სამოსელს, ჟინს ვერ ჩაუქრობს,
როს პოეზია, არა თუ ლექსი, მგოსნის ცრემლია...
„ვღებულობ სიკვდილს მალე თუ მოვა“ – ამბობს პოეტი,
არა პოეტი, უფრო ტალღაა მოსული ციდან,
მწერლის კალამი, მხსნელი ვითარცა სული დროების,
რომელიც რისთვის, დღესაც არ ვიცით თავს რატომ იკლავს?.
პოეტი არა, თავს დღესაც მისი კალამი იკლავს,
ამოვლებული მადლმოსილ ცეცხლში, ვით უფლის სიტყვა,
რა ძალამ იხსნა „რომ დგას სარკმელთან ის აკაცია,“
პოეტის ენით, პოეტის კალმით ბევრჯერ რომ ითქვა...
როცა სიცოცხლეს გარდაცვალებით პოეტს დრო არქმევს,
შემოაცვითა როცა ვერავინ, მის ლექსს მანტია,
დარჩა ამ ქვეყნად ვით უკვდავება, გრძნობებით სავსე,
რითაც სანთელი მარადისობის, დღესაც ანთია...
ცეცხლად იფრქვევა ოდეს ნათქვამი წმინდა სამების,
სქურის ხეობას კვლავ იმედს აძლევს ჭანის წყალობა,
მგოსანთა სულთქმას, წინ წარუძღვება სიტყვა გრანელის,
სიტყვა, რომელსაც სული აღიქვამს როგორც გალობას...
მგოსანთა სურვილს, გრანელის მუზამ გაუხსნა სუნთქვა,
მეგრელი ხალხიც, მიტომ არის რომ ტერენტით უყვართ,
ვწალენჯიხელობ, როცა სულს უდგამს დროს პოეზია,
ცოდვის სანაცვლოდ, როცა ტახტს იდგამს ამ კუთხის მუზა...
ვწალენჯიხელობ, როს მიზანსწრაფვით სულს ვუთევ ღამეს,
სულს ვაქართველებ, როცა ვიცი რომ სხვა მხრივ ვერ გავძლებ,
როცა დამთავრდა, მაგრამ იცი რომ ახლა იწყება,
ის უმთავრესი, რისთვისაც ღირდა კალამს ვლესავდე, -

და ლესავს დღესაც, ამ კუთხის კალამს თაობაც ჯინსის,
ყურს კვლავ ჩაესმის, მისი სიტყვები ნათქვამი სიბრძნით,
დღეს ისეთივე „გაზაფხულია, საღამო მშვიდი,
როგორიც მაშინ „ხიდან ხეზე რომ დახტოდა ჩიტი!“
და ნათქვამს ამას, დრო აიტაცებს, მწვერვალს გაცდება,
იდუმალება თავს ვერ დააღწევს ქარაფებს მგოსნის,
ითქმება ოდეს, რაც რომ არასდროს არ დამარცხდება,
ტოლი სიტყვისა, ვით სული მისი „მემონტო მორი...
ეზიარება ლექსის ბარძიმით, სულ უფრო მეტი,
და ერთ კალამში ჩაკეცილ სიტყვებს ცოდვისგან იხსნის,
ეს რომ არა ვთქვა გამიბრაზდება უფალი ღმერთი,
და მე რომ არა, ჩემს სათქმელს ალბათ ეპოქა იტყვის:
„მსურს ვიარწივო, როცა ტახტს ირგებს ამ კუთხის ლექსი,
სულს ნებას ვაძლევ, თავს ვთვლიდე როგორც მემკვიდრე მეფის,
მეფის, რომელმაც გადედოფლება ფიქრების შეძლო,
დრო შეაჩერა, რითაც სიყვარულს დაუდგა ძეგლი...
სასიტყვეთისთვის, უფალი მასთან ყველას არ უხმობს,
ცას ვინც ვერ წვდება, ზღვას კიდევ ხიდი ვინც ვერ გაუდო,
მაგრამ გრანელი, ვით კუთხე მისი, სულს სხვას არ უთმობს,
მიტომ არის რომ, საქართველოსთან,
საქართველოსთან ასე თამამად, ის რომ საუბრობს.“

***

როცა წვიმის დრო მოეფარება მზით ნაჩვევ ღრუბლებს,
ალიონები ფიცად შეკრავენ ნატოტებ სხივებს,
ადამიანი აღარ იქნება საჭირო უკვე,
ადამიანი, ვით დანამატი იქნება ისე!.
ამოუყვიათ თავი მზის შუქზე სიბნელის გვამებს,
ბრმა ბეთხოვენი მთვარეს უკვეთავს მორიგ სიცოცხლეს,
ეკლიპტიკას დრო ცხოველი რჩება იმედადკაცის,
რადგანაც მანძილს ადამიანი ამით იმოკლებს...
ტანგოს ვნებები მოუქცევია ბრჭყალებში გრძნობებს,
გალაქტიკაში ცეცხლის ნაპერწკალით ივსება მუზა,
ფრთაგაშლილი ხე ნამაჭრალებმა თუ ძირში მოჭრეს,
რაღა აზრი აქვს სიცოცხლის აღმართს შენდობა უთხრა?!.

***

მე ხომ იმდენი წლისა ვარ, რამდენს ჭოროხობს ჭოროხიც,
რამდენს ცოტნეობს მამული, რამდენსაც უფალს ვმონობდით,
რამდენსაც მიტომ ვუყვარვარ, რომ აღვუსრულე წადილი -
მიწა ნაკურთხი ქრისტესგან, რომ ვასულდგმულე გოლგოთით...
მე ხომ იმდენი წლისა ვარ, სამყაროს სულის ნაწილი,
რამდენსაც ხვდება გაზაფხულს, ფერშეუცვლელი აპრილი,
გზას იმით ვიკვლევ, რითაც ერს, არ მოეშალოს იმედი,
რომ შეუხორცდეს ჭრილობა, დედა ღვთისმშობლის მანდილით...

გამოვიარე გოლგოთა, მადლიც ვიწვნიე სამების,
ერწუხს მტერს შუბი ვაძგერე, გავადავითე სამშვილდე,
ბახტრიონს ხმალი ვიშიშვლე, ჩოლოყაშვილის ნალესი,
ხრესილს მტერს სისხლი ვადინე, სამშობლო ამით ვადიდე, -
გამოვიარე შამქორი, ბასიანი და ანისი,
ხმალი, ნაკურთხი ღმერთისგან, არ დამიხრია არც ერთთან,
ეგრისის დიდი ომის დროს, ციხე-გოჯს, ნოქალაქევთან,
მტერმაც კი ვერა დააკლო, როს ერის სული აფეთქდა...
ქრისტეს პერანგი მცხეთის გულს, ვით სვეტი ისე ავღმართე,
დედაღვთისმშობლის ცრემლებით, მაისის ვარდი ვახარე,
ვაჭყონდიდელე ღირსება, სულს მადლი მიმოვაფრქვიე,
სადაც ცა კეთილს მასპინძლობს, ხაზი ზუსტად იქ გავავლე...

და დღეს მე, სულით ქართველი, ხორცით ვახტანგის მემკვიდრე,
ერეკლეს შთამომავალი, წარსულს, აწმყოთი რომ ვიხდენ,
უფლება არ მაქვს იმისა, არ ვადიდგორო სამშობლო,
ისე არ მოვისიცოცხლო, რაც ვიყავ იმად არ ვიქცე,-
არ გადავაბა ის ჯაჭვი, უგუნურმა რომ გაწყვიტა,
თეთნულდს რომ გული გავუხსნა, არ გადავიქცე არწივად,
იმ ტაძარს არ ვუდარაჯო, სამშობლო ჩემი რომ ჰქვია,
ისე წავიდე იმ ქვეყნად, გაჭირვებული არ ვიხსნა...
სული მსურს გავანაპირო, ოდით ცის აღმართს რომ ვანდე,
ამით ძეც ვიხსნა, ასულიც, ისიც, ვის სულსაც ვერ ვაგნებთ,
ორი არაგვის სტუმრობას, სადაც ჯვარია იქ დავხვდე,
ჩამომირეცხოს ის სისხლი, სამშობლოსთვის რომ ვღვარეთ...

არა, მე ჯერ არ ვაპირებ, ვარდი ვაქციო ეკლებად,
ხმალი ქარქაშში ჩავაგო, ლხენას მივეცე ზედმეტად,
ისე განვლიო ეს წლები, სიცოცხლეს რომ არ უხდება,
არ დავიბრუნო ის მიწა, მე რომ ოდითგან მერგება...
ბრძოლას აზრი აქვს ყოველთვის, ბრძოლის ჟინს ვერვინ მომიკლავს,
მჯერა რომ უკაცობისგან, წმინდა გიორგი დამიცავს,
მკერგაგლეჯილი მამული, მსურს იმად გადავაქციო,
ცუდმა რაც უნდა ინდომოს, კარგმა ცოდვისგან დამიხსნას...
მე ჯერ არც ისე დიდი ვარ, სიკვდილს მე ჯერ არ ვაპირებ,
სიკვდილს მანამ არ ვაპირებ, სანამ არ გავინაპირებ,
სანამ ტოლი ვარ იმ რწმენის, ვინც ამამულა სიკეთე,
ვინც სისხლი ღვარა იმისთვის, ხორცის რომ მონად არ ვიქცეთ...

მე ხომ იმდენი წლისა ვარ, რამდენს ჭოროხობს ჭოროხიც,
რამდენს ცოტნეობს ღირსება, სატანას რომ არ ვმონობდეთ,
რაღა აზრი აქვს სიცოცხლეს, სამშობლოს სულს თუ ვერ ვიგრძნობთ,
სამშობლოს გადასარჩენად, თუ არ ვიბრძოლეთ ბოლომდე.

**

მე გალაკტიონს იმით ვედრები, რომ მიყვარს ლექსი,
ლექსთა სტროფების პაექრობაში, ღმერთის ხმა მესმის,
დაუღამდებათ როცა სტრიქონებს, მთვარის შუქს ვაწვდი,
მაინც და მაინც ლურჯად თუ მოთოვს, ამინდსაც შევცვლი...
მე გალაკტიონს იმით ვედრები რომ მიყვარს ღვინო,
გამოწურული, ვით დედის რძეა, ბალღი რომ იწოვს,
სადღეგრძელოებს როცა უხდებათ სტროფების ცვენა,
როდესაც მუზა სამარადჟამო სიცოხლეს ითხოვს..
მე ილიასაც კი შევედრები, თუ იგი მიხმობს,
თუ მისი სისხლით გაჯერებულ დროს მივაწვდი სითბოს,
თუ კაცთა ლტოლვას ადამიანში ექნება აზრი,
დედამიწაზე ილიასებრად თუ ყველა ფიქრობს..
უაზრობაა იცხოვრო ისე, არ იგრძნო შოთა,
მისი კალმების, თუნდ ერთხელ მაინც არ სცადო მოსმა,
პოემის გმირებს თაყვანი არ სცე, თუნდაც რომ მაშინ,
როს მოგინდება საქართველოსთვის მუხლმოხრით ლოცვა...
პოეტთა ცრემლით დაწერილ ალბომს წარსული მიშლის,
გადაუფურცლავთ მათ უკვე მაშინ მომავლის გვერდი,
ვხედავ, ადგილის დამკვიდრებისთვის ლადოც რომ იბრძვის,
რაღა გამოლევს საქართთველოში ამ დროის შექსპირს?..
მინდა, სურვილით რომ გავუტოლდე თუნდ ვაჟას არწივს,
ვაჟაოობა, ასე მგონია ყველას არ ძალუძს,
მაგრამ თვით ვაჟა, მწვერვალთ კარნახით,
ლექსს თვითონ მაწვდის,
ისე არ არის, ზოგიერთებს რომ, მათ ჰგავდე არ სურთ...
ცას ეყრდნობიან გენიოსები აკაკის გენის,
ტერენტის სიტყვა, სულსმომდგარ მუზას ვხედავ რომ გაცდა,
ძნელი ყოფილა საქართველოში პოეტის ბედი,
როს ყველასა აქვს დიდპოეტობის გახდომის განცდა...
სწორედ ამიტომ, მე უფლება მაქვს ვიყო პოეტი,
მხოლოდ ისეთი, ვინც ქართველების სურვილს ეყოფა,
დედამიწაზე ადამიანად მიტომ მოვედით,
გააპოეტოს ამ დროის ლექსმა იქნებ ეპოქა...
მაგრამ მთავარზე უფრო მთავარი ჯერ არც კი მითქვამს,
საკმარისია ქრისტე იწამო, აღგეძრას ნება,
მას ემსახურო, მის სულის დარად, ვით პირველ წმინდანს,
მას რომ შეთხოვდე, გფარავდეს მისი უკვდავი რწმენა..
თუ გონი მეყო, დიახაც მინდა ღმერთს დავემსგავსო,
უკვდავებაში რომ მოვიპოვო ყოფნის უფლება,
კაცობრიობას იმ სიმაღლიდან რომ დავეკითხო,
ადამიანო, რად ვერ შეირგე თავისუფლება?.
ნისლთა ფერებში გამოვარჩიე სამშობლოს ჩემი,
ვხდედავ ღრუბლებმა ცას გადმოჰფინეს პოეტთა სია,
საქართველოში?.. ჩემთვის ვიფიქრე, რად გინდა მეტი,
დაბადებიდან ყველა ქართველს თუ პოეტი ჰქვია.

ცაგო აბაშმაძე

* * *

რაღაცნაირად მიზიდავ..
რაღაცნაირად მათბობ..
რაღაცნაირად ვმუნჯდები,
სათქმელს ვერაფრით ვამბობ...
შორიდან გეალერსები,
კოცნას გიგზავნი მრავალს,
მონატრებული გრძნობებით
მე სხვის ქუჩებში დავალ..
ეს ქარიც, ცოტა შეშლილი,
რაღაცნაირად დაქრის,
მკერდზე მეხლება ჯიქურად,
ქაღალდის ტყვიებს მახლის.
რაღაცნაირი დღე არის,
რაღაცნაირად გნატრობ,
ჩემს გადარეულ ფიქრებში
რაღაცნაირად მარტო...

* * *

მეფერება მზე ბახუსით მთვრალი
და მწველ კოცნას უცხო გემოს ატანს,
ატკრეცილა ღაწვი ბაღის ბალის,
საპასუხო კოცნას ნიავს ატანს.
შრიალებენ, შრიალებენ ქარში....
ბროლის მკლავებს მოსახვევად შლიან,
მე ამ ქარში მუზის აფრებს ავშლი,
ვიცი, ფრენას ვეღარ დამიშლიან.
მეხვევიან და მეც ძალას ვიკრებ,
თან ბაგეზე მადნებიან თაფლად,
ერთი კოცნა გაიმეტო იქნებ,
მე ეს კოცნა წამადგება წამლად.
შრიალებენ, შრიალებენ ქარში...
ბროლის მკლავებს მოსახვევად შლიან,
მე ამ ქარში აფრებს მაინც ავშლი,
ვიცი ფრენას ვეღარ დამიშლიან.

****

აღარ მეძვირფასები სიცოცხლეო ტანჯულო,
უკვე ვეღარ ვღიმილობ, მგონი გავხდი უგრძნობი,
როცა ნორჩი ბავშვები იქცნენ სულის ჩიტებად,
ამ სამყაროს ტოვებენ ნაცნობნიც და უცნობნიც...
როცა რეკენ ზარები, განგაშის ხმას არ ვუსმენთ,
გაყინულა სამყარო, გადავიქეცთ ზომბებად,
არც სიკვდილი გვაშინებს, ვერც სიცოცხლით ვნაყრდებით,
გულზე მიწა გვეყრება, დამსხვრეული ლოდებად.
მე ამ ყოფას ვერ ვარქმევ ვერანაირ ფსევდონიმს,
არეული გონება ჭკუას არ მეკითხება,
ჩვენი ცოდვის სიმძიმით მოიდრიკა ღრუბელიც,
დრო მოვიდა ნამდვილად, ვიცი, მოგვეკითხება...
სანამ შეგვრჩა მცირედი აზროვნების უფლება,
იქნებ, გონზე მოვეგოთ და არ იყოს გვიანი,
ხალხნო! ფერი ვიცვალოთ, უნდა გამოვიცვალოთ,
აღარ მინდა სამშობლო კუშტი და ნაღვლიანი.

მუზას

იასამნის სურნელებით შემოდიხარ ჩემში
და ძარღვები იმუხტება გაზაფხულის ეშხით,
ახლა ასაკს ვინ დაეძებს, სიცოცხლეს ვსვამ პეშვით,
ქარფარფატა კაბას მიქსოვს, სილამაზე შემშლის.
წამიწამზე მზეც ამოვა, გულთან ვიგრძენ სითბო
და ჩხრიალა ნაკადულიც ჩემთან შერწყმას ითხოვს,
უნდა ავყვე დილის სიოს, მეც ქარი ვარ თითქოს,
თავს მოვირთავ მზემანდილით, მერე შენს თავს ვითხოვ.
მოვედებით მთელ სამყაროს სიყვარულის სხივად,
ოღონდ, კარგო ჩემს დარდებზე არაფერი მკითხო,
გულში ვმარხავ ყველა ტკივილს, მიწას ვაყრი ცივად,
შენი ვარ და შენთან ვრჩები, როცა გულით მიხმობ.

****

ახლა გულში მარტოობის ხანძარია,
იფერფლება შეუმდგარი ოცნებები,
მხრებზე მაწევს უსაშველო მონატრება,
ფიქრს მივყვები...შორეული ოჰ, ეს გზები.
მე ამ გზების უთვისტომო ყარიბი ვარ,
ზურგზე გუდით მივუყვები გზას ნისლიანს...
წინაღობად მეგებება ხორშაკები,
ვნატრობ: იქნებ გადავაწყდე ქოხს ისლიანს.
ანდა ვინმე, ჩემნაირი, ჩემზე მეტი,
გამიღებდეს კარს გულისას, ანდა ქოხის,
შემიკედლოს, დამაფაროს თავზე ზეცა,
მწვანე მოლი გამიშალოს, როგორც ნოხი.
მერე, ღამით, ლურჯი მთვარის ათინათზე,
დამიკრიფოს ვარსკვლავების იაგუნდი,
განთიადზე, სასთუმალთან კესანებით
მაკოცოს და...ჩუმად მითხრას:,,დაგიბრუნდი".

ლია ენისელი

ვიმღეროთ და შემოვძახოთ

ვიმღეროთ და შემოვძახოთ,
დავცხოთ მრავალჟამიერსა,
სიყვარული დავაფინოთ,
იმერსა და ამიერსა.
სიტყვაცა ვთქვათ, კარგი სიტყვა,
ტკბილი, როგორც ბადაგია,
ლექსიც ზედვე დავაყოლოთ,
ჩუმად ყოფნა რას გვარგია.
ღიმილით და გვერდში დგომით,
ერთმანეთი დავამშვენოთ,
გულში სითბო მოვიძიოთ,
სიყვარული ავაშენოთ.
მიწა დავხნათ და დავთესოთ,
თავთავს წვენი ჩავუყენოთ,
მოყვარე რომ ვახეიროთ,
მტერს კი თვალი დავუყენოთ.
დაკეტილი ეზო-კარი,
ძველებურად ვაჭრიალოთ,
თონეს ცეცხლი ჩავუკიდოთ,
მტრის ჯინაზე ვაბრიალოთ.
ვაზი დავრგოთ ნაირგვარი,
ავამღეროთ თიხა-ქვევრი,
სადღეგრძელოც ბევრი ითქვას
და ავხადოთ სახლის ჭერი.
ჯიშ-ჯილაგი მოვამრავლოთ,
გავაცოცხლოთ სახელები,
მამა-პაპა გავიხსენოთ,
ჭირ-ვარამის მნახველები.
ვიმღეროთ და შემოვძახოთ,
დავცხოთ, მრავალჟამიერსა,
სიყვარული დავაფინოთ,
იმერსა და ამიერსა.

დრო

დრო გადის, ნეტა სადა ხარ,
მკლავს შენი ნახვის წადილი,
ხან სიზმარივით მოდიხარ,
ხან კი, ხარ თითქოს ნამდვილი.
    სული დუღს, ოკეანეს გავს,
    ფიქრების ბორიაყია,
    მოწმენდილ გულზე გრძნობები,
    ვარსკვლავებივით მაყრია.
შენმა ტრფიალმა დამღალა,
ობი მოედო თმენასა,
რამენაირად დაეხსნა,
იქნებ, ჩემ გულის ტკენასა.
    მოდი,
    შეგივსებ თიხის ჯამს,
    შარბათს გასმევ და დაგათრობ,
    ჩაგეხუტები ძალუმად
    და ზაფხულივით გაგათბობ.
მაშ, მოდი,
რაღას აყოვნებ,
გინდ სიზმრად,
გინდა ნამდვილად,
მახეს ვარ წამოდებული,
თავს ვეღარ ვაღწევ ადვილად.

იქნება როგორმე ჩემამდე მოხვიდე

იქნება როგორმე ჩემამდე მოხვიდე,
დამპირდე: არ მატკენ, არასდროს, არც ერთხელ,
გრძნობები, განცდები, გადაალაგე და
ფიქრები დაწმინდე, გულდაგულ დაფერთხე.
    იქნება დაბრუნდე, სიზმრებში კი არა,
    არც ოცნებებში და არც მხოლოდ ღრუბლებში,
    შორიდან მოსულმა სიცივემ გამთოშა,
    გულში ჩამიხუტე, გამათბე უბეში.
სულში სიბნელეს და გულში ორომტრიალს,
ვერაფრით ვერ ვუძლებ, ვერაფრით ველევი,
ხო ხედავ, ვინცა ხარ, სადაც ხარ, როგორც ხარ,
ვეღარ გივიწყებ და ვეღარ გელევი.
    ჯვარს მაცვა, ამდენმა უაზრო ლოდინმა,
    ან თმენის საზღვარი, ნეტავი სად არი,
    ლექსებად დაგწერე, ამოგაგვირისტე,
    სათქმელიც ბევრი ვთქვი და წიგნიც მზად არი.
მიდი, დამენახვე, როგორც სინამდვილე,
ხორცი შეისხი და მითხარი, შენა ხარ,
ნეტა კი იცოდე, როგორ გიფრთხილდები,
როგორ შემიძლია, გრძნობების შენახვა.
    მალე აცივდება, დადგება ზამთარი,
    ნატვრებად, ოცნებად, ფიფქად დაიყრები,
    მეასიათასედ აგიხსნი სიყვარულს,
    თუკი მომისმენ და თუ არ დაიღლები.

მოვდივარ

მოვდივარ, ვერაფრით დავდე,
ამ გზას მადლი და ბარაქა,
ცხოვრება ჯიბრში ჩამიდგა,
ყოველ წამს მართმევს არაქათს...
ვერანაირად ვივარგე,
ვერც სიმაგრედ, ვერც ბალასტად,
სიცოცხლე არად მარგია,
არც მოყვარედ და აღარც მტრად...
ქარო, მეტყოდე იქნება,
ამბავს ხვალინდელ დღისასა,
ნისლებო, რას ჩამოღვრილხართ,
გაღმა წვეროზე მთისასა.
მზეო, იქნება გამათბო,
იქნება გადამეყარო,
ან შხამიანი ისრები,
გულზე როდემდე მეყაროს.
ღრუბელო, ჩამომეცალე,
ტკივილო, დამთმე, დამეხსენ,
ეს ნაცრისფერი ფიქრები,
თავს რამდენჯერღა დამესხნენ.
არ მინდა, ურჩი სიბნელე,
აღარც გამოცდა ძალასი,
იქნებ, როგორმე მაცადოთ,
სიცილი სუფთა, ხალასი.
სითბოს დავეძებ, სხვას არა,
სიყვარულსა და სიმშვიდეს,
კეთილს გავყარო ბოროტი,
ბედო, რათ უნდა მიშლიდე.
აფერუმ, შენ, ჩემო თავო,
ამდენის გამძლედ ვარგიხარ,
ტკივილი ძაღლივით დაგდევს,
არც ჩერდები, არც გარბიხარ.
მოსათმენს როდემდე ითმენ,
როდის მიაღწევ სამანებს,
შენ დარდებს გული თავს უყრის,
მერე ლექსებში ავანებს.

ლია მჭედლიძე

„...ღვთაების ტაძარს''''
,,,,ნიქოზი'''''''

...შენ უფლის დიდო ტაძარო, ღვთაებავ ლიახვ წყლისაო,
ლამაზად ჩაწნულ ქონგურო, ნაკურთხო ცვარნამითაო.
...კედლებო რწმენით ნაშენო, ლაღო ცავ ფირუზისაო,
სულ შენი მადლით გვაკურთხო, სამშობლოვ ღვთისფიცისაო.
...შენ ძველო რწმენა ნაქებო, გვაცილე შური მტრისაო,
ციდან-კი ლოცვა გვარგუნო, ჩვენთვის საფიცარი ძისაო.
...ნიქოზის დიდო ტაძარო, ცოდვა შეგვინდევ ცითაო,
შენ მუდამ ჩვენო მფარველო, მხნეობა მოგვეც შვილთაო.
...ურწმუნოდ არვინ დატოვო, ვინც ღირს თუ არა ღირსაო,
შენი კედლის ძირს ამთხვიო, მტერიც კი ავი ზნისაო.
...არავინ გვიმტროს უფალო, დაგვლოცე ნამრავლითაო,
გთხოვ საქართველო დალოცო, მტრედო ცით სული წმინდაო.
...დიდება შენდა იესო, ზეცაა მადლით წმინდაო,
იესოს ნაკურთხო სოფელო, დაგვნამე უფლის წყლითაო.
...მოგვშორდი ცოდვილო მტერო, ჩვენ ომი არვის გვინდაო,
იმრავლეთ რწმენით ქართველნო, სამშობლოს მიწავ ციდაო.

„როგორ არ გიყვარდეს"

...და როგორ არ გიყვარდეს,
თუ ოდეს გყვარებია,
თვალს ჩუმად რომ გაყოლებს,
მის მზერაც დამბნევია.
...ფიქრებში ღიმილების
დაგრჩება მელოდია,
იგი ხომ სიხარულას
ფერების ამყოლია.
...სევდა კი მოგონების
გულის ცრუ ბზარებია,
იის და ენძელების
ფერები გამჭოლია.
...ძველი დრო ჩუმად გარბის
გული კვლავ იმ დროშია,
გზად ის რომ ჩამოივლის
იცი:რაც გიხარია.
...ის სულის აყვავების
ფერებას ნაჩვევია,
წარსული ღიმილების
სულს ყრუ ტკივილებია.
...იქ შერჩენილ ფიქრების
სულ მერვე კლასებია,
დრო,სირცხვილი ფერების
სინორჩის სხვა წლებია.
...მაგრამ კი მოგონების
დრონი ცას შერევია,
გაზაფხულის სურნელის
გულში სიყვარულია.

„მშვიდ ფერთა გამა„

...ფერთა გამაში რა სილამაზეა,
სიცოცხლე ბედნიერებით სავსეა,
როცა გიყვარს და ნალევი მთვარეა,
ბუნებამ ციდან სიყვარულს გვაწია.
...თითქოს ჰამაკში მშვიდად წეხარ და
ცაზე ვარსკვლავთა სინათლე ანთია,
დასალიერზე მბრწყინავი ხაზია-
განლაგებული და გულს სიამაყეა.
...დარდი გაფანტა ვარსკვლავთა ნავარდმა,
იქ მეტეორმა გაკვესა ხაზია,
მშვიდად ელვარებს ცა ღიად ლაღია,
უმზერ და იცი გულს სიამაყეა.
...მშვიდობის ფერის სარტყელი არტყია, -
ჩვენს დედამიწას მოევლო არშია,
უფალი გვიცავს ლოცვად მოგვაბნია,-
ქერუბიმთ ფრთებით სიკეთის ქარტია.
...ნავარდობს სიმშვიდე ცის სინათლეა,
ხალხის გულს ჩამდგარი უფლის მადლია,
ფიქრშიც ვილოცოთ ღაღადით კარგია,
მუდმივად იმეფს სამება სამია.
...ოღონდ მშვიდი იყოს ზეცა თავღია,
იესოს ფიქრი ჩვენს გულის ხმაშია,
ანგელოზთ გალობა სიამაყეა,
სულის სიამე იმედით სავსეა.
...თენდება ყოველ დღე ლამაზი დილა,
მზიანი,ნათელი მზის საარია,
სანთელი ქრება ლოცვის ღაღადია,
შენდობის კეთილ ❁მზის ათინათია.

ნანა გიგუაშვილი

გზა უფლამდე

ციდან დაშვებულ კიბეზე რამდენმა შედგა ფეხიო...
ძნელია ამ სიმაღლეზე თავბრუ რომ არ დაგეხვიოს,
ზოგს კიბე გამოეცალა, ზოგსაც დაეცა მეხიო,
ზოგსაც ცის კარზე მისულსა მთლად აერია ფეხიო.

გაჩენის დღიდან მიწაზე პირველ საფეხურს ელიო,
რარიგ ერთგულიც არ იყო, ბევრი შეგხვდება მტერიო,
წინსვლის გზას გაგირთულებენ, გექნება ცრემლით სველიო,
მიხვდები, ჩვენი საწუთრო ყოფილა ბრძოლის ველიო.

თვალახვეული თუ მიჰყევ აქ არსებობის დენასა,
არც იფიქრო, რომ ყოველთვის მოეწონები ყველასა,
მარტოდშთენილი ერთკაცი ვეღარ გახდები ვერასა,
თუ არავისთვის ივარგე – ხმას ვერ მიაწვდენ ზენასა.

ვერც რას ფლიდობით მოიმკი, ვერ დაუმიზნებ ისარსა,
შურით და ბოროტებითა სულ მთლად აცდები მიზანსა,
ასეთმა – ყველამ ცხოვრება თავისი საქმით ითარსა,
დაჯდა და მერე ითვალა, რაც მიეწია მისასა.

თუკი კეთილი იქნები, არ მოიცილებ ღიმილსა,
შრომისთვის ადრე ადგომას მოასწრებ მამლის ყივილსა,
შენსას დაითმენ, მოყვასის გაითავისებ ტკივილსა,
ღვთისმშობლის კალთას დაკოცნი, იქნები ოქრო-პირისა.

მისაგებს თუკი მიაგებ, მკვდარს-მკვდრისას, ცოცხლის – ცოცხალსა,
ქრისტეში განმტკიცებული გულს გადაუშლი მოძღვარსა,
თუკი თანაბრად ინდომებ მტერ-მოყვარისა ლოცვასა,
კამკამა წყაროსავითა სიკეთით გულის მორწყვასა.

უფლამდე მიდის ის კიბე, გახლავთ მართალთა ხვედრიო,
შენ ცდილობ მადლიერებით ყველა საფეხურს ემთხვიო,
ისე იარო სიმშვიდით, იმედად გყავდეს ღმერთიო,
ერთ იყავ დაბადებული, მის წინ წარსდგები ერთიო.

სადამდეც ივლი წვალებით, მოწიწებით და კდემითა,
იმ საფეხურთან ჩერდები, სხეულს ვერა გრძნობ ხელითა,
ფეხდაუდგმელად განაგრძობ გზას ანგელოზთა ფრთებითა,
ალივლივდები სივრცეში და აგიყვანენ ფრენითა.

დაგიფასდება ასმაგად, ელოდე სულის ლხენასა,
საწუთრო წუთში მთავრდება, მოგეხსენებათ ყველასა,
ამ ცნობიერში ნატანჯი სული იპოვის შვებასა,
ყოველღამ ცად იზეიმებ მთვარის ცად გამოშვებასა.

დაღმართის მგზავრი

სამადლო არვისი მჭირდება,
ჩემი მაქვს გვარიც და სახელიც,
ყოფაში თუ გამიჭირდება-
ქვიდან წყალს დავწურავ ამ ხელით.

მივყვები გზას მამა-პაპისას,
მზის სითბოც ვყოფილვარ, ავდარიც,
გული გრძნობს წინასწარ ავისას-
ვარ მისი პასუხის ანგარი.

და დროში უფლისგან ლაგდება
ცხოვრების აშლილი ფირები,
თავს ვკითხავ, ეს როგორ, რა ხდება?
ძლიერი ნუთუ კვლავ ვიქნები.

ცას გაზაფხულებად ედება
სიცოცხლის საამო წყურვილი,
ვერ შემკრა ბოროტის ღვედებმა,
ვერაფრით შეირგო სურვილი.

დაღმართის მგზავრი ვარ, მოვყვები
ღვთის ბილიკს მძიმეს და მადლიანს,
აკმარე სხვა მიწის "მოყვრები"
სამშობლოს – უეკლოს, ვარდიანს.

სამყაროს ხარისხით ორში ვარ,
მეტი ვერ შევძელი სიბევრე,
მე დასასრულისკენ მოვდივარ,
ღმერთო დამილოცე სიბერე.

სირმიონე

ალიონზე რიჟრაჟმა აიკრიფა ფთილები,
ნისლი ცაში გაჯერდა დილით დაფენილები,
შემოდგომის ვენახებს დასდებია რთვილები,
სირმიონეს სირმები – მზის სხივს აყოლილები.

ტბის გარშემო ლამაზად გადაშლილან ხედები,
ქუჩას ფეხით მივყვები, შრიალებენ ვერხვები,
ვხდები ჩემი მამულის მსგავსი მიწის შემხები
და ლაგო დი გარდაზე ისტორიას ვეხები.

ფიქრში ამოტივტივდა გონიო და მარაბდა,
სველი ციხის კედლებზე მოგონება დალაგდა,
სიყვარულით წამიღო ჩვენმა მტკვარმა, არაგვმა,
რარიგ ძნელი ყოფილა მონატრების ალაგმვა.

უკამკამეს ტბასთან ვარ იტალიის მიწაზე,
მიმიწვიეს სადილად ტრადიციულ პიცაზე,
მე კი ფიქრით იქა ვარ – მიტაცებულ რიწაზე,
თოლიებად ვეკვრები იმ თაღოვან დიდ ცაზე.

ღმერთო დიდი მადლობა, მართლაც სად არ მატარე,
თავზე კალოც მალეწე, ცხრა მთაც გადამატარე,
ყველა სილამაზეში ჩემი გრძნობა ვატარე,
საქართველოს წალკოტებს მაინც ვერ შევადარე.

---

[1] ლაგო დი გარდა – უდიდესი ტბა ჩრდილოეთ იტალიაში
[2] სირმიონე – ტურისტული დაბა აღნიშნულ ტბასთან

აფხაზური მირაჟი

ცას ჩამოცურდა მთვარე და ზღვაში განაბა თვალები,
გაუმიჯნურდა ღამე და მოხვია შავი მკლავები,
როცა მზემ გადმოიხედა, სხივებად სტყორცნა ქარვები,
ზღვამაც ამით დრო იხელთა, აალივლივა ტალღები.

მზის სხივებს შეეთამაშნენ ზღვაში შესული ბალღები,
დანაღმულ ნაპირს გადირბენს ფეხდაუდგმელი წაღები..
იმ ზღვაზე ახლაც ლივლივებს მოგონებებად ამბები,
ღმერთო მხოლოდ შენ შემომრჩი ამ მონატრების წამღები.

ეს მერამდენედ...

მეომარივით ავკუწე დარდი, ვაი და ვიში,
ეს მერამდენედ დავეცი, ეს მერამდენედ ვიშვი,
სიკეთის ყანას ვმარგლავ და ბოროტს დავუსვი ნიში,
მე თეთრი ლაზიერი ვარ, შავებს ჩავუსვი ქიში!

ან ვინა მკითხავს საწუთროს ამიერიდან გასვლას?
ზურგი ვაქციე ტკივილებს, აღმართზე ვიწყებ ასვლას,
სადაც ჩემს სულს ვერ ამჩნევენ, ვარჩევ იმათგან წასვლას,
სულ უფლის მადლით ვაპირებ ჩემი ცხოვრების გავლას.

სიმართლეს არ ვუღალატებ, მტყუანს მივახლი პირში,
ისედაც ყველა დავცადე განსაცდელსა და ლხინში,
ტვირთივით ჩამოვიცილე დარდი, ვაი და ვიში
ეს მერამდენედ დავეცი, ეს მერამდენედ ვიშვი.

ასტრალში

დავცარიელდი...
სამყაროს ბოლო კიდეზე ვდგავარ,
უსასრულობას ავყავარ ცაზე,
ემოციებით გონშერყეულ ხელოვანს ვგავარ –
ჰაერში ვძერწავ ცივ ტალღებს ზღვაზე.

ვერაფერს ვხედავ,
რომც ვხედავდე, არ ვფიქრობ სხვაზე,
რადგან მეც სხვა ვარ – უსხეულო თან უსასრულო
და ველოდები ხიდის გაღმა უგზო აღმართებს
სიტყვა ბგერებად გაფანტული რომ დავასრულო.

გარდაუვალი სიჩუმეა, როგორც სამარის
და სინოტივე ყვავილივით გაშლილი თქორის,
მე კი ზღვარს ვეძებ, იქნებ სადმე ვპოვო სამანი,
რომ დავდო ზავი სიცოცხლეს და არყოფნას შორის.

მდუმარება

მდუმარებაა საუბარი გრძნობით უფალთან,
თვალებს ხუჭავ და გულით ხედავ რარიგ უყვარხარ,
იმ წუთას სხეულს სულის მადლი ნადიმს უმართავს
და ზიარებით საკურნებელს საგზლად უნახავს.
მდუმარებაა შენი გულის უტყვი ძახილი,
მტერზე პირჯვარის გადასახვა – გულში მახვილი,
გზაგაუკვალავ თოვლიანში-მსრბოლი მარხილი,
დიდ სამსჯავროზე შენი ყოფნის ნაღდი სამხილი.
წლების საცავში არვინ ვიცით რა დაგვრჩა ბედად,
ახლა ლოცვები გულს მიმშვიდებს ყველაზე მეტად,
სვეტიცხოველში დაეშვება ზეციურ სვეტად,
მსგავსი ნათელი არ მიგრძვნია ამაზე მეტად.
მდუმარებაა საუბარი გრძნობით უფალთან,
გულში ილოცებ და შეიგრძნობ, რარიგ უყვარხარ,
იმ წუთას სხეულს სულის მადლი ნადიმს უმართავს
და ზიარებით საკურნებელს საგზლად უნახავს.

ცხოვრების ლაბირინთები

ჩამეკარგა თვალები უპეების ღრმულებში,
წლები მიწას ჩაჰყვირის ბელტებმიყრილ ხნულებში,
ღმერთო სად არ მატარე სხვათა სულის სამწეოდ,
ამ ცხოვრების უღრანში , მუდამ დანაღმულებში.
შემომემტვრა სიცოცხლის ნაზამთრალი ტოტები,
ქარი ზმუის, ტკივილებს წამოსვლიათ ყლორტები,
სმენა არ მაქვს და მაინც კვლავ ვეხები კლავიშებს,
ყელზე მძივად მკიდია სევდიანი ნოტები.
ცხრა მთას იქით წაიღო წერომ ჩემი ბავშვობა,
აწმყოც ვეღარ მიაგნო, იმ ცხრა მთასაც გაშორდა...
ლაბირინთებს მივყვები, კარი ვერსად ვიპოვე
და ცხოვრების ჭიდილში გონი სხეულს დაშორდა.

გზა მართალი

ეს ის გზაა, სადაც უფლის ბილიკს ვხედავ,
ის საყდარი, სადაც გულით ლოცვას ვბედავ,
ის ნისლია, ალიონზე მზეს რომ პურობს,
ის ანდერძი, მე რომ საგზლად მომცა დედამ.
ეს ის გზაა, შენამდე რომ მოდის ღმერთო,
სულის წვრთნაში სხვის სინათლედ უნდა ვენთო,
ჩემი ქვეყნის სიყვარულში დავიწურო
სისხლის წვეთად, სანთელივით დავიღვენთო.
ვერ გავიგე ამ ცხოვრების სამართალი,
ჩემთვის გახდა ურთულესად სამართავი,
შენ მოგენდე ჩემი სუფთა გულით ღმერთო,
მაპოვნინე გევედრები გზა მართალი.



ნინა გაჩეჩილაძე

ნასოფლარს დამსგავსებიხარ

ნასოფლარს დამსგავსებიხარ
ერთ დროს მდიდარი სოფელი,
როგორც ბუხრის პირს დამჯდარი
მოხუცი, დარდის მთოველი.

არც-– შეძახილი მაღალი,
არც-– ჟრიამული კაცისა,
არც-– მოწვეული მაყარი...
ობოლი ყეფა ძაღლისა.

ფიქრი ფიქრს მისდევს
და სულში დგება ვარამი მტანჯველი,
გულის საპირე ხავსს იდებს,
საპირე – მრავლის მნახველი.

ღმერთო, მიეცი ქართველ კაცს
ძალა გულსა და მარჯვენში,
ეფერებოდეს მთას და ბარს,
არ დარჩეს უცხო მხარეში.

რომ კვლავ გამდიდრდეს სოფელი,
გალაღდეს, ლხენით იმღეროს,
ყოველ ცისკარზე ყოველი
სალხინო ფერით იფეროს.

* * *

მძიმე ფიქრები მომეჯარება,
შემომეხვევა სევდის გორგალი,
ვაიმე, ღმერთო– ამ საწუთროში
რა ხანმოკლე და მცირე დრო არის.

მცირე დრო არის – მიხვიდე ზღურბლთან,
მიხვიდე დროულ, არა გვიანად!...
შხამის ისრები მიიღო გულთან
და დარჩე...დარჩე, ადამიანად!

საით მივილტვით გაშლილი ფრთებით,
რა გვსურს, რას ვეძებთ, რისთვის ვიღწვებით?!...
არვის ვატკინოთ ნაბიჯით, სვლებით...
თქვან თბილი სიტყვა როს არ ვიქნებით.

რომ კვალი ჩვენი დააჩნდეს მიწას,
დაგვრჩეს ნათესი სიკეთის ხნულში,
ვეღარ მოაშთობს დრო მაშინ იმ წამს...
სანთლად ვენთებით მოყვასის გულში.

გჯეროდეთ

ეს ზამთარი შეუმჩნევლად მომეპარა,
ნაოცნებარ, ნაფიქრი და მონანატრი,
მადლს ვითხოვდი უფლისაგან– მომეყვანა
სულ უბრალო ერთი ღერი წმინდა სანთლით.

სულ სხვა გრძნობით, სულ სხვა ხიბლით შემოსილი,
ჭრელ ქაღალდში შეხვეული ფიქრის კონა,
მოვიდა და შორი გზიდან დათოვლილი
გულში ნატვრის ასრულებად ჩამეკონა.

ირგვლივ ეხლა ქრისტეშობის მადლი ელავს,
მთებზე ირმებს შეუკაზმავთ თეთრი ეტლი,
მოლოდინით საგულეში გული ღელავს,
ნაძვის ხეზე ბურთებს კიდებს გულის ხედვით.

კაშკაშებენ ანთებული ლამპარები,
ახალი წლის მოლოდინი ზეცას წვდება,
ჩაიფიქრეთ ფანჯარასთან სურვილები
და გჯეროდეთ, უეჭველად აგიხდებათ!

თეთრ თოვლის ფანტელში

თეთრ თოვლის ფანტელში იხვევა ტაძარი,
სულის ძაფს ეხვევა ნანატრი სიმშვიდე,
უფლის ნების მაღლა აღარც რა არ არის,
გონებას ამ აზრით, ამ ფიქრით ვიმშვიდებ.

ახლოს არს უფალი, მინათებს გზა-სავალს,
ტაძრის სამრეკლოზე რეკავენ ზარები,
ზარის ხმა მახსენებს ამ ქვეყნად სულ მთავარს--
ყოველთვის მიყვარდი, მუდამ მეყვარები.

მე შევძელ სიცოცხლე, კვალი არ დავკარგე,
გავუძელ ცხოვრებას, ბედის ორომტრიალს,
თოვლის ფანტელებო-– ვხვდები გენაცვალე,
როგორ განეშორეთ თეთრად წყეულ წყვდიადს.

მზისფერო ქალაქო

მზისფერი ქალაქო,
შვილი ხარ უფლისო,
მზესავით ანათებ
და მზეობ თბილისო.

თბილ გულში მოყვასი
შვილივით გიზისო
მრავალ ჭირ ნახულო
და მტკიცე თბილისო.

მარტოსულს არ ტოვებ-
ობოლს და დუხჭირსო,
დედის უბესავით
ერთგულობ თბილისო.

მრავალ მთათა იქეთ
ზარივით ისმისო-
ზღაპრული ქალაქის
გმირობა თბილისო.

ქართველი სანამდე
ამ ქვეყნად ივლისო,
იხარებ, იცოცხლებ,
იმზევებ თბილისო.

ედურ ძღუდ მეგობარო

ჩემს სვან მეგობარს –
ჯულიეტა ლიპარტელიანს

სამყოფს დაგილოცავთ
თეთრ მთებს გულზვიადად გადმომდგარებს,
კლდეებს მწვერვალებზე
ფრთამალ არწივების ბუდეებით,
სავალს– წინაპართა გმირულ
და წარუშლელ ნაკვალევზე,
მარჯვენს– შრომით დაღლილს,
შეუპოვრობით და შემართებით.
ედურ ძღუდ, ედურ– მეგობარო,
ღმერთის მფარველობა არ მოგაკლდეს,
სახლი გაგიმრავლდეს შვილ--ნაგრამით,
მადლი გულითადი სულ თან გახლდეს.
დიარ ი ღვინალ დაგელოცოს,
სტუმარ-მასპინძლობის სიყვარულით,
წმინდა ხატების წინ რაც გეთხოვოს
სრულად აგხდენოდეს, სიხარულით.

2023 წ. 12 თებერვალი.
სვანეთი. სოფელი ხოფური.

ედურ ძღუდ – უღრმესი მადლობა
დიარ – პური
ღვინალ – ღვინო

მარინა დიერაშვილი

სათნოებათა კიბე

წერო თითქოს და არ არის ძნელი,
მთავარი არის რას წერ,
ქრონოლოგია ვის რად სჭირდება,
ისტორიკოსიც აღწერს.
ლექსი დარდია,ლექსი გულისთქმა,
ლექსი ჭრილობა გულის,
ლექსი ცოდნაა, ლექსი შეგრძნება,
ლექსი-მკურნალი დიდი.
ლექსმა არ შეგძრას? ის რა ლექსია,
ჩანს უსარგებლოდ ,,ზრდიდი".
ჩემთვის მთავარი ღმერთის სიტყვაა,
რომ მიუტანო ვინმეს;
არა აქვს მნიშვნელობა ვის სწერ,
ვისთვის წერ...მთავარი არის გზრდიდეს.
ის ყველასია, ისმენს რომელიც,
რაც მოგეცა, ღვთისგან არის,
თავს დაიმდაბლებ და ამაღლდები,
უნდა გჯეროდეს ამის.
ლექსი რითმაა, ლექსი სწავლება,
შეგონებაა კიდევ,
ზოგჯერ გამღერებს,ლექსი გაღელვებს,
ლექსი გამოგზრდის კიდეც,
ლექსი ცოდნაა,ლექსი მოძღვრება,
,,სათნოებათა კიბე"!

ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე

ი-ესო განკაცდა, ჯვარს ეცვა,
ე-ვნო, ის ჩვენი ხსნისთვის,
ს-ასუფეველი,რომ გაეღო
ო-ღონდაც ...ყოველისთვის.

ქ-ართველობა და ქრისტიანობა,
რ-ომ ერთია და იცავდა;
ი-ს იცოდა ქართველმა და
ს-მშობლოს თავსაც სწირავდა.
ტ-ვირთს მორწმუნისას ის თავს იდებდა.
ე-რთსულოვნებით ღმერთს ადიდებდა!

რთული დრო დადგა

ცხოვრება გაძნელდა...
რთული დრო დადგა,
იმედი რისი გვაქვს?
ქრისტე ხომ აღსდგა!

და ტყუპისცალივით,
დღე დღეს რომ ჰგავს და
მოგვხედე, უფალო,
ქრისტე ხომ აღსდგა!

ფერები გაქრა და
ცხოვრება ჩაკვდა,
უფალო,შეგვინდე!
ქრისტე ხომ აღსდგა!

დედაღვთისმშობელი
მფარველად გვყავს და
უფალო გადიდებთ!
ქრისტე ხომ აღსდგა!

კაცობრიობა
მიზანს რომ ასცდა,
ხსნა მხოლოდ ღმერთშია;
ქრისტე ხომ აღსდგა!

სიბრძნე სიმარტივეშია

სიბრძნე სიმარტივეშია,
სიყვარული – ღვთის სიყვარულში!
დასაწყისი—შიში ღვთისა...
ქრისტეს პოვნა, თვით ჩვენს გულში.
ღმერთი ყველას გულის კარზე,
აკაკუნებს, ,,გავხსნათ" კარი,
ჩვენი გულის გასაღები,
მხოლოდ გულის შიგნით არის!
ღმერთი ჩვენზე არ ძალადობს,
ნება გვაქვს თავისუფალი,
ღმერთი სიყვარულია და
თანაც ყველგან მყოფი არის.
არჩევანი...არადანი...
გავხსნათ თუ არ გავხსნათ კარი,
უღვთოდ – არაფერი არ ვართ...
ღმერთთან ერთად:
უღელი მისი ტკბილია...
ტვირთი კი მსუბუქი არის!

ფრთიანები

სჯობს,
გუშინდელზე ...დღეს უკეთ სთესო,
ხვალ გახდე უფრო საუკეთესო.

მთავარი შედეგია და არა საქმე;
სიკეთე აკეთე, დაგხვდება სადმე.

თუ არ იშრომე, როგორ იცხოვრებ,
თუ არ იღვაწე, სულს როგორ იცხოვნებ.

ყველანაირად უნდა გაიზარდო,
გწამდეს უფალი და არ დაიდარდო.

ყველა ხომ სცოდავს...
უცოდველი მხოლოდ ღმერთია;
მონანიება-გამოსავალი ერთადერთია.

და როცა სცოდავს ადამიანი,
სინანული -არ არის გვიანი;

და სიკვდილამდე შენდობის თხოვნა,
სულისთვის ხსნაა მომგებიანი.

არც ერთი წამი ქრისტეს გარეშე
და გავუფრთხილდეთ დროს,

დრო კი არ მოვკლათ, გამოვიყენოთ ,
გადარჩენისთვის, გთხოვთ...

რაც წაგერთმევა შენი არ არის!
მაშ შესაშური ვის აქვს? -არავის!

და სანამ დრო გვაქვს ფერი ვიცვალოთ,
უნანებელი არ გარდავიცვალოთ;

...ერთხელაც ჩამოჰკრავს... სულში ბოლო ზარი,
მოგიხმობს ღმერთი და ბოლოც ეს არის.

მოგიხმობს? დასთმე ამქვეყნიური,
არაფერია მარადიული.

მარადისობაში სული ინაცვლებს ...
და ეს ნიშნავს რომ გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ე!

თუკი მოგიხმობს ღმერთი;
ამქვეყნიური დათმე !

მარადისობა გველის ...
სხვა? არც გვიღირდეს რადმე.

და სიკვდილს ვერსად ვერ გაექცევი ...
სიკეთეს მტრად ნუ გადაექცევი,

ვიბადებით და ... ვართ სიკვდილმისჯილი,
მიჰქრის სიცოცხლე, მისდევს სიკვდილი.

წარსული -გაქრა, ხსოვნაში დარჩა;
სიკეთის თესვა, დავიწყოთ ახლა!

და როგორც დასთეს, მოიმკი ისე...
მომავალს ჩვენსას, ვამყარებთ ღმერთზე.

სასუფეველში თუ გვინდა შევხვდეთ,
ჩვენზე კი არა, ვიზრუნოთ სხვებზე.

ი მ ე დ ი

განთიადი შეეპარა ღამეს,
მთვარის სხივიც გაქრა მოკამკამე,
მზეს სხივები გამოექცა ბღუჯა,
დაგვაყარა თავზე მუჭა– მუჭა.

როცა ქარი ხეებს ნაზად არხევს,
ფოთლებს აცლის და მიწაზე აფენს...
მოვარდება როცა ავი ქარი,
ყველაფერი თავდაყირა არის;

შემოდგომა იმედებით სავსე,
თითქოს ზამთრის მოლოდინით გვავსებს

და თუკი ცა წვიმის ცრემლებს გვაფრქვევს,
ნეტავ თოვლი ახალ წელს თუ გვამცნებს!

შემოდგომას წვიმები რომ ახლავს
და ცამ პირი აღარ უნდა გახსნას,
ველოდებით მზის სხივების შეკვრას...
მთვარისა და ვერსკვლავების შეყრას.

და ახალ დღეს ნათელსა და მზიანს,
ქარი, წვიმა სადღაც მოუსვრია,
ათინათებს ზეცა დაუპყრია;
ბნელზე ნათლის გამარჯვება ჰქვია!

თამრო ნიჟარაძე

კაბის შრიალით

ქალო ნაჟურო ლერწმისა,
დადიხარ კაბის შრიალით,
მე ქართვლის დედას გადარებ,
დღე-დაღამ საქმის ტრიალით.
მოქჩერებია ქვეყანა,
ქარმა საკინძე შეგიხსნა,
მტერიც კი გადაყარა,
წვიმებმაც თქორით შეგნისლა.
უტყვი ხარ ლამაზ შველივით,
ყელს მარგალიტი გიმშვენებს,
ზოგიც გიყურებს მგელივით,
და ბევრიც თვალით გაშინებს
შენ მაინც დგახარ უშიშრად,
გაყურებ თვალით მინდვრებსა,
სადაც არ უნდა წახვიდე
ყველგან სიწმინდე მისდევსა!

დედა

რად არ ძინავს დედას ღამე, ან თუ ძინავს,
რატომ შფოთავს, მოსვენება დაუკარგავს,
დედას ღამე თვალს ვერ ხუაჭავს,
შვილებზე ფიქრობს ვერ ისვენებს
დედის გული სულ სხვა არი,
პატარები გაიზარდენ უკვე დიდები არიან,
გზა გაიკვლიეს ოჯახს მართავენ,
დედა მაინც შფოთავს,
სულ დარდში და ფიქრშია,
ნეტა სად არიან? ხომ არაფერი უჭირთ?
ათას რამეს თავში გაივლებს,
მშფოთვარე დედა შუაღამისას,...
უფალს ავედრებს, შვილების კარგად ყოფნას,
დედა ვერ ისვენებს ხმა თუ არ ესმის თუ არ შეხედა,
გაიზარდნენ მაგრამ დედისთვის
მაინც პატარა ბიჭები არიან,
რად არ ძინავს დედას
რად შფოთავს ის დღე დაღამე,
უფალო გთხოვ ყველა დედას
შვილი ბედნიერი ყავდეს!!!

* * *

მე ისეთი სიკვდილი მინდა
სიცოცხლეში სიყვარული რომ დავინახო,
მე ისეთი სიცოცხლე არ მინდა
სიკვდილის მერე რომ ვეყვარები.
მე ისეთი მზე მინდა სიცოცხლეში
რომ გამათბობს, მე ისეთი მთვარე მინდა,
ღამით გზა რომ გამინათოს,
ეს მე სიცოცხლეში მინდა
თორემ მერე მიწა გამათბობს და
სანთელ საკმევლი გზას გამინათებს!
სიცოცხლეში სიყვარული და მოფერება მინდა,
სიცოცხლეში შემიყვარეთ
სიცოცხლეში დამაფასეთ,
თორემ, მკვდარი ვერაფერს გავიგებ,
ვერც მადლობას გეტყვით,
ვერც თქვენ სითბოს და
სიყვარულს ვერ გავიგებ!!!

* * *

ესტუმრეთ სვანეთს სტუმართმოყვარეს,
ჯიხვთ საუფლოს და კოშკების სამეფოს,
უშგულის სილამაზე თვალს მოგტაცებთ,
მიდით და ნახეთ, გაესაუბრეთ შხარას,
იქვე თეთნულდი თეთრი ფატით გვერდს უმშვენებს
უშბას, გულს გაგიხარებთ, წმინდა ლამარია,
მისი ლოცვა და მადლი გზას გაგინათებთ ყველგან,
თამარის კოშკთან ჩამოისვენეთ,
უშგულს გადაავლეთ თვალი,
უშგული კოშკების სამეფოა და
მოსაყოლი აქვთ ძალიან ბევრი.
თუ ეს სილამაზე არ ნახე,
თუ არ გაესაუბრე ენგურს,
ლამარიასთან თუ არ ილოცე,
არ თქვა საქართველო ვნახე.

მკურნალი

ხარ დაჭრილ გულის მკურნალი,
დედა მრავალი შვილისა,
ხელში გაქვს წმინდა ჟურნალი,
სითბოთი რომ გავს ივლისსა.
ღვთსმშობლის კალთა იფარავს,
წმინდა ნინო და გიორგი,
ვერავინ ვერ მოიპრავს,
დიდია როგორც რიონი.
ემიგრანტების ტკივილებს,
აგროვებთ როგორც კაკალი,
გვიგზავნი ლამაზ ღიმილებს,
ესაა სულის წამალი.
თან უამრავია დედა ხარ,
თბილი ხარ როგორც ზაფხული,
ამიტომ ყველას გვიყვარხარ,
გვყავხარ გულს ამოქარგული!

საქართველოს მონატრება

საქართველოს მონატრებამ,
გულზე დაღი დამამჩნია,
დარდებს დარდი ემატება,
ან რას ვდარდობ გააჩნია .
ვერ განკურნავს ვერაფერი,
გარდასულ წლებს ვერ ვეწევი,.
ლექსიც ვერ ვთქვი შესაფერი,
ბედსაც ბევრჯერ გავუწყერი
ვნატრობ სახლში დაბრუნებას,
ხალხსაც მგონი დავავიწყდი,
სვანი ქალი ეს ბუნება,
არ გახდება გულმავიწყი.
მახსოვს დარდიც, გაჭირვებაც,
გავხდი მიტომ ემიგრანტი,
მახსოვს ბევრი დაპირება,
მოტყუება როგრც მარტის.

ნორა მგელაძე

სიცოცხლის სურვილი

შლეგივით ქროდა ქარი მთელი დღე,
მთელი დღე ჩემი გულიც ღელავდა...
ქარი ფოთლებით ხატავდა სივრცეს
და აცრემლებულ სულს მიძერწავდა...

ფიქრებიც, დარდით ნასაზრდოები,
სულის ფორიაქს ფრთებსაც ასხამდა,
სიხარულისგან დანაობლები,
ტკივილის ნართით გორგალს ართავდა.

ვუცქერდი ფოთლებს, თუ როგორ კრთოდნენ,
ქარის წინაშე უსუსურები,
ენანებოდათ, რომ უკვე თმობდნენ,
სიცოცხლე სურდათ დაუსრულები.

ადამიანიც, ალბათ, ასეა,
უჭირს დათმობა ამ ქვეყნის, ვრცელის,
თუმც საბოლოოდ ის მაინც ხვდება,
უსასოობას წინაშე ბედის...

მინდვრის ყვავილი

მინდვრის ყვავილი ვარ ნაზი და ფერმკრთალი,
ვერ გავუტოლდები სამეფო ყვავილებს,
ცხოვრებაც უბრალო მაქვს, ასე მდინარი,
ამიტომ არასდროს ვედრები სხვა ვინმეს.

მინდორში მოვსულვარ უჩუმრად და ვხარობ,
სიცოცხლის თასი მე თითქმის დავცალე,
ცოტა ხნით მოვედი და განა ბევრს ვითხოვ,
უფალო, ცა-მიწით, რომ დავტკბე მაცალე...

ცხოვრება

რა არს ცხოვრება, თუ არა ბრძოლა
გადარჩენისთვის, პირველ ყოვლისა...
კაცმა არა სთქვას, ყოფის ბოლომდე
კმაყოფილ იყოს ამ ცხოვრებისა...

''გადარჩენაში'' არ ვიგულისხმოთ
მაინცდამაინც ლუკმის არქონა,
ლუკმაზე მეტად, ზოგჯერ გვაკლია
საზრდო სულისა და უფლის რწმენა!

– კაცმა არა სთქვას, არ განუცდია
თუნდ ერთხელ მაინც, ბედთან თამაში
და წუთისოფლის გავლა უცდია
ბეწვზე დაკიდულ ხიდზე გავლაში.

– კაცმა არა სთქვას, რომ ერთხელ მაინც
არ დაბნეულა, არ ეორჭოფოს,
შეცდომებია ჩვენი ცოდვები,
რომლითაც ვჭედავთ ჩვენივე ბოლოს.

– კაცმა არა სთქვას,არ ჰყვარებია,
თუნდ ერთხელ, თუნდაც წარმოდგენაში
და არასოდეს დრო არ მოუკლავს
სიყვარულისგან ცრემლის დენაში.

– კაცმა არა თქვას, არ უნანია
ზოგჯერ სიკეთის ''არ'' კეთებაზე,
როცა ამისი გაქვს შნოც და შანსიც
აღარც იფიქრო მის არაქმნაზე.

– კაცმა არა თქვას მისი ქვეყნისთვის
აროს უძგერდა გული კანკალით,
რომ სამშობლოსთვის, დაუფიქრებლად
არ გასწირავდა თავსაც, ალალი!

– ჰქმენი სიკეთე!
– მუდამ გიყვარდეს!
– არ უღალატო!
– იყავ ერთგული!
სიყვარულია, რაც გადავარჩენს
უფალი გვლოცავს, ვართ კურთხეულნი!

მთვარესთან გამხელილი სადარდელი

ძილი გამიტყდა, ფიქრებმა
ისევე არ მომასვენეს,
შუქი, ნათელი მთვარისა
თავზე მზრუნველად დამყურებს.

ჩემ უნებურად მივმართე
ჩემი სულისა მეგობარს,
იცის მან, როგორ განვიცდი
ქვეყნად ბევრ უკუღმართობას.

– მთვარეე, კვლავ ვფხიზლობ,
მიშველე,
გული მატკინეს, მიხსენი,
ცხოვრების ბევრი ქარაგმა
ვერაფრით ვერ ამოვხსენი.

ვერა ვხსნი, რატომ ომობენ,
ხარჯავენ ტყვიას– ტყვიაზე,
რით ვეღარ დაეტევიან
მშვიდად ამ დედამიწაზე?

-მთვარეე, იქნება ამიხსნა,
უსამართლობა რად ხდება?
რად მძლავრობს ეშმა წყეული
ან სამართალი სად კვდება?

-რატომ ისჯება მართლისთვის
გული, სიკეთის მთესველი,
ანდა რად ხარობს ბოროტი,
ცუდის ქმნის არმნაღვლებელი?

-რას მეტყვი, მთვარეე, ძმობილო,
შენ შემოგცქერი იმედად,
იქნება შენ გაუნათო
გონდაბნელებულთ გონება?

იქნება დაბრმავებულებს,
შენ სტყორცნო სხივი-მახვილი,
შენ ეს ხომ ხელგეწიფება,
ბნელსა მოჰგვარო ნათელი?

ბრმებს რომ გაუპო სიბნელე,
თვალთა მათ ჩინი მიჰგვარო
და ამით, იქნებ, მათ შეძლონ
სინათლე რომ შეიყვარონ.

-მთვარეე, ცარგვალის მნათობო,
დინჯო, ბრძენო და შუქსავსევ,
იმდენი მინდა გიამბო,
ამ ერთ ღამეში ვერ ჩავტევ.

მიტომ გთხოვ, მესაიდუმლევ,
ღრუბელსა ჯერ არსად გაჰყვე,
სადმე კუთხეში ჩამოვსხდეთ
და ვიბაასოთ დილამდე.

მიმოვიხილოთ ამბავი
ჩვენი მთების და ბარისა,
ამ ჩემ ლამაზსა სამშობლოს,
სიმშვიდე რად არ ეღირსა?

....და დავიტოვოთ იმედად
დღე დაბრუნდება მზიანი,
მანამდე მშვიდად ვიქნებით
სანამ ჩვენთან არს უფალი!

მიყვარხარ, ჩემო ძმობილო
მთვარეე, ავსილო შუქითა,
კიდევაც ბევრსაც დამოძღვრავ,
იმედს ჩაუდგამ გულისად!

ფუფალა

ფუფალა-მარტოსული ბერიქალა,
ცხოვრებამ საკუთარ კარს დაანატრა,
ღმერთო, ''როდემდის, ამდენი წანწალი!'' –
ასე კვნესოდა და მოიქანცა.
ფუფალას-მარტოსულ ბერიქალას,
სხივი ჩაჰქრობოდა სულ მთლიანად,
დედას ნატრობდა და ფიქრიანად
წარსულს იხსენებდა დარდიანად.
ფუფალა-მარტოსული ბერიქალა,
''მოხრეკილ საწუთროს'' შესჩიოდა,
ეს რა სიცოცხლე დაენათლა,
''ჭირი მოგპარეო''– ვინ ეტყოდა?
ფუფალა-მარტოსული ბერიქალა,
ოდესღაც სილამაზით რომ მზეობდა,
დღეს მისი სამზეო სულ ჩამქარალა,
მხოლოდ მოგონება არ ტოვებდა!
ფუფალა-მარტოსული ბერიქალა,
რამდენის გული დაჭრა--არც ნანობდა,
მხოლოდღა შიოლა ადარდებდა,
მისი სიყვარული აცოცხლებდა.
ფუფალა-მარტოსული ბერიქალა,
ცალ-რქა ირემივით მოარული,
შიოლას ტრფობა რომ თან ატარა
დარჩა ღრუბელს ნისლად შერეული....

ზმანებაში გელაციცები

არ გიშვებ ხელებს,
რადგან მინდა რომ დიდხანს მყავდე,
ვერ გიშვებ ხელებს,
რადგან მაინც გული ვერა გთმობს,
ამ საწუთროში,
ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ისე მოხდეს,
შენს უნახავად
და შენგან შორს მე დამიღამოს.
ხელებს არ გიშვებ,
არ მინდა, რომ ზმანება შენი,
თვალს რომ მოშორდეს
და უკუნში გადამეკარგოს,
სულის ნაწილო,
ჩემო გულო, მითხარ სანამდე,
მე უშენობით
მიწერია რომ დავიტანჯო.
არ გიშვებ ხელებს,
ზმანებაში გელაციცები,
გულს ვერ უბრძანებ,
შეუპყრია შფოთვას შინაგანს,
რაც უნდა მოხდეს,
ჩემო სულო, მინდა იცოდე,
რომ უსასრულოდ
და უსამნოდ, ისევ მიყვარხარ.

ნიკოლოზ შარიქაძე

ციცინო ძოწენიძეს

დღეს ვსტუმრობდი არტ გალერის
გაზაფხულის გამოფენას,
ნიჭით შრომით, მუზით, განცდით,
სადაც ქმნიან საოცრებას!
ზოგს ყვავილი ამშვენებდა,
ზოგს ხელქმნილი ანგელოზი,
ჩემს ციცინო ძოწენიძეს
ზებრა -გუნდი შავი ზოლით,
გუნდში საქართველო ვიცან,
ზოლში ისტორია მისი,
ზოგს მბრწყინავი თვალი ჰქონდა,
ზოგს კი გულში სევდა შორით,
დაფანტულან შორი შორად
დაუკარგავთ გონი,
ღმერთო შენ შეაერთე
ყველას აზრი, გონი!

ნანა კვარაცხელიას
(რძალს)

აქ გაზაფხულიც გაზაფხულშია
აქ სხვანაირად გაზაფხულდება,
აპრილს უხდება ია იები
აპრილიც ყვავის სულ ნაირფერად!
ნანას დღეობაც ამ აპრილს ერწყმის,
სახლიც მოგირთო სულ ნაირფერად,
მადლობა უფალს რომ ჩვენ ერთად ვართ,
გულიც იღვრება სულ ნარცისებად!
შვილმა ვარდების კონა მოართვა,
რომ გაახსენოს ძველი დღეები,
მე კი სულ ვცდილობ გავექცე
წარსულს და რძალსაც ვუძღვნა
ლხინის დღეები!

ეთერ ჭელიძეს

მოთმინების ჯვართან მდგარი
ელოდები ძლიერ ქართველს,
ვინც სამშობლოს სიყვარულით
მტერ-მოყვარეს პასუხს გასცემს.
სიმპატია ჩემგან ეთერს,
ზედ ატყვია მთის სიდინჯე,
სიარულით მიხვრა-მოხვრით,
გამორჩეულს დააქვს სიბრძნე!
ზედმეტ ბგერას არ წარმოსთქვამს,
გამოხედვაც მისი თბილი,
დახმარებას ყველას უწევს,
ამაშია მისი ხიბლი!

დოესში

მომწონს მე სოფლის ცხოვრება,
მათი შრომა და ხალისი,
დოესის სკოლის ზეიმმა,
გამიხალისა მაისი!
პედაგოგების ჯაფა ხომ
შესაშურია და იცით?
მათ მხარს უბამენ ბავშვები
ზე აღმაფრენით ხალისით!
ბედნიერია ლიანა.....
მას ერგო ლექსის ზეობა,
რაც უშრომია წლებით მას
პატივი არგო ხეობამ!
მისი ლექსები ზეპირად
წარმოაჩინეს ბავშვებმა,
გაუხალისეს საღამო
დოესის გოგო-ბიჭებმა!

ხათუნა ჩანჩიბაძეს

მშვენება ხარ შენ ოჯახის,
კრისტინას და ენელსის,
სურპრიზები შენგან მოდის,
ზეიმების შეკრების!
მიზეზს ეძებ, რომ გვაჩუქო,
სილამაზის დღეები,
შენს გარშემო მწკრივში ვდგავართ,
როგორც ტყეში ხეები!
გაქებ ჩემო შვილო ხათო,
მეგობარო პატარა,
გენაცვალე შენმა ზურგმაც
მძიმე ტვირთი ატარა.
მაგრამ ყოჩაღ, მე ვამაყობ
ცხოვრებამ ბევრი გასწავლა,
გაგაძლიერა,გამოგრწვთნა,
შენგან ცხოვრება დამარცხდა.
შენ გაიმარჯვე ცხოვრების გზაზე,
მინდა სულ იყო გახარებული,
და მუდამ გდევდეს უფლის წყალობა,
თან გრძნობაც გქონდეს ამაღლებული!

ეფრემ LL უწმინდესი და უნეტარესი

მინდა სულ ვარდისფერებით
ვამკო მე ქართლის სამყარო,
წარსულს შევეხო,
ჩუქურთმით მოვაპირკეთო დავხატო!
ერთაწმინდა და დოესი,
სადაც შობილა გრიგოლი....
და მონათლულა ეფრემით,
სულ ნაბიჯ-ნაბიჯ ვიარო,
დავტკბე სოფელით და თემით.
ღვთის კაცს ებრძოდა ეშმაკი
და სთხოვდა უფლის დათმობას,
ღვთისმეტყველების დოქტორს კი
ეს უძნელებდა თვით ყოფას.
მისი ღვაწლი რომ დიდია,
ისტორია გვაქვს ჩვენ ვრცელი,
მის ნაფეხურებს ვინც გაჰყვა,
ცხოვრება ერგო ნათელი!

ელისო იზორია-გელაშვილს

სათითაოდ ამ ქმნილებებს
როგორ ვუძღვნა თითო ლექსი,
სილამაზის შემქმნელ ქალებს
გეფერებით ჩემი ლექსით!
რა არ იცის, რას არ შექმნის
იზორია-გელაშვილი,
ელეგანტურ ქალებს ძერწავს,
თვითონ შენ ხარ დახატული!
შენი სულის სინარნარე
ამ ქალშია ჩახატული,
ჩანთაც კარგად მოურგია,
ფიქრით აზრით დატვირთული.
ზანგ ქალბატონს თეთრით მოსილს,
ზურგზე აწევს ბევრი დარდი,
გაკვირვებას ვერც კი მალავს,
თავში უდევს სულ სხვა აზრი.

მარინა მანჯგალაძე-თამაზაშვილი

წუხელ წვიმდა უსაშველოდ

წუხელ წვიმდა, უსაშველოდ ქროდა ქარი,
და ალიონს, თვალხილული ჩავეხუტე,
ცისკრის ლოცვა აღევლინა წირვით ზეცას,
რეალობას, ისევ ცრემლით გავებუტე...

რა საამო სიჩუმეა, ფერმკრთალ თბილისს,
მხრებზე, ნისლი წამოუსხავს ნაცრისფერი,
მზეს ჩამოტყდა ძლივ-ძლივობით სხივი ციდა,
უნებურად შევაშველე ცივი ხელი....

ჩავიხუტე, გულში სითბო ვიგრძენ ხელად,
გულს გაყინულს, გაციებულს უსაშველა,
ფიქრით, შენში შემოვიჭერ, ჩავიხლართე,
სავალ ბილიკს სამებისკენ ავყევ ნელა....

ნაცრისფერი, რძისფერ ქულებს შეუცვლიათ,
და ალიონს , დილის სიომ სული ბერა,
მხოლოდ მე ვგრძნობ შენი სულის სიახლოვეს,
თეთრ ლანდებში იკარგება ჩემი მზერა...

დილის წირვას, პირველ მრევლად ვეახელი,
ფერმკრთალ სახეს ვგრძნობ, მეპკურა აიაზმა,
მენატრები უსაშველიდ და გონებამ,
შენი წასვლა, ვერაფრით ვერ გაიაზრა....

რომ ალიონს, რძისფერ ნისლში ხვევდა დილა,
მგალობელთა გუნდი გალობს, ტოგორ ტკბილად,
მზეს ჩამოტყდა ისევ, ერთი ციდა სხივი,
მეც იმედად შევინახე გულში ....ფრთხილად....

თბილისი...ჩემი დილის საარი...

ლამაზია თბილისური შემოდგომა,
მზემ სხივები ქარვისფერად აიყარა,
ჩაიხუტა, საარის ჰანგს ააყოლა,
სოლოლაკი, ხარფუხი და ნარიყალა,

რუსთაველზე ჩამწკრივებულ ბრგე ჭადრებზე,
დანავარდობს, ოქროს ფოთლებს აცლის ქარი,
მშობლიურად ვიგულები ყველა უბანს,
მიყვარს ვერა, კალა, ისან-ავლაბარი....

მიყვარს, მიყვარს თბილისური შემოდგომა,
ცა ფირუზი, ფეხქვეშ ფოთლის შარი-შური,
მტკვარის დუდუნს ანჩისხატი სალამს უძღვნის,
აქ ჩუღურეთს, სიყვარულით უძგერს გული...

მამადავითს, თავს დაჰყურებს ნარიყალა,
ჩემი სულის ნაწილი ხარ, სულ თანმდევი,
შენს უბეში დავიბადე, გავიზარდე,
მიყვარს ჩემი დიდუბე....
ნაძალადევი....

ორთაჭალის ბაღები და სანახები,
თბილისური შემოდგომის მარათონი,
ახალ თბილისს, სულ სხვა ეშხი, იერი აქვს,
მაინც მიყვარს ....ხარფუხი და მადათოვი....

ქარი მარტოსული

ახლა ისე მინდა უფალს შვება ვთხოვო,
გულში ტკივილები სანთლად ამინთია,
სარკმელს ეხეთქება წვიმის ნიაღვარი,
ცრემლად დადენილი ფიქრის ამინდია...

ცაზე გაიელვა, ზოლად დაკლაკნილი,
ასტრალს გადასული უცხო ბილიკია,
წვიმს და ცაც ხმაურობს ისე შლეგიანად,
ნეტავ, რატომ მომწონს,?
ვერც მე გამიგია...

გარეთ დანავარდობს ქარი მარტოსული,
ისიც ჩემებრ ეძებს ვინმეს პარტნიორად,
მერე დაერია, ტოტებს ჩაეხლართა,
მთვარე დაეფინა ღამეს, ლამპიონად.....

დაქრის ონავარი, ღმუის და ზუზუნებს,
ღრუბელს ჩამოხია შეკრული საკინძე,
ახლა ისე მინდა თავსხმაში გეცეკვო,
შენზე მოგონება, დარდებად ავკინძე....

ბოლოს დაქანცული, საგულეს ჩადგება,
ალბათ დაოკდება, დამალავს მარწუხებს,
შენზე ფიქრი მიყვარს ავდრიან ამინდში,
მხოლოდ ღამემ იცის ჩემს გულს რა აწუხებს....

მიყვარს ჩემი იმერეთი

მიყვარს ჩემი ჩხერიმელა, მისი ცელქი ხმაური,
მხარე მართლა სასწაული, დაბა ხარაგაული,
კარგად მახსოვს სტუმრიანი, კოპწია იმერეთი,
კაცთმოყვარე მასპინძლებით და ,,შენი ჭირიმეთი"....

ბუხრის პირას ცხელ კეცებზე, ხაჭაპურის სურნელი,
ბებო ცხობას ვერ აუდის,
ბევრი არის მსურველი,
გარეთ ბარდნის, ფიფქებს ისვრის,
ცაზე თეთრად ელვარებს,
ღორებს კლავენ,
პატიჟებენ საქეიფოდ ერთმანეთს.....

თეთრად გაწკიპინებული ,,სტოლსაფრები" ელავენ,
მასპინძლები სამზადისში ვნებიანად ღელავენ,
ჭურისთავზე სარქველს ხდიან,
,,მერე ხომ არ მოცდები?"
სუფთა წვენით ივსებიან, ,,ოციანი ბოცები"...

აქეთ მწვადი იცვარება, ღორის თავი თუხთუხებს,
ბავშვებს თოვლში ყირა გააქვთ,
ლოყაწითელ ბუთხუზებს,
სუფრას რა არ ემატება, წითელწინწკლა კალმახი,
მთის წყაროზე დაჭერილი, ჩემი თვალით ნანახი...

პრასი, ფხალი, მწნილეული,
თვლა არა აქვთ ტყლაპეულს,
ჭინჭილები დაუმალავთ,
ხილეულს და ჩირეულს,
ისმის მრავალჟამიერი,
ტკბილხმიანი ჰარალე...
ამდენ რამის გახსენებით,
მგონი ცოტა დაგღალე.....

ცაზე, მთვარე აენთო და...
ბუხრებს, კვამლი ემატა,
ის წარსული ისე მიყვარს,
სიყვარული მემართა,
ღადარს ცეცხლი მიინავლა,
წლები სადღაც წასულა,
იმერული სიყვარული ჩემში,
ცამდე ასულა....

სიყვარულის ბალადა

ფიქრებს თუ გადვურჩი დარდიანს,
გული თუ ვიპოვე სწორფერი,
ნისლებში ჩაწოლილ ქარაფთან,
იცოდე, ყოველდღე მოგელი....

დარდისგან ავყვები ნაპირებს,
უკუღმა არაგვის დინებას,
იქნება მიშველოს ცხელ გულზე,
დამინდოს, თუ ღმერთმა ინება....

ქალაო, რადა ხარ უგულო,
ამაყი, უზომოდ თავნება,
ზეცად, ვარსკვლავების სადარო,
გეფარვის არხოტის სამება....

წამოდი, შემოვხვდეთ არაგვთან,
მთის წვერებს, ღრუბლებში შერგულებს,
პირობა შევფიცოთ ნიშებთან,
პირჯვარი დავწეროთ, ჩვენს გულებს...

არასდროს დავშორდეთ ერთმანეთს,
ვით თეთრი და შავი არაგვი,
ჩვენ დიდ სიყვარულზე დაწერონ,
ბალადა, ლექსი და არაკი....

ნეტამც კი ამიხდეს ოცნება,
გული, რომ მოგთხოვო უგულოს,
მინდა, ამ მშვენიერ სამყაროს,
ერთურთის თვალებით ვუყუროთ....

თინათინ უზარაშვილი

* * *

დუმილში გაბლანდულს, იების
ჩამქრალი ღიმილი მეზმანა,
უჩუმრად ქრებოდა მთიები
და...ცივმა სიჩუმემ შემზარა.
სულში მზე,სევდა და ტკივილი,
თებერვლის თოვლივით, ეყარა
და...ფიქრთა ქარბუქი,კივილით,
დაჰფრენდა ოცნების ქვეყანას...
წარსულის გაცრეცილ კადრებთან
გულს სურდა კვლავ კრძალვით ეარა,
მაგრამ...მზე შრიალა ჭადრებთან
ქარს ელოდებოდა,მე-არა...

ამტკივდი ძლიერ...

არ ვიცი,რატომ?
რა მოხდა მაშინ?
სხვა გზას,სხვა მირაჟს
რატომღა ვსდიეთ?
რაღა დროსია,
ვინ --ვისთან, ვალში?
ვერაფერს შეცვლის
ფიქრები მღვრიე...
უბრალოდ, წვიმს და
წვიმიან ქარში
მოჯარულ ფიქრებს
ვერაფრით ვძლიე...
ახლაც პირს იბანს
მზე, როგორც მაშინ
და...უნებურად,
ამტკივდი ძლიერ...

* * *

ღამის ჩავიცვამ კაბას,
ვარსკვლავს ჩავიბნევ თმაში,
ფიქრებს,ღრუბლების ქარგად,
ზეცის კალთაზე გავშლი.

იმ ლამაზ დღეთა ამბავს
ფრთებად მოვისხამ,ქარში...
დარდს და ტკივილის ზაფრას
სულ, ერთიანად, წავშლი.

ღამის გავფანტავ ნისლებს,
ოცნების აფარებს გავშლი
და...შენ გიმღერებ ისევ,
როგორც ოდესღაც...მაშინ...

დაგვიანება

შენს მოლოდინში,
ქარმა ზარებს ასგზის,ჩამოკრა,
მთვარემ,ათასგზის,
დაამარცხა ღამის სიშავე,
ცის ჩუმი სევდა
რუხ წვიმების წყებას ჩამოჰყვა
და გაზაფხულის
ყვავილებმაც ფერი იცვალეს.
შენს მოლოდინში
მზემ ღრუბლები,ასგზის,დახია,
ლოცვით დაღლილი,
ჩუმად ვსვამდი სევდის სიმწარეს,
დაგვიანება,რა ვქნა,
გულმა არ გაპატია
და ის, უფრთებო, ოცნებები
გარდაიცვალნენ...

ტკივილი

/ალიოშას/

გარეთ წვიმს და სუსხი დგება გულშიც,
ტკივილებით იძენძება სივრცე,
ნაღველი და დარდი წვეთავს სულში,
შენს ღიმილს და სითბოს ვნატრობ ისევ.
ჩემს ცრემლიან სიმღერებს რომ გიძღვნი,
თითქოს შენს სულს ვეფერები წამით,
უშენობა ძლიერ, ძლიერ მიმძიმს,
დავალ სევდით და ტკივილით მთვრალი.
ფუჭად ვებრძვი გაუსაძლის ტკივილს,
ფუჭად გეძებ წვიმასა და ქარში,
ვერ გპოულობ, მონატრება კივის,
ცრემლი ისევ მიგუბდება თვალში...
როგორ მინდა შეუძლები შევძლო,
როგორ მინდა მოგეფერო წამით,
რომ გამითბო გათოშილი სული,
სავსე ცრემლით,
ტკივილით და ღამით.

კენტი და ლუწი

კენტი და ლუწი –
მაგიური რიცხვების წყება,
ჩავლილი წყალი,
იდუმალი გზა და ბილიკი.
კენტი და ლუწი
შთაგონება,თავდავიწყება
ჩაშლილი თვალი
და ...ცბიერი ბედის ქილიკი.
კენტი და ლუწი
მოლოდინი და გარინდება,
დახშული კარი,
წაშლილი გზა,ჩამტყდარი ხიდი,
სიტყვები ფუჭი,
უსასრულო დავა ფიქრებთან,
ჩამშრალი კვალი,
ზღურბლთან ცივი,
ფერმკრთალი ბინდი.
კენტი და ლუწი
სატკივარი, ჩამქრალი გზნება,
დამცხრალი ქარი
და.. სინათლე გვირაბის ბოლოს...
რაც იყო უწინ,
რაც წაიღეს ჩავლილმა წლებმა,
რაც მოგონების
ლაბირინთებს ანათებს მხოლოდ...
კენტი და ლუწი...
მაგიური რიცხვების წყება წყება...

გულიკო კაპანაძე

გკითხავ

გკითხავ, სამშობლო რა არის
რას ნიშნავს შენთვის ქართველი,
მთაა, ბარია, ზღვა არის...
იქნებ გაქვს სია სათვლელი.
იქნებ წინაპრის საფლავი,
მათი გმირული წარსული
მიწა გოჯ-ბელტად ნაფქვავი.
ხორცი უფრო გწამს თუ სული?
სხვის ტკივილს როგორ აღითქვამ,
თუ ხარ სინდისთან ერთგული,
გიყვარს ალალი, საღი თქმა
თქმული სჭარბობს თუ ვერთქმული?
რა გააკეთე_შენ ერთი
წახიდებოდი სამშობლოს,
იზრუნე გულში რომ ღმერთი
ჯერ შენ, შენიდან სხვამ შობოს?
მხოლოდ თქმით, გულზე მჯიღებით
სამშობლოს ვერც რას შემატებ,
ვერც ძოწ-მარგალიტის მძივებით
ვერ ემგვანები შენ ქართველს.
უნდა გახსოვდეს, სადაც ხარ
სამშობლო ერთადერთია,
მისთვის იღწვოდე, ვიდრე ხარ
გიყვარდეს როგორც ღმერთია.

ფიქრი

არაფერია ჩემს ფუძეზე წმინდა, ძვირფასი.
არც იმ ბავშვობას შეედრება ქვეყნად რაიმე.
შეშლილ სამყაროს იმით თუ აქვს, ჰო, ჩემთვის ფასი
თორემ რაც ხდება, რასაც ვხედავ, ოი, ვაიმე.
ზოგჯერ ვიფიქრებ, "ამოვიცმევ ფეხზე წრიაპებს",
იმ სახლში წავალ, ხის რომ ჰქვია, მამას ნაჯაფი,
დავემგვანები უალალეს მშობლებს, წინაპრებს
აღარ მომცელავს, აღარ მატკენს მავანთ ნაჯახი.
ის, რაც გვაკლია, ძვირფასია, არ იყიდება
უიმისობა ბადებს მტრობას, შურსა და ღალატს.
ადამიანნო, სიყვარული როგორ გვჭირდება,
როგორ გვაკლია, როგორ გვთიშავს, თუ ვხედავთ ამას.

მუზას

მოხვალ ხოლმე ისე უცებ
ისე გაუფრთხილებლად...
მიცემს გული ისე, ისე...
ვამბობ, "გულო, ფრთხილად, რა!"
რომ არ გელი, რომ მგონია,
დაგავიწყდი, დამშორდი,
მოხვალ სულის სიმფონიად,
ახლოცა ხარ და შორიც.
ჩემო ლექსო, მუზა ჩემო,
ხშირად რად მეკარგები,
სასურველო, გჩემობ, გჩემობ,
გულს ღია აქვს კარები.

მას...

ამ მილეთ ხალხში სულ გეძებ
თუმც ვიცი, ერთადერთი ხარ
ფიქრებს ვუძებნი თავად გზებს
ხან არც ვინ, ხან კი ღმერთი ხარ.
ვერსად გლანდავ და მიწიდან
ცას მზერით მე ვეკედლები
მერე ლექსებში ვიწვი და
მატირებს ნისლის კედელი.
ამ მილეთ ხალხში სულ გეძებ,
ვერ ვხედავ ხშირად ვერც ვისა...
ოდეს გავიკვლევ ნისლში გზებს
წავალ...გამგები არც რისა.

ცავ...

რა მზიანი ხარ ცავ, შორო
მიუწვდომ, უკარებელო
არც თავი გიჩანს, არც ბოლო
სამყაროს მატარებელო.
მიყვარს შენი დღე მზითა და
ღამე სხვა ვარსკვლავთ ციალით.
გიმზერ, მივიკვლევ ამ ჩემს გზას
ხან ტრფობით, ხან დარდ ტიალით.
არც შენი, არც კაცთ გუნება
ვინა თქვა მუდამ მზიანი.
შენ ღრუბლები გაქვს გუნდებად,
კაცს, დარდი ოხერ-ტიალი.

ვიდრე დავალ...

ხელუხლებლად ვტოვებ გულში
შენზე ნაფიქრს, დაწერილს.
გიფრთხილდები ახლა სულში
სანთლით გიწერ ამ წერილს.
ეხეთქება ქარი სარკმელს
სულ მახსენებს შენს წასვლას?
არ უქრება ალი სანთელს
აძლევს ლოცვა სულს წამალს.
კუთვნილ დღეებს დამიმთავრებს,
მეც დამკარგავს დროება.
ვიდრე დავალ, დააქვს თვალებს
შენზე სევდა გროვებად

ვარ...

დღემდე გადამხდა ის, რაც...
ცოტაცაა და ბევრიც.
ცხოვრება ისევ მცდის და
მოყვარეცა მყავს, მტერიც.
დამაქვს საკმაოდ სევდა
სასიხარულო მეტი.
იმედი სულ თან მდევს და
სიყვარულს ისევ ვეტრფი.
მსტუმრობს მუზები როცა
ლექსს აწერინებს ჩემს მეს.
ვარ, ვიცი ძალზე ცოტა...
მეტი ბევრით ვარ მტერზე.

ისევ შენ

ათასჯერ, ათიათასჯერ
გიფიქრე, გადაგიფიქრე.
ვერ დაგივიწყე ვერა ჯერ...
ისევ შენ მყავხარ ფიქრში მე.
ჩამოვცლი ხოლმე ცრემლად დარდს.
დამთავრდა!.. ხშირად ვიფიქრებ.
ვერ დაგივიწყე ნეტავ რად...
რადა ხარ ისევ ფიქრში შენ.

ვიცოცხლე!

რა სწრაფად გადის საწუთრო
რა დაუნდონლად მაბერებს
თან, აჩქარდება აწ უფრო,
ახლოდანა ვგრძნობ მის ხელებს.
ნეტავი რამეს მკითხავდე,
გრძნობამ იკლო თუ იმატა.
მე გკითხავ ე მაგ კითხვამდე
მიყვარხარ, ნეტავ შენ რადა?
რად ვერ ვაჯობე ამ ჩემს გულს,
რად ვერ შემცვალა დრო-ჟამმა.
რად ვერ გიწოდებ დაკარგულს
ამ ხსოვნამ რად არ დაგჟანგა
კითხვებით მგონი დაგღალე
შენ მდუმარებას რას დათმობ.
დრო გამაჩუმებს მეც მალე...
ჯერ მთრთილავს, მერე გამაქრობს.
ვიდრე ჩაივლის ჩემი დრო
ჩაქრება ა ეს სიცოცხლე...
ასე, ლექსებით დროდადრო
გეტყვი: მიყვარდი, ვიცოცხლე!

ვიცი...

ახლა ჩუმად ვყვები სიყვარულზე
რავი, უცნაური გრძნობით მიყვარს.
ვერვინ ვერ გაიგებს ამ ჩემს გულზე,
მხოლოდ ლექსში ვტოვებ შენზე სიტყვას.
წვიმას მოუმატა ამინდებმა,
ცამაც დაიჩემა მუქი ფერი
ლექსიც ამინდივით ატირდება
ჩემში არ იცვლება არაფერი.
რავი, სად ჩერდება ეს საწუთრო,
ბედი როდის დასვამს ბოლო წერტილს
ვიცი გატკბილდება წუთი უფრო
ვიცი, ლექსად დავწერ ბოლო წერილს.

ლექსი – წუხილი

ღრუბლისფთილებიან ცას,
ვრცელ და თეთრქოჩრიან ზღვას.
მყინვარშემოხვეულ მთას,
მინდორს, ტყეებსა და ბარს.
ქართველის კუთვნილ მიწას
ნაპოხს წინაპრის სისხლით,
მტერი დღითიდღე გვგლიჯავს,
წართმეილს ვეღარ ვიხსნით.
დარჩა სამშობლო მცირე.
აღარ მრავლდება ერი,
ბეწვის ხიდზე დგას ვიდრე
ვიცნოთ, ვინა გვყავს მტერი.
ისტორია გვაქვს ვრცელი
წარსულში არის ცოდნა.
სხვისგან ნურაფერს ველით
ყველას ვუნდივართ მონად.
აქ თუ არ დარჩა ვინაც
დაბადებს ბოკვერს, ქართველს,
ჩვენი სამშობლოს მიწა
დარჩება არაქართველს.

ირინა ბერიანიძე

ნანა ალიბეგაშვილს

დაბადების დღეს გილოცავ,
სიკეთე მსურს შენთვის,
გულის გულში რომ მიყვარხარ,
სიტყვაც ფიქრებს ერთვის.
,,ნან" შენაირ ადამიანს,
წმინდანივით ღვთიანს,
შენნაირი სად დადიან,
შენით აღწევ მიზანს.
მამას გავხარ გარეგნობით,
დაიმკვიდრე ნიშა,
შენი შრომით
ბრძნული გონით,
მიაღწიე მიზანს.

ილია ვარო

ფურცელზე ამერია რითმები,
სიტყვის მარაგიც გამომელია,
ო, საქართველო
როგორ ითმენდი,
როცა მოგიკლეს
თვალინ ილია.
თავის მამულის
ერთგულ დიდ მგოსანს,
წიწამურთან რომ ესროლეს ტყვია,
დღესაც ის დარდი
ტანზე გვმოსავს და ...
მკვლელის სახელი ყვავ-ყორნებს მიაქვს .
ილია ვარო როცა შესძახა,
მაშინ ესროლა
ტყვია სატანამ,
ილია დარჩა
ქართვლის ვენახად,
მკვლელს ჯოჯოხეთი გამოატარა!

ლელა ლომიძეს

ვიზუალი სილამაზე
ნუ უკითხავთ ოხერია,
არასოდეს არ ვაბრაზებთ
სიყვარულის მორევია.
ნიჭი, კარგო, თან დაგყვება,
ყველა ასაკს მოერგები,
სიახლეებს გვასწავლი და...
არასოდეს მეორდები.
პანდემიის პირობებში
იგონებდი ვებინარებს,
შენი სიტყვით ბევრი მოვრჩით,
საუბრისას რომ ნარნარებ.
რამდენ ახალ სიტყვებს ხმარობ,
იშველიებ ლომონოსოვს,
მეგობრობის გულის კარო,
შენთვის ოქროს საწმისს მოვქსოვ.

გუგა კაკაბაძეს

სინათლე მოსჩანს შენს ნახატებში,
მზე გაიმარჯვებს ბნელზე უცილოდ,
მინდა დაგმოძღვრო კეთილო გუგა,
საუკუნეებს რომ გაუცინო.
თითქოს ხელით მიგიხატავს,
დიდ კარებზე ეს ბოქლომი,
ალბათ დარდებს გამოხატავს,
იქნებ ახსნა სიბრძნის გონი.

ქეთი მაისურაძეს

მე არ გეტყვი რაღაც უცხოს ახალს,
შენს სონეტას დედის სუნი ახლავს,
გონით ფიქრით კავშირი გაქვს ისევ,
რომ შეგეძლოს სიცოცხლესაც მისცემ.

მირანდა ჟვანიას

მირანდა რომ ორატორობ,
გამოხატავ ემოციას,
ქალღმერთების თანატოლო,
მზემ ხელები შემოგხვია.

კმაყოფილი შენი ცოდნით,
შევქმენ ლექსი რითმებით,
სიხარულის ცრემლი მომდის,
გრძნობის ლაბირინთებით.

პროფესიის სიყვარული

ქრონიკულად არის გარჯა,
სიყვარულით ერთგულება
ენერგიას დიდს
ვხარჯავ და ...
არსად ვიჩენ ორგულობას.
შპრიცით სახის
კუნთებს ვხატავ,
სიბერის კვალს
წამში ვაქრობ,
არა ძალას კი არ ვატან,
წყნარად არსად
არა ვჩქარობ
მოხუცს ახალგაზრდათ ვხატავ.
ჰოდა მოდით მომაკითხეთ,
სიბერის კვალს
ვაქრობ წამში,
თუნდ სახელით განმიკითხეთ,
არ დაგრჩებით
არვის ვალში.
ფორს და ნაოაჭს
ვარდად ვაქცევთ,
თუნდათ ათსაც გამოგპრანჭავთ,
ჩემს თავს ენერგიას ვართმევ,
,,პრეტენზიით" ნუ დამტანჯავთ!

გინახავთ???

იუნესკოს მფარველობით
დღესაც ცოცხლობს სოფელი,
თავის თავსაც
ინახავს და...
არვინა ჰყავს მფლობელი,
ხავსნარევი ქვაფენილით,
სიძველით და სიმაღლით,
ცად ლაჟვარდად აფრენილი,
სიხარულის სილაღით.
ყვავილებს სურნელს აფრქვევს,
ირგვლივ ყველა
ადგილი,
მტერს მოყვარედ
გადააქცვეს,
სამოთხეა ნამდვილი!

* * *

ყველა თბება
თქვენს კოცონზე
ვინც შეაღო
ფართოდ კარი,
დარდის ხურჯინს გვერდზე ვტივებთ
არ გვჭირდება
დრო და ხანი!
მოშალეთ და მოარღვიეთ,
ბოროტების
შუბლის ძარღვი,
თქვენმა სითბომ, ერთგულებამ,
გამოალღო
ყინვა გაღმით!

გონს მოეგეთ ქართველებო!!!

ღამე სიღრმეს როცა აღწევს,
ყველა ფიქრი ერთად მოდის,
მე განვიცდი ჩემს სამშობლოს
ბედს, მომავალს,მწარე ტკივილს.
ვფიქრობ ნუთუ სულხან -საბამ
რად შეგვიქმნა სიტყის კონა?
ანდა შოთა რუსთაველმა,
რად გვასწავლა მიჯნურობა.
თავზარდამცემ ქმედებებით,
თუ ვებრძოლეთ ერთურთს ყველამ,
ვერ მივაღწევთ ჩვენს საწადელს,
ჩვენი საქართველოს ბედი წყდება!

ნელი ტორონჯაძე

☆ ☆ ☆

სულში სიმარტოვემ ჩაიბუდა
გულში სევდის ჩრდილი ჩაწვა,
დარდი ვის გავანდო ვინ გამიგებს
მიჯობს,არავისთან არ ვთქვა.
შენ რომ მყავდე გულის სევდას გაგანდობდი,
ეხლა უშენობით რა ვქვნა.
ფიქრი წიოკობს და გრძნობა მომერევია
შენთან მინდა ყველაფერი დავფქვა.
ფოთოლცვენაა,ხეებიც გაშიშვლდა
ფოთოლცვენას გავუყევი ლანდად,
გახუნებულ ფოთლებს შორის ჩავიკარგე
გზა ამებნა,საიდუმლო სად ვთქვა.
თუკი გრძნობამ ამოხეთქა გულიდან
აღარ დარჩა მოგონება დარდად,
არხეინად გავუყვები სველ ბილიკებს
და მომიყვანს შენი გულის კართან.

გული

გული სულ განცდაშია
ზოგჯერ რაღაცით წვალობს,
უცბად რომ გახალისდება
მოულოდნელად დარდობს.
სულ ვიღაც ენატრება
სულ სადღაც მიგაქანებს,
უნდა გაუგო გულს და
შედეგსაც ჩაგაბარებს.
თუ ვასაზრდოებთ ჩვენს გულს
მხოლოდ კეთილი ზრახვით,
და არ ვიცხოვრებთ არასდროს
სხვას რა აქვს, მის მიბაძვით.
გული გაგყვება დიდხანს
სულშიც ჩადგება სითბო,
სიამტკბილობა სურს გულს
სხვას არაფერს არ ითხოვს.

სახუმაროსავით

ეხლა უნდა გაგიმხილოთ
რომ იტყვიან,ჩემი ცოდვა,
გავიღვიძე თუ არა და
გრიპისგან დავიწყე ბოდვა.

სავადმყოფოს მყავს უფროსი
მიდი,მოდი,მიდი მოდი,
ვირუსი ავიკიდე და
ფიქრები მიდის და მოდის.

სამი წლის წინ მომაწოდეს
ჭაჭა სულ ნაპერწკლებს ისვრის,
ვთქვი ბუნებრივ ანტიბიოტიკს
ინახავენ ნეტავ რისთვის.

სამი წელია ვუცქერი
როგორც მელა და ყურძენი,
დღეს ვთქვი,მორჩა დავამთავრო
ნერწყვი ვყლაპო შორით ცქერით.

ცოტა თაფლი გავურიე
და არაყი გადავკარი,
მომნათლავენ ლოთიაო
ვაი დედასა,ჩემი ბრალი.

მაგრამ სულაც არ მადარდებს
გრიპმა არ დამატყოს კვალი,
აბა სადამდე ვუყურო არაყს
მე ვარ იმერელი ქალი.

მე შენთან მოვალ

მე შენთან მოვალ გულში ჩაგიკრავ,
ისე, რომ შენს სულს არ შევეხები.
მე მჯერა შენი სულის სიწმინდის,
როგორც უკვდავი ვერხვის ფესვების.
მინდა ის გრძნობა გამოვაცოცხლო
რომელსაც სძინავს ორივეს გულში,
ამპარტავნობა ღუპავს სიყვარულს
მიტევებას რომ ზღუდავს,ხელს უშლის.
როცა შეცდომას არა ვპატიობთ
და ნუგეშს ვეძებთ ,,ვიღაცის" გულში,
ის ვიღაც ისე მალე გაქრება
ვითარც ყინული ზამთარში ურჩი.
ჩამობერტყვია ხეებს ფოთლები
მინდა რომ ფრთხილად შენს გულს შევეხო,
შეგინარჩუნო სულის სიწმინდე
მაკლიხარ ძლიერ, გთხოვ ისევ მენდო.

ბედის ბორბალი

ბედის ბორბალი ტრიალებს
გამექცა წლები...
გული შემომრჩა როგორც რკინა
ნერვები არა...
რამდენჯერ უნდა დამაჩოქო ნეტავ ვიცოდე
არ გეპუები ცხოვრებავ და არა და არა!
ვიცი,ვარდებით გზებს ვერავის ვერ მოგვიქარგავ,
არც ჩვენ ვცდილობთ სულ იოლი გზებით ვიაროთ.
მხოლოდ ერთს გთხოვთ ღვთისმშობელო
თუ დავეცემით,წამოდგომის დროს გვერდი
არასდროს არ აგვიარო.
ამ ცხოვრებას რაღაც ისე თუ ვერ გაუგე
დაგაჩოქებს იმ წუთში და მახეს დაგიგებს,
თუ შეგატყო შრომობ,წვალობ,წამსვე გსაშველობს
უნდა მან თავისი ხელი წამოგაშველოს.
ისედაც ხომ არაფერერია უსაშველო
გავიღიმოთ თავს ღიმილი წამოვაშველოთ,
მშრომელ კაცის დაილოცოს მუდამ მარჯვენა
ყველას ოჯახი დაგელოცოთ და გიდღეგრძელოთ.

კვლავ მოველ

ეზოს ვარდი ყვაოდა
შენს სახლის წინ მოვედი,
ფარდები ჩამოგეშვა
დაგეხურა გრძნობებიც.

როცა ერთად ვიყავით
სარკმელს ღიას ტოვებდი
გარეთ იცქირებოდი
მეც შენსკენ გამოვრბოდი.

მერე გაურკვევლობით
ერთურთში დავიკარგეთ,
ცალ-ცალკე უერთმანეთოდ
ცხოვრება ვერ მოვქარგეთ.

შენს ეზოში კვლავ მოველ
დახუნძლული გრძნობებით,
გამომხედე ძვირფასო
დავიღალე გოდებით.

მოვალ გულში ჩაგიკრავ
გაგაბრუებ კოცნებით,
მე სულ შენთან ვიყავი
ფიქრითა და ოცნებით.

ყურში ჩამიჩურჩულე
მიყვარხარ და გელოდი,
წლები რისთვის დავკარგეთ
ერთმანეთს თუ ვჩემობდით?...



ჩვეული რითმი

კვირა დღეა დროს ,,ვიპარავ"
ბუნებაში დავალ,
უცხო მხარეს ვეტრფი ყვავილს
სახლში სანამ წავალ.

იქ ბუნებას სხვა ხიბლი აქვს
სხვა იერი, ეშხი,
ყვავილები ბიბინებენ
წვიმაშიც და მზეშიც.

იქ ყვავილებს რომ დავკრიფავ
დედ-მამის საფლავს წავალ,
მათი საფლავი მენატრება
დარდიანი დავალ.

აქ დაკრეფილ ყვავილებს კი
მეგობრებად ვიხდი,
მოწყენის დროს მალაღებენ
და მეხსნება ტვირთი.

დღეს კვირაა არ ვისვენებ
მინდორ მინდორ დავალ
ეს თვეებიც გაიწელა
სამშობლოში წავალ.....



ცხოვრება ბრძოლაა

ცხოვრება ბრძოლაა
მიყვები წვალებით,
შანსს აძლევ შენს თავს
ბრძოლაში გადარჩე.

თუ არ შეერკინე
ყოველდღიურობას
მაშინ აზრი მითხარ
ამ ქვეყნად რომ დარჩე.

განცხრომით ცხოვრებას
სხვა პრობლემები აქვს,
თუ ერთხელ დაეცი
გიჭირს ფეხზე დადგე.

ვინც ცხოვრებას ებრძვის
დაცემა ვერ აშინებს,
იმედი აქვს თავის თავის
რომ ისევ გადარჩეს.

უძლური ყოველთვის
ხელს სხვასაც გაუწვდის,
თავის ლუკმასაც
გაუყოფს მიუფარს.

მაძღარს მშიერიც
მაძღარი ჰგონია,
გაჭირვებული გვერდით
არასდროს არ უყვარს.

მშრომელი საათის
ისრებს აკვირდება
მოასწროს ცხოვრებას
ბრძოლაში მოგება

თუ დააკვირდებით
მშრომელი ჯანზეა
და ვერ ეგუება
ზარმაცის ,,გაგებას"

ცხოვრება მშრომელ კაცს
ბევრ კარგ დღეებს ჩუქნის,
უფალის თვალშიაც
ყოველთვის მაღლდება.

სამშობლო

როცა ვწერ სიტყვა სამშობლოს
გული სიამით მევსება,
ხოტბა დიდებას მოვქარგავ
სულ იადონად,ლექსებად.

სამშობლო ორმაგად გვიყვარს
მონატრებით და გონებით,
სხვის კედლებს შეფარებული
ვსულდგმულობთ მისი ,,კონებით"

კონები მისი სიტურფის
ყველა კუთხე და კუნჭულის
გულში გვაქვს ფესვებ გადგმული
ფრთხილად ვატარებთ ჩვენ გულით.

ვხარობთ სამშობლოს კულტურით
მამა-პაპების წესებით,
ხშირად კი ეს სიხარული
გვინდა აღვწეროთ ლექსებით.

სამშობლოს ვერ შევადარებთ
ვერც ერთი ქვეყნის მთაგორებს,
მის მონატრებას ფიქრებში
როგორღაც გადავაგორებთ.

დაგიბრუნდებით სამშობლოვ
შენგან წასული შვილები,
მდგომარეობამ ქვეყნისამ
ყველა გაგვხადა გმირები...

როს დავბრუნდებით სამშობლოვ
გულში ჩაგიკრავთ გპირდებით,
შენც ფეხზე მყარად დაგვიხვდი
აღარ გაგექცეთ შვილები...

ზოგჯერ

ზოგჯერ მოგონებები
ფიქრის გორას დაგიწყობს,
ერთად გატარებულ დროს
კარტივით წინ გაგიწყობს.

ნუთუ იყო სიზმარი
თუთუ გამოცხადება
მეგობრად მონათვლა და
მერე არ აცხადება.

მე მაინც კარგზე ვფიქრობ
კარგ წუთზე და წამებზე,
ზოგჯერ სინანულის ცრემლი
მემჩნევა წამწამებზე.

დრო ისეთი მოკლეა
დროს დახარჯვა არცა ღირს,
წვრილმანებს უკან სდიო
ვისთანაც რომ არა ღირს.

ყველას ისე დავლოცავ
როგორც მე დამლოცავენ,
რაც მერგება მივიღო
ერთ-ურთს გულით ვლოცავდეთ.

მშვიდობის მტრედები

უნდა ვაფრინოთ მშვიდობის მტრედები
თავდებში უნდა დავდგეთ დედები!
იქნებ ჩამთავრდეს სულ ყველგან ომი!
აღარ ვიცხოვროთ შიშით და კრთომით.

მშვიდობა გვქონდეს მუდამ სიმბოლოთ
სისხლისღვრას ღმერთო! მოუღე ბოლო.
ეკრანზეც აღარ ენახოთ ომი
ამ ჩვენს პატარებს, დიდებსაც გვყოფნის...

მხოლოდ მშვიდობამ დაისადგუროს,
მწამს და ვიწამოთ ერთურთის ლოცით,
გადავარჩინოთ კაცობრიობა
ლაღად ვიცხოვროთ მოდგმიდან,მოდგმით.

შუაღამეა

შუაღამეა ძილი გამიტყდა
თანდათან მატულობს სევდა,
როგორ მაკლიხარ,როგორ მჭირდები
მიზეზი დარდის გაგანდო დედა.

სულ თვალწინ მიდგას შენი ღიმილი
ბევრჯერ თვალებში შენც გქონდა სევდა,
მაშინ მიზეზი მე არ ვიცოდი
ეხლა კი ვხვდები დედიკო,დედა.

დედა, ეს სიტყვა ძალზედ ტკბილია
აუწონელია დედის ალერსი,
დედის დალოცვას აქვს დიდი ძალა
შვილს რომ თან ახლავს შორეულ გზებშიც.

დედის სახეზე ჩნდება ნაოჭი
ხშირ შემთხვევაში ადრეულ წლებშიც,
შვილებზე დარდით ღამის თევაში
თანდათან ჩნდება ჭაღარაც თმებში.

სანამდის ცოცხლობს თქვენი დედიკო
ალერსიანი სიტყვა უთხარით,
ის ერთი სიტყვა, თუნდაც დედიკო
დედისთვის არის როგორც ნუგბარი.

* * *

ეხ რამდენი გამივლია გზები
ლამის ტვირთით ჩამომცვივდა მხრები,
მაგრამ გული მხნედ დამყვება ყველგან
და ცხოვრებასაც არ ვეპუები.

ღიმილს სახეს ვჩუქნი მაშინაც კი
როცა დარდისგან მთლად ვიქანცები,
ეხ ცხოვრებავ,რაც არ უნდა გამიჭირდეს
არ შევიმჩნევ და გაგიმკლავდები.

წლები ბლომად დამებერტყა მხრებზე,
წლები რაა,ციფრებია წლები,
დაბლა სვლას ხომ აღმა სვლა ცვლის გზებზე
არ მინდა ჯერ დამელიოს გზები...

ფიქრები შენზე

ღამის წყვდიადში შემომეჩვია
გულს კაეშანი,ფიქრები შენზე.
მეკი მეგონა გადაგივიწყე
ის ჩვენი წლები ავაწყვე სხვენზე.

გადავიკითხე ძველი ლექსები,
სიყვარულზე რომ შენზე დავწერე
რამდენჯერ დაგიხატე და
ეხლა ვიღიმი,ვხედავ ნაწერებს.

ვგრძნობ კაეშანი გამიქრა გულში
მე კვლავ დავბრუნდი ბავშვობის წლებში,
აღარასოდეს,ამ ძველ ნაწერებს
აღარ ავაწყობ,არასდროს სხვენში.

ეს სიყვარულის მოგონენებაა
გულის სიღრმიდან ამოძახილი,
ღამის წყვდიადმა კვლავ ჩამაფიქრა
თითქოს მომესმა შენი ძახილი...

ლია ალადაშვილი

* * *

ფიქრო, ჩემთან ხარ ყოველთვის,
თავს ხშირად დაგვთენებია,
ძილი არ ვიცით მე და შენ,
ბევრჯელ თვალს ცრემლი გვდენია.
მხოლოდ შენ იცი,რამდენჯერ,
გულს დარდი დაუძლევია,
ოცნება ჩვენი,საერთო,
იცი მამულის მთებია,
რომ მუდამ უნდა ხარობდეს,
დედა ღვთისმშობლის ერია,
და ყველა მისი მოკეთე
ძმა, მეგობარი ბევრია...
მე უფრო მტკივა ის მხარე,
სადაცა ახლა ომია,
უფალო შენ დაიფარე
ძმა, ებრაელი,ჩვენია,
ისრაელს მშვიდობა ჰქონდეს,
გამრავლდეს მისი ფესვია,
ძმებო ერთურთით ვიხაროთ....
არ გავაცინოთ მტერია!

კვლავაც იმრავლოს ქართველმა ერმა!

იყავი მუდამ ერის მხარეზე,
არ გადაგძალოს ოქრო და ვერცხლმა,
იყავი მუდამ თავისუფალი,
გიყვარდეს მხოლოდ ჯერ შენი ენა.
ჩემო მამულო,ღვთისმშობლის მხარევ,
და საფიცარო, შენთან ვართ ყველა,
ქვეყნად არ არის შენი ბადალი,
კვლავაც იმრავლოს ქართველმა ერმა!

მამულის ბედი მაწუხებს!

ტკივილით აღვსილი გული,
სუნთქავს გზას ნელა მიიკვლევს,
გზად მეწყერ ჩამომწოლია,
ბედო, კვლავ ხაფანგს რად მიგებ..

ტიალი წუთისოფელი,
სულში სევდას თან აღვივებს,
ტკივილი ვერ მოვიშორე,
მომავალი კი მაფიქრებს.

ვინ იცის ,კიდევ რა მელის,
ხვალ და ზეგ ან რა იქნება,
ფერი იცვალა მდინარემ.....,
დღეები ისევ ბინდდება.

ეს ქარიც გავეშებული....
თავში საშინლად მიბერავს,
ნაღვლიან წუთისოფელში,
ბინდისფერ კაბას ვიკერავ.

მამულის ბედი მაწუხებს ,
ამინდი აღარ მშვიდდება,
რომ დავჯდე მარტო ვიტირო
ქართველს ეს არ მომიხდება,

ისევ ვილოცებ დღე და ღამ,
უფალი ჩემტან იქნება ,
მამულს დაიცავს მტრისაგან,
მზე ისევ გამობრწყინდება!

* * *

შვილივით უტკბილესო,
ლექსის ბწკარებო,
ნიავნსაც არასდროს არ გაკარებო,
შენა ხარ ჩემი სულის წამალი,
ხარ შენ იმედი და მომავალი.
უფით მოვლენილო,
სიტყვავ,ლექსად თქმულო,
ბწკარო ,გულსა ჩემსა
ვარდად მოფენილო!

სამშობლოსათვის უნდა გიღირდეს!

უფალს მიენდე, ილოცე ისევ..
სიმართლის გზასაც მონახავ მყისვე,
გადაეღობე წინ დამხვდურ ქარებს,
სამშობლოსთვის უნდა გიღირდეს!

არ დათმო მიწის ერთი მტკაველიც,
კუბოს კარამდე დარდი არ მიმყვეს....
იბრძოლე ისე, თავიც გაწირე,
ეს,სამშობლოსთვის უნდა გიღირდეს!



გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული)

სამაჩაბლოში დრო გადის ნელა

სამაჩაბლოში დრო გადის ნელა,
თიღვის ტაძართან აღარ ისვრიან.
გათენებულა
და, თითქოს, ბნელა,
ბინდი კი არა,
დილის ნისლია.
მე მოვალ,
განა მარტო ნადიმებს,
კარვებსაც გავშლი ირგვლივ სრულებით.
და მაგ ველ-მინდვრებს,
მოვინადირებ,
თოფით კი არა,
სიყვარულებით.
აურას ავსებს იმედი მდგრადი
და სულშიც ჯიქურ შემოპარულა.
სამაჩაბლოში
დრო ნელა გადის
და იპარება ნისლი მალულად...

სამაჩაბლოში

წუხელ მესიზმრა, ცაში ვფრინავდი
ლაღად, ნარნარით, ფრთების გარეშე...
და აფრენიდან სისხამ დილამდე
გაზაფხულს ვკრეფდი მშობელ მხარეში.
მადლმოყრილ ლიახვ-ფრონის ხეობებს
შემოვუფრინე ათჯერ... ათასჯერ...
ხან ნიავიც რომ არ ირხეოდა,
ხანაც ბორიო ჰქმნიდა ცათამბრჯენს.
სიცოცხლეს აქ ხომ მარაგი არ აქვს,
თითქოს ზედ ძარღვზე დაუდგამთ ფეხი!..
„დამრტყმელი ძალა“ მოაკლდა ქალაქს,
გამოხშირულა სოფელში გლეხი.
…დრო იყო, როცა ჰყვაოდნენ დრონი,
შემორჩენილნი ხსოვნებს მალულად...
სამაჩაბლოში ქორონიკონი
დგას და სულს ღაფავს უსიყვარულოდ...

სამაჩაბლოს ქარები

სადღაც წვება უკუნი,
სადღაც წვიმა მოვიდა...
მაჩაბელის ბუბუნი
ექოს მოაქვს შორიდან.
დრო დაგრძელდა საკმაოდ,
დაგვიგრძელდა მანძილიც.
ვინძლო, ღმერთმა გვაკმაროს,
ხან- შფოთი და ხან- ძილი.
გაღვიძება გვჭირდება
მაღვიძარას მეთოდით.
ვიღაც ნამატს გვპირდება
კოტეთი და ქეთოთი.
განა მართლა ქარი ქრის,
ეს მაჩაბლის სუნთქვაა.
ქარი მეტრებს არ ითვლის,
ქარის ქროლვა სულ სხვაა.
მე ნიავსაც გავყვები,
ქარი ჰქვია მასაც კი.
გზაა ჩემი საკვები,
მეგზური კი- ასაკი.
სურნელი კვლავ ქარს მოაქვს
მარცვალსავსე მტევნების.
ეს სურვილს ჰგავს, ქმარს რო აქვს,
ქალზე ხელის შევლების...
მერე ქარმა სხვა მხრიდან
დაუბერა იმგვარად,
თითქოს ოსმა ჩამკიდა
და ძველ სატრფოს მიმგვარა.
მერე მასაც ვთხოვე და
ციხე ვნახეთ გომართის.
მის გარშემო მოედანს
წრე დავარტყი ჯომარდით.
გვერდით სხვები „ჟიპს“ ხდიდნენ,
„სიმდს“ ცეკვავდნენ სახალხოდ.
ჩოხის კალთებს იჭრიდნენ-
ოღონდ შენ ნუ წახვალო!..
მომატარეს ქარებმა
ყველა კუთხე- კუნჭული.
ვისაც არ ეზარება,
ძმობასა მთხოვს ჩურჩულით.
დრომ უჩემოდ იარა,
ჩამობერდნენ ალვები.
გულზე შემრჩა იარა,
სულში გაჩნდა გვალვები.
სამაჩაბლოს ქარი კი
დაჰქრის ისევ ნავარდით
და მაჩაბლის გვარივით
დავმშვიდდი და გავმაგრდი...
...ხვალე ქარი თუ ქროლვებს
დილით კვლავ განაახლებს,
ისევ შემოვუქროლებთ
სამაჩაბლოს სანახებს...

საქორწინო მოსაწვევი

შენ, მზეთამზიანო,
გონით საზრიანო,
სულით სამზიანო,
სიტყვათაფლიანო,
ღვთიურმადლიანო,
ორჯერადლიანო,
ბაგევარდიანო,
შვებავ ადრიანო,
ყაყაჩოვ ცვრიანო,
იღბლიანდღიანო,
ჰო, ბედიღბლიანო,
თუ ქუდბედიანო,
სიკეთევ მთლიანო,
შავგვრემანთმიანო,
შავთვალწარბიანო,
თლილყელნაკვთიანო,
სულისთქმავ მზიანო,
დინჯო და ჭკვიანო,
თვალებნამიანო,
ლალ-ზურმუხტიანო,
ტანად- საცქრიალო,
თვალად- სატრფიალო,
დედოფლად გპატიჟებ,
არ დააგვიანო!..

სამშობლოვ, ჩემო!

ხარ თავანკარა ენის სავანე,
უხვი, ვით ვაზი კარდანახული.
სიცოცხლე, გზად რომ ამსხვრევს სამანებს,
მხოლოდ შენთვის მაქვს გადანახული.
ჰოდა, იმასაც მოგართმევ, ფეშქაშ!
ვით ქალს-სისხამზე დაკრეფილ ვარდებს.

ნატვრა კვლავ სულში ძალუმად ფეთქავს:
„ნიკოფსიიდან-დარუბანდამდე!"
ნატვრისთვის, კიდევ, ჯერ არსად სჯიან...
კვლავ გაბრწყინდება ოლიმპი შენი.
გიხილავთ მთლიანს, და, არც მთლად გვიან,
შარავანდედად „სამება" გშვენის.
თბილ ეპითეტებს შენთვის ვაქუჩებ,
შენზე ლექსს გასდევს აურა წმინდა.
ღმერთმა სიცოცხლე შენთვის მაჩუქა,
ინებე იგი,
როდესაც გინდა!..

სამშობლოს

უკეთ ვითა სთქვან სიტყვებმან ჩემმან,
რაიც გიწოდა ქართულმა გენმა.
ჩემი გონიც ხარ და მაჯის ცემაც,
ნატვრაც ხარ, დარდიც და სულის გვემაც.
სამშობლოვ, მშობლის სწორო და ზემოვ,
საფიცარო და ღვთაებავ ჩემო!
სიცოცხლეს შენით უტკბება გემო,
ნეტარებასაც შენს გამო ვჩემობ.
მრავალგზის ბოღმას და ღვარძლს გსვრის მტერი,
მადლობა უფალს, ქარს მიაქვს მტვერი.
ნათდება... ბრწყინავს „სამების" წვერი...
დგას შენი ჯერი!..
... შორს ვიღაც მღერის...

საქორწინო სადღეგრძელო

(ვუძღვნი ია და დათო პაპიძეების ჯვრისწერას)

თქვენ .

ჩემო ქართველებო,
მოდგმით_საჯიშენო:
მირიან,
გიორგი,
ირაკლი,
დავით!
ოცნების საქართველო
უნდა ამიშენოთ
ლოცვად გადაგებულ
გულით და თავით.
მხრებზე გვემსხვრეოდა
ათასი ქარტეხილი,
ნუგეშს არ ვპოვებდით
ოხვრით და ვიშით
ვერასდროს ვერ გვიხილეს
რწმენაგატეხილი,_
ჩვენ ხომ დარდის მოკვლაც
სიმღერით ვიცით.

ზღვა გულთა კავშირები
და შეტად გამრავლება,
ოჯახის სიმტკიცე,
სიმტკიცე_ფიცის.
ხშირად დავუშლივართ
მტერს მარტივ მამრავლებად,
მაინც ვერ აღგვგავეს
პირისგან მიწის.
მეტი ქორწილები
ვისთვის ლახვარია,
ვისთვის გადარჩენის მაგვარი რამე.
განთიადს ველოდებით
ხედავთ,
რა ხანია,
ძალზე გაგვიგრძელდა აშარი ღამე.
მწამს, ჩვენი ერთმორწმუნეც
მალე განათლდება,
მჯერა,
მოარჯულებს რუსს უფლის კვერთხი.
ჩემი საქართველო
უცილოდ განათდება
ციური ნათელით
ღვთისმშობლის
ჩემი საქართველო
უცილოდ განათდება
ციური ნათელით
ღვთისმშობლის
ფერხთით.
დრო აღარც კი გვიტოვებს
ქართველებს არჩევანს,
მტერი ჯიქურ გვიტევს.
აელვებს ფარ-ხმალს...
ამდენ ხანს რომ არ ფიქრობ
შვილების გაჩენას,
ვინ ხარ,
მარტოსულო,
ქართველი არ ხარ?
გვინდა კი სამშობლო
არ ერქვას რაჭას, სვანეთს,
სხვა ფერი დაჰკრავდეს
რიონს და ხრამულს?
ეულად რომ დახვალ,
გონს ძალა დაატანე.
ნუ ართმევ მომავალს
ქვეყანას,
მამულს.
წარსულში ფესვგადგმული
უთუოდ სჭირდება
აწმყოს და მყოობადს
ბებიაც, ბაბუც.
მაგრამ ჩვენს გადარჩენას
და ხვალის დიდებას-
შვილების გაჩენას ახსენით ტაბუ!
გამრავლდით,
იხარეთ ერისთვის
ია-დავით,
ირინა-მირიან,
ზეზვა და
მზია!
მოედვეთ ქვეყანას ვარდსა და
იასავით,
გისურვებთ
მომავალს
ნათელს და
მზიანს.

სამი დღე,რომელმაც შეძრა ჩემი სამშობლო

(ვუშინ თბილისში ერთი დღით თოვდა... -ავტ.)

–როგორ ჩანს, თუნდაც, ერთი დღით თოვა?!.
–როგორც უტყეოდ მოჩანს აფთარი!..
უფრორე მოჰგავს უცრემლო გლოვას,-
დალახვროს ღმერთმა მსგავსი ზამთარი!
... და მაინც, ყველა დღე მიყოფს ახლა
აგვისტოს სამ დღეს, მსხვერპლით მოფენილს,
რომელსაც მართლა კოშმარი ახლდა,
რომელმაც შთანთქა ჩემი სოფელი...

(ეს 2015 წლის თებერვალში თოვდა ერთი დღით ლამაზი ფიფქები, 2008 წლის აგვისტოში კი სამი დღის მანძილზე სასიკვდილო ტყვიები „ეკვათოვდა"!)

ლამზირა შეყილაძე

ვიცი, წამია წუთისოფელი

სიცოცხლევ ჩემო! რად ეძებ მიზეზს,
ასეთი ჩვევა ნეტავ რადა გაქვს?
მოხვალ, მომიტან უამრავ იმედს,
წახვალ და ჩემი სიცოცხლე მიგაქვს.
მაოცებს შენი დროის ტრიალი,
სიცოცხლეს იწყებ დასასრულიდან...
შენ გაშლილი გაქვს ფრთები მზიანი,
მე კი წარმტაცე სითბო გულიდან.
ასე მგონია ეს ყოველივე,
ხან ოცნებაა, ხანაც სიზმარი,
ვიცი, წამია წუთისოფელი...
და დამშლის დარდი, ვითარც ფიქალი.

ცისა და მიწის მანათობელი

ვინა სთქვა ნეტავ, ცივია მთვარე?
უგულო არის კაჟი ქვასავით.
მაშ რად შეჰყურებს იმედით ღამე,
რატომ უღელავს გული ზღვასავით.
თუ ცივი არის და უკარება,
მაშ მთელი ღამით რატომ გვდარაჯობს.
როდესაც ღრუბელს მიეფარება,
მისი წყურვილი კვლავ რატომ გვახრჩობს?
კრთის და ელვარებს ლაჟვარდებიდან,
გრძნეულ თვალებით შუქის მთოველი.
გადმოთანთქარებს ზეცის უბიდან,
ცისა და მიწის მანათობელი.
ვინა სთქვა ნეტავ, ცივია მთვარე,
ან უჩვეულოდ არის მაცდური.
მაშ რად ივსება ნათელით ღამე,
რად იცის მთვარემ ჩვენი წარსული...

სიკვდილსაც უნდა შევხვდე ღირსებით

უცნაურ სენით ვარ შეპყრობილი,
და გამიჩინა თმაში ჭაღარა.
რაც არ მიყვარს და რასაც ვერ ვიტან,
ვდარდობ რომ მიწევს იმის ატანა.
დაუნდობელი წუთისოფელი,
ყოველდღე ცრემლით მიტბორავს თვალებს,
თვალხილული და კაეშნურ ძილით,
ვგევარ ჯალათთა ნაგვემ-ნაწამებს...
მახრჩობს ავ ყოფის ცრუთა ჭაობი,
ვერ ვიტან შურს და ვერ ვიტან ღალატს.
სიმართლისათვის, ერთგულებისთვის,
ვარდების ნაცვლად მესვრიან ტალახს.
ვის ეკითხება ჩემი ცხოვრება,
ჩემს ჩანაფიქრსაც მყისვე მისნობენ...
მე ჩემი თავი თავად ვერ ვიცან,
ისინი, ნეტავ, როგორ მიცნობენ.
არაფრად მიღირს ასეთი ყოფა,
თუ არ ვიცხოვრებ ჩემი მიზნებით.
თვით სიკვდილისაც არ მეშინია,
სიკვდილსაც უნდა შევხვდე ღირსებით!

ო, როგორ მინდა

ხანდახან მინდა შეშლილი ვიყო,
ისეთი, როგორც გიჟი მარტია,
ქარის სიმძიმეს უღრანში წავყვე,
და გაზაფხულის მეცვას მანტია.
ნეტავი ვიყო დილა მზიანი,
ჩამომჩქეფარე ლურჯი ზეციდან.
გულზე მეფინოს ფოთოლთ შრიალი,
მოვკვდე და აღვსგდე ისევ ფერფლიდან...
ხანდახან მინდა, ვიყო ზღაპარი,
ან თუნდაც ვარდზე მბრწყინავი ცვარი,
მინდა რომ ვიყო თეთრი ტაძარი,
ყველას ტკივილის თავშესაფარი.
მინდა რომ ვიყო, ხანდახან გიჟი,
გადავიფხრიწო თავზე ნისლები,
ძარღვებში რბოდეს ცისფერი სისხლი,
სპეტაკი ვიყო, როგორც ფიფქები.
ო, როგორ მინდა, ვიყო ნათება,
სიცოცხლესავით მჩქეფარე წყარო...
მინდა რომ ვიყო ცა ლურჯთვალება,
რომ ჩემს სამშობლოს გულს ვუმკურნალო.

მუზის ხმაური

მსურს შევიმეცნო სიცოცხლის ფასი,
უმწყურვალესი შევსვა სურვილი...
მუზის ნაჟურით ამივსეთ თასი,
რომ დავიოკო ლექსით წყურვილი.
სიცოცხლის გემო შევიგრძნო ლექსით,
შემიზანზაროს ლექსმა სხეული...
და გულს მდაგავდეს მარადი ცეცხლი,
მარადი ცეცხლი გადარეული.
ამივსეთ თასი ლექსის ნაჟურით,
რომ ლექსით შევსვა ზღვა საზღაური...
მინდა სიცოცხლე ვიგემო ლექსით,
ლექსში ჩავტიო გულის ხმაური.

დედა ენა

დედა ენა და ქართული სული,
შემოუნახავთ დღემდის წინაპრებს.
ღვთიური სიტყვა, მირონცხებული,
დასაბამიდან გზა-კვალს გვილამპრებს.
დედაო ენავ! სულო დიადო,
ზე-ღვთაებრივი შუქით დაგვნათი.
ქართველთა ერის საგანთიადოდ,
გვესაკმევლები კვარი სულმნათი.
შენა ხარ ჩვენი ამაყი სული,
ჩვენი გულების წმინდა კანდელი,
დიდი საუნჯე, მრავალძარღვული,
დედის ნანა და მზე პირნათელი.
წმინდა ლაზარე, მკვდრეთით აღმდგარო,
რა ქარტეხილი გამოიარე.
ასომთავრულო, ზე-აღმართულო,
გონების თვალი გაგვიმზიანე.
ღრმა წარსულიდან მოედინება,
სიტყვა ღვთისა და ენა ქართული.
სამყაროს შუქად მოეფინება,
ათი ათვლა და ასომთავრული.
კოსმიურ მთებში ამოდ შრიალებს
ღვთიური ენა მრავალხმიანი...
მარადისობის წრეზე ტრიალებს,
ღმერთების ენა, მზისებრსვიანი.
მალე დაჰბერავს მეორედ მოსვლის,
მკვდრეთით აღდგომის საკმევლის სიო...
ღმერთისგან რჩეულ ქართული ენით,
ამეტყველდება მთელი მსოფლიო.
❤

მზეო მარიამ

„დედაო ღვთისა, მზეო მარიამ“

იესოს შობით ხომ გაგვახარე.
ქვეყნად არსობა მიჭირს ძალიან,
გთხოვ, შენი კალთა გადმომაფარე.
დედამიწაზე ზღვა ქაოსია.
შური, მტრობა და ძალა დამძლევი.
შენ რომ არ იყო ჩემში, დედაო,
ნეტავი ქვეყნად როგორ გავძლებდი.
წრფელი ცრემლები გულში ჩავღვარე,
სული ამევსო წმინდა ლოცვითა.
მითხარ, დიადო, ხომ არ დაგღალე,
ჟამსაწუთროში ჩემი ყოფნითა?
დედაო ღვთისა, წმინდა ქალწულო,
უმზეოდ ყოფნა მიჭირს ძალიან,
ჩემი ცოდვები, გთხოვ, მაპატიო,
“დედაო ღვთისა, მზეო მარიამ!”

იწვის აგონია

ახლა, შუაღამის მკენწლავს ჩუმი დარდი,
მთვარემ გადმომხედა რაღაც გაფითრებით.
ასე უსაშველოდ რატომ შემიყვარდი,
რატომ მენატრები ასე გაგიჟებით.
შენი სიყვარულით ღამე გადავღალე,
ცხადი თუ სიზმარი მგონი ამერია,
ცათა ბილიკები ფიქრით მოვიარე,
შენი მონატრების ჟინმა გადამრია.
გულში შენანთები ცეცხლით ვიფერფლები,
მაკრთობს შემოდგომის ჩუმი ფოთოლცვენა.
ზღვის შმაგ ტალღებივით ფიქრებს ვეხეთქები,
შენ ერთს შეგიძლია ჩემი გადარჩენა.
,,ახლა შუაღამის იწვის აგონია“,
გული იფერფლება გრძნობაშენანთები.
შენაოცნებები სიზმრებს გაჰყოლია,
ურჩი სიყვარულის ცეცხლში ვიფერფლები.

მაია ქასრაშვილი

წუთისოფელო

მითხარ შენ წუთისოფელო,
რად ერჩი ასე ღარიბ ხალხს,
მათაც აჩუქე ღიმილი,
გაუხალისე ცხოვრება.
ჩახედე ღარიბს თვალებში,
სული სტკივათ და აწუხებთ,
სიკეთით სავსე თვალები,
არასდროს არ მოგატყვილებს.
შეჩერდი წუთისოფელო,
მათაც სიცოცხლე სწყურიათ,
მათი ნატანჯი ცხოვრება,
შენს მოფერებას ელიან.
ნეტავ რა ცოდვა აქვთ ასეთი,
როდემდე უნდა იტანჯონ,
მათ ხომ სულ ცოტაც ეყოფა,
ბედნიერება რომ დაინახო.
ღმერთო წუხილი გააქრე
და ჩაურაზე კარები,
მხოლოდ სიკეთეს გაუღე,
ფართოდ გაუღე კარები...

მამას♡

დღეს შენი მონატრება ძლიერ მომეძალა,
სულ შენს ფიქრებში ვარ მამა,
ისე მენატრები, ისე მენატრები,
სული ამიფორიაქე მამა.
ძლიერ მომენატრა შენი მოფერება,
მინდა გულზე მიხუტებდე მამა,
შენს მუხლზე ჩამოჯდომა მინდა,
და შენ მეფერებოდე მამა.
გახსოვს მეუბნებოდი,
შენ ჩემი პატარა გოგო ხარო,
ჩემი ლამაზიო მამა,
ხელში აყვანილი, გულზე მიხუტებულს,
როგორ ტკბილად მიხუტებდი მამა.
შენ ჩემი ძლიერი გოგო ხარო,
ჩემი საამაყო შვილი,
ის პატარა გოგო ძალიან ამაყობდა,
მე რომ შენი შვილი მერქვა მამა.
ახლაც მახსოვს შენი ფეხის ხმა,
შენი სურნელება მამა,
შენ ჩემი საამაყო მამიკო ხარ,
და მე შენით ვამაყობდი მამა.
თოვლში სხვების ნაფეხურებიდან,
მე შენს ნაფეხურებს, უცებ ამოვიცნობდი მამა,
სახლში ბედნიერი ვბრუნდებოდი,
ვიცოდი რომ მე შენ დამხვდებოდი მამა.
იცი, მე შენ დაგემსგავსე,
შენი ხასიათი დამყვა,
შენი სიყვარული, შენი ერთგულება,
ყველაფერი ჩემში არის ახლა,
წლებმა გაირბინა, მეც გავიზარდე,
შენი პატარა გოგო, დიდი გოგოა მამა,
თმაში ჭაღარა შემოერია,
დღეს ის ძლიერი ქალია მამა,
მაშინ ვერ გითხარი რაც მინდოდა მეთქვა,
ძალიან,ძალიან მომენატრე მამა,
ახლა გეტყვი სიამაყით,
რომ ძალიან მიყვარხარ და მენატრები,
მე შენ გენაცვალე მამა.

უცხო ქალი

ქალი ზღვის პირას დგას,
სევდით გაჰყურებას ზღვას,
ოცნების ლაბირინთებში,
წარსული აგონებს თავს.
წლები წარსულად ქცეული,
ლამაზ სიზმრებსა გავს,
ზღვის პირას მდგარი ქალი,
ქვის ქანდაკებას გავს.
ქალის ქანდაკებას ტალღები,
სახეს უსველებს მას,
ქანდაკებად ქცეული ქალი,
უსასრულობას გავს.
ქალი ზღვის პირას დგას,
ოცნებობს ნეტავ რას,
ჩამავალი მზის სხივებით,
ნატვრას უგზავნის სხვას.

ჩვენი ცხოვრება

ჩვენი ცხოვრება გამოცდაა მეგობარო,
ყველამ უნდა ჩავაბაროთ იცოდე,
ბევრი რამ შეგხვდება ცხოვრების გზაზე,
მაგრამ არ უნდა შეგეშინდეს იცოდე.
არავინ ვიცით ცხოვრება რა გზებით გვატარებს,
მაგრამ ჩათვალე, გამოცდას აბარებ იცოდე,
ზოგი ამბობს რომ ცხოვრება ბედიაო,
არა მეგობარო, გამოცდას გიტარებს ცხოვრება იცოდე.
ბევრი დაბრკოლება შეგხვდება ცხოვრების გზაზე,
შენ კი სიყვარულის გზით იარე,
სიკეთის გზა აირჩიე მეგობარო,
ბოროტებას კარები ჩაუკეტე იცოდე.
დროზე იფიქრე, წამზომი ჩართულია,
ჩვენთვის დრო ძვირფასია იცოდე,
გულში მხოლოდ სიყვარული შემოუშვი,
სიყვარული გადაგარჩენს იცოდე.
ბოროტებამ თავისი გზით იაროს,
შენ სიყვარულის გზები გაქვს სავლელი,
ხომ იცი, სიყვარულის გასაღები ყველა კარებს აღებს,
და უფალთან წარსდგები ნათელი.

სულმა გაშალა ფრთები

სულმა გაშალა ფრთები,
ნავარდობს ცაში ახლა,
ჩიტებთან ერთად ისიც,
ბედნიერებას ხატავს.
ეალერსება ირგვლივ,
სამშობლოს ცას და მიწას,
ყვავილებს მინდვრად გაშლილს,
მშობლიურს რასაც ხედავს.
სიხარულს ვეღარ მალავს,
მონატრებული სული,
მისია იცის ირგვლივ,
რასაც ხედავს და ეტრფის.
აღარ იდარდებს უკვე,
აღარ იტირებს ვფიცავ,
ეს სამშობლოა მისი,
და მე სიცოცხლეს ვფიცავ.
სამშობლო სამოთხეა,
ჯვარით ხელში აღმართული,
ამაყი უძლეველი,
და საფიცარი მისი.

აღარ ვარ ნაწყენი

ცხოვრებამ ბევრი რამ მასწავლა,
არა, აღარ ვარ ნაწყენი,
მაგრამ მე ნელ-ნელა შორს წავალ,
წავალ და სულ დავიკარგები.
ვიცი მოვა დრო ისევ,
მე შევძლებ და ფეხზე დავდგები,
წადი, შენ წასვლა თუ გინდა,
მართლა არა ვარ ნაწყენი.
შენ შენი გზებით იარე,
მე ჩემი გზა მაქვს სავლელი,
ვცდილობდი გული არ გტკენოდა,
ბოლოს მე დავრჩი ნატკენი.
გავა დრო ალბათ ოდესმე,
ისევ შევხვდებით ერთმანეთს,
არც მაშინ გკითხავ არაფერს,
გზას ისევ ნელ-ნელა გავყვები.
დრონი წავლენ და წამოვლენ,
წვიმაც თან წაშლის ნაკვალევს,
მთა-მთას შეხვდება, ბარი-ბარს,
ჩვენ თითქოს, ორი უცნობი ერთმანეთს.

სიყვარულის ღმერთო

სიყვარული დამეკარგა სად ვიპოვო
ღმერთო,
დამეხმარე, მაპოვნინე, გზა მასწავლე შეგთხოვ,
არასოდეს არ დამტოვო, გევედრები ერთსო,
სიყვარული არასოდეს არ მოშალო ღმერთო.
მინდა მყავდე სულში ახლოს, ჩამისახლდე მეცო,
შენს გარეშე როგორ გავძლო სიყვარულის ღმერთო,
განა შესძლებს უშენობას, ეს სამყარო დღესო,
შენ ხომ ჩვენი მკურნალი ხარ,
ჩვენო ერთადერთო.
გეხვეწები დამიბრუნდი, სანამ გავქრი მეცო,
არასოდეს არ დამთავრდე ჩვენო ერთადერთო,
მენატრები, ყველგან გეძებ, შენ გნატრულობ მეცო,
მინდა გულში ჩასახლებულს, გიხუტებდე მეცო.
სიყვარულო დამიბრუნდი, სად ვეძებო ღმერთო,
დამეხმარე მაპოვნინე, გზა მასწავლე შეგთხოვ,
შენთან ერთად ჩახუტებულს, ვლოცულობდე მეცო,
და სამყაროს ერთად ლოცვით,
გადავარჩენთ ჩვენცო.

ველური ვარდები

მე თეთრ კლავიშებს მოვრთავ მთლიანად ველური ვარდებით,
და ავამღერებ ნოტებს ტკბილად, მაგრამ სევდიანს,
და თუ თვალებს ისევ ისე მოსწყდება ცრემლი,
ეს ცრემლი იქნება, რომელსაც მონატრების ცრემლები ჰქვია.
ვარდებიც უცებ გაიფურჩქნებიან, აყვავდებიან,
თვალებს მოსწყდება ცრემლი ტკივილის და მონატრების,
ცრემლი იქნება შორეულ ნატვრის, შორეულ ლანდის,
ნოტებიც სევდით, ძალიან ნაზად ამღერდებიან.
ვარდებთან ერთად მეც ლამაზ ზღაპარს დავემსგავსები,
ჩემი ცრემლები მოწყვეტილნი დაეცემიან კლავიშებს ფრთხილად,
ზოგჯერ ეს ღიმილი, ეს ღიმილი იქნება ცრემლებით სავსე,
მაგრამ ყველაფერი, ეს ყველაფერი იქნება გვიან.
მეც დავემსგავსები მომღერალ ჩიტებს წვიმიან ტყეში,
ჩიტებთან ერთად მეც ვიცეკვებ ვალს სევდიანს,
დროც ასე გავა და თეთრ კლავიშებთან მომღერალი უცნობი ქალი,
დაღლილი თითებით და მონატრებით,
მაგრამ ყველაფერი იქნება გვიან.
ამღერდებიან წვიმიან ტყეში ჩიტები ისევ,
და მეც დავემსგავსები წვიმიან ტყეში იმ ველურ ვარდებს,
თეთრი კლავიშებიც ამღერდებიან მონატრების ხმით,
და ეს ყველაფერი, ეს ყველაფერი იქნება გვიან.

"სიყვარულის ზღაპარი"

რა ლამაზია დღეს საღამო მშვიდი და წყნარი,
მივყვები გზას და მეგზურად მომდეს მე მთვარე მშვიდი,
ვარსკვლავებს ისე ლამაზად მოუქარგავთ კაბა ცის თავზე,
ალბათ პატარძალს უმზადებენ ქორწილის ღამეს.

სიჩუმეში ისმის მუსიკა ლამაზი, მშვიდი,
მთვარის შუქზე ზღვა ალივლივებს ტალღღებს ვერცხლისფერს,
ზღაპარს ჰგავს ეს ყველაფერი, ჯადოსნურ ზღაპარს,
რა ლამაზად ეფერებიან ერთმანეთს, ცა, ვარსკვლავები, ღრუბლები ზღვაზე.

ისე ლამაზად ატკბობს მუსიკა რომანტიკული,
თითებით ვიღაც შეეხო, თეთრ კლავიშებს ნაზად, ლამაზად,
ვიოლინოს ხმა ეფერება სიყვარულით კლავიშებს თითქოს,
ყვავილები კი სიყვარულით თავს უხრიან ამ ლამაზ ზღაპარს.

ილია ჭკადუა

წინ მხედარო

წინ, მხედარო! გაუსწარი საუკუნეს!
გააჭენე ბედაური სანუკვარი,
შავ-ბნელ ღამეს მწუხარება დაუბრუნე,
რომ მივიღოთ ბუნებისგან საჩუქარი.
წინ, მხედარო, სანამ მიწა გაფითრდება,
სანამ ლექსი სასთუმალთან ჩაიმუხლებს,
სანამ გულში ჩაიბუდებს ჩაფიქრება,
სანამ სისხლი გაჩერდება და მიმუხთლებს...
ხედავ, იწვის ვარდისფერი დედამიწა
და მოგვტირის უხსოვარი დედის გული,
„დაფარულმა უჩინოსა“ შემამიწა,
ჩანს, სიცოცხლით იზეიმებს "ხე" დარგული.
და წაჰყვება სიმარტოვეს მოპარული,
ფარულ ძალებს, ზეციურის გაშვილება
და დადგება წამი ჟამით მონატრული,
სიყვარულით სამყაროს წინ გაშიშვლება.
წინ, მხედარო, თორემ ამ გულს ვეწირები,
ამიმხედრე სულში მადლი განაბზარი,
წინ მხედავსა გასაფრენად ვეძვირები,
ჩანს პოეტის სისხლისფერი თანამგზავრი.
რადგან ღამე უკუნეთში წვავს სინათლეს,
ცხელი მთვარე ციალდება სანიშნესთან,
დედამიწას სიყვარული გაანათებს,
წუთისოფელს ჩემი სული ანიშნეს თან...
დასრულდება სიბნელესთან თანადგომა
და მომიხმობს სინათლისკენ სრულქმნილება,
გაიგებენ ღმერთკაცისას კაცთა მოდგმა,
გადარჩება კაცში სულის უკვდავება.

უცვლელი ხაზი

ძალიან მალე ატყდება თოვა,
ძალიან მალე მიპოვნის ცოლი!
გაზაფხული რომ სურნელით მოვა,
სილაჟვარდეს რომ გავიყოფთ ორნი!
იფრქვევა ნუშის ყვავილთა ხოტბა,
მღერის ნანატრი ობოლი ვაზი!
იზრდება დილა — სიმშვიდის ნოტა,
გაილტვის ცაზე უცვლელი ხაზი.

ერთი ქოხი

სადმე ერთი ქოხი მინდა,
სადმე, გამორჩეულ ტყეში,
წვიმას ვასხურებდი მინას,
ლექსებს ვამღერებდი თქეშში.
ოთახს მოვაფენდი ხალასს,
სევდას გავუმხელდი ხეებს,
ირმებს დავუფენდი ბალახს,
ფრინველთ დავუთბობდი სველ ფრთებს.
სადმე შენი სუნთქვა მინდა,
გულის ნაწვიმართან გიცდი,
ბილიკს დაგახვედრებ წმინდას,
ჩემსკენ მომავალი ხიდით.

მთვარესავით

ერთი სანთელი
და ერთი ლოცვა,
ხარ მთვარესავით
გამოსაჩენი,
ვით თოვლის გუნდა,
ლექსი და ბოდვა,
გამომედევნა
შენი სახელი.
ვერსად დავმალე
ჩვენი სიმართლე,
ვით ალვის ტოტი
ცად ავარდნილი,
მიყვარს ჰაერი,
სად შენი სუნთქვა,
ჩემს სუნთქვაშია
გადმობარდნილი..

ჰოი, ღამეო

ჰოი, ღამეო, შენს სასთუმალს რარიგ ველოდი,
რარიგ ავსებდა გულს მხურვალე შენი ზმანება,
რომ მე გრძნობებში გარინდებულ ფიქრთ მივყვებოდი,
რომ ობლობისგან ჩემი მძიმე სული დამეხსნა.

განმიმარტოვეს იმედებმა ციურ სიღრმეში,
ნაცნობი სიო მოჰყვებოდა სულის სამებას,
მწუხრის პირმშონი ეშვებოდნენ სამთა მღვიმეში,
გადაღლილები ცის ხატებთან ცლიდნენ წამებას.

ვრგავ დროის ნარგავს, სტროფებს ფოთლად შლიან გმირები,
თითქოს ცხოვრება მზის მარცვლებში უცხოს ათბობს თან
გულის ვარსკვლავო, ერთადერთო, რატომ მიქრები?
გზას რად მინათებ, თუ არ მათბობ მთვარის მნათობთან?

შენი სიცოცხლით ღამის მზეო, ლექსში მიშველი,
ჩემსა ნათებას გაატარებ სულის ამბარებს,
მე ისევ ძალმიძს დავინახო ნათელი ბნელში
და ჩავასვენო მრუმე ღამე ცოდვილ სამარეს.

ჰოი, ღამეო, ხარ მცნობელი დარდთა სათავის,
უთქმელი გიმძიმს და არ ძალგიძმს ენაკალმობა,
არავინ იცის რამდენ ტკივილს ძლევდი მარადის,
რომ შეგძლებოდა, ვით აღდგომა, სიტყვის ამოთქმა.

ჩემს თვალებს უჭვრეტ, ვიცი მხოლოდ სევდა გწყურია,
პირმშო განთიადს ვერ იცილებ, მზის სწორს საწოლში,
მიღმიერია გულს რომ ათოვს, ზეცის ფურია
და მეც ტაძრის კაცს ღვთისმშობლიურს ვხედავ სალოსში.

ჰოი, ღამეო, მწუხრისფერი გაკრავს გულმკერდზე,
შიშველ სხეულზე იფოთლება განცდა-წვალება,
ჩემსავით, შენც ხარ მომლოდინე წყვილ რაშთ უმზერდე,
მსურს გადავლახოთ და განვაგდოთ გარდაცვალება.

კვნესა-ვარამი, ცრემლის არსი წყდება შობიდან,
შენ, კვლავ შიშველი, ტანჯულ სივრცეს ისევ შეები
და გულმოკლული, მზის ჩასვლისას ჩემთან მოდიხარ,
რომ მომაყარო აკრეფილი შავი ეშვები.

ისმის ჩურჩული, ლექსში ვნება, ქარი შრიალებს,
სხივით გავსებულ ვაზის ტოტებს მოსდევს ქარლილი,
ის ცრემლუშრობი ცის მგოსანი მთვარეს მიაგნებს,
ნათელს რომ ლამობს, უმზო ღამეს, ლოცვით დაღლილი.

მიქრის და მღერის მარტოსული ჩემი სიმართლე,
წამით ეხვევა ჩუმ ამბორით გული ნატერფალს
და როცა გულში განთიადი სულს გამინათებს,
ღამის სონატა სიყვარულით კვირტებს დახეთქავს.

ლექსის წერა

ნეტავ რას მომცემს მე ლექსის წერა,
ფოფინა ჩრდილქვეშ ცეცხლი ნაწვიმი,
გულს რომ მიღვიძებს და სულს ეწევა,
დაუდგრომელი ლაღი არწივი!
ნეტავ რას მომცემს ეს გაზაფხული?
ყვავილთა სურნელს ლოთად ვექციე,
ცა მიწის რომანსს, მე – დაზაფრული,
მივყვები ორ გზის შორის ზეციერს.
ორ ცეცხლ შუა ვარ, ლექსები მშველის,
მზის სუნთქვა მესმის ღამის მაჯებზე,
მე ვწერე სული, სიო კი მელტვის
და მტოვებს ლექსად დროის სარკმელზე.

ჯამბაზის მონოლოგი

ამ ერთსაც მოვწევ და ამ თასსაც გამოვცლი,
არასდროს მჩვევია დარდებში ჩახრჩობა,
მოვრჩები მონოლოგს, წამების გამოთვლით,
ხომ მაინც წუთია ეს ახალგაზრდობა?!

მზე მოსწყდა ნაპირებს, სხივები დამცილდა,
დამცილდნენ გულები, დამტვრეულ ნერვებით,
დავეძებ დასაყრდენს და გულიც ატირდა,
ბახუსის მონა ვარ, ჩემს სახეს ვეცლები.

გრძნობები სწორია, გზები – არეული,
მინდა, ეს ფიქრებიც ბურუსმა არიოს
და მერე მოვიდეს სიგიჟე წყეული,
ჰო, გიჟი შევხვდები მყვირალა ალიონს!

ღამით ნასიზმრალი დილითვე ამიხდა,
გულით და გონებით ბურუსში ჩავეშვი,
ოცნება ერთ წუთში ხელებში ჩამიდნა,
წყეულო სიფხიზლევ, რა გინდა? გამეშვი!

ცხოვრება შოუა, უნიჭო სპექტაკლი,
მე ცხადში ნიღაბი ვერაფრით მოვირგე,
არ მინდა წავაგო ნაქონი მორალი,
მივმართე ბახუსს და სიზმარი მოვიგე.

არ მომწონს მე თქვენი ფხიზელი ვნებები,
მე ჩემი სცენარი აქ უკვე დავფლითე !
სად არის, სად გაქრნენ წყეული გზნებები?
ვერ ვხედავ... არ არის, თუ სადმე გავცვითე?

ამ ერთსაც მოვწევ და ამ თასსაც გამოვცლი,
სიფრთხილით ვაუწყებ სიტყვებსაც მუნ ლოგოსს,
ახლავე, ახლავე, ახლავე გადავთვლი
წუთებს და... მოვრჩები სევდიან მონოლოგს!

* * *

კვამლი, ღამე და მუსიკა,
სულის ნაღვენთი სტროფებში...
ცხოვრება — დიდი მისტიკა
და მშვიდი წამი ნოტებში.

* * *

ღამით მოხატულა მტკვარი მელომანის,
შედევრს მიუყვება ფიქრი ასწლოვანი,
მღერის მედუდუკე დარდზე ფიროსმანის,
გულებს კვლავ გაუშლის თბილისს ხელოვანი.

ლიანა ჯანეზაშვილი

რიყე

რიყეს ჩავუყევი, ფლატეს დავუყევი,
ყლისპირს ავუყევი,
ფიქრებს გავუყევი და ოცნებებს გავერიყე.
რომ არ გავებრიყვე,ყველასაგან არ გავერიყე,
რომ არ დავებრიყვე,თავაწეულმა ვიარე რიყე.
ქვაც ვერ შევნიშნე ამხელა რიყეს,
თუ არ მიშველა უფალმა ამ დღეს
ამით გავახარებ ამ ქვეყნის ბრიყვებს
ამიტომ თავი დავწიე ქვევით,
მაღლა შეხედვა შემრცხვა მე ღმერთის
რიყეს შევნიშნე მე ბევრი ქვები
და სიამაყის მსხვერპლი ვარ ვხვდები.
მოვინანიე უფალო იცი,
მე არ მჭირდება სრაფრის ფიცი
ლოცვით და მარხვით სიბერეს ვხვდები
ჩამოვიკეცე ამაყი ფრთები
ერთა კი გთხოვ ღმერთო,შემინდე რაც ვთქვი
შემწე იყავი ჩემი შვილების
რომ სინანულში გაშალონ ფრთები
ისე გალიონ ამ ქვეყნის რიყე
არ დაუცურდეთ ფლატეზე ფეხი,
და ცოდვის გზაზე არ შეხვდეთ ქვები.
უფლის დიდებით დალაშქრონ გზები,
ღვთისმშობლის ლოცვით გალიონ გზები
და მათის მადლით შეივსონ წლები
რომ პირუთვნელად გაშალონ ფრთები.

არავის ვგავარ

არავის ვგავარ,სხვაგვარად ვწერ
სხვაგვარად მესმის რითმათა როკვა,
სხვაგვარ ფერებში ვხედავ სამყაროს
დიდი მდინარეც ნაკადულს მოგავს.
ხან მდუმარებით მისდევს კალაპოტს,
ხან ზვირთის ქნევითმრისხანედ ბორგავს,
მეხმიანება იდუმალებით
ფიქრში ჩაძურულ მდჯმარე მგოსანს.
ტალღას ტალღაზე მიატყლაშუნებს
კამკამა შხეფებს ზეცად ატყორცნის,
სალამს მიუძღვნის ორივე ტაძარს
და მათ ქონგურებს ჩუმად დაკოცნის.
ტალღებუს ლივლივს თვალს მივაყოლებ,
ჩუმად ღმუილით მეხმიანება
ზარების რეკვას ისიც ყურს უგდებს
მოსწონს ლოცვებთან შეხმიანება.
მტკვარსავ რამდენი საიდუმლო აქვს
ბევრჯერ ჩარეცხა სისხლით ნაპირნი,
მოუსავლეთის გზას გაუყენა
მტრულად მოსული უცხო ვამპირნი.
კლდე-ქვაბულების ღაღადი ესმის
მომსწრეა მათი დაცემ-აღდგომის,
უფლისციხის და კვირაცხოველის
მეგობარია მათი თანმდგომი.
მიიკლაკნება დაბლა ვაკეზე
მაღლიდან მთათა ალერსით ტკბება
თანდათან ველურ ბუნებას აცხრობს
შემდეგ კი ქართულ მზის სხივით თბება.
ჩამესმის ჩუმი ღაღადი ქვათა
ზეცაში ადის გალობა მათი
საქართველოზე კვლავ დარდით წუხან,
მომავალს უმზერს იმედის მნათი.
დააცხრობს ვნებას აბორგილ ზვირთთა
დაიკამკამებს ლივლივა სხეულს
მზის ანარეკლ სხივებს უგზავნის მშვიდად
და გზას აგრძელებს მტერზე დაძლეულს.
არავის ვგავარ,მე სხვაგვარად ვწერ,
სხვაგვარად ვაწყობ მუსიკის რითმებს,
გავამზეურებ სიკეთეს ყველგან
ჩამოვრეცხ ბოროტს შემოსილ გრიმებს.
არავის ვგავარ,მე სხვაგვარად ვწერ

ვაზი ქალია

ვაზი ქალია ლამაზი ჩაგრეხილ-ჩანაკავები
მამაკაც გადანაფერი და რტოებით დანაკავები.
საწნახელ მტევნებ ჩანაკრეფ
და გალობით ჩანანადუღნი
სიმღერით ბადაგნაწური, ქვევრებში აღმანადუღნი.
ქალს რა უნდოდა ქვევრის თავს
ქალი რად ახდის სარქველსა.
,კაცი კაცობდა ეგზომად, წელს შეირტყამდა სარტყელსა
ქალი ხუფავდა ზედაშეს,თავს დაუნთებდა სანთელსა,
დავითნს ლოცვებით აღვლენდა უფალს უნთებდა კანდელსა,
უფალს შესთხოვდა ბარაქის დალოცვას,გამრავლებასა,
აჟს უხდებიდა კაცობა,ქალს კრძალვა განაზებისა,
ჩუმ-ჩუმად მზერა ვაჟკაცისთავს ღუნვა ჩანაზებისა.
დღეს ვეღარ ვმალავ გულწუხილს კაცების ჩალაჩრებისა
მანდილის ჩალაფხვებისა და საქციელ წანახდებისა.
კაცს დაუდედლდა კაცობა,ქალს კრძალვა განაზებისა.
ქალიცვაზია ლამაზი მოსაფერ-ჩანაკავები
ისევ ძველებურ უხდება ის გრძელი დალალ-კავები.

ხე ვიყავ

ხე ვიყავ,დამჭრეს-დამჩეხეს
დამინაფოტეს გვერდები,
თურმე აღარვის უნდიხარ,
როს მოხუცდები,ბერდები.
ხე ვიყავ პირმშვენიერი
ნაყოფს ვისხამდი მშვენიერს,
შემომხაროდა პატრონი
ბალს მიირთმევდა გემრიელს.
უხაროდა მას აპრილი
როცა ვყვაოდი ალისფრად
ღმერთს მადლს უძღვნიდა
მივლიდა,მეფერებოდა ფაქიზად.
დავბერდი,ტოტნი გამიხმა,,
ფესვებმა ღონე დაკარგა
პატრონიც გამიორგულდა
დიდხანს მიყურა ავკარგად,
ბოლოს ისურვა მოვჭრიო
ღუმელს შეყარა ტოტები
თურმე რა ძნელი ყოფილა
როცა სიცოცხლეს შორდები.
ხე ვიყავ,მწიფე ნაყოფით
გულს ვუხარებდი ირგვლივ მყოფთ,
შქვენც გელით ბოლო ასეთი
სიკვდილ-სიცოცხლეს ნუ გაყოფთ.
ორივე ერთი მადლია
ორივე ღვთისგან იშობა
მეც ვიძლეოდი ტკბილ ნაყოფს
პატრონმაც ბევრი იშრომა
მეც დავბერდი და პატრონიც
ორივე ზამთარს დავსახლდით
მოვლენ შვილები ამ ბაღში
დარგავენ ისევ ახალ ხილს.

ახალი კვირტები

ახალი კვირტები დაისხა რტომ ვარდის
გაფურჩქვნა ინება თავად მზის სხივმა,
სურნელი საამო დაიფრქვა მთა-ბარში
იცით?-ქართლის დასაწყისი ამ გზიდან იწყება.
მინდორში ყვავილთა ხალიჩა დაგებულა
სურნელი საამო მთა-ბარში გაიფანტა,
ყაყაჩოს ანარეკლი ზეცამდე ასულა
სისხლუსფერს დასტრიალებს გუნდი ანგელოზთა.
იცით?-ისმის გალობა ზეციურ-ღვთიური
ამ ქვეყნის სურნელი ზეცამდე ატყორცნილა
ნაბრძოლი დედამიწა დედისგან დალოცვილა,
უფლისციხის ქედებზე სისხლი ჩანთხეულა.
ყაყაჩოთა ხალიჩა აქ მიტომ დაგებულა
და მთა-ბარი სისხლისფრად ანთებულა.
იცით?-კოლხეთში მედეას ცრემლები დაფრქვეულა
ცილისწამება ნიავქარს შორს გაუფანტავს,
დედის ცრემლები მუწისქვეშ თუხთუხებს,
ვულკანის გარშემო მდუღარედ ბუტბუტებს,
ოქროს საწმისი ჯერ არ გაბრწყინებულა
ქართველი დედის ღირსება ზეცად ციმციმებს,
იცით?– რამდენმა ტანჯვამ გაიარა
წლებმა ტანჯულმა ჰერეთს გადუარა,
ილიას განგაშმა ზეცის ზარს შემოჰკრა
ქართლის მიწა-წყალს ირგვლივ დაუარა.
ზეცის ცრემლებმა მიწის გულს გაუარა.
იცით? – ცხოვრებამ მძვინვარემ გადაგვიარა
მტარვალთა ფლოქვის ხმამ გულზე გაგვიარა,
მაგრამ მუხლდრეკა ჩვენი ვერ იღირსეს
თუმცადოლაბმა თავზე გვიტრიალა.
მაინც იმედმა ხვალისამ სისხლძარღვში დაგვიარა.
იცით? – ახალმა კვირტებმა ახლად იფეთქეს
გულით გაუღიმეს ზეცად ნარნარად
ნამი აპკურა წყარომ ანკარამ
ტანჯვა წარსულის არ გვიღირს არარად.
იცით?-ზეციდან დარეკა ზარმა წკრიალამ,
ამ ქვეყნის სამრეკლო ააწკრიალა,
ღმერთი მოაშუშებს ყველა იარას
ქართულმა ცხოვრებამ, რაც გამოიარა.
ახალმა კვირტებმა ცაც გააწკრიალა
და იმედიცხვალის გააბდღვრიალა.

დარეჯან ღონღაძე

* * *

ობა, როგორ არ მიყვარდეს, სამშობლო და მისი ხატი,
ობა, როგორ არ მხიბლავდეს, ჩემი მიწა საფიცარი,
სადაც სუნთქავს ქრისტეს კვართი, სადაც არის ნინოს ჯვარი,
ჩვენი ისტორიის მსგავსი, ვერ ვიპოვე ვერსად ხალხი...
აქ ხომ სუფევს წმინდა კვართი და გადმოსდის მირონს მადლი,
აქ ხომ სვეტი ცხოველია და ცოცხლდება ჩვენი მრწამსი,
სვეტიცხოველი და ჯვარი, არის ჩვენი ქვეყნის თვალი,
შეგვეწიოს ყველგან მდგარი, სალოცავის ძალა მძლავრი...

* * *

გულში დათესილ მარცვალს,
ვუყურებ, როგორც სამკალს,
ხელში აღებულ კალამს,
მოვალეწინებ ყანას...
მე, როგორც ფუნჯი მხატვარს,
ეს ფუნჯი, თვითონ მხატავს
და როგორც ცეცხლი, ღადარს,
მაძლიერებს და არ მწვავს...
სიტყვები, აზრებს ქარგავს,
აზრები კარგად აქ სჩანს,
მე, გავიხსენებ ამბავს,
ათიათასჯერ ნათქვამს...
ფუნჯებით ცაზე მხატვარს,
ვიცნობდი, ადრე, კარგ კაცს,
ფიროსმანივით მართალს
და სიყვარულით დამთვრალს...
ვისმენდი ნამღერს, ახალს,
საიათნოვას სადარს,
მხატვარს ვიცნობდი საწყალს,
ღვინით მთვრალსა და ალალს...
მიაშურებდა სარდაფს,
ესარჩლებოდნენ ღატაკს,
არ უფასებდნენ ამაგს,
მაინც ხატავდა მავანს...
ძველი თბილისის ნახატს,
შევსწირავ ლექსად ქალაქს,
მე, კაცს ვიცნობდი ალალს,
ფიროსმანივით მართალს...

* * *

გამოუცნობია ხალხის მასა,
ამოუხსნელია ჯერაც რაღაც,
ამოსაცნობია სწორი გზა და
ლაბირინთებია, გზა კი არ სჩანს.

გამოსაცნობია ბევრი რამ და
გამოსარჩევია თეთრი შავთან,
ისევ ემტერება კაცი კაცს და
ისევ იკვეთება ზღვარი ხაზთან.

ყველა მართალია ვითომ სხვასთან,
მაგრამ სიმართლე კი არის სხვაგან,
ეს რომ გაიაზრონ, უნდათ აღზრდა
და რომ აღიზარდონ, უნდათ გაწვრთნა.

ვითომ ვერ ხედავ და ვითომ არ სჩანს,
მათი სიმრუდე და ყალბი ზრახვა,
რატომ ვერ ძღებიან, მიკვირს მათგან,
ამდენი სიცრუის მიჭირს აღქმა...

ლაბირინთებია და გიჭირს გასვლა,
ეს გზა, რომ გაიარო, გჭირდება ძალა,
მაინც არ ჩერდები, მიდიხარ ჩქარა,
მთავრდება გზა და არ იცი სად ხარ.

რჩები შენს თავში, არა გაქვს სხვა გზა
და გეუფლება სიცივის განცდა,
თუ ამ გზის ბოლოს ტაძარი დაგხვდა,
ხვდები, რომ შენში ღმერთია ახლა!

* * *

აბა, როგორ არ მიყვარდეს, სამშობლო და მისი ხატი,
აბა, როგორ არ მხიბლავდეს, ჩემი მიწა საფიცარი,
სადაც სუნთქავს ქრისტეს კვართი, სადაც არის ნინოს ჯვარი,
ჩვენი ისტორიის მსგავსი, ვერ ვიპოვე ვერსად ხალხი...
აქ ხომ სუფევს წმინდა კვართი და გადმოსდის მირონს მადლი,
აქ ხომ სვეტი ცხოველია და ცოცხლდება ჩვენი მრწამსი,
სვეტიცხოველი და ჯვარი, არის ჩვენი ქვეყნის თვალი,
შეგვეწიოს ყველგან მდგარი, სალოცავის ძალა მძლავრი...

* * *

დროს აღარ ემორჩილება, ჩემი ფიქრების რემა,
ხშირად წვიმაა, აცივდა, ამინდიც თითქოს წყრება,
მივყვები დღეებს ნაწვიმარს, ხანდახან მიპყრობს სევდა,
თუ მაინც დროში ვტრიალებთ, არ ღირს რამეზე ღელვა.
ადრე, ან ახლა, ან მერე, არის სხვადასხვა ხედვა,
არ გვინდა იმ დროს ვხედავდეთ, წასვლის ჟამი რომ დგება,
გვიყვარდეს ირგვლივ ყოველი, მივიღოთ ბრძნული რჩევა,
ყველანი გარდავიცვლებით, უცვლელი რჩება მცნება.
აქ, დროებითი ცხოვრება, დროში იცდება მჯერა,
თუ ამ გამოცდას აბარებ, გექნება სულის შვება,
შევხვდები ვიცი მამასაც, იმედი გულში მრჩება,
ამ იმედს სულ თან ვატარებ, ფიქრები ზეცას სწვდება.

* * *

მე შევძლებ, შენთვის ვილოცო მაინც,
უფალს უყვარხარ, გჯეროდეს ამის,
მე შევძლებ, შენთვის ვიცოცხლო წამით
და მოგცე ძალა დღითა და ღამით.
შეგმატოს რწმენა, უფალმა ხვალის,
მოგეცეს მადლი, სიმტკიცე თავის,
გჯეროდეს ხვალის და გწამდეს ამის,
მიენდე უფალს, ღვთისგულისათვის,
შეძელი ლოცვა მტრის გულისათვის
და მოგეცემა ხსნა სულისათვის...

ნიკოლოზ კურტანიძე

საახალწლო სერობა

რესტორან „კოპალაში“

ახალი წელი მოდის და
კვლავ ამეშალა ფიქრები.
„მოყვასს თუ არ გავახარებ,
მე რაღა კაცი ვიქნები“.

მერე კი, ფიქრი დავიწყე,
ვინღა მყავს ჩემი სწორი.
ასაკით ჩემზე უფროსი,
ან კიდევ, ჩემი ტოლი.

ბევრი ფიქრი არ დამჭირდა:
აგერ, ჩემი ძმა ოთარი,
ოთხმოცდახუთი წლის ხდება,
ადვილად ამბობს მოძახილს.

ძმა, ჩემთან რომ დავიგულე,
სხვა სიყვარულმაც იძალა,
სტუდენტობის მეგობრები,
წინ დამიყენა მთლიანად.

ოთხმოცდასამი წლის გრიშა,
ხუთი წლით მცირე ნათელა,
დემური ვერ წამოვიდა,
ავადმყოფობამ „გათელა“.

ჩემს ოთხმოცს მე აღარ ვამხელ
ნეტავი რისთვის, რატომო?!
ისევ სუფრისთვის „ვჩალიჩობ“,
მენეჯერებთან ვპატრონობ.

ქართველის ფიქრი

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს...“
რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

მამაცი ვიყო, რად მინდა,
თუ ვერ მოვიქნევ ხმალს.
თუ ვიცი რას მიშვრებიან,
ვერ ამოვიღებ ხმას!

ვერ გამოვკვებავ ცოლს და
შვილს,
ვერ გამოვკვებავ ყმას.
ჩემს სისხლს ვერ
ავედევნები
დღე, თუ ღამესა ჰგავს.

თუ უსინდისოს, სინდისი
დილეგში უზის ისევ,
რაც უნდა იმას აკეთებს,
ისევ მრუდე გზას მისდევს.

ღმერთო მიშველე, სადა
ხარ,
იქნებ მიჩვენო გეზი.
როდისღა შეიყრებიან
ჩვენი სიკეთის გზები.

მამაცს, მამაცი ერქვას და
სინდისი ერქვას სინდისს.
ვერ წარმოიდგენ შენ
ღმერთო!
დღეს ქართველს როგორ
მიჭირს.

შავზე ამბობენ თეთრია,
თეთრზე ამბობენ შავს.
სხვა ტომის შვილი მტერია,
თვისტომშიც მტერი მყავს.

სიცილში სულს
ამომართმევს
თუ არ მიშველე ღმერთო!
იქნებ მანიშნო გეთაყვა,

***

ოთხი კაცი შევიკრიბეთ,
მივაშურეთ „კოპალას“,
იქიდან ხედი გამოჩნდა???
სილამაზის მონა ვართ!..
  თვალწარმტაცი კოშკები და
  თვალწარმტაცი ტაძრები.
  წინაპრების სიყვარულით,
  მის ცქერაში დავშვრებით.
სულ ას მეტრში აუგიათ,
ერთად სამი ტაძარი,
მე მეტს აღარ გავაგრძელებ,
თვითონ იცით რაც არის!
  დრო გადის და დრო ბრძენია,
  დრო ყველაფერს აწყნარებს.
  ამ ხნის ხალხი დაგვაწყნარა,
  ვით აწყნარებს პატარებს.

***

თვალწინ სუფრა გაგვიშალეს,
საჭმელებით მდიდარი.
ქვევით კი იკლაკნება,
კალაპოტი მდინარის.
  სად იყო და სად არა,
  ჭიქას იღებს ოთარი.
  ჩვენზე მეტი ბედნიერი,
  ნახეთ ვინმე რომ არის?!
სუფრა კარგი, ხედი კარგი,
უკეთესი რა არის?!
მეგობრებო უფრო კარგი,
ან სამოთხე სად არის?!
  მხოლოდ მიქელ გაბრიელი,
  გვიჭერს ხოლმე მარწუხებს.
  დრო მიდის და ცოტა რაღაც,
  ხან აქ, ხან იქ გვაწუხებს.
მაგრამ ნუ შეგვეშინდება,
ეს სამოთხე ჩვენია!
ჩვენს წინაპრებს შეუქმნიათ,
ჩვენი დასაცველია!
  ჩვენს შვილსა და შვილიშვილს
  ეცილება დუშმანი.
  ისტორიის სიმართლე,
  მთელ მსოფლიოს უთხარით.
თქვა ოთარმა, დალია და
თითქოს დასვა ბეჭედი.
სიტყვით ისე გავიზარდეთ,
ტყავში აღარ ვეტევით.

***

ოთხმოცდასამი წლისა ვარ,
სიტყვას ამბობს გრიშა:
„ლაპარაკს და სიარულში
თითქოს არა მიშავს.

ორი ვაჟკაცი გავზარდე,
ოთხ ქალიშვილს ზრდიან.
იმათ უნდა მოუარონ
საქართველოს მიწას“.

„მე არა მყავს მონაგარი,–
კრძალვით ამბობს ნათელა:
მშვიდობისთვის ვლოცულობ,
ცხოვრებამ ვერ გამთელა.

ძმისშვილებს ვზრდი, ძმას
ვაღმერთებ,
უცხო ერის შვილი ვარ,
თქვენთან ერთად ჩემო ძმებო!
თითქოს ომში მივდივარ.

ოცდაექვსი საუკუნე,
სულ ერთი გზით გვივლია!
ჭირიცა და ლხინიც, ძმებო!
ერთად გამოგვივლია“.

თქვა ნათელამ, – ცრემლი მოსდის,
მწუხარების ცრემლები,
„ისრაელში ომი არის,
მათ კი შემოვევლები,

როცა გამახსენდება
ტერორიზმის შედეგი:
დანგრეული ქუჩები და
დაფლეთილი ცხედრები.

ტანში ჟრუანტელი მივლის,
ძარღვში სისხლი დუღდება,
ჩემი გულის ბობოქრობას
მაშინ ვაძლევ უფლებას.

ახლა, ახალ წელს გილოცავთ,
ყოფილიყოს მშვიდობა.
არასდროს არ გვენანოს,
ერთმანეთზე მინდობა“.

ნათელამ დაამთავრა,
სიტყვას ამბობს ნიკო:
„ძმებო! თუ არ მიყვარდეთ,
მიწამ პირი მიყოს,

თქვენი სიხარული ხომ
ჩემი სიხარულია,
სამშობლოს ყველა კუთხე
ჩემთვის სიყვარულია.

უპირველესი სამშობლო –
შვილებია, ძმებო!
მერე შვილიშვილები...
ახალგაზრდებს ვეძმოთ.

თერთმეტი შვილიშვილი მყავს,
თერთმეტივეს ვეკრძალვი,
თერთმეტივეს ვენაცვალე,
სამშობლოც ხომ ეს არის.

ახალგაზრდებით იწყება,
ხალხნო ჩვენი სამშობლო!
თავისუფლების სურვილი,
მათში არის – რაც მომწონს!“

სამშობლოზე თუ მიდგება,
სიტყვას ამბობს ოთარი:
„ოთხმოცდახუთის გავხდები,
ჩემი დროის მოცარტი“.

ყველგან ჩემი სამშობლოა,
ჩემი ნატერფალები,
თითქოს ყველგან დავტოვე,
ჩემი ნატვრისთვალები.

ოთხი შვილი გავაჩინე,
ცამეტი მყავს შვილიშვილი,
მალე ოთხი მეყოლება –
საყვარელი შვილთაშვილი.

ახლა ვინღა მეცილება?
მე ეს ძმაო, არ მომწონს,
ნეტავი ვინ გვეცილება,
ჩვენს საყვარელ სამშობლოს?!

სურათები გადაიღეს,
წასვლის ჟამიც მოვიდა,
თითქოს ერთმანეთს იცნობდნენ,
თავის ღრმა ბავშვობიდან.

თითო ჭიქაც ასწიეს,
ადღეგრძელეს სამშობლო!
მასპინძლებიც ადღეგრძელეს,
ღმერთმა ყველა დალოცოს!

ახალი წელიც დალოცეს, –
ხასიათმა ინდომა.
ომი ყველგან დამთავრდეს,
მოგვიტანოს მშვიდობა!

ხატიას

დაბადების დღისადმი

მე ბავშვებში გეძებდი,
შენ დიდებში ყოფილხარ.
საპატარძლო კაბისკენ
სიყვარულით მოფრინავ.

მაგ ფრენაში, ბაბუა,
არის დიდი სიკეთე,
თუ იფიქრებ იმიჯზე
გზებსაც გამოიკეთებ.

მთავარია ღირსება,
არ შელახოს არავინ!
ქვეყანაზე ბევრია
ქურდბაცაცა–მპარავი.

თავს ისე მოგაჩვენებს,
თითქოს ვუნდერკინდია,
ამ დროს მისი გრძნობები
ქვეგრძნობებზე ჰკიდია.

ვიცი, შენ არ შეცდები,
ჭკვიანი ხარ ნამდვილად.
შენი დაბადების დღე,
გამახსენდა ამ დილას.

ჯანმრთელობას გისურვებ,
კარგ ზნესა და ხასიათს.
ისეთი საქმრო გენახოს,
რომ მოგიტანს განთიადს.

... და შევქმნათ სინერგია!

ნეტავ, რამ გაგვაძლებინა
ხმალთაკვეთების ჭიდილში,
ტანს გვიჩეხავდნენ და ტოტებს
გვჭრიდნენ ძილსა თუ ღვიძილში.

რომ წავიკითხე მეორედ,
მე „უქარქაშო ხმლები“–
ფესვები გვქონდა ძლიერი,
ახლა გუმანით ვხვდები.

მე ვხვდები, მტერიც მიგვიხვდა
და ახლა ფესვებს გვჭრიან,
ფესვები უნდათ შეგვაჭრან
და დაგვაშორონ მიწას!

უნდათ სამშობლოს მოგვწყვიტონ,
ცათამდე ადის გოდება!
ისეთ პირობებს ქმნიან, რომ
თავად ჩავბარდეთ მონებად.

ფესვს გავუფრთხილდეთ
ქართველნო!
ფესვებიანად გვთხრიან.
ღმერთი რას ფიქრობს არ ვიცი,
ანგელოზები ძრწიან.

ღმერთს ვთხოვოთ,
ჩვენც მოვინდომოთ
და შევქმნათ სინერგია!
იქნება შევინარჩუნოთ,
რასაც სამშობლო ჰქვია!

წუთისოფელი მოგორავს!...

17 წლის გუგას (გურამს)

გილოცავ, დაბადების დღეს!
თვალი დაადგი ევროპას.
შენთან ვერც ერთი ყმაწვილი,
განათლებით ხომ ვერ მოვა.

ისეთ ასაკში შედიხარ,
ახლა იწყება დუღილი.
მტრისათვის – მტერი იყავი,
ნამდვილი ჭექა–ქუხილი.

მოკეთეს გამოადექი,
არ დაიზარო სიკეთე.
ვიცი, რომ კარგი ბიჭი ხარ,
კარგია გულის სიმრთელე.

ისე ძალიან მიყვარხარ
უმცროსი შვილიშვილი ხარ!
ახლა სულ შენზე ვიფიქრებ –
ევროპაში რომ მიდიხარ!

ას წელს გისურვებ ყმაწვილო!
გიტოვებ ჩემს წილ სამყაროს,
ღმერთმა შენ ქორწილს
მომასწროს,
სიცოცხლის გზას არ გამყაროს.

საბედოც კარგი გენახოს,
თეთრკანიანი გოგონა,
შავგვრემან ქალსაც რა უჭირს,

გვიტია და ბუღია

გახსენება

გვიტია წითელ ხარს ერქვა!
ბუღია! თეთრის სახელი.
ისინი უღელს გასწევდნენ?!
ამღერდებოდა მთა–ველი.

რქებს ეცემოდა მზის სხივი,
ჩვენი გზა-შარის მიჯნაზე.
ბავშვი ვიყავი, მიყვარდა
უღელზე ჯდომა დილაზე.

მეც დავძახებდი: „ორერო!
რირა! ორერა! რანინა!“
მითხარით ამ ქვეყანაზე
დიდი მზის გარდა, რა მინდა“.

და, ბრდღვიალებდა შარაზე,
ტყემლის ტოტებში დიდი მზე.
ჩიტები ჭიკჭიკს მართავდნენ
ღელის პირებზე – ტირიფზე!

ეს იყო რაღაც ზღაპარი,
ეს უნდა ნახო–გაოცდე,
მერე გაიგებ ბუნებას–
აბარებ ყველა გამოცდებს.

აქეთ მერცხალი ჭიკჭიკებს,
იქით ბულბული ბანს აძლევს.
გაზაფხულია ზაფხულს რომ
ალამაზებს და ალაღებს!

და მეც ვხარობდი ტოლებში,
ღელის პირებზე–მდელოზე!
მაშინ ვისწავლე სიმღერა –
სიმღერა საქართველოზე!

მეოთხმოცე დაბადების დღე

ნახეთ რა სილამაზეა –
ოცი ლამაზი ქალი,
ცუდ ხასიათზე რომ ვიყო,
გამიბრწყინდება თვალი.

წინ დიდი თაიგული დგას,
ჭერში – ბუშტების ჯარი.
ღვთისმშობლის სურათს ვუყურებ,
არ მაქვს არაფრის დარდი.

დარდი კი არა, კარგია –
დაბადების დღე რომ მაქვს.

რა საჩუქრები მომართვეს!!!
დღეს სიხარული მოაქვს.

იმდენმა ქალმა მაკოცა!!!
პირს არ დავიბან სამ დღეს.
მინდა, რომ მათი სურნელი
დიდხანს, სულ დიდხანს გამყვეს!

ისეთი მადლობელი ვარ,
ტანს ჟრუანტელი მივლის,
მათი სიცოცხლე მაცოცხლებს,
ჩემი სიცოცხლე მიდის...

რვა ათეული წელია,
მეცხრეს დავიწყებ ახლა.
მე არ მოვკვდები არასდროს
სიცოცხლის ჟინი მახლავს!

მე მტერი ვერ მეკარება,
არც ერთი მტერი არ მყავს.
სულ სიხარულად ვივლი და
გამოვეკვრები ცამრგვალს.

მეოთხმოცე დაბადების დღე

ნახეთ რა სილამაზეა –
ოცი ლამაზი ქალი,
ცუდ ხასიათზე რომ ვიყო,
გამიბრწყინდება თვალი.

წინ დიდი თაიგული დგას,
ჭერში – ბუშტების ჯარი.
ღვთისმშობლის სურათს ვუყურებ,
არ მაქვს არაფრის დარდი.

დარდი კი არა, კარგია –
დაბადების დღე რომ მაქვს.

რა საჩუქრები მომართვეს!!!
დღეს სიხარული მოაქვს.

იმდენმა ქალმა მაკოცა!!!
პირს არ დავიბან სამ დღეს.
მინდა, რომ მათი სურნელი
დიდხანს, სულ დიდხანს გამყვეს!

ისეთი მადლობელი ვარ,
ტანს ჟრუანტელი მივლის,
მათი სიცოცხლე მაცოცხლებს,
ჩემი სიცოცხლე მიდის...

რვა ათეული წელია,
მეცხრეს დავიწყებ ახლა.
მე არ მოვკვდები არასდროს
სიცოცხლის ჟინი მახლავს!

მე მტერი ვერ მეკარება,
არც ერთი მტერი არ მყავს.
სულ სიხარულად ვივლი და
გამოვეკვრები ცამრგვალს.

წაიყვანეთ ბატონო!

...„შემივსეთ ყანწი, დავლოცო,
ჩვენი მაკა და შავლეგი!
მე მათი ბედნიერებით
მეშვიდე ცაზე გავედი.

გიყვარდეთ თქვენი სამშობლო!
თავგამოდებით ვყვირი მე
იხარეთ, იბედნიერეთ,
იმრავლეთ თქვენი ჭირიმე“.

***

თვრამეტი წელი გავიდა,
რაც ეს სიტყვები დავწერე.
არ ვიცი, ეს ჩემი მუზა
რატომ გასცილდა ნაწერებს.

ერთი პრინცესა გაგიჩნდათ,
სიტყვა არ დასცდა მუზასა,
მერე დაჭმუჭნა ფურცელი
ბუხარში გადაუძახა!

მერე მეორე პრინცესა
რომ ამოუდგა გვერდში,
მაინც ვერ გალღვა სათქმელი,
სიტყვა შემადნა ხელში!

ვიდოდი გულდაწყვეტილი
„რა მომივიდა, ნეტავ“

რას იტყვის მამა შავლეგი,
რას იტყვის მაკა –დედა.

მერე შოთიკო რომ გაჩნდა,
ვფიქრობ, მომივა მუზა.
მცდელობა მქონდა, მაგრამა
მუზა კვლავ გამიყუჩდა...

...და უსინდისოდ აგრძელებს
ძილს, აგერ შვიდი წელია.
სასიძოები მოდიან და
სერენადებს მღერიან:

„პრინცებს უნდათ პრინცესები
დელი, დელი, დელია,
ვინც „საქმეში“ ხელს შეგვიშლის
იგი ხალხის მტერია!

ოჯახშია ერთი ბიჭი
ძალიან რომ შფოთავს,
შენ ჩვენი ძმა იქნები თქო, –
გადაეცით შოთას!“

შოთიკოს კი ამაზე,
გაეცინა ირიბად
სასიძოებს მიმართა:
„გაჭრა თქვენმა თილისმამ?!“

მე რას მკითხავთ, პრინცესებს
მამა უფრო პატრონობს,
ქალი უნდა გათხოვდეს, –
„წაიყვანეთ, ბატონო!“

მზია ელიაძე

ქართული ვაზის ჯიშები

X-XI თვე 2020წ.

„ალადასტური“

„ა ლადასტური“ – ანდამატური, ალმასცვარული, ავთვალნახული,
ავ მტერთ ნაცემი, ავ ზნეთ ნაგვემი, აღზევებული, ამაღლებული,
აღმატებული, ცამდე ასული „ალადასტური“ – ალმასცვარული...

„ბუდეშური“

„ბ უდეშური“-ბუდეს შური? ბარტყის ბუდე, ბუდეშურში!
ბევრი ბუდე-ბარტყმრავალი... ბედნიერი ბევრი ბავშვიც...
ბავშვმრავალი: ბეთანია, ბოდბე, ბათუმ-ბაბუშერა;
ბედ-იღბალი, ბედისწერა; ბუდის ბედი ბუდეშურში...
ბევრი, ბევრი ბროლის ბუდე; ბევრი, ბევრი ბარტყიც ბუდეს!
ბავშვიც ბევრი, ბედნიერი ბროლისფერ ბრიალა ბედით!..

„გორული მწვანე“

„გ ორული მწვანე“-მწვანე ზვარ-ვაზით, გორული ღამე იავნანათი...
ზღაპრად მოსული იბერთა მხარეს, მკერდს ჩაკირული იმერს და ამერს!..
გორულის ხვავი-წყალობა დიდი, ულევი მადლი-მტევანთა ხშირით...
უფლის საუნჯე-გზავნილი ზეცით, ქართველთ სიწმინდე-ნეტარი დედით!..

„დანახარული“

„დ ანახარული“-დანაღარული, დანაცვარული, დანა დასმული.
დარდ-ჭირნახული, დამღადასმული შრომით, ვარამით, ჯაფით, გოდებით;
სევდით, ტკივილით სისხლდამცვრეული და ჭირნახულით დამშვენებული...
დიდ წინაპრების, გმირ წინაპრების დაუღალავი, დაუფარავი
გვემით, წამებით დღემდე მოსული დანაცვარული, დანახარული!..

„ეგურძგული“

„ე გურძგული“-ენა-ბაგით; ე, გურგური ენა-ტკბილით...
ენგურს იქით, აქ-ერედვში, ენისელში, ერთ-იბერში...
ეკლესია-მონასტრებში ერთობით და სიყვარულით
ერის , ქვეყნის-იბერთ ქვეყნის ე, გული ძგერს“ ეგურძგულის“!..

„ვერნახი“

„ვ ერნახი“ ვარ, ვარძიაში ვაზმრავალი, ვარვარა.
ვარძიაც ვარ-ვაზი ზვარში, ვაზის ჯიში ვალე, ვანს...
ვერაგ, უგვან, ურიცხვ მტარვალს; მტერ-ურდოს აუგის მქმნელს
სისხლი ახრჩობს, შფოთავს, ბორგავს, ვერ ძირკვავს, შანთავს კოლხთ ერს!..

ქართული ხორბლის ჯიშები

„ასლი“, „არჯუნი“

ათქვირებულა, აკვირტულა „ასლი“,“არჯუნი“
ამაღლებულა, ასვეტილა აღმატებულთან...
აქვამარინით, ამეთვისტო-ალმასთვლიანით
აღელვებული ალამაზებს ავსებს აკორდით...
აოქროსფერებს, აღამაღლებს, ამბავს ავრცელებს,
ამბიონს აკვნით ანანავებს, ატყვევ-ალაღებს...
აბირდებიან* ანგელოზნიც აისს ასულნი
აოც-აკვირვებს ამაღლებულთ „ასლი“, „არჯუნი“!..
ათქვირებულა, აკვირტულა „ასლი“, „არჯუნი“
ამაღლებულა, ასვეტილა აღმატებულთან...
ალმასცვრიანი, ასოკალმულ-ანდამატური
აქებს: ახმეტას, ალვანს, აწყურს, აჭარ-ასპინძას.
აღმერთებს, ავსებს ამაღლებას, ალავერდს, ატენს
აცეკვ-ამღერებს, აგზნებს არღუნს, არაგვს ,ალაზანს!..
აბიბინდება, აღმოცენდებ-აფერადდება
არხილოსკალო, არბოშიკი, ანაგ-ახმეტა!

*აბირდებიან-აქ; მოუნდებათ, მოისურვებენ (ვაჟა-ფშაველა)

„არჯუნი“, „ასლი“

არჩევანი, არადანი „არჯუნ“ , “აგროკავკასია?“
„არჯევნიც“-ალისფერი; აგერ,“აგროკავკასიაც“...
აღელვებულ-ამცვრეულებს, აკვირტულ-ათქვირებულებს
აბიბინებს, აღაღანებს ანდამატურთ, აკორდიანთ*
აქანავებს აქეთ-იქეთ ანცი, აფრააშვებული*
აცეტებულ-აზარტული, აგზნებულ-ახირებული...
...აბირდებულს*, აფრააშლილს არმობა* აქვს ავყიას, ავს...
ალვისტანა, ათქვირებულ“ არჯუნ“, „აგროკავკასია“
აფრააშლილს ახარებენ აქარგულნი, აშოლტილნი...
აგვირისტებენ ალიონს-ალმასცვრიანს, ახოიანს*!..

*აკორდიანი-აქ; ხორბლის ლივლივი, ღაღანი, სიმღერა, მუსიკალური ხმა
*აფრააშვებული-აქ; ქარი, სიო, ნიავი
*აბირდებული-(ვაჟა-ფშაველა) აქ; მონდომებული, მოუნდება
*არმობა-აქ; უმადური, უპატიოსნება
*ახო-ნაკაფი ტყე

ირმა ტყემალაძე

ახლა მოგიყვებით ამბავს,
რომელსაც შევესწარი თავად

*

ქალბატონო გამარჯობათ
მოხუცმა ქალს მიმართა,
თაიგული შემირჩიეთ
მეუღლეს რომ მივართვა,
ძვირიანს მე ვერ შევწვდები
ყიდვაც მინდა ყვავილის,
პენსიიდან ცოტა_ცოტას
ვაგროვებდი ამ დღისთვის.
მინდა სადმე დავპატიჟო
ყვავილები მივართვა
ვუთხრა ისევ ისე მიყვარს,
როგორც უწინ მიყვარდა,
ალბათ იუბილარია?
ჰკითხა ქალმა ღიმილით
თაიგულიც გაუწოდა
მოპრანჭული გვირილით,
მოხუცმა ქალს გადახედა
ოოო ამჯერად თქვენ ცდებით,
სამოცი წლის ქორწინების
იუბილეს ვესწრებით,
ქალს თვალები გაუბრწყინდა
ასაკსაც ხომ ვერ მეტყვით??
ოთხმოცდახუთის გახლავართ
მაგრამ ჯერ არ ვნებდები,
გიკვირთ ალბათ ამ ასაკში
სიყვარული შევძელი,
სამოცი წლის მანძილზე
ერთის თვალებს შევცქერი,
მაგრამ ბაბუ იცი რაა??
სიყვარული არ ქრება
თუ ნამდვილი არის იგი
არასოდეს ბერდება,
გულში მისი ნაკვერჩხალი
მაინც არ განელდება.
ქალი დაბნეულობისგან
წუთიერად გაჩუმდა
ფულიც აღარ გამოართვა:
ეს თქვენ ბაბუ საჩუქრად,
გამაოცეთ თქვენი წრფელი
და ღვთიური ნიჭით,
დღეს ასეთი სიყვარულის
დაჯერება მიჭირს.
აი მესმის სიყვარული
უკეთესი ვინ რა მითხრას
ღმერთმა მოგცეთ სიხარული
ერთმანეთი გყავდეთ დიდხანს.

* * *

მე ისეთი ბებო მყავდა
ისე ტკბილი, ისე თბილი,
მისი სურნელი მიყვარდა
ღამით მასთან ერთად ძილი.

საოცარი ბებო მყავდა,
კეთილი და მადლიანი,
ყველა ძალიან უყვარდა
ყოველი ადამიანი.

მახსოვს მისი ჭრელი კალთა
ტკბილეულით გატენილი,
ყოველ შემხვედრს მიმართავდა:
"გაისველე შვილო პირი".

ბებოს ჩვენთვის რაც მოჰქონდა
ჩურჩხელა თუ ეზოს ხილი,
სხვანაირი გემო ჰქონდა
სიყვარულით გაჟღენთილი.

ვერ ვიხსენებ მისგან საწყენს
ვერც ერთ სიტყვას მეგობრებო,
როგორ მინდა ისევ მყავდეს
ჩემი ტკბილი, თბილი ბებო.

* * *

ანბანი

ა--სე უთქვამს მაკედონელს
ბ--ევრს ანახეთ კუბო ღია,
გ--აიგონ რომ ისე მოველ
დ--ა არც არა წამიღია.
ე--ს ცხადია, ასეც ხდება,
ვ--ის რა მოაქვს რომ წაიღოს,
ზ--ოგი ამას გვიან ხვდება,
თ--უმცა არ სურს რომ გაიგოს,
ი--ბრძვის რამე დააგროვოს,
კ--ეთილ ზრახვებს აიგნორებს,
ლ--ოცვაც მხოლოდ მაშინ ახსოვს
მ--ტრის რისხვას რომ გაიგონებს.
ნ--უ გგონიათ რომ სიცოცხლე,
ო--ქრო ვერცხლით იყიდება,
პ--იარია ეს იცოდეთ
ჟ--მოტი კაცის ქადაგება.
რ--ოგორც ცარიელი მოხველ
ს--ამყაროსაც ისე ტოვებ,
ტ--ყუილია,,,რასაც მოხვეჭ
უ--ფლის გზად ვერ გაიყოლებ.
ფ--ასი მხოლოდ იმას ააქვს,
ქ--ვეყნად კარგი რა დათესე,
ღ--მერთი მარად დაინახავს
ყ--ოველივე კარგის მთესველს.
შ--იში "სიბოროტის" კაცში
ჩ--ვევად უნდა დაინერგოს,
ც--დები თუკი ფიქრობ მაშინ
ძ--ალადობა რომ შეგერგოს.
წ--უხან მერე..... უკვე გვიან....
ჭ--ეშმარიტებას რომ გმობენ,
ხ--ალხნო დროებითობა რომ გვქვია
ჯ--ერ ამ ფაქტს რომ ნათლად ვცნობდეთ
ჰ--გავს დედამიწა სამოთხეს??.

* * *

თუ ვინმემ თავი ვერ შეიკავოს
და გაწყენინოს სულ უსაფუძვლოდ,
ის შეიძლება ვერ შეიყვარო,
მაგრამ სიძულვილს დროს ნუ დაუთმობ.
როგორ ძლიერაც უნდა გატკინოს
შემდეგ კი მიხვდეს და აღიაროს,
გახსოვდეს, ღმერთი თუ შენ გპატიობს,
განა შენ ვინ ხარ, ადამიანო.

* * *

შ -ვილის სიყვარულს ვერცერთი გრძნობა
ვ -ერ შეედრება,
ი -სმინე ღმერთო ყველა დედის
ლ-ოცვა ვედრება.
ი -ყოს ყოველი შვილის თვალში ბედნიერება.

ნინო მოსულიშვილი

ბადრი ცუხიშვილს

(თანაკურსელის რიმა კაპააძის
მეუღლის ხსოვას)
(ჯალაურთა)

აი, ვენახი დაობლდა შენით,
ვაზი უმატებს ტირილს მაისში...
ცელქი ნიავი აცრემლებული
ვაზის რიგეში ჩუმად ჩაივლის....

ცოლი საძვალეს გარს შემოუვლის,
ნახვის ნატვრით და გულის ფეთებით,
გადაწყვეტილა უფლის სამსჯავროს
აღარ შეხვდები, ვეღარ შეხვდები...

გაყინულია საფლავის ლოდი
თითქოს ზაფხულში თოვლი ათოვდა,
ცოლი დუმილით დაგელოდება,
თურე არ მოვალ,
თურმე არ მოხალ...

არასდროს გაგიმხელ...

წინანდლის ბაღნარში სიყვითლე ჩაღვრილა,
ლიმნისფერ ფოთლების ჩამკვდარა იმედი,
იმ შავ როიალთან ირევა ფიქრები,
ტატოს ნატერფალთან მდუმარედ მივედი...

გეძებდი, გეძებდი, ყოველ წამს გეძებდი,
ლაბირინთს ტკივილი ეკლებად ეხვია,
შანდალზე ნაღვენთი სანთელი ცრემლებად
ეს ტატოს ბედი და ეს ჩემი ბედია....

მწუხრიმშვიდობისა ვუსურვე მნათობებს,
ტკივილებს სულისას საგულეს ვინახავ,
არასდროს გაგიმხელ, არასდროს გაგიმხელ,
თუ როგორ მიყვარდი, ან როგორ მიყვარხარ !!!...

წითელი ვარდები

არიალს წითელი ვარდები გიმშვენებს,
ძოწი კრთის, შეხედე მაგ ფერთა გამაში,
სუნამო რად მინდა, ქალის მაქვს სურნელი,
სუნამოს გაგიცვლი ვარდების გამაში.

რტოს შემოხვევია ეკლები დარაჯად,
სულ მოვკრეფ, ვარდები ჩემია, ჩემია,
ვიცი, რომ ეკლები დატოვებს ნაკვალევს,
ვარდები უეკლოდ ვის მოუკრეფია?!

არც გკითხავ ჩამოვკრეფ სურვილით ნახანძრი
და დედოფალივით ამაყად ჩაგივლი...
გრძნობის ,,ლოთი" რომ ვარ, გგონია მითია?
თუ ზოგი ,,ხელის ჭუჭყს" შეასხლეტს კუპიურს,
მე კი დღეს გავხდები ,,ვარდების თაღლითი"!

თაიგულს ჩავიკრავ სურნელით გამთბარი
და არ მომწყინდება ალერსი-ფერება,
ვიცი, რომ, ვიცი, რომ ამ ვარდებს ვფიცავარ,
ყველა ვარდს შენი სურნელი ექნება...

თორნიკეს
(ერთადერთი შვილი)

დარჩი პოეტად

ჩემი თანამემამულე გერქვა,
ერთი მზე გვიღიმოდა გორას,
ყოველ გაზაფხულზე თეთრად
ნუშთა დიდთოვლობა გვქონდა!...
ვაქირული ზღაპრული საფერავი
ქვევრში დევის სისხლად დუღდა,
მარანს აწეული ყანწი,
და ის შენეული ლექსი
კიდევ გაგვაგონა თუნდა!
შემოდგომას ჩვენი სოფლის ხეებს
ქარი დავლურს ჩამოუვლის ნაზად,
ფოთლებს შეეთამაშება უბრად,
გეძებს, გეძებს, მაგრამ შენ იქ არ ხარ.....
შენს ნატვრაში დაათენდა დედას,
ამ ტკივილში ჩაინავლა დღენი....
და იმ ხიდან, ბედისწერის ხიდან
ნაადრევად მოწყვეტილი ფოთოლი ხარ ჩვენი.....

ჩუქურთმა

(ირაკლი ნადარეიშვილის ლექსის ,,მეორედ ვერ ვცდი" გავლენით)

მე კი მგონია, თქვით ის სათქმელი,
და თანაც ისე მოავარაყეთ,
როგორც ჩუქურთმა ტაძრის ჩუქურთმა
შემდგომ ეპოქევს რომ წერს არაკებს...

თოფის ლულაზე ძველ აბლაბუდას
ქარის ქროლვაზე ჩამოშლა უჩანს,

შემართულ ჩახმახს რაც შეეხება,
უცილოდ ისვრის, მიზანში ურტყამს!

...მე კი მგონია, თქვით ის სათქმელი
და თანაც ისე მოავარაყეთ,
როგორც ჩუქურთმა, ტაძრის ჩუქურთმა,
შემდგომ ეპოქებს რომ წერს არაკებს...

ყველას გვაქვს ჩვენ ჩვენი გოლგოთა,
ასევე საზიდი ჯვარიცა,
იმიერს რა საგზალს ვისაგზლებთ,
უფალი მისხლობით აღრიცხავს!

იქ არ ჭრის ჩინი და სტატუსი,
უფალს დაექარგე საუნჯედ,
ამიერს რისთვისაც მოგგზავნეს,
გამოცდას ზეთმენით გაუძელ!

ურცხად ნუ მიუშვი სადავე,
დაფრინავ ღრუბლებში ქარდაქარ,
გახსოვდეს იესოს ქმედება:
უბრალოება და სიკეთე,
იესო მოსწავლეთ ფეხს ბანდა!!!

...დაეშვი, მიწაზე დაეშვი...
აფრები დაკეცე ,,ვთქვი ესო"
სულისთვის იზრუნე, სულისთვის,
იესოს ვემსგავსოთ, იესოს!!!

ჩემო ფუძის ანგელოზო!

ღვინობისთვეს,
წმინდა ნინოს სავანიდან აფრენილო,
იმ მტრედივით ღუღუნებ,
რქაწითელის ელვარება შეგპარვია,
გულში სითბოდ, სიყვარულად ფუტფუტებ!

ჩვენს ფუძეზე შემოჭრილო სიხარულო,
ქიზიყის ცას მზედ და მთვარედ ანთიხარ,
ჩემი ღამის ახდენილო სიზმარო და
ჩემი სულის სალოცავი ხატი ხარ!

წმინდა ნინოს და ბებიას სეხნია ხარ,
უფალმა ხომ ლოცვა შენთვის ინება,
სარკმელიდან შემოჭრილო მერცხალო და
ჩვენი ფუძის საამაყო პრინცესა!

როცა სუნ თქავ, ჩემო სუნთქვა,
ჩიტი გალობს, ყვავილები მღერიან,
ჩემო ფუძის სანატრელო ანგელოზო,
ჩემო გულის, ჩემო სულის ფერია!

გულის გულში ჩაღვენთილო სიხარულო,
ყოველ წუთს, წამს საამურად იცვლები,
იცი, ბებო, ბებოს სახელს რომ ატარებ
მგონია, რომ აღარ გარდავიცვლები!!!♡

დორიან ონისეს

(ქიზიყური დიალექტით)

ცისფერთვალება ვაჟკაცო,
დილის ცვარ-ნამით ნაბანო,
ამერიკაში რა დაგრჩა,
ქიზიყი უნდა განახო.

წალმის მწვადს დავაგემოვნებთ,
კახურ რქაწითლით დაგათრობ,
სასიძოდ თვალში მამიხველ,
კახელ ფერიას გთავაზობ.

შენ ,,ფხა" მიჩვენე სმა-ჭამის,
ღვინით ვერ უნდა დაგათრო,
მრავალჟამიერს გიმღერებ,
ვანოს ,,ურმულით" დაგატკბობ,
სოლომონ დოდაშვილისას
ფილოსოფიით გაგართობ,
გოძიაშვილის არტისტიზმს
სადღეგრძელოში ჩავამკობ!!!

ის ბიჭი შენ ხარ!

ისეთი ლაღი ხარ ისეთი კამკამა,
ბიჭი საოცრება სხვა კიდევ სად არის?!
გულში რომ ჩაგღვრია მზე და მონატრება,
მინდვრად ატეხილი გვირილთა ხარხარი!

ციდან მოვლენილი სამყაროს ხიბლი ხარ,
ამქვეყნად ოცნების, სიცოცხლის დენა ხარ,
ქვესნელს რომ გაგირღევ კბილებით გაირღვევ,
შენს თავს ვიცავარ, რომ
ის ბიჭი შენა ხარ!!!

ნელი გიუნაშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილს

"სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად"
ბარათაშვილი გულდამწვარი, გრძნობით ამბობდა,
სიცოცხლე სევდით დაასრულა, ქალაქ განჯაში,
და ქარიშხალიც, მის სიცოცხლეს იქვე ახშობდა.

თუმცა, მოასწრო ბევრი ლექსი, მან დიდებული,
მუდმივად სწვავდა ტრფობის ალი, ეშხი ქალისა,
ხშირად დიოდა მტკვარს სტუმრობდა დამწუხრებული,
მტკვართან ფიქრებში ეცემოდა შუქი მთვარისა.

ხანმოკლე იყო სიცოცხლე მისი, სტანჯავდა სენი,
გულგატეხილი ვიდოდა ყველგან როგორც ეული,
ის იყო ქვეყნად, მარტოსული, დაობლებული,
და სიმარტოვეს დასტიროდა, სული გრძნეული.

ბედს ემდუროდა გულის კვნესით, მარტოდ მტირალი,
რომანტიკოსი, უიღბლო და ბედით დამწვარი,
როდი დიოდა სიხარულით მისი ცხოვრება,
მალე ჩაუქრა სიცოცხლე და გრძნობის ლამპარი.

რამ დაუშრიტა, რამ დაუშრო ცხოვრების წყარო,
რომელ ვარსკვლავზე გადაირწა მისი აკვანი,
ტატო თავის ბედს დასტიროდა, იმდურებოდა,
" რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელი ზრახვანი."

ხშირად ის დუმდა, არვის უმხელდა თავის საფიქრალს,
განსაცდელის ჟამს, ის თავს გრძნობდა, უმწეო მონად,
უფლის წინ იდგა, ლოცულობდა ჩუმად, მდუმარედ,
სთხოვდა დუმილით, " მიმითვალე შენდამი ლოცვად."

ფიქრითნახატი

ჩაფიქრებული ვუმზერდი ცისკარს,
ფიქრში მოვქარგე ცა და სამყარო,
ჩამოიბურა, ჩამოწვა ნისლი,
ოღონდაც ღმერთო! ფიქრს არ გამყარო.

ოქროს სვეტებით და გუმბათებით
ნისლიან ცაზე, ტაძრები ვქარგე,
ცაზე ტაძრების აელვარება
მოვინახულე და ცხადად ვნახე.

ყველა მოვხატე, – ცის ერთ კალთაზე,
ჩემს თვალსაწიერს არ გასცდენია,
ფაფარაშლილი ლურჯა ცხენები
მოაგელვებენ, – თან რამდენია.

ლურჯა ცხენებით ეახლნენ ტაძარს,
ტიციანი და გალაკტიონი,
იქ გუმბათებთან, – ცის შორიახლოს
ჩანდა უშბა და კავკასიონი.

დიდი სისწრაფით მოაგელვებდნენ,
ქართველთ მეფენი ცხენებს ჯირითით,
პირჯვარს იწერდნენ და ლოცულობდნენ,
ტაძართან მდგარნი პირზე ღიმილით.

რა საოცრება იყო ყოველი,
მზის ბრწყინვალება, იდუმალება,
ცის კალთა მზერით, ფიქრით ნახატი,
ლოცვა ტაძართან და მდუმარება.

ლიკა ქათამაძე

მოეფერეთ დედას

როგორ მსურდა ცხოვრებაში,
 მეც მყოლოდა დედა!
სიხარული, სიყვარული,
მღირსებოდა ნეტავ,
ღამით შუბლზე რომ ეკოცნა
და შემეგრძნო შვება,
მაგრამ ბედმა დამცინა და
მერგო მხოლოდ სევდა.
პაწაწინა მიმატოვე
არ გაგიჩნდა კითხვა,
შევძლებდი თუ ვერ შევძლებდი,-
ტვირთის მხრებით ზიდვას.
სხვებს რომ ლოცვით აცილებდნენ,
გზად მიმავალს სკოლად,
მე ცრემლს ვღვრიდი, სინანულით,-
კითხვებს ვსვავდი ღმერთთან.
ნეტავ, ბედმა რად გამწირა?
მეც მყოლოდა დედა!
დილით ადრე ამდგარიყო
გვესაუზმა ერთად,
ერთხელ მაინც ტკბილი მზერით,
წავსულიყავ სკოლად.
მხოლოდ სითბოს ვნატრულობდი
სხვას არაფერს ქვეყნად!
ალბათ გულიც გათბებოდა
რომ მყოლოდა დედა!
ბავშობაში ყველა ტკივილს,
ვწერდი მუდამ ლექსად,
ხსნას ამაში ვპოულობდი,
მას ესმოდა მეტად.

* * *

ზოგჯერ, ვერ ახსნი გულის ტკივილებს
ზოგჯერ, ვერ იტევს
ფიქრები მართალს,
ზოგჯერ, გინდა რომ
უბრალოდ გაქრე
შემდეგ ისევე
აგრძელებ სავალს..
როცა, ფერები
გაქრება ირგვლივ
როცა ,სიბნელის
დღეები გასტანს
არ შეუშინდე წვიმიან დღეებს
მზე შენთვის ისევ
ამოვა სადღაც.

* * *

როგორა ვარ?ამ კითხვაზე პასუხი
ამოვწურე, აღარა ვარ ავად
მან იკითხოს ვინც ადვილად დამკარგა
მე რა მიშავს შევეჩვიე ღალატს.
აღარ დარჩა გულის ფსკერზე ადგილი
ყვავ-ყორნებმა ინავარდეს ახლაც
უამრავჯერ გამიმეტეს დამჩაგრეს
დამნაშავე?თავადა ვარ მართლაც..
მაპატიეთ, თავდახრილი ვიყავი
უთქმელობა ავირჩიე საგზლად
ყველაფერი სისულელე ყოფილა
აღარ დავწერ სიყვარულის ზღაპარს.

დღეს სამია ივნისის

ისევ ტერენტის კვალდაკვალ დავალ
ისევ სევდა და სიშავე მეფობს
ვერ დავეხსენი სიკვდილზე ფიქრს და
სიცოცხლის ჟინსაც თანდათან ვახშობ..
რა დამრჩენია ცოდვილ მიწაზე,
აქ ხომ სამყაროს სატანა მართავს ,
კაცთა მოდგმისგან ტკივილებს ვიმკით
სიმშვიდეს ქვეყნად ვეღარსად ნახავთ.
იქნებ და ისევ ცის კიდე სჯობდეს
სამყარო ჩემთვის ჭუჭყია მართლაც
ჭაობში ბიძგი ჰობია მათი
 ამ სამყაროში მშველელს ვერ ნახავთ.

მუხლებს როცა დავიმტვრევდი
და დავღვრიდი ცრემლსაც,
-ვაი დედა!დამცდებოდა,
-თუმც ,ვინ ჩანდა ნეტავ?
როცა ყველას თბილი სიტყვით,
ამშვიდებდა დედა!
გული მწარედ მიკვდებოდა
და ვტიროდი ჩუმად
სახლში მუდამ მოლოდინით
მეც კი მსურდა მისვლა,
მაგრამ ბილიკს სახლისაკენ,
მივყვებოდი ნელა.
ვიცოდი რომ სიხარულით,
არ მელოდა დედა!
გულში არვინ ჩამიკრავდა,
მკლავდა ჩუმი სევდა,-
ჩემი ბედი და იღბალი ,
თავად ღმერთმა შექმნა ,
სულ არავის უფიქრია ,
შვილი მეც რომ მერქვა.
ვერ შევძელი დავიწყება
იმ წარსულის დღეთა,
გული დღემდე მწარედ სტირის
არ შეხორცდა სევდა.
მუდამ ცივი თვალები და
ბრაზიანი მზერა,
თითქოს მუდამ დიდი ვიყავ,
ბევრს ითხოვდნენ ჩემგან.
ცხოვრებაში ბევრს გავუძელ
და ვიდექი მედგრად,
მჯეროდა რომ მივაღწევდი
წარმატებებს ქვეყნად.
თუკი ჩემი მომავალი
თავად შევქმენ ერთმა
შეუძლებელს მაინც შევძლებ,
კვალს არ წავშლი ქვეყნად.
ცხოვრებაში ერთადერთი
გრძნობა მეტად მწამდა,
დედაშვილურ სიყვარულზე
მაღლა არვინ მდგარა.
ბევრი ნატვრა ავისრულე,
შევძელ თავის მართვა
თუმც ოცნება ერთი დამრჩა,
გულს დააჩნდა დაღად,
სამყაროზე დიდი გრძნობა
მეც შემეგრძნო ნეტავ,
თავზე მეტად ვყვარებოდი,
ჩემს საყვარელ დედას!
ის სახლ-კარიც მეზიზღება
სადაც არვინ გხვდება,
მივხვდი, ქვეყნად არვინ გელის,
როცა არ გყავს დედა!
და ამ დრომდე სულ არავის
არ უცდია ეთქვა,
რომ ვუყვარდი,რომ ვუყვარდი
სამყაროზე მეტად.
ცრემლი მომდის, ვერ ვერევი
ვყვები ამბავს ლექსად,
თუკი სევდა თან ვატარე
ყველაფერს აქვს ახსნა.
ვერ დავძლიე სინანული
ცრემლი თვალებს ნამავს,
დამიბრუნეთ ის ბავშობა,
რომ წამართვა ბედმა.
დედის ალერსს ვინატრებდი,
სურნელს მისი თმისას,
არაფერი არ მახარებს,
მე ბავშობის დღიდან.
სათქმელად რომ ადვილია,
გულში ვერვინ გხედავს,
იღიმი და ხალხს ჰგონია
ბედნიერი რომ ხარ.
ოქრო-ვერცხლი არ ინატროთ
და არც ჭინჭი ქვეყნად
უფალს სთხოვეთ რომ მფარველი
გყავდეთ მუდამ ქვეყნად.
მოეფერეთ და გიყვარდეთ,
არ გაუწყრეთ დედას
თქვენ არ იცით,თქვენ ვერ ხვდებით
რა ტკბილია დედა!

მაგული ღვინიაშვილი

ანბანთქება – ენა, მამული, სარწმუნოება

აი-იით გაიხსნება დედა ენის კარი.
ა-ნბანი გვაქვს სანაქებო და მზის დასადარი.
თ-ვალს ვერ მოსწყვეტ ამ საუნჯეს და ვერ შეელევი,
თ-ვალმარგალიტად ქცეულა თთქოს ყველა პწკარი.
ს-აით მიდის ასოების ნეტავ დიდი ჯარი,
ს-ალამს გვიძღვნის შორეთიდან და გუგუნებს ზარი.
ხ-მელ ხეს ფესვებს გაუცოცხლებს უკვდავების წყალი,
ხ-არობს გული, მათ ლაღობას ვერ მოვწყვიტე თვალი.
ო-თხივ კუთხით გაბნეულან ასოები თითქოს,
ო-როველით და ფერხულით მსურს თენებამ იწყოს..
ე-რთგულებას ვუმტკიცებდეთ მოყვასს წრფელი გულით,
ე-რთმანეთის მტრობით,შურით არ მოვწამლოთ გული..
უ-სათუოდ დავუმტკიცოთ მამულს სიყვარული,
უ-ნდა ლიბრი მოვიცილოთ და თვალთაგან რული.
ძ-ნელი არის სინამდვილეს გაუსწორო თვალი,
ძ-ნელი არის რომ სამშობლოს გადუხადო ვალი.
მ-ამა-პაპას უცხოვრიათ ტანჯვითა და ვაებით,
"მ-უმლი მუხას" უმღერიათ სასოებით წრფელით.
შ-იში გულს არ გაუკარავთ ,არ ჰქონიათ ადგილი,
შ-ორს გასულა ქართვლის ქება, მისი ქართულ მანდილის.
კ-ვლავაც ზრდიან არაგველებს, ალგეთს ლეკვებს ქართველნი,
კ-ვლავაც სჭედენ ფარს და მახვილს სარკინეთში მჭედელნი.
ვ-ისაც მკერდში გული უცემს, სისხლი უდუღს ქართული,
ვ-ისაც ახსოვს უკუღმართი, გოლგოთური წარსული,
გ-ამარჯვების რწმენით სჭვრეტენ საქართველოს მომავალს,
გ-ამრჯე ხელთ მოიმკიან, ქართულ, გლეხურ მოსავალს.....
ფ-ართოდ მკერდი გაუშლათ ქართველებს
ფ-იანდაზად ეგებიან შარაგზას.....
ზ-ღვარს არ გავა, არ შებღალავს მამა-პაპის ადათებს,
ზ-არს შემოჰკრავს სიხარულით უმასპინძლებს ათასებს.....
რ-ოგორც გული უკარნახებს ქართული,
როგორც რჯული მისგან ითხოვს მოიქცეს,
ჩ-უმად იქნებ აიტანოს ღალატიც,
ჩ-უმად იქნებ შესანდობიც შეუნდოს..

ბ-ედმა იქნებ ასვას მწარე შარბათიც,
ბ-ევრი ტანჯვაც აიტანოს დაღლამდის,
დ-ედა ენას არ შებღალავს არასდროს,
დ-ა არ დასთმობს საქართველოს საფიცარს,
ღ-ონეს კვლავაც მოიკრიფავს დაჭრილი,
ღ-იმილს კვლავაც აიფარავს სახეზე,
ლ-ომს და ტურას განასხვავებს კანონით,
ლ-ამაზ ფერებით მოხატავს მაღლა მზეს.
ყ-აყაჩოებით მოხატავს მთას,მდელოს,
ყ-ვავს და ყორანს არ დაუთმობს კვლავ ლელოს.
ჟ-ანგმორეულ სახნისსა და საჭრეთელს
ჟ-ინიანად აულესავს კვლავაც პირს,
პ-აპის ნაქონ კევრს და გუთანს გააწყობს,
პ-ურის ხნულებს გვერდი გვერდზე დააწყობს.
ნ-ამად დაყრლ ცრემლს შეიშრობს დაღლილი,
ნ-არს და ეკალს მოიშორებს გულს, რომა აქვს გაყრილი.
წ-მინდანების ჯარი მოდის ფეხშიშველი დიდუბეს,
წ-არხოცავენ ავს და ბოროტს შარაგზაზე რომ უდევთ..
ც-რემლს დატკივლს მოიშორებს წმნდა სანთლით,ლოცვებით,
ც-ეცხლში, კუპრში რომ დაიწვეს მოღალატე ცოდვებით...
ტ-ანთ აცვია ქრისტეს კვართი საფიცარი,დიადი,
ტ-ყვილს არ იტყვის თვის სიმართლით იფანტება წყვდიადი.
ქ-რისტეს დედის წილხვედრილი ქვეყანა,
ქ-ალის მანდილს პატივსა სცემს ყველგანა.
ჭ-ირის ოფლი მოუწმინდავს, თვალებს უწვავს ცრემლები,
ჭ-არმაგია, მუხლმაგარი, საქართველო– ედემი.
ჯ-ვარი ტვირთად აუკიდავს გოლგოთაზე მმავალს,
ჯ-ანს არ ზოგავს დაცემულიც, რომ ვიხილოთ აღმდგარი.
ჰ-აერს გაჰკვეთს მისი ლოცვა უკვე ლხინის დრო არის,
ჰ-არმონია ენის, რწმენის, მამულისთვის დამდგარი...

ჩემო ქვეყანა

ივრის ჭალებში აფრენილ ხოხობს
ალაზნის ველზე ხვდება დურაჯი,
საქართველოში ჩამოსულ სტუმარს
ფართოდ გულს უღებს ერი გულადი.

სამშობლოს მთებზე შეყვარებული
მორბის ფეხმარდი ოსი და თუში,
მესხეთს სდარაჯობს ძუძუს აცლილი
აჭარის მთები ლაღი, თან ქუში.

იქ, აფხაზეთში ყვავის ნარინჯი,
ცაში იფრქვევა ლიმნის სურნელი,
დადუმებულა ოდა და სახლი,
მთაშიც გამხმარა მგონი კუნელი...

საქართველოში უყვართ სტუმარი,
ძმადნაფიცობა, გულზვიადობა,
მაგრამ გამცემებს არ პატიობენ
მათთვის არაა არსით დანდობა...
ჩემო ქვეყანავ ძლიერ მიყვარხარ,
აქ გაჩენისთვის დიდი მადლობა.

ცისანა ხუციშვილი

***

ჩემი ნება რომ იყოს,
წუთითაც არ ვისუნთქებდი
ამქვეყნიურ ჰაერს.
ახკა მხოლოდ იმასა ვთხოვ ღმერთს,
უახლოეს დღებში,ზეცად წამიყვანეთ!

***

რატომ თუ არა,კი!
ვერ მეტყვით,რაც უნდა ეცადო,
ცხოვრებას რად ვერ ცვლი?
ვისაც აქეთ უნდა,მიჰყავთ იქ.
იქეთ წასვლის მსურველნი კი...

დამიჯერეთ!

სული გტკივა,მაგრამ მაინც
ლაქლაქებთ და იცინით?-
დამიჯერეთ,სულ არაა სირცხვილი!
სამარცხვინო არის ის,
როცა მტერი დაცინვა-შებრალებით,
სულს გინადგურებს და გულს გიკლავს.

***

არაფერია მუდმივი,
არც სიხარული,არც გლოვა.
რომელი რამდენ ხანს გასტანს?-
გააჩნია,რამდენი გაგაჩნია ატანა-მოთმინება!

* * *

არც ჩიტუნები
და არც მამალი,
ღმერთი ათენებს,
ღმერთი აღამებს
და თვითონვე წყვეტს,
ვინ სადაა საჭირო
და რადროსაა ის
ამ ქვეყნიდან წარმავალი.
შენ არავინ გეკითხება,
გიხარია თუ არა გათენება,
ან ყურება მზის,
ამომავალ,ან ჩამავალის.
როგორც ღმერთს სურს,
ყველაფერი ისე იქნება,
გაზაფხულზე,ხე ფოთლებით შეიმოსება,
შემოდგომაზე კი კვლავ გაშიშვლდება.
ფრინველები ძველებურად იმღერებენ ათასნაირ,
სევდიან,თუ მხიარულ და ნაზ არიებს;
ადამიანი სიხარულით, თუ მწუხარებით მიეგებება,
ამომავალ მზეს და გათენებულ ალიონს,
კვლავ გააგრძელებს მღერას,
არათავსართნაყიდი ადამიანიც.
მაგრამ ღმერთი მოწყალეა,
მიმტევებელი და მომთმენი,
ყველას აძლევს საშუალებას,
შეცდომის გამოსწორების და
იმ ქვეყნად ღირსეულად
წასვლისა,თუ გადაბარგების.
ჰოდა,ამ დღეს მოთმინებით დაველოდები!..

მინიატურები:

***

რაც გინდათ იფიქრეთ.
რაც გინდათ თქვით,
მე მაინც საკუთარი მაქვს
სასწორ-საზომი.

არ მიყვარს სხვის რამის მითვისება.
მართალია,ბევრია ჩემზე ნიჭიერი,
მაგრამ მე მაქვს ამბიცია,
ვიყო განუმეორებელი,
თუნდაც უვიც-შტერი.

***

სხვაზე უკეთესი ვარ მეთქი,
არასდროს მქონია პრეტენზია.
არც არვინ ჩამითვლია ისეთ უღირსად,
მეფიქროს,მის გვედით უბედური და უძლური ვარ.

რაც უნდა მლანძღონ,
რაც უნდა მესროლონ ტალახი,
დარწმუნებით შემიძლია თქმა,
რომ უკანვე მიუბრუნდებათ.

მე სუფთად ამოვალ და თვითონ
აღმოჩნდებიან ნეხვსა და ნაგავში.
ჰო კიდევ,არასდროს ჩავერევი
პოლიტიკურ კამათში!

***

მხოლოდ წერით ვშველი დეპრესიას,
რადგან საბრძოლ-სამკურნალო
სხვა საშუალება მე არ გამაჩნია.
ცხოვრებამ იმდენი ნამდვილად მასწავლა,
რომ სუფრა სხვის იმედზე არ გავშალ-გავდგა
და სანამ საბანი გამწვდება,ფეხები იქამდე გადავდგა
და საშუალება რომ არ არის,
ამიტომ სულ ვზივარ და სამოცი წელია,
ამიტომაც არ ავმდგარვარ.

***

არასდროს დამჭირვებია მეგობრების ძებნა,
ერთმანეთთან სულებით მოდიოდნენ
და ამ ქვეყნად წასვლის შემდეგ რჩებოდნენ.
ნამდვილი მეგობრები გვერდით,
გაჭირვების დროს უფრო მედგნენ.
მედგნენ და თავიანთი გულწრფელი
და უანგარო ზრუნვით მაიმედებ-მამხნევებენ.

***

არც ჭორი მადარდებს,
არც შური მაბრმავებს,
ნებისმიერ დროს ვიქნები მშვიდად.
მთავარია,ჯანმრთელნი იყვნენ
და არაფერი გაუჭირდეთ პატარებს.
ყოველთვის ვცდილობ,შეცდომები არ დავუშვა,
სხვის შეცდომებს კი ყოველთვის გავატარებ!

***

არაფრისგან შემიძლია ყველაფრის შექმნა,
ბუზის სპილოდ და აქლემის ჭიანჭველად ქცევა.
შავი ფიქრ-ცხოვრების გათეთრება
და მერე მისი ცისარტყელას ფერებად დაშლა,
ანდა პირიქით,გააჩნია თავში რა აზრი გამივლის.

ვისთვის როგორ

ცისანა ხუციშვილი

ირგვლივ ომია.
სუნია დენთის.
სიკვდილიც სუფევს
და სჩქეფს სიცოცხლეც.

უცნაურია ადამიანი.
ყურადღება და პატივისცემა
მომაკვდავებსაც კი უხარიათ.
აზრი არა აქვს,თავს ვინ რადა სთვლის.

მაგრამ მოვა დრო,
სუყველაფერი
დაწყნარდება და
დაშოშმინდება.

დედამიწაზე ამოისუნთქავს:
ფლორა-ფაუნა,ადამიანი.
მე მოციქული,სააქაოს და
საიქიოსი,მშვიდად ვიჯდები
და სწორედ ამ დღეს დაველოდები!

რომ არ დახუროს კარი

არც ცოცხალი,არც მკვდარი.
მე ვარ უბრალოდ,მკვდარ სხეულში
ცოცხლად რჩენილი სული,
იმისთვის დარჩენილი,
რომ მოყვრის გასახარად
და მტრის გულს საგლეჯად,
არ დაიხუროს და სულ ღია იყოს
მშობლიურ კარ-მიდამოს ჭიშკარი
და სახლის ფანჯარ-კარი.
დარწმუნებული ვარ,ესაა ჩემი მისია.
მართალი ვარ თუ ტყუილი,
მტკიცება თქვენთვის მინდვია.
უფრო ის მაინტერესებს,
ამ ქვეყნად რამდენს ვადარდებ,
ანდა რამდენი ფიქრობს,
როდის აკეტენ ეზოს ჭიშკარსა
და მამა-პაპური სახლის
ღია ფანჯრებს და კარებს!

ნინო უძილაური

ბედი მდევარი

სავალ ბილიკზე დამეწია ბედი მდევარი,
როცა ცხოვრებით დაქანცული ვუხმობდი სიკვდილს,
რადგან ლოცვებში დაკარგული უფლის მხევალი,
დარდთან დავზავდი... დროს სიცოცხლე წუთობით ითვლის.

შევშინდი, იქვე ჩავიმუხლე, რადგან ვაება,
არ მსურდა სულში ჩამღვენთოდა ჩამქრალ სხივებად,
მაგრამ ამაოდ, შევიცანი ბედის ღვთაება
და წამოვკრიფე გაფანტული ცრემლი მძივებად.

თავჩაქინდრული მომაბრუნა ბედმა მდევარმა,
შემომაჩეჩა დაკარგული ფოლიანტები,
სადაც ეწერა ჩემი ბედი სად გაიფანტა
და ვინც მომპარა ყრმობის წლების თეთრი ბანტები.

თურმე სიშორით სიყვარულის ვინ თქვა გაქრობა,
თურმე სიცოცხლეც იკვებება გრძნობით ნამდვილით,
ბედნიერია ერთ სულ, ერთ ხორც, ერთ გულად ტრფობა,
უკიდეგანო ნეტარება ცისკართან დილით.

ბედი მდევარი დამეწია და ბედნიერმა,
გადაკარგული დავიბრუნე ფოლიანტები.

კვალი

თოვლს დაეფარა სიცივისგან დამსკდარი კანი
და ბროწეული თავდახრილი ცრემლებს ყლაპავდა,
ფერმკრთალ მარცვლებზე აღარ ჩანდა სიცოცხლის კვალი,
მკაცრი ზამთარი ამ სილამაზეს ვეღარ მალავდა....

ლექსშეგონება

მამაძაღლობენ ათასგვარი ნაძირალები,
მზის სამყაროში ამუქებენ ოქროსფერ სხივებს,
მათი უსულო, უსიცოცხლო მღვრიე თვალები,
ვეღარ ხედავენ ღრუბლებიდან წამოსულ წვიმებს.
წვიმებს, რომელიც მწყურვალ მიწას ნამავს წვეთებით,
რათა სამყაროს დაუბრუნოს სამოთხის ფერი,
რომ სიყვარულმა იზეიმოს უტიფართ გულში
და სამუდამოდ დაიმარხოს სიცოცხლის მტერი.

გზა

მიიკლაკნება,
მიიკლაკნება,
მიიკლაკნება,
უსასრულოდ გზა მწვერვალისკენ,
ერწყმის წარსული,
ერწყმის წარსული,
ერწყმის წარსული
აწმყოსა და ნეტარ მომავალს,
აქვს დასასრული,
აქვს დასასრული,
აქვს დასასრული
უფერულ და უამურ ყოფას,
მიიკლაკნება,
მიიკლაკნება
მიიკლაკნება გზა მწვერვალისკენ
და მეც მივყვები უსასრულოდ,
უფრთოდ,
ზეცისკენ.

უძილაურთა გვარისა

ფშავს შაიყარნენ ფშავლები,
უძილაურთა გვარისა,
სწყალობდათ კოპალას ხატი,
მადლი ლაშარის ჯვარისა.
მზე იდგა უკანა ფშავის,
ზე შემაღლებულ მთის წვერზე,
ისხდნენ ფშავლები არაგვთან,
სიო ეფინა დღეს მხრებზე.
ეფერებოდნენ ჰურ-ღვინით,
წარსულს, აწმყოს და მომავალს,
ლოცავდნენ ადგილის დედას,
სამშობლოსა და მონაგარს.
ვინა სთქვა გადავიწყება,
გმირი კოპალას ხატისა,
ფშავლების ადათ-წესის და
უძილაურთა გვარისა.

სიყვარული უფლისა

ეს ოთხშაბათიც მიილია მამლის ყივილით
და ჰა, ხუთშაბათს საიდუმლო შედგა სერობა,
ნუთუ პარასკევს მაინც გასცემს უფალს იუდა,
ნუთუ ბოროტის ეს დღეები არის ზეობა...

ჩემო უფალო, აღდგომამდე ჩვენთვის ტანჯულო,
გოლგოთას გზაზე მიმავალო ნატკენი გულით,
რა სასტიკია პარასკევი, ჯვარზე გაკრულო,
რა მწუხარეა ვნების კვირა, მძულს ვერცხლის ფული.

მოვა აღდგომა და დათრგუნავ სიკვდილით სიკვდილს,
რომ სიხარულით შეგვაგებო სიცოცხლის ზეიმს,
„თქვენც შეიყვარეთ ერთმანეთი“... ვიწამოთ სიტყვის
და სიყვარულით ეს სიცოცხლეც სიყვარულს შეიქმს.

8 აგვისტოს სევდანარევი იმედი

სევდა და იმედი

სხეულს მისერავს მავთულხლართები,
სისხლის წვეთებით მორწყული მიწის,
ჩვენი ფესვები გადახლართული,
აფხაზთა, ოსთა, ქართველთა ჯიშის.

დაბუდებულა სევდა საზღვრებთან,
გლოვობს და ტირის მემატიენე,
გმირთა ნაკვალევს ქართლის ბაღებთან,
მტერი ვერასდროს გაატიალებს.

მშობელი მიწის ღია ჭრილობის,
მოუშუშებელ ტკივილებს ვითმენ
გმირთა ნატყვიარ წმინდა ჭილოფით,
მძევლად დარჩენილ ძმის ნატვრას ვივსებ.

იმედდაკარგულ იმედად ვრჩები,
მავთულხლართების ვითომ საზღვართან,
მაინც მიგვიყვანს ეს ძმობის გზები,
აქეთ ამ მთასთან, იქით იმ ზღვასთან.

სევდა ღიმილით

კიდევ ერთი გაზაფხული,
კიდევ ერთი ზაფხული,,
კიდევ ერთი შემოდგომა,
კიდევ ერთი ზამთარი,
შენ ის მითხარ, ამ დროებში,
რომელია მართალი?.....
რთულ კითხვაზე მარტივ პასუხს,
ისევ ღვთისგან მოველით,
ვინ, სად, რატომ, ანდა რისთვის
და როდემდე მოვედით.

მიჩუქებია

მიჩუქებია შენთვის,
ის გაცრეცილი წლები,
ზურმუხტ-ლალები, ვერცხლი,
ოქრო, ალმასის თვლები,
სასახლე, ბეწვის ქურქი,
ფული, ძვირფასი ქვები,
მე ვერ გაჩუქებ ჩემს ფრთებს,
რადგან უფალთან ვრჩები.

განცდა

ო.. რა მძიმეა,
მძიმე ლოდი,
მონატრების შავი ფერებით,
რადგან დამუქდა არემარე დღის დაბერებით,
აღარც სიზმრები,
აღარც ბაგე მონაფერები,
ჭკნება ვარდები,
ვარდზე რჩება მხოლოდ ეკლები....
გადაუშლია ნაკვალევი წვიმებს და თქეშებს,
ვმალავ და ვტირი
სიყვარულის ჩაკირულ ფესვებს...
ო, რა მძიმეა გულზე ლოდი თეთრი ფიფქებით,
ძნელია ყოფა გრძნობის იქით,
მწველი ფიქრებით.

ყველა მამაძაღლს,
ნაძირალას,
ათას ავყიას,
მინდა ვუთხრა რომ.....
თუმცა თქმაშიც ნეტავ რა ყრია.

დავით მოდებაძე

ეძღვნება ძმას – კობა მოდებაძეს

შ ე ნ ი ს უ ლ ი

გზა მშვიდობისა ძმაო ჩემო, კარგად იყავი,
გული წაიღე უკითხავად, ეს რა მიყავი...
ამაღლდი უკვე, სულად იქეც, ზეყანას მოხვდი,
დრო რომ მომიწევს, როცა მოვალ, ნუგეშად დამხვდი...
აღარ მაშინებს მაგ სამყაროს საზღვრები მუქი,
გახდები ჩემი თანამგზავრი ნათელი შუქი...
შენს ბობოქარ სულს ეთხოვება, ქარიც და მიწაც,
მხარს გამიმაგრებ როგორც უწინ, დამიცავ იქაც...
მაგ ზეციური სამყოფიდან ვიცი მეტს ხედავ,
სად მოვიძიო შენი სული, ვიცოდე ნეტავ...
ალბად ხარ ყველგან და ყველაფერს ეხები ნაზად,
ახლაღა მივხვდი, ჩემი ლექსის მოხვედი ფრაზად...
და მასთან ერთად ვიკარგები ასოთა ხნულში...
უცნაურ მუზებს შენ მიგზავნი, მე ამას ვხვდები,
დღეიდან ვიცი, უფრო ხშირად სადაც შეგხვდები...

კ ო ბ ა !!!

სიმართლეს ვიტყვი კობა! ერთად განვლილი ყრმობა,
სტუმრად კაცების ხმობა, ქვეყნად ბოროტის გმობა...
ხვალინდელ დღეზე ბჭობა, ბევრჯერ უსიტყვოდ ნდობა,
ხან უადგილოდ თმობა, ყინულის ფარდის ლღობა...
საუბრის ნიჭის ფლობა, გულში ნადების თხრობა,
ზოგჯერ შორიდან ტრფობა, წრფელი გრძნობებით თრობა...
სხვების სიცოცხლით ტკბობა, ხან შაქარივით დნობა,
ცრუ ბრალდებების მტრობა, და სარეველის სპობა....
ჩოხის კალთების შრობა, გრდემლზე ფოლადის წრთობა,
საქმედ ქცეული ცნობა, ზიარი სისხლით ძმობა...
ვარდის უეცრად ჭკნობა, ხავსს შეპარული ლპობა,
თაფლის სანთელის ქრობა, აღარ შემდგარი შობა...

ღია კარების მტვრევა

ღია კარების მტვრევა,
ძლივს ნაშენების ნგრევა...
უცხო კერპების მსხვრევა,
სხვების წარსულის კვლევა...
სავსე გრაალის ძებნა,
მიწის ადგილზე ტკეპნა...
კოცონის ირგვლივ როკვა,
ცისკრის ზარების რეკვა...
ქარის წისქვილთან ბრძოლა,
ვითომ მეგობრის ყოლა...
ცრუ ანგელოზის გმობა,
სისხლისეული ძმობა...
მწვანეზე სუფრის გაშლა,
ყველა შეზღუდვის წაშლა...
ჭიქიდან ყანწზე ხტომა,
ხეების ფეხზე კვდომა...
არ მიღებული რჩევა,
არაფრის მთქმელი ჩვევა...
მშიერი მგლების ხროვა,
გამოხრულ ძვალთა გროვა...
კვლავ პატიების თხოვნა,
კარგი მეგზურის პოვნა...
შეკრული წრიდან გასვლა,
შინიდან უხმოდ წასვლა....

დროს აღარ უნდა ლოდინი

ღამის ცას აქცევს ხალიჩად, ვარსკვლავთა მთელი ამალა,
შუქი ვერ არწევს ჩემამდე, ღრუბლებმა მთვარე დამალა...
დროს აღარ უნდა ლოდინი, ცხოვრება სადღაც გაიქცა,
გულმა ვერ ჰპოვა სიმშვიდე, ნიკორა ხარი წაიქცა...
მთის წვერზე ზამთრის დადგომა, ნამქერმა ხეებს ახარა,
ყინვას ვერ უძლებს ეული, ტირიფმა თავი დახარა...
ჟამთა სვლა ვერსად წაუხვალ, მან ასაღები აიღო,
მეორედ, ნანახს ვერ ნახავ, ზეცის კარები გაიღო...
ყორნისფერ თმაზე დათოვა, ფლის ნაფიქრი დასრულდა,
გზა აღარ მიდის არსაით, ჩუმი ზღაპარი დასრულდა...

დაკარგული ნაპირი

სახლის კართან ჩამომდგარო ზამთარო, ჩემი თვალით დანახულო სამყარო,
კაცის გულო სიყვარულით გამთბარო, ღმერთო ჩემო სიცოცხლეს არ გამყარო...
ცხოვრების ხევ სამუდამოდ გამხმარო, ძმობის ფიცო სამართალზე მაღალო,
სისხლის წვეთო გულის პირზე მიმხმარო, ბედის ძებნით არასოდეს დამღალო...
წლების წინათ დაკარგულო ნაპირო, ძველო დარდო არ ყოფილხარ საჩვენო,
ზურგის ქარო სად წასულხარ ორპირო, თუ გიყვარვარ ცრემლი უნდა მაჩვენო...
მონატრება კოვზით უნდა დავცალო, სად წასულხარ სათნოების მარცვალო,
განთიადო მინდა ცოტა მაცალო, სხვის ჟინაზე არავიში გამცვალო...

გაგახსენდები თუკი ოდესმე

გაგახსენდები თუკი ოდესმე, თუკი ოდესმე მოგენატრები,
დაგენახები სხვა სამყაროდან, სამოთხის გზებით მოგეპარები...
მოგონებებში რისთვის დამეძებ, ჭეშმარიტებს ვეღარ ჩაწვდები,
სიზმრებში აღარ გაგათამამებ, დანამულია შენი ღაწვები...
მოულოდნელად, ალბად როდესმე, გოლგოთის გზაზე გადაგეყრები,
სიმძიმის ზიდვას გაგიადვილებ, ჯვრის ტარებაში შეგეშველები...
დავიწყებისთვის თუ გამიმეტებ, სინამდვილესთან ვერას გავხდები,
დროს გავაჩერებ დაუფიქრებლად, გზაგასაყართან მარტო დაგხვდები...

მზია გირგვლიანი

დროება

დროებავ ახლაც გაუძელ ამ ყოფას,
ნატკენ დარდების სულის იარას,
ქართველი გასაჭირს უძლებდა ოდითგან,
ტანჯვის გზებით ხომ მარტომ იარა.
სიტყვა ნათქვამი გულის სიმებით,
გული რომელიც ფეთქვით გტკიოდა,
წარსული გიხსნის ისევ იარებს,
სულის სიმშვიდე მოგნატრებია.
სიტყვა სათქმელი ისევ შემოგვრჩა,
გრძელი ზღაპარი წარსულის..
მტერი ორპირი ისევ გვერდშია,
დროის სიმართლეს თვალი ვუსწორე.

დაგვლოცე უფალო ერი

წყვდიადში გზა გაგვინათე,
გვაპკურე ნაკურთხი წყალი...
ნათლით დაწნულა ცრემლი
აღებს კარიბჭეს ცისკენ...

ამოჰყვა ფიქრებს მთებში,
ვარსკვლავთა შუქის ფერი
კავკასიის მთების მშვენება,
ადგილი ლექსთა მუზის...

წლები გვიკურთხა უფალმა,
მორწმუნე შენი მიწით...
წინაპართ ფესვებისათვის
დაგვლოცე უფალო ერი!!!

მთების სულის ამოძახილი,
სიწმინდეს შეხიზნული...
მადლით ამკობს ტაძრებს,
კავკასიის ძირში გაშლილს...

შენს სავალ ბილიკს მოვყვებით,
სანთელი აღარ ჩაგვიქრო...
დრო დაგვაბრუნებს წარსულში
სანთელით მოვალთ შენთან...

შემოდგომა ოქროსფერი

შემოდგომაა ოქროსფერი
სულში სხივებს ქარგავს ზეცა.
ქარი ფუნჯით ქარგავს ფერებს
ამკობს შემოდგომის გვირგვინს.

მადლი უფლის სავსე არის...
მზე კაშკაშა მღერის გულში
ქარი ჩქარობს აღარ იცდის,
ქარგავს სურვილს შემოდგომის.

მოგონებებს თმა შევერცხლილს
სხვანაირი ეშხით ათბობს.
ფეთქავს გადაღლილი მიწა
შემოდგომა მზის ფერებით.

მიწას ლოცავს ღვთისმშობელი...
ყანებს,ველებს სურნელს აფრქვევს.
ბარაქითაა სავსე მიწა,
ზეცა ქარგავს სულში სხივებს.

* * *

დაგბედებოდეთ მრავალი!.
დაგბედებოდეთ მრავალი...
სავალი წლები უხვი,
უღრუბლო ზეცა ნათელი,
მზე სიყვარულით სავსე.
უფლის მადლი ბრწყინავდეს..
გულს სიხარული ათბობდეს.
სევდის ნისლები ქრებოდეს,
სამყარო მუდამ მზეობდეს!
გზებს სიყვარული ეფინოს..
ვარდებით იყოს შემკული.
ეკალ- ბარდები ხმებოდეს,
სულის სინაზე ტკბებოდეს!
სამყაროს სიდიადეში..
ადგილი გქონდეთ მზიანი.
გულის სითბო და სიკეთე
სულში სწვდებოდეს სიცოცხლეს!
უფალი მუდამ მეფობდეს..
სულსა და გულში მზეობდეს.
გალღვეს ყინული გულებში,
სამყარო ამით ხარობდეს!

მოვაფრქვიოთ სიყვარული

მოვაფრქვიოთ სიყვარული,
სახელები გავაცოცხლოთ,
მნახველები ჭირ-ვარამის,
გავიხსენოთ წინაპრები.

მოვაფრქვიოთ სიყვარული,
დაუყენოთ თვალი მტერსა,
ეზო-კარი დავამშვენოთ,
ძველებურად ვახმიანოთ.

წინაპრების ღვაწლი ვწეროთ,
დავრგოთ ვაზი მრავალგვარი,
სახლის ჭერი ავამღეროთ
გავახაროთ ერთმანეთი

მრავალჟამიერი იყოს,
ჩვენი მამულის მშვენება,
გულში სანთლად გვენთოს,
ჩვენი დედა საქართველო!

ერთმანეთს გაუთბოთ გული,
სამშობლოზე ბედი ვწეროთ,
ქართულ ზეცას ვუგალობოთ,
მოვაფრქვიოთ სიყვარული!

* * *

იარეთ საკუთარ ბილიკზე.
თვალები დაითბეთ სიმშვიდით,
იმდენად რომ
მტრებსაც შეშურდეთ!
სამყარო სიკეთით მოხიბლეთ,
რომ მზესაც თქვენობა მოუნდეს...
მომდგარი ტირილი თვალებთან,
შვებად და სინაზედ აქციეთ.
სიბრაზე დასძლიეთ ღირსებით,
გინატრონ ისეთი იყავით...
ყველა რომ ენდობა ისეთი,
ყოველთვის იმარჯვეთ
სიმართლით,
უფალთან რომ იყოთ მართალი.
საკუთარ ბილიკზე იარეთ!..
სხვის გამო განწყობას ნუ ნისლავთ,
განდევნეთ ზეციდან ნისლები.
სამყარო მოხიბლეთ სიკეთით
თქვენობა მზესაც რომ მოუნდეს..
იარებს ვერავინ გაგიჩენთ..
არ აჰყვეთ ჭორსა და სიმდაბლეს.
ვერავინ გაგტეხავთ იცოდეთ,
იარეთ საკუთარ ბილიკზე ...

* * *

სექტემბერო მოგვესალმე.
სექტემბერო მოგვესალმე,
შენს რიცხვებში გაჩენილთ.
ღვთისმშობლის ნაბოძია,
სიცოცხლე და იმედი.
შემოდგომის საწყისი ხარ,
მოგვიქარგე სიცოცხლე.
ჩაგვიკარი მკერდში ისევ,
მზის სხივებით აგვავსე.
გზები ქარგე ია -ვარდით,
მზე სიყვარულს გვპირდება.
მწამს იბრწყინებს დაბადება
ქართული მიწის სიცოცხლე.
სექტემბერო მოგვესალმე
შენს დღეებში მოვლენილთ.
სიბერემდე გვაცხოვრე და
გვადღეგრძელე ლოცვებით.
ღვთისმშობელო,
ღვთის რჩეულო,
სულები მზით აგვივსე.
უფლის მზე ხარ,
მადლით სავსე
ლოცვად მოდი სანთლებით!.

ფერისცვალება

სულის სამრეკლო ნაწვიმარი,
ალამაზებს უსასრულობას..
ზეცის სამეფო თაბორის თავზე
ცისარტყელებში დახატულია.
სამყაროს გასდევს ფერისცვალება..
სული აგვიმღერე, აგვავსე
სხივებით ლამაზ ფერებად,
იმედებით შეგვივსე სული.
სტრიქონები გადაიშლება,
რწმენის ტაძარში მოეფინება
იყვავილებენ ლამაზ კონებად.
სილამაზე კი სხივებად ჩაგვეკონება.
სულის სამრეკლო ნაწვიმარი,
ჩამორეცხილი მტვრისაგან,
გახდა მზისფერი...
იცვალა ფერი, ლამაზ ფერებში!

შემომხვევიან წლები

მინდოდა მესესხა სიტყვები,
შემეკოწიწა, შემევსო ფიქრით
ვწერდი სტრიქონებს ჩემთვის
შემომდნა წლები ნისლივით
ლექსებს შემორჩათ სიწმინდე,
კავკასიონის ცათა სივრციდან
მომქონდა სუნთქვა, თავისუფლება
სულში მზის ნათელი მედგა....
შემომხვევიან წლები ფიქრებით,
რთული გზებით დროს მივყვები,
სამშობლოს კვნესა სულში მაწვიმს,
ტკივილებს წლები ისევ ატარებს...
სული მშიერი ლექსით ვაპურე,
მზის გაზაფხულთან ავამზიანე,
უფალო ნათლით შემოსე ერი,
მიწას მოჰფინე ციური მადლი...

ვალია კვაშილავა

მაცოდინა

მაცოდინა ნეტავ როცა,
წვიმა არის ჩქარი,
ქარს სადა აქვს შესაფარი,
სად მოხუჭა თვალი?!

ყაყაჩოებს მიეკედლა,
ხეტიალით მთვრალი?!
იქნებ იებს ჩაეხუტა,
როგორც თბილი ქალი!

ვფიქრობ იქნებ გვირილებში,
განაბულა ახლა?
და დამფრთხალი ყვავილები,
მიიწევენ მაღლა!..

ნეტავ მაინც მაცოდინა,
რა გაჩერებს ქარო?
შენ ხომ მუდამ მოძრაობ და,
მოგზაური ხარო!

ხან ვიფიქრე მდინარის პირს,
თუ ჩამოჯდა მარტო,
იქნებ წყალი მოსწყურდა და
პეშვით უნდა ყლაპოს?!

მეცოდება დაღლილი და
დაქანცული, ჩქარი,
მასაც უნდა მოსვენება,
რომ მოხუჭოს თვალი!

ამ ფიქრებში ისევ მთვარემ,
ჩაამომძახა გუშინ,
,,ტყემ მოხვია ხელებიო,
ჩაიხუტა გულში"!

განთიადზე მოვიდა

დღეს, ამ დილით განთიადზე,
თოვლის ფიფქი მოვიდა,
ვიწექი და მის სინაზეს,
ვუყურებდი შორიდან!

მოათეთრა ეზო_კარი,
გული ფიქრით გაავსო,
სახურავი დაათბუნა,
მუზის ცეცხლი დაანთო!

ქრიზანთემებს დაათოვა,
თვალხატულა ნათიებს,
გათენდება და მზის სხივი,
არაფერს აპატიებს!

ადრიანად რომ მოხვედი,
,,არამკითხე" სტუმარი,
სტუმარივით ჩქარა წადი,
და არ გნახო მდუმარი!

თუმცა შენი სიყვარული,
გულში ცეცხლად მინთია,
მიყვარხარ თუ მომენატრე,
მაინც ვერ გამიგია!

ვიცი ჩქარა აორთქლდება,
შენი თეთრი ტორები,
ჯერ ადრეა მეგობარო,
ქარ-ყინვა და თოვები!

ვიცი ხალხი მოგენატრა,
მოსვლას როდი დაიშლი,
იანვარში მობრძანდი და
აღარაფერს დაგიშლი!

ახლა სხეულმა სული დაღალა

ახლა სხეულმა სული დაღალა,
აფორიაქდა ჩემი ფიქრები,
გულის წიაღი თითქოს დამთბარა,
და რა თქმა უნდა შენი ვიქნები!

შენმა წყურვილმა ისე დამღალა,
ისევ არია ფიქრის კუნძული,
შემომაპარა თმებში ჭაღარა,
და მოჩანს თეთრად გადახუნძლული!

გული კი ისევ შენით ივსება,
ისევ ბობოქრობს სული ეული,
შენ იყავ ჩემი არ დავიწყება,
და სიყვარული გადარეული!

ისევ აღძრულან დიდი ქარები,
და ოცნებების შარიშურია,
მაინც გეძებენ ყველგან თვალები,
ისევ მოგიხმობს ჩემი გულია!

მე მოვალ შენთან გაზაფხულამდე,
სულის წიაღი ისევ ინთება,
ჩაგეკონები გულის გულამდე,
შენა ხარ ჩემი თავდავიწყება!

შენთვის

შენთვის დავადგი გორას გორები,
გადავდგი მთები ხელუხლებელი,
ფიქრის რაშები ვაფრინე ცაში,
ადამიანის შეუხებელი.

ცრემელბით სავსე კოკა დავიდგი,
მსუბუქი მხრებით ისე ვატარე,
და სიყვარულის ქარტეხილებში,
სვენებ-სვენებით გამოვატარე!

უფალი იყო ჩემი მფარველი,
მეხმარებოდა ლექსი ფრთიანი,
გამოვიარე უკუნი ღამე,
ცივი დღეები ქარიშხლიანი!

ნისლი გაფანტა ნელმა ნიავმა
დარი დადგება მაინც მზიანი,
ქარტეხილებში ფიქრი დამდევდა,
დავრჩენილიყავ ადამიანი...

გულის მაგიერ რკინა მქონია,
მიმტევებელი და მგრძნობიარე,
იმ წლებს სანთლები უნდა ავუნთო,
მოთმინებით რომ გამოვიარე!....

მ უ ზ ა

ამ დილაზე თეთრი მუზა,
ჩამომიჯდა თავით,
თეთრი ხელით გამიხილა,
დახუჭული თვალი!

ტანზე ეცვა თეთრი კაბა,
გვირილებით, თეთრით,
მუზა იყო მოფრენილი,
მოგზავნილი ღმერთით!

ყელზე ჰქონდა თეთრი ბაფთა,
მაგიური შარმა,
რა ლამაზად განასკვული,
ვერ წაართვა ქარმა!...

რაღა მექნა დავმორჩილდი,
ჩუსტიც ეცვა თეთრი,
ავდექი და ჩავიხუტე ,
პოეზიის ღმერთი!

თეთრი ფრთებით მოფრენილო,
მოაზროვნე თეთრო,.....
არ დამტოვო სიკვდილამდე,
პოეზიის ღმერთო!.....

ლელა ფხალაძე

სიკეთე არ კვდება...

ათასჯერ რომ მომკლან,ათასჯერ აღვსდგები,
ვერავინ იხილავს ჩემს კანზე იარას,
მადლობა უფალს,რომ ასეთი დამბადა,
სუსტი და...მხდალი და...ლაჩარი კი არა...
ათასჯერ მატკინონ გული და გამწირონ,
ათასჯერ მესროლონ შუბი და მახვილი,
მე მაინც ვინ შემცვლის,მე ღმერთმა დამბადა,
მე ქალი უცვლელი,მე ქალი ნამდვილი.
მადლობა უფალს,რომ ასეთი დამბადა,
რომ მუდამ ყველასთვის სიკეთე მწადია,
მუდამ მსურს,რომ ისე ვიცხოვრო ამ ქვეყნად,
არ დავწვა შამფური,არ დავწვა მწვადია.
ათასჯერ რომ მომკლან,ათასჯერ აღვსდგები,
აღვსდგები კეთილად,ბოროტად კი არა,
მე ისევ თავიდან ღმერთის გზას გავყვები,
მე ჩემს თავს სიკეთეს მივუძღვნი მთლიანად.
მადლობა უფალს,რომ დათმენა მასწავლა,
მასწავლა ვინ არის ყალბი და ნამდვილი,
არ მინდა მადლობა,არაფერს არ ვითხოვ,
ჩემთვის ხომ სიკეთე ,ეს არის წადილი.
ათასჯერ რომ მომრთან,ფარჩით და მაქმანით,
მთხოვონ,რომ კეთილი ბოროტში გავცვალო,
მე მაინც თიხის თასს ავირჩევ უბრალოს,
მე მინდა სიწმინდის ფიალა დავცალო.
ათასჯერ რომ მომკლან,შუბით და მახვილით,
მე მინდა გითხრათ,რომ სიკეთე არ კვდება,
როდესაც, ამ ქვეყნად ,ჩვენ აღარ ვიქნებით,
სახელი,კარგიც და ცუდიც აქ დარჩება.

ნეტა ქართველი სად არის?!

ზოგისთვის მთაა ოცნება,
მთაში გართობა ჯობია,
ჯიხვებზე ნადირობა და
ცხენზე ჯირითი ჰობია;
მთის ექსტრემალი იზიდავს
დალაშქვრა სალი კლდენისა,
ოცნებად გადაქცევია
შეხება მყინვარწვერისა.
ფშავი, თუშეთი, სვანეთი,
კოშკები მრავალწლოვანი,
გორიდან გორზე ერთურთის
შეძახილები ხმოვანი.
ზოგს ზღვა იზიდავს,
ზღვა ვრცელი,
უსასრულობის ტრფიალი,
აზვირთებული ტალღები,
პარაშუტების ფრიალი.
ტანკერი თვალუწვდომელი,
გემები სართულიანი,
ნავებით გასეირნება,
კატერით ზღვაზე სრიალი.
სანაპირო და მზის რუჯი,
ქვიშის ხალიჩა მორთული,
ხმები ათასი რჯულისა,
მათ შორის,ცოტა ქართული.
თავი სულ სხვაგან გგონია,
თითქოს შენ იყო სტუმარი,
რუსულად მიგიწვევენ და
შეგთავაზებენ პურ-მარილს.
მე ყველა მხარე მიზიდავს,
მიყვარს სამშობლოს მთა-ბარი,
მაგრამ,ქართველი რომ ვნახო,
უკვე მჭირდება რადარი.
რაჭა, ლეჩხუმი,სვანეთი,
სამცხე,ქართლი და კახეთი,
ყველა ერთმანეთს ჯობია,
არ გაირჩევა არცერთი.
სამეგრელო და აჭარა,
იმერეთი და გურია,
იმათაც ვეთაყვანები,
რაც უკვე დაკარგულია.
საქართველოა ლამაზი,
ზურმუხტისფერი მთა -ბარით,
უცხო ტურისტით ავსილი,
ნეტა,ქართველი სად არის?!

სხვა რა გსურს ადამიანო?!

განა სულ ასე ვიქნებით?
დავჭკნებით, როგორც იანი,
განა სიგრძით და სიგანით
ფასდება ადამიანი?!
არა, არც ცოდნით ფასდება,
კაცობა არ ისწავლება,
კაცად ვერ გარდაიქმნები,
თუ არ დაგბადა გამჩენმა.
ჰო და... რაც გვავსებს,
რაც ღმერთმა, ჩვენთვისაც მადლად აფრქვია,
მადლობა ვუთხრათ გამჩენს და
რწმენით შევხედოთ განთიადს.
ვანათოთ, ნუ დავაბნელებთ,
მალე ხომ ისეც ჩავქრებით,
მზე ვხატოთ სულით და გულით,
არა ფუნჯით და ფანქრებით.
ყოველი ქრება ამ ქვეყნად,
ჩვენც ხომ ასევე გავქრებით,
ღმერთი ია-ვარდს გვიფენდა,
ჩვენ რომ სიყვარულს ვარქმევდით.
მსურს, მხოლოდ კარგი დავთესოთ,
გავათბოთ, გავამზიანოთ,
ღმერთმა სიცოცხლე გაჩუქა,
სხვა რა გსურს ადამიანო?!

კაცის ცხოვრება...

კაცის ცხოვრება ერთხანს ზღვა არის,
ღელავს,ბობოქრობს,ნაპირს აწყდება,
თუ მიაღწია მიზანს,ბრგე არის
და თუ ვერ შეძლო გული დაწყდება.
კაცის ცხოვრება ერთხანს გზა არის,
მიდის, მიდის და აღარ მთავრდება,
თუ სწორად მიდის ,იგი მთა არის,
თუ გზას აცდება,უფრსკულს აწყდება.
კაცის ცხოვრება ერთხანს მზე არის,
სხივებს აფრქვევს და საზღვრებს გაცდება;
ამ დროს,თუ სწორად გამოიყენებს,
ყველა ოცნება მისი ახდება.
კაცის ცხოვრება ერთხანს ხე არის,
გაიზრდება და გალამაზდება,
თუკი ნაყოფიც მისი კარგია,
არაერთ სხვასაც გამოადგება.
კაცის ცხოვრება ერთხანს ცეცხლია,
იწვის, გიზგიზებს და აალდება,
მერე თანდათან მინავლდება და
ნაცრად ქცეული გაიფანტება...

ბათუმი...

წვიმა და ღრუბელი ბათუმს არ უხდება,
წვიმის დროს ბათუმში ცხოვრება მუქდება;
ბათუმი მზიანია თბილი და ლამაზი,
ზღვებზე რომ ლივლივებს სხივები ათასი.
გემები,ნავები, იახტა მრავალგვარი,
წყვილები იახტაზე ტრფობისგან გადამწვარი;
ზოგი ნამდვილი და ფლირტიც ათასგვარი,
ზოგიც ჩაიქროლებს, როგორც ნიავქარი.
ზღვა თვითონ გიჟია, ვნებადაუმცხრალი,
ღელავს და ბობოქრობს, როგორც ამორძალი;
ფიქრები ზღვისპირას ჰორიზონტს გასცდება
და თიქოს ცხოვრება არასდროს მთავრდება...
ზღვა გიყვარს?მზე გიყვარს? ვნებები არ ცხრება?
ესტუმრე ბათუმს და ოცნება ახდება.

ფიქრი ზღვისპირას...

როგორ უხდება ზღვის ტალღა
მუზას ,ურჩს,ფაფარაშლილს,
შემოუბერავს სიგრილე,
რითმებს აფრებად გაშლის.
სურვილს გავცურო ზღვის გაღმა,
სივრცეს მივენდო გაშლილს,
თითქოს პირველად ვიხილე,
თითქოს ახლა ვარ ბავშვი;
ტყეშიც ვყოფილვარ,მდელოზეც,
მთაშიც,მაღლა და მაღლა,
მაგრამ რა შეცვლის,ზვირთებად
გადმოგორებულ ტალღას.
მახსოვს გაგრა და სოხუმი,
თუმცა ვიყავი ბავშვი;
თურმე რა კარგი ყოფილა,
მე ვერ ვხვდებოდი მაშინ;
როცა ვერ ვგრძნობდი მე დაღლას,
ვეფერებოდი გაგრას,
სოხუმს ამკობდა ციტრუსი
ფერდობზე,ცოტა მაღლა;
ახლა ვიხსენებ იმ მხარეს,
რომელიც დარჩა გაღმა,
ზოგი მტრის ტყვიამ იმსხვერპლა,
ზიგიც განგმირა ნაღმმა...
ზღვის მონაბერი ქარები
მეალერსება თმაში,
დაკარგულ მიწებს მივსტირი
სევდა მერევა ხმაში...

მაგული ჯინჯიხაძე-გამთენახე

ადამიანო

გწამდეს, სამყაროს მაშინ შვენიხარ,
თუ სიყვარული გულში ხმიანობს,
უფლის შექმნილი თუ არ შეცვლილხარ,
ბედნიერი ხარ ადამიანო.

კვლავ გამაგონე ისევ შენი ხმა,
ის ხმა, გულში რომ იმედიანობს,
მინდა, რომ ფრთები ისევ შეისხა,
ცის ლაჟვარდებში შეიფრთხიალო.

აუგი შენზე ვერვინ ვერ მითხრას,
იყავ ერთგული, ღვთივმადლიანო,
სიკეთე გსურდეს ცხოვრების მიზნად,
სული ცოდვით არ დაიზიანო.

შენ უნდა მიხვდე, მე თუ ვერ გითხარ,
კეთილი გულით მარად იარო,
რომ სიყვარული გებოძა ღვთისგან,
მას უერთგულე, ადამიანო.

ნურასდროს მკითხავ, ნურასდროს მკითხავ,
ქვეყნად სხვაგვარნი რად არიანო,
უღირს ნაბიჯით არასდროს მინდა,
ამ მიწას გულზე გადაუარო.

სული არასდროს გექნება მშვიდად,
მაშინ, როცა ვერ ადამიანობ,
თუ სიყვარული გულში მზედ ბრწყინავს,
ბედნიერი ხარ, ადამიანო!

მინდა მეთქვა

კეთილ გულით მინდა მეთქვა,
ნუ შევასმევთ ერთურთს ნაღველს,
სიძულვილმა მიწაც შეძრა,
ადამიანს რას დამართებს.

ბოღმა, შური გულს ისე ხრავს,
აკარგვინებს ნათელ სახეს,
განა ღმერთმა მისთვის შეგქმნა,
რომ წახდე და გადაგვარდე?

მკერდში გული რისთვის ფეთქავს,
ადამიანს რომ არ ჰგავდე?
თუ სიკეთით ნათობდე და
დიდ იმედად მოყვასს ჰყავდე.

ზიზღი ყველგან გზას გიკეტავს,
ამით თავს და სხვასაც ავნებ,
რა სჯობს იმას როცა ხედავ,
სიყვარულით სავსე თვალებს.

დაინახავ იგრძნობ შვებას,
ერთგულებით გაგახარებს,
ღიმილი რომ სახეს ხატავს
და გულით მზეს დაატარებს.

სამწუხაროდ ვინც კი შეცდა,
ის თავის თავს უგებს მახეს,
ადამიანს შურზე მეტად,
სიყვარული ალამაზებს.

კეთილ გულით მინდა მეთქვა,
ნუ შევასმევთ ერთურთს ნაღველს,
მტრობით არა,მოსვლას ქვეყნად,
სიყვარულით გაამართლებ.

მწყურვალისათვის ჩამოვატარებ

ცხოვრების სიბრძნე ვკრიბე წლებისგან,
რასაც დრო -ჟამი ვერას დააკლებს,
გახსოვდეს,თავად რასაც ვერ იტან,
იმას ნურასდროს სხვას ნუ აკადრებ..

მადლი და ნიჭი რაც მოდის ღვთისგან,
როგორც ტალანტი თუ ვერ ამრავლე,
გულში თუ ბოღმა ამოტივტივდა,
მერე საკუთარ გზებით გატარებს.

ცაც იღრუბლება ხშირად საწვიმრად,
როცა კაშკაშა მზე არ ანათებს,
უსიყვარულო წლები გაგწირავს,
თუ კი გულიდან ამოგაცალეს.

სტუმრად მოსულხარ,სხვა გზა რად გინდა,
ეცადე ღვთის გზას წუთით არ ასცდე,
უსიყვარულოდ თუ დრო გავიდა,
თავად უმზადებს შენ თავს განაჩენს.

სიყვარულის ვტოვებ ნაკვალევს

მინდა რომ გითხრა ისეთი სიტყვა,
გულს რომ გაგითბობს და გაგახარებს,
მერე ეს სითბო გაგყვება დიდხანს,
ბედნიერს,ლამაზ გზებით გატარებს.

რომ შეგეშველო ესა მაქვს მიზნად,
მთელი ცხოვრება ამ ფიქრს ვატარებ,
სიტყვას არ აქვსო ძალაო ვინ თქვა,
ზოგჯერ ტყვიას ჰგავს, გულს დანახალებს.

თუ კი ცხოვრება დაგაწვა ტვირთად,
ყველაფერს შეძლებ ასე ჩათვალე,
თუ მოინდომებ მიაღწევ მიზანს,
არ შედრკე წუთით, შენ გენაცვალე.

ცაზე უღრუბლოდ მზეც კი არ ბრწყინავს,
შენც გაგიღიმებს და გაგახარებს,
გულში იმედი დაიდებს ბინას,
ბედნიერებაც არ დაახანებს.

ლექსებში ვხატავ რაც გულით მიყვარს,
რაც მიხარია და რაც მაწვალებს,
ვაგროვებ ცვარ ნამს უნაზეს მძივად
და სიყვარულის ვტოვებ ნაკვალევს.

ამ შეგონებით მსურს შეძლო წინსვლა,
რწმენა, იმედი გულსაც ახარებს,
ფიქრის გორგალი მზედ იწყებს ბრწყინვას,
სიყვარული რომ გადავაფარე .

რად გინდა,ალბათ მავანი მკითხავს,
ვის ესმის შენი,თავს რად აწვალებ?
დიდი ხანია გული გაცივდა,
ცოდვა, სიყვარულს რომ ანაცვალეს.

იმედს არ ვკარგავ,რადგანაც ღვთის მწამს,
მაინც მივაღწევ გულით საწადელს,
როგორც ანკარა წყაროს წყალს მთიდან,
მწყურვალისათვის ჩამოვატარებ.

ქვაზე მადლი რომ ვამრავლო მინდა,
სიყვარულს ვაქსოვ ლექსების ბწკარებს,
ვიტყვი,ამ ქვეყნად სიცოცხლე ღირდა,
ქვეყნად ერთს მაინც თუ გავახარებ.

ვალად მადევს

ვალად მადევს სიყვარული,
ვალად მადევს ღიმილი,
სიკეთე და სიხარული,
შენგან გამოგზავნილი.
ვალად მადევს თბილი სიტყვა,
ერთგულება, დანდობა,
ვალად მადევს, უფალს ვუთხრა,
ყველაფრისთვის მადლობა.
ვალად მადევს, სიტყვა ტკბილად
ვთქვა, გული რომ ხარობდა,
ვალად მადევს, რომ არ მწყინდა,
წუთი ქარს რომ გაჰქონდა.
მოთმინება, მიტევება,
შენდობა და წყალობა,
გაფრთხილება, მოფერება,
სიძულვილის გაქრობა.
ვალად მადევს, ვიყო იმ წამს
მზად მოყვასის საშველად,
სიყვარული ცას და მიწას
დაანათლა გამჩენმა.
ზეციდან მზეც მიტომ ბრწყინავს,
მტრობით ფესვიც გადახმა,
სიყვარულით შეძლო ქვიდან,
ამოწვერვა ბალახმაც.
ვალად მადევს წმინდა გული
ვანაწილო გზადაგზა,
უნდა შევძლო სიყვარულით
ყველა ვალის გადახდა.

გიგი თეთრაძე

სამშობლოს ჩემსას

დრო მიდიოდა სამშობლოს ნატანჯს,
სტკიოდა ყველა ნაკაწრი, შვილის,
ქართველი ქართველს ესვრის და ჰყიდის
და სხვა ერს უხმობს საშველად ჩივის.

რაც კი აქამდე სისხლი დაღვრილა
ვინც კი აქამდე გაწირა თავი,
ყველა სამშობლოს გულში მარხია,
ყველა ქართველი იხარებს ამით.

ვიღაც ცდილობდა წაერთვა რწმენა
წაერთვა მიწა მორწყული სისხლით,
ჩვენი თავებით გაავსეს მტკვარი,
ჩვენ ერთგულებით უფლისკენ ვილტვით.

ვინ შეაჩერებს,გზას ვინ აურევს ?
ან ვის გაყვება მამაცი ერი?
პატრიოტიზმმა იცვალა ფერი
გმირს და გამყიდველს ფასი აქვს ერთი.

თაობა მიდის, თაობა მოდის,
იცვლება დრო და იცვლება ჟამი,
შენ საქართველოვ დაჭრილო მზეო,
ნათელი გადგას, გაბრწყინდი...ამინ.

შემოდგომა

ქუჩაში ეყარა ყვითელი ფოთლები,
ემორჩილებოდნენ ქარის ბრძანებას,
ქარო სად მიგყავს უმწეო ფოთლები?
ხელს ნუ შეუშლი უფლის განგებას.
მიუშვი, იარონ თავის ნებაზე,
ციდან უყურებს ამ ქვეყნნის შემქმნელი,
ისე,უბრალოდ ფოთლებიც არ ცვივა
ყველა ფერშია უფლის შედევრი.
ხანდახან უმწეო ფოთოლზე მეტადაც
ტირის და ქვითინებს ხელმრუდი ჯაბანი,
სამყარო,რომელიც მოგვეცა სამყოფად,
გახსოვდეს ჯაბანო ის შენი არ არი.
თუკი მოწყვეტილს, დაგდებულს ტალახში,
იფარავს მზრუნველი,თბილი თვალები,
ცივი ქარები ნუ შეგაშინებს
ყვითელო ფოთოლო არ დაიკარგები...

სიცოცხლის ხაზი

ფოთოლთა შრიალს,მონაქროლ ნიავს
შენი სურნელი მიაქვს და მოაქვს,
და ეს თვალები მზეზე ნათელი
ცის უსასრულო სივრცეებს მოჰგავს

და რომ გაივლის ათასი წელი
ათასმეერთე დადგება ოდეს,
ისევ მოიტანს ნიავი სურნელს
ჩვენს სიყვარულზე იმღერებს ოდებს.

მე ყველა სიტყვა ახლა მჭირდება
ყველა ჰაერი და ყველა ფერი,
რა პატარაა ეს დედამიწა,
შენ სამყაროში ხარ ყველაფერი.

მიილევიამ წლები დათვლილი
ქვიშის საათიც დახურავს სარკმელს,
მე უსასრულო სამყაროს მკვიდრი
წუთისოფელში დავტოვებ სათქმელს,

რომ სიყვარული თავად ღმერთია
ერთადერთია უცვლელი ჟამთა,
სიცოცხლის ხაზად გავავლებ სიტყვებს,
მე მხოლოდ ღმერთის და შენი მწამდა.

ელენე ზურაბიშვილი

მონატრებას

მამა რამ გამახსენა შენი თავი ჩემი და აღარ მყავს.
სევდა-მოცულ გულს შენი ხუმრობაა მენატრება.
კუთხურად ნათქვამი შენი გაბრაზება:
ეხლა ბალღო შენა, მენატრება.
თითქოს სიმკაცრით ნათქვამები ეხლა სითბოდ ჩამეღვრება.
დრომ არ მაცადა თქვენით გახარება.
მე დღეს ღარიბი ვარ თქვენი დანახვა მენატრება.
მამიკო როგორ მენატრება შენი დაძახება.
ან ბებოს მზერა რატომ აღარ მეგებება.
თამო, და მოგტირის, შენს სულს ენაცვლება.

* * *

რა მოხდა თუ დავბერდი და თმაში ჭაღარა შემომერია.
ადრე სიბერეს ჯავრობნენ დღეს კი სიბერე სანატრელია.
მინდა სიბერემ ილაპარაკოს ჩემს მიერ
განვლილ გზების ტკივილზე.
დაბერებულა ასე იტყვიან, ერთ დროს ღიმილიც ხომ მოხდენია.
ჩემს თვალებს ნაოჭ დაკრულს სიყვარული ხომ მაინც დარჩენია.
რა მოხდა თუ დავბერდები და თმაში ჭაღარა შემომერია...

შაირი

ყურებას დამიშლი?
თვალები ჩემია.
სიხარულს დამიშლი?
გრძნობები ჩემია.
კოცნას დამიშლი?
არა გრცხვენია?!

ყურებას არასდროს დაგიშლი,
თვალებიც მხოლოდ შენია.
სიხარულს როგორ დაგიშლი,
ჩემი გრძნობებიც შენია.
კოცნას როგორ დაგიშლი,
ჩემი ტუჩებიც შენია .
სიყვარულს როგორ დაგიშლი,
ჩემი გრძნობებიც შენია
და ამის არა მრცხვენია...

მე რომ სევდა მაქვს

თვალებს დავმალავ, ისიევ ვიტირებ.
ნატკენ იარებს მე შენ მოგანდობ ჩემო უფალო.
კვლავ შემიბერე და დამიამე გულზე სევდა მაქვს.
ღმერთო, ჩემი ცრემლები შენთან მოსულა დარდებს გიამბობს.
ზუსტად ერთ წუთში ჩემი ოცნება გარდაიცვლება,
იქვე ჩამქრალ ლამპარს დავემსგავსები.
ნატკენ იარებს მე შენ მოგანდობ ჩემო უფალო.

* * *

მე შენ ცის კიდეს შეგპირდი ჩუმად,
შემოდგომისფრად კრთება ხეები.
სხივებს დავეძებ შენს გასათბობად,
იქნებ შენს გულსაც სჭირდება ფერი...
ქარში გაფანტულ ფოთლებს გიგროვებ,
რა ლამაზია ნეტავ იცოდე!...
სხივებს დავეძებ შენს გასათბობად,
მე ხომ ცის კიდეს შეგპირდი ჩემად.

მე და მაცდური ვინ მოგატყუა?!

ერთი კოცნა და მხოლოდ ჩემი ხარ.
ტროფობის ალერსი?!
მე შენ გაგიყობ საუკუნებად ერთხელ კი არა.
მიზეზს დაეძებს ჩემი ლოყები.
გაბუტულია ისე კი არა.
შენ მე მაკოცებ და ამ კოცნასაც
დაერქმეოდა თავის სახელი...
შერიგებისა, ასეც ხომ ხდება
ორი გრძნობა ერთად რომ ხვდება.
მე და მაცდური?! ვინ მოგატყუა ...
ერთი კოცნაა და მხოლოდ ჩემი ხარ.
ჩემი ცხოვრება მე შენ გაჩუქე.
თურმე კი ღირდა ჩემი გაბუტვა.
ასე გაჩუქებ მე ჩემს სტრიქონებს.
ლექსად გცეულს ლამაზ სვეტებად.

* * *

კალამმაც შემიცოდა და შეწყვიტა წერა.
ფურცელზე გაცრეცილი სიტყვები აიბუზნენ,
განაჩენს ელოდებიან ჩემგან.
დაღონებულ სტრიქონებს კალამი ჩუმად მწყემსავს.
ერთმანეთს ეჩურჩულებიან ვინ გაიმეტა ნეტავ.
სადღაც ,ჩაიბიტბუტა სევდამ: ჩემზე დაღინებულსაც ვხედავ...
ვინ გაიმეტა ნეტავ?!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

წაიკითხეთ

არ მეჩქარება არც მთავრდები უსასრულობავ...
სულიერების სამყაროში დავხეტიალობ,
სიყვარულია ჩემი წიგნით მომსახურება,
უმრავლესობა ...უსასრულო... გონით ტრიალობს!

ვუღიმი დარდს და ...

ნაზამთრ თოვლივით შემოვრჩი ამ დროს
და ცას შევყურებ ვარსკვლავებიანს,
რად უნდათ ცუდი ვინმეს რომ კადრონ,
აუგის მთქმელიც რად მრავლდებიან.
იშვიათად ვარ დედამიწაზე
თქვენთვის ვლოცულობ დღითა და ღამით
სიკეთის ფიქრით ჩემს გულს ვუწამლე,
სულის სიმშვიდე ვიპოვნე ამით.
ვუღიმი დარდს და ვუღიმი ტკივილს,
ესაა ჩემთან ყველაზე ახლოს,
აღარ ვიშორებ სახიდან ღიმილს,
აცრემლებული არ დამინახოთ!

მადლობა რუსთავის ქალაქის ტრამატოლოგიის ექიმს დავით ქურთიაშვილს და ანესთეზეოლოგს საბა აბუთიძეს.

* * *

ცა მოწმედილზე თოვლმა დამთოვა,
ისე უეცრად რომ არ მეჯერა.
მხოლოდ უფალმა არ მიმატოვა,
მან მე მიშველა ადრე ბევრჯერაც.
იმ დღესაც უფლის ხელი ერია,
შევხვდი ზამთრის სუსხს სულის სიმტკიცით,
ო, რახანია არ მიმღერია,
ბედს შევეგებე სიცილ - კისკისით.
უძლიერსი ექიმი შემხვდა,
გადამარჩინა პოეტი ქალი,
დავით ექიმთან არავინ კვდება
გამომაყოლა სიცოცხლის ვალი.
საბა ექიმმა გამიიოლა თბილი სიტყვებით
ბედთან ჭიდილი, ბრძოლა მოვიგე
რწმენით იოლად, გავატრიალე უკან სიკვდილი!

უცნობ პოეტს

გთხოვ დამენახო,
გამეცანი ასე ჯობია,
ოცნებები კი უსაზღვროა
შვილად მიგიღე,
ჩემს კვალს მოყევი
სიცოცხლე მაქვს დანაზოგი და...
გადავიქცევი ბულბულად
და შემოგღიღინებ.
მოგეფერები...
გაგრძნობინებ ალერსს დედისას,
აწეწილ ფიქრებს გაგიფანტავ
გზად უსასრულოს,
ცაში წასული შვილის
სითბო შენით მეღირსა,
ურთიერთობა გააგრძელე
არ დაასრულო.
მე გაღიარე უკვე
შვილად შენი ჯერია
შემოცისკარდი ,,ათინათში"
ლამაზ რითმებით
ამიცისკროვნე ტკივილების
სულის კერია,
უცნობო შვილო, უკვდავების
გმირად ითვლები!

დუმილი

გული ჩემი ერთგულების სივრცე
არის მშვიდი სათნოების სახლი,
რაც ჩემია იმას სხვასაც მივცემ,
სიტყვის ტყვიას
გულში არვის ვახლი.
განძი რაც მაქვს
მყოფნის სულის ვახშმად ,
ნუ წამართმევთ
მემეტება კეთილს,
,,დუმილის " მთას
ჩემში გადავხარშავ
რად არ მზოგავთ ისეც გულგაკვეთილს.
დავდუმდები
როგორც დედამიწა,
სიკეთის ჯარს
დავაყენებ მცველად,
მოთბინების ძარღვი
თუ გამიწყდა,
მაინც ლოცვა მირჩევნია წყევლას!

ველოდები

ღრუბლებში ვარ ველოდები შუქის ხილვას,
ცაზე ელვა დაიკლაკნა წვიმას იწყებს,
წამიერად თვალი თითქოს ამეხულა
კეთილი ვარ კვლავ სიკეთე გამაბრიყვებს!

ხეს მივახატე ფუნჯით გულები

დღეს საქართველოს ხალხია ერთად,
გულთა კავშირი და უღალატო,
ყველა საუბრობს ცის მაღალ ღმერთთან,
კადრები მინდა ერთად დავხატო.
უნდა ვისურვო, უნდა ვილოცო,
უნდა დავუნთო უფალს სანთლები,
ჩვენი მიწები გადმოგვილოცონ,
ნისლების შემდეგ გამოვნათდებით.
ხვალ დიდი დღეა ცა იწყებს კრებას,
მოწვეულია მნათობთა გუნდი,
უიმედობა თოვლივით ქრება,
ხან ნეშომპალას სუნიც კი უდის.
ვირტუალური ხე დავრგე ბაღში
და მივახატე ფუნჯით გულები,
ღმერთო, ამრავლე ქართველი ბაშვი,
სიყვარულით და ტკბილი უღელით!

გულის არმია

მოვკვდი ერთხელ და მილიონჯერ გარდავიცვალე,
სამაგიეროდ შემისახლდა შვილის არმია,
დედამიწიდან ზეცის სახლში გადავინაცვლე,
ვისაც უფლის წამს ისინი ხომ ჩემი არიან.

ყველა მიყვარხართ სიყვარულის უსაზღვროეთით,
ესაა ჩემი სულის კრედო უკიდეგანო,
შემოვიარე დარდის მთები ახლოს – შორეთშიც,
სიყვარულით მსურს ყველა მე რომ გამომემგვანოს!

აქ მატრიალე ღმერთო

წიგნია ჩემი სიმდიდრე
ჩემი ფიქრების ყანა,
აზვავდეს ცამდე მივიდეს,
წიგნების ოქროყანა.
მასთან მაცხოვრე ღმერთო,
მტკივა... სიმშვიდეს ვითხოვ,
გულის სანთლებად მენთოს,
ყინვაშიც სხეულს მითბობს!

გულნაზი დ ე დ ი ს ლ ო ც ვ ა

პაატა იოსებაშვილის
შვილიშვილის გეას)

დაგლოცავ შვილო, არსად
მოგვწვდეს სეტყვა ქარისგან,
მოსაფერებლად შენთვის
ლამაზ სიტყვას შევარჩევ,
სპორტის ოსტატო,
მხარდაჭერა პოეტ ქალისგან,
უსამართლობას თვით
უფალი არვის შეარჩენს.
დაგლოცავ,, გაი "
ულამაზეს ვაჟკაცს ახოვანს,
როგორც მნათობი
რომ უხდები ზამთარს სუსხიანს,
ებრაელები ქართულ ზეცას
მუდამ ახსოვხართ,
დედის ლოცვას კი
რკინის კარიც გამოუხსნია !!!

უცნობ პოეტს

გარდაცვალებულ შვილის მაგივრად,
უფალმა შენთან დამაკავშირა,
ცრემლების დაღვრა ალბათ არ ღირდა,
ბედის წვიმები ისეც გახშირდა.
ჩემს შვილს უყვარდა ლექსთან ჭიდილი,
იმისი გული ლექსით ხარობდა,
შენით მოვკალი შვილის სიკვდილი,
ამ ლექსაც შენსკენ მოუხაროდა.
თვალით დაგეძებ მინდა გიხილო,
მინდა გამოჩნდე შემოგეხვიო,
თუ მოგზაურობ იქნებ იფრთხილო,
ცუდ გზისკენ არსად გადაუხვიო.
გლოცავ დილით და გლოცავ საღამოს
და ფიქრის საბანს ღამით გაფარებ,
მე თუ ცხოვრებამ შვილო დამღალოს,
შენ ცივ ნიავსაც არ მოგაკრებ.
იქნებ უცნობო, ხარ მზეჭაბუკი,
ან მოდარაჯე სულის კარების,
გავაცამტვერე დარდის ქარბუქი,
მეგონა ნახვით გამახარებდი.
დარჩი უცნობათ ნებაა უფლის,
წმინდა გიორგი გზებზე დაგყვება...
შენ ხელოვნების თამადავ სუფრის,
ანგელოზები დაგდევს მაყრებად!!!

როგორც აღმზრდელი

გულს ერთიანად გავანაწილებ,
მგრძნობიარეს და ნაავდრებიანს,
როს დაათბუნებს მზე ამ ნაწვიმებს,
მთის ყინულები გადალღვებიან.
ჰოდა მზის შვილნი მიყვარს... უყვარვარ
 როგორც მშობელი, როგორც აღმზრდელი,
შვილებისათვის ტკბილი ლუკმა ვარ,
საკუთარის და სხვისი გამზრდელი!

არ აცივდეს ისრაელს

დიდ ისრაელს მშვიდობა,
სიყვარულის გალობა,
მოფერება მინდოდა,
ჰქონდეს უფლის წყალობა.
არ ითოვოს უმიზნოდ
და არც წვიმა მოვიდეს,
ტყვია არ დაუმიზნონ,
ომიაო გავიგე.
ჩვენს ებრაელ ქართველებს,
კი გაქვთ ორი სამშობლო,
მსურს გიყუროთ ჯამრთელებს,
ცრემლი ღმერთმა გაშოროთ.
მჯერა უფლის წყალობით,
შეხვედრის დღეს ვიხსენებ,
ლექსის სულის გალობით,
მოგონებით ვისვენებ.
ლოლა გულის ზიარო,
მაისის თვეს ნაშობო,
უეკლო გზით ვიაროთ,
ცრემლი ღმერთმა გვაშოროს.!

ლამაზი გემი

ცოდვა მაქვს დიდი დარდი მოვკალი,
წვიმა გავაშრე გულის სითბოთი,
შვილს შევახვედრე ქათმის ბარკალი
სტუმარს ყოველთვის ლუკმას ვუთმობდი!.

სხვა რა შევცოდე ძილის წინ ვფიქრობ...
აუგი სიტყვა ხომ არ წამომცდა,
გულის დარდს ნაჯაფ ხელებით ვიქრობ,
რით ვეღარ მოვრჩი ბედის გამოცდას.

ეკლიანი გზა გავკაფე ჩემით,
დავთესე ყველგან უეკლო ვარდი,
დღეს პოეზიის ლამაზი გემი,
სიყვარულით და სიმშვიდით დადის!

უნდა მიყვარდეს

რწმენაა ჩემი იმედების სულის საგზალი,
თვითონ დავხატე სიფაქიზის ნაზი სამყარო,
ულევ სიყვარულს, ერთგულებას, ცაში ვაგზავნი,
აქ მოთმინების მძიმე ჯვარი უნდა ვატარო.
უნდა მტკიოდეს, მიხაროდეს, უნდა ვლოცავდე,
უნდა ვშრომობდე, დღე და ღამე შეუსვენებლად,
უნდა მიყვარდეს, საქართველო ბოლო კოცნამდე,
უნდა ვიცოცხლო ჩემი ქვეყნის აღმაშენებლად!.

მთავარია

მთავარია ახსოვდე,
შენს მომავალს ლექსებით,
გულს სიყვარულს აქსოვდეს,
სამომავლო ფესვები.
მე ვარ დედა ფუტკარი,
ყვავილების სტუმარი,
მტერს სალამი.უთხარი,
არ მსურს ვიყო უბარი.
ოღონდ იყოს თავისთვის,
ვუთვლი ბევრჯერ მოკითხვას,
სიკეთეს ვქმნი ხვალითვის,
მასაც ზღაპრებს ვუკითხავ.
სულის სახლში.სიამის,
თაფლი უნდა ვაგროვო,
სუსხმა ცივი იანვრის,
ცოტაც უნდა მადროვოს!

ბევრი ვესაუბრე

რა არ ვეჩურჩულე ...
წმინდა სამებას...
იყო სიყვარული ჩემი სათხოვარი,
ქართვლის კრუხ-წიწილას
თუკი გზა აებნას,
ღმერთო, არ გახადო
სხვისი მათხოვარი.!

* * *

ხან მზეს ვხედავ ღრუბლის შემდეგ,
ხან წვიმა და ხან ქარია,
მოთბინებით კვლავ ბევრს შევძლებ,
ისეც ვითმენ რა ხანია,

იმედების სამყარო

იმედების სამყაროს
ზოგჯერ ფერი ეცვლება,
ღმერთო, ხალხს არ გამყარო,
თვალი ამომეცრემლა.
რწმენას ისევ მოუხმე,
შევიყვარე შვილივით,
ხეს ტოტი არ მოუხმეს,
კიდევ გულის ტკივილით.
ბედო უმისამართო,
მხატვრის ხელი დამხატავს,
გემი როგორ მოვმართო,
თუ დავრჩები ნახატათ.
ჰოდა იქნებ მაცალოს,
ჩემმა ბედის ამიდმა,
რწმენა არ მიმეცვალოს,
წლები დარდით დამიდნა.
სამომავლო განძია,
ის რაც უკვე შევქმენი,
სხვა მე რა მაბადია,
შრომით განა შექებით.
სიცოცხლეთა გამოცდა,
ჩავაბარე მეათედ,
ცუდი ხომ არ წამომცდა,
ცალ ფეხს რომ ვერ მივათრევ??

დუმილი

სხვა რა გზაა დუმილს ვირჩევ,
ნაწვიმარ გულს ისევ თოვდა,
ნაჭრილობებს ღრუბლით ვიხვევ,
თვითონ ზეცაც იმდს მთხოვდა.
მოშიშვლებულ დიდ მინდორზე,
ხის ფოთლებიც არსად ჩანდა,
ძალაობდა ათი ორზე,
დადიოდა რისხვის ბანდა.
რა მოხდება დუმილს ვკითხე,
აიჩეჩა მანაც მხრები,
ლექსს არასდროს წავიკითხავ
საქართველოვ, თუ გაქრები.
ქართველები გახიზნულა,
უქართველოს ვხედავ მინდორს,
დედამიწამ დაიზმულა,
რუსთაველი გავდა დიდგორს.
დარდი შევკარ ერთ დიდ ტივად,
ჩემთან ახლოს დაპაკუნობს,
გული უკვე ისე მტკივა,
არ მგონია განიკურნოს!

გარეჯში ქარიც დაგვხვდა მშვიდი და დამთმენი

ღვთის რწმენით მივედი, ვკდებოდი შიმშილით,
უდაბნოს ტრამალებს სიმშვიდეს ვეძებდი,
ჩურჩულით ვამბობდი თუ გინდა მიშვილეთ,
ვხედავდი იქ იყო წმინდანი დედები.

მამებმა გვაკურთხეს, დაგმოძღვრეს სიკეთით,
ლექსიც კი მომიძღვნა, მამა ნეოფიტემ,
იქ იყო მზის სხივი და თანაც ისეთი,
ზეციდან ფანტავნდა სინაზის ნატიფებს.

მრემვლი გვაზიარა მამა ფილიპემ და,
მერე კი დაგვლოცა, დაგმოძღვრა ღვთის რწმენით,
იქ იყო ხვა ფერი თბილი დილის მზე და...
გარეჯში ქარი დაგვხვდა მშვიდი და დამთმენი!

მამა იოსებ სადუნიშვილი

მამაო ვიცი დამილოცავ ცათა გარდაცვლილთ,
ხვანსა და ჭალვანს ემატება ლიჩის ხეობა,
რწმენის სამოსი მოვიხურე მით არ დავმარცხდი,
ღვთის სიყვარული არის ჩემთვის კეთილდღეობა.

ჩემი ხეობის მლოცველო და უფლის მსახურო,
შემოიყოლე ბარბაწმინდის ძალა ღვთიური,
მწამხარ მამაო, გულწრფელობით, მთელი შეგნებით,
რწმენაა ჩემი სიყვარული მარადიული.

მე ის დედა ვარ

მე ის დედა ვარ გულს რომ გიმშვიდებთ
და ვკოცნი წარსულს მზეთა სხივების,
ჩემამდე მოსვლას ხომ არ გიშლიდნენ,
ხომ არ გასველებთ ხშირი წვიმები.

მე ის დედა ვარ, თქვენ რომ უყვარხართ,
გლოცავთ დღე და ღამ და ედარდებით,
თუ დაიფანტეთ მტერის ლუკმა ხართ,
ცალ-ცალკე კლდიდან გადმოვარდებით.

უნდა გიყვარდეთ, უნდა გახსოვდეთ,
ქართული ჯიშის ლერწი და ვაზი,
გულსაც სიყვარულს უნდა აქსოვდეთ,
მხრებს პოეზიის არწივი გაზით!

გულის მთაველო

აგერ წიგნები თვალით რომ ხედავთ,
მე კი დარდებში შემომაღამდა,
მოკრძალებულად თუ სიტყვას ვბედავ,
ჩუმად ეს გული ბევრჯერ აბღავლდა.

მარტოდ არა ვარ ღმერთია ჩემთან,
მწვრთნის ისე როგორც ფოლადის ტყვია,
მე მის გარეშე სიტყვა არ მითქვამს,
ვწერ და წყნარ ნიავს უფალთან მიაქვს.

შევქმენ ჟურნალი არც თუ ურიგო,
წმინდა გიორგის, ნინოს ხატებით,
ვცდილობ სიკეთის ნერგი დაგირგოთ,
თუმც დარდიანი თქვენთვის დავტკბები.

ლეღვის რძესავით მდის სისხლი ხშირად
და იობივით ვითმენ განსაცდელს,
მასაც დავლოცავ ვინამც მე მწირავს,
ბოროტებისთვის წლებს არ გავაცდენ.

მე შენით ვცოცხლობ თხუთმეტი წელი,
გეალერსები როგორც შვილს ისე,
ეს სიყვარული ისეა წრფელი,
როგორც ზეცაში უფალი ქრისტე.

წმინდა გიორგის მადლი მფარველობს,
ღვთიური ძალა უფლის ნიჭს იცავს,
წმინდა ნინოვო გულის მთაველო,
შენს ხატს არ შევცვლი ალალად ვფიცავ.

ბევრჯერ აწვიმდა ნაბიჯის რიყეს
და თვალებიდან ცრემლებიც წამსკდა,
გზად შევეყარე უვიცს და ბრიყვებს,
გაუძელი და გული არ გასკდა.

ხალხს ვემსახურო ვარ მზადყოფნაში,
რწმენა ყოველთვის მომაძლიერებს,
როს მახვედრებენ დარდს და შფოთვაში,
ისევ სიკეთე მაბედნიერებს.

წიგნებიც მელის

მივეფერები უფლის იმ კერას
და კვლავ სიყვარულს გავანაწილებ,
წიგნებიც მელის მე ასე მჯერა,
უჯავრდებიან ბედის ნაწვიმებს!.

არ მაქვს უფლება

არ მაქვს უფლება ჩავიმუხლო-წავიფორხილო,
არ მაქვს უფლება უიმედოდ თვალებს ვახელდე,
ცის უხილავი ბედის გზაზე უნდა ვიფრთხილო,
არ შეიძლება სიბნელეში ხის ტოტს ვარხევდე.

მე ხომ დედა ვარ ამ სამყაროს უსასრულობის,
მივდევ ეკლის გზას მომავლისთვის ვარდი დავთესო,
მოვძლიერდები სიყვარულით, რწმენით, სრულებით,
ბედო მაცადე რომ სიცოცხლე კვლავ წავიხემსო!!!

ესაა ბედნიერება

ჩამოიფურცლა წელიწადის თვე და დღეები,
წიგნს ჩავაწურე ნებისყოფის ყველა სადავე,
ზღვა გადავცურე შტორმიც შემხვდა მარტოდ შევები,
დაიხრჩობაო თოლიები ეჭვებს ბლანდავდნენ.

უფლის ხატებში გავახვიე სხვათა ნაფიქრი,
პოეზია და ყველა დარგის მეცნიერება,
ისე თბილია, ისე კარგი, ისე ფაქიზი,
ესაა ვფიქრობ სამომავლო ბედნიერება!

წ ა ი კ ი თ ხ ე თ

არ მეჩქარება არც მთავრდები უსასრულობავ...
სულიერების სამყაროში დავხეტიალობ,
სიყვარულია ჩემი წიგნით მომსახურება,
უმრავლესობა ...უსასრულო... გონით ტრიალობს!

გამოცანა

როგორ გიღალატებ,
როგორ მიგატოვებ,
თუმცა ნოემბერმა ჩამოთოვა
გრძნობას სიყვარულით
შენს ხატს დავატოლებ,
ლექსით წამოვიწყე გადმოთოვლა.
შრომით წავიქეცი,
გრძნობით წამოვდექი,
შენმა სიყვარულმა გამომცადა,
ისევ ყვავილების დიდ გზას დავადექი,
ეს გზაა წმინდა და გამოცდაც!

ჩემო ნანიკო

ყვითელ-წითელი, ფერები,
შენს დაბადებას მახარებს,
ფაქიზად მოვგეფერები,
ნიავსაც არ მოგაკრებ.

ძლიერო გოგო, ჭკვიანო,
დინჯო და შეუპოვარო,
ნამდვილო ადამიანო,
ბებოსთვის მონაპოვარო!

სივრცე

მე მოვიარე სივრცე
ისევ დაბლა ვარ ახლა,
გული დარდს შევაცრიცე,,
უიმედობას ვკრძალავ.
თავს არ მანებებს დარდი,
გავრბივარ მომდევს ყველგან,
წავიქეც კვლავ გამაგრდი,
კარგად ვარ როგორც ძველად.
სიყვარულია ჩემთვის,
სამკურნებელი გულის,
ვიცოცხლებ ისევ თქვენთვის,
ქართულს კვლავ ჩამოვუვლი.
ვიცოცხლებ ,,ათინათით"
წიგნით და გონის მართვით,
ჯერ წინ მაქვს სამჯერ ათი,
მზე ციდან კვლავ დამნათის!

მეორედ დავბრუნდი

მიყვარს და მაოცებს ფაქიზი ფერები,
გაშლილან ლამაზად ყვავილის კვირტები,
ნაზია, თოთოა, არ მივეფერები,
ბოლქვებად ქცეულან წითელი ტიტები.
დავუცდი გაზაფხულს ტიტების გაფურჩქვნას,
კვლავ ჩემი ღიღილო სიცოცხლეს მახარებს,
არ ვაცლი მთის ღელეს ღიღნს და ჩაბუქვნას,
რადგანაც მოდის და უაზროდ ხარხარებს.
თუმცა კი სიცოცხლეს ანედლებს წყლის შხეფი,
იებს და ტყის ვარდებს ხასხასი გაუდის,
ბულბული შორიდან ორივეს ეტრფის და...
სიცოცხლე მიყვარხარ მეორედ დაბრუნდი!

ჩემი შვილთაშვილები
(რაჭველი ბოკვრები)

იუანე ლობჟანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს.

რაჭის მთებში არწუვებმა ბუდე,
გაიკეთეს სიყვარულის ტრფობით,
გამოზრდიან მართვესა და ხუნდებს,
რაჭველები გარჯითა შრომით.
დანიელი, იოანე, ნენე,
გაიზრდება სალოცავთან წმინდათ,
გული გულთან როცა მიაშენეს,
ცოლ-ქმარს უკვე არაფერი წყინდათ.
იოანეს დაბადების დღეა,
გაიზარდე გენაცვალოს ბებო,
შენი დედა ჩემი გულის მზეა,
შენ სიცოცხლის წლეი საარსებო!

იმედის წყარო
(მაგული კორძაიას)

ხარ მაგალითი ქართველ ქალობის,
ხარ იმედების უშრეტი წყარო,
პოეზიას ქმნი უფლის წყალობით,
გლოცავ ას წელს მსურს რომ გაიხარო.
მეამაყები, მეიმედები,
ჭკვიან თვალებში ბრწყინავს სხივები,
შენი ლექსები არის შედევრი
და მარგალიტის სულის მძივები!

ლაშა ხარაიშვილს

პოეტის შვილს პოეტური ლექსი,
ბეჟანის ვაჟს უკვდავების ფესვებს
ჩემი ძმის ხმა ძირულიდან მესმის,
გული ჩემი ძველებურად კვნესის.
მახსენდება ის პატარა ლაშა,
მამის წასვლას განიცდიდა -- წუხდა,
თუმცა ცრემლი აღარაფრით გაშრა,
პოეზია ძველებურად ქუხს და...
დამრჩა ლექსი და ძმიშვილის ფესვი,
გამიმრავლდა ანგელიზთა დასით,
ბეჟანივით ვერ დავწერე ლექსი,
სულ უბრალო ცის ნამი კი გასვით.
დაბადებას მოგილოცავ ,,მამი,"
გამიმრავლდი როგორც ვარსკვლავები,
ხომ გაამე წუთიერად - წამით,
გულით ლაშა... არა დავალებით.

დედაშვილობა

დედაშვილობის გრძნობის მწვერვალებს,
სამარადისოდ დავეპატრონე,
გულს კი სიწრფელის ალით მღელვარეს,
უღმერთოებმა ბევრჯერ დატორეს.
არ შევიცვლე მარტის თვესავით,
მაისის ვარდის სურნელით ვსუნთქავ,
დედაშვილობის მადლის მთესავი,
არ გარდვიქმენი გულღრძოდ და გულქვად!

დღეს ორი წლის გახდა ბექა

ისე ტკბილია შენი ღიმილი,
როგორც თაფლი და როგორ სიცოცხლე,
გულს სიყვარულად ამოღიღინდი,
დარდიანი რომ გამომაცოცხლე.
მაგ ეშმაკუნა თვალის ჭირიმე,
უსაყვარლესო ბექა ჭკვიანო,
შენ გახდი ჩემი დილის პირიმზე,
მინდა ხშირად რომ შემეხმიანო.
ამიხმიანე სახლის კუნჭული,
ამოჯეჯილდი როგორც ყანაო,
რად მინდა უკვე დარდთან წუწუნი,
შენ ხარ სიცოცხლის გამოცანაო!

უბრალოება

მიყვარს სიცოცხლე უბრალოებით,
მიყვარს დიდი და მიყვარს პატარა,
დედამიწაზე ჩვენ ვართ დროებით,
ნეტავ მსოფლიო შემომატარა.
ვამცნო ის რასაც ახლა განვიცდი,
გათენებისას რას ვფიქრობ დილით,
თუ წინ წავედი სხვასაც დავუცდი,
სულის სიმშვიდეს ვაჩუქებ თბილისს.
მიყვარს წარსული თავის ტკივილით,
ის ცრემლიც მიყვარს თვალს რომ წამოსკდა,
არ მთრგუნავს მტერის სახის ღიმილი,
თუ მაწყენინა მერე რა მოხდა.
იპიწკინებენ შეზამთრებისას...
იმედის ბუხრის ნაპერწკლები,
კვირტი იფითქებს ხვანის მთების და...
აყვავდებიან ნეკერჩხალები!

დედა გულნაზის დალოცავა

(ქალბატონ ნუნუს და
ბატონ ნიკოლოზ კურტანიძეებს)

დიდ ხეს გავს თქვენი ცოლქმრობა,
ჩამოხუნძლული.კვირტებით,
ოჯახში ტკბილად ცხოვრობთ და...
გახარებთ გოგო– ბიჭები.
კვლავაც გამრავლდეს ფესვები,
კვირტებდამსკდარი ყვავილით,
ქართული ადათ--წესებით,
შვილთაშვილებით დაღლილი.
შროშანები და იები,
თქვენს ბაღში ახლაც ბევრია,
დიდი ოჯახის ბიჭებით,
კვლავაც იმრავლოს კერიამ!

ვარდის კოკორი

სისხლი აყივლდა, გამიქარწყლდა გულის იარა,
ნისლმა შეიშრო დათქორილი კაბის საკინძე,
ადრე იწვიმა, გადაიქცა მზე ცივ იანვრად,
ახლა ის სველი ნაწვიმარი მზეზე გავკიდე.

ამოუზრდია პოეტის ფესვს ვადის კოკორი,
დავყნოსე ხარბად შევისუნთქე სუფთა ჟანგბადი,
მან გამიშუქა უკუნეთი როგორც ფოსფორი,
მიტომ გადავთვრი პოეზიის სუფთა ბადაგით!

გარდაცვლილებთან

აქ, ასე ვცხოვრებ გარდაცვლილებთან
და ორ სამყაროს ვაერთიანებ,
ვცხოვრობ შვილთან და მამიშვილებთან,
ცრემლის წვეთებით შევეხმიანე.
დუმან ყველანი მე კი ვბუტბუტებ,
გახსენებებით გრძნობას ვიოკებ,
ახლა ლექსს დავწერ თუნდაც უსუსტესს,
სიჩუმეს მაინც ავაწიოკებ!.

სულის სამყარო

ჩემი შექმნილი სულის სამყარო,
ნიჭის გონით და ნაჯაფ ხელებით,
წიგნია ჩემი ფიქრის წყარო და...
განვლილი წლების ნატერფალები.
ვცხოვრობ წიგნების სუნის სურნელთან,
მას ვუზიარებ თუ რამ მაწუხებს,
რაც ფიცი დავდე წინაპრის ძეგლთან,
შეუცდომელად ვაძლევ პასუხებს.
ყიველი თვე და განვლილი წლები,
გონის ჭურჭელში ხელით ჩავწურე,
ვსვავ როგორც ლოთი ვქეიფობ, ვთრები
და ტკივილებიც აღარ მაწუხებს.!!!

ვჩემობ სიყვარულს

ვჩემობ სიყვარულს სპეტაკს, უბიწოს,
თეთრს და ქათქათას, თოვლივით წმინდას,
ვარ უდედმამო, უძმო-უბიძო,
ამიტომ ბედის ყოველთვის მწყინდა.
ვჩემობ სიყვარულს სხვათა შვილების,
სულიერების შევქმნი სამყაროს,
არვინ წააგებთ თუ მეშვილებით,
ქართული ვაზის ფესვის ნაყარნო.
ვჩემობ სიყვარულს ბრძენს და მეომარს,
სულით ძლიერნი მიყვარს ძალიან,
ვეძებ ქართველის ერთგულ მეგობარს,
დედაშვილობა ჩემი ვალია.
ვჩემობ სიყვარულს, თუნდაც მეზობლის,
ვინაც ტკივილი გაიზიარა,
ის უფრო მიყვარს როცა ეზოს ვგვი,
თავის მეგობრად რომ მაღიარა!

პოემა

თინათინ უზარაშვილი

მარადიული ძიების გზაზე

/ლირიკული პოემა/

დაბადებიდან, შეუცნობელად,
გაურკვევლად,რატომ ან რისთვის?
მე დავეძებდი უჩინარ ზღაპარს,
ავსებულს ათას მზითა და მითით.
მე დავეძებდი უცნობ ბილიკზე,
ვეძებდი მზეში, ვეძებდი
ჩრდილში,
ვეძებდი ყველგან -ცისფერ წვიმაში,
ფიფქების ჯარში, ღვიძილში, ძილში.
ვეძებდი სულის მზისფერ ალიონს,
ქარს-მოზიარეს ჩემი გულისთქმის,
ვეძებდი სითბოს ,ვეძებდი საყრდენს,
თავშესაფარ სულს, ნაზი სულისთვის.
ვეძებდი კრძალვით,ვეძებდი თრთოლვით,
ვეძებდი მზისფრად მოქარგულ კოშკში,
დაუცხრომელი,დაუღალავი,
ცხადში თუ სიზმრის ლურჯ საუფლოში,
სადაც ერთმანეთს ცვლიდნენ ათასგზის
ნასმენი ხმები და მზის ფერები,
სადაც,თვით სევდაც სხვაგვარი იყო,
იმ უსაშველოდ ცივი ხელებით...
ვეძებდი ათას გზასა და ბილიკს,
ათას მწვერვალის დასალაშქრავად,
ვეძებდი იმგვარ ჟინით და გზნებით,
უკანდახევა?– ო, უკაცრავად!!!
ვეძებდი დღისით,ვეძებდი ბინდში,
აღვსილი ვარდთა ნელი სურნელით,
იების სუნთქვით გამთბარი სულით
და ვარსკვლავების კრეფის სურვილით.
და...ასე კრთომით, და ასე კრძალვით,
ასე ძლიერი სწრაფვით და გზნებით,
შემოვიარე ქარის ბილიკით
ოცნების ცამდე აწვდილი მთები.
შემოვიარე, მხოლოდ იმისთვის,
რომ ერთ დღეს,ასე უხმოდ,უთქმელად,
შენთვის მომეძღვნა ყველა ღიმილი,
ყველა ოცნება და მზის შუქფენა...
ვეძებდი...თურმე მხოლოდ იმისთვის,
რომ გმონებოდა ამაყი სული,
რომელიც, მხოლოდ გაზაფხულისთვის
და მზისთვის იყო ქვეყნად მოსული...
ჰო,გმონებოდა სული,რომლისთვის
გართობა იყო სხვათა სურვილი,
რომ მოუდრიკავს,ამაყს,თავნებას
მოეკლა ქედის მოხრის წყურვილი...
...ვეძებდი დიდხანს,უსასრულოდ,
ამ მზეს,ამ თვალებს.
მე შენ გეძებდი რძისფერ ნისლში და
სიჩუმეში...
და მე არ ვიცი,ჰო, არ ვიცი,რამდენი ხანი
ვუძღვენი მსხვერპლად ამ უცნაურ წვას და
ძიებას...

(მე ისე დიდხანს დაგეძებდი ცისფერ ბილიკზე,
რომ ეს პატარა უზუსტობა მეპატიება)...
ბოლოს, გიპოვე!
გიპოვე ქარში,დაღალული,მკრთალი იერით,
ელოდი ახალ ქარიშხალის აბობოქრებას,
რომ დასწეოდი ,ზღვის კიდესთან ჩამავალ მზეს
და
აღდგომისათვის შეგძლებოდა ძალის მოკრება.
ელოდი...მაგრამ ქარიშხალმა დაიგვიანა
და მზე ჩავიდა,აღსარება ვერ მოისმინა.
ჩავიდა ისე ბუნებრივად,ისე ლამაზად,
ვით ჩადიოდა გუშინ, შარშან, ათას წლის
წინათ...
ათასი მზე და ათასი ცა ვერ დაიტევდა
იმ ჩუმ კაეშანს,იმ ჩუმ სევდას დაღლილ
თვალების,
ჩამავალ მზის სხივს აცილებდი, სავსე
ტკივილით
და ფრთადაღლილი ოცნებების
გარდაცვალებით.
მაინც,იმდენი სითბო და რწმენის
იმგვარი სხივი გეხატა შუბლზე,
რომ საკუთარი დასჯის სურვილით
თუ დაგტოვებდა გული ცის ზღურბლზე...
გიპოვე!..
ქარი,დაღლილი ქარში,
დახარბებული მზეს ოქროცურვილს,
შენ გჭირდებოდა თბილი ღიმილი,
მე – შენი მხნე და ამაყი სული.
მე მჭირდებოდა მეგობრის ხელი,
მეგობრის მხარი, მეგობრის გული,
შენ– გაზაფხულის ეშხი და სითბო,
ამოსავსებად პირღია წყლულის.
ჩვენ ვჭირდებოდით ერთიმეორეს, -
მე ასე მწამდა,მჯეროდა მაშინ.
ჩვენ ვჭირდებოდით ერთიმეორეს,
გადასარჩენად მრისხანე ქარში...
მე შემოგწირე ამაყი სულის
სალარო,მზით და სინათლით სავსე,
ყველა ოცნება, ქარისფრთიანი,
ყველა კურცხალი, მომდგარი თვალზე.
ყველა თავნება სულის ჭინკა
წამოვაჩოქე
და შორით ვუწყე ჭვრეტა უცხო სანახაობას:
ჩემდა საოცრად,მორჩილება ეხატა ყველას
და ბედთან,თითქოს,აღარცერთი აღარ
დაობდა.
პაწია ფრთებით, მაცოცხლებელ სხივს
ატარებდნენ
და...ბედნიერნი,სიყვარულის ცეკვას
სწავლობდნენ,
ფარვანასავით გევლებოდნენ მაღალ შუბლზე
და
ღიმილის ალზე, უწყინარად, დაწვას
ჩქარობდნენ...
მე ბედნიერი ვიყავ, ლოცვით დაღლილი
სულით,
მე ბედნიერი ვიყავ, რადგან გიპოვე მაშინ.
გიპოვე,ვისაც გეძახოდა დღე გარდასული,
საკუთარ გულის ფეთქვას ვგრძნობდი
ვის გულის ხმაშიც. .
...
ეს მე გიპოვე...
უფრო სწორად, უბრალოდ,შეგხვდი,
უკიდეგანო ცის კიდესთან,მზის დასავალთან.
შენ ვერც იგრძენი ჩუმი სევდა ციცქნა
ფარვანის,
შენი ღიმილის სინათლესთან რომ
დასამარდა...
შენ ვერ იგრძენი...ო, რამდენი რამ ვერ
იგრძენი....
...
ქარი და წვიმა შენ არასდროს არ გყვარებია,
არც მათთან შერწყმის დაუწვიხარ არასდროს
სურვილს,
შენ ეს, უბრალოდ,არ შეგეძლო,მხოლოდ
იმიტომ,
რომ მიწიერი წყაროს წყალით იკლავდი
წყურვილს...
ღრუბლებში ფრენა არ მიგაჩნდა საშენო
საქმედ,
არც იისფერი ფიფქით სავსე სულის გათბობა,
თეთრი გრიგალიც ,მხოლოდ შორით
გხიბლავდა,თურმე...
შენ არ შეგეძლო ცივი პროზის ისე დათმობა...
შენ ვერ შეძელი...

ო,რამდენი რამ ვერ შეძელი!!!
...დაბადებიდან უსასრულოდ დიდხანს ვეძებდი
უვალ ბილიკებს,მზეს ვეძებდი და მძაფრ
ქარიშხალს.
ვპოვე კი,ქარი ფრთადაღლილი,მზე-
დანისლული,
რატომ? რაღასთვის? ო,არ ვიცი,აბა რა
გითხრა...
მე მზეს ვეძებდი დაუღალავად,
ჩრდილი გიპოვე,ისიც ამაოდ...
ასჯერ გკარგავდი,მუხლებდაღლული
და კვლავ გეძებდი, დაუფარავად.
ჩუმად გიხმობდი დანისლულ გზაზე,
როცა მზის შუქი არ ჩანდა არსად
და ტკბილ მოლოდინს ვიხანგრძლივებდი,
იმ უჩვეულო ძიების ფასად...
მე შენ გეძებდი, რადგან მჯეროდა,
შენ იყავ ბინა საოცარ სულის,
შენ იყავ ფიქრის ბოლო სადგური
და მოურჩენი იარა, წყლული.
მჯეროდა, იყავ თავშესაფარი
ჩემი ლამაზი ფიქრის,ოცნების,
და თაყვანს ვცემდი იმ ჯადო-ღიმილს,
როგორც ხატებას,ჩუმი მლოცველი...
მჯეროდა.
მიტომ დაგფოფინებდა,
დღემუდამ,ზრუნვით,ჩემი სტრიქონი,
ახლა შორი ხარ, ო,ისე შორი,
უკვე არც მჯერა კვლავ თუ გიპოვნი.
უკვე არც მჯერა და მაინც ვეძებ
შენთან მოსასვლელს,ადრე თუ გვიან,
თუმცა,მავანნი, ამ ძიებასაც
და იმ პოვნასაც, შეცდომად თვლიან.
დიახ, შეცდომად და,უფრო მეტიც,
უხეშ სიბრმავედ, ორთავე თვალის,
მე, მე რას ვფიქრობ?-აბა,რა გითხრა,
ან რა აზრი აქვს,რას შევცვლით ამით?!.
...
ცის ფონზე ასი ოცნება ტოკავს
და დათარეშობს ათასი ქარი...
მე ისევ ვეძებ ნათელ განთიადს,
ფერად გაზაფხულს,სიცოცხლის ყვავილს...
ვეძებ, დაღლილი ლურჯი სიზმრებით,.
ფერმიმქრალ მზით და გაცრეცილ მთვარით,
ვეძებ, აღვსილი იდუმალ ხმებით
და დატვირთული ათასი რამით.
...
ეშმაკისაგან დაჭლიკულ გზაზე
არეულია ათასი კვალი,
ალბათ, შორია იმ ბილიკამდე,
იმ სინათლემდეც...
მე ვეძებ მაინც ...

სხვავშვო განყოფილება

მარინა დიერაშვილი

* * *

რიცხვი ე რ თ ი – გფარავდეს ღმერთი!
რიცხვი ო რ ი – აგორდა ჭორი!
რიცხვი ს ა მ ი – წაიქცა სკამი!
რიცხვი ო თ ხ ი – ვიყიდე ფოცხი!
რიცხვი ხ უ თ ი -დავარდა ხუფი!
რიცხვი ე ქ ვ ს ი -დადგა მსგეფსი!
რიცხვი შ ვ ი დ ი -დამწიფდა შინდი!
რიცხვი რ ვ ა -ავანთე ბრა!
რიცხვი ც ხ რა -ისევ ჩამოცხა!
რიცხვი ა თ ი – გაჩერდა საათი!

ძველქართულად თვეები

თვე ა პ ნ ი ს ი, ახალი წლის
დასაწყისი არის,
თოვლიანი, ყინვიანი
და ქრის ხოლმე ქარიც.

ის ხომ რიგით მეორეა,
ს ა რ წ ყ უ ნ ი ს ი ჰქვია
ხეში წყალი ჩამდგარა და
სუსხიც არ აკლია.

ცვალებადი ხასიათით,
მ ი რ კ ა ნ ი ა შემდეგი,
ნუკი გაანაწყენებთ...
არ მოიმკათ შედეგი.

შემდეგი თვე ი გ რ ი კ ა ა,
ყვავილობის დარია,
მთა და ველი გადაშლილა
მართლაც ყვავილნარია.

სხვა შესაფერ სახელს,
ვერ მოიფიქრებდით,
ვ ა რ დ ო ბ ი ს თ ვ ე ს
ტკბებით მათი სურნელებით.

მ კ ა თ ა თ ვ ე შ ი მოსავალი
ასაღები ხდება,
ყანა შემოსულია და
მომკელს ელოდება.

ზაფხული კი ძალაშია,
თ ი ბ ა თ ვ ე რას ელის,
ბალახი არის სათიბი,
მოიმარჯვეს ცელი.

თვეა მ ა რ ი ა მ ო ბ ი ს ა,
ზაფხული კი მწველი,
ვიმარხულეთ და თვის ბოლოს
დღესასწაულს ველით.

ე ნ კ ე ნ ი ს თ ვ ე დამდგარაო
შემოდგომა მოდის,
ჭრელა-ჭრულა ხალიჩები
დაიგება როდის.

ყურძენი მოკრეფილია,
ღ ვ ი ნ ო ბ ი ს თ ვ ე ს შვენის,
შემოდგომა მოგვეახლა,
ყველგან მორჩა რთველი.

წვიმა შემოგვეჩვია,
გ ი ო რ გ ო ბ ი ს თვეა,
საკმარისად აცივდა და
მოწყენილი დღეა.

თვე ქ რ ი ს ტ ე შ ო ბ ი ს ა
ყრმა იესოს მოველით
და სულდგმული ქვეყანაზე
გაიხარებს ყოველი.

თვალის დახამხამება, პირობითად წამია

წამი, წუთი, საათი...
დროის ათვლა იწყება,
თუ სწორად გაიაზრებ,
აღარ დაგავიწყდება.

სამოც წამს რომ აითვლი,
მან წუთი შეადგინა
და სამოცი წუთი კი -
ერთ საათს დაედგინა.

დღეში თორმეტია და
იმდენივე ღამეში,
მთლიანად ოცდაოთხი
კი არის დღე -ღამეში.

ერთი დღე,რომ გაივლის,
სხვა ახალი იწყება,
დღეებით კი კვირა და
თვეები იკინძება.

თვეები კი წელიწადს
შეადგენენ ახლიდან,
შემდეგ სხვა წელს იწყებენ
ისევ,ისევ თავიდან;

წელიწადის ბრუნვა კი
არასოდეს ჩერდება,
დროთა მონაცვლეობა,
საუკუნოდ გრძელდება!

კვირის დღეები

დღე პირველი – არის კვირა
ეკლესიაშია წირვა!

დღე მეორე – ორშაბათი,
მე მაქვს ხელი, არა თათი.

დღე მესამე – სამშაბათი,
მზე ერთია, არა ათი.

დღე მეოთხე – ოთხშაბათი,
ორ ხელზეა, თითი ათი.

დღე მეხუთე – ხუთშაბათი,
ღვინო გვაქვს, არა შარბათი!

პარასკევი, პარასკევი,
თუ მღერიან, შენც აჰყევი!

დღე მეშვიდეა შაბათი,
არ დაივიწყო ადათი!

ლექსი – გამოცანა

უხელო და უფეხოა,
აქვს თავი და კუდი.
ბალახებში დასრიალებს,
არის კიდეც მშვიდი,
ზოგჯერ დახვეული სძინავს
მზის სხივებზე თბება,
ისე შეხამებულია
ბევრი კი ვერ ხვდება...
ფერადია ან ერთგვარი,
არის ცოლმე ჭრელი,
მისი შხამით მკურნალობენ,
რა ჰქვია და გ – – – ი

....და შენთვის დანაბარები

სადაც აკვანი დაირწა,
ქართვლის ფუძე და ძირია,
საქართველოა სამოთხე,
ბევრს თავი შეუწირია.

და სხვის სიმდიდრეს გერჩივნოს
შენი მთა, შენი ველები,
შენი ენა და მამული...
და რწმენა გადამრჩენელი.

თეთრწვერა კავკასიონი,
მუდამ თოვლ-ყინულიანი,
ბარში რომ გაზაფხულია,
მთაში თოვლი დევს გვიანი.

მთის მდინარეთა ქუხილი,
ბარში სილაღით მდინარი,
ტყე, ჭალა და ველ-მინდორი,
უხვი და ბარაქიანი.

გაშლილი ზვრები, ყანები,
მოსავალი მზის დარები...
ნაირ-ნაირი ხეხილი,
ნაჯაფარ ნაოფლარები.

...შენც გაისარჯე, იშრომე,
მიეპატრონე მთას და ბარს,
ნუ დაანებებ უცხოელს;
ტკბილ ენას, ქართულ მიწა-წყალს!

ენა,მამული,სარწმუნოება

ღვთისმშობლის წილხვედრო,
ნატანჯო საქართველო,
ჭირ-ვარამ გამოვლილო,
წუხილის დამფარველო.

რამდენჯერ გეტკინა...
ვისგან არ გეწყინა,
მუდამ თავს იცავდი,
რომ გადაგრჩინა:

ჯერ ენა ქართული...(78 წ)
9 აპრილს მამული...და
მართლმადიდებლობა
ჩვენს გენში ჩართული.

დავიცვათ სამივე,
ეს ჩვენი ვალია,
ბრძოლა კვლავ გრძელდება,
ბოროტმა აგვრია.

ნუ მიგვატოვებ, უფალო, იესო!
რაც ხდება გარშემო,
ცოდვების ბრალია,
ლოცვით შეგვეწიე,
მოგვეცი გაძლება,
დედაო მარიამ,დედაო მარიამ!

ვალია კვაშილავა

ზღაპარი

ოქროსტარიანი ცული

ეს ქართული ხალხური ზღაპარი ისწავლება დაწყებით კლასში (ოღონდ პროზით).შევძელი ბავშვებისთვის ლექსად დამეწერა და შედარება გამეკეთებია.დაცულია შინაარსი და ხალხურობის სტილი,დავწერე რვამარცვალა სტროფებით.



იყო და არა იყო რა,
ქვეყნად ცხოვრობდა ძმა სამი,
სიმარჯვე არცერთს არ აკლდა,
სულ იყვნენ ნაჭამ- ნასვამი!

საიქიოში დედ-მამას
გულს ჯავრი გაჰყვათ მათია,
გაიყვეს მამის ქონება,
მზის სხივის ათინათია.

უფროსს სახლ-კარი ერგო და
უმცროსს კი ცული ხისტარა,
სხვა გზა არ ჰქონდა საბრალომ,
მხოლოდ ნაჯახი იკმარა!

საშუალს ერგო ბოსელი,
თავშესაფარი ცხოველთა,
გამოაზამთრებს ძროხებს და
სულ პატარა ხბოებსაც.

ძმებმა მოთხოვეს ცულინს,
შეშა გვიმზადე ტყეშიო,
სამი დღის საგზალს წაიღებს,
და ცულს დაიჭერს ხელშიო.



დაიღალა და მწყურვალი,
მდინარისკენ გავარდა,
ფეხი დაუცდა და უცბად,
შიგ მდინარეში ჩავარდა ....

რა უნდა ექნა საცოდავს,
ნაჯახზე ხელი აიღო,
თვითონ გადარჩა წვალებით,
ცული კი წყალმა წაიღო!

,,ეგ მქონდა მამა-პაპისგან,
სხვა არაფერი დამრჩაო,
დაბადებიდან წვალება,
და სიღარიბე დამყვაო".



ასე ჩასძახა წყალს ბიჭმა:
,,გამომიჩინე ცულიო,
უმისოდ შინ ვეღარ წავალ,
ნუ მომიკალი გულიო".

ამ დროს სად იყო, სად არა,
კაცი გამოჩნდა წვერითა,
ბიჭს გამოჰკითხა მიზეზი,
დამწუხრების და წყენისა.

მან უპასუხა რომ რა ვქნა,
წყალმა წამართვა ცულიო,
და არ მგონია ჯავრითა,
თვალს მომეკაროს რულიო.

ეს წვერიანი ღვთის კაცი,
შეწუხდა თურმე იმდენად,
უეცრად წყალში გადახტა,
და გამოუჩნდა იმედად.

ცოტა ხნის შემდეგ მინდორზე
გადმოისროლა მან ცული,
ოქროსტარიანს წააწყდა,
მსგავსი არ ჰქონდა ნახული.

კაცმა იყვირა ო, რა ვქნა?
ვერ გავბრიყვდები ადვილად,
მე სხვისას ხელს არ მოვკიდებ,
შინ არ წავიღებ ნამდვილად!

ახლა წყალში წვერიანმა,
ცული ნახა ვერცხლისტარა,
და ეგონა ამით მაინც,
რომ კაცს გული გაუხარა.

მან კი თავი გაიგიჟა,
ეს არ არის ჩემი ცული,
სხვისი რამე რომ წავიღო,
ვერ გაუძლებს ჩემი გული.

წვერიანმა ისევ წყალში,
ჩაყო ხელი საძებარი,
წყლიდან ამოღებულ ნაჯახს,
ჰქონდა სპილენძისა ტარი!

არც ესაა ჩემი ცული,
არ მოვკიდებ სხვისას ხელსო,
ვუფრთხილდები ჩემს კაცობას,
ჩემს ოჯახს და ჩემს სახელსო!

წვერიანის ამ წვალებამ,
კვლავ შედეგი გამოიღო,
ჩაყო ხელი,... მდინარიდან
ვაჟის ცული ამოიღო!...

აი, ეს კი ჩემი ცული,
ჩემი შრომით ნაჯაფია
ძმების შეშა ზამთრისათვის
ამ ნაჯახით ნაკაფია.

სიმართლისთვის წვერიანმა
დააფასა გლეხის გული,
და საჩუქრად დაულოცა,
ის სამივე, ყველა ცული!

ორი დღის შემდეგ დაბრუნდა,
ძმებთან მოვიდა ძმა ისი,
ცულები ყველას აჩუქა,
როს იდგა უკვე დაისი!

მაგრამ სიხარბე ზოგიერთს,
არ მოასვენებს არროდეს,
თვალი სხვისაკენ გაურბის,
თუგინდ ბაღნარი ყვაოდეს.

გულში იფიქრა უფროსმა,
მოდი მეც წავალ ტყეშიო,
იქნებ ვიპოვო სიკეთე,
ოქრო ჩავიგდო ხელშიო.

მართლა ასე ქნა წავიდა,
პაპის ცულით და საგზლითა
გაუტანლობამ,სიხარბემ,
მისი გონება დაბინდა!

მდინარის პირას მივიდა
და შიგ ჩააგდო ცულია,
მერე დაიწყო ყვირილი,
მაშველს ეძებდა გულიანს!

უცებ სად იყო, სად არა,
კაცი გამოჩნდა წვერითა,
,,ძმობილო რა მოგივიდა"? -
ჰკითხა უფროს ძმას წყენითა.

კაცი მოუყვა ტყუილებს,
და დახმარებას ითხოვდა,
ღვთის კაცმა ფეხთ გაიხადა,
უნდა ვიპოვო-ფიქრობდა.

მდინარიდან ამოიღო,
ცული ოქროსტარიანი,
რა უეცრად გააშრობდა,
დარი ცოტა ქარიანი.

დაიყვირა აი ვპოვე
როგორც იქნა შენი ცული,
უფროსმა ძმამ მიაძახა,
როგორ გამიხარე გული.

ეგ ხომ ჩემი ცული არის,
ჩემი ხელებნაკიდიო,
ოჯახისგან მოცემული
მამაჩემის ნაყიდიო!

აქ გაბრაზდა წვერიანი,
მატყუარას უთხრა:-არა!
ერთი სილა გააწნა და
იქაურობას გაეცალა.

მიაძახა: - ,,ტყუილის მთქმელს,
არც თავისი ერგებაო",
ცული წყალში უთავაზა,
სხვისი არ შეგერგებაო!

უფროსი ძმა დაედევნა-
,,ჩემი მაინც ამომიღე",
მამაჩემის დანატოვი,
სახლიდან რომ წამოვიღე."

ღვთის კაცმა კი მატყუარას,
ყური აღარ ათხოვაო,
ხარბი კაცი, შურიანი,
სულ უცულოდ დატოვაო.

აი, ასე, ხარბი კაცი,
სხვის ქონებას ავლებს თვალსო,
უფლის ნებით არა სხვისას,
თავისასაც დაკარგავსო.

ასეთია ხარბის ბედი,
გულში უზის ბოროტიო,
ალალ-მართალს ღმერთი იცავს,
გაახარებს ბოლომდიო!...

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

ჩანახატი

მზემ ოქროს შუბით გაარღვია
თეთრი ღრუბლები,
ააჩურჩულა ალუჩები და ალუბლები...
ნაზად ელავენ ყვავილებში მწვანე ნაძვები
და მზისფერ აპრილს უფრო მეტად ალამაზებენ.
ბუნება ლაღობს, მხიარულობს, აღარა ხუმრობს...
და ყველაფერი მღერს სიმღერას საგაზაფხულოს,
ამდევნებია უჩვეულო ფიქრი თავნება
და მიღიმიან მელნისფერი იასამნები.

***

უკეთუ საკუთარ თავს მოერიე,
მაშინ ხარ ყველაზე ძლიერი,
ჟამმან, მრავლის მქმნელ გარდამქმნელმან
შენ ვერ შეგიცვალოს იერი.
მთავარი სიმტკიცეა სულისა,
კლდე რაა, ნაჭედი რვალისა?
არცა გეშინოდეს სიკვდილისა,
არც მისი მსახვრალი ხმალისა.
მშვიდად ხარ აღმასრულებელი
ამა საწუთროის ვალისა...
იმედი, რწმენა და სიყარული
ისე გადაგაქცევს ხალისად,
არცა შიში გქონდეს, არცა დარდი
მიმგებელობისა ხვალისა.

უფალო ტკბილო

შენ ხარ ღმერთი წინაპართა
სალოცავი, სათაყვანო,
შენ წინაშე შვილთა შენთა
უყვართ მუხლი მოიყარონ.
შენ შეამკე ცა ვარსკვლავით,
შენ ანათე მზე და მთვარე,
შეგვეწიე, დაგვიფარე,
გვაპატიე, გაგვახარე.
შენ ხარ ჩვენი სასოება
სიცოცხლე და სიხარული,
შენ სავანედ სამყარო გაქვს
და კეთილი კაცის გული.
უცნაური არის ყოფნა –
მარტივი და თანაც რთული,
შენ სამყაროც კი ვერ გიტევს,
მაგრამ გყოფნის კაცის გული.

* * *

დაგვლოცე და დაგვიფარე, უფალო,
გვაკურთხე და მზიანი გზით გვატარე,
გონი მოგვეც ზეცით თავისუფალი,
და ამინდიც ზეცით გამოადარე.
გვაღიმილე, რათა ვიყვარებოდეთ,
გაზაფხულთა აფეთქებას გვადარე...
მხოლოდ ასე, წამებაც კი ტკბილია,
განგვინათლე გული სევდით ჩაგრული.....
შეიწირე გლახაკთ ესე მწვლილია,
ვით რაინდის სიმღერები ჩარგლური.



ბეჟან ხარაიშვილი

*

გახსოვს? მოდინახე,
ღვინო ალისფერი,
მთვრალი მგზავრები
და შორი გზები...
წამომელანდები
კლდეზე შემომდგარი
და ხელს გამოგიწვდი მორიდებით!
სიო ჩაიყუჩებს წამწამთ სივაშეში,
შენ კი მთებს
გაჰყურებ ნისლიანებს,
თრთოლავს გიტარა
და მწვანე მოლზე,
ღვინით სასმისები ივსებიან!
გახსოვს? -– მოდინახე...
მზეი ჩამავალი,
გულთა იდუმალი
ბგერის გადაცემა,
ხედავ? ჩაგჩურჩულებ
და მთის ნაპრალიდან,
ქალაქს გადმოვხედავთ ალმაცერად.
ეკლებს გაურბოდი,
წუხდი დამკაწრესო,
თმები შინდის რტოზე დაგეწეწა,
ვკრეფდი ფირუსულებს,
ახლად დაჩიტულებს,
იებს იმედიებით გიწოდებდი,
ნისლიში ირწეოდა მოდინახე,
ჟამთა ნასეტყვი და ნაწვიმები,
...დავრჩით ხელგაწვდილი
მთის მწვერვალზე,
დავრჩით ასაფრენი არწივები!

ხელი არ დამადო

გულთან არ დამადო ხელი...
მტკივა...
მტკივა...
და
დანაღმული ვარ
მკერდზე ძარღვებით,
ეჭვის მახრებით
ფაჩუნობს ღამე...
ნეტავ რა ხელმა აიღოს უნდა,
რომ ვერ დაძალავს --
ისეთი გუნდა?!

ისევ გამისხლტა თვალთა მიმინო,
და შენს ფანჯარას,
გარშემო უვლის,
ყველაზე
დიდი სასაფლაო
გული!

მოლოდინი

მაღლა მთიდან პატარა რუ,
სოფლის
ნაღველს ჩამოლექავს,
საცალფეხო
ხიდზე შემდგარს,
ქარი გულმკერდს გაგიქექავს
და დახედავ იმ თაიგულს,
წეღან სხვამ
რომ მოგიტანა,
მოღალატე-მოღალატე,
ჰკივის ქარი ჭორიკანა.
მოლოდინი ვეღარ შეძელ,
თუ ყვავილმა გაგაბრიყვა,
გული განა იმად მოგეც,
რომ ორგული გამხდარიყავ???

დავით გამთენაძე

განშორება

თბილ ღიმილით მაცილებდი თუკი,
მიმყვებოდა თვალნი მოციმციმე,
გუშინ ისე შემაქციეთ ზურგი,
თითქოს უკან აღარ დაგრჩათ ვინმე.
წახვედი და ჩემი გულიც გაგყვა,
მარტო შევრჩი სევდასა და ლოდინს,
ფანჯარასთან ნაძვი იდგა კენტად
და შენს ნაცვლად დამიქნია ტოტი.

მზე მიტოვებს სათქმელს.

მზე მიტოვებს სათქმელს,
ჩადის ცხრა მთას იქით,
შემომიღებს სარკმელს
ღამე წვით და ფიქრით.
უხილავი ძალით,
მირხევს სულის სიმებს,
მაყვლისფერი თვალით
მშვიდად გამიღიმებს.
მომიყვება ამბავს
,,ვეფხისა და მოყმის",
ამქვეყნიურ ზღაპარს
მტერისა თუ მოძმის.
მოქათქსთე ფურცლებს
რჩებათ ღამის კვალი,
სათქმელის ზღვას ულევს
უციმციმებს თვალი.

ზაფხულის ღამე

დღე გვირგვინს იხსნის,ღამე შემოდის,
მთვარე ვარსკვლავთა მინდორში იწვის,
ციცინათელას დასდევს ეზოში
თვალებმერცხალა პატარა ბიჭი .
გულის კარები გახსნეს ვერხვებმა,
ასეთი მშვიდი ღამე სად არის,
ბიჭი კისკისებს დაღლას ვერ ხვდება,
ციცინათელას თვითონ სადარი.
გარბის, გამორბის ციცქნა ყმაწვილი,
სახე ედემად გადაქცევიაო,
ციცინათელამ აბა რა იცის,
მზეთუნახავმა ღამის ფერიამ,
რომ გაიზრდება მხედარი მისი,
მამულს მოურჩენს წყლულს და იარებს,
იმ ნაპერწკალით ახლა რომ იწვის
ზღაპრულ ბავშვობას გაუმზიანებს.

* * *

რად ჩაგვისახლდა სულში ძალა გამოუცნობი,
ერთმანეთისთვის ძმები რატომ გავხდით უცხონი,
მითხარ რად ვანგრევთ სიყვარულით ნაგებ-ნაშენებს,
ნუთუ უკეთეს საქართველოს ამით ვაშენებთ?!

შერმადინ ქალდანი

სვანეთს

სხვაზე როგორ გაიცვალოს,
შეეგუოს ან სხვა ცა ვით.
ღმერთმა ნუ ქნას დაიცალოს
საქართველოს სისხლსაცავი.

მთებს

ზეცას ეკვრება ღამე მაღალი,
ანთებული ხარ ზამთრის ტყეო და,
თუმც ქეეყნის ოთხმხრივ ღიაა კარი
მე მირჩევნია თქვენი ტყვეობა.
    ეს თქვენით ვიცი: არის მთავარი,
    მამულს რომ ზიდვა უნდა უღლითა...
    როგორც თეთნულდთან პირსავსე მთვარე,
    ისე ამოდის ლექსი გულიდან.
რამდენი სიტყვა დამირჩა გვერდზე,
კვლავ უთქმელობის მიმყვება ჯავრი.
რა ვქნა, დედაზე ლექსებს თუ ვერ ვწერ,
ამ წუთისოფლის დაღლილი მგზავრი.
    ღამდება თქვენით, თენდება თქვენით,
    მთებო, გიხდებათ სიდარბაისლე.
    მაღალ ღმერთებთან ჩურჩული გშვენით,
    მომავლის ბურუსს თქვენ ამაისებთ.

გზა

ვეღარ გავიგე სოფელი ესე,
ჭრიან მუხას და ცვივა ნაფოტი,
ღვარძლის მაგიერ თუ იფქლი თესე
ან ჯილდო გელის, ან ეშაფოტი.
    დღემუდამ მზის და სინათლის მძებნელს
    ირგვლივ კუპრივით ჩამოგდის ღვარი, –
    აქ ხომ ციხის და ტაძრის მშენებელს
    ორივეს ჰქვია ხუროთმოძღვარი.
გზაგასაყართა ქვასთან მდგომელი
მეც ვარ და საით, როგორ მისანო,
მითხარი ერტი, გზა სჯობს რომელი,
რომ შემდეგ მხარი აღარ ვიცვალო.
    თუმც ანგელოზთა ისმის გალობა,
    არდაბრუნების გზა ვერ წავშალე.
    სხვასავით ვუცდი მეც ღვთის წყალობას
    და დუმილისთვის ვარ დამნაშავე.
არჩევანია რადგანაც გზათა,
ცოდვილი მიწაც სანამ ტრიალებს,
უხილავო და მპყრობელო არსთა
შეუცნობ გზაზე მახეტიალე.

* * *

რომ არ ემღერათ წინაპრებს „ლილე“,
ინაპრებს „რიჰო“ რომ არ ემღერათ,
რით ვუგალობდი ნეტავ ამ დილას
ამ მზისთვის ყელი ვით მომეღერა.
    რომ არ აეგოთ რუხი მურყვამი,
    შავი მაჩუბი რომ არ აეგოთ,
    რომ არ ჰქონოდათ ლიბო ურყევი,
    ურდონი ხმელზე რომ არ აეგოთ.
რომ არ ებრძოლა წინაპარს ვეფხთან,
კერიის ცეცხლი რომ არ დაენთო, –
ვინ მერქმეოდა ნეტავი დღეს და,
თუ ვიქნებოდი ქვეყნად საერთოდ...
    რომ არ ემღერათ წინაპრებს „ლილე“,
    წინაპრებს „რიჰო“ რომ არ ემღერათ.
    რით ვუგალობდი ნეტავ ამ დილას
    ან მზისთვის ყელი ვით მომეღერა.

თარგმთარგმანები

გულნაზ ხარაიშვილი
Gulnaz Kharaishvili

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი –
მთარგმნელი, ფილოლოგი, პოეტი.
Mzia Kvirikashvili Lawrence – Translator,
Philologist, poetess.

შეუფასებელი ფონდი

ჩემი სიმდიდრე წიგნებია,
ესაა ქონება ჩემი,
ზოგი გაზაფხულის შინდებია,
ზოგი მოცურავე გემი.

წიგნია სიყვარულის ლაბირინთი,
შეუფასებელი ფონდი,
ლექსია, სიტყვებია განარითმი,
ციდან გზავნილები მოდის.

ერთხელ შემეკითხენ, რა ღირსო?
სწრაფად ვუპასუხე: ზეცა,
სული სასიცოცხლო ყველა დღისო,
სხეულს ყოველ დღე რომ ეცვას.

ჩუმად, დამცინავად ჩაიღიმეს,
თეთრსაც არ მოგცემთო, მითხრეს,
არყით გადათვრნენ და იღიღინეს,
წიგნი სიბუნძურით თითხნეს.

ვდუმ და სიჩუმეში ჩავიძირე,
ბოლოს გადავწყვიტე მეთქვა,
თქვენ რომ სულით ცაში მიიძინებთ,
წიგნი ცოცხალივით ფეთქავს!

UNASSESSED FUND

My books are my invaluable wealth,
And my eternal property-treasure,
Some of them are berries of spring,
And some of them are sailing ships.

A book is a labyrinth of love,
Unassessed funds, you can't value them,
It's a rhythmic poem; words are rhymed,
Messages that flow from heaven.

Once, I was asked: What is it worth?
I quickly replied: – The whole world,
The soul's nourishing for every day,
And for everybody's carrying dress.

They smiled quietly, eyes mockingly:
"We don't pay for a penny, – they said.
They got drunk on vodka with humming,
And talking about books with swearing.

I dumbed down and sank into silence,
And finally, I decided to say them:
When you will sleep in your graves,
The book will breathe as it stays alive!

ამომზიანდით

სულ სხვანაირად ვხედავ სამყაროს,
ვარდის ფერებით ბრუნავს წისქვილი,
ღმერთო, ამ ფერებს არსად გამყარო,
არ გავიგონო ერის სიკვდილი.

არ უხაროდეს ქართველს შორს წასვლა,
სულს ასე ხშირად აღარ შიოდეს,
ვაზის ყლორტები მტერმა არ გასხლას,
თვალიდან ცრემლი აღარ მდიოდეს.

ქართველს ქართველი ისე უყვარდეს,
დედას რომ უყვარს თავის შვილები,
ტყვია მამულში აღარ გავარდეს,
არ იყვნონ ღრუბლებ გამოვლილები.

ჩემი სამყაროს მზისფერ უბეში,
მიდით და ერთად გადაზიარდით,
დედაშვილურად რომ გცეთ ნუგეში,
გულს სიყვარულით ამომზიანდით!

LET ALL YOU SHINE LIKE THE SUN!

I see this world with a different blush,
The life mill turns with a rose brightness,
God, don't ever separate me from these colours,
And don't let me witness my nation's death.

Don't let Georgians leave their lands,
Because of suffering from thirst and hunger,
Don't let the enemy cut off the vine branch,
Don't let more tears shed from my heart.

Let Georgians love each other as much as
A mother loves her children-descendants,
No more bullets to fall in the motherland,
No more alarming black clouds in the sky.

And in the sunny bosom of my world,
Come and share it, enjoy it together,
I want to comfort all of you like a mother,
Shine from my heart with beautiful love.

სულთან გასაუბრება

შემოზაფხულდი სიცოცხლედ ბეჟან,
ყინვამ დაიწყო იმ წუთში დნობა,
სიმართლისათვის ცხოვრებამ გჟეჟა,
გაგძარცვა დროის უამინდობამ.

გაავებული ქარიშხლის სუსხმა,
პოეტის სული რად არ დაინდო,
შენი ლექსები რომ იყო სულ სხვა,
ამიტომ შენს ნიჭს მახე დაუგო.

განკითხვით ძმაო არ დაგამძიმებ,
თევზივით ვდუმ და დავცურავ დარდში,
სიმშვიდის მკლავზე დაგაძინებ და ...
კვირტივით გაგშლი ლექსებით მარტში.

ახალი წელი როგორ გიყვარდა,
გადაფიფქული რომ იყო მთები,
დედა ბუნება გულში გიკრავდა,
გადავარცხნილი ლამაზი თმებით.

პირველ იანვარს დაბადებული,
პირველ იანვარს გარდაიცვალე,
ქარი დაძრწოდა გაავებული,
ცაში იმიტომ გადაინაცვლე.!!!

MONOLOGUE WITH BROTHER'S SOUL.

As you entered in my heart as spring,
Instantly, the frost has begun melting.
Life has hurt you for your honesty,
The time of cruelness robbed your young life.

Raging storm and freezing weather,
Why didn't the soul of the poet spare?
Just your creation, completely different
Became a reason for your ruthless death.

I won't burden you with my judgment.
I am a dumb fish and swim in deep grief,
I'll put you to sleep on the peace arms,
And I'll open you with poems in March.

How did you like the New Year's days,
The mountains, whitened with snowflakes,
Mother Nature held you in her heart,
Oh, how adorned you the beautiful hair.

You were born on January first,
And your life ended on January first,
The wind was wandering, ruthless and mock,
That's why you choose the sky to move.

ღვთისმშობელო

ჩემში ღვთის რწმენა სამუდამოა,
ლოცვაა დღის და ღამის საკვები,
თუმცა ფიქრები კვლავ უდაბნოა,
რატომ? ამ კითხვას წლობით ვარკვევდი.

ღვთიშობლობაა, გილოცავ ერო,
ღვთის მორწმუნენო არა გეტკინოთ,
მინდა ქართველონო იბედნიეროთ,
დედას შვილებზე აღარ ეტიროს.

დღეს ცას თვალები გადაეწმინდა,
ვგრძნობ არ ვიხილავ სულით მშიერებს,
საქართველოსთვის სიცოცხლე მინდა
დედაო ერით მაბედნიერე!

ლამაზი გემი

ცოდვა მაქვს დიდი, დარდი მოვკალი,
წვიმა გავაშრე გულის სითბოთი,
შვილს შევახვედრე ქათმის ბარკალი,
სტუმარს ყოველთვის ლუკმას ვუთმობდი!

სხვა რა შევცოდე ძილის წინ ვფიქრობ...
აუგი სიტყვა ხომ არ წამომცდა,
გულის დარდს ნაჯაფ ხელებით ვიქრობ,
რით ვეღარ მოვრჩი ბედის გამოცდას.

ეკლიანი გზა გავკაფე ჩემით,
დავთესე ყველგან უეკლო ვარდი,
დღეს პოეზიის ლამაზი გემი,
სიყვარულით და სიმშვიდით დადის!

გულის არმია

მოვკვდი ერთხელ და მილიონჯერ გარდავიცვალე,
სამაგიეროდ შემისახლდა შვილის არმია,
დედამიწიდან ზეცის სახლში გადავინაცვლე,
ვისაც უფლის წამს ისინი ხომ ჩემი არიან.

ყველა მიყვარხართ სიყვარულის უსაზღვროეთით,
ესაა ჩემი სულის კრედო უკიდეგანო,
შემოვიარე დარდის მთები ახლოს – შორეთშიც,
სიყვარულით მსურს ყველა მე რომ გამომემგვანოს!

GODDESS

It is eternal... God's faith in me,
Prayer is the food of my day and night,
But my thoughts are like a desert still,
And Why? I've been learning it all my life.

It's Saint Mary's Day; I congratulate You!
Believers of God, don't you ever be hurt,
Georgians, I want you to be long-lived:
A mother should not cry for her child.

Today, the sky is azure-blue, cleared,
Spirit is happy, with no hunger and thirst,
I want to live for my Georgia's bliss,
Mother, make me happy; give me your blessing.

BEAUTIFUL SHIP

I have a great sin: I killed my pain,
And with my heart warmth, I dried the rain,
I gave to my son a chicken leg,
And with the best peace, I fed my guest!

I often think, what else did I do wrong?
Have I ever used words that wound?
I wipe away the pain in my heart,
To better my fate, I use my bare hands.

I paved a thorny path by myself,
I planted thornless roses in my space,
And the beautiful ship of poetry,
Today, it sails with love and peace!

ARMY OF THE HEART.

I died once and have transformed a million times,
Instead, I have asserted the children's army,
I moved from the Earth to the house of Heaven,
Those who follow the Lord are all mine.

I adore all of you with infinite love,
This is my philosophy – pure and spiritual,
I have overcome the mountains of trouble,
I want everyone in love to be similar.

მარტი

მარტის თვეო, რად ხარ მარტო?
შენთან დადის ლანდი დედის,
მზის თბილ დღეებს მიტომ ვნატრობ,
დაღუღუნობს მაშინ მტრედი.

ვარდიც ჩქარე აყვავდება,
ყინვის შემდეგ სხივი გვათბობს,
მარტი ვეღარ გაავდება,
რადგან ვარდი ხიბლით ათრობს.

სხივი ბრწყინავს კვლავ იმედის,
თმას სითეთრე არ ერევა,
ყვავილები სჩანს იმდენი,
ჩიტუნებიც ეფერება.

სიბოროტე გაქრა სხივით,
დედის ცრემლით მოდის ია,
თოვლის მოსვლას აღარ ვჩივი,
ვეფერები დილის ნიავს.

გაზაფხულზე ვხედავ დედას
ჩემს წინ ხდება საოცრება,
დამავიწყდა ყველა სევდა,
დედას პურიც გამოცხვება.

არ აცივდეს ისრაელს

დიდ ისრაელს მშვიდობა,
სიყვარულის გალობა,
მოფერება მინდოდა,
ჰქონდეს უფლის წყალობა.

არ ითოვოს უმიზნოდ
და არც წვიმა მოვიდეს,
ტყვია არ დაუმიზნონ,
ომიაო გავიგე.

ჩვენს ებრაელ ქართველებს,
კი გაქვთ ორი სამშობლო,
მსურს გიყუროთ ჯამრთელებს,
ცრემლი ღმერთმა გაშოროთ.

მჯერა უფლის წყალობით,
შეხვედრის დღეს ვიხსენებ,
ლექსის სულის გალობით,
მოგონებით ვისვენებ.

ლოლა გულის ზიარო,
მაისის თვეს ნაშობო,
უეკლო გზით ვიაროთ,
ცრემლი ღმერთმა გვაშოროს.!

SPRING

You are not alone, turmoiling March,
As it walks with you, the shadow of Mum,
Soon, the dove will coo for the nest.
That's why I long for the warm days.

The buds of the rose also will appear
After the frost, the rays will warm us,
March won't bother any more plums,
Rose will dazzle March with her charm.

A ray of hope shines again,
Hair is no bother more the grey,
The flowers also spread over fields,
The birds are joyful, the singing birds.

Evil disappeared with a ray,
Violet comes with mother's tears,
I don't bother now about freezing,
I caress now the morning breeze.

I see my mother in the spring,
A miracle is happening before me,
I forget all the kind of sadness,
I'll bake now mother's bread.

DO NOT LET

Peace to great Israel
Chanting of love verse,
I wanted to caress,
May it have the Lord's grace.

Don't let snow without purpose,
And don't let rain without reason,
Don't aim it bullet either _
There's cruel war – I have heard.

To our Jewish Georgians,
Were given two homelands
I want to see you healthy
May God take away your tears.

I believe in my Lord's mercy,
I remember the first meeting,
With my poems' soul singing,
I rest in my memories.

Sister Lola, my heart share,
Born in May month, like me,
Let's walk in a blameless way,
May God ease our tears!

სიზმარი

ლამაზ ოცნებამ მასეირნა მაღლა სივრცეში,
მერე სულ კრწალვით, მოწიწებით მაახლა მთვარეს,
მზემ მომაფინა სხივები და ვიდექ სიცხეში,
გაპწკიალდა ჩემს წინაშე ცის არემარე.

მომიახლოვდა ანგელოზი, მკითხა: რა გნებავს?
ო, მაპატიეთ თქვენთან თუ ვარ, ალბათ ვარ ძილში,
თორემ ფიქრითაც აქ ამოსვლას როგორ გავბედავ?
"თუ მეტყვი რამეს ,,ეგრისელზე" მაშინ მოგისმენ",
კი, გიპასუხებთ, იგი არის მგოსანის ხვედრით,
,,იქმენ ნათელით" გვიგალობა, რწმენით ავივსეთ,
მას ახლოს იცნობთ? მაშინ მიდი, მოგისმენს ღმერთი.

მესმის შორიდან ღაღადისი მაღალი ზევსის:
შენ პოეტი ხარ, სანთელივით დადნები ღველფით,
და მოვალეც ხარ, იტირო და იცინო ლექსით...
ვაჟას აქ, ველი, ის იქნება მხოლოდ ჩემს გვერდით.

A DREAM

A beautiful dream wandered me through space above,
Then, with venerating, it introduced me to the moon...
The sun spread beams over me,
and I stood in the scorching heat,
And the expanse of sky was cleared before me.

An angel approached me, asking the reason for my coming...
_Oh, forgive me if I'm with you; I'm probably in my sleep,
Otherwise, how would I have even dared to come here to you?
_If you talk to me about "Egriseli," I'm with you.
_Yes, I will answer you: Vazha is a poet by fate.
His 'With Sacred Spirit' is a vessel of divine faith...
_O, you know him closely, then go...
Have Heaven's blessing...

And... I hear the loud plea of Zeus in the distance:
You are a poet; you'll melt into embers like a candle,
And your due is, too, with a poem to cry and laugh,
I expect Vazha to be next to me, not anyone else.

ჟონავს სიცოცხლე

მწამს რომ სამყაროს შევძრავ ლოცვებით,
სიყვარულით და ტკბილი სიტყვებით...
ცუდი ფიქრისთვის როგორ მოვცდები,
სიცოცხლის ბილიკს ფრთხილად მივყვები.
ვგრძნობ გარდაცვლილის სხეული სუნთქავს,
ქვის და ბრინჯაოს ნაძერწი გულით,
ლექსებში რითმით ალალად ... სუფთად...
უკვდავებაა ამოქარგული.
ერთი ბეჟანი იქ განისვენებს,
სასაფლაოზე ხვანის დიდ მთებში,
იმ მწარე დღეებს არც გავიხსენებ,
ტკივილი კვნესის სხადასხვა ხმებში.
ორმოცი წელი გასულა ძმაო,
ფოთოლცვენებით ვაით და ვიშით,
აღარ ვტირივარ, არაფერს ვდავობ
აღარც ვძაგძაგებ სიკვდილის შიშით.
თეთრი და შავი არაგვის მსგავსად,
ჟონავს სიცოცხლე გულის ძარღვიდან
დროს რომ არ დარჩი ჭაობში ხავსად...
მზით სავსე სული ღმერთთან წავიდა!...

OOZES LIFE

I believe I can shake this ruthless world,
With love, prayers and sweet words...
I won't waste time on useless thoughts,
I follow the path of life with care, slow.
I feel my dead brother's body breathing,
The heartbeat of sculptured Bronze and Marble,
In the poems, with rhymes and clean spirit
His immortal soul is embroidered.
My Bejan rests there, in the high mountains,
In the village Khvani, in the cemetery,
It's hard to remember those bitter days,
Pain is moaning in different rhythms.
My dear brother, it's been forty years,
With falling leaves, with pouring tears...
I won over myself; I don't want to lament,
I don't tramble anymore for fear of death.
It's like the flow of black_white Aragvi,
Life flows from the veins of the heart,
You wanted to leave out of the time swamp,
That's why the sun-filled soul went to God!

უცნობ პოეტს

გარდაცვალებულ შვილის მაგივრად,
უფალმა შენთან დამაკავშირა,
ცრემლების დაღვრა ალბათ არ ღირდა,
ბედის წვიმები ისეც გახშირდა.

ჩემს შვილს უყვარდა ლექსთან ჭიდილი,
იმისი გული ლექსით ხარობდა,
შენით მოვკალი შვილის სიკვდილი,
ამ ლექსსაც შენსკენ მოუხაროდა.

თვალით დაგეძებ მინდა გიხილო,
მინდა გამოჩნდე, შემოგეხვიო,
თუ მოგზაურობ იქნებ იფრთხილო,
ცუდ გზისკენ არსად გადაუხვიო.

გლოცავ დილით და გლოცავ საღამოს
და ფიქრის საბანს ღამით გაფარებ,
მე თუ ცხოვრებამ, შვილო, დამღალოს,
შენ ცივ ნიავსაც არ მოგაკრებ.

იქნებ უცნობო, ხარ მზეჭაბუკი,
ან მოდარაჯე სულის კარების,
გავაცამტვერე დარდის ქარბუქი,
მეგონა ნახვით გამახარებდი.

დარჩი უცნობად, ნებაა უფლის,
წმინდა გიორგი გზებზევ დაგყვება...
შენ ხელოვნების თამადავ სუფრის,
ანგელოზები დაგდევს მაყრებად!!!

TO AN UNKNOWN POET

On behalf of my deceased son,
The Lord has connected me to you,
Tears probably weren't worth shedding
The rains of fate is increased itself.

My son loved to wrestle with verses,
Poem creation was rejoicing him,
Your appearing eased my son's death,
And this poem, too, rushed to you with glee.

I'm looking for you; I want to see you,
I want to appear, to hug you, to hold you,
And if you travel, try to be careful,
Do not turn onto the uncertain road.

I bless you every dawn and twilight,
And I cover you with a blanket at night,
And even if my son, life tires me,
I'll save you even from a cold breeze.

Maybe you are the prince sent from the sun,
Or you a guard of the palace of spirits,
I blew away the blizzard of grief,
I thought you would be happy to see me.

If it is Lord's wish, remain unknown,
St. George will follow you on the roads...
You are Tamada of the art party feast
Angels follow you as supporters!!!

უნდა მიყვარდეს

რწმენაა ჩემი იმედების სულის საგზალი,
თვითონ დავხატე სიფაქიზის ნაზი სამყარო,
ულევ სიყვარულს, ერთგულებას, ცაში ვაგზავნი,
აქ მოთმინების მძიმე ჯვარი უნდა ვატარო.

უნდა მტკიოდეს, მიხაროდეს, უნდა ვლოცავდე,
უნდა ვშრომობდე, დღე და ღამე შეუსვენებლად,
უნდა მიყვარდეს, საქართველო ბოლო კოცნამდე,
უნდა ვიცოცხლო ჩემი ქვეყნის აღმაშენებლად!.

I HAVE TO LOVE

Faith is the nourishment of my expectations.
I drew the gentle world of tenderness.
I send abundant love and loyalty to the sky,
And here, I have to carry a heavy cross of patience.

I should be hurt and be happy, and I should pray,
I must work day and night without rest,
I must love Georgia until my last breath,
And live to build my country and my estate.

უბრალოება

მიყვარს სიცოცხლე უბრალოებით,
მიყვარს დიდი და მიყვარს პატარა,
დედამიწაზე ჩვენ ვართ დროებით,
ნეტავ მსოფლიო შემომატარა.

ვამცნო ის რასაც ახლა განვიცდი,
გათენებისას რას ვფიქრობ დილით,
თუ წინ წავედი, სხვასაც დავუცდი,
სულის სიმშვიდეს ვაჩუქებ თბილისს.

მიყვარს წარსული თავის ტკივილით,
ის ცრემლიც მიყვარს, თვალს რომ წამოსკდა,
არ მთრგუნავს მტერის სახის ღიმილი,
თუ მაწყენინა მერე რა მოხდა.

იპიწკინებენ შეზამთრებისას...
იმედის ბუხრის ნაპერწკლები,
კვირტი იფითქებს ხვანის მთების და...
აყვავდებიან ნეკერჩხალები!

SIMPLICITY

I love life with its simplicity,
I love the grown-up, and I love the young,
This Earth is, for us, just a transient world,
O, I wish to travel; I want to to voyage.

To share with all what I feel now,
What do I think from every dawn,
If I go ahead, I will wait for others,
I'll give Tbilisi harmony and peace.

I love the past with its deep pain,
I love the tears that come from my heart,
The other's happiness doesn't suppress me,
If they hurt me, what happened then?

It will be cheering up as winter arrives,
The sparks of hope from the fireplace,
In the Khvani mountains, buds will burst,
Then, Maples will bloom in scarlet red.

მაყვალა გონაშვილი

სიზმრის ახდენამდე

რაც დავიბადე, გული ორად მაქვს გაყოფილი
და ჩემში ცხოვრობს უცნაური ორი დობილი,
ერთი უსიტყვოდ გაპატიებს ყველა შეცდომას,
მეორე პირში მთქმელია და დაუნდობელი.

ერთი ლექსებს წერს და ოცნებით გაჰყურებს შორეთს,
და ამიტომაც, მუდამ სადღაც აგვიანდება,
ყველა ჭრილობას მოგიშუშებთ, თუკი იპოვით
და გადაგიქცევთ ხიჭვს და ეკალს ია-ვარდებად.

მეორე ქალი ფაციფუცობს დღე და მოსწრება,
კრება. თათბირი. სამსახური. ჭორი. მოდები.
ამხელა ქალაქს ხომ სჭირდება ერთი მამიდა
და თუ ქუჩაში ვერ შეგნიშნათ, ნუ დაღონდებით.

ერთის სულიდან შროშანების ისმის ჩურჩული,
მეორის სულში გაუმართავთ ქარებს მარულა,
ერთი ბერდება სიყვარულის ლოდინში ჩუმად,
მეორე ყველა ქათინაურს თვლის სიყვარულად.

და როცა ხელებს ამაფარებს თვალებზე ღამე,
ჩამოურიგებს კაცთა მოდგმას სიზმრებს ვნებიანს,
როცა ქუჩაში აღარ ისმის ავტოს კივილი,
ჩემში ქალები როცა ბრძოლით მოიღლებიან,

დაეძინებათ, ნახულობენ ერთნაირ სიზმრებს,
თითქოს ლოცვებით უშუშებენ მამულს იარებს
და ხუთი შვილით რძის ბილიკზე მისეირნობენ,
თითქოს ორივე დედაა და ხე მსხმოიარე.

ამაღლებულან თითქოს უფრო მამულის მთები,
სულ სხვანაირი შუქი მოსავს დედა-ბუნებას.
მოდის ილია, აღარ სტკივა მოხუცს ჭრილობა
და საქართველოს უდარდელად ებულბულება.

BEFORE THE DREAM COMES TRUE.

Ever since I was born, I have been divided into two parts,
And in me live two strange person-beings, two creatures,
One of them always forgives all mistakes without a word,
But the other is talkative and ruthless, the second person.

One writes poems and looks dreamily always away
And that's why she's always late to her aim-destination.
She will cure and heal all your wounds if you find her,
And she will turn into roses, your thorns and thistles.

The second woman bustles about without a rest,
Rumours spread, and fashion meetings, conferences, councils,
Such a big city needs one aunt, a decision-maker,
And don't worry if she doesn't notice you on the street.

From one's soul, you hear the nicest whisper of lilies,
In the soul of another, the whirlwinds are raging,
One grows old in silence for love waiting,
The second considers love, all kinds of flirting.

And when the night covers my eyes with its hands,
And he bestowed on the race of men passionate dreams,
When on the street, no longer is heard the noises of the cars,
And When the women living in me get tired of fighting,

They fall asleep, and they see the same nightdreams,
It is as if they are healing the manor's wounds with prayers,
They walk on the Milky Way with five children,
It is as if they are both mothers and high-yielding trees.

The mountains of the estate seem to have risen, too,
Mother Nature is covered by entirely different light,
Ilya is coming; the older man's wounds no longer hurt,
He chants for Georgia with the voice of the nightingale.

აღმაშენებელი – ივერთა დიდება

მხოლოდ პირჯვრის წერა როდია უფლის რწმენა,
მხოლოდ შეძახილი გმირობა როდია.
დგებიან სულეთიდან შემკრთალი მამები
და ღამით არეულ სიზმრებში მოდიან.

როდესაც წყალიც კი წამით ჩაიძინებს
და ცაზე ობოლი ვარსკვლავი ბრწყინდება,
ვინ მიცქერს მთვარიდან წმინდა გიორგია
თუ აღმაშენებელი ივერთა დიდება.

ვაშენე, ანგრიეთ, ვამტკიცე საზღვრები,
დღეს ჩემი მამულის სიმცირე მაშინებს,
ქართველნო, მოუხმეთ ჭკუას და გონებას
უფალს ნუ ივიწყებთ, ვაშინერს.~

მე კი იმ ბინდბუნდშიც თვალებს ვერ ვუსწორებ,
ვარ შიშნაჭამი და უჭმელი,
მიწიდან ზეცამდე რა ხელმა აზიდოს
ეჭვებით დაბზარული ჭურჭელი?

თვალნო, რა არ ნახეთ, როგორ არ დამევსეთ,
რა ძალა გქონიათ, თვალებო,
მოძმესთან მოშუღლენო, ოქროსთან მოშურნენო,
მტერთან მიმნდობნო და მხდალებო.

სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის???
სანამდის ძმანო და მამანო,
ჩემო სატკივარო, ჩემო საფიცარო,
ჩემო დარღვეულო სამანო.

ჭრილობა გახსნილა და გველის ამბორი
არ მშველის წამლად და მალამოდ.
უნდა სხივით გქსოვო, უნდა ცრემლით გკემსო
ჩემო დაფლეთილო ალამო.

სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის?
სანამდის დანო და დედანო,
არ თქვას უკეთურმა, შეხედეთ, ქართველნი
მხოლოდ სატირალში სხედანო!

სანამდის ვახაროთ ჩვენს ბაღში ეკალი,
მტრის კარზე ვარდი და პირიმზე?
რა ვუთხრა ჩემს შვილებს, რა თვალით შევხედო?
ან მკვდრებთან რა პირით მივიდე?

უდედოდ ზეცისკენ გზას ვერ გაიგნებენ
ბუდეს შერჩენილი ბარტყები,
ხიდი ვართ ნამყოდან მომავლის ნაპირამდე,
ვაი ჩვენ, თუ ერთხელ ჩავტყდებით!

ეს მტკვარი დუდუნებს, თუ კვნესის დავითი,
დღეს ჩემი მამულის სიმცირე მაშინებს,
ქართველნო, მოუხმეთ ჭკუას და გონებას
უფალს ნუ ივიწყებთ, ვაშინერს.

AGMASHENEBELI – THE GLORY OF IVERIA

Only Cross yourself is not faith in the Lord,
And only a loud Exclamation cannot be heroism.
Embarrassed fathers get up from the beyond world,
And they come in night dreams – startled and troubled.

When even the waterfalls are asleep for a while,
And an orphan star starts twinkling in the sky,
Who shines from the moon? Is he Saint George,
Or David IV, the builder, the glory of Georgia.

You destroyed borders; I built and strengthened.
The smallness of my estate scares me today,
Georgians, let us call on our wit and mind,
Don't forget the Lord, Vashiners! Don't commit Sin.

I can't fix my eyes even in that twilight,
I am horror-struck from hunger and thirst,
What hand can pull up from the earth to the sky
The vessel, with doubt cracked and pierced.

What have not you seen, my moistened Eyes,
What endurance and power have you had,
Fighters with brothers, and with gold lovers,
Trusting the enemy, and to be cowardous.

Until When! Until When! Until When!
Until When my brothers and fathers,
My incurable cuts, my deep spiritual pain,
My broken life and my destroyed peace.

With the open wounds, and kissing the snake,
It does not help me as medicine and ointment.
I want to weave you with a hope-giving beam,
Or darn with tears my Flag, torn into pieces.

Until When? Until When? Until When?
Until When It Lasts Mothers and Sisters?
Don't let anyone, the evil to say:
The Georgians are just busy with funerals.

How long will we plant thorns in our garden,
And roses on the door of the enemy?
What should I tell my children? How should I look at them?
Or with what consciousness should I go to the dead?

The children cann't pave the way to heaven
Have been Remained in the nest without parents,
We are a bridge from the past to the future shore,
Woe to us if we fall, if we brake down once more!

Is Mtkvari mourning, or is David sighing?
The smallness of my estate scares me today.
Georgians, call on your wit and your mind,
Do not forget the Lord, Don't commit a Sin!

მერაბს

თუმც არ მასვენებს ბედი _ მდევარი,
მაინც სიმშვიდის ვეძებ სამანებს.
მე შენი დიდი სიყვარულისთვის
ალბათ, ლექსებსაც დავასამარებ.
ისე მიყვარხარ, რომ ვიტანჯები,
სავსე ვარ შენით და ბედნიერი,
შენით ნათდება აღმოსავლეთი,
შენით ბაცდება დასალიერი.
ათასწლეულთა იქითაც, ალბათ
ერთურთს ეძებდნენ ჩვენი სულები,
უერთმანეთოდ ამ ქვეყანაზე
მარტოსულები, დაკარგულები.
მე მიყვარს შენი სული მღელვარე,
სავსე მთოვარის იდუმალებით.
შენში წვიმს ჩემი თეთრი სიზმრები,
ჩემში წუხს შენი შლეგი ქარები.
მე რომ ვიცოდე, გზა გაქვს ტკივილის,
ტკივილის გზაზეც არ შეგელევი,
გამაუკვდავე, განმამეორე,
შენი სისხლით და შენი გენებით.
თუმც თავს ვიმკობდი ლექსის მძივებით,
მე უკვდავება შენით ვიწამე.
ღმერთო, გვაშორე თვალი მოშურნე,
ერთად გვამყოფე ცაშიც, მიწაზეც.

* * *

გველი მეხვევა: მსურხარო,
ეშმა მიცინის _ და ხარო,
მიწა ხარ, მიწად იქცევი,
ამაოდ ფიქრობ, ცა ხარო,

მეფე მიბრძანებს: _ იყუჩე!
ერი მომძახის: _ სად ხარო?
უნდა დაჭრილმაც ვიმღერო,
მტერი რომ არ გავახარო.

მე მარტომ უნდა ვიყეფო,
თავი ქვას მარტომ ვახალო,
ვაი, შენ, ჩემო ჭრილობავ,
მარად ძველო და ახალო.

TO MERAB!

Although fate does not give me peace,
I am still looking for rest and harmony,
Remember, for your tremendous love,
I could give up my poems, my sweetheart.

I love you so much that I suffer
I'm full of you, bewitched by your charm,
The East lights up with your shining and
It fades with you, the setting sun.

Perhaps in the times of immemorial,
Our souls sought for each other,
Had left alone, lost in this universe,
Searching each other in this immense space.

I love your soul turbulent, restless,
Full of blessings and kind mysteries.
It showers in you, my white dreams,
I am worried about your raging winds.

* * *

The snake enfolds me with its desire,
Devil gives a smile: – 'You are my sister,'
You come from the earth and turn into earth,
Your thoughts are vain that you belong to the sky.

The king orders me to hold my breath!
My nation asks for me – where am I?
I have to sing even if I am wounded:
At the gate, an enemy not to delight.

I must endlessly bark alone and
I must bung my head on a stone...
Alas, my wounds – old and new -
They are there always – never leave alone.

***

კარებს რომ ასე აწყდება ჯიქურ,
ასე რომ მიხმობს, განა ქარია,
ეს შორეთიდან დაბრუნებული
ჩემი ერთგული მეგობარია.

მე ავადა ვარ, მე არ ვარ კარგად,
მე ნელა ვქრები და მეშინია,
სკამთან რომ ხტუნავს სხივი ლიცლიცა,
ჩემი ლამაზი ქალიშვილია.

ხვალიდან ლექსებს მე ვეღარ დავწერ,
რადგან წამერთვა ძალა მისნობის,
მე ვინ ვარ? ერთი დაღლილი მგზავრი
წუთივით მოკლე მარადისობის.

***

What's banging my doors like this?
Do you truly think it is the wind?
This is returned from far away,
My most faithful, reliable friend.

I am too sick; I am not well;
I'm in fear as I slowly fade away,
Do you see the ray jumping by the chair,
She is my daughter, charming and fair.

I won't be able to write poems,
Because I lost my gift of prescience,
Who am I? One of the weary passengers
Of the eternity, as short as a second.

სიმარტოვის ლექსი

ბედმა იმდენჯერ მიმუხთლა, ღმერთო,
კვლავ სიყვარული როგორ გავბედო?
ნუთუ ამხელა დედამიწაზე
არავინაა ჩემი საბედო?

სულ შეხვედრები, სულ განშორება,
სულ მოლოდინი, ესეც ბედია,
და სიმარტოვე _ ერთგული სატრფო
ლექსებს მთავაზობს ისევ სევდიანს.

რა მელის კიდევ ჩემად იმედად?
ტრფობის სევდა თუ დედობის მადლი?
ზეცა-მანდილი, წვიმა-ნუგეში,
თუ მიწა, რაღაც ორიოდ ადლი?

ვარ წუთისოფლის დაღლილი სარძლო,
რიგნი მოდიან, მიდიან რიგნი,
გაბზარულია გული და სარკე,
დახურულია კარი და წიგნი.

A Poem of Solitude

Fate betrayed me so many times,
How can I dare a new love again?
I wonder if on this boundless earth
No one there, my mutch? My destiny?

Just total meetings, just separations,
Constant waiting, and this is also fate,
And this loneliness, my only sweetheart,
It offers me heartbreaking poems again.

What else is waiting for me once more?
Sorrow of loss or motherhood grace?
The sky, as a veil, the rain, as a comfort,
Or the land, something too little and fair?

I'm a weary bride of this world,
Grooms come and go in endless rows,
The mirror is cracked, and my heart, too,
A door is closed, and also a book...

6***

ჩემი სამშობლო მაყვლის ველია,
მზის კარი ჩემი მისამართია.
გაზაფხულია და ჩემს ტყეებში
შინდის ყვითელი ცეცხლი ანთია.

ჩამოვიღვრები მალე სიმღერად,
სავსე მაქვს სული მზით და ლექსებით,
როგორც დიდი ხნის უნახავ სატრფოს,
მზეს კარს ვუღებ და ვეალერსები.

***

My homeland is a blackberry field
And my address is the door of the sun,
It's spring and in my beautiful woods
The yellow fire of the cornel is lit.

I'll be melted into tunes soon,
Because of the poems, soul and the Sun.
Like a sweetheart, unseen for a long,
I caress the sun in my open door.

ხალხურ კილოზე

მე რომ იად მოვსულიყავ,
ცა ცვარსაც არ მაღირსებდა.
მე რომ ფიფქად მოვსულიყავ,
სხივთა ლაშქარს მომისევდა.

რა ვქნა, რად ვერ გავექეცი
ბედისწერას, ცრუს და მტანჯველს,
შენ რომ მართლა დამეძებდე,
მაშინ წამიყვანდნენ ქაჯეთს.

დავდივარ და ჩუმად ვღუი,
ეგრე ზეზეურად ვხმები,
აღარ მესმის სიყვარულის,
აღარც გაზაფხულის ხმები.

ზეცისაკენ გასაფრენი,
ვხედავ, მოჭრილი მაქვს გზები,
სიცოცხლეზე გულგამწყრალი,
სიკვდილს ველოლიავები.

On Folk Tone

If I would have come as the viola,
The sky wouldn't send me even raindrops.
If I come as a snowflake
Sun would send rays me to become scorched.

What can I do if I can't run away
From my fate, such false and fake,
And if you were looking for me
Then they would send me to the witch.

I walk and cry; I moan quietly,
And I keep fading day by day,
I don't hear any more love voice,
And even more sounds of spring.

I would wish to fly to the sky,
But I see the roads are cut,
I am waiting for the day to die,
Life disappointed me too much.

ქეთო ჯომიდავა
Keto Jomidava

ჩვენ დავბრუნდებით!

ფანჯარასთან ვდგები ისევ, ქრისტეშობის ღამეა...
ეს წუთები, დარჩენილი, ჩემთვის დიდი რამეა...
უფლის მზერას ვნატრობ ჩუმად, იქნებ გამოიაროს...
გამიმრთელოს ბზარი გულში, ერთხელ შემეხმიანოს...
ანთებული სანთელიც კი ცახცახს იწყებს გულივით...
ვერ ჩერდება გალიაში დამწყვდეული სულივით...
მთაში გაზრდილს მენატრება წყაროს წყალი ანკარა,
ჩემი ეზოს თავზე მდგარი ცხრათვალა მზე, თაკარა.
აივანზე მოჟღურტულე ჩიტი კუდმაკრატელა...
ოჰ, ამდენი სიყვარული ვინ მოსპო და გათელა?
მერცხლებიც კი იტირებდნენ სისხლით მორწყულ მიწაზე,
ფიცს დადებდნენ დაღუპული მოძმეთ კუბოს ფიცარზე:
,,მოვფრინდებით, როს გავიგებთ, ყველა თქვენს გზას იცავდეს,
როცა ისევ სიყვარულით ა, იმ ციდან მიწამდე,
გაიდება ხიდები და...გაცოცხლდება სახლები...
აი, მაშინ თუ იქნება ჩვენი კუთხე ნაქები!"
ფანჯარასთან მდგომი ვხედავ იფერფლება სანთელი...
უცებ მესმის ვიღაცის ხმა, მიხმობს ჩემი სახელით...
სულ წამები დარჩენილა, ნეტა,ვინ გამიხსენა?
და შავ_ბნელად დაღამება,თეთრად ვინ გამითენა?
ამ სარკმლიდან ასფალტს ვხედავ, იქ კი უცხო დამდგარა,
ხელში ჯოხით მიბაკუნებს, თითქოს ღმერთი გამხდარა...
მოიხედა ჩემკენ თბილად, ვარსკლავები მაყარა,
გააბრწყინა ირგვლივ არე, უზომოდ გამახარა!

WE WILL BE BACK!

I stand by the window again; it is a Christmas night...
And these minute-remaining, it means a lot to me.
I long for my Lord's greeting; maybe he will appear,
He may heal my soul cracks and talk to me at least once.
Even a lighted candle begins to tremble like a heart...
It cannot stay in its cage, like a soul...locked up and trapped,
Growing up in the mountains, I miss pure spring water,
The nine-eyed scorching sun, standing on top of my yard.
The bird is chanting on the balcony... a sickle-winged swallow,
Who trampled down so much love and swept it away, mellow?
Even the swallows would weep on the blood-soaked ground,
They would swear on the wounded brother's coffin-board:
"We will come back when we hear that you protect your aims,
When again you build bridges, from that sky to earth,
If love builds bridges and houses, it will come alive...
We will come back when our corner deserves our praise".
Standing by the window, I see a candle burning...
Here, I hear someone, the voice calling my name.
There are only seconds left: oh, who reminded me?
And my usual doom night who has tried to make alive.
From this window, I can see someone standing on the road,
He touches me with his stick as if he holds my goal,
She looked at me with a smile and wrapped his arms around me,
It brightened up the surroundings, giving me extreme delight!

თბილისი

მარიამობის ღამეა... ძილი გამიკრთა კვლავ...
ცაზეც ახალი მთვარეა, მშვიდია, არ ისმის ხმა...
მარიამობის ღამეა, სახლის გზებს ვეძებ ისევ...
ეს ხომ ისეთი რამეა, მხოლოდ ეს გახსოვს, ირჩევ!
მიდიხარ, გზაზე მთვარეა... შენს ლამაზ ლანდებს მისდევ!
ზოგჯერ ისეთი მწარეა, არა მგონია, მიხვდე...
რატომ დღე არა, ღამეა! და ამდენს როგორ ითმენ...
ზოგჯერ ფიქრებიც მდარეა, გაბრაზდები და იფრენ.
ეს მხოლოდ ერთი მხარეა... მეორეს გულში იძვრენ!
და დრო ისეთი მცირეა, ვერაფერს ასწრებ იმდენს!
ცხოვრებაც ისეთი მძიმეა, ის მხოლოდ ხელებს გიწვდენს!
ირგვლივ ისეთი მღვიმეა, გზასაც რომ ვეღარ იკვლევ...
იმედიც ისეთი მწირია, შეძლებ იმ ხელებს მისწვდე?
სიცოცხლე ისეთი ძვირია, მის ფასს ვერავინ იხდენს!
ერთი თუ ორი გმირია, მის არსებობას მიხვდეს!
სიცოცხლე ისეთი ძვირია! ვერ იყიდიო, მითხრეს!
ერთი ლამაზი ფირია... შიგ რომ მთლიანად გითრევს!
როცა მოდიან, ტირიან... წასვლასაც ცრემლი მისდევს!
მარიამობის ღამეა... გულს სიყვარული იხვევს...
ეს ხომ ისეთი რამეა, ვერავინ რომ ვერ იკვლევს!
მინდორი ისევ მწვანეა... ბილიკად ვხედავ ფიქრებს!
მარიამობის ღამეა, ჩემს სახლს მივაგნო იქნებ!

TBILISI

It's Saint Mary's night... and I am insomniac,
There is a new calm moon, and no sound is heard...
It is Saint Mary's night, I'm looking for the home way...
It's just something you remember, for now, anyway.
You, the moon and the night – you follow your shades,
Sometimes, it's so bitter, I don't think you can guess ...
Why it is not day, but night! And how can you endure so much...
Sometimes, thoughts are too weak, and you send them away.
This is only one side... others you hide in your heart,
And the time is so short that you can not do much!
Life is so hard; it only handles your hands!
There is such a cave you can't find your pass.
Hope is so poor... can you reach those hands?
Life is so expensive that no one can value it!
There are too few people that it can understand,
Life is so expensive! I was told I could not buy it!
There's a beautiful tapestry of life... that ultimately lures you in!
When they come, they cry, and they cry when they even leave,
It is Saint Mary's night... my heart is filled with love.
This is something unusual; no one can explore it.
The field is still green in colour... I see thoughts as paths!
It is Maryam's night; maybe I will find my inner peace and contentment!

ჩვენ გავიმარჯვეთ...

რამდენი წელია, რამდენი თვე არის, არ მიმღერია...
გული ტიროდა და ახლაც ტირის, არ მილხენია...
დრო წამალია, ის წაშლის ტკივილს, დრო წამალია....
ის დაგავიწყებს დედიკოს კივილს...
საკუთარ მოთქმას, საკუთარ წივილს...
ძნების გმინვას და მამიკოს ღრიალს: ,,შვილი მომიკლეს!
...და მომხვდურს... ტიალს... არ გავახარებ!"
თუმცა...
რამდენი წელია, არ გაქრა დარდი...
თითქოსდა მტერი ამ მკერდზე დადის...
მიახლებს ტკივილს, ჭრილობას მიხსნის...
და ისევ მიწას ეცემა სისხლი...
ჭრილობას პირი ისევ ეხსნება,
წარსულს მიზანი აღარ ეცვლება,
არ იცვლის იერს, არ იცვლის ფერსაც...
და რაც მტკიოდა 93_ში,
ის მტკივა დღესაც!
რამდენი წელი ღალატის გამო
დატანჯულ მამას ვუსმენდი ჩუმად
და გული ტირილით სკდებოდა..
...და სევდა გულს მოწოლილი,
მერწმუნეთ, აღარ ქრებოდა!
გავიდა წლები და მამაჩემი ისევ ღალატმა, ისევ მოყვასმა...
გაწირა მწარედ!
და გმინვამ შეძრა სხვა ახლა მხარე...
და ჩაიწერა_ ადგილი, სადაც აწამეს მამა,
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ა!
ოღონდ ამჟამად ომი არ იყო...
აზრები ისევ ასად გაიყო!
ნუთუ სიკეთემ ძალა დაკარგა?
და ბოროტებამ ქსელი დაქარგა,
დაქარგა მჭიდროდ!...
და სანამ იმ გზას შეუდგებოდა, სულ შეიცვალა...
მან მოღალატე დაინდო ფიქრში და შეიწყალა...
რამდენი წელია მამა არ არის, დაგვტოვა, წავიდა იქით,
არ მტოვებს, თან დამდევს, მეგზურად მწარე ფიქრი...
უნდა ვთქვა, უნდა ვთქვა, მოვკვდები, თუ არ ვიტყვი...
მამამ თქვა სიმართლე, გვასწავლა მთავარი...
თავისი ბრძნული აზრით, დაუვიწყარი სიტყვით!
... და... დღეს, გაცოცხლდა მამა...
დღეს მისმა ფიქრმა და მისმა ხმამ შვილი დააყენა გზას...
,,მიუტევე, რომ მოგეტევოს!"_ მისწვდება ალბათ ცას...
შვილმა ეს სიტყვები სთქვა
და მოისროლა ხელში ჩამდნარი შურისძიების ქვა!
,,ჩვენ გავიმარჯვეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ!"
ვინც რაც არ უნდა თქვას...
დღეს ჩვენ ვუსმენდით, დღეს ჩვენ ვუსმენდით მხოლოდ მამიკოს ხმას...
მან კი მიტევება, მან კი მიტევება, მან კი მიტევება სთქვა...

WE WON!

How many years, how many months I've not had peace,
How many years my heart was crying, and it still cries,
Time is a medicine; it is said so that it can erase the pain,
It will make you forget your doomed mother's screams...
Your doomed veiling and your roaring cry...
Brother's groaning and Father's roaring:
"They killed my son!
And my son's killers I won't let live".
However...
So many years, the pain persists, refusing to fade...
It is as if the enemy is walking on this chest...
It reopens the wound... it renews my pain...
And blood keeps dropping to the ground again...
The wound opens again; the past doesn't change its aim,
It doesn't change its appearance and its colour either...
And the wound, that hurt me in nineteen ninety-three,
It still hurts today!
How many years because of the betrayal
I listened silently to the suffering of Father,
And my heart was bursting with tears and pain.
And inexpressible sadness was choking my heart...
Trust me, it has not ever disappeared!
Years passed, and my Father was again betrayed,
Again by his neighbour... by his 'goodwisher'...
And the killer immolated him, doomed him to death!
And the mourning now shocked the other side...
And recorded: – the place where the Father was tortured,
It was now Georgia!
But now there was no war...
Thoughts were divided again in hundreds of ways,
Each path led to a different form of justice or revenge.
And has kindness lost its power?
Or was it never there to begin with?
And has evil woven a web embroidered tightly by him?
And before he took his last path, he changed completely...
He forgave the traitor in his thoughts, and he gave mercy to him...
How many years has the Father been gone? He left us...
It doesn't leave me, it follows me -
the bitter thoughts as a guide.
I have to say, I have to say, I'll die if I don't say...
Father told the truth; he taught us the main thing...
With his wise opinion, with unforgettable words!
...And today, the Father came to life,
Today, his thoughts and his voice showed the way to his child.
"Forgive me so that I can forgive you!"_ It will probably reach the sky...
His child said these words, and she threw them away -
the molten stone of revenge kept in her hand.
"We won, we won!"
Who can say whatever he wants?
Whoever says whatever...
Today we listened, today we listened only to my Father's voice...
And He guides us on the arduous path of forgiveness!

მარინა ხარატიშვილი
Marina Kharatishvili

***

და დღე კეთილად იღიმის დილიდან,
ღრუბელი თეთრია, როგორც თოლია,
ოქტომბერია, ოქროცურვილი,
და მე რატომღაც აპრილი მგონია…

იქნებ მზიანი დღე მირაჟია,
წვიმა წვეთებად, ანდა თოვლია,
შემოდგომაა ყვითლად დაღვრილი
და მე მაინც, აპრილი მგონია…..

ვერ შევაჩერე ოცნება ჩემი,
ზაფხულის მდელოს ნატვრით მოიარს,
ქარვად გამდნარი დღეს ოქტომბერი,
აყვავებული აპრილი მგონია…

და როცა მოვა საღამო ცივი,
ვარსკვლავთა ხომლი ფარავს ცის კალთას,
ისაუბრებენ ჩემზე ფოთლები,
მოუყვებიან მთვარეს ჭორ_მართალს…

თვალზე იბრწყინებს ცრემლი მართალი,
სწრაფად დაითვლის საათი წამებს,
საღამოს სტუმრად მოსული სევდა,
მოგონებებით აავსებს ღამეს…

ჯერ, კი ისევ მზე აცხუნებს ველებს,
მის კეთილ სხივებს გავუწვდი ხელებს
და ღვინობისთვის ამ ლამაზ დღეში,
ლურჯი აპრილის მოვილევ დღეებს…

***

The day from the morning smiles kindly,
The cloud is white and looks like a seagull.
It is the golden-coloured October,
But I feel as if it is an April.

And this sunny day? Maybe it's a mirage,
Is it snowfall, or it is raining?...
Autumn is fully poured in ambers,
And anyway, it's April... April, I feel.

I couldn't stop my pinky dreaming,
I wander restlessly through summer fields,
This October day melted in golden,
I feel as if it's a blossoming April...

And when the cold, harsh evening arrives.
A star bunch will cover the sky vault,
Leaves will talk about my sincere feelings,
They will tell the moon my truth and false.

The sincere tears will shine in the eyes,
A clock will quickly count the times,
The sadness, visiting in the evening
It fills the night with sad memories...

And yet, the sun warms the fields again,
I stretch my hands up to kind beams,
And in the wine month, on this beautiful day,
I'll bring one more April for myself.

***

და დღე კეთილად იღიმის დილიდან,
ღრუბელი თეთრია, როგორც თოლია,
ოქტომბერია, ოქროცურვილი,
და მე რატომღაც აპრილი მგონია…

იქნებ მზიანი დღე მირაჟია,
წვიმა წვეთებად, ანდა თოვლია,
შემოდგომაა ყვითლად დაღვრილი
და მე მაინც, აპრილი მგონია…..

ვერ შევაჩერე ოცნება ჩემი,
ზაფხულის მდელოს ნატვრით მოიარს,
ქარვად გამდნარი დღეს ოქტომბერი,
აყვავებული აპრილი მგონია…

და როცა მოვა საღამო ცივი,
ვარსკვლავთა ხომლი ფარავს ცის კალთას,
ისაუბრებენ ჩემზე ფოთლები,
მოუყვებიან მთვარეს ჭორ_მართალს…

თვალზე იბრწყინებს ცრემლი მართალი,
სწრაფად დაითვლის საათი წამებს,
საღამოს სტუმრად მოსული სევდა,
მოგონებებით აავსებს ღამეს…

ჯერ, კი ისევ მზე აცხუნებს ველებს,
მის კეთილ სხივებს გავუწვდი ხელებს
და ღვინობისთვის ამ ლამაზ დღეში,
ლურჯი აპრილის მოვილევ დღეებს…

***

The day from the morning smiles kindly,
The cloud is white and looks like a seagull.
It is the golden-coloured October,
But I feel as if it is an April.

And this sunny day? Maybe it's a mirage,
Is it snowfall, or it is raining?...
Autumn is fully poured in ambers,
And anyway, it's April... April, I feel.

I couldn't stop my pinky dreaming,
I wander restlessly through summer fields,
This October day melted in golden,
I feel as if it's a blossoming April...

And when the cold, harsh evening arrives.
A star bunch will cover the sky vault,
Leaves will talk about my sincere feelings,
They will tell the moon my truth and false.

The sincere tears will shine in the eyes,
A clock will quickly count the times,
The sadness, visiting in the evening
It fills the night with sad memories...

And yet, the sun warms the fields again,
I stretch my hands up to kind beams,
And in the wine month, on this beautiful day,
I'll bring one more April for myself.

მედეა კუხალეიშვილი
Medea Kukhaleishvili

მზიას

სულ ლექსების თარგმნაში ხარ,
გავიწყდება თავი, ქმარი,
ზოგჯერ აქეთ გადმოგვხედე,
გვითხარ, ერთი სიტყვა მტკნარი.

გარბიხარ და გამორბიხარ,
ჩვენთვის არა გცალია,
შენ რომ ლექსები გიყვარს,
განა ჩვენი ბრალია?

მზიას მისალმება არის,
ლექსი წერე, წერეო,
ორ ღერ სიტყვას გადმოგვიგდებს,
შემოგირბენთ მერეო.

დღე და ღამე ასე გადის,
ჩვენი მზიას ლოდინში,
მაგრამ ის კი, მაინც არ ჩანს,
და გავრბივართ ლოგინში.

TO MZIA

From your translating matter,
You've forgotten yourself and your friends,
Look Sometimes over here,
Tell us one word: warm and fresh.

You are running to and fro,
Never have time for us,
Is it our fault that you love
the poem translating so much?

Mzia's greeting is only this phrase:
"Go and write poems for me!"
She'll spend a few words with us,
and then for translating runs.

Days and nights go by like this,
We are waiting for our Mzia,
But she doesn't seem to care,
We run to bed with nostalgia.

მერხეული

აქეთ მთები, იქეთ მთები,
და შუაში მერხეული,
თვალწარმტაცი, ენდემური,
ოქრო-ვერცხლში გახვეული.
    მიყვარს მისი პეიზაჟი,
    ჩვენი მდინარე მაჭარა,
    ხან მშვიდი და ხან მრისხანე,
    ხან კი ცრემლივით ანკარა.
იქ დავტოვე სულზე ტკბილი,
ჩემი მამა, ძმა და რძალი,
მენატრება საფლავები...
განა რაა ჩემი ბრალი?!
ფიქრის, ოხვრის, დარდის გარდა,
არაფერი დამრჩენია,
მერხეულის შავი ქვაც კი,
მთელს მსოფლიოს მირჩევნია.
    ღმერთო, იქნებ გამიგონო,
    ღმერთო, იმ დღეს მომასაწარი,
    ჩვენს ჟრიამულს ზეიმობდეს,
    მერხეულის მთა და ბარი.

MERKHEULI

My merkheuli, my beloved village,
Lying amongst mountains, in a valley,
My endemic my dearest homeland,
wrapped in silver and golden emerald.
    I love the scenery of my beautiful land,
    White peddle-collared Matchara river,
    Sometimes peaceful, sometimes mad,
    But now, the tear-pouring too much!
I left there the sweeter than my soul,
My father, brother and sister-in-law,
I miss the graves of my dear people,
What did I do wrong? What is my fault?
    Apart from sighing and endless mourning,
    And constant melancholy for me left nothing,
    But even a black stone of my village,
    I prefer to the whole wonderful world.
I beg you, Heaven, please, listen to my heart,
Present the previous day to my Georgians,
Let celebrate their arrival,
the mountains and valleys of Merkheuli's land.

ციალა გიორგაძე
Tsiala Giorgadze

***

მე ლექსებს არ ვწერ, გული ფეთქავს ლექსის მაგიერ...
ფეთქავს და რითმავს ყოველწამიერ, რითმავს და ფეთქავს...
ვინ შეეჯიბროს გულის რიტმს და ვინ დაითვალოს?
თუ შეეშლება გულს რიტმის დათვლა, იცით, რაც ხდება!
თქმაც მიძნელდება...

ჩემს გონებას სურს ენა დუმდეს და გულს უსმინოს...
რადგან დუმილით ბევრი კარგი საქმე კეთდება;
ხშირად დუმილით საქმეს უფრო მეტად ვადგებით,
ვიდრე ლაქლაქით და უაზრო ენის ჭარტალით...

ნათესავნო და მეგობარნო, შეისმინეთ ჩემი ვედრება,
გავუფრთხილდეთ და პატივი ვცეთ ორთიერთ-ნებას,
გულს უმიზეზოდ ნუღარ დაწვავთ, ნუღარ დაგესლავთ,
გახსოვდეთ მუდამ: ერთხელ დამწვარი ვერ აენთება.

მე ლექსებს ვერ ვწერ, გული ფეთქავს ლექსის მაგიერ...
ფეთქავს და რითმავს... ფეთქავს და რითმავს ყოველ წამიერ.

***

I can’t write poems, instead of verses, plays my heart,
Plays and rhymes its never-resting rhythmical beating.
Who can compete for the pulse of nature, who can count it?
We all know the result of the heart-beat counting mistake...

My mind prefers tongue to be silent, to listen to my heart,
The heart-thoughts never be mistaken, the mind knows it,
Silence is a treasure, as it can solve many kinds of things,
It’s much more generous than a blunt, useless speech...

I have a request for my neighbours, relatives, friends,
Without good reason don’t ever harm each others’ hearts.
Don’t turn to ashes it, or don’t be with it merciless,
As it never revives if damages once.

I can’t write poems, instead of verses, plays my heart,
Plays and rhymes its never-resting rhythmical beating.

***

დიდი ხანია, ზღვა არ მინახავს…
ზღვას დავშორდი და მე ვღელავ ახლა.
რჩევას მაძლევენ, რომ დავიწყებას მივცე წარსული,
მაგრამ რაღა ვქნა, თუ მის გარეშე არ შემიძლია?

მერხეული და მოდუდუნე მაჭარა მიყვარს,
ჩემი ბავშვობა, სევდიანი, მონატრებული.
ჩემი კეთილი მეზობლები, ნათესავები,
მშრომელი ხალხი, ჯანსაღი სულით,
წრფელი ღიმილით, უმანკო გულით…

ბოროტმა ძალამ დაგვფანტა ყველა…
მას შემდეგ მუდამ ვშფოთავთ და ვღელავთ…

ვიცი, ვერასდროს შევხვდები წარსულს,
დავიწყება კი არა და არ მსურს.

დიდი ხანია ზღვა არ მინახავს…
და მის ნაცვლად კი მუდამ მე ვღელავ.

ვესაუბრები მუდამ აჩრდილებს…
ვინ ვარ და რა ვარ? – ვკითხულობ ხშირად.
დაკარგული ვარ? – ალბათ ასეა.

ენგურის ხიდზე რომ გადმოვედი,
ასე ვფიქრობდი, უსასრულო გზას მივყვებოდი…

მას შემდეგ მხოლოდ ფოთოლი ვარ მე შემოდგომის.
გრავიტაციას ვემორჩილები, მიწა მიზიდავს!

მე მარტოსული ფოთოლი ვარ, ძირს დაგდებული.

***

It is a long time; I've not seen the sea,
I parted from it, and now I'm waving,
I am advised to forget my past,
But what if I can’t rub out my memory?

I love Merkheuli village and river Matchara,
My missed childhood, painful but beloved.
My neighbours and my warm-hearted relatives,
Hard-working people, with healthy spirits,
With sincere smiles and innocent hearts.

Since an evil force has scattered us,
Life became hell, worried and anxious…

I know I can never meet my past,
It is unreachable, but it’s memory follows my path.

O, so for long now I've not seen my sea,
And since then my heart is ready to break.

I am in wonder; I ask the ghosts,
What am I? Wherefrom do I come?
Am I lost? – and probably it is so.

When I crossed the bridge of Enguri-river,
I felt it never would finish my brutal way!

Since then I am the only autumn leaf,
I obey gravity; the ground attracts me!

I'm a lonely leaf, downthrown to the earth.

ტარიელ კოპალიანი
Tariel Kopaliani

დაკარგულ მამას

როცა ჩვენს ოჯახში დადგა უმძიმესი დრო და წამი,
და სახლ-კარის დროებითი დატოვების დღე და ჟამი,
მაშინ შედგა შინაური სჯა-ბაასი, თქმა და ბჭობა,
ვინ პატრონად დარჩეს სახლში, გაამართლოს ყველას ნდობა.
    გადავწყვიტე მე პირველმა დარჩენ-გამგებლობა სახლის,
    უფროსმა ძმამ მიპასუხა: «დრო მოვიდა შენი წასვლის!»
    მამამ, იქვე, გვერდზე მდგომმა, ჩვენს ძმურ კამათს მოკრა ყური,
    და მტკიცედ გამომიცხადა, თვით იქნება სახლის მდგმური.
გვითხრა: მამა მე ვარ თქვენი, პასუხს თქვენზე მე ვაგებო,
სამამულო ომში ნამყოფს თავს როგორმე დავაღწევო.
და დაგვიჯდა გონებაში მამაჩვენის მძიმე სიტყვა,
დავუჯერეთ უმალვე და სიტყვას საქმე უკან მიჰყვა.
    ნათქვამია, ხალხი ბჭობდა და უფალი იცინოდა,
    ბედი მას რას უმზადებდა, ეს არავინ არც იცოდა,
    ვინ განჭვრიტავს ამ ცხოვრებას, უძლურნი ვართ მიწიერნი,
    ღმერთი მაშინ შეგვეწევა, თუ ვიქნებით ღვთისნიერნი.
საიმედო პირმა გვამცნო შემდგომ ჩვენი წამოსვლისა,
მესამე დღეს დაღამებულს ცის კიდემდის მზის ჩასვლისას,
თურმე ვინმე ახალგაზრდა მეომარი ჭიშკარს მოდგა,
გვარად იყო ლობჟანიძე, შინ ფეხები ძლივს შემოდგა...
    უთხრა მამას, დაჭრილი ვარ, ცოტა ხანი დავრჩებიო,
    დიდ ხანს აღარ შეგაყოვნებ, წავალ როცა მოვრჩებიო.
    მიხვდა მამა, საცოდავი, რა საფრთხეში იგდო თავი,
    გაიფიქრა, ამ უბედურს რა სინდისით ვუთხრა ვარი.
სხვანაირად არ შეეძლო მამას ცოდვა მადლიანსა
მოწყალეს და ხათრიანსა, სიცოცხლის ხეს საზრიანსა.
თბილ ბუხართან მიაცილა ის მოყვასი გამოცდილი,
და მიართვა თასით სავსე ეგ ადესა დალოცვილი.
    ხმა გავარდა მთელს სოფელში რომ ჩვენს კერას მგზავრი სტუმრობს
    და მკვლელებმა გაიკვირვეს: სიმართლეა თუ ვინ ხუმრობს?
    გააჩაღეს ნადირობა მამაზე და ხიზან ბიჭზე,
    რომ დასაჯონ, გააქციონ, გადირბინონ ბეწვის ხიდზე.
როგორც შვილი მამაჩემმა შეიყვარა ის ყმა გზირი
როგორც ცხრა ძმამ ისე მაგათ გაიარეს ეს გზა მწირი...
ენგურს აქეთ ხმა მოვიდა რომ სომხებმა აურია
მამაჩემთან მოსულ სტუმარს როცა რთველი აუღია.
    მაგ ღვთის მგმობელ ყაჩაღებმა სულ წაართვეს მაგათ რთველი,
    რომ მამამ და იმ ღვთის მონამ ცხოვრებაზე იღონ ხელი,
    მაგრამ ღმერთი მოწყალეა, განსაცდელებს გვივლენს იმდენს,
    რომ სიცოცხლე გვიყვარდეს და ამ სოფელში ყოფნა ღირდეს.
ნათქვამია, რომ უფალი ყველა მოკვდავს აჯილდოვებს,
მაგრამ კაცი უნებლიედ ზოგჯერ ნებსით მის ბედს ირჩევს,
ზოგს მეტი აქვს, ზოგს ნაკლები, განა ამით რამე ხდება?
როცა ცოდვა გვავიწყდება, მაშინ მადლიც იქვე კვდება.
    ამის შემდეგ მის ლოდინში დრომ და ხანმა ჩაიარა
    მეზობელი გადმოვიდა, ვინც გოლგოთა გაიარა...
    გვითხრა, ბოლოს ჩვენს სოფელში სომხებიდან იყო სროლა
    დაგვეკარგა მამა თქვენი, და სიცოცხლეც გაიყოლა.

FATHER VANISHED

When the hardest time started, the crucial moment of our lives,
The day and time of temporary abandonment of home-hearth,
Then there was the domestic talk, should be taken a decision,
whoever would stay at home and would prove his trustworthy.
I volunteered to stay, and I would look after the home,
The older brother replied to me: It's time for me to leave!
Then my Father, standing firmly there declared to us,
Was not needed more argument, as he decided to stay.
He told us: I'm you Father, responsible for your lives,
I will somehow get rid of myself as ex-soldier of the WW2,
And in our minds came the heavy word of our Father,
We obeyed him immediately; talk followed work to do.
It's said that when people plan, at the same time God smiles,
Nobody knew then, what could threaten fathers life.
Whoever foresee this life, we are powerless earthlings,
God is ready to help human if the human is Heaven-loving.
Later, a reliable person informed us after our departure,
On the third day, at dusk, at sunset, after we left our Father,
It turns out that someone young warrior came to our gate,
Lobjanidze his last name, he could hardly walk to our home.
He asked shelter, temporarily to stay with him for a while,
As he was heavily wounded, promised to leave in good time.
My pour father got into danger, but he did not let him down,
A desperate young, his sons' aged, was asking him for abode.
Father couldn't deny him, as was merciful and kind,
Generous and people-lover, believing of the tree of life.
He invited him into the home, to a fireplace, to warm hearth,
He re-dressed him, he fed him, and with wine, he blessed him.
Soon the news spread in the village about the soldier's hosting.
The killers started wondering, was it truth or was a joke only,
They began to hunt after my Father and that young soldier,
To catch them and make a run, dangerous wire bridge to pass.
As his child, my Father held the young soldier in his heart,
No one knows what had happened, where they both disappeared,
We had a message that all started from the Armenians band,
They hurt his guest when he denied to give them Father's vintage.
They, the god-damned grabbed from them, everything they only had,
Father's and guests hurt dignity was taken from their hands.
But God, merciful, he gives us a chance to go through tests, ordeals, woes,
To love life to aspire to it would be worth it to leave this world honourably.
It is said, that Heaven rewards all who die, never leave them.
But the man unintentionally, by haphazard chooses his fate,
Some have more, and some have less, it doesn't have any sense,
When we forget about sins, then grace also instantly vanishes.
After that day, a long time passed, we still waited for our Father,
Our neighbour came over, who went through the same Golgotha.
He told us that in the end there was shooting from Armenians,
They took my fathers life, and we don't have even his grave.

***

(დაგვრჩა მხოლოდ მთის ბილიკი)

ცისკარია, გაგვითენდა, ოცდარვაა სექტემბერი,
შემოიჭრნენ აბხაზები, «გამოვფხიზლდეთ მთელი ერი»!
აქ რა ხდება? ვერ ვიჯერებ! არვინ უწყის, ვინ სად გარბის,
მუშაა თუ ჯარისკაცი პროფესიით ყველა დარგის.
აფხაზებმა განიზრახეს ქართველების გაძევება,
გამყიდველი წინაპრების ჩანაფიქრის აღზევება,
რუსმა სეპარატისტეპმა გამონახეს ყველა გზები,
წააქეზეს და მოშხამეს ჩვენი ჩრდილოელი ძმები.
ზღვიდანაც და ხმელიდანაც ჩაგვიკეტეს გასასვლელი,
დაგვრჩა მხოლოდ მთის ბილიკი, საცალფეხო გზა სავლელი,
გზას კოდორი მიუყვება გამცილებლად უღრან ტყეში,
იჩქარიან რომ გაასწრონ, მტერს არ ჩაუვარდნენ ხელში.
რაღა მექნა მე უბედურს, დრო არ დამრჩა მოსაცდელი,
ფეხს ძლივს ვადგამ, უკან მრჩება ბაღები და მინდორ-ველი,
შევურიგდი ჩემს ბედს მალე, როგორც შვილი მამა აბრამს,
ამ ყოფაში ამ ტანჯვაში მივადექი ბორცვს და აღმართს.
როგორია ამ აღმართზე ამოდენა ხალხის აყრა,
ეს ის არის, იგივეა რასაც ქვია ჯვარზე გაკვრა,
დაგვიღამდა და ჩამოწვა მთის კალთებზე შავი ბინდი,
მერხეული, ჩემო მხარევ, რად ჩამიდე გულში ხინჯი.
იმ საღამოს გზის ძებნაში მთაში ბევრი გაიყინა,
საკმაოდ ბევრმა დევნილმა, იქ, ყინულქვეშ იდო ბინა,
მთის კალთების მწვერვალებზე გარიჟრაჟდა, სუსხი ჩადგა,
და წყვდიადმაც ასე ზანტად კლდის ძირისკენ იწყო ვარდნა.
ცეცხლი ჩაქრა, წამოვდექი, შიმშილისგან მძვრება სული,
ძარღვი ჩამწყდა, როცა ვნახე თანამგზავრი გაყინული.
გამახსენდა რომ შინიდან წამოვირე ქილა თაფლი,
თვალებიდან ცრემლი წამსკდა, მომაგონდა ჩემი სახლი,
გადმოვიღე იქვე ქილა ძლივს მოვხსენი თავზე ხუფი,
ჩემს გვერდზე მყოფ ყველა მშიერს გავასინჯე თითო ყლუპი,
ბრძენი კაცის ნათქვამია, მადლი ქენი ქვას დადევი,
რომ სიკეთის გაკეთება არის სხვაზე გადამდები.
დევნილების დიდმა მასამ გადმოლახა მთის მწვერვალი,
ღმერთო, ყველას მიეც ძალა, მონა იყოს, გინდ მხევალი.
ასე ტანჯვით და წამებით მივადექით მოზრდილ გუბეს,
იქვე ხიდზე გადავედით, დავადექიღ სოფელ ჭუბერს.
ოდითგანვე საქართველო ვერ იტანდა ძმების ღალატს,
ერთობისთვის უომიათ, ბაგრატსა და კუროპალატს,
ახლა რა გვჭირს, ნუთუ არ გვაქვს ჩვენი წინაპრების რიდი?
რომ ქართველს და აფხაზს შორის აღვადგინოთ ძმობის ხიდი?

* * *

IT'S SEPTEMBER, TWENTY-EIGHTH

It is dawn, black morning, it's September, twenty-eighth,
«The Abkhazians have invaded, let's be ready Georgian nation"!
No one knows where to run! I can't believe it! What's happening?!
Run farmers and engineers, people all of the professions.

Abkhazians decided the Georgians to exterminate,
To full-fill all the intentions of some heartless betrayers,
Russian separatists have used all their usual sneaky ways,
And they poisoned and encouraged yesterday's, northern mates.

We were blocked from the seaside and also from the lands,
They left us with the only hope of a mountain pedestrian path,
On the way, through dangerous mountains followed the Kodori river,
People in a hurry, to overtake, not to fall into enemies hands.

What could I do, unfortunately, there wasn't any more time.
I could barely stand; I had gardens and fields left behind.
It was autumn, time of harvest, called behind gardens and fields,
I headed to my way, and like Abram, I obeyed to my fate.

What Nightmare to rise people on these mountains, on this ascents?
It's precisely crucifixion, carrying the massive burden on shoulders.
Soon got darker, haze covered sheer rock-faces of the mountains,
Merkheuli, my beloved land, why did you fill with pain my heart.

In this night in search of roads, many innocent people froze,
Quite a lot under the ice found their eternal grave-abodes,
At last, it dawned on the tops of the mountain, got colder,
And haze too started to move to the valleys gradually.

The fire was extinguished, and took me trembling, intense hunger,
I lost my temper when I saw cruelly frozen, my companion!
Soon I remembered that I took a jar of honey from my home,
Tears welled up in my eyes, remembering my loved abode.

I took the jar from my bag, and I barely removed the lid,
I shared it to everyone to cruel fated people, around me,
A wise man says, make grace, put on a stone and go away,
It's doing good, kindness commit, it's contagious, it's so sweet.

A large mass of IDPs crossed weirdest fatal mountains,
O, God, give strength to everyone to survive, to go through hell,
With such torment, with cruel torture, at last, we reached a large lake,
We crossed the bridge, and we headed towards Chuberi-village way.

Georgian nation never could endure its own brothers' betrayals,
For one wholeness, together fought Georgia and Abkhazia ever,
What happens now? Where it is, the high respects of antecedents,
To restore this brotherhood bridge, destroyed by the third power.

ალეკო გადელია
Aleko Gadelia

მოგონება

ამბობენ, რომ სანთელია ანთებული
მოგონება... თუმც უმალვე ჩაქრება...
არა, მე მას ფანტელებში ვეძებ – სითბოს,
თბილი თოვლის, სულის ფსკერს რომ ადნება.
სხვის გულებში უფრო ატანს ის ჩიტივით
და გარდასულს იქნებ მეტად უმღერის,
ხან ხარხარებს ვით აჩრდილი ბედისწერის,
ხან სირცხვილით ეწვის მძიმე უღელი.
ამბობენ, რომ მოგონება სანთელია
ანთებული... თუმც ჩაქრება მგლოვარე,
არა, ის ხან სახებაა სევდიანი,
ხანაც უტყვი და თან პატივმოყვარე.
მოგონება ზღვაა ჩუმი და უძირო,
ვით მორევი, შეგიტყუებს, დაგზაფრავს...
და არ გირჩევ მე იქ შესვლას, მეგობარო,
ფანტელებიც ხომ არ ჩანან ნაზამთრალს.

***

ზღვისპირა სახლი დავტოვე, -
დაქცეული და
წართმეული...
მოვდიოდი და ზღვა მომქონდა,
ზღვა სიყვარულის -
ერთადერთი შემორჩენილი განძეული.
მოვდიოდი და ზღვა მომქონდა -
ზღვა სინანულის ...
თუმც უკვე გალეული და გულხელმოცარული ...
და მოვდიოდი... მოვდიოდი და თან მომქონდა -
ზღვა სიძულვილის ...
რომელსაც უკვე დაელბო ცრემლით
სისხლდაწრეტილი შრეები სულისა...
არ ვიცოდი, სად უნდა მოვსულიყავ...
თუმცა მოვედი...
მოვედი მაინც იქ, სადაც მოვიტანე ყველა ის ზღვა:
სიყვარულის, სინანულისა და სიძულვილის...
მოვიტანე, რომ დავღვრილიყავ ერთ დიდ ტალღად -
მკვდარი დუმილის!...

MEMORIES

A candle is a lit memory; it is said so,
Yes, memories, though it fades, soon goes,
No, I'm searching in the snowflakes warmth,
that is melting in the depth of my soul.
Like a bird, it reaches more the other's hearts,
and it sings for already had gone memories,
Sometimes it snorts, roars like a ghost of fate,
Sometimes, its heavy yoke burns with shame.
It is said that memory is a lit candle
Lit up, though extinguished in mourning's,
No, it is sometimes sad image in memory
sometimes dumb but respectful at the same time.
The memory is a deep-sea, silent and bottomless!
Like whirlpool will deceive you, puts in terror,
And I can not advise you to enter it, my friend!
As you won't be able to see flakes after winter.

***

I left the house at the seaside,
Destructed, seized, robbed, and pillaged;
I was going, and I carried a sea,
The sea of Love!
My only surviving wealth!
I was leaving and carrying a sea -
The sea of Regrets.
However, disappointed and empty-handed,
weakened from exhaustion,
And I was coming worn out and was carrying
a sea of Hatred.
Which had already been drenched in tears,
dried from blood layers of the soul.
I did not know where I should have come.
However, I came, without thought.
I came, and I brought all those seas:
Of Love, regret, and hatred.
I got them to spill into one giant wave -
Dead silence!

მარინა დიერაშვილი
Marina Dierashvili

ი მ ე დ ი

განთიადი შეეპარა ღამეს,
მთვარის სხივიც გაქრა მოკამკამე,
მზეს სხივები გამოექცა ბღუჯა,
დაგვაყარა თავზე მუჭა-მუჭა.

როცა ქარი ხეებს ნაზად არხევს,
ფოთლებს აცლის და მიწაზე აფენს…
მოვარდება როცა ავი ქარი,
ყველაფერი თავდაყირა არის;

შემოდგომა იმედებით სავსე,
თითქოს ზამთრის მოლოდინით გვავსებს,
და თუკი ცა წვიმის ცრემლებს გვაფრქვევს,
ნეტავ თოვლი ახალ წელს თუ გვამცნებს!

შემოდგომას წვიმები რომ ახლავს
და ცამ პირი აღარ უნდა გახსნას,
ველოდებით მზის სხივების შეკვრას…
მთვარისა და ვერსკვლავების შეყრას.

და ახალ დღეს ნათელსა და მზიანს,
ქარი, წვიმა სადღაც მოუსვრია,
ათინათებს ზეცა დაუპყრიათ;
ამას ნათლის გამარჯვება ჰქვია!

HOPE

The dawn has sneaked into the night and
The serene moonbeam disappeared,
Then rays escaped from the sun,
Dispersing abundantly over us.

When the wind gently shakes the trees,
He lays removed leaves on the earth,
But restless and raging blowing wind,
It turns everything head over heels.

Autumn, abundant and full of hope
It prepares us for a winter arrival,
And if the sky spreads its raindrops,
The snow is ready for the new year!

When rains accompany the Autumn months,
And it continues, and for days and days last,
We are waiting for the radiant sun
For the union of the moon and the stars.

And a new day, sunny and plain
It frees itself from the wind and rain,
Beam's reflection conquers the sky,
It means that victory has overcome darkness.

ნინი ორკოშნელი
Nini Orkoshneli

ნინოწმინდა

ნინოს ვაზის ჯვრით ნაკურთხ მიწაზე
გაშენებულა სოფელი ჩემი,
წმინდა ნინოში ზარებს რომ რეკენ,
ანგელოზების გუნდის ხმა მესმის.

ყოველი გოჯი, ივრის ჭალამდე,
გოგიჩაღელე თუ მწვანე ველი,
ჩემი ლამაზი ნინოწმინდაა,
გოგლას ლექსიც ხომ ტაძარზე მღერის.

ცად აზიდულა ტაძრის გუმბათი,
დრო ატმისფერთან მეჯლისს გამართავს,
აქ, ქრისტიანთა წმინდა ალაგას,
ვერ მოიკიდეს ფეხი წარმართთა.

ნინოწმინდაა სოფელი ჩემი,
ღმერთმა აშოროს ვერაგი მტერი,
მოყვარე ღვინის ფიალას დაცლის,
ჩემს სოფელს დრო და სიძველე არ ცვლის!

* * *

შენი შვილი ვარ, გარეჯის მდელო,
ჩემი რწმენა ხარ, შენ, მონასტერო.
ბერების სისხლის ხარ საწნახელი,
ჩემი ხატი ხარ, ჩემი სანთელი.

ქრისტიანობის ხარ კიდობანი,
მაცხოვრის მადლის სულისმკობანი.
შენი შვილი ვარ, გარეჯის მთებო
წმინდა ალაგო, მშობელო ჩემო!

*

ყოველ საღამოს, როდესაც ვფიქრობ,
თუ ჩემს ოცნებას დღეს რა შევმატე,
უფალი ჩუმად მიწონებს ნატვრებს
და რაღაც სხივით, სითბოთი მავსებს.

არვის შიოდეს, არვის ციოდეს,
არავინ ვნახო დაღონებული,
დარდი არ იყოს, დედის თვალები
არასდროს ვნახო აცრემლებული,

მე დიდ სცენაზე ვიდგე და მქონდეს
სული, ზეიმით ამაღლებული,
სადღაც, ბოლოში, მამიკოს სახე
რომ დავინახო გახარებული...

NINOTSMINDA

On the land blessed by Nino's vine cross
My village is established - the most beautiful,
When the bells ring in St. Nino's temple,
I hear the choir with the chanting angels.

Every piece of land to the Iori floodplain,
Gogichaghele or around green fields,
It belongs to Ninotsminda, and it's enthralling
And Gogla's poem also sings about it.

The dome of the temple reaches the sky,
Time will hold a party with amber peach.
Here, in the holy place of Christians,
Pagans could not leave their footprint.

Ninotsminda is my home village,
Don't let the enemy ever invade it.
Our good wisher will have a glass of wine,
Times cannot change my village values.

*

I am your child, Gareji grassland,
And you, Monastery, you are my reliance,
You are the winepress of the blood of monks,
You are my icon, my candelabra.

You are guiding me in my spiritual way,
The ark of Christianity, the Saviour's grace.
I am your child, mountains of Gareji,
My Holy haven, heavenly place.

*

Every night, when I think
What did I add to my dream today?
The Lord quietly approves my wish,
And it fills me with some warmth and ray.

No one to be hungry and cold,
No one to be sad and fearful,
No one to worry, everyone to hope,
And never to see my mother tearful.

I wish to stand on the big stage,
To have my spirit exalted with grace,
Somewhere at the bottom of the scene,
To see my father's radiant face.

ნინო მახარაძე

წყალობას ველი

ვიცი ჩარეცხავს სევდის ნაკვალევს
ეს აბეზარი წვიმის წვეთები,
ვეღარ დავფარავ ფიქრებს ნამალევს,
რადგან დამრჩება მხოლოდ სიტყვები.

სათქმელი იტყვის უკვე ნაფიქრალს,
გულიც სიავეს ნაპირს გარიყავს,
ფიქრი გაჰყვება წარსულის ლანდებს,
და დამიტოვებს ვიცი, სადარდელს.

ჩემი ოცნება მომავალს ეტრფის,
მწველი ფიქრები მღვრიე ზღვას ერთვის,
მე ყოველ ღამე წყალობას ველი,
მაგრამ თუ ვიღებ, ის არის ღმერთის.

ჭაღარა

ჩემო თავო ნაადრევად
შეგპარვია ჭაღარა,
ჯერ ხომ ახალგაზრდა ხარ და,
სულს სიბერემ დაჰკრა რა.

გულო სევდა გადიყარე,
გახალისდი, ილაღე,
შენ ერთი ხარ ქვეყანაზე,
და სიცოცხლით იხარე,

დრო გავა და დაგავიწყებს,
იმ წარსულ დროს, მწუხარეს,
ბევრი მოვა, დაგიჩოქებს,
ტაშს დაგიკრავს მქუხარეს.

I EXPECT MERCY

I know it, these boring raindrops,
It will wash away the traces of sorrow,
I can't hide my thoughts anymore
Because all I have left are only words.

Words will say what the mind has already thought,
It will push evilness to the seashore,
Thinking follows the phantoms of the past,
And I know it will leave me too anxious.

My dream is striving to my future whim,
Burning thoughts join the dull, turbid sea,
I wait for mercy every night, and if
I receive some; it is only God's gift.

GREY HAIR

Grey appeared in my hair,
Prematurely, before my time,
O, my poor head, you are so young,
An old age threatens your heart.

Ease your soul from sorrow,
Try to have fun and do not moan,
Remember that you are alone,
Take your chance, and reach your goal.

Time will pass, and it makes you
Forget times when you groaned,
Many will come and kneel you down,
Deservedly, with uproar.

ნეტა გული რომელია?!

ღამე სევდა მომერია,
გამიტაცა ცხრა მთას იქით,
ნეტა, გული რომელია?
სიყვარულის, თუ პირიქით.

იქნებ სიბრალულით ძგერდეს,
უიმედო ჰქონდეს რიტმი,
რაგინდ მალო ნაფიქრალი,
გული მაინც მისსას იტყვის.

სიძულვილი ვერ იხარებს,
ვერ გაუძლებს დროის სრბოლას,
არ მოგირჩენს ძველ იარებს
ნაადრევად რომ გესროლა.

WHICH ONE IS THE HEART?

Sadness disturbed me at night,
It took me over nine mountains,
Where is the heart of hatred,
or love side, and vice versa.

Maybe it beats out of spite,
Desperate to have a rhythm,
After hiding your bitter thoughts,
The heart will still say its own words.

Hate can't be long-term, protracted,
It cannot stand the time racing,
It won't cure your old wounds,
It caused you at an early age to hurt.

შიშველ ფიქრებთან

ახლა მარტო ვარ შიშველ ფიქრებთან,
როგორც ხეები კენტად ზამთარში,
და მე ისინი გულს მიწვალებენ,
როგორც წვიმა და ქარი ავდარში.

წვიმა გადიღებს, ქარიც ჩადგება,
გულში იელვებს... ნეტავ რა ხდება?
იქნებ ოცნების ახდენის დროა?
თუ ახლა არა, ეგ დროც დადგება.

WITH BARE THOUGHTS

I am alone with my bare thoughts,
Like trees are left alone in winter,
And they make my heart oppressed,
Like rain and wind in bad weather.

The rain has ceased, and the wind has subsided,
My heartbeat increased... what's going on?
It may be time for my dreams to come true,
And if not now, that time will come soon, too.

პროზა

რევაზ მიშველაძე

ლომი

ქუთაისში ცირკი თხუთმეტ ივლისს ჩამოვიდა. სტუმრები ქალაქკომის მდივანმა ნარსიამ მიიღო. განახლებული პროგრამის (როგორც თვითონ ამბობდნენ) მესვეურთაგან ნარსია მხოლოდ ლომების მომთვინიერებელს – სწორუპოვარ ბუგრიმოვას იცნობდა. დანარჩენები პირველად ნახა.

ხელისუფალმა ხელქვეითებს დაავალა ყოვლის ღონისძიებით შეეწყოთ ხელი მოსკოველთათვის. ხელქვეითებს ამის შეხსენება არც სჭირდებოდათ, მთელი ქალაქი ფეხზე იდგა.

ხვალიდან სხვა სულდგმაყოფა იწყებოდა.

ეს ორი კვირა ქუთაისი ცირკით იცხოვრებდა.

ასაწყობი შენობა–კარავი ვაკისუბნის ბაზრის წინ, მოედანზე, გაშალეს და კარებზე ალუმინის დაფაზე გაკრული ხელით დაწერილი განცხადება გააკრეს: `სასწრაფოდ გვესაჭიროება ლომების მომვლელ–დარაჯი (ღამის ცვლა)~.

ახლაა თავზე საყრელად სამუშაო ადგილები, თორემ იმ წლებში ქუთაისში სამსახურის შოვნა იოლი როდი იყო. ცირკს დროებით უმუშევართა (მაშინ ასე ეძახდნენ) დიდი ჯგუფი უვლიდა გარს, მაგრამ განცხადებას რომ წაიკითხავდნენ, კარს ცივწყალგადასხმულივით შორდებოდნენ, ჩანს, ლომებთან ურთიერთობა მაინცდამაინც არ იზიდავდათ.

საღამომდე მაინც გამოჩნდა მსურველი. ეს გახლდათ ორმოციოდე წლის, ცალხელა ტიტე წევაძე.

მაღალი, თაფლისფერთვალება, შესამჩნევად შემელოტებული სატყეოტექნიკუმდამთავრებული ტიტიკო, რომელსაც მარცხენა ხელი ბავშვობაში თევზაობის დროს ლაღუმმა წააგლიჯა, ნატექნიკუმარზე, ერთხანს საღორიის ტყეში ეგერად მუშაობდა, მაგრამ მუხის მასალის გაყიდვის გახმაურებულ 6 საქმეში გაახვიეს და ცხრა კაცთან ერთად გაასამართლეს. შვიდი წელი იჯდა. ორი წლის წინ გაათავისუფლეს, მაგრამ სამსახური ვერ იშოვა და რცხვენოდა გამხელა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მეუღლის კმაყოფაზე იყო. ქალბატონი შურა სამკერვალო ფაბრიკაში წუნმდებლად მუშაობდა და გაჭირვებით, მაგრამ მაინც არჩენდა თავის ექვსსულიან ოჯახს (ტიტე, ტიტეს სიდედრი, სამი შვილი – 1 გოგო, 2 ბიჭი).

ბოლოს და ბოლოს, საშიში რომ იყოს, თვითონ ბუგრიმოვა ხომ არ წავიდოდა სარისკო საქმეზეო. თანაც ლომები გისოსებიანი მანქანიდან რომ ჩამოჰყავდათ, იმ დროს შეესწრო ტიტე და მოეჩვენა, რომ ცხოველთა მეფენი მოსალოდნელზე უფრო მშვიდად და ზანტად მიაბიჯებდნენ.

წევაძეს კონტრაქტზე ხელი მოაწერინეს და აუხსნეს, ლომები გალიაში იქნებიან, შენი მოვალეობაა ღამე უდარაჯო. ორჯერ – საღამოს ცხრა საათზე და დილის ექვს საათზე დაკეპილ ხორცს და წყალს შეუდგამ და დროდადრო გალიას მოხრილთავიანი ცოცხჩოთქით გამოასუფთავებო.

პირველ ღამესვე შეეჩვივნენ ლომები მომვლელ დარაჯს. იწვნენ და ამთქნარებდნენ, ან წინა თათებზე უზარმაზრი თავები ედოთ და ეძინათ. საჭმლის მიწოდების დროს გამოცოცხლდებოდნენ, ვერ ვიტყვი, რომ დიდ მადას ამჟღავნებდნენ, მაგრამ მაინც გაწიწკნიდნენ თავთავიანთ ულუფას და ისევ ძილს მისცემდნენ თავს.

შვიდიდან სამი ძუ ლომი იყო, ოთხი – ხვადი.

ისე დამყოლნი და უნიათონი ჩანდნენ ლომები, რომ იფიქრებდით, ნებისმიერ კაცს გაჰყვებიან ქუჩაშიო.

ეშმაკს არ სძინავსო, ე მანდ ვინმე უბედურნახევარმა ლომი არ მომპაროსო, ტიტე წევაძემ, შინიდან თავისი ძაღლი, შავდრუნჩა ბათურა მოიყვანა და გალიასთან დააბა. შეშინდა ბათურა ლომების დანახვაზე. კუდი ამოიკეცა და წკმუტუნით გამობრუნდა, მაგრამ რაკიღა დარწმუნდა, რომ ლომები ბუზადაც არ თვლიდნენ, შეთამამდა, წამოწვა და კუდის ბათქუნს მოჰყვა. შიში, რასაკვირველია, არ განელებია. ლომი რომ წამოდგებოდა, ბათურა უკან იხევდა და თვალს არ აშო 7 რებდა, ემანდ რამე არ ეწყინოს და არ დავიღუპოო.

ამ სურათის შემყურე, ცირკის ადმინისტრაცია ხომ სიცილით კვდებოდა და მეორე დღესვე მთელმა ქუთაისმა იცოდა, რომ ტიტე წევაძემ ლომებს დარაჯად თავისი ძაღლი – ბათურა დაუბა.

რათ უნდა, შე კვდარძაღლო, ლომს ძაღლის ყარაულობა, ვინ მიეკარება მოსაპარავადო, აქილიკებდნენ ტიტიკოს, მაგრამ არც ტიტიკო რჩებოდა ვალში.

ჯერ ერთი, შენ რომ `ტარზანში~ გინახავს, ეგენი ის ლომები არ არიან და მეორეც, ქუთაისში რომ არ იზამენ, იმნაირი საქმე არ არსებობს და, რა ღირს, თუ იცი, ერთი ლომი? რო დეიკარგოს, სახლს გამაყიდიებენო, ამბობდა. წევაძემ და ბათურამ თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულეს. ორკვირიანმა გასტროლებმა ისე ჩაიგრიალა, რომ ლომებს კლანჭი არ წამოსტკენიათ და, მით უმეტეს, მოპარვითაც არავის მოუპარავს.

ბოლო დღეს მოხდა ერთი უცნაური შემთხვევა, რომელსაც ამ ნოველის სიუჟეტის განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივაფუჩეჩებ.

შვიდეულს ერთი ბებერი ლომი ერია. პეტრა ერქვა. პეტრას, რომ იტყვიან, თავისი წუთისოფელი მოეჭამა (ლომებთან დაკავშირებით ამ მეტაფორას განსაკუთრებული ჟღერადობა აქვს) და სიცოცხლის ის ჟამი დადგომოდა, როცა აღარაფერი გახარებს და, თუ ძალიან არ დაგანამუსეს, წელის წამოწევაც აღარ გინდა.

რეპეტიცია–წარმოდგენაზე ბუგრიმოვა სულ `პეტრას~ გაჰყვიროდა: `აბა პეტრა, ნუ ზარმაცობ, პეტრა, პეტრა!

შენ ხომ ჩემი ჭკვიანი, ბებერი პეტრა ხარ. აბა, ჰე! არ გამოგვივიდა... კიდევ ერთხელ ვცადოთ `ჰოოპლა... არა უშავს, დღეს ხასიათზე ვერა ხარ, წადი შენს ადგილას!~

ვერ შველოდა პეტრას ვერც ხვეწნა, ვერც შეგულიანება, ვერც ცხვირთან სამმეტრიანი მათრახის ტკაცუნი. დროთა მდინარებაში უფრო და უფრო ვეღარ ახერხებდა რგოლში გახტომას.

იჯდა ფანერისგან შეჭედილ მრგვალ სკამზე და ამთქნარებდა.

სხვა ლომები შეუღრენდნენ შიგადაშიგ: `რატომ გვარცხვენ, კეთილი ინებე და გადახტიო~.

განა არ უნდოდა პეტრას რგოლში გახტომა, მეტს რას აკეთებდა მთელი სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ, ღმერთი, რჯული, აღარ შეეძლო, ჯანი აღარ მოსდევდა, მუხლები აღარ ემორჩილებოდა.

გალიაში რომ დაბრუნდებოდა, ისე იყო არაქათგამოცლილი, რომ ჭამის თავიც აღარ ჰქონდა.

წყალს ამოკრავდა ვეებერთელა ენას და პირქვედამხობილს ეძინა. ან იქნებ ძილ–ბურანში იყო? ლომს რას გაუგებ. თანდათან, დღითი დღე ღრუბლისგან შეკერილს ემსგავსებოდა.

თავ–ფაფარიღა შერჩენოდა ლომური. მოჩვარული კუნთები საბერველივით ეკიდა.

ლომებს კაცივით ეტყობათ თურმე სიბერე.

კუდზე და თავპირზე ქვიშისფერ ჯაგარში თეთრი მოჭარბებოდა, მტკაველზე უფრო გრძელი ულვაშები შეთხელებოდა; ზოგი გასცვენოდა, ზოგი გადატეხილიყო.

არ გეგონოთ, თითქოს, პეტრას ვინმეს ვაცოდებდე. ლომური იერი მას, რა თქმა უნდა, შერჩენოდა. ზვავობრივ–მედიდური მიხვრა–მოხვრაც ძველებურად ეტყობოდა და, თუმცა თანდათან ლომის ფიტულს უფრო ჰგავდა ვიდრე ცოცხალ ლომს, კვლავინდებურად იწვევდა მნახველთა თვალში, შოთა ნიშნიანიძის თქმისა არ იყოს, `შიშს, აღტაცებას და მოწიწებას~.

იმ დილით დიდი ფუსფუსი იყო ცირკში. ტიტეს ვინ რას ეტყოდა, მაგრამ ჯერ ბუგრიმოვა შევიდა დირექტორის მოადგილესთან, მერე ადმინისტრატორი და მთავარი ბუღალტერი იხმეს. მერე ყველანი ერთად დირექტორთან შემწკრივდნენ და როგორც მდივანი გოგონა ამბობდა, მოსკოვში რამდენჯერმე დარეკეს. ერთ საათში გამოვიდნენ და გალიასთან დაჯარდნენ. კარგა ხანს ათვალიერებდნენ მხეცებს (თუ შეიძლება გალიის ლომებს მხეცები ვუწოდოთ). მერე წავიდნენ, ისევ კაბი-

ნეტში შეიკეტნენ... და ნასადილევს, ასე ოთხ საათზე, ცირკთან მილიციის შავი მანქანა მოგრიალდა. ბუგრიმოვა გალიაში შევიდა, პეტრას ყელსაბამზე ვერცხლისფერი მძიმე ჯაჭვი შეაბა და გამოიყვანა. ლომი მორჩილად მოჰყვებოდა პატრონს.

– იმანო, სად მიყავთ, ხვარ იცი? – ჰკითხა ტიტემ ცირკის მომმარაგებელს, პორთფელიან–ბერეტიან ებრაელს.

– არ იცი, სად წაიყვანენ? რაც ვართ ადამიანები საერთოდ, იმას ვშობით ახლაც, დაგენაცვლე. რას მეელი სხვას? ხარი რო იყოს, დაკლავდნენ და ბაზარს ჩააბარებდნენ. ამას მოკლავენ საღანცა და თუ ჩამარხვა არ დეეზარათ მიწაში, ხო კაი, თვარა მიუგდებენ ძაღლებს და ეს იქნება სუულ!

ტიტეს ცივმა ოფლმა დაასხა.

– რას ჰქვია, მოკლავენ ამხელა ლომს.

– ლომი რა არი, დეგენაცვლე, სპილოს არ კლავენ ეგენი, თუ დაბერდა და ზედმეტი ბარგი გახდა?

შვიდი ლომიდან ყველაზე ახლოს პეტრასთან იყო ტიტე წევაძე. თუმცა პირველ დღესვე გაიფრთხილეს, ხელი არ ახლო ლომებსო, მაგრამ ვერ მოითმინა და პირველს პეტრას დაუსვა ბებერ ქედზე ხელი. ხორციან გობსაც პეტრას პირველს დაუდგამდა ხოლმე, რაზეც პირუტყვი ყოველთვის მადლიერი მზერით პასუხობდა.

რიონისპირას, იქ, სადაც ქალაქი თავდება და ლითოფონის ქარხნის შემორაგვულ ნარჩენთა რუხმწვანე ტბაა, შლამიან ნაპირზე ძეწნას მიაბეს პეტრა.

ბუგრიმოვა მანქანაში ჩახტა და წავიდა.

ტიტემ შენიშნა, ლომების გრძნეულ მომთვინიერებელს, მანქანისკენ რომ გარბოდა, თვალებზე ცრემლი უბრწყინავდა.

სანაპიროსთან ხალხი შეიკრიბა. ზოგი ხიდიდან უცქეროდა სეირს. მალე მოტოციკლეტი მოგრიალდა. `კალათიდან~ შავსერთუკიანი, აკეესშემართული ახალგაზრდა მილიციელი ამოხტა. ლომთან ათიოდე ნაბიჯზე გაჩერდა და ავტომატი გააჩხაკუნა თუ არა, გულისგამგლეჯი ყვირილი გაისმა:

– არ ესროლო!

ტიტე ორი ნახტომით ძეწნასთან გაჩნდა და ლომს აეფარა.

მილიციელმა ავტომატი დაუშვა.

მერე კარგა ხანს ერთვოდა რიონის შრიალს აღელვებულ მოქალაქეთა კამათ–ყაყანი. საქმე გაწევ–გამოწევამდეც კი მივიდა. ზოგნი ჩანთებს წამდაუწუმ ხსნიდნენ და ქაღალდებს აფრიალებდნენ, ზოგნი ხელებს ასავსავებდნენ და ტიტეს ხელიდან ჯაჭვის გამოგლეჯვას ცდილობდნენ, მერე დირექტორი და მისი ამალა წევაძეს რაღაცაზე ხელს აწერინებდნენ და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ავტომატიანი მილიციელი მოტოციკლეტის `კალიასკაში~ ჩახტა.

ხიდზე შეფენილმა მოქალაქეებმა ტაში დასცხეს.

პეტრა მშვიდად შესცქეროდა ამ სურათს. თითქოსდა, რაც ირგვლივ ხდებოდა, მას სრულიადაც არ ეხებოდა.

რატომ იყო დარწმუნებული, რომ ადამიანები რაიმე სისულელეს არ ჩაიდენდნენ, ვერ გეტყვით.

არადა პეტრას სიცოცხლე ორიოდე წუთის წინ ბეწვზე ეკიდა. ტიტე წევაძეს ყელგამოღადვრით რომ არ ეხვეწა ცირკის ხელმძღვანელობისთვის: ნუ მოკლავთ, აგერ, ახლოს, სოფელი მაქვს, წევიყვან, ტყეში დავაბამ. ბოინიდან (ჩემი სოფლიდან კილომეტრ–ნახევარშია) ხორცის ნარჩენებს მოვუზიდავ და დარჩენილ დღეებს მშვიდად გავატარებიებო... ნაცნობ–უცნობები რომ არ გამოქომაგებოდნენ და თავდებადაც არ დადგომოდნენ, პეტრა ახლა ფეხგაჭიმული, მკერდშუბლგახვრეტილი ეგდებოდა რიონის ნაპირას.

* * *

ამ შემთხვევიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ქუთაისში ნინოშვილის ქუჩიდან გალიფეშარვლიანმა, თეთრკეპიანმა, ლომიანმა კაცმა ამოუხვია და თეთრი ხიდის გზას დაადგა.

კაცს მოკლეზე ეჭირა ჯაჭვი და დადევნებულ მოქალაქეთა აბეზარ კითხვებს კანტიკუნტად, თითო სიტყვით პასუხობდა.

ლომს, მით უმეტეს არ აინტერესებდა, ცნობისმოყვარეთა არამკითხე ქარავანი. იგი ჭკვიანად, ნაბიჯ–ნაბიჯ, ზანტად ჩადგომოდა კვალში პატრონს.

გზაჯვარედინთან მდგომი მილიციელი ვალიკო ჩიტიანი ლომის დანახვაზე გაშტერდა. ასეთი შემთხვევა ჯერ არ ჰქონია. არ იცოდა, რა ეღონა. რით დაეწყო.

– გესმის?! შენ გეუბნები, ლომიანო!

ტიტე შეჩერდა. ლომმა უშველებელი თავი მოაბრუნა და პოლიციელს მშვიდად (მაგრამ მაინც ლომურად) შეხედა, ჩიტიანი, ყოველ შემთხვევისთვის, მოშორებით იდგა.

– სა მიგყავს?!

– საპასპორტოში.

ჩიტიანს, ლოგიკის მიხედვით, ხომ უნდა ეკითხა, რა უნდა ლომს საპასპორტო განყოფილებაშიო, მაგრამ იგი უფრო პრაქტიკული კაცი იყო და ლომის პატრონს სწორედ რომ იმ სიტუაციისთვის აუცილებელი კითხვით მიმართა:

– კი მარა, მაგან კბენა არ იცის?

– არა, ბატონო, კბენა იცის ძაღლმა. ამან შეჭმა იცის, – დამწყები კლასების მასწავლებლის ინტონაციით, ლამის დამარცვლით მიუგო ტიტემ.

ჩიტიანს მეტი კითხვა აღარ დაუსვამს.

თეთრ ხიდს გაღმა, ადმირალ ნახიმოვის ქუჩაზე პოლიციის საპასპორტო განყოფილების ეზო მუდამ ხალხმრავლობდა.

რა ისეთი სტრატეგიული პუნქტი იყო, კაცმა რომ თქვას, საპასპორტო მაგიდა, მაგრამ მეპასპორტე იოველ ვაჩაძე მის უწყებაში მოქალაქეთა მოგროვების ოსტატი გახლდათ.

ვერ გეტყვით, რამ შეაყვარა, გიჟდებოდა რიგზე. ამიტომაც მთხოვნელს ერთ და სამუდამო პასუხს არ აღირსებდა. `ხვალ მოდი, ხვალ გამოიარე, ვნახოთ~... წამდაუწუმ ამ ფრაზებით იშორებდა ყველას და ილაჯგაწყვეტილი `ხვალ დაბარებულები~ ბუზებივით ირეოდნენ ვაჩაძის ირგვლივ. რაც შეეხება ტიტეს, შეიძლება თამამად ითქვას, სისხლი გაუშრო იოველმა. პასპორტი არ იქნა და არ აღირსა.

`ხომ იცი, ნაჯდომი ხარო. არ არის ისე ადვილი, შენ რო გგონიაო. უნდა შევეკითხო იქანაც, შენ რომ იციო. ასე მეუბნებიან, დეიწყოს ჯერ მუშაობა, ვნახოთ, რავა გამოსწორდა და მერე მიეცი პასპორტიო~, ყოველ მისვლაზე ერთი და იმავე პასუხით ისტუმრებდა. ვითომ და არ იცოდა, რომ უპასპორტოდ საერთოდ და, მით უმეტეს ნაპატიმრალ კაცს, დიად საბჭოეთში სამუშაოს არავინ მისცემდა.

რა მოჰყვებოდა საპასპორტოს ეზოში ლომიანი კაცის გამოჩენას, ამის წარმოდგენა მკითხველს არ გაუჭირდება. ტიტემ ლომი იქვე, ასფალტში ამირანის პალოზე უფრო მკვიდრად ჩარჭობილ რელსს გამოაბა და ღობის ნახევარმეტრიან საყრდენზე ერთსულოვნად შემხტარ, შიშისგან შეძრწუნებულ საზოგადოებას გახედა.

სად იყო ასე გამოწერილივით რელსის ნაჭერიო, ამ კითხვას, მე მგონი, ჩემს ნიჭზე სამუდამოდ დაეჭვებული კაციც არ დასვამს; ასფალტში ღრმად ჩარჭობილი რელსის ნაჭერი ხომ თითქმის ყველა ეზოსა და ჩიხში გვიშლის ნერვებს.

მე, რასაკვირველია, არ ვამტკიცებ, თითქოს წინდახედული ადამიანები რელსებს მაინცდამაინც ლომების დასაბმელად ჩააასფალტებენ ხოლმე. იოველ ვაჩაძე მოსულს ფეხზე ამდგარი შეეგება, რაც მისთვის სრულიად უჩვეულო საქციელი გახლდათ. ნაპატიმრალს კი არა, მის კაბინეტში სასწაულის ძალით შესულ კალინინსაც არ წამოუდგებოდა საპასპორტო მაგიდის უფროსი.

– რავაა ჩემი პასპორტის საქმე? – ჰკითხა ტიტემ და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ ხვალისთვის დაიბარებდნენ, მეორე დღესაც მოსულიყო.

იოველმა უკვე იცოდა, რომ წევაძე, ამჯერად, მარტო არ წვეოდა საპასპორტო განყოფილებას – თან ლომი ახლდა.

არ მკითხოთ, ახლა ასე უცებ როგორ გაიგოო.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა იცოდეთ, რომ თუ სადმე ხუთ კაცზე მეტი (და ისიც შემთხვევით) შეიკრიბა, მათ შორის ერთი (თუ მეტი არა) აუცილებლად იქნება ე. წ. აგენტი, უშიშროების სამინისტროში რომ მოფერებით `საზოგადოებრივ ინფორმატორს~ ეძახიან.

– ვამზადებ, აგერ მიდევს. გუშინ უნდა შემევსო, მარა სინოურიძის ორმოცზე ვიყავი წასასვლელი და ვერ მოვასწარი – დარცხვენილი, დამწყები მატყუარასავით თქვა იოველმა.

– კაი, აბა, ხვალ მოვალ, – კარისკენ გაიწია ტიტემ.

– რავა გეკადრება. რა არის სახვალიო, ა, ორი გრაფა დამრჩა და შევუტან უფროსს ხელმოსაწერად! – ისე გაფაციცებით და მონდომებით, სხაპასხუპით ეუბნებოდა მეპასპორტე, რომ აშკარად ჩანდა, მოქალაქე ტიტე წევაძის ხვალ ნახვის 13 არავითარი სურვილი არ გააჩნდა.

ლომის პატრონისთვის კი დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, დღეს აიღებდა პასპორტს თუ ხვალ.

ვაჩაძე წერას მორჩა, პასპორტს სამაგრით რაღაც ქაღალდები მიაკრა, უფროსთან შევარდა, ხუთიოდე წუთში გახარებული გამოვიდა, ტიტეს ორ ადგილას ხელი მოაწერინა, პასპორტს ბეჭედი უთაქა, სული შეუბერა და გაუწოდა.

– ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს.

`ხვალ დაბარებულები~ შურითა და გაოცებით შეჰყურებდნენ ამ სურათს და ლამის აქვითინდნენ, როცა `გულჩვილმა~ საპასპორტო მაგიდის უფროსმა ტიტე კარისკენ გააცილა ასეთი სიტყვებით:

– ოცდასამი წელიწადია მე აქანა ვმუშაობ და ქუთაისში ჩემზე ძვირს ვერაკაცი ვერ იტყვის... რაც შემიძლია, დაუზარებლად ვემსახურები ხალხს. რას ჰქვია, `ხვალე~. რაც დღეს ეკუთვნის, დღესვე უნდა მიიღოს... ისე... რავა მიდის საქმეები?.. რავა ხართ სახლში... ლომი ხომ კარგად გყავს?

– რა უჭირს, – განზე გაიხედა ტიტემ, – პასპორტი ჯიბეში ჩაიდო და ხალხზე მზრუნველ მეპასპორტეს მადლობა გადაუხადა.

მასპინძელმა `სიყვარულით~ გააყოლა თვალი და სანამ სტუმარმა ლომი ეზოდან არ გაიყვანა, ფანჯარას არ მოშორებია.

აქვე უნდა ჩავურთო, რომ არ დამავიწყდეს: ტიტე წევაძის ოჯახში ლომის გამოჩენას მშვიდად შეხვდნენ. ტიტესგან ეს ნაბიჯი არ გაკვირვებიათ. ჩანს, ყველანი ელოდნენ, რომ ოჯახის თავი დღედღეზე რაღაც უცნაურობას ჩაიდენდა, მაგრამ კონკრეტულად ლომს თუ მოიყვანდა შინ, არავინ ელოდა.

ეზოში უნაბის ხეზე რომ აბამდა, სიდედრი გამოვიდა და ნახევრადხუმრობით ჰკითხა სიძეს:

– ისე ვერაფერი მომიხერხე და ახლა ლომი მომიყვანე ხომ? შემჭამოს ეგება.

– ნუ გეშინია, ლომი ლომს არ შეჭამს, – ნახევრადხუმრობით მიუგო ტიტემ.

ვინც ქუთაისში სიძე–სიდედრის შეხუმრება–შექილიკების ტრადიციას იცნობს, ეს დიალოგი არ გაუკვირდება და ჰოლანდიელთა ცხოვრებაზე დაწერილ ნოველაში კი, შეიძლება, ეხამუშოს მკითხველს.

რაკი პასპორტი ხელთ ჰქონდა, ტიტე წევაძეს თავისუფლად შეეძლო კიდევ ერთხელ მისულიყო ქალაქის აღმასკომში და კონსტიტუციურად კუთვნილი სამუშაო ადგილი მოეთხოვა.

საშვიდნოემბრო დღესასწაულები რომ ჩამთავრდა, ყოფილი ეგერი საგარეოდ გამოეწყო, ეზოდან ლომი გამოიყვანა და ნინოშვილის ქუჩას აღმა აუყვა.

სერიოზული მოქალაქეები ლომის დანახვაზე ძველებურად აღარ ჰკიოდნენ და დასამალავად ღია ჭიშკრებს აღარ ეძებდნენ. ეგ იყო, ტიტეს მოულოდნელად შემოფეთებულ მევალესავით მიესალმებოდნენ და ნაბიჯს აუჩქარებდნენ ხოლმე.

კინო ქრონიკასთან აბეზარმა მოსწავლეებმა გადმოუხვიეს. ლომის დანახვაზე ჯერ გაშეშდნენ, მერე ცნობისმოყვარეობისაგან გაფართოებული თვალებით გამოჰყვნენ, ბოლოს ისე შეთამამდნენ, სტვენა–ჟივილი ატეხეს და ერთმა ნაფოტიც ესროლა ისე, ყურადღების მისაქცევად. ლომი შეჩერდა, ბიჭებს გახედა, მანამ შესცქეროდა, სანამ კისრისტეხით გარბოდნენ და კილაძის ნასახლარს მიეფარნენ.

რაკიღა ქუჩაში ვერ დატოვებდა, ტიტემ ლომი მეორე სართულზე აიყვანა და თავმჯდომარის მისაღებში კედლის გასწვრივ, ძელსკამთან ლენინის სურათის ქვეშ დასვა. `დასვა~ არ ივარგებს, რაკიღა ლომი იატაკზე წამოწვა და წინა თათებს თავი ჩამოაყრდნო.

ბევრი ეხვეწა მის წინ მისულ ხუთიოდე მთხოვნელს წევაძე, ნუ გეშინიათ, ადამიანს არ ერჩისო, მაგრამ, ვინ იცის, რა სასწრაფო საქმეზე მოსულმა მოქალაქეებმა ლომის დანახვისთანავე ერთმანეთის მიყოლებით ჩაუსხაპასხუპეს ჭიპამდე კვართჩაუხსნელ მდივან გოგონას – სხვა დროს მოვალთო და კიბე ბრიგინ–ბრიგინით ჩაირბინეს.

მდივანი გოგონა სად წავიდოდა. კედელს აეკრა და თავმჯდომარის კარისკენ მიუთითა.

– შებრძანდით.

ტიტემ კარისკენ რომ გააბიჯა, მდივანმა გოგონამ, 15 რომელსაც ტანზე ეტყობოდა, საერთოდ სიდიდეების შიში არ უნდა ჰქონოდა, ლამის ტირილით დააწია:

– ამას? ამას მე მიტოვებთ?!

– ნუ გეშინია. ყურადღება არ მიაქციო. ორწუთიანი საქმე მაქვს, რაღაცას ვკითხავ და გამოვალ ამ წუთში.

მდივანი გოგონა კედელს აკრული, გახევებული იდგა. ლომს თვალს არ აშორებდა.

წევაძემ თავმჯდომარეს სათხოვარი შეახსენა.

– ვიცი, მახსოვს... მარა რო არ არის ჯერ არაფერი?.. ხო გითხარი, ჯერ პასპორტი ეიღე თქვა.

– პასპორტი ევიღე.

– მართლა? – თითქოს გაეხარდაო თავმჯდომარეს, მაგრამ ისევ მოიღუშა – სულელია ეს ვაჩაძე. შენზე კი არ მაქვს საქმე, საერთოდ, ვლაპარაკობ. რომ აძლევს ნასამართლევ კაცს ასე ჩქარა პასპორტს, კიდევ რამე რომ დააშავოს, მაგი მიგებს პასუხს?!

– თქვენ ქე იცით, რა დანაშაულიც მქონდა. სხვებმა მუხები გაყიდეს, ფული ჩეიჯიბეს და მე გამიშვეს ციხეში.

– ხომ გითხარი, შენზე არ ვამბობთქვა. საერთოდ ვლაპარაკობ, – ჰაერმწმენდს ხელი შეუშვირა თავმჯდომარემ.

– რა ვქნა, აბა, სანამდე ვიარო უსამსახუროდ. მარტო რო ვიყო, ჯანდაბას ჩემი თავი. ამხელა ლომი მყავს სარჩენი.

– რამდენი ლომი გყავს?

– ერთი.

– შენ ერთი გყოლია და მე ოთხი მყავს. ორი უფროსი თბილისში სწავლობს. შენი რა ხნისაა, სკოლა არ ექნება ჯერ დამთავრებული. რომ დაამთავრებს, მერე ხარ ცოდვა.

– რავა ვქნა, როდის მევიდე? – სხვა თემიდან ისევ საქმეზე დააბრუნა ტიტემ.

– ჯერ არ არის არაფერი. ხო გითხარი, თუ რამე გამოჩნდა, მე თვითონ მოგძებნითქვა. E

ეს არის ყველაზე არარეალური პასუხი, ჩემო მკითხველო, თუ ასეთი რამ გითხრეს, ჩათვალეთ, რომ მასპინძელმა უარით გამოგისტუმრათ. ამ აბურდულ დროში არავინ არავის მომძებნი არ არის, მოდი და მუშაობა დაიწყეო.

ეს ჭეშმარიტება, რასაკვირველია, ტიტემაც კარგად იცოდა და ის–ის იყო ხმისთვის უნდა აეწია, რომ გაფითრებული მდივანი გოგონა შემოვიდა, უფროსს კატის ნაბიჯით მიუახლოვდა და ყურში უჩურჩულა.

თავმჯდომარეს ნელ–ნელა, თვალდათვალ დაუდგა თმა ყალყზე.

– რაი?! შენ ხვარ გადირიე... ამის? ლომი შენია?

– კიე, – ისე ჩვეულებრივად და სხვათა შორის მიუგო ტიტემ, თითქოს აღმასკომის მისაღებში ლომის გამოჩენა საკვირველი სრულიადაც არ იყო.

თავმჯდომარე ხელების ფშვნეტას მოჰყვა.

– დამთავრებული რა მაქვსო, რა მითხარი? – მზრუნველი მამის ინტონაციით ჰკითხა თავმჯდომარემ.

– სატყეო. მარა დიპლომის ხაზით აღარ ვიმუშავებ. სხვაგან... სადმე... წავედი აბა... როდის მევიდე?

თავმჯდომარემ ქვა ააგდო.

– მოიცა. დავრეკავ ერთ–ორ ადგილას. მართლა რა უსაშველო გახდა შენი სამსახური. რა არი გოუკეთებელი. მეიცა... არ წახვიდე...

თავმჯდომარემ პირველ დარეკვისთანავე მოუძებნა ტიტე წევაძეს სამუშაო. თანაც მშვენიერ ადგილას – მინისტარის ქარხანაში ქილების დამთვლელად.

ვინც სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობაში ერკვევა, დამეთანხმება, რომ ქილების დამთვლელის პოსტი საკმაოდ სარფიანი გახლავთ და არც ინტელექტის დიდ დაძაბვასთანაა დაკავშირებული.

თავმჯდომარე ტიტეს ხელს დიდხანს ართმევდა და ნერვულად ეჩურჩულებოდა:

– წადი ახლა და იყავი ჭკვიანად... ხო, იცი, შენთვის კაი მინდა ყოველთვის. კიდევ დავრეკავ სტეკლოტარაში და ყველანაირად ხელს შეგიწყობენ... მე ასეთი კაცი ვარ... მე შიშით ვერავინ ვერ შემაშინებს... მე ხათრით ვაკეთებ ყველაფერს... შენ თავიდანვე კაი თვალით შეგხედე... ალალი იყოს ყველაფერი... კარგად აბა... კარგად იყავი... თუ კაცი ხარ, ე ლომი მოაშორე მაქაურობას.

– კარქათ... დიდი მადლობა.

გამოცილებით კი, ტყუილს ვერ ვიტყვი, თავმჯდომარეს და, მით უმეტეს არც მდივანს, ტიტე არ გამოუცილებიათ.

კიბეზე რომ ჩადიოდნენ, ტიტემ დერეფანს გახედა.

სამარისებური სიჩუმე იდგა.

აღმასკომი მიტოვებულს ჰგავდა.

ლომიანი მთხოვნელი წასულად რომ დაიგულეს, აღმასკომის თავმჯდომარემ სავარძელში ლამაზადფეხმოკეცილ მდივან გოგონას უთხრა:

– არა, არა, ტყუილია ყველაფერი... არაფერი უშველის ამ ქალაქს. რა წესრიგი უნდა დავამყარო აქანა. ხო ხედავ, ლომებით დეიწყეს სიარული.

მდივანი ყუჩობდა, მას წეღანდელი ელდა ჯერ არ განელებოდა.

* * *

ტიტე წევაძის მოსაწყენი ცხოვრება გადაუკეთესგადასხვაფერდა.

ლომის წყალობით დღეთა ჩვეულებრივობა ახალ ღარში ჩადინდა.

ყოფილი ეგერი ქალაქში ცნობილ კაცად იქცა.

მეზობლები, რომ იტყვიან, სხვა თვალით უცქერდნენ, ჩინოვნიკები ანგარიშს უწევდნენ. სახლმმართველობის გაფართოებულ კრებაზე ვიღაცამ რაიონის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატადაც კი დაასახელა, მაგრამ ტიტემ უარი თქვა, არ მცალიაო.

დროის ნაკლებობას მართლაც განიცდიდა.

ჯერ ერთი, დღე არ გავიდოდა, ქალაქის განათლების სამმართველოს მეცადინეობით სკოლის მოსწავლეები ექსკურსიაზე არ მოეყვანათ. ჟურნალისტებიც არ ასვენებდნენ. საშუალოდ თვეში ორჯერ მაინც იბეჭდებოდა საქალაქო გაზეთ `ინდუსტრიულ ქუთაისში~ ნარკვევი ლომზე და მის პატრონზე.

კვირაში ხუთი დღე ხომ მინისტარის ქარხანაში მზა ქილებს ითვლიდა, შაბათ–კვირას პეტრა ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში დაჰყავდა. უქიმირიონზე, განსაკუთრებით საზეიმო დღეებში (აქვე მკითხველს ვაუწყებ, რომ კომუნისტები, ჩვენგან განსხვავებით, ასატანზე უფრო ხშირად ზეიმობდნენ) ხალხმრავლობა იყო. ფოტოგრაფი ისხაკა ლომთან იმათ მიტყუებასაც კი ახერხებდა, ვისაც თავი არაფოტოგენურად მიაჩნდა და სურათის გადაღება საერთოდ არ უყვარდა. ყოველი მანეთნახევრიანი სურათიდან ოცი კაპიკი ლომის, უფრო სწორად, ტიტე წევაძის იყო.

რაც შეეხება ბათურას, ეს ერთ დროს შემაწუხებლად ფხიზელი ნაგაზი მომსვლელ–წამსვლელთა სიჭრელემ ისე დააბნია, რომ ლომზე უფრო გამოლენჩდა, იწვა კიბის ქვეშ და აღარავის უყეფდა.

* * *

აქ შემეძლო ნოველა დამემთავრებინა, დიდად საინტერესო და მოსაყოლი აღარაფერი დამრჩა, მაგრამ ზედმეტად ცნობისმოყვარე მკითხველის შეკითხვებისაგან თავი რომ დავიზღვიო, აქვე მოგახსენებთ:

გაზაფხულის ერთ ქარიან დღეს, როცა ტყემლის ყვავილი ეზოს ზღაპრის დარბაზივით ეფანტელებოდა და ჰაერში თაფლვარდობის დამათრობელი სუნი ტრიალებდა, პეტრამ ჭამა შეწყვიტა.

მინდოდა `მოიწყინა~–მეთქი დამეწერა, მაგრამ მოწყენილი როდის არ იყო.

ავადაც არ გამხდარა. სიბერე სჭირდა, ეგ იყო და ეგ. ვერავითარმა წამალ–ვაქცინამ, ვერა ვეტექიმმა საჭმლისთვის პირი ვერ დააკარებინა.

ჭამის შეწყვეტიდან დიდხანს აღარ უცოცხლია.

ტიტეს ძელქვიანის სასაფლაოზე სურდა დაეკრძალა, მაგრამ ნება არ მისცეს, ქრისტიანული წესის მიხედვით ადამიანთა გვერდით ცხოველთა დამარხვა არ შეიძლებაო.

ეზოში გაუთხარეს ბებერ ლომს საფლავი.

დაკრძალვას ნათესავ–მეგობრების ვიწრო წრე დაესწრო.

ქუთაისში როგორც ლომის პირველად გამოჩენის, ისე გარდაცვალების ხმაც სწრაფად გავრცელდა. ქალაქს გარეგნულად, რასაკვირველია, არაფერი დატყობია.

რიონი ძველებურად მიდგაფუნებდა თეთრ ქვებს შორის.

ყვავები დილა–საღამოს უკლებლივ გამწკრივდებოდნენ ხოლმე სოლომონის სასახლესთან აღმაგაბმულ ბაგირზე. სასტუმროსთან კვლავინდებურად იკრიბებოდნენ სტუმრის მოლოდინში დაღლილი ძირძველი ქუთაისელები და აკაკის სახელობის უნივერსიტეტის ჭიშკრიდან სამის ნახევარზე ჯგუფ–ჯგუფად გამოდიოდნენ ულამაზესი ქალ–ვაჟები, რათა აღმაშენებლის მოედანზე ერთმანეთს ხვალამდე დამშვიდობებოდნენ თავიანთი რთული სტუდენტური საქმეების მომიზეზებით.

...იმ დილით ტიტე წევაძე სამსახურში რომ მივიდა, მინისტარის ფაბრიკის დარაჯმა, წეკოსგან ულვაშშეყვითლებულმა შაკოიამ ჯერ ლომის დაკარგვა მიუსამძიმრა, მერე სიგარეტის ბოლს ხელი გაუქნია და ჩაულაპარაკა:

– რა ხნის იყო... არ მეგონა, თუ ასე ცოტა ხანს ცოცხლობდა ლომი... უფროსმა ჩემთან შამევიდეს, რო მოვაო.

– რა უნდა?

– ვერ გეტყვი... არ უნდა იყოს მთლად კარგად ფაბრიკის საქმე... აღარ უნდა ბანკა საკონსერვოს. რა ჩაასხას შით. ტყემალი კვირტში გეიყინა. გარეხამდე ჯერ ორი თვეა...

ტიტემ ხვამლზე აზიდულ–აფუებულ ღრუბელთა თეთრ ქარავანს გახედა. გეგონებოდათ, უჩინარი ღმერთი ხვამლზე ზის და ყალიონს აბოლებსო.

თუმცა... ტიტესთვის ახლა ყველაფერი სულერთი იყო.

მაია ტყემალაძე

ნიაკო

ნოველა

– საით მიგიხარია, ამ დილაადრიან, ბაბუკო?

– ჰო, მიმიხარია, მაგრამ რაღა დილაადრიან, დაგიგვია მთელი ქუჩა უკვე!

– შვიდი საათიც არაა ჯერ და შენისთანა ღუჩუნია ბიჭს უნდა ეძინოს ახლა, ან გაკვეთილებს იმეორებდეს, თუ ბეჯითია!

– ერთი წელია დავანებე სკოლას თავი და აღარ მჭირდება სიბეჯითე!

– ცუდია ეგ ძალიან, მაგრამ მაინც არ მეტყვი საით მიიჩქარი? ჩამოვჯდეთ აგერ პატარა ხანს, მოვწევ პაპიროსს, დავისვენებ ცოტას და მითხარი შენი ამბავი.

– ჩამოვჯდეთ, მაგრამ ამბავს ნუ მკითხავ, ვერ გეტყვი, გეტკინება ძალიან გული!

– რას ამბობ, ბაბუ, დავიბენი ნამეტანი, რა არის ამისთანა, შენ რომ იქით მიგიხარია და მე რომ გული მეტკინება, ჰა?!

– ვერ გეტყვი, შეწუხდები ძალიან და არ მინდა ეს მე!

– რაღაცას მასხრობ, ბიჭო და შემოგცხე ახლა ეს დიდი ცოცხი!

– არ ვმასხრობ. იცი შენ, სადაც მივდივარ ხოლმე დილაობით და განძს მივაგენი იმ ადგილზე გუშინ!

– ჰი-ჰი-ჰი, რომელ განძს, ბაბუკო, როდის იყო ნაგავსაყრელზე განძს ყრიდნენ?! ჰო, მართლა, რა ქენი, შეაკეთე ის ძვირფასი, ძველისძველი საყვავილე და ჩაიბარეს ანტიკვარებში?

– არ მეცალა მაგისთვის მე, უფრო სერიოზული საქმე გამომიჩნდა!

– შენ, მგონი, არ ხუმრობ. ჰე, ამოღერღე, მიდი!

– არ მოეშვები ადამიანს და, გეტყვი, აბა! ერთი მანქანა წიგნები მაინც ყრია იმ ნაგავსაყრელზე. გუშინ ვნახე. დაუწვიმია წინა ღამით, დაულპია შხაპუნა წვიმას სულ!

– რას მეუბნები, შვილო, გამითხარე ბარემ ახლავე საფლავი!

– არ მომეშვი და ჰე, ხომ გითხარი, გეტკინება გული-მეთქი!

– რა უქენი მერე ნაწვიმარ წიგნებს?

– რა ვუქენი და სათითაოდ დავაწყვე სულ, გავამზეურე გასაშრობად!

– მერე, გაშრებიან ვითომ? ანდა, რომ მოგპაროს ვიმნემ?

– ხუმრობ? წიგნს ვინ მოიპარავს ამ დროში, თანაც ნაგავსაყრელიდან?!

– ჰო, მართალი ხარ! გაშრებიან და...

– მცხუნვარე მზე იყო გუშინ, სულ ორთქლი აუვიდა ყველას. ასე გეგონებოდა, ამოიშალნენო წიგნებიდან გმირები. სახრჩობელადან ჩამოხსნილი ადამიანებივით ნელ-ნელა დაიწყესო სულის მოთქმა და სუნთქვა!

– კი, სუნთქვა იციან, ბაბუკო, წიგნებმა. მისი გმირებივით სუნთქავენ. გამაგებინა, ნეტავი, ვინ გაიმეტა ამდენი წიგნი სასიკვდილოდ?!

– მივხვდი მე ვინც გაიმეტა და ამერია ერთმანეთში სიხარული თუ მწუხარება!

–მიხვდი?! მითხარი, ერთი, ვინ არის და სულ სათითაოდ ჩამოვაცლი კბილებს. ისე არ დავძაბუნებულვარ, ამისთანა ჯალათობისთვის ჯავრი რომ არ ვიყარო!

– ჯერ წიგნებს მივხედოთ და მერე ვიფიქროთ მაგაზე!

– ბევრი წვიმა იცის ივნისმა, ბაბუკო. ამიტომაა ჩოხადამპალას რომ ეძახიან. ვაითუ გაწვიმდეს ისევ? ჰე, ავდგეთ აბა და გავეშუროთ ჩქარა. დარჩეს ცოტა ნაგავი ამ ქუჩაზე, რა უშავს.

– არ გაწვიმდება, ვიცი!

– საიდან იცი, ბიჭო, დაგესიზმრა?

– არა, სიზმარს რა დაეჯერება? ძალიან შევევედრე ცას, ისეთი სამოსი ჩაიცვი, წვიმა რომ შეაკავოს-მეთქი; მზესაც შევევედრე, დილიდანვე ამობრდღვიალდეს. ყველაზე მეტად კი მათ შემქმნელს შევემუდარე და ვიცი, მომიმართავს ხელს!

– მოგიმართავს, ბაბუკო, უთუოდ. მის იმედად არ ვართ? მაინც ვიჩქაროთ, წამოგეშველები ცოტას, გავუდგეთ, აბა, გზას, ჰე!

– მართლა მომეხმარები?!

– აბა, რას ვიზამ, ბაბუკო! მეეზოვედ კი არ დავბადებულვარ. წამყვანი ინჟინერი ვიყავი ერთ წარმოებაში და მოკრძალებით თავს მიკრავდა ხალხი, რო იცოდე შენ! წიგნების მეტი სიმდიდრე კი არაფერი მაქვს სახლში, მარა, ვერ არჩინა ცოდნამ, უმაღლესმა და წიგნებმა ჩემი პატიოსანი ოჯახი, გაგვიჭირდა ბოლოს და ამიტომაც ავიღე ხელში დიდი ცოცხი!

– ვიცი მე მაგ ამბავი. იმასაც ვხედავ ხოლმე, რომ ჩაჯდები დასასვენებლად და ჯიბიდან მაშინვე წიგნს, ან გაზეთს ამოიღებ წასაკითხად. ამიტომ გითხარი, გული გეტკინება -მეთქი.

– უყურე შენ? რა დაკვირვებული ყოფილხარ, აფსუსი არ არის სკოლის გარეშე ცდებოდე?

– მორჩება დედა, მოვითქვამთ ცოტა სულს და ვივლი ისევ სკოლაში მე!

– მორჩება, აბა არა?! სკოლაშიც ივლი და უმაღლესსაც დაამთავრებ. კაცური კაცი დადგები შენ, რომ არ თაკილობ შრომას და სხვისკენ რომ არ იწვდი ხელს. ჰო, მართლა, როგორ არის დედაშენი? გონზე მოვიდაო, გავიგე.

– ანა ექიმმა გვითხრა, კრიზისმა გაიარა. ახლა ნელ-ნელა ხელ-ფეხსაც აამოძრავებს და მოვარჩენო აუცილებლად.

– აუშენდა ოჯახი. დედოფალივით ქალია ანა ექიმი და იცის თავის საქმე საუკეთესოდ. ე, ბიჭო, გამოჩნდა კიდეც ნაგავსაყრელი. მივალთ ოცოდე წუთში. მზეც ამოკაშკაშდა და გაშრებიან წიგნები ნელ-ნელა. მართლა ბევრია, შვილო?

– უჰ, ვერ დაითვლი!

– ჰოდა, კი მოგათქმევინებს სულს, გეყოფა კარგახანს. ჩააბარებ ნელ-ნელა, ზოგს ბუკინისტებთან, ზოგს – ჯიხურში, იქნებ, თავადაც აირჩიო რომელიმე ადგილი და შენ თვითონ გაყიდო!

– რას ამბობ, ერთსაც ვერ გავიმეტებ. ხის შუშაბანდი რომ გვაქვს, მზიანი, დიდი, ყველას იქ დავაწყობ ლამაზად. წავიკითხავ მერე ნელ-ნელა და რომ გავიზრდები, დავუბრუნებ უკლებლივ პატრონს, გავახარებ ძალიან.

– რომელ პატრონს, ბიჭო, წიგნების ჯალათებს? გადამრევ ახლა შენ!

– ეეჰ, რომ იცოდე, რომ იცოდე, ბაბუ?!

– რა, ბაბუკო, რა რომ ვიცოდე?!

– ერთი ძვირფასი ოჯახისაა ეს წიგნები და...

– ძვირფასი ოჯახისო?! ძვირფასი კი არა, მკვლელები ყოფილან ყველანი, ვინც იმ ოჯახში ცხოვრობს. ჭკუიდან ნუ შემშალე ახლა, წიგნის მკვლელი კაცის მკვლელია, იცოდე შენ ეგ!

– იმ ოჯახმა, ორი წელია უკვე, სახლი გაყიდა. ულამაზესი გოგონა ჰყავთ, ნიაკო, გულის ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ მისთვის მოსკოვში. დედის დედა რუსი ჰყავს ნიაკოს, დედის მამა – ქართველი. ისინი მოსკოვში ცხოვრობენ და გამუდმებით ეხვეწებოდნენ საცხოვრებლად იქ გადასვლას. ოპერაციას რომ გაიკეთებს, სულ პროფესორის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოსო გოგონა. არ უნდოდათ საქართველოს დატოვება, მაგრამ რაღა გზა ჰქონდათ? გაყიდეს სახლი. ავეჯი და ბევრი სხვა რამე ახალ მეპატრონესთან დატოვეს. ცუდზე ცუდზე ცუდი კაცი აღმოჩნდა ის მეპატრონე, ვხედავთ ჩვენ ამას.

– უი, რა მითხარი, შვილო, ღმერთმა უშველოს ნიაკოს და მის ოჯახს, მაგრამ საიდან იცი ეგ ყველაფერი შენ?!

– მეექვსე კლასამდე ერთად ვსწავლობდით მე და ნიაკო, ერთ მერხზე ვისხედით...

– რას ამბობ, ბიჭო?!

– ჰო, დედაჩემი ნიაკოს დედასთან, ნადია დეიდასთან, მეგობრობდა. შინაც ხშირად ვსტუმრობდით. ძალიან ბევრი წიგნი ჰქონდათ. ერთად ვფურცლავდით, ვკითხულობდით, ფერად ნახატებს ვათვალიერებდით.

,,ჩემს მზე-გოგონას, ნიაკოს, დედიკოსაგან!“ – აწერდა ხოლმე ძალიან ლამაზად ნიაკოს დედა წიგნებს. რა დამავიწყებს იმ ლამაზ ასოებს. მეც მაქვს ნადია დეიდასაგან ნაჩუქარი წიგნები და გუშინ, იქ, ნაგავსაყრელზე...

ეჰ, გგონია, ვერ ვიცნობდი?

– წიგნში ვკითხულობ, თითქოს, ამ ამბავს. რანაირი სინამდვილეა ახლა ეს, ბიჭო? გადავირიე, ლამის, ამ ხნის კაცი!

– ნიაკო მეუბნებოდა ხოლმე, მოდი, წიგნების ჩურჩულს ვუსმინოთო; ბევრ კარგ წიგნს თუ წაიკითხავ, მზესთან მიახლოებას შეძლებო, მის სხივებს ჩაეხუტებიო, თუ მოინდომებ, მთვარეზე დადგები და ვარსკვლავებს, როგორც ლამაზ ყვავილებს, ისე ჩამოწყვეტო, მერე ღმერთი დედამიწაზე სითბო-სიყვარულს გამოგატანს და ავადმყოფ ადამიანებს უშველიო. სულ მზის და ყვავილების სუნი ასდიოდა ნიაკოს თმას, მის ლამაზ ნაწნავებს.

ერთხელ, გულზე ხელი დამადებინა. ოი, ვიგრძენი, როგორ თრთოდა მისი პაწაწინა გული, ავცახცახდი და ცრემლები წამომივიდა. ნიაკომ ლამაზი ცხვირსახოცით მომწმინდა და შუბლზე მაკოცა... ეჰ, არც კი ვიცი, როგორაა ახლა. რაც დედა ავად გახდა, მათ შესახებ აღარაფერი გაგვიგია! ჰო, კიდევ, ღაწვზე ულამაზესი ხალი აქვს ნიაკოს.

რას მერჩი, ბიჭო? ნუ ამატირე ამ ხნის კაცი!

– რაღაცას კიდევ გეტყვი, ოღონდ არავის უთხრა, გთხოვ!

– რას ამბობ, ბაბუკო, სამარე ვარ. რა უნდა მითხრა, აბა, კიდევ?

– ორი წლის წინ, დაბადების დღეზე, დიდ, ნახატებიან წიგნთან ერთად, ლამაზი იები ვაჩუქე ნიაკოს. ყვავილები რომ დაჭკნა, კი არ გადაყარა, სათითაოდ, ფაქიზად ჩააწყო იმ წიგნის ფურცლებში. ასე კარგად შეინახებაო. შენს სახსოვრად სიკვდილამდე მექნებაო. ჰოდა, იმ წიგნს ვეძებდი ნაგავსაყრელზე გუშინ, გამალებით.

– მერე, მერე, ბაბუკო, მიაგენი?!

– ვერსად ვნახე. ვერ გაიმეტა აქ დასატოვებლად, ალბათ, წაიღო, უთუოდ, მოსკოვში!

– წაიღებდა, აბა, შენს ნაჩუქარ წიგნს როგორ დატოვებდა?!

– კიდევ... ამ დილით ლექსი დავუწერე!

– ლექსი? წამიკითხე, აბა, ერთი!

– კარგი, არ დამცინო ოღონდ:

ვ ა რ დ ი ს ფ ე რ ა დ ი ზმანება ხარ,
ნიაკო-ნია,
მომნატრებიხარ, რა ვქნა უშენოდ,
მიჭირს ძალიან!
მზემ გისაჩუქრა ფარვანას გული
ღაწვზე ხალიანს,
უნდა გამოვყვე შენსკენ სავალ გზას,
ნიავ-ქარიანს!

– როგორ წამოწითლდი, ბაბუკო, ნამეტანი გყვარებია ის მზე-გოგო და ნიაკოსაც ძალიან ყვარებიხარ, ჩემო ღუჩუნია ბიჭო!..

ირმა კეკელიძე

მართა

მაყვალა გონაშვილს

ორმოცი წლის შემდეგ, მეგობართან ერთად, ისევ იმ შარაგზაზე მიაბიჯებდა დინჯად, სადაც ბავშვობაში და შემდეგ უკვე ყმაწვილქალობაში უყვარდა სიარული. ზაფხული, კახეთი, სოფელი, შარაგზა... უყურებდა ლამაზ მოაჯირიან სახლებს, კარგად მოვლილ, ყვავილებით მორთულ-მოკაზმულ, მწვანედ მობიბინე ეზოებს და მის თვალსა და გულს საოცარი სიმშვიდე ეუფლებოდა. ახალაშენებულ ლამაზი სახლის ღობესთან შეჩერდა. შემდეგ გვერდით მდგომ მეგობარ ქალს მიუბრუნდა და შეეკითხა:

– მაიკო, რა ლამაზი სახლი აუშენებიათ, ნეტავ ვისია? მიხარია, როცა სოფლად ახალაშენებულ სახლს ვხედავ ხოლმე.

გვერდით მდგომი მეგობარი ქალი უყურებდა ლამაზ, დიდ ეზოში, ახალაშენებულ თეთრი ფერის სამსართულიან ულამაზეს სახლს, ლამაზი მწვანე მოაჯირითა და სხვადასხვა ფერის კამელიებით მოხატულ ეზოს.

– არ ვიცი, ვერ ვიხსენებ. ნეტავი, აქ ადრე როგორი სახლი იდგა? – თავისთვის ჩაილაპარაკა ქალბატონმა მაიკომ და დაფიქრებული, შუბლშეკრული უყურებდა ულამაზეს ეზოკარსა და მასზე თეთრად ამობრწყინებულ სამეფო სახლს. უცებ რაღაც გაახსენდა და მეგობრისკენ მიბრუნდა.

– გამახსენდა, მაყვალა, გამახსენდა! აქ ხომ მართას პატარა ქვითკირის სახლი იდგა.

– რომელი მართასი, კარგად გამახსენე, ვერ ვიგონებ, – უპასუხა მაყვალამ.

– რომელი მართასი და პოეზიის საღამოზე რომ გამორჩათ და მერე თავის გიტარით ხელში მარტო რომ მღეროდა...

მაყვალას უცებ თვალები გაუფართოვდა, მეგობარს გაოცებულმა შეხედა და ხმის კანკალით უპასუხა:

– რას ამბობ, მართას ეზოში ამხელა სახლს ვინ ააშენებდა? ის ხომ მარტოხელა იყო. მგონი გეშლება.

– არაფერიც არ მეშლება. ღობეს შიგნით გააყოლე თვალი. ვერ იცანი მართას კამელიები?... ისევ ისე ჰყვავიან... კამელიები ჩვენს სოფელში მართას გარდა არავის არ ჰქონდა. ეს ხომ ის ძველი კამელიების ხეებია. ახალ ნარგავებს ნამდვილად არ ჰგავს. ეზოს ბოლოში კი მუხის ხე დგას, – სწრაფად უპასუხა მაიამ.

მაყვალა ჩუმად იდგა და გაჰყურებდა აყვავებულ კამელიებს, ულამაზეს თეთრ სახლს და ეზოს ბოლოში, სახლის მარცხენა მხარეს მდგარ დიდ მუხის ხეს...

***

მეორე კურსის სტუდენტებმა ბოლო გამოცდა ჩააბარეს და გახარებულებმა, სულმოუთქმელად ჩამოირბინეს უნივერსიტეტის კიბეები... ივნისის მზიანი დღე იდგა. ხელს აღარაფერი უშლიდათ, სადაც უნდოდათ იქ წავიდოდნენ და რაც უნდოდათ იმას გააკეთებდნენ. კურსიდან კურსზე გადასასვლელი გამოცდები ჩააბარეს, ბედნიერი დღეები დაიწყო...

– ერთი-ორი დღე დავისვენოთ და შემდეგ ზღვაზე წავიდეთ... კარგი იქნება, თუ ბათუმში ან ქობულეთში წავალთ, – ხალისით ლაპარაკობდა მაია და თეთრი ფერის ხელჩანთას მთელი ძალით აქნევდა.

– რა დროს ბათუმი და ქობულეთია, არ გახსოვს, რაზე შევთანხმდით?! – მოკლედ მიუგო მაყვალამ.

– რაზე შევთანხმდით?! ზაფხულია, გამოცდები ჩავაბარეთ და აღარ უნდა დავისვენოთ? – არ ჩერდებოდა მაია.

მაყვალა უნივერსიტეტის წინ ავტობუსების გაჩერებასთან შეჩერდა. მეგობარს ხელი ხელში ჩაავლო და საუბარი განაგრძო:

– მომისმინე, მაია, ხომ შევთანხმდით, რომ სოფელში წავალთ, ჩვენს სოფელში, არბოშიკში და პოეზიის საღამოს მოვაწყობთ.

– ჰო, მართალი ხარ, შევთანხმდით, მაგრამ დავისვენოთ და ზღვიდან რომ დავბრუნდებით, კახეთში მერე წავიდეთ. კახეთი და პოეზია სად გაგვექცევა? ჩვენი მელექსე-მოშაირეები ნეტავ, სად წავლენ? – თავისას აგრძელებდა მაია.

– არა, ასე არ გამოვა. მე უკვე ჩემს ძმას, ნიკოს შევუთანხმდი, რომელმაც საქმეები გადადო და ჩვენ უნდა მოგვემსახუროს თავის მანქანით. არა მხოლოდ ჩვენი სოფელი, სხვა ახლო-მახლო სოფლებიც უნდა შემოგვატაროს. პოეზიის მოყვარულები და სახალხო მთქმელები უნდა მოვიძიოთ და კარგი საღამო მოვაწყოთ! – საქმიანად უხსნიდა მაყვალა.

– პოეზიის საღამო1... უნივერსიტეტში არ კმარა?! ცოტა დავისვენოთ და მერე ვირბინოთ სოფელ-სოფელ, რა გვეჩქარება?! – თავისას არ იშლიდა მაია.

– მე გადაწყვეტილება მივიღე!... შენ როგორც გენებოს!... შეგიძლია წახვიდე ზღვაზე და დაისვენო!... მარტო ვივლი ნიკოსთან ერთად და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ თავი არ შევირცხვინო, განსაკუთრებით შენთან. ზღვიდან რომ დაბრუნდები, მოსაწვევს გამოგიგზავნი და პირდაპირ მობრძანდი პოეზიის საღამოზე! – მკვახედ, გაბრაზებული ხმით მიახალა მაყვალამ.

– სად უნდა დავესწრო პოეზიის საღამოს? არბოშიკის კულტურის სახლში? – ღიმილით ჩაეკითხა მაია.

– არა, პარიზში! – მოკლედ უპასუხა მეგობარმა.

– ჰო, კარგი, კარგი!... ისე იყოს, როგორც შენ გინდა!... უშენოდ ზღვაზე რა მინდა?! მაგრამ პირობა მომეცი, როგორც კი მაგ საქმეს მოვრჩებით, მეორე დღესვე წავალთ ზღვაზე, – თავისას არ იშლიდა მაია.

– წავალთ!... აუცილებლად წავალთ!... – მაყვალას ლაპარაკი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ავტობუსიც მოვიდა... გოგონები სწრაფად ავიდნენ ავტობუსში, სამგზავრო ბილეთები აიღეს, თავისუფალ სავარძლებში მოკალათდნენ და ერთმანეთს გაღიმებული, ბედნიერი სახით გადახედეს...

***

ერთი კვირის განმავლობაში რამოდენიმე სოფელი შემოირბინეს. არბოშიკშიც მოძებნეს რამოდენიმე ხალხური პოეზიის მოყვარული. ერთ დღესაც, ნაშუადღევს, სადილის შემდეგ, მაყვალას მამა-პაპისეული სახლის ეზოში, ცაცხვის ხის ძირში ჩამომსხდარიყვნენ მეგობრები, მხიარულად ბაასობდნენ და კისკისებდნენ... როგორც იქნა კულტურის სახლის ხელმძღვანელობასთანაც შეათანხმეს პოეზიის საღამოს ჩატარების ორგანიზაცია და დღეც დათქვეს დიდი სახალხო ზეიმისთვის... გოგონები საუბარსა და სიცილ-კისკისში ისე

გაერთნენ, რომ ვერც კი შეამჩნიეს ჭიშკართან მდგარი ხანშიშესული ქალბატონი, რომელიც უხმოდ იდგა და მორიდებული მზერით შორიდან შეჰყურებდა მათ... სახლიდან ეზოში გამოსულმა მაყვალას დედამ, სანდომიანი სახის ქალბატონმა იზომ, მყისვე შენიშნა ჭიშკართან მდგარი მანდილოსანი და ჩქარი ნაბიჯით გაემართა მისკენ. ახლოს რომ მივიდა, მეზობელს გულთბილად მიეგება:

– მობრძანდით, ქალბატონო მართა, მობრძანდით. რა უხმოდ დგახართ, შემოდით ეზოში.

გოგონები სწრაფად წამოდგნენ და მოხუცს სკამი შესთავაზეს. მოხუცი ჩამოჯდა. შემდეგ ახალგაზრდებს შეხედა და მორიდებით მიმართა:

– ბოდიშს მოგიხდით, შვილებო, მე მგონი უდროო დროს შეგაწუხეთ.

– არა, რას ბრძანებთ, არანაირად არ ვწუხდებით, – მიაგება მაყვალამ.

– იზო, შენი გოგო რომელია, მაპატიე, მოვხუცდი და ვეღარა ვცნობ, – კვლავ მორიდებით იკითხა მოხუცმა.

– მე ვარ, ქალბატონო მართა, – კვლავ მიაგება მაყვალამ.

– გამახსენე, შვილო, რა გქვია, ამ ბოლო დროს სულ მავიწყდება ყველაფერი.

– მაყვალა, მაყვალა მქვია!

– ჰო, გამახსენდა. მართლაც რომ შეგეფერება ეგ სახელი. შენს ლამაზ პირ-სახეს, სწორედ რომ მაყვალივით თვალები გიმშვენებს, – მიუალერსა მოხუცმა.

მაყვალამ ღიმილით შეხედა მართას და ფრთხილად ხელზე მოეფერა. მოხუცმა კვლავ განაგრძო საუბარი:

– შვილო, მაყვალა! მთელი სოფელი ლაპარაკობს, რომ შაბათ საღამოს სოფლის კულტურის სახლში დიდ ზეიმს აწყობ. აქაურმა მაცხოვრებლებმა თავიანთი ლექსები უნდა წაიკითხონ. ზოგმა იმღეროს და ზოგმაც კიდევ იცეკვოს.

მაყვალას სახე გაუბრწყინდა. შემდეგ მაიას გადახედა და ისევ მოხუცს მიუბრუნდა:

– მართალია, მართა ბებო, ვისაც რა შეუძლია, ის უნდა გააკეთოს. ზოგი თავის დაწერილ ლექსს წაიკითხავს, ზოგიც იმღერებს...

– ჰოდა, შვილო, მეც მაგ საქმეზე გეახელით. მართალია, ხშირად აღარ ვმღერი, მაგრამ ახალგაზრდობაში გიტარასაც ვუკრავდი და სოფლის პირობაზე კარგადაც ვმღეროდი, – გააგრძელა მოხუცმა ლაპარაკი და თან მაყვალას მიშტერებოდა მაყვალივით შავ თვალებში.

– რა ხდება, მართა, დავიჯერო სცენაზე მოგინდა ახლა შენ შენი გიტარით სიმღერა? – ჩაეკითხა ქალბატონი იზო.

– ბებო, მართლა სცენაზე გინდათ იმღეროთ? – ვეღარ შეიკავა თავი მაიამ და მოხუცის პასუხს არც დაელოდა, სიცილი წასკდა.

დაბნეული მოხუცი ხან იზოს უყურებდა, ხანაც გაცინებულ მაიას. შემდეგ გაუხეშებულ, მომჭკნარ ხელებზე დაიხედა და აღარ იცოდა, რა ეთქვა. მაყვალამ არც აცია და არც აცხელა, ისე დაუყვავა და უთხრა:

– სიამოვნებით, ქალბატონო მართა, თუკი თქვენ სურვილი გაქვთ იმღეროთ, იმღერეთ!... ჩვენ ძალიან გაგვიხარდება!

მართამ ბედნიერი სახით მაყვალას შეხედა და გახარებულმა უთხრა:

– მაშ, მამღერებთ, შვილო?! უარს არ იქნებით?!

– არა, მართა ბებო, რა უარს... პირიქით, სიხარულით გელოდებით! მონაწილეთა სიაშიც შეგიყვანთ. აბა, თქვენ იცით! – კვლავ გაუმეორა მაყვალამ.

გახარებული მართა სკამიდან თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სისწრაფით წამოდგა. იქ მყოფთ გახარებული გამოემშვიდობა, ჭიშკრისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა და იქაურობა სწრაფად დატოვა.

იზო გაღიმებული გაჰყურებდა მოხუცს, შემდეგ გოგოებს მიუბრუნდა და უთხრა:

– მადლი ჰქენით, საწყალ ქალს გული გაუხალისეთ. ისეთი ლამაზი გოგო იყო. მე ბევრად უმცროსი ვარ, მაგრამ მაინც კარგად მახსოვს. ისეთ კარგ ბიჭებს უნდოდათ მისი შერთვა, მაგრამ არ გათხოვდა. ორი ობოლი ძმისშვილი გაზარდა. არაფერს აკლებდა. თავისი თავი არასოდეს ახსოვდა. იმათი ცხოვრებით ცხოვრობდა. ისინიც ნიჭიერები გამოდგნენ. ორთავე თბილისში ცხოვრობს და მშვენიერი და კარგი ცხოვრება მოიწყვეს... ეს საცოდავი სულ მათ გზას გაჰყურებს, იქნებადა გამოჩნდნენო. წელიწადში ერთხელ თუ ჩამოვლენ, ისიც სააღდგომოდ მშობლების საფლავზე გასასვლელად, თორემ ამ საცოდავი მართასთვის ვისა სცალია?! ან ამაზე ვინ ფიქრობს?! არის ასე მარტო, მეზობლების ამარა.

იზომ ხელი ჩაიქნია და თავის ქნევით შინ შევიდა. გოგოები უხმოდ გარინდული ისხდნენ და თავისდაუნებურად დახურულ ჭიშკარს მიშტერებოდნენ.

***

ზაფხული იყო, მაგრამ საკმაოდ ღრუბლიანი და მოღუშული გახლდათ კახეთის ულამაზესი სოფლის, არბოშიკის ცა. მიუხედავად ამისა, ჟრიამულით, ხმაურით, შეძახილებით, ხალისითა და სიხარულით გაივსო სოფლის კულტურის სახლის ძველი დარბაზი. სოფელი ზეიმობდა. პოეზიის საღამოზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ჭარმაგი თუ ახალგაზრდა... ქალი თუ მამაკაცი... ლექსის მთქმელებს – მომღერლები... მომღერლებს – მოცეკვავეები. ერთი სიტყვით მხიარული და საამო შაბათი გაუთენდა შუაგული კახეთის კოპწია სოფელს... საღამო სოფლის საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს, გულნარას მიჰყავდა. ორმოცდათხუთმეტ წელს მიღწეული ქალბატონი, ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი იყო. ყელიც ლამაზად და ამაყად მოეღერა და ისე აცნობდა ყოველ გამომსვლელს იქ დამსწრე საზოგადოებას... მართა, რომელიც სულმოუთქმელად ელოდებოდა ამ დღეს, საგანგებოდ გამოწყობილიყო. თავისი ყმაწვილქალობის დროინდელი მუქი წითელი ფერის ატლასის კაბა ჩაეცვა, რომელიც სამი ზომით დიდი მაინც ექნებოდა, თუ მეტით არა. ფეხებზეც მისი ახალგაზრდობის დროინდელი, სათუთად და საგანგებოდ შენახული შავი ლაკის „ბასანოჩკები“ წამოეცვა, რომლითაც ძლივს მიბაკუნდა დარბაზამდე და, რაც მთავარია, ჭაღარა თმა საგანგებოდ დაეწნა და ნაწნავის ბოლოზე ლამაზი წითელი ფერის ბაფთა დაემაგრებინა... იჯდა თავისთვის მართა დარბაზის ბოლოში თავის ძველ გიტარასთან ერთად და სულმოუთქმელად ელოდებოდა, როდის მოუხმობდნენ სცენაზე...

საღამო დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც დარბაზის წინა რიგში მსხდომი მაყვალა და მაია კულტურის სახლის დირექტორის, ნოშრევანის თხოვნით ცოტა ხნით გარეთ გავიდნენ... ნოშრევანმა გოგონებს ყელგამოწევით სთხოვა:

– საღამოს დამთავრების შემდეგ, ძალიან გთხოვთ, არსად წახვიდეთ! რაიონის ცენტრში, რესტორანში ცოტაოდენი პატივი გვინდა გცეთ...

გოგონები შეიშმუშნენ. მაიამ სწრაფად უპასუხა:

– ჩვენ სტუდენტები ვართ. უბრალოდ ქართულ პოეზიას და ფოლკლორს დიდ პატივს ვცემთ, ძალიან გვიყვარს.

– ჩვენი მომავლისათვის აუცილებელია და თანაც ჩვენ თვითონაც ლექსებს ვწერთ. დამწყები პოეტები ვართ, – მიეშველა მაყვალა.

– გასაგებია, ჩემო კარგებო, მაგრამ ჩვენც მოგვეცით ნება, რომ ეგ თქვენი თავგამოდება და მონდომება დავაფასოთ, – არ ეშვებოდა ნოშრევანი.

ნოშრევანს რამოდენიმე სოფლის პედაგოგი ქალბატონიც შემოუერთდა და ბოლოს ყველამ ერთად შეძლეს გოგონების დაყოლიება...

გოგონები დარბაზში როდესაც დაბრუნდნენ, საღამო დაემთავრებინათ. მაყურებლები წამოშლილიყვნენ და დარბაზს სტოვებდნენ. როდესაც დარბაზი დაცარიელდა და მაიაც საღამოს წამყვანთან ერთად საუბარში გართული გარეთ გავიდა და ის იყო მარტოდ დარჩენილი მაყვალაც ტოვებდა იქაურობას, უცებ სცენიდან გიტარისა და ხმადაბალი სიმღერის ხმა შემოესმა. გოგონა სცენისკენ მიტრიალდა და გაშრა, გაფითრდა, ცივმა ოფლმა დაასხა. სცენაზე წითელკაბიან და ბაფთიან მოხუც ქალბატონ მართას ხის მოკლე სკამი დაედგა, ზედ საცოდავად ჩამომჯდარიყო და ძველი გიტარით ხელში თავისთვის მღეროდა:

კამელია, კამელია,
სიყვარული გამელია,
ამდენ ტანჯვას და წამებას,
საწამლავი დამელია.

გაოგნებული გოგო უყურებდა მართას და ყელში ბურთი მოებჯინა. თავი მაინც ვერ შეიკავა. მაყვლისფერი თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა. შემდეგ თავს ძალა დაატანა და სცენაზე ავიდა. მოხუცს მიუახლოვდა, იქვე ჩაიცუცქა და სახეში შეხედა... მართამ სიმღერა შეწყვიტა, გოგოს შეხედა და ნაღვლიანი ხმით თავისთვის ჩაილაპარაკა: „მართა, მართა, ეს რა დაგემართა“. შემდეგ მაყვალას ჩუმად, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

– ვიცადე, ვიცადე, მაგრამ არ გამომაცხადეს.

მაყვალა ქალს მოეხვია და თვითონაც ჩურჩულით უპასუხა:

– ნამდვილად იყავით სიაში, ჩემი ხომ გჯერათ!

მართამ ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა:

შენი მჯერა, მაგრამ გულნარამ არ გამომაცხადა.

ნირწამხდარმა გოგომ კვლავ სცადა მოხუცის დამშვიდება:

– შემთხვევით გამორჩით, ალბათ, თორემ როგორ არ გამოგაცხადებდათ?!

გოგომ მოხუცს ხელი მოხვია და გარეთ გამოიყვანა. სოფლის მოსახლეობა ჯერ ისევ იქვე, ეზოში იყო, როდესაც მაყვალამ ხმამაღლა, ყველას გასაგონად დაიწყო ლაპარაკი:

– თუ შეიძლება, ყურადღება მოგვაქციეთ, მართას მოვუსმინოთ ყველამ. ის ჩვენთვის მღერის, გულით მღერის და გულით ვუსმინოთ.

ყველანი მოტრიალდნენ და დიდი წრე შემოარტყეს წითელკაბიან მართას. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, გეგონებოდათ რაღაც სასწაული უნდა მომხდარიყო იქ მყოფთათვის. ამასობაში წვიმის წვეთებმა დაიწყო წკაპა-წკუპი. მართამ მაყვალას შეხედა და ჩუმად ჰკითხა:

– რა ვიმღერო, ისევ კამელია?

მაყვალამ ღიმილით უპასუხა:

– არა, კამელია არა, სხვა რამე იმღერეთ.

მართამ თავი მაღლა ასწია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– კარგი, მაშინ „მაგნოლიას“ ვიმღერებ. კამელიას მაგნოლია მირჩევნია.

მაყვალამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მართამაც გიტარას ხელი ჩამოუსვა და ხმის კანკალით დაიწყო:

ვით ფოთოლი შენი, მზეზე მოციმციმე
ქარებს აყოლია

და წასულა შენგან, გაფრენილა შენგან,
მიწას დაჰკონვია,
ისე გული ჩემი სხვათა, სხვათა, სხვათა
უტყვი გამგონეა,
არ ვახსოვარ, ალბათ, არ ვახსოვარ, ალბათ,
ჩემო მაგნოლია...

წვიმამ იმატა. მართას ხმას წვიმის წვეთების ხმაც შეუერთდა და წვიმის ხმასთან შეზავებული და შეხმატკბილებული მისი სიმღერა: „როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა შენთან, ჩემო მაგნოლია“, ისე ისმოდა, როგორც მძინარე, ჩვილი ბავშვის სუნთქვა ისმის ჩაძინებისას...

***

– ეგ ლამაზი თეთრი სახლი მართას ძმის შვილიშვილმა ააშენა. თვითონ ამერიკაში ცხოვრობს ოჯახით. წელიწადში ერთხელაც არ ჩამოდიან... მართა, სანამ ცოცხალი იყო, საცოდავად ქვითკირის სახლში აცხოვრეს. როგორც კი გარდაიცვალა, არიქა და სასწრაფოდ სასახლე წამოჭიმეს, ვითომდა მამითადი არ დავკარგოთო. ნეტავ კი რად უნდათ? სახლის მომვლელი ჰყავთ აყვანილი, კარგადაც უხდიან, – ეუბნებოდა ხანში შესული დედა, ქალბატონი იზო მაყვალას...

ორი მეგობარი ქალბატონი, მაყვალა და მაია კი სადილად გაშლილ სუფრას მისხდომოდნენ... მაყვალა გონებაში მისდაუნებურად იმეორებდა: „კამელია, კამელია, სიყვარული გამელია...“ ისადილა თუ არა, ადგა და გარეთ, ეზოში გავიდა. ხარბად გადახედა იქაურობას. ხვალ ისევ თბილისში უნდა დაბრუნდეს... ისევ ოჯახი, ისევ სამსახური, ისევ ყველაფერი თავიდან... იდგა და გაჰყურებდა კახეთის შუა გულში, მის მამითადში, ლამაზ ეზოში, ლამაზად გაშლილ ვარდისფერ ვარდებს. ირგვლივაც რა კარგი სურნელი ტრიალებდა... ბალახზე თეთრი ზეწარივით მოფენილ გვირილებს კი ფუტკრების მთელი გუნდი შესეოდა და ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში მხოლოდ მათი ბზუილიღა ისმოდა...

ქრისტინე ხერგიანი

ბოლოს სამი ხე დავრგე. დასაწყისში ყველა აყვავდა. მერე იმდენი წვიმა იყო და იმდენი უამინდობის ნაპრალი, რომ ხეებს კი არა, მეც კი მეგონა ვეღარასდროს ვეღარ გავიხარებდი.

რომ მოვრჩი მათ მიწაში ჩამარხვას გამიხარდა, სასიკეთოა, რომ მიწას მხოლოდ ბოლო გზაზე კი არ ვაყრით ამქვეყნად არსებულ საგნებსა თუ სხეულებს, არამედ, ხოლმე სიცოცხლის დასაწყებადაც. გამიხარდა, კაცის სიცოცხლის დაწყებისთვის ხელი არასოდეს შემიწყვია, ალბათ ვერც ვერასოდეს შევუწყობ, მაგრამ ჩემს კისერზე უამრავი ხის არსებობა იქნება. ამით თუ ცოტა მაინც დავეხმარე ვინმეს, მე სიხარული მიტანს და მასში გახვეული სიცოცხლის არსებობის ჟინსაც დავეწაფები, თორემ ხოლმე ისე იცის ცხოვრებამ გართულება, მგონია ვინც მოვა მალევე წავა ქვეყნიდან და მავანნიც იტყვიან ნეტავი აქ არ გავჩენილიყავიო.

ქარში ხეებს ტოტები რომ არ დასტყდეთ ჯოხებს ვუმაგრებ და ზედ ლენტებით ვუკრავ, იქნებ გადავარჩინო-მეთქი. ხეების გადარჩენა შენგან მხოლოდ მცირე ოფლის დაღვრას მოითხოვს, რამდენიმე წინ და უკან გადადგმულ ნაბიჯს. ადამიანის სიცოცხლე კი სანაცვლოდ ლამის შენს სიცოცხლეს ითხოვს. რაც მეტ სიჩუმეს შობს შენი ქმედება, მით უკეთესი!

ვისაც არ უნდა ელაპარაკო, რა სულერთია, მაინც ვერ გაიგებს ვერავინ რას ლაპარაკობ და ამიტომაც, ლენტების დამაგრებისას ზედ სიტყვებს ვაწერ, იმ სათქმელს, რომელსაც ვერასოდეს ვერავინ ვერ გაიგებს, ყველა არსებული გზით რომ სცადო მისი ახსნა და გარკვევა.

მწვანე ლაბადაში გახვეულ ხეებს რომ ვხედავ სიხარული ცამდე იწევა, ხოლმე სევდა, ხოლმე მელანქოლია. ერთი ადგილია, სადაც ხეები მე არ დამირგავს. არც ჩემს წინაპრებს. არც არავის. ასე არიან, თავისით ამოვიდნენ და დგანან ჯერ კიდევ მყარად. რომ ვუყურებ ვფიქრობ, ნეტავ რამდენ წელს იცოცხლებს ეს ხე, ნეტავ კიდევ დიდ ხანს იცოცხლოს, ნეტავ კიდევ დიდხანს გაძლოს. ხოლმე ადამიანისთვის სათქმელ სიტყვებს უსულოებს ვეუბნებით. ხოლმე საერთოდ სიჩუმეს ვამჯობინებთ.

საპყრობილეებში რომ ხალხთან ერთად გამომწყვდეული სიტყვები არიან, ხოლმე იმათ სათქმელ სივრცეზე გეფიქრება, თუ დაიტევს ნეტავ მათ დედამიწა.

ხეები იმდენი დავრგე, ლამის მიწა შემომელია. იმდენი მიწა ვატრიალე. სახლის მოშორებით ყველას სახელი აქვს, ყველა ხეს. მერე, დიდი ხნის მერე რომ დავბრუნდები მათი სახელები არ მექნება დავიწყებული. მოგონებები თავად გამოკაფავს მათ სახელებს მეხსიერებაში და მერე შეგრძნებებიც ხოტბას შეასხამენ ამ სცენას.

ხეების დარგვა მიყვარს. ცამდე რომ აიწიონ ჩემმა დარგულმა ხეებმა, მათ უმაღლეს წვერამდე ავძვრებოდი და გადმოვხედავდი ყველა ხეს, რომელიც ჩემთან ერთად იზრდებოდა და მერე რომ გაიზარდნენ, ჩემსავით არ დაიკარგნენ. ისევ იქ დგანან, მყარად, მოხუცებულად, მაგრამ ძლიერად. ნეტავ ადამიანს თუ ჰყოფნის ამდენის ძალა?

სასიხარულოა, რომ მიწას მხოლოდ სიცოცხლის დასასრულს არ ვაყრით, არამედ, მიწის დაყრით ვიწყებთ ახალსაც. სულ რომ საზღვრებს გასცდნენ ხეები, მაინც ხომ ჩემი დარგულები იქნებიან? რასაკვირველია. ამიტომაც ნებას ვაძლევ ქარის დროს ტოტებზე და ლენტებზე შემოხვეული სიტყვები წაიღონ ყველგან, სადაც კი წავლენ. მე მაინც ერთი სისხლით გაჟღენთილი გულით დამაქვს. იმათ გაუხეშებული ქერქით ატარონ. შემოიარონ მიწიდან ცამდე აწეული საზღვრები, ზოგი რამ გულმკერდს მაინც ვერ გასცდა.

ბოლოს სამი ხე დავრგე. დასაწყისში ყველა აყვავდა. მერე თითქოს მოიკოჭლეს. ასე ვთქვი; ხეებო თქვენ თუ რამე მოგივათ, მე ჩემ დაუგეგმავ სიტყვებს სხვას როგორ მივაწერ-მეთქი. და ხეებმაც შეისმინეს.

ბოლოს სამი ხე რომ დავრგე, დასაწყისში ყველა აყვავდა, მერეც ყველა აყვავდა და ისე მეგონა, დასასრულში ჩემი ლენტზე მიწერილი სიტყვები ხარობდნენ-მეთქი. უთქმელად ამდენი უქნიათ, მე კი არ მჯეროდა ხმამაღლა თუ რამეს შეძლებდნენ.

ბოლოს სამი ხე დავრგე. სამივე აყვავდა. იმდენი სიტყვა დავაყოლე მათ, რომ არ გაეხარათ ჩემი სიტყვებიც დამიჭკნებოდნენ სახლში.

***

ჩვენ ვამბობთ ისეთი მეგობრები გვყავს, რომ ვიცით არასოდეს არ მიგვატოვებენ.
მერე თენდება დილა და ეძებ სურნელს, რომელიც გინდა
შენს გუშინდელ პიჯაკს ასდიოდეს ნოსტალგიისთვის.
მერე ღამდება და ეძებ წერილებს
სადაც თავს არ შეგახსენებენ, არამედ არ დაგივიწყებენ
და გაგაღიმებენ.
მერე იძინებ
სიზმრის ალცეცხლში გახვეული რომ ხარ იქაც ფიქრობ
ამას დავიმახსოვრებ ისე ხვალვე რომ მოვყვე.
იღვიძებ და დილით უცაბედად მონდომებულ ყავას სვამ
მეორე ჭიქასაც დგამ მაგიდის კიდეზე
და მერე ის თავისით ვარდება.
ვერ ხვდები შენ მიიყვანე აქამდე ეს ყოველივე თუ თავისით მივიდა.
ჩვენ ვამბობთ ისეთი მეგობრები გვყავს, რომ ვიცით არასოდეს არ მიგვატოვებენ.
მერე თენდება და შენ ის მეგობრები აღარ გყავს ვინც გიყვარდა, ვისაც უყვარდი.
მერე რა რჩება:
მიდიხარ და სამზარეულოს იატაკიდან დამტვრეული ჭიქის ნატეხებს აგროვებ.

ბელა მოდებაძე

ფიქრიდან – ფიქრამდე...

წამიერია ცხოვრება... წუთია – წუთისოფელიო, იტყოდნენ ძველად და მართალიცაა... არ იცის არავინ, დღეს სად დაუღამდება და ხვალ კი სად გაუთენდება. ზოგჯერ არც ის გინდა, რომ ფიქრობდე ერთს და აკეთებდე მეორეს, მაგრამ ასეც ხდება თურმე... ზოგჯერ სიცოცხლე მომბეზრებია და სიკვდილი მინატრია, მაგრამ სიკვდილისაც შემშინებია კონკრეტულ მომენტში და მაინც....ნეტავ სად არის ზღვარი სიკვდილ-სიცოცხლეს შორის?... ან არსებობს კი, სინათლე გვირაბის ბოლოს...რაც მეტად ვუღრმავდები ამ ყოველდღიურად მოვარდნილ ფიქრებს, მით მეტი კითხვები მიჩნდება...კითხვები ცხოვრებასთან, სამყაროსთან, საკუთარ თავთან.

რთულია ცხოვრობდე და ბრძოლა გიწევდეს, მხოლოდ არსებობისათვის. ხალხისაგან ხშირად მესმის, რომ ბრძოლაში მხოლოდ ძლიერები იმარჯვებენო... ასეთი მიდგომა ხალხში მითივით ვრცელდება, როგორც სენი...სენი კი , როგორც ვიცით გადამდებია...ეს ვითომ მითებიც, რაღაც ჯუნგლის კანონებს გავს, სადაც მხეცი, რომელიც ყველაზე ძლიერია, თანდათან უფრო მეტად ძლიერდება...მას ბუნების წესები და კანონები არაფერში აინტერესებს და არ ჭირდება...მან მხოლოდ ერთი რამ იცის და იმისთვის იბრძვის, რომ ნებისმიერ ფასად გადარჩეს...ამიტომ ვინც გზაზე გადაეყრება, ადამიანი იქნება თუ მასავით ცხოველი, ერთნაირად უსწორდება, კლავს, ანადგურებს და მის ლეშს დიდი სიამოვნებით მიირთმევს... მართალია, ადამიანი მხეცი ვერასოდეს გახდება, მაგრამ მაშინ რატომ უნდა უნდოდეთ მხეცური ცხოვრებით ცხოვრება....რატომ უნდა მოუნდეს, რომ მასზე სუსტ ადამიანს, აბუჩად იგდებდეს, ძალადობდეს, კლავდეს წამებით... ანადგურებდეს ადამიანს, რომელსაც გული სიკეთით და სიყვარულით აქვს სავსე...რატომ უნდა იჩაგრებოდეს სიღარიბის გამო...და კიდევ იმის გამო, რომ მას არ შეუძლია გაველურებული და თავზეხელაღებული ცხოვრება...პატიოსანი ცხოვრებით კი თავს ვერ იმკვიდრებს საზოგადოებაში.

ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში, XXI საუკუნეში, სადაც ყველასათვის ყველაფერი ხელმისაწვდომი უნდა იყოს, აზროვნებისა და თვითშეგნების განვითარების დონე, უმაღლეს ხარისხში უნდა იყოს აყვანილი, სუსტი ადამიანისთვის, ღარიბისთვის, ჩაგრულთათვის, რატომ არაფერია ხელმისაწვდომი...რატომ გვეხოცება ჩვენს ირგვლივ ამდენი ადამიანი?!...ჩვენი პატარები რატომ უნდა შიმშილობდნენ და ახალგაზრდა თაობას, რატომ უნდა ქონდეს სუიციდის მცდელობა და მისკენ მიდრეკილება ყოველდღიურად?!... ამის დაწერაც ყოველდღიური ამბების ტელევიზიით თუ სოციალური საშუალებებით გადმოცემამ მაიძულა...იქ ბავშვმა შიმშილს ვერ გაუძლო და თავი მოიკლა, იქვე პატარა ლამაზთვალება გოგონა ამბობს, რომ შია და მას ხორცის გემო არასოდეს გაუსინჯავს... ცოლს ქმარმა შვილების თვალწინ ყელი გამოჭრა... აქეთ არასრულწლოვან ბავშვებზე იძალადეს, სადღაც 14 წლის ბავშვს გათხოვება აიძულეს მისი ნების წინააღმდეგ, შემდეგ

კი სადისტურად მოკლა ქმარმა და უცებ ყველა მოთქვამს,ყველას ეცოდება...მაგრამ მათთვის საშველი სადაა?!.. ამ ყველაფერს ზედ დამატებული მსოფლიოს ამბები, სადაც ანალოგიური სიტუაციებია...ომები, მიწისძვრები, ვულკანების ამოქმედება.... გვებრძვის ბუნება...გვსჯის უფალი... ვფიქრობ, ვფიქრობ და თან სული მეწურება...ზოგჯერ ბალახზე ფეხის დაბიჯება და სურნელოვანი ყვავილის მოწყვეტაც კი დამნანებია და ასეთ ამბებს გულგრილად,როგორ შეიძლება შეხედო ნორმალურმა ადამიანმა... შეხედო და შენი წვლილი არ შეიტანო, არ იზრუნო იმაზე,რომ შენს გვერდით მყოფი, თუნდაც ერთი ადამიანი გააბედნიერო...სიკეთე აკეთო და სიბოროტე სულიდან განდევნო...

უცნაურია სამყარო...ჩვენც ხომ ყველა ამ სამყაროს პატარ-პატარა ნაწილებად ვართ მოვლენილები ამ ქვეყნად. ყველას ჩვენი წილი ჯვარი გვადევს ზურგზე, რომლის ტარებაც რიგ შემთხვევაში მძიმე სატარებელია, ზოგჯერ კი ტარებაც კი შეუძლებელი...ამიტომ ვიცხოვროთ ღვთის რწმენით, სიკეთით, სიყვარულით...ნუ გავბოროტდებით დიდი ქონებით, ან უქონლობით...ცხოვრება დაუნდობელია, წლებიც ნახეთ როგორ სწრაფად მიქრის... იმდენად სწრაფად, რომ თვალის დახუჭვა-გახელასაც ვერ ასწრებ... ნურასოდეს დავივიწყებთ ერთ რამეს, რომ ბოლო მაინც ყველასათვის ერთია, მდიდარისთვის თუ ღარიბისათვის, სუსტისა თუ ძლიერისათვის...ბოლო მაინც ყველას ერთი გვაქვს და უკანასკნელ საჩუქარადაც, მხოლოდ ოთხი ფიცარი გვერგება საიქიომდე მისაცილებლად... აი, იქ კი მოგვიწევს დაფიქრება, როგორ გვიცხოვრია მთელი ცხოვრება, მაგრამ სამწუხაროდ დასაფიქრებელი დროც კი აღარ დაგვრჩება... ამიტომ სიცოცხლეში დავაფასოთ, სიცოცხლეში შევიყვაროთ, სიცოცხლეში ვაკეთოთ ძალიან ბევრი სიკეთე, რადგან მკვდარს აღარაფერი არც გვჭირდება და არც გვარგია ...

რომ იცოდეთ, რამდენი რამ მინდა ამოვთქვა და გაგიზიაროთ და უფრო მეტს კიდევ უთქმელს ვიტოვებ...

ერთი რამ კი დანამდვილებით მინდა სიცოცხლეშივე გითხრათ ყველას:

,,მე თქვენ ძალიან მიყვარხართ"....

ნანიკო ხარძიანი

ადრიანი გაზაფხულის ცივი და ნესტიანი დილა იდგა მთებით შემორაგულ ზამთრისაგან დაღლილ და შემცივნულ სოფელში, მთელი სოფელი დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველა გარეთ გამოსულიყო, ჩოჩქოლი და ხმაური იყო, ორად გაყოფილი საზოგადოება ერთმანეთის ხელების ქნევით და ხმამაღალი ყვირილით ცდილობდნენ მათი სიმართლის დამტკიცებას, სხვა სოფლებიდანაც ჰყავდათ მოწვეული ადამიანები , ვინც შორიდან აკვირდებოდნენ ამ სოფელში მომდინარე მოვლენებს. უხუცესი, ჭარმაგი მოხუცი სანდომიანი და დინჯი სიფხიზლით აკვირდებოდა თითოეულ მათგანს, თითოეულ სიტყვას აწონდაწონიდა გონებაში, თითქოს ფიქრს წაეღო, ერთი შეხედვით იფიქრებდა ადამიანი: არც ესმის და არც აინტერესებსო მაგრამ სამართლიანი და მთებივით ამაყი ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ესმოდა... გიორგის ხელის გულით ხმლის ვადა ეჭირა, თავდახრილი იდგა და ელოდა სამართალს, ისიც ფიქრობდა: ოცდაშვიდი წლის ვარ ჯერ არ მახსოვს და არც მსმენია ,,ბაბა ბექნუს" უსამართლოდ გადაეწყვიტა ვინმეს საქმე, ცამდე მართალს გულს უკლავდა იმ ადამიანების ბოროტებით გავრცელებული ტყუილი ასე რომ სტანჯავდა და აწამებდა მის სულს, ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე, სოფლის თვალისჩინი იყო, ვერასდროს იფიქრებდა რომ ისევ ის ხალხი დააყენებდა სასამართლოს წინაშე ვინც გამოზარდა, ვისგანაც ისწავლა სამშობლოს სიყვარული, უფროს უმცროსის პატივისცემა, მაგრამ თურმე ესეც არ უნდა გამკვირვებოდა, ფიქრობდა გიორგი, გული სტკიოდა, უდანაშაულოს, განა წრფელი სიყვარულისთვის უნდა ისჯებოდნენ ადამიანები?! ბრაზი და გაკვირვება ერთად უტევდა.

ამ სოფლის ძლიერი და მდიდარი მაცხოვრებელი იყო ამაყი და ამპარტავანი გეგი, ყველას ზევიდან უყურებდა, არაფრად აგდებდა სხვების აზრს, განსაკუთრებით გიორგი ჰყავდა ამოჩემებული, ცდილობდა ჩირქი მოეცხო მისი ადამიანობისათვის, ,,ჩემ წინ არ გავუშვებ, ყველაფერს ვიღონებ რომ სოფლიდან წავიდეს" ამის ფიქრში ათენებდა და აღამებდა გეგი.

უხუცესმა მკაცრი და დინჯი ხმით მოუწოდა სიჩუმისკენ თანასოფლელებს, შემდეგ რიგ-რიგობით გამოიყვანა რომ სათქმელი ეთქვათ, თვალებში უყურებდა, ისმენდა და აანალიზებდა ვინ როგორ ისაუბრებდა, ვის როგორი დამოკიდებულება ჰქონდა სიმართლესთან, ვინ იყო გეგის სიმდიდრის მხარეზე და ვის უყვარდა გულწრფელად გიორგი...

ყველამ თქვა სათქმელი, ჯერი გეგიზე მიდგა, უხუცესმა თვალებში გამჭოლი მზერით ჩახედა, ვერ გაუძლო გეგიმ ამ საუკუნეებივით ჭკვიან და ტკივილ გამოვლილ თვალებს, თავი დახარა, ჩუმად იდგა, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, საიდან რა დაეწყო არ იცოდა, არ იცოდა როგორ დაელაგა მოგონილი აზრი ისე რომ დამაჯერებელი ყოფილიყო და გიორგი გაეძევებინა სოფლიდან, იცოდა მარინე მას არასდროს აირჩევდა , იცოდა გიორგი უყვარდა, მაგრამ მაინც ცდილობდა ყველა ღონე ეხმარა მათი დაშორების,

გისმენთ გეგი! ყინულივით ცივი ხმა და ხმალივით ბასრი იყო უხუცესის ნათქვამი, გეგის გააჟრიალა, შეეშინდა, ,,თუ ვერ გავიმართლე თავი მე დავიღუპები", სიმწრის ოფლმა დაუნამა შუბლი, ათი წუთი ელოდებოდა ხმას როდის ამოიღებდა, უხუცესის თვალებიდან ნაპერწკლებმა ცის ელვასავით გამოანათეს, მრისხანე სახე საავდროდ გამზადებული ღრუბელივით შემოეკრა, ფეხზე წამოდგა ხალხს გადახედა და შეეკითხა: თქვენ როგორ ფიქრობთ! ამ კაცს მოსაყოლი აქვს რამე!? ჩუმად იყო სოფელი, ჩუმად იდგნენ ამაყი მთები, ჩუმად იდგა ტაძარი, დუმდა გიორგი, თავდახრილი, გულნატკენი, მაგრამ ამაყი, ამაყი თავისი მშობლიური მიწის ძუძუთი გაზრდილი რომ იყო, ამაყი იმით რომ ქართველობა არგუნა უფალმა, ამაყი იყო იმ ტრადიციებით სამართლიანად რომ წყვეტდა უსამართლობის ყველა ბრალდებას, უყვარდა ,,ბაბა ბექნუ" უყვარდა თოვლიანი მთები და გაზაფხულის სიყვარულით გადარეული მდინარეები, უყვარდა მიწის სურნელი, პირველი ნაზი ლორთქო ბალახის ამობიბინება მადლიან მიწის გულიდან და... და უყვარდა მარინე, ყველაზე ლამაზი და მშვენიერი მთელს დუნიაზე ... ვის გამოც სიცოცხლე უხაროდა.

უხუცესმა გეგის მხარზე ხელი დაადო და სიკვდილივით დაუნდობელი მშვიდი იდუმალი ხმით გააფრთხილა:

ამ ერთხელ გვიპატიებია ! მეორედ ეს შანსი აღარ გექნება!... სოფელი გონს მოეგო , დაფიქრდნენ თუ როგორ შეიძლება დანგრეულიყო გიორგის ცხოვრება, ჭკუას და სამართალს რომ არ გაემარჯვა ...რომ არ ყოფილიყო იმ დიდებული წინაპრების მიერ დაწესებული ზღვარი, სინდის-ნამუსისა და ნათქვამი სიტყვის ფასისა, რომ არავის ეპატიება ,,ერთი ადამიანისაგან მეორეს დაჩაგვრა".

თუმცა ეს ხომ საქართველოა! სადაც ყოველთვის იპოვის მთისა ბარის სალოცავ-ხატ-ჯვარი მეტნაკლებად უფალს.

დიდება საქართველოს

დიდება უფალს

ამინ

ლია მჭედლიძე

...ორი ათას რვა...

...ორი ათას რვა წლის ომი იყო მაშინ უკვე დაწყებული. ჩემი ორი ბიჭი და სიძე ჯარში მსახურობდნენ, ყველას შიში ისე გვქონდა ჩამდგარი გულში ძალიან.

რა თქმა უნდა წაიყვანდნენ კი ჩემს შვილებსაც ომში.იმ დროს ბათუმში იყო მათი სამსახური.

..დავურეკავდი შვილებს: გიას და ზაზას ტელეფონზე, ვეტყოდი, – სად ხართ ახლა-მეთქი? მე რომ არ მენერვიულა, ასე მეუბნებოდნენ, – კაზარმული გვაქვს ახლა გამოცხადებული, ჩაკეტილები ვართო.

– მაგრამ: მე ვხვდებოდი რაშიც იყო საქმე, რად მატყუებთ ხომ ვიცი, მანდეთკენ არ იქნებით მეთქი.

– მერე უკვე მითხრეს აქეთ ვართო, ზემო ნიქოზში. მეტი შიშით ძლიერი ნერვოზი დამემართა,ძალიან ცუდად ვიყავი,არ ვიცოდი რა მექნა.

ნიქოზი ჩემი სამშობლოა და გულში ორმაგად მქონდა სანერვიულო. ჩემი ხალხი: ყველანი შიშჩამდგარი გულებით იყვნენ, ფიქრის აზრიც არავის ქონდა რა თქმა უნდა.

– სახლში მარტო ვიყავი, დაფიქრებული. მტვრებს ვასუფთავებდი ხატებთან. ჩემი ბიჭის მოტანილი ხატი მქონდა მანამდე, ომამდე ნაჩუქარი, ლამაზი, კარიბჭის – ღვთისმშობლის, მითხრა:შენი იყოს,

დედა ეს ხატი შენ გქონდესო.ოდნავი– ნიავი არ იყო,არსად ოთახში რაღაც მოხდა:

– ხატი გადმოვარდა და ფეხებზე პირქვე დამეცა.მე გულმა მიგრძნო: ალბად მას – რაღაც დაემართა მეთქი,ამ დროს უკვე დაჭრილი ყოფილა.შიშით უცბად ისე – გავშტერდი, გული ამიკანკალდა, დავეცი მუხლებზე.თავისით წამოვიდა უეცრად ცრემლები,რაღაც რომ უჭირდა მივხვდი.

დავურეკე როგორ ხარ? სად ხართ ახლა მითხარი მეთქი:ვისვენებთ ცოტასო, ერთ უბანში ვართ მიმალული,ნუ გეშინია აქ არაფერი არ ხდებაო.ტელეფონიდან ცოტა ხმაური ისმოდა გოგოების და ასე მატყუებს: აქ სოფლის გოგოებმა ჩვენ წყალი და წვენები მოგვიტანეს,ისინი არიანო.ის კი არა: ექიმები და ექთნები დასტრიალებდნენ თავს თურმე,ცუდად რომ იყო არ მითხრა.

– აქ კი არა და-თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფყოფოში დაუწვენიათ, აქეთ შინდისში,გორისკენ ჰოსპიტალი სულ გადავსებული იყო დაჭრილებით, ერთი ადგილი აღარ იყო არსად არავისი.

– რომ გამოვიდა მდგომარეობიდან ბიჭი, მერე: დამირეკა. დედა:თბილისში ვარ და აქ ჩამოდიო.უნდოდა გავრიდებულიყავი ამ საშიშ საომარ ადგილებს.მე კი მიჭირდა სახლის დატოვება,წავედი სანახავად.

ვფიქრობდი: ნეტავი ახლა როგორი დამხვდებოდა.მეშინოდა,კი გადარჩა და დასახიჩრებული ხომ არ არის მეთქი, ისე ჩუმად ვაკვირდებოდი.უფალმა და ისევ ჩვენმა დედა ღვთისმშობელმა ლოცვით გადაგვარჩინა,ჩვენ ცუდი ამბისგან ასე გვიხსნა.უფალმა არ გაგვწირა იმედით.

-ვილოცოთ:რომ ომი აღარ ყოფილიყოს არასდროს.დაწყნარდეს ქვეყანა,ჩვენი სამშობლო.საქართველოში ძმობის-ის სიყვარული არ განელებულიყოს არც არასოდეს,რამაც მართლმადიდებელი ერი,ჩვენი ხალხი აქამდე ღვთის ნდობამ, სარწმუნოებამ კეთილად,ერთმანეთის თანადომამ,განგებამ,მეგობრობამ ხომ მხარი-მხარს დგომით სულ ერთიანობით მოგვიტანა.ნუ დაგვენანება ის თბილი სიტყვა ერთმანეთისთვის რაც ერთიან საქართველოს გადაარჩენს.ნუ ავყვებით მტრის ენას,:რომელიც დაგვარბევს და გაგვაცალკევებს.არ გვინდა სხვის ისევ მონად ყოფნა,რომელსაც ჩვენი მთლად განადგურება უნდა.საქართველო უქართველოდ არ ეღირებათ არავის.

იყოს მტრის ჯინაზე:,,ძმობა, ერთობა, თავისუფლება".ამინ.საქართველოს ღვთისმშობელი გადაარჩენს,არ გავანაწყენოთ დედა ღვთისა ყველას დაგვლოცავს გვქონდეს იმედი,რწმენა. დიდება და მადლობა უფალს ამინ.

გულნაზ ხარიშვილი (ცისკარელი)

ობოლი ნაკვეჩხალი

ლამაზ ბუმბერაზ მთებში გაზრდილი, ყველაფერი სუფთაა და გემრიელი. ტყის მარწყვი, ზღმარტლი, სოკო და სხვადასხვანაირი ხილი და იქ გაზრდილი ბავშვების სულიც კი სუფთაა. სუფთა და უმანკოა მათი სიცელქეც კი. ამბავი, რომელსაც ახლა ვწერ მე მეხება, როცა პატარა ვიყავი, სკოლაში არ დავდიოდი. დედმამიშვილებიდან მე მესამე შვილი ვიყავი. ლევანი, თამაზი და მესამე კი მე. ვერცხლის წყალივით მოსრიალე და მოუსვენარი, ძალიან ცელქი დედის დავალებებს ფაცხაფუცხით შევასრულებდი და დილიდან საღამომდე მდინარე ძირულის პირზე წავიღებდი წიგნებს და ვკითხულობდი. კითხვა და წერა სკოლაში მისვლამდე მასწავლა ჩემმა უფროსმა ძმამ ლევანმა. მთელი დღე ვაცხობდი ქვიშის ხაჭაპურებს. ყველის მაგივრად ქვიშის ცომს ქვებს ჩავულაგებდი და მზის ცეცხლზე ვაფიცხებდი. ძირულის პირზე ბრტყელ ქვებს თეფშებად ვხმარობდი, ჩემთან მოსულ ფიქრის სტუმრებს (ჩემნაირ ცელქ ბავშვებს) მასპინძლობას ვუწევდი. როცა დავიღლებოდი, გავძახებდი იქვე ახლო მცხოვრებ ლენას და კლასობანას ვთამაშობდით. ფეხის თითები, ქვებით მქონდა დასისხლიანებული. ერთ დღეს, შეჯიბრი მოვაწყვეთ ვინ უფრო მაღლიდან გადმოხტებოდა ძირულის მორევში. ჯერ ხიდიდან დავიწითლეთ გვერდები, წყალში ტყლაშატყლუშით და მერე, სახელურზე გადავინაცვლეთ, აქაც გავიმარჯვე. ჰაერში ავტრიალდი და ღომა თევზივით წყალში გავუჩინარდი. არც შიმშილი მახსოვდა და არც სახლი, წიგნები იქ მქონდა და გართობის ყველანაირ ხერხს ჩვენ ვიგონებდით. მამამ დამიძახა, ცოტახნით ამოდი შვილო სახლშიო. კარგი მოსაქმე ქალბატონივით მამის გვერდში წამებში გავჩნდი. მამამ გენაცვალოს, დედაშენი სახლში არ დამხვდა, მეგობარი მოვიყვანე, აბა, დატრიალდი და სუფრა გაგვიშალეო. ჩქარა-ჩქარაში თეფშებს, სულ რახარუხი ავუყენე, ვცდილობდი მამის დავალება მალე შემესრულებინა და წყალში გავქცეულიყავი.

ასეც მოვიქეცი, რაც კი ოჯახში გაგვაჩნდა ხუთ წუთში მაგიდაზე აღმოჩნდა. მამის მეგობარი თურმე გაკვირვებით მადევნებდა თვალს და ეს რა კარგი დიასახლისი დადგებაო, ხმამაღლა წარმოთქვა. გამესაუბრა, მეც სხაპასხუპით ვუპასუხე, რადგან გზისკენ მქონდა თვალები, უნდა გავქცეულიყავი. ის იყო, კარებიდან ფეხი გადავდგი გასაქცევად, სტუმარმა მთხოვა: – ბიძამც გჭირიმოს, ბუხრიდან, ერთი ობოლი ნაკვერჩხალი მომიტანეო. სწრაფად შემოვტრიალდი, ხის გამოჩორკნილი საკეცეთი ერთ დიდ მუგუზალს ხელი დავავლე და სტუმარს მივაწოდე. სტუმარმაც ნელა-ნელა მოუკიდა თუთუნის სიგარეტს და შემომხედა. შენ, ისე მარჯვე და ლამაზი გოგონა ხარ, ვიფიქრე როცა გაიზრდებოდი რძლად უნდა წამეყვანე. ახლა გადავიფიქრე, რატომ? ინსტიქტურად წამოვიყვირე ექვსი წლის ბავშვმა. რატომ და მამამთილს ცეცხლის მუგუზალი ეგრე უნდა მისცე პირში? გავიდა წლები, ეს ჩემი სიცელქის ისტორია გონებას შემორჩა და უკვე დიდ ასაკში მოვუყევი ეს ამბავი ჩემს რძალ თინას. მაინც მაინტერესებდა, რატომ მივიღე საყვედური, მამას მოყვანილი მეგობრისგან. დედაჩემმა ყური მოკრა ჩემსა და ჩემი ბიძაშვილის ცოლის (თინას) საუბარს და ამიხსნა: – შვილო, ობოლი ნაკვერჩხალი ნიშნავს, სულ ცალკე რომ დევს თავისთვის ცალკე ობლადო. გულში ტკივილი ვიგრძენი, მას შემდეგ, უსულო საგანიც კი ობლად დარჩენილი მეცოდება. მე კი დავრჩი მამაჩემის მოყვანილი მეგობრის დაწუნებულ სარძლოდ!

ჭიჭიკოს მორევი

სახლი, სადაც ვცხოვრობდი, ოც მეტრზეც არ იყო დაცილებული მდინარე ძირულის ნაპირებიდან. იქ ჩარგულ კაკლებს, ერქვათ და ახლაც ჰქვიათ კოლიას კაკალი. კოლია ბიძა იყო ჩემი. პედაგოგ ბიძაჩემ კოლიას ანუ (ნიკოლოზის) ხელში გავიზარდე. მათემატიკოსი ჰყავდა მეუღლე. ბიცოლა თამარა ძალიან ნიჭიერი და კეთილი ქალბატონი იყო. მდინარის გასწვრივ ახლაც არის ლევის, ამირანის, ბეჟანის და თამაზის კაკლები. მათი პატრონები ზეციდან დაჰყურებნ თავის ხელით დარგულ ხეებს. თვითონ კაკლები კი მდუმარედ დგანან და ხან ყინვისგან ცვივათ მოჟარული ფოთლები და ხანაც კიდევ ნაყოფს ისხავენ. მაინც რანაირია ადამიანის ბუნება. შემოდგომით, როგორი გამეტებით ურტყავენ საგანგებოდ ხელით გამოჩორკნილ ხალას, საცოდავ კაკლებს. კაკლებსაც ვერ გაუგიათ როგორ მოიქცნონ. თუ მოისხამენ, ცემენ. თუ ერთი ორი წელი გავიდა და არ მოისხეს, დიდ ბირდაბირი ხერხი მიაქვთ და ძირში ჭრიან. ადამინები უმადურები არიანო, გულში ფიქრობენ.

კაკლების გასწვრივ, ერთ ადგილზე, საკმაოდ ღრმა მორევია, რომელსაც ჭიჭიკოს მორევს უწოდებს ადგილობრივი მოსახლეობა. ფერდობზე შეფენილია აქაიქ, სერზე მიმოფანტული სახლები. მათ სერელებს უწოდებენ. ზევიდან დედა შვილს რომ გამოძახებს, სად ხარ? დაბლიდან ბავშვი პასუხობს. ჭიჭიკოს მორევში ვბანაობ. ნებისმიერი დედა, ნახევრად დამშვიდებული მიბრუნებულა სახლში, რადგან მთის ძირში, ძირულის პირში ჩვენ ვცხოვრობდით და უნდოდა თუ არ უნდოდა დედაჩემს, მაინც უხდებოდა ყველასთვის თვალყური ედევნებინა. მერე როცა დაუძლურდა, აივანზე იწვა, შუბითიძის ქალბატინი, შვიდი შვილის დედა და გაჰყურებდა, გზის დასალიერს. ერთ დღეს, ზედა უბნიდან, მანანა მაჭარაშვილი ჩამოვიდა საბანაოდ, მანანა ძალიან ლამაზი, ტანადი და მომხიბლელი ბავშვი იყო. გაცილებით პატარა იყო ჩემზე. ტანით და სიძლიერით კი ჩემზე ყველანაირად კარგი. მე, ერთი ფურცელივით სიფრიფანა, კარჭიოტა თევზივით წელწვრილი, ბავშვი ვიყავი. ერთად ჩავედით წყალში, თან ტანსაცმლით. მაშინ ვინ გაშიშვლდებოდა, ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო იმ დროში. მანანამ ცურვა არ იცოდა, მე ოცდაოთხი საათი წყალში ვიყავი და ისე მიშვილა ძირულამ, არც ფეხს ვხმარობდი და არც ხელს, ისე ნაფოტივით დამაფარფატებდა ტალღები. ერთი საცურაო ადგილიდან მეორე ნაპირამდე.

ჭიჭიკოს მორევი (ანუ მამაჩემის) სახელწოდების ადგილი ავირჩიეთ. წყალში ამოზრდილი დიდი ქვა ახლაც არის, ბანაობით დაღლილი ბავშვები, ჩიტის ბეღურებივით შემოვსკუპდებოდით ხოლმე საუკუნეებით მობინადრე ქვაზე. ქვის შიგნით იყო კიდევ თვალთ უხილავი ქვა, რომელზეც დაღლილ მუხლებს ვასვენებდით და მაინც წყალი წელზევით გვფარავდა. ვიბანავე, ავყევი და დავყევი მდინარის მოლივლივე ტალღებს. მანანა კი იჯდა ნაპირზე ბროლივით ფეხებს ამღვრეული წყალი უფარავდა. შემეცოდა ამღვრეული წყლისთვის მისი ქათქათა სხეული და გულით ვთხოვე, რომ წყლის შუა გულში მომყოლოდა და იმ ქვაზე დამდგარიყო, რომელიც წელს მაინც დაუფარავდა. არაო, მითხრა, მე კიდევ არ მოვეშვი და ჩემი ახირებული თხოვნით, კინაღამ ორივე ბავშვის სიცოცხლე, ჩემი და მანანასი, საბედისწერო აღმოჩნდა. მანანა ცოტა ხნით მშვიდად იდგა ქვაზე. მერე ვუთხარი, ახლა მე იქით გავცურავ და შენ აქ, ამ წყლის შუა გულში გაჩერდი. კიო, თანხმობა მომცა, ოდნავ რომ გადავიწიე გასაცურად, კაბაში მომწვდა. აი, რატომ არ უნდა გეცვას ბანაიობის დროს ფართხუნა კაბა. ფიზიკურად ძლიერი მანანა მომერია და მორევის ფსკერზე აღმოვჩნდით. გონება არ დამიკარგავს, არც შემშინებია, რადგან ნაპირი არ იყო შორს, ინტუიციით გავიყვანდი ნაპირამდე და ისევე შემატრიალებდა სიღრმისაკენ, რადგან მას ნაპირი იქით ეგონა. სანამ ჰაერი მეყო ასე ვიბრძოლე, მდინარის ფსკერზე. ასეთი სვლა, ალბათ, ოთხჯერ მაინც მქონდა გაკეთებული და ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. გავიფიქრე,

ვიხრჩობით და მოვახერხე მდინარის მაღლა თავის ამოყოფა. მთელი ძალით დავიყვირე, გვიშველეთ. ყოველთვის სავსე იყო ძირულის პირი ბავშვებით, იმ დღეს კაციშვილი არსად ჩანდა. ერთხელ კიდევ გავიბრძოლე და ვიღაცა მამაკაცის მკლავებში აღმოვჩნდი. მანანას მამა, გრიშა მაჭარაშვილი. ის მამაჩემის მეგობარი იყო, ერთ-ერთი უბნის ბრიგადირი ანუ მამაჩემის კოლეგა და მეგობარი. გრიშა ბიძიას წამებში ორი ბავშვი ვეჭირეთ ხელში, თავისი შვილი მანანა მაჭარაშვილი და მეტიჩარა გულნაზი, რომელმაც კინაღამ ჩემი ახირების მსხვერპლი გავხადე მისი შვილი და ჩემი მოუსვენარი თავიც.

ზედისწერა

მამაჩემი სოფლის ბრიგადირი იყო. დაუჯრებელია, მაგრამ რეალურად ასე მომხდარა. დიდი სამამულო ომის პერიოდში ბიძაჩემი. ნიკიფორე ხარაიშვილი, ომში წაუყვანიათ. ერთ თვეში ცნობა მოსულა, ერთ-ერთი საომარი ოპერაციის დროს დაღუპულა. ბებიაჩემს ნერვიულობაზე მუცელი ატკივებია და მამაჩემი ნაადრევი მშობიარობით დაბადებულა. ბებიაჩემი მართა მახათაძე გარდაცვლილა. გაბოროტებულ ბაბუას ჯერ პირადობა ჭიჭიკოზე გაუკეთებია და მერე უფიქრია ცოლი მომიკვდა და ახლა ნიკიფორეს გავაცოცხლებო და მამაჩემისთვის პირადობა შეუცვლია. ასე გახდა მამაჩემი ნიკიფორე ხარაიშვილი. ომიანობის პერიოდში მამაკაცები თითქმის სოფელში აღარ ყოფილა. თვითონ ბაბუა ორჯერ ყოფილა სამამულო ომში. მერე მდინარე ძირულაზე საკუთარი წისქვილი გაუკეთებია და იქ იყრიდნენ თურმე თავს ახალგაზრდები. კოლმეურნეობა რომ შემოვიდა, გაუკულაკებიათ ბაბუა. მდიდარი ხარო. მაშინდელი კერძო წისქვილი სიმდიდრედ ჩაუთვლიათ. მამაჩემი თექვსმეტი წლის ყოფილა და ბრიგადირად დაუყენებიათ სოფელში. ძლიერი ყოფილა, ჭიდაობდა და ვერავინ აქცევდა და თავის ტოლებში საკმაოდ ავტორიტეტულს სოფლის ბრიგადირობა არც გაჭირვებია. სოფელში კრამიტიც იჭრებოდა. სწორედ კრამიტის ქარხანაში იყო წასული, როცა მე და ლენა ხარაიშვილი, დედამ მამაჩემის დასაძახებლად გაგვგზავნა. იქ ხიდი იყო გასავლელი, მაგრამ დედამ მითხრა, დაუძახე შვილოო და მამა გამოგხედავსო. რაღაც აუცილებელ საქმეზე მამა სახლში უნდა მისულიყო. ახალი გაზაფხული იყო, ბუმბერაზ მთებიდან, თოვლი ლღვებოდა და მდინარე ძირულას უერთებოდა. ადიდებული წყალი თითქმის ხიდს წვდებოდა. მამაა! გავძახე, ჩემი ხმა ძირულამ წაიღო. სხვა გზა არ იყო, ხიდი უნდა გაგვევლო მე და ლენას, მამაჩემამდე რომ მივსულიყავით. ხიდზე შევდექით თუ არა თავბრუ დამეხვა და უკან

გამოვბრუნდი. ლენა კი პირიქით, ორჯერ გავიდა და გამოვიდა. ბოლოს ხელი მომკიდა და ძალათი შემაყენა ხიდზე. დავმორჩილდი, მეგონა ფეხს სწორად ვადგამდი, მდინარეში გადამიდგია ფეხი და ხელიხელხელჩაკიდებული გულწასულები წყალმა, აღმა დაღმა გვატარა და ნაპირზე გამოგვრიყა. ბოლოს ტალღების ცემამ მოგვაფხიზლა. ერთმანეთს ხელი გავუშვით და წამოვჯექით. ფეხსაცმელი არცერთს აღარ გვქონდა. სული რომ მოვითქვით, სველი ტანსაცმლით მამას ვეწვიეთ. ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ სიცოცხლე გიწერია ყველგან გადარჩები. წარმოიდგინეთ, აზვირთებულ მდინარის ტალღებში ხელიხელჩაკიდებული ორი პატარა გოგონა. სკოლაში არც ერთი არ დავდიოდით. მე დედაჩემისგან ის დავალება მქონდა რომ ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირთან აშენებულ კრამიტის ცეხში მომუშავე მამასთვის უნდა დამეძახა. როცა მამას გავკიოდი, ჩემი ხმა აზვირთებულ, გაავებულ ტალღებს მიჰქონდა. ჩემთან შედარებით ლენა უფრო გაბედული აღმოჩნდა და საცალფეხო ხიდზე, ორჯერ გავიდა. შიში ძალიან ცუდია, არასოდეს შიში გულს არ უნდა მიაკარო. შიშის ბრალი იყო, რომ მდინარის

ტალღებში აღმოვჩნდით. არ გვეწერა დახრჩობა და გადავრჩით. ახლაც თვალებში მიდგას, მდინარისგან გამორიყული, თევზებივით მიწყობილი, პატარა გულნაზი და ლენა!

რატომ ვტოვებ ლუკმას?

ზაფხულის არდადეგებზე ყოველთვის თავს ვიყრიდით შუშანა ბებიასთან. ჩამოვიდოდნენ თუ არა კალვათიდან მისი შვილიშვილები ნათელა და ნაილი, შუშანა ბებია იმ წუთში სახაჭაპურე ცომს წაზილავდა. გიორგი ბაბუა ხმელ შეშას დაამატებდა ბუხარს და კეცებს ზედ გადაალაგებდა. სანამ თიხის კეცები გაცხელდებოდა, შუშანა ბებიას ცომის გუნდებიც ამოღებული ჰქონდა, ნახევრად მარილიან ყველით გაავსებდა და გადააკრავდა შეშის ცეცხლზე გახურებულ კეცებს. ათ წუთში ხაჭაპური მზად იყო. დაგვიჭრიდა, დაგვაპურებდა და მერე გავიდოდით, ყვავილებით სავსე ეზოში. ეს ასე ხდებიდა, ზაფხულის არდადაგების პერიოდში. ერთხელ, შუშანა ბებიამ მე და ნაილი გელაშვილების უბანში მარუსა ბიცილასთან გაგვგზავნა. რაღაცა გაგვატანა, აღარ მახსოვს რა იყო. ისეთი პერიოდი იყო, თეთრ მსხვილ ბალს სიმწიფისაგან გადაპრიალებული ჰქონდათ მარცვლები. მარუსა ბიცოლამ არ გამოგვიშვა, ბალი ჩამოგვიკრიფა და მოგვართვა. მე და ნაილის გარდა, სხვა პატარა ბავშვებიც გვახლდნენ, ჩემი ძმა ამირანი რომ იყო ეს კი ვიცი. ბალი წამებში თეფშიდან ასლაპეს ბავშვებმა. მაინც რა არის ბავშვის თვალი, ბალი ჩვენც ბევრი გვედგა ეზოში. მამაჩემი ტყეში სადაც მწარე ბალს ნახავდა, გაზაფხულზე ყოველთვის დანამყნიდა. ერთხელ შევეკითხე, მამა ასე რატომ აკეთებ, ტყეში ფრინველები, მწარე ბალს წუნობენ? მამამ მიპასუხა, შვილო, მგზავრი წააწყდება და პირს გაისველებსო. არა და მამას, თვითონ ბალი არ უყვარდა. არასოდეს არ შეუჭამია, რატომ არ ვიცი. ჩვენმა მასპინძელმა მარუსა ბიცოლამ ცარიელი თეფში რომ დაინახა, ამირანს უთხრა: მიდი გენაცვალე, ჩამოკრიფე კიდევო. ამირანი წამოხტა, ვედროს ხელი დაავლო და ბლის კენწეროში მოექცა. მიბდღვნა-მოლეწა ტოტები და სწრაფად ოთახში გაჩნდა. მარუსა ბიცოლამაც ისევ კულტურულად, წყალი გადაავლო ბალს და წინ დაგვიდგა. თეფში ისევ წამებში მოცარიელდა. მესამედ რომ თეფშს ხელი მოკიდა ჩვენმა კეთილმა დიასახლისმა, ნაილიმ წამჩურჩულა: გულნაზ, გააფრთხილე ეგ დამშეული ბავშვები, თეფშზე რომ შეჭამენ, ცოტა ბალი დატოვონ, ვითომ აღარ უნდათ. მაგათ ხე რომ მოჭრან და წინ

დაუდგან, მაინც არ ეყოფათ. მეც ბავშვებს გადავუჩურჩულე ნაილის შენიშვნა. იმათმაც დამიჯერეს და თეფშზე ბალი დატოვეს, ვითომდა აღარ უნდოდათ. მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა და ნაილის ეს მითითება, ისე ჩამრჩა მეხსიერებაში, არ არსებობს, თეფშზე ლუკმა არ დავტოვო. ახლა აქეთ ვიღებ ახალგაზრდებისგან შენიშვნას, მოკლედ რა, ამან ხომ ყოველთვის რაღაცა უნდა დატოვოს. რა არის იმდენი გადმოიღე, რამდენიც გინდა, ერთხელ შვილიშვილისგანაც მივიღე შენიშვნა. ახლა ნაილი ცოცხალი აღარ არის, ნაილი ხარაიშვილი – ხეთერელი, ეს მოგონება შენ მოგიძღვენი დაიკო. თვალწინ მიდგას, ის დღე, როცა ეს მოხდა. ახლა უფალი ხედავს, როგორ მომწყდა თვალიდან ცრემლი, განა დაეცა? არა, დაო, ლუკმასავით შერჩა ჩემს სახეს. დილით კიდევ მტრედი მოფრინდა კარგა ხანს იფრთხიალა, ეს კი ნამდვილად შენ იყავი, მტრედის სახით გამომეცხადე. დავამთავრე თუ არა მოგონება, მტრედიც გაფრინდა!

დახრჩობას გადარჩენილი

ურეკში დასასვენებლად წამიყვანა ჩემმა აკადემიის წევრმა, ქალბატონმა ყამარ ბლიაძემ. მის შვილს ზაზას და მის დას საკუთარი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო აქვთ ურეკში. სასტუმროში თანამშრომლების სანათესაოთა წრე იყო და იქ ყოფნას არაფერი ჯობდა. მე და ყამარი როცა ჩავედით, ყამარის ვაჟი, ზაზაც ჩამოსული იყო თავისი ცოლშვილით. ზაზას თან ახლდა მსახიობი ტრისტან სარალიძე თავისი მეუღლით. მე და

ყამარი მაინც ერთად დავდიოდით. წავიდოდით დილით ზღვაზე და როცა მივიდოდით, წყალს გადავივლებდით და საუზმე გამზადებული გვხვდებოდა. სასტუმროს დირექტორი ყამარის და იყო. ქალბატონი ლია, ულამაზესი, კულტურული და ძალიან ნიჭიერი ქალბატონი თავს გვევლებოდა. ის ამხელა სასტუმროს ისე მართავდა, ათ ადამიანს ერთად გაუჭირდებოდა. იქვე ახლოს ეკლესია ჰქონდათ, შაბათ-კვირას ეკლესიაშიც დავდიოდით. საღამოთი განსაკუთრებული სუფრაც არაერთხელ გაუწყვიათ. პირველად, როცა ადრიანად ავდექით და ზღვას ვესტუმრეთ, სიფრთხილის ნაბიჯებით ხელიხელჩაკიდებული ჩავედით ზღვის ნაპირზე. ყამარიმ ცურვა არ იცოდა. მე კი მოვსინჯე რომ გამეცურა, მაგრამ ზღვამ არ მიიღო ჩემი ძირულის წყლის მეთოდები. იძულებული გავხდი, მუხლებამდე წყალს დავჯერებულიყავი. მე და ყამარი ერთმანეთს ხელს არ ვუშვებდით. ერთმა ქალბატონმა შეგვამჩნია ხელი მოგვკიდა და ცოტა სიღრმით შეგვიყვანა. იქ გაცილებით იოლი აღმოჩნდა ცურვა. ცურვა რომ აღმედგინა ანუ მოვრგებოდი ზღვის წესებს, ბევრი წვალება არ დამჭირდა. პირველ დღეს მაინც კმაყოფილი დავბრუნდი, ყოველ შემთხვევაში, უშედეგო ის დღე არ იყო. საღამოთი ისევ ვესტუმრეთ ზღვას. უკვე გავიწაფე, კლავები გავშალე და პირველად ზურგზე ცურვით კარგა შორს გავედი. ყამარი მიშლიდა, არ შეხვიდე შორს, თვალს არ მოეფაროო. მერე ხუმრობა შერეული სიმკაცრით, კიდევაც მიწყრებოდა. ისე რა მშვიდი და წყნარი ხარ და ზღვაში ბავშვებზე ძალიან დახტიხარ აქეთ-იქითო. რა თქმა უნდა, ამას სიყვარულით ამბობდა. პატარა ბავშვებს შემოვიკრიფავდი და ზურგზე ცურვას ვასწავლიდი. ბავშვები საპატივსაცემოდ ნიჟარებს მიგროვებდნენ. საღამოთი ძალიან კარგ სუფრაზე მოგვიწია ისევ ყოფნა. შეკვეთილიდან, საპატივსაცემოდ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ქალბატონი მაყვალა გონაშვილი და ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი, ქალბატონი მანანა დუმბაძე დაპატიჟეს და სასიამოვნო იყო ქალბატონებთან ერთი-ორი საათით ჩამოსვენება. ასე გრძელდებოდა ყოველი დღე. ერთხელ ყამარის ვთხოვე, ამხელა სასტუმროს მეპატეონე ხარ, ყოველ წელს ზღვაზე დადიხარ, მე როგორ უნდა გჯობნიდე, მოდი ზურგზე წოლას გასწავლი და ზღვის ტალღებში იცი რა კარგია დასვენება-მეთქი? დამშვდდები, სხვა სამყაროში იგრძნობ თავს. არ მოვეშვი და ჩემს მკლავებზე კარგა ხანს ჩამოვასვენე. ასე ვასვენებდი რამდენიმე დღე. მე, როგორც ყოველთვის, შორს გავდიოდი, თითქოს ზღვის სიღრმეში ვახრჩობდი ჩემს დარდს და ვბრუნდებოდი ყამარისთან. ერთ დღესაც, როცა გავედი შორს, შემოვტრიალდი ნაპირისკენ და სანამ ყამარისთან მოვედი, ყამარი იხრჩობოდა. მოვცურავ და ვეღარ ვაღწევ, ვხედავ უკვე გაიგუდება. ერთმა გოგონამ გამასწრო, სტაცა ხელი და მეც მივედი. ყამარ რა იყო, რა მოგივიდა? შეშფოთებული ვეუბნები, თან შიშმაც ამიტანა, რა უნდა მეთქვა, მისი დედმა-მიშვილებისთვის ან ზაზასთვის? ნაპირზე ამოვედით ქვიშაში ამოვითხუპნეთ და ყამარი მეუბნება, იცი გულნაზ, შენ რომ ბეჭებზე დასვენება მასწავლე, მარტოდ მინდოდა მომესინჯა და ვერ მოვახერეხე, კინაღამ გავიგუდე. იმ უცხო ღვთისნიერმა გოგონამ გადამარჩინა. შენ, ალბათ, ვეღარ მომისწრებდი. ისე შენც კარგი მოუსვენარი იქნებოდი ბავშობაში. რა მუცელში იჯექი, საცოდავი დონიკა (დედაშენი) შენს ხელში დატანჯული იქნებოდაო. ერთი სიტყვით გამაფრთხილა, საღამოთი ეს ამბავი, ზაზას არ უთხრა, იჯავრებსო და დას გაუმხილა, ქალბატონ ლიას. ლიამაც უსაყვედურა, ნაპირში ყოველთვის საშიშია ტალღა ეხეთქება ნაპირს და გადარჩენილხარო. გავიდა ცხრა დღე, მეათე დღეს, დილით თბილისში უნდა წამოვსულიყავით. ყამარის ვუთხარი ცხრაჯერ უნდა გავიდე შორს, ჩემს გარდაცვლილებს უნდა მივუძღნა შვიდჯერ გაცურვა და ერთხელ ურეკს, მერე კი შენ და ამით დავემშვდობოთ ზღვის სეზონს-მეთქი. მეცხრე კრუგზე რომ წავედი, ნიჟარები დავინახე და თან ზღვაც იმდენად პატარა იყო, წყალში ფეხით დავიწყე სიარული. ვინც ურეკში ხართ ნამყოფი იქ ასეა, ზღვა ქვიშიანია და წყალი სიღრმით უფრო პატარაა. გავიხედე შორს მსახიობი ტრისტან სარალიძე და ყამარის ბიჭი ზაზა ზღვაში ისხდნენ და საუბრობდნენ. მე ნიჟარების კრეფა გავაგრძელე. შევხედე, ზღვის სიღრმეში წითელ კეპკიანმა კაცმა ამოყო თავი და

დაიძახა, მიშველეთ. ხმა თითქოს ზღვამ ჩაყლაპა და გავჩერდი, მომეჩვენა? არა, ისევ დავინახე მამაკაცის სახე, მიშველეთ და ისევ ზღვაში ჩაიკარგა. მივიხედ-მოვიხედე, არავინ არ იყო ახლოს. ტრისტანის და ზაზას ხმას ვერ მივაწვდენდი. ისევ განმეორდა განწირული ხმა, მიშველეთ. უშველეთ, დავიძახე და ზღვის სიღრმით გადავეშვი. ხელში ხელი წავავლე და ნახევრად გულწასული მამაკავი სიღრმით შევაგუე. ვიმეორებ, ნახევ-რად გულწასული იყო, ამან მიშველა, აუცილებლად დამახრჩობდა. ფეხზე ვერ დგებოდა, უაზროდ საუბრობდა, ხან დედას მიძახდა, ხან დას. ხელს აღარ მიშვებდა, დავიღუპე, გავიფიქრე, არავინ არ ჩანს. კარგა ხანს ვიყავი ასე სასოწარკვეთილებაში. ბოლოს საუბარი შეძლო და ალაპარაკდა. ერთ მეგობარ გოგონასთან ვარ ჩამოსული. იმ ნაპირს გამოვყევი, ცურვა საერთოდ არ ვიცი. ამ გვერდზე გავაგრძელე სიარული, ნაპირზე უნდა გავსულიყავი. საუბარში შევიყოლიე, ვფიქრობდი, ეგებ როგორმე ხელი გამიშვას, თავს ვუშველო და ამასაც მაშველს გამოვუგზანი-მთექი. დავინახე ორი გოგო-ნა მოცურადა ჩვენკენ, ვიფიქრე, რაღაცა უნდა მოვიფიქრო თუ არა და უკვე საშველს ვეღარ ვხედავდი. გამოვკითხე სახელი, აჩიკო მქვიაო მიპასუხა. გავიშინაურე ასაკი - ვკითხე, მიპასუხა, ორმოცი წლის ვარო. თმები ყალყზე დამიდგა, ჩემი გარდაცვლილი შვილის, გელას ტოლი აღმოჩნდა. გელას ორმოცი დღე უკლდა, ორმოცის უნდა გამხდარიყო, ოცდაშვიდ აპრილს დაბადებული, ცხრამეტ თებერვალს ჩემ თვალწინ დამტოვა და წავიდა უფალთან. სრულიად ჯამრთელი შვილი. ტრომბი მოწყდაო, თითონაც მხრებს იჩეჩავდნენ ექიმები. აჩიკოს არაფერი ვუთხარი, სხვისი შვილი გადა-ვარჩინე და ჩემსას ვერ ვუშველე, აი, რა არის ბედისწდრა. აჩიკო, ნახე, ნახე, რა ლამაზი გოგოები მოცურავენ, უცებ ყურადღება იქით გადაიტანა აჩიკომ და მე კი, დრო ვიხელთე და აჩიკოს გამოვექეცი. ნაპირზე რომ გამოვედი ყამარიმ არ დამიჯერა. იმდენად შორს ვიყავი ნაპირიდან წასული, ყამარი ვერ მხედავდა. იმ წუთში მაშველთან წავედი. აუხსენი მდგომარეობა. მაშველმა მითხრა: ქალბატონო, ამ ზოლს ხომ ხედავ, ეს მეკუთვნის მე. სხვას მიაკითხეო. რას ამბობ, ქალმა გადავარჩინე დახრჩობას ადამიანი და თქვენ რა ზოლებზე მესაუბრებით. დავემუქრე, მთელ ურეკს შევყრი, არ გაპატიებთ. იკადრა და ვიღაცას გადაურეკა, იმ ვიღაცამ სწრაფ მავალი მაშველი გაგზავნა და დაუწყეს ზღვაში ძებნა და ისევ ტრისტანის და ზაზას მიადგნენ თურმე. ცუდად რომელი ხართო. ტრისტანს ყველა იცნობთ, ის ძალიან მაღალია და ზეზე წამომდგარა, რა მეტყობა ცუდად რომ ვარო. მაშველმა მკვახედ მითხრა, რა ვქნა ქალბატონო, სხვას მიაკითხე, მე ჩემი ვეცადე, ხომ ხედავ, არავინ არის ზღვაშიო ისეთი რომ იხრჩობოდესო. იძულებული გავხდი თვალით მომეძებნა აჩიკო. დავინახე, ხელები გაეშალა და ისე იდგა. ვიცანი, მაშველს ვუთხარი, კაცი არ ხარ, პაკრიშკით შეცურე, პაკრიშკასაც ხაზი ქირდება? მაგაშიც ჯარიმას დაგიწერენ? იკადრა და გაცურა იმ ადგილზე, სადაც აჩიკო შეშინებული თვალით ეძებდა მიმშველებელს. აჩიკო გამოიყვანა ნაძალადევად ნაპირზე მაშველთა ერთერთმა უპასუხისმგებლო თანამშრომელმა. აჩიკოს მივუბრუნდი და ვუთხარი: აბა, წამომყევი ახლა, აქაც ზღვა ხომ არ არის, ჩემს ხალხთან უნდა მიგიყვანო. აჩიკოც თავჩაღუნული გამომყვა. ყამარი, ტრისტანი და ზაზა გველო-დებოდა. ჩემმა შვილის ტოლმა გადარჩენლმა სიზმრის მოყოლა დაიწყო. წუხელი სიზმარი ვნახე, მამა მყავს გარდაცვლილი და მას მივყავდი, დედაჩემმა არ გამატანაო. ის დედაჩემი, ალბათ, ეს ქალბატონია, რომელმაც გადამარჩინაო. იქ თავისებურად გაეხუმრნენ დამსვენებლები, რა კარგი მამა გყოლებიაო. სასტუმროში დიდი სუფრა გაიშალა. თამადად ბატონი ტრისტან სარალიძე იყო. ჩემი სადღეგრძელო განსაკუთრე-ბულად შესვეს. ამჟამად ჩემი ყამარის შვილი ზაზა ცოცხალი არ არის, ის უკეთილშობილესი პიროვნება იყო, ძალიან კეთილი და ყველას მოამაგე. ამ ნამდვილ, რეალურად მომხდარ ამბავს მის კეთილ სულს ვუძღვნი. ყამარს კი გამძლეობას ვუსურვე, აუცილებლად მისცემს უფალი!

რა ტკბილი იყო სიკვდილი

დედაჩემს ცხრა დედმამიშვილი ჰყავდა. შუბითიძეები, ძალიან ძლიერები და ერთმანეთის მოსიყვარულეები იყვნენ. ბიძაჩემი ვახტანგი მეცხრე შვილი იყო. ვახტანგი ისე უყვარდათ დებს, როგორც დედმამიშვილი და ასევე, როგორც შვილი. როცა ბიძაჩემი ქალაქიდან ჩამოვიდოდა, დედაჩემი შეატყობინებდა დეიდაჩემს, ელენეს ვახტანგი ბიძიას ჩამოსვლას და დეიდაჩემიც იმ დღესვე ჩნდებოდა ჩვენთან შვილებით. დეიდა ელენესაც ხუთი შვილი ჰყავდა: ჯამბული, ოლია, მარინე, ანერი, დემური. ჩვენც იმ მომენტში ხუთი ვიყავით. ამირანი არ იყო დაბადებული. დები თავიანთი შვილებით მიდიოდნენ მშობლებთან, დიანოზ შუბითიძესთან და აღათი ტაბატაძესთან. ახლა ვფიქრობ, სად იყო ამდენი დოვლათი, რომ გვაპურებდნენ ამდენ ბავშვებს. თუმცა სად იყო და ტყეში. ყველანაირი სეზონის სოკო იყო: გაზაფხულის, ღვინიო, ქამა, მტრედიო, ვარყა.

ზაფხულში კიდევ ხის სოკო მოქონდათ. აგვისტოში ნიყვი მოდიოდა. შემოდგომით მანჭკვალა. რა ჯობდა ია-იასა და თიკნიყურას ფხალს, ხის გობში ჩაკეპილი და ტალხუნა-ჭლაკვით შეზავებული, მერე ნიგოზ არეული. ბუხარში გამომცხვარი მჭადით. ძროხები ბევრი ჰყავდათ, ფრინველი. ყველიც ჰქონდათ და კვერცხიც. პაპა სალამურს დაუკრავდა, პაპაჩემის ძმა გრიგოლ პაპა გარმონს. ყველა მღეროდა. პირველ, მეორე, მესამე ხმაში იყვნენ შეწყობილნი. ცეკვადნენ, იყო ლხინი, გართობაც და შრომაც სეზონის მიხედვით. თურმე გვიცხოვრია ზღაპრულ დროში. თურმე ვყოფილვართ ძალიან მდიდრები.

ერთი სიტყვით, ჩამოვიდა ბიძაჩემი და ეს ორი დის ათი შვილი შეეფინა ფერდობს. ათი იმიტომ, რომ ამირანზე დედა ფეხმძიმედ იყო და მახსოვს, საკმაოდ დიდი მუცელი ჰქონდა. გზაზე ჩამომწიფებული ბალი შეგვხვდა. უნდა ავიდე და სანამ დედა არას მეტყოდა მე უკვე კენწეროზე ვიყავი მისკუპებული. არ ჩამოვარდე დეიდა გენაცვალოს, შემომძახა ელენე დეიდამ. გოგო დაბლა ტოტები არ გყოფნის? შემომყვირა დედაჩემმა. მე კიდევ ტოტებს ვამტვრევდი და დაბლა ვმასპინძლობდი დეიდაშვილებს. მოკლედ, ძალიან მოუსვენარია, დედაჩემმა შესჩივლა თავის დას. ძალიანაც კარგი მყავს, დეიდაჩემმა მოფერებითი სიტყვა დაბლიდან შემომაშველა. მე კიდევ ერთი ტოტიდან მეორე ტოტზე ჩიტივით ვხტოდი. გეგონებოდა, ჩემი საყოფი ბალი არ იშოვებოდა. ბოლოს ჩემმა სიცელქემ და ხტუნაობამ აღარ გამიმართლა, ძალიან მაღალი ტოტი მოტყდა, დედაჩემს რომ არ დავცემოდი, წამებში ტვინმა რეაგირება გააკეთა. დედა ფემძიმედ იყო და ჯამრთელობის საფრთხე შეექმნებოდა. ჰაერში ამოვტრიალდი, რომელი ტანი შემიშლიდა ხელს. მიწამ არ მაპატია და გულში ჩამიხუტა. ო, რა ტკბილი იყო სიკვდილი. მესმის დედის ხმა, შვილო, თვალები გაახილე. ვცდილობ დედა არ ვანერვიულო, გავახელ თვალს და ისე ტკბილი იყო ძილი ანუ (სიკვდილი) თან ვფიქრობდი, ნეტავ არ მაღვიძებდეს ახლა დედაჩემი-მეთქი. ბოლოს დეიდას კივილი გავიგონე, გულნაზი არ დამღუპო და თითქოს დეიდასი შემრცხვა. თვალი გავახილე, მაგრამ ისე ტკბილი იყო, ის საზიზღარი სიკვდილი არ მინდოდა დედას და დეიდასკენ შემობრუნება. შეშფოთებული დები საყვედურით მიკლებდნენ. დეიდა, თავს არ ვიცოცხლებდი, იძახდა დეიდა ელენე. შენმა სიცელქემ ჩაგვიხშამა ძმის ნახვა, მსაყვედურობდა დედაჩემი. მოკლედ, სულ მაღლა– მაღლა დადიხარ მკენწლავდა დედა. არადა ის სიტკბო რომ მახსენდება, სიკდილის შიში მიქრება. რა ტკბილი იყო საზიზღარი სიკვდილი!

დუმილი

დუმილი – დიდი ამოუთქმელი სევდაა, რომელსაც ვერავინ ახსნის, რატომ დუმს, მდუმარე ადამიანი.

დუმილი – დიდი ტკივილია.

დუმილი – წლობით ნალოლიავები ამაგია.

დუმილი – დედაშვილური სიყვარულია.

დუმილი – გაოცებაა.

დუმილი – კითხვებია: რატომ? რისთვის?

ჰოდა, მე ვარ მდუმარე ქალბატონი. დუმილით ვაგრძელებ ცხოვრებას და ისე მოძლიერებული ვარ, როგორც აალებული ცეცხლი ძლიერი ქარის დროს. მხოლოდ ეს ქარი სევდის ქარია. ისეთი ძლიერი ვარ, როგორც არასოდეს ვყოფილვარ. არ ვბოროტდები, უბრალოდ იმიტომ გავრბივარ, ჩემი სევდის ცეცხლი სხვას არ მოეკიდოს. ბევრმა არ იცის, რას ნიშნავს, სევდის ქვაბში გადმოხარშული გულის არსის სიცოცხლის მნიშვნელობა. არ იცის და რა ქნას.

შევეცდები ავხსნა. აქ უფლის ძალაა ჩარეული. როცა ნებისმიერი ადამიანი, მე ვიქნები თუ სხვა, რა მნიშვნელობა აქვს ამას მკითხველისათვის. იწვალა, იომა, იჯახირა, იკოწიაწა, იძაგძაგა, ააშენა სიყვარულის კოშკები. აქ, არ ვგულისხმობ, მამრისა და მდედრის ურთიერთობებს. აქ ცხოვრების აღმართზე წამოწეული სეტყვაა, რომელიც, გაგლუმპავს, დაგასველებს, აგაძაგძაგებს. აქ ადამიანთა სიყვარულია, რომლებსაც ყველაფერი გაუკეთე, რაც შეგეძლო და მაინც ისე მოისროლეს შენი ამაგი, როგორც მოძველებული ნივთი სანაგვე ყუთში. ამ დროს გული მაინც ცოცხალია, რომელიც ხალხის სიყვარულისთვის გაუჩენია უფალს. ცხელი გული აშრობს თავისივე სხეულს, სხვის დაუხმარებლად. იცით რატომ აშრობს? განა ვინმეს ჯობია? არა და არა. ასეთი უფალმა შექმნა, ეს მისი ხვედრია. რამდენჯერ მოკლეს ვინ იცის და ვინ მოთვლის. მისი ამაგი სევდის კალოდაა ნაქცევი. კალოზე დახტუნაობენ ბრმა ციყვები. ციყვები შეიძლება კეთილები არიან, მაგრამ თავიანთი სიბრმავის გამო იქცევიან ასე. ჰოდა, გარბი-გამორბიან, თან მღერიან. ისინი ვერც იმას ხვდებიან, რომ ამ თავიანთი ხტუნვა-ხტუნვით სევდის კალო ილეწება. გინდა, თუ არ გინდა დღეში ამინდი შეიძლება ათასნაირად შეიცვალოს. ხან იწვიმოს ანდა ქარი ამოვარდეს. ორივე შემთხვევაში, სევდის კალო ქრება. წვიმის დროს წყლის ნიაღვარს მიაქვს სევდა. ქარის დროს კი ქარი გაფანტავს უსასრულობის სივრცეში. დგას შინაგანი მე და ფიქრობს. რა კარგი ყოფილა დუმილი. გული განთავისუფლდა. არ დაჭირდა ახსნა განმარტება. რატომ? რისთვის? სიცოცხლე გააგრძელა დუმილმა, მარტო, სულ მარტო, თავის კეთილ გულთან ერთად. მიდის დუმილიანი გული და ფიქრობს, კიდევ რა მოასწროს, რა შექმნას. ცდილობს ამოწუროს თავისი შესაძლებლები, რათა წარსდგეს უფალთან!

ჰუბლიკა

გულნაზ ხარიშვილი (ცისკარელი)

ერთ სიტყვას ვუცდი

სხვისი საუბრის გადმოტანა ფურცლებზე არ არის ადვილი მაგრამ, შევეცდები შინაარსი გადმოგცეთ. ქალბატონი რომელმაც, თავისი ცხოვრების ერთი ეპიზოდი მიამბო, ისეთი ტკივილი ჩამიბუდა გულში ამაფორიაქა და წერა დავიწყე:--

მამაჩემმა მოკლა ჩემი ბავშვობის ოცნებები. მე უფროსი შვილი ვარ. მამას სიცოცხლეზე ძალიან ვუყვარდი და ასე ვიყავი მეც. ჩვენ ოთხი დები ვართ . ისეთი სიყვარულით ვიზრდებოდით ერთ ლუკმას შუაზე ვყოფდით და ხელიხელ ჩაკიდებული დავდიოდით. მამა ხშირად ეკამათებოდა დედჩემს ბიჭი რატომ არ გყავსო. ერთ დღესაც სახლის კარები გაბრაზებით გაიხურა და სახლიდან წავიდა. მთელი ტვირთი მე დამაწვა. ვცდილობდი დედას ყველანაირად დავხმარებოდი და ოჯახური ტვირთი შემემსუბიქებინა. ბებია მამის დედაც გულდაჭრილი უყურებდა შვილისგან მიტოვებულ რძალს და შვილიშვილებს. რა ექნა ბებიაჩემს თითქოს რცხვენოდა კიდეც შვილის გამო. დღე და თვები გადიოდა და მამა სახლში არ მოდიოდა. ღამით ჩუმად ვტიროდი. დილით სველ ბალიშს გადავატრიალებდი რომ, დედას არ ენახა. მამის მონატრებაში გავიდა ოთხი წელი. მამაჩემი ჩვენს სითბოს ვიღაცა უცხო ქალს უნაწილებდა. რამოდენიმე წლის შემდეგ თავისით დაბრუნდა. გასაოცარი ის იყო რომ, დედამ აპატია. კვლავ აღსდგა ოჯახი . ერთი წლის შემდეგ დაიბადა ბიჭი. მე მაშინ თორმეტი წლის ვიყავი და ჩემ ძმას თითქმის მე ვზრდიდი. სკოლაში ძალიან კარგად ვსწავლობდი. ყველანაირ ხალხურ ინსტრუმენტზე ვუკრავდი, მღეროდი, ვცეკავავდი. გავიდა რამდენიმე წელი და მამა ისევ წავიდა სახლიდან. წავიდა და აღარც დაბრუნებულა. ერთ ქალბატონთან შექმნა მესამე ოჯახი. გაუჩნდა შვილები, გოგოც და ბიჭიც. იმდენად ქონდა შუბლზე გაწყვეტილი სინდისის ძარღვი რომ, ჩვენთანაც მოდიოდა სახლში. დედაჩემი ხმას არ იღებდა. ბოლოს შვილებიც მოიყვანა. დედაჩემი მამაჩემს არ ესაუბრებოდა მაგრამ, ბავშვებს ეფერებოდა. ჩემი შვილების სისხლი არიანო და ბავშვებსაც უყვარდა დედაჩემი. მტკიოდა დედაჩემის დუმილი და მაოცებდა მისი მოთმენა. სკოლაში კარგად ვსწავლობდი , ვოცნებობდი რომ, მიმეღო უმაღლესი განათლება. ასეც მოვიქეცი დედაჩემმა და ბებიაჩემმა ყველაფერი გააკეთეს რომ გული არ მტკენოდა. ჩავაბარე თბილისში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ძალიან ხშირად არანაირი საშუალება არ გვქონდა თუნდათ გზის ფული თბილისში რომ წავსულიყავი. ნაკოწიწები ფულით მაინც ახერხებდა დედაჩემი ჩემს ყურადღებას. ყოფილი მეუღლე უნივირსიტეტში გავიცანი.

მარჯვე და ნიჭიერ გოგოს გამომიჩნდნენ თაყვანისმცემლები. გაცნობიდან მალევე ოჯახის შექმნაზე დამელაპარაკა. მართალია გათხოვება ნაადრევ ასაკში ვერ წაედგინა მაგრამ, ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე სხვა გამოსავალსაც ვერ ვხედავდი... მე ხომ სწავლა ძალიან მინდოდა... სწორედ ამის გამო იყო რომ, ყოველ დღე ცრემლების ზღვაში ვცურავდი და მამას ვადანაშაულებდი. ის რომ სახლში მყოლოდა არ გამიჭირდებოდა და სტუდენტურ ასაკის სილაღეს მეც შევიგრძნობდი. მალე მოვიდა მეუღლის ოჯახი ხელის სათხოვნელად. მართალია მიზანდასახული გოგონასთვის რთული გადასაწყვეტი იყო მაგრამ, მაინც გადადგა ეს ნაბიჯი, რადგან მეუღლის დედა დაპირდა რომ ასწავლიდა. მართლაც დედამთილმა თავისი დანაპირები შეასრულა და სწავლაში ხელი შემიწყო, მხოლოდ ფაკულტეტი შემაცვლევინა. ჩვენ ჟურნალიტი რძალი არ გვინდაო. ფილოლოგიური დავამთავრე. შვილებიც გამიჩნდა , ორი ულამაზესი გოგონა. ჩემი მეუღლე მოცეკვავე იყო. ერთად როცა ვცეკვადით ყველა ჩვენ დაგვნატროდა. ფიზიკურად შევეფერებოდით ერთმანეთს. მე ის შემიყვარდა. დავიწყე მუშაობა. თანამდეობაც მქონდა და სახლში დიასახლისიც ვიყავი. ჩემი დედამთილი შვილგარდაცვლილი დედა იყო და ჯანრთელობა შერყე-

ული ხან მეფერებოდა და ხან კი სიცოცხლეს ჯოჯეხეთად მიქცემდა. ახლა მე ვიტანდი დედაჩემივით ყველაფერს. ბოლოს გაჭირდა ცხოვრება და იძრულებული გავხდი ემიგრანტი გავმხდარიყავი. ასეც მოვიქეცი. ოჯახში ფულს ვუგზავნიდი და მათ ეკონომიურად აღარაფერს ვუჭირვებდი. დატოვებულმა მეუღლემ ჯერ საყვარელი გაიჩინა და მერე ცოლადაც აღიარა. დღეს ემიგრანტი ვარ. მხოლოდ შვილებით ვხარობ ჩემს შექნილ სახლკარში კი სხვა არის დიასახლისი. ყველაფერს ყველას ვაპატიებ და მამაჩემს არა. იმან მოკლა ჩემი ბავშობა. სულ ვფიქრობ და ვნატრობ იმას რომ, მამამ იგრძნოს თავისი დანაშაული. მინდა მითხრას ,,შვილო მე შენთან ვტყუივარ". ის ერთი სიტყვა იარას მომირჩენს. მე არ ვეტყვი. თვითონ უნდა იგრძნოს. იმ ერთ სიტყვას ვუცდი. ერთი სიტყვა გახდება ჩემი გულისტკივილს წამალი. ნაამბობმა ამაფორიაქა და როგორც შევძელი ისე მოვიტანე მკითხველსმდე. დავწერე იმიტომ რომ, მამაკაცებმა საკუთარ სიამოვნებაზე წინ შვილები უნდა დააყენოს. როცა მამას ისე ძალიან უყვარდა თავისი გოგონა, ერთხელ შვილის თვალებშიდაც ჩაეხედა. როგორც თვითონ მიამბო, უკვე მომწიფებულ ასაკში იყო და სკოლის პერიოდში იქნებ სიყვარულსაც უნდა შემოეღო მისი გულის კარები. ამ ჩანახატის გმირს უფრო მეტი ტკივა ვიდრე აქ დავწერე . შევეცადე მისი გული ხელმეორედ არ დასერილიყო. თუმცა როცა საუბრობდა ვგრძნობდი რომ ტკიოდა , უსაშველოდ ღრმა სევდიან თვალებში შიგნით კიდევ მეტი ტკივილი იმალებოდა. ბოლოს შევეკითხე რა დაგამშვიდებსთქო. ამოიოხრა და თქვა : მე მამას ვგავარ, ფიზიკურად. ის ჩემი მამაა, ერთი სიტყვა გახდება ჩემი გულის წამალი. ,, შვილო მაპატიე".

ცისარტყელა

რუსთავიდან ქარელის რაიონში ჩავედით მე და ჩემი შვილიშვილი ნანა სხირტლაძე არჩევნებში ხმის მისაცემად.. გზაში ვდუმდით უთქმელად განვიცდიდით ერის ბედს. სადაც სალოცავებს დავინახავდი, ხმამაღლა ვავედრებდი საქართველოს და თოთოეულ ადამიანის სიცოცხლეს და კეთილდღეობას. ნანა საჭესთან იჯდა. წვიმდა. წვიმას სიცივე ემატებოდა და არასასიამოვნო განწყობას ქმნიდა. ცაზე ცისარტყელა გამოჩნდა. კარგი და მზიანი ამინდი რომ ყოფილიყო ამას ჩვეულებრივ მოვლენად მივიჩნევდი მაგრამ, წვიმა და ცისარტყელა?

დაე, ხვალიდენი დღე საქართველოს ბედი ცისარტყელასავით მრავალფეროვანი და ზეაღმატებული ყოფილიყოს. იქნებ მოხდეს სასწაული. ცხრა აპრილიდან დაწყებული, კლებადობა და დაფანტული ქართველები წვიმის დროს ადიდებულ ზღვის შტორმს გავრან! იქნებ სულის ცისარტყელამ დაიბუდოს თითოელი ქართველის გულში. იქნებ!!!

ჩვენ ყველანი ერთად!!!

ქართველი კაცის სახეა ერეკლე საღლიანი.. სადაც ერეკლე არის იქ არის მთელი საქართველო. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიაში მას ხვდებიან როგორც ღმერთკაცს. ღირსეულ ქართველს..კლასიკურ განათლებასთან იუმორი ისე შერწყმია როგორც, საკუთარი ორგანიზმი. ერის დარდს ბატონი ერეკლე ზოგჯერ იუმორით აქარწყლებს. თავის ღრმა კლასიკური ცოდნით გახსენებს თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი. განათლებული და კაცთმოყვარე. საჭიროების შემთხვევაში დამთმობიც ზოგჯერ კი მკაცრიც. საქართველოში უამრავი ორგანიზაციები არის შქმნილი. ბატონ ერეკლე საღლიანს ყველგან ნახავთ. ყველგან მიდის გუღიათ, ალალად და ვაჟკაცურად. ეს სურათი გადაღებულია პოეტი ეთერ ჭელიძის საღამოზე. ეს ორი პოეტი ეთერი და ერეკლე სვანეთში გაზრდილია და ცხოვრების ბილიკებზე. უშეცდომოდ დადიან ბევრჯერ ძალიან რთულ და რთულ.გზებზე. სვანეთის მთებში პოეტები პოეზიის ფრთებით ცის ლაჟვადებიდან დაყურებენ უშბასა და თეთნულდს. საჭიროების შემთხვევაში გაჩუმებაც შეუძლიათ. ესეც დიდი ადამიანიბაა. დუმან თევზებივით და მათი დუმილიც განსხვავებულია ისე ვით უამრავ თევზებში ლამაზი კალმახი. სურათშუ არიან ხათუნა ელისაშვილი და მზია ელიაძე.
ორივე ქალბატონი აკადემიის ღირსეული წევრები და განსხვავებული ნიჭით დაჯილდოვებული არიან. ჩვენ ყველამ ერთად ვიზეიმეთ ეთერ ჭელიძის წიგნის დაბადება!

მაკა ბურდულის საჩუქარი

დიდი კინო მსახიობის გუჯა ბურდულის ქალიშვილო, მიიღე ჩემგან წითელი ვარდები საჩუქრად. ვარდი სიყვარულის სიმბოლოა. ეს ზეციდან გამოგიგზავნა დედიკომ და მამიკომ. ჰო, ასეა. შემსრულებელი ვარ მე. ეს ცხოვრება ასეა. ყველაფერი რაც ხდება ან რაც უნდა მოხდეს ერთმანეთ კავშირშია. ციდან წვიმა და თოვლი რომ არ მოვივიდეს დედამიწა ვერ ისაზრდოებს. ანდა პირიქით. დედამიწაზე გაზრდილი ადამიანების სულები ზეცაში გადაინაცვლებენ. ისინი არ კვდებიან მიდიან. იქ ის ადგილი ხვდებათ აქიდან რა სახელითაც წავლენ. მზე, მთვარე და ვარსკვლავები ჩემი წარმოსახვით ადამიანთა სულებია. შენი ხელოვანი მშობლების ორი ვარსკვლავია ცაში. დილით ცხრა სღთზე შენგან ჩემს პოსტზე კომენტარი იყო. სიტყვა-სიტყვით ვწერ დაწერილ სიტყვებს აი , ისიც:-– რა საინტერესო და იდუმალებით მოცული ისტორიაა. უკვე გამზადებული კინო სცენარია. სათაურიც თავისით მოვიდა ,,ქართული შექსპირი". მკვლევარების აზრით ,,შექსპირი" ფსევდონიმია ერთი სამეფო გავლენიანი გვარის პირის პერსონა რომელსაც, სახელის გამხელა არ შეეძლო. მან საზოგადოებას დაუმალა თავისი სახელი. ამიტომ ჩავთვალე რომ, ეს ამბავი ერთმანეთს გავს. ბედნიერ თანამშრობლობას გისურვებთ ქალბატონო გულნაზი . თქვენ კი იცით,, ათინათის " ყველა გამოცემა რომ მაქვს სახლში. თქვენი ლექსი გულზე ისე მომხვდა სულ ცრემლები მადინა ალიონზე. შუაგულ ევროპაში კი, იცით რომ საფრანგეთში ვარ. ახლავე ფოტოს გადავიღებ და გამოგიზავნი ჩემი ვალის ტერასიდან, ბოლომდე რომ, შეგიქმნათ შთაბეჭდილება თუ რა გარემოში გავეცანი ამ თქვენ პოსტს.

პასუხი მაკა ბურდულის:– ქალბატონო მაკა, ჩემს ცხოვრებაში ბევრი იდუმალებით სავსე ისტორიები ხდება. გარდა მაგისა რომ, ისეთი პოეტი ,,უცნობი" გამოჩდა და რომ, ჩემი ტკივილი გულში მოხვდა და მან ლექსებთან ერთად ,,ათინათის" საფასური იმაზე მეტი გადაიხადა ვიდრე ეს ჩემი ოფლით ნაღვაწი ღირდა. ერთი ვერსია ასეც შეიძლება იყოს რომ, დედის სითბო იგრძნო ალბათ ჩემში. ვინ იცის ან ვინ გაიგებს რეალურ სიმართლეს. ის კი გავიგე რომ, როცა ჩემი ,,ათინათი" მიდის ცრემლებს ღვრის. იცი რა საყვარელო? კიდევ ბევრი რამ არ იცი კინო ვარსკვლავის გუჯა ბურდულის ქალიშვილო. ჩემი აწ გარდაცვლილი ძმის ორი ბიუსტი თაბაშირით შექმნილი და მეორე მეტალში ჩამოსხმული ჩემს სამუშაო ოთახში დევს. თეთრი და შავი არაგვივით მოედინება ჩემს გულში სევდის ნიაღვარი. ეს ბიუსტი ცნობილმა ხატმწერმა და მოქანდაკემ გელა ლარიაშვილმა შექმნა. ეს გაკეთდა ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე. ხოლო მეტალში ჩამოსხმულს თანხა ჭირდებოდა რადგან ეს ბატონ გელას არ შეეძლო ამას სხვა ოსტატი ჭირდებოდა. შვიდი წელიწადი იყო ორი ბიუსტი წყნეთში მოქანდაკესთან. შვიდი წლის შემდეგ ვიღაც ,,უცნობმა" ჩარიცხა თანხა. საფრანგეთიდან როცა ჩამოხვალ აკადემიაში მოდი და დაგხვდება ქანდაკებაში გაცოცხლებული პოეტ ბეჟან ხარიშვილის სული.

მრავალჟამიერ!

როცა ასეთი შვილიშვილი გყავს უნდა გიხაროდეს, ბძოლობდე და უნდა გიყვარდეს! ეს ლამაზი ვაჟკაცი ექიმი ქალბატონის, ირინა ბერიანიძის შვილიშვილია. ირინას ცაში გაცნობილს ვეძახი. დიახ ცაში გავიცანი! ასეა.!.2023 წელს როცა იტალიიდან ვბრუნდებოდი ჩემს საყვარელ შვილიშვილ ნანასთან ერთად, აეროპორტში სიმპატიური ქალბატონი ახალგზრდა ვაჟს ესაუბრებოდა. ვაჟი იურიდიულ საკითხებს დამაჯერებლად ხსნიდა. ორივე პიროვნებას ქალბატონს და ბატონს საუბრის დროს ეტყობოდათ კლასიკურად განათლებულობა. ქალბატონმა ჩემ შვილიშვილს მოკრა თვალი და გაკვირვებულმა იკითხა. – თქვენ აქ არ ცხოვრობთ? – არა! მე ბებიას ვახლდი. გასცა ნანამ პასუხი. ბებიას? – მანქანით რა კარგად გვემსახურებოდი ექითა ჯგუფს. ნანას მშვიდად გაეღიმა. მე მთხოვა ქალბატონმა ხათუნა კილაძემ რომ, ტურისტულ კომპანიას მომსახურებოდი. ასე კარგად იცით იტალია? არა პირველად ვარ. ნანას პასუხმა უცნობი ქალბატონის სახეზე გაკვირვება ასახა. უცებ გამოაცხადეს თვითფრინავში მგზავრების ჩასხდომა. ქალბატონი ახლა იმ არისტოკრატ ახალგაზრდას მიუბრუნდა რომელსაც, ესაუბრებოდა და სთხოვა . ამ

ქალბატონს ტვირთი გამოართვი და თვითფრინავამდე მიატანუნეო. თავი უხერხულად ვიგრძენი მაგრამ, დრო აღარ ითმენდა და ასე გავხვდით ერთი მგზავრები ზეცაში მე და ქალბატონი ირინა. თუმცა ბილეთმა საკმაოდ

დაგვაშორა ერთმანეთს. ნანა ირინასთან მოხვდა მე კი დავრჩი მარტო უცხო მგზავრებთან ერთად.

ქუთაისამდე თვითფრინავი ცის სივრცეში გედივით მიცურავდა თეთრ ღრუბლებში. მერე კი ღრუბლებსაც საკმაო მანძილით მოცილდა და ლურჯი ცის სახლში თითქოს ერთ ადგილზე გაჩერდაო ისეთ განწყობას ქმნიდა. ზეცაში ყოფნისას გარდაცლილთა სამყარო ჩემს წინ იშლებოდა. სულებთან სიახლოვეს ვგრძნობდი. ფიქრის ნეტერაბაში ჩაძირულს ჩამეძინა და კივილმა გამომარკვია. შეშინებული მგზავრები მამა ჩვენოს გაკიოდნენ. ვხედავ ზეციდან დაბლა მიწაზე სახლები ჩანან. თვალებს ვახელ და ვკითხულობ კივილის მიზეზს. თვითფრინავმა აკვანივით რწევა დაიწყო და კვლავ თეთრი ღრუბლების მაღლა მოექცა. თბილისში დავჯდებით გამოაცხადეს და ბედს მინდობილი უხმოდ გავიტრუნე. უკანა რიგის მგზავრი ცუდად გახდა. ექიმი დაეხმაროს, ცუდადაა ყვირის მგზავრთა უმრავლესობა. ჩქარე უშველეთ ყვირიან ერთხმად. ასეთ ორომტრიალში ჩამოვაღწიეთ თბილისამდე. უკვე ძირს ფეხი დავადგით. შეშინებული თვალებით შვილიშვილს დავეძებ. ნანა კი მე დამეძებს და ამ ქაოსში წავაწყდი ხალხის ბრბოში ექიმად მოვლინებულ ირინას. ამ ლამაზი ვაჟკაცის ბებიამ ძალიან ბევრი ადამიანი იხსნაშიშისგან გამოწვეული ინფაქტისგან. ზეცამ დაგვამეგობრა მე და ირინა ბერიანიძე ერთმანეთს. ბოლოს როცა ჩვენი გზები პოეზიითაც გადაიკვეთა გავიგე რომ, ერთ დიდ დარდიანი ქვაბის ჩახარშული გულით კვალავ სხვათა მოფიქრალებიც ვყოფილვართ. როცა ამ ლამაზი ვაჟკაცის სურათს წავაწყდი ფეისბუქის გვერდზე მიხვდი ირინას სიხარულის მიზეზს. ასეთი შვილიშვილის ბებია ყოველთვის სიცოცხლეზე შეყვარებული უნდა იყოს რადგან, გარდაცვლილი ვაჟკაცის ფესვებს ლამაზი ყლორტები ამოუყრია. მერაბი ბერიანიძე ნიჭიერი და ზრდილობიანი ახალგაზრდა ირინა ბერიანიძის გარდაცვლილი შვილის ვაჟკაცია. ქალბატონ ირინას ნამდვილად აქვს სიხარულის მიზეზი. უნდა უხაროდეს რადგან, მისი სიხარულის მიზეზი შვილიშვილი მერაბიკო ბერიანიძეა. ,, ის მშობელი არა კვდება ვისაც კარგი შვილი რჩება".

გაიხარე და გამრავლდი საამაყო შვილო.მერაბი. მრავალჟამიეროთი შეხვდი 22-ე საუკუნეს!

თოთხმეტი ოქტომბერი



დღეს მცხეთობაა . ამ დიდ დღესასწაულს ვულოცავ სრულიად საქართველოს. მე კი ხელში ვატრიალებ ნაჩუქარ წიგნებს და მიხარია. წიგნი დიდი მწერლის ბატონი რეზო მიშველაძის ,,ახალი ნოველები" და ეთერ ჭელიძის მეექვსე პოეტური კრებული ,,ჩემი სამზეო". 355:გვერდიანი წიგნის რედაქტორი არის რუსთაველის პრემიის ლაურიატი ბატონი რეზო მიშველაძე. რა დამთხვევაა. ისე მიხარია სიხარულის ზღვიდან გამოსვლას არც ვაპირებ. მინდა შიგ დავრჩე და ასე გავათენო დილამდე. ,,პოეტის მსგავსად არავის უყვარსო ამბობს ეთერ ჭელიძე და პოეტის მსგავსად არავის ტკივაო. გაბედულად მუზებს აცეკვებს მზის როიალზე. ძერწავს ბგერათა ლერწმებს. ქსოვს ანბანთა რითმებს. ,,პოეტი რადგან არავის არ ჰგავს" ამბობს და ვაზის ლერწივით სიტყვებს ფურცელზე ქარგავს. ძალიან მტკივნეულად აღიქვამს მიტოვებულ სოფლებს. წიგნის პრეზენტაცია მაღალ დონეზე ჩა-

ატარა პოეტმა შორენა მამალაშვილმა და მსახიბმა მალხაზ გაბუნიამ. ეთერ ჭელიძის სახით საქართველოს ყავს მებრძოლი, უღალატო და ღირსეული პოეტი. ეთერ ჭელიძეს 13 ოქტომბერს პოეტს სიმშვიდის ლამაზი გაზაფხულიც ჰქონდა, რადგან, თორმეტი წლის ემიგრაციაში მყოფი პოეტი და მალვინა ჭელიძე საქართველოში დაბრუნდა. ექვსი დედმამიშვილის, შვილებისა და შვილიშვილების ცეკვა და სიმღერა ერთიანი საქართველოს სახეს ქმნიდა. პოეტმა ეთერ ჭელიძემ დამსახურებულად მიიღო მწერალთა კავშირიდან გიორგი ლეონიძის პრემია და ოქროს მედალი. გილოცავ ღირსეულო ქალბატონო, პოეტო ეთერ ჭელიხძევ ამ დიდ აღიარებას!

სულის სამრეკლოდან

თოვდა... მერე ქარიშხალიც ამოვარდა, მივდივარ წინ და უკან არ ვიხედები.. მოვიხედავდი... შემოვტრიალდებიდი რატომაც არა. რომ მოვბრუნდე უნდა მჯეროდეს, უნდა ვიცოდე მზე რომ, სხივებს შემომაფენდა ნათოვლარ გულზე. ასეთი მზე აღარ არსებობს ჩავიდა.

,, გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა". გარდაცვლილები მიდიან და მოდიან მაგრამ, ჩვენ ვერ ვხედავთ. ჰოდა თოვდა... გზად მიმავალს ფიქრმა იმედიანი დღე გამახსენა. ,,უცნობი" რომელიც, იბეჭდება ,,ათინათში". ჰო, მხვდება გზის ბილიკებზე ისეთებიც რომლებიც, ღვთის გზავნილებია.ასეთია ლონდონში მცხოვრები ქართველი ქალბატონი მზია კვირიკაშვილი. დღეს 5 ოქტომბრია. მიყვარს რიცხვი ხუთი, ჩემს დაბადებას მახსენებს. საჩხერის რაიონის სოფელ ხვანის გვერდზე მდინარე ძირულის ტალღებში შეპაექრებულ ბავშობაში მაბრუნებს. ფიქრებდამძიმებულმა სამსახურის კარები შევაღე. ფეხის ხმამ შემაფხიზლა ნორიკო მგელაძე მოვიდა. ლამაზი ბაგის ღიმილით შემეგება უსაყვარლესი ქალბატონი. ნორიკოს ნესტან ხარებავა მოყვა. შევიკრებეთ პოეტები. დედი ვის ვხვდებით? კითხვას მისვამს ნორიკო მგელაძე. დიდ ბატონს და ორ ქალბატონს სასწრაფოდ

გავეცი პასუხი და ფეხზე წამოვდექი. ოთახის წყობა შევცვალით ვთხოვე მეგობარ პოეტებს. ძალიან ჩქარე ოთახი გაივსო სასურველი სტუმრებით.

დაიწყო მყუდრო ...ღვთით ნაკურთხ კედლებში თბილი საღამო. აკადემიის დიდ ოჯახს შემოემატა ჩემი საჩხერის ღირსეული პოეტი ბატონი ნიკოლოზ კურტანიძე. თბილისის სეუს ლექტორი ქალბატონი ეთერ მამაცაშვილი და თბილისელი პოეტი ქალბატონი ლია ენისლელი. ბატონ ნიკოლოზის პოეზიას ვიცნობდი რადგან, ქალბატონი მაია ტყემალაძის წყალობით გავიცანი ეს დიდი პიროვნება რომელსაც, მთელი თბილისი და დასავლეთ საქართველო იცნობს. ბატონი ნიკოლოზის ლექსები დაბეჭდილია ,,ათინათის" 53 ნომერში. მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში ჩატარდა ,,ათინათის" პრეზენტაცია და ბატონი ნიკოლოზი მკითხველებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს. საღამოს უხღვებოდა ყველასათვის ცნობილი პიროვნება ბატონი თემურ გოგსაძე. თემურ გოგსაძეც ჩემი მაია ტყემალაძეთი გავიცანი. უფრო სწორად შოთა რუსთაველის პროექტმა გამაცნო. როცა მაიკო კარდაკარ, ქალაქიდან ქალაქში დადიოდა რათა შოთა რუსთაველის თითო სტროფის გადაწერით შოთას სულს შეხმიანებოდა. ჰო, მაია ჩუმად დიდ საქმეებს აკეთებს. 5 ოქტომბერს დიდი პატივი იყო ბატონი ვალერ მოსიაშვილის მობრძანება აკადემიაში. ვალერი მოსიაშვილი სეუს სრული პროფესორი და დეკანი რეკომენდაციას უწევდა, თავისივე თანამშრომელს ლექტორს, ქალბატონ ეთერ მამაცაშვილს. მესამე კანდიდატურა კი ქალბატონი ლია , პოეტები საქართველოს" დამფუძნებლის პოეტი მანანა სამყურადვილის კანდიდატურა იყო. არ ველოდი, მართლაც არ ველოდი ასეთ ძლიერ ქალბატონს. თხუთმეტი წელიწადი გავიდა აკადემიის ხელმხღვანელი ვარ და ასეთი აღფრთოვანება არასოდეს მიგვრძნია ლექსის წაკითხვის დროს. მოულოდნელად ჩემი მოფერება დაიმსახურა მისმა შევერცხლილმა თმებმა. მადლობა უფალო ამ დღისათვის. თოვდა .... საშინელი ამინდი იყო, მიწას მივაბარეთ თბილისში პლეხანოვზე მცხოვრები ულამაზესი მულიშვილი კობა. მერე კი მესამე დღეს ჩემი საყვარელი მაზლის ცოლის დის დაკრძალვას ვერ დავესწარი. ჰო, თოვდა ... მდუღარე ცრემლს აყრიდნენ დათო და პაატა თავის გამზრდელ დედას და მე კი მათ გვერდზე არ ვიყავი. თოვდა... ეს თოვლი ჩემში ზამთარ ზაფხულ არის. ... და მაინც სიცოცხლე მიხარია რადგან, სიყვარულს უშურველად გავცემ ჩემი პატარა სულის სამრეკლოდან!

სასურველი სტუმრები აკადემიაში

ჯუმბერ ლეჟავს სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრი არის ქალბატონი ნელი ტორონჯაძე. ის საკმაოდ დიდი ხანია ემიგრანტია. იმერელი თბილი ქალბატონი მზის სხივებივით შორიდანაც წვდება მეგობრებს და გულუხვად აჯილდოვებს სიყვარულის ელექსირით ყველას. თუ არ დათესე ისე სამაგიერო ყურადღებას არ მიღებ არავისგან. დღეს გადატვირთული რეჟიმით ვმუშაობდი აკადემიაში. ტელეფონმა შემახსენა ზარის წკრიალით თავის არსებობა. ხმით ვიცანი ქალბატონი მარინა. წინა დღით დარეკა და ,,ათინათის" სხვადასხვა ნომრის

"წაღებას ითხოვდა. ავუხსენი თუ როგორ უნდა შევხვედროდით და რამოდენიმე ხანში აკადემიაში სასურველი სტუმრები მეწვივნენ. მოვეფერე და მომეფერენ. არ დამავიწყდება მარინას გაბრწყინებული თვალები. ,,ათინათი " და ანთოლოგია გულში ჩაიკრა და ისე გადაიღო სურათები. ამას ქვია მეგობრობა. ქალბატონო ნელი შენგან დათესილი სიკეთის მარცვალი აკადემიაში ამოჯეჯილდა და მჯერა ხორბლის თავთავად გადაიქცევა. გასაოცარი ის იყო რომ, ორივე ქალბატონი ძალიან გავდა ერთმანეთს. ერთი შეხედვით დები მეგონენ. საყვარელი ნელი, გამახსენდა ძველი ანდაზა. ,, მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ" . კარგ და კე-

თილშობილ ქალბატონს არ გამოგილიოს უფალმა ასეთი ძვირფას ქალბსტონებთან ურთიერთობა!

ბიძაშვილ-მამიდაშვილი

ახალი ტკივილი შეუსახლდა გულს ისედაც დასეტყვილს და დამძიმებულს. ბიძაშვილის გზა აირჩია მამიდაშვილმა და წავიდა კობა გელსთან. ჩემი მული მერვე კლასში იყო როცა მე ოჯახის რძალი გავხდი. გაკვეთილების მომზადებაშიც ვეხმარებოდი და თითქმის ერთად დავიზარდეთ. როცა ოჯახში ჩემი შვილი გაჩნდა ძმიშვილი ისე შეუყვარდა ხშირად ამბობდა ნეტა ვინ უნდა მიყვარდეს ამაზე ძალიანო. პატარა გათხოვდა თბილიში თვითონაც შვილები შეეძინა და სიყვარული და ერთიანიბა იზრდებოდა. ჩემმა შვილებმა სტუდენტობა მამიდასთან გაატარეს. არდადეგებზე ერთად იყრიდნენ თავს ბიძაშვილ-მამიდაშვილები. ლუკმა და სიყვარული თანაზიარი იყო. კობა და გელა კეთილი ცელქები იყვნენ. თავისი სიცელქით სხვას არაფერს უშავებდნენ. ახლა კი ცაში გააგრძელებენ მარადიულ მგზავრობას. ნათელში იყავი შვილოვით საყვარელო მულიშვილო კობა!

ცელქი ბიჭი

ეს ცელქი ბიჭი ნანა გიგუაშვილის შვილიშვილია..,ათნათის" პრეზენტაციაზე მოვიდა თავის დედიკო ეკასთან ერთად. ისე შინაურულად იქცეოდა ყველას ყურადღებას იქცევდა. ბოლოს ანსამბლ ,,ლალეს" ბავშვებს წაწვდა. ვერცხლისწყალივით მოტრიალე ცელქმა ბიჭუნამ ჩემი ყურადღებაც მიიქცია ამიტომ მასთან სურათი გადავიღე. ასეთია ჩემი პროგნოზი. ისეთი ვაჟკაცი დადგება თავის ლამაზ სიტყვას იტყვის ქართულ საზოგადოებაში და მშობლებსაც გაახარებს!

შეუფასებელი საჩუქარი ჭელიძეებისგან

უნიკალურ წიგნებზე ,, სვანეთის ისტორია" მინაწერი დიდი პატრიოტული ნიჭიერი ქართველის ბატონი გოჩა ჭელიძისგან.

ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს!

თქვენ თქვენი ენერგია დაუშრეტელი მოღვაწეობით ფასდაუდებელ ღვაწლს ეწევით ქართული მწერლობის განვითარების და პოპულარიზაციის საქმეში.
თესავთ სითბოს, სიყვარულს და სიკეთეს.
ვიცი როგორ გიყვარს საქართველოს
ძირძველი მხარე სვანეთი. სწორედ ამიტომ, დიდი პატივისცემით მოგართმევთ ჩემი შრომის ნაყოფს.
გიჩა ჭლიძე 11 – 09 – 2024 წელი.
...
და მეორე
*
ციური სხეულის ნათება ,,თამარ მეფე "
ბატონი გოჩას მინაწერი
*
ქალბატონო გულნაზ ხარაიშვილს
*
ვიცი როგორ გიყვართ საქართველო!

ისიც ვიცი როგორ გეამაყებათ თამარის ეპოქა.

*

პატივისცემით გოჩა ჭელიძე
11 – 09 – 2024 წელი.
****
მესამე საჩუქარი პოეტ ეთერ ჭელიძისაგან

*

ჩემი სამზეო

ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილს

დიდი სიყვარულით ავტორისაგან
14 – 08 – 2024 წელი

წიგნის რედაქტორი გახლავთ რუსთაველის პრემიის ლაურიატი ბატონი რეზო მიშველაძე.

ამონარიდი ბატონი რეზოს სიტყვებიდან:

,,ეს ის სვანეთია, სადაც ერთსულოვნება ისე ძლიერია რომ, ყველა ერთად გამოკრავს ხელს ჩახმახს, რათა ორაზროვანი, ორჭოფი კაცის გამონაკლისი ფიქრი არ დაუტოვოს ისტორიას.

(რეზო მიშველაძე)

ეთერ ჭელიძის პოეზიას კლასიკოსი მწერლის სიტყვები დასტურია იმისა რომ, ეთერ პოეზიის სამყარო უკვდად შემორჩება ქართული პოეზიის სამყაროს.

*

,,ათინათის" 53 ნომრის პრეზენტაციაზე ფასდაუდებელი საჩუქრებით დავბრუნდი სახლში.
53 ნომრის საბოლოვო შედეგი გაანალიზდება 14 სექტემბერს, მირზა გელოვანის ბიბლიოთეკაში. ღონისხიებას წაიყვანს ცნობილი პოეტი ბატონი თემურ გოგსაძე. ათინათის შეფასდება პრეზენტაციების შემდეგ დაიწერება.

დუმილი

იქნებ მართალიცაა რომ, ხატმწერისა და მოქანდაკის გელა ლარიაშვილს ერთ-ერთი საუკეთესო შედევრია, ახალგაზრდა 30 წლის გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილის ბიუსტი? იქნებ მე ვცდები როგორც ბეჟანის დედმამიშვილი? მოქანდაკემ პოეტი თეთრი ხილვის დროს ღამით ისე შექმნა რომ, შუქიც არ აუნთია . მე ბეჟანის უფროსი და ვარ. ჩემი ძმა ჩემს ხელში გაიზარდა. მახსოვს მისი სახე. ახლა როცა ქვაში გაცოცხლებულ ბეჟანის სურათს ვუყურებ იმდენად გავს გეგონება ცოცხალ ადამიანს სურათი გადაუღესო. სახის ნაკვთით , თმის ვარცხნილობით. მოწესრიგებულმა და პეწენიკა ბეჟანიმ 2024 წლის 6 სექტემბერს შემოაღო ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის კარები. ორმა ხელოვანმა მოაცილა დაიკოს სამუშაო ოთახამდე. ხატმწერმა და მოქანდაკემ გელა ლარიაშვილმა და ცნობილმა ოსტატმა სოსო ზურაბიშვილმა რომლის, ხელითაც ჩამოისხა პოეტი ბეჟან ხარაიშვილის ბიუსტი. კრძალვით და თავდახრით მივმართავ რუსთაველის პრემიის ლაურეატს დიდ მწერალს ბატონ რეზო მიშველაძეს. უამრავი სტუდენტის ამღზრდელო ბატონო რეზო, თქვენ როგორ გენახსოვრებათ ყოველ დღე ვის რა შეფასებას აძლევდით? მე შენახული მაქვს ბეჟანის ჩათვლის წიგნაკი რომელსაც თქვენი ხელით ჩაწერილი ხუთები ამშვენებს. სამწუხაროა მაგრამ, ფაქტია თქვენი შვილი აჩიკო მიშველაძე რომელიც, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას შეეწირა ახლა ზეცაშია. ამით იმის თქმა მინდა რომ, თქვენი გაზრდილი სტუდენტი ბეჟან ხარაიშვილი და აჩიკო მიშველაძე ერთ დიდი უკვდავების მუხის ქვეშ ჩამომჯდარნი 6 სექტემბერს საქართველოს უკვდავებას შეთხოვდნენ უფალს. ბეჟანი არც

ქალბატონი მაყვალა გონაშვილის დედას დატოვებდა უყარადღებოდ. მჯერა შეეგებებოდა პოეტის დედას და ზრდილობიანად მასაც მარად მწვანე მუხის ქვეშ ჩამოსვენებულს მადლობას გადაუხდიდა ბეჟან ხარაიშვილს მწერალთა კავშირში პრემიის დაარსებისათვის. მადლობა განათლების სამინისტროს, საჩხერის რაიონის ხელმძღვანელობას, ჭალვანის ადგილობრივ თვითმართველობის ხელმძღვანელს, იდეის ავტორს ბატონ დავით შუბითიძეს, ჭალვანის საჯარო სკოლის დირექტორს ბატონ ირაკლი ტეფნაძეს რომ, დაარსებულია ბეჟან ხარაიშვილის სახელობის სკოლა. როცა გარდაცვლილს იხსენებ და აფასებ ამით უფალთან მისვლის გზას იკვლევ. ახლა კი დუმილს ვამჯობინებ რადგან, ისევ ემოციებში ვარ. თუ გუშინდელი დღის ემოციებს სხვა დაწერს ძალიან დამავალებს.

ეს ტკივილიც მეყოფოდა

არაფერი სადარდებელი რომ, არ შემხვედროდა ეს ტკივილიც მომიშხამავდა სიცოცხლეს, 30 წლის ძმის ტრაგიკულად გარდაცვალება. ბედმა მჟეჟა და მჟეჯა. ამ დიდ ტკივილს ბეჟანისას მიემატა დანარჩენი ძმებიც. ყველა სათითაოდ აიკრიფენ ზეცაში. მერე მეუღლე, შვილი, სიძე, ძმიშვილიშვილი რამდენჯერ მოვკვდი უკვე ვეღარც ვითვლი. აჰა, მოვედი თქვენ წინაშე კვლავ სიყვარულით გულანთებული. ლექსს რომელსაც, სურათი გადავუღე დაწერილია 1971 წელს 26 მაისს. ბეჟანის დაბადების წელი არის 1954 წლის პირველი იანვარი. გამოდის რომ, ეს ლექსი დაუწერია 17 წლის ასაკში. რუსთავში ცხოვრობდა დედაჩემის ძმა ვახტანგ შუბითიძე. ბეჟანი ხშირად სტუმრობდა რუსთავის ლიტერატურულ რედაქციას. სიტყვები რომელსაც, ახლა დავწერ არის რედაქტორის წინასიტყვაობა, გვარი აღარ მახსოვს. ,, სამუშაო მთავრდებოდა. რუსთავის გაზეთის რედაქციაში მორიდებით შემოაღო ლამაზმა ახალგაზრდამ კარები და მოკრძალებულად მიმართა დამხდურთ. ,,მაპატიეთ... საკუთარი ლექსები მოვიტანე, დაბეჭვდას არ გთხოვთ , მხოლოდ თქვენი აზრი მაინტერესებს". იმ დღეს სამუშაო დამთავრებული იყოვო წერდა რედაქტორი . თვალი გადავავლეთ ლექსებს და ყველამ ერთხმად ვაღიარეთ, პოეტის საიმედო ნიჭი მისი ბუნებრივი მონაცემები" ეს რედაქტორის სიტყვებია. გავიდა დრო. მოგვიანებით ლექსების გზავნილი გაჩნდა ჩემთანაც . ამჟამად მეც პოეტი ვარ. იქნებ ჩემი ძმის სულსაც ასე უნდოდა რომ, მამა გაბრიელის მადლით მირონცხებულს ლექსის ენა მესწავლა და ბეჟანის ლექსებისთვისაც მეპატრონა? ბეჟანის სურათი წლობით ხელჩანთით დამქონდა. ვერ ვეგუებდი მის გარდაცვალებას და სურათჩახუტებული ვაგრძელებდი ცხოვრებას. როცა პოეზიის გზაზე სიარული დავიწყე, პარალელურად ძმის პოეზიის მზეზე გამოფენასაც შევუდექი. პირველი წიგნი მისმა თანაკურსელმა ლევან ბაბუხადიამ გამოუშვა. მერე ერთდროულად ვიმუშავეთ მე და ლევანიმ და დაიბადა ბეჟანის მეორე წიგნი ,, ხვედრი პოეტთა". პროფესორი ლუარა სორდია დაინტერესდა ბეჟანის

პოეზიით და გამოვუშვა წიგნი სათაურით ,, ქართული პოეზიის მიმინო". ქალბატონი ლუარას კალამს ეკუთვნის ,, სამების სამრეკლო" სადაც განხილულია ბეჟანის ლექსები, ჩემი ძმიშვილის , გვანცა ხარაიშვილის და ჩემი პოეზია. ბეჟანის ერთ ლექსი ჰიტად აქცია ლომისის ანსამბლის ხელმძღვანელმა შალვა ილურიძემ.,,ეს ცხოვრება ბაგირია" . ხოლო ,,ერთი ხე იდგა რუსთავის ბაღღში" არც ერთ წიგნში არ არის შესული. ამას ახლა წავაწყდი ძველ მივიწყებულ სიძველისაგან გაცვეთილ ფურცლებში . ამ ლექსის სიმღერის ავტორი კი ქალბატონი ლია ალადაშვილია. ლია საერთოდ ფანდურზე მღერის. ბეჟანის ლექსი ,, ერთი ხე იდგა რუსთავის ბაღში გიტარაზეა შესრულებული, რისთვისაც დიდი მადლობა ლიას. ხვალ ცრემლიანი სიხარული მელოდება. აკადემიაში შემოდის ბეჟანის ქანდაკება. ავტორი გახლავთ ხატმწერი და მოქანდაკე გელა ლარიაშვილი. ბატონი გელა ბეჟანის არ იცნობდა, მას ჰქონდა თეთრი ხილვა, გამთენისას დილის რიჟრაჟზე უნივერსიტეტის ეზოში ბეჟანისთან გასაუბრება მოუწია, ამის შემდეგ შეიქმნა ბიუსტი რომელიც , ხვალ აკადემიაში შემოვა და დიდი პატივით მიეგეგებება ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის რამოდენიმე წევრი და ბატონი ერეკლე საღლიანი. მოვისიყვარულებ ჩემს ძმას და ბოლოს კი ეს ჩემთვის დიდი საგანძური გადაეცემა, საჩხერის რაიონის სოფელ ჭალვანის ბეჟან ხარაიშვილის სახელოვის საჯარო სკოლას, რომლის დირექტორი არის ბატონი ირაკლი ტეფნაძე.

*

აი, რას წერს ყოფილი ჟურნალი დილის მოადგილე, ბეჟანის თანაკურსელი ლევან ბაბუხადია.

ისტორიული ფურცლები

2916 წლის მიწურული ზამთრის ყინვიანი დღეები და ეკინომიკური კრიზისი დგას საქართველოში.

საზოგადოდ ცნობილია რომ, გაუსაძლისს ვითარებშიც კი ყოველთვის გაბრწყინდება ხოლმე ესა თუ ის მოვლენა, რომელმაც შესაძლებელია სასიკეთო როლი შეარულოს არა მარტო თანამედროვე სულიერ თუ ფიზიკურ ცხოვრებაში არამედ ისტორიაშიც. მხოლოდ ეს ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს ეს მამაზეზიერის გავლენით ხდება და ჩვენ გულხელდაკრეფილი უნდა დაველოდოთ მოწყალებებსა და საოცრებებს.

ამჟამად ჩვენ არ ვსაუბრობთ გლობალური საკითხებისა და მოვლენების შესახებ. ამ შემთხვევაში საქმე ეხება მნიშვნელოვან ლიტერატურულ ფაქტებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენს თანამედროვე ლიტერატურასა და ისტორიაზე.

მოდით, ყურადღების ცენტრშივე მივაქციოთ ახალგაზრდობაშივე გარდაცვლილი პოეტ– ბეჟან ხარაიშვილის პიროვნებას და შემოქმედებას. ბეჟან ხარაიშვილი ,,ლიტერატურულ სარბილზე " , გასული საუკუნის 70 იან წლებში გამოჩნდა. მან იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა შორის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ, მისივე პიროვნებიდან გამომდინარე, მისი შემოქმედება რამოდენიმე ლექსის გარდა, ახლო მეგობრობისათვისაც უცნობი რჩებოდა. მხოლოდ გარდაცვალებიდან შვიდი წლის შემდეგ, 1991 წელს დაიბეჭდა მისი ლექსების მცირე კრებული.

2014 წელს გამოვიდა უფრო სრული კრებული. ,,ხვედრი პოეტთა'. ბოლო დროს მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდება ჟურნალ ,ათინათში". იმართება მისი შემოქმედებითი მიძღვნილი საღამოები.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე მთავარი ის არის რომ, ბეჟან ხარაიშვილი როგორც პოეტი, როგორც შემოქმედი ხელმეორედ იბადება და იზრდება ჩვენს თვალწინ.

ბეჟან ხარაიშვილს პოეზიას გააჩმია განსაკუთრებული ამოუცნობი ხიბლი. ყურადღებით წაკითხვისას ახლებურად შეიგრძნობთ სტრიქონში პოეტის აზრსაც და იდუმალებაშიც მოხვდებით. ამ აზრს კიდევ უფრო ადასტურებს ბეჟან ხარაიშვილისადმი მიძღვნილი დაბეჭდილი წიგნი მონოგრაფია ,,ქართული პოეზიის მიმინო".ასე შეუმჩნევლად მოვედით მთავარ სათქმელამდე. სწორედ ამ ფაქტს ვგულისხმობ,

ქალბატონი ლუარა სორდიას ნაშრომში მოძიებულია და გავლებულია პარალელები როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ლიუტერატურასთან. ჩვენს თვალწინ იკვეთება ახალგაზრდა შემოქმედის მშვენიერი პორტრეტი. ესაა სწორედ ლიტერურის მკვლევართა მისია.

ასე მთავრდება მეგობრის ლევან ბაბუხადიას შეფასება და მე კი ხვალ ბეჟანის და გულნაზ ხარაიშვილი შევეგებები ლითონში გაცოცხლებულ ბეჟანის. ცის ფანჯრიდან კი ცეცხლოვანი თვალებით გადმოაჩერდებიან. ჩემი ძმები.

სიყვარულით გამთბარი გული

2024 წლის შვიდი ნოემბრის ლამაზი დღე, აკადემიაში მიღება და ანთოლოგიის პრეზენტაცია მამა იოსებ სადუნიშვილის ლოცვა კურთხებით დაიწყო. საერთოდ ცხოვრება გავს წელიწადის ოთხ დროს. გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას და ზამთარს. გუშინდელი დღე არც ერთ დროს არ გავდა. იყო განსხვავებული მიწიდან ცამდე ამაღლებული. ქუთაისიდან ჩამოსულმა პოეტებმა, ნინა გაჩეჩილაძემ და ნათია ჯიმშერაიშვილმა დასავლეთის სითბოთი გაათბეს აღმოსავლეთი. მამა იოსების მშვიდ სახეზე სიხარული იკითხებოდა. პატარა აკადემიის ოთახი დააბთო პოეტი ქალბატონების წაკითხულმა ლექსებმა. პოეზია ცისარტყელად გადაიშალა. გაართიანდა ცა და დედა-

მიწა. ლექსებს კითხულობდნენ: ერეკლე საღლიანი, ნინო უძილაური, თემურ გოგსაძე და ნორიკო მგელაძე, ,,გულთან არ დამადო ხელი,

ორმოცი წლის გარდაცვლი პოეტის გულიც გათბა. მტკივა– მტკივა და დანაღმული ვარ მკერდზე ძარღვებით,

ყველაზე დიდი სასაფლავოა გული" (ბეჟან ხარაიშვილი) ტკივილით დანაღმული ორმოცი წლის გარდაცვლილი გული გათბა 2024 წლის 7 დეკემბერს. გათბობის მიზეზი ბეჟანის შვილიშვილი გვანცა ხარაიშვილი იყო. თვრამეტი წლის გვანცა საუბრობდა დინჯად და დამაჯერებლად. აკადემიისგან გამოცემულ მეთოთხმეტე ტომში დაბეჭდილია, გვანცას ნააზრები რომელიც, ნელ-ნელა ი იშლება და ვარდის სურნელით ათრობს მკითხველს. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია პოეზიის ცის სივრცეში მოტრიალე თემურ გოგსაძეს. პირველი იყო, როდესაც თქვა. გვანცა ღრმად მოაზროვნეაო. მეთოთხმეტე ტომში დაბეჭდილი გვანცა ხარაიშვილის შემოქმედება;,,უსამართლობის სრული ასპექტი",,,ისტორია რომელსაც ჩვენ თვითონ ვქმნით",,,როგორ ვმართოდ შიში",,, როგორ ვაკონტროლოთ შიში? და,, ცხოვრების ისტორიის ერთი სურათი". შეფასება მკითხველისთვის მიმინდვია. პრეზენტაცია გაგრძელდება მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში ცხრა ნოემბერს. ეს პატარა ანონსი იყო იმ დიდი შრომატევადი საქმისა რომელიც, წიგნშია მოთავსებული. მეთოთხმეტე ტომში დასრულდა რუსთაველის პრემიის ლაურიატის კლასიკოსი მწერლის ბატონ რეზო მიშველაძის რომანი ,,წამება".

თემატიკის მრავალფეროვნებას ამდიდრებს მზია კვირიკაშვილის თარგმანები. ანთოლოგიის ტომში მკითხველი გაეცნობა, ისედაც ცნობილ მთარგმნელის მზია კვირიკაშვილის თარგმანებს. უნიჭიერესი და პატრიოტული ქალბატონი სულიერად გვკვებავს და გვასაზრდივებს ლონდონიდან. და მაინც გუშინდელი დღე ბეჟანისვ სულთან მატრიალებს. ის პირველ იანვარს იყო დაბადებული. მან თავის დაბადების დღე ზეცაში გადაიხადა. ოცდაათი წლის ასაკში დატოვა მთასავით ბუმბერაზი სხეული რომელიც, დაკრძალულია წმინდა გიორგის ეკლესიის გვერდით სოფელ ხვსნში. მაღალი წიფლის ხეთა ტოტების სანედლო ფესვად. საზეიმოდ განწყობილი მოტივაცია ისევ სევდაში გადაიზარდა და გამახსენდა ხუთი წლის ობოლი ძმიშვილის ლაშას სიტყვები:,, მამიდა მამიკო მინდაო", მამიკო სად წავიდავო". იმდენად საკლისობდა რომ, სულ ვატყუებდით მამიკო მოვიდოდა. ბეჟანი წავიდა და მაშინ მოვიდა, როცა მისი ლექსების კრებული გამოიცა. მაშინაც მოვიდა როცა მოქანდაკე გელა ლარიაშვილმა პოეტის სული ქვაში გააცოცხლა. მაშინაც მოვიდა როცა საჩხერის რაიონის ჭალვანის საჯარო სკოლას მიენიჭა ბეჟანის სახელი. შვიდ ნოემბერს კი ბეჟანი, შვილიშვილის სახით გვანცა ხარაიშვილით მოვიდა. ბატონმა ერეკლე საღლიანმა გულში ჩაიკრა, აწ გარდაცვლილი მეგობრის შვილიშვილი და მისმა გულმა შეიგრძნო ბეჟანის სიახლოვე. ვუყურებდი ქანდაკებას და თითქოს პოეტის ტკივილ დანაღმულ ძარღვებში სისხლი ამოძრავდა. ბატონ ერეკლე საღლიანსაც ბეჟანი გვანცას სახით მოევლინა. ვგრძნობდი რომ, ბეჟანის გული სუნთქავდა. ვიცი რომ ესმოდა გვანცას ბაბუის გულის ხმაური. ცა და დედამიწა გაერთიანდა. ცის შუშაბანდიდან იყურებოდნენ გარდაცვლილთა სულები. ცრემლები შევნიშნე აკადემიაში ახლად მიღებულ უნიჭიერეს პოეტის ნინა გაჩეჩილაძის თვალებში. ტკივილი და სიხარული გართიანდა. არასოდეს დამავიწყდება, გვანცას საუბრის დროს ცნობილი მწერლის ირმა კეკელიძის გაბრწყინებული თვალები. ასეთი თვალები მართლაც არასოდეს მინახავს. ეს იყო ლურჯ ზღვაში ჩაძირული მზის ამოსვლა. პატარა ოთახში დიდი და შინაარსიანი საღამო შედგა. სეუს უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა დეკანმა ბატონმა ვალერი მოსიაშვილმა სერთიფაკატები გადავა აკადემიის წევრებს. სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორებს, ბატონ ტიტე მისიას და ქალბატონ ლუარა სორდიას. მაღალი შეფასება დაიმსახურეს, ნანიკო ხარძიანის, ხათუნა ელიაშვილის და მზია ელიაძის წარდგენილმა სტატიებმა. გაცემული სერთიფიკატები ადასტურებენ აკადემიის წევრების ნიჭიერებას. ნიკოლოზ გოდერძიშვილის წაკითხულმა ლექსმა საქართველოს ყველა კუთხეში გვატრიალა. ნინო უძილარმა აკადემიის გამრძელებლად მონათლა. ეს სტატია ისე მივაწოდე მკითხველს როგორც შევძელი. ღონისძიება გაგრძელდება მირზა გელოვანის ბიბლიოთეკაში ცხრაში და დაველოდოთ მოვლენებს!

მაპატიე უფალო

ეს ვიდეო ყველაზე ბოლოს დავდე უფალს პატიებას ვთხოვ. ვიდეო არ არის სრულყოფილად გადაღებული. ეს მომსვლელთა და წამსვლეთა შედეგმა გააუფერულა. მამა იოსები ისე ტკბილად საუბრობდა მის სიმშვიდის ხმაში ჩავიძირეთ და სმენად გადავიქეცით. გაიხსენა ბეჟან ხარაიშვილის სახელის მინიჭება ჭალვანის საჯარო სკოლაში. იმ წელს მომცეს კურთხევა რომ, ხეობის მოძღვარი ვყოფილიყავიო. მას შემდეგ ათი წელი გავიდაო. ვუსმენდი და გული სიამაყით მევასებოდა რომ, ჩემი ხეობის მამაოს აკადემიაში შემოსვლის დიპლომს რომ მიიღებდა რომელიც, ჩემი ხელით იქნებოდა გაცემული. ვგრძნობდი აკადემიის წევრებს მადლი კიდევ უფრო მოემატებოდა. აკადემიის ოთახს ყოველ წელს ვაკურთხებუნებ მამაოს. მეუფე მირიან იორამაშვილის კურთხევის შემდეგ. მამა ამირან ამირანაშვილმა აკურთხა. შემდეგ კი მამა მერაბ დეკანოსიძემ. ჩაუქროველ სანთელში მიმდინარეობს წიგნების განხილვა და აკადემიაში გაწევრიანება. ეს პატარა კადრი კი მამაოს კურთხევის შემდეგ დავდე. დიდება უფალს. დამშვიდებულად გავაგრძელებ სიცოცხლის იმ წლებს რაც ბედისწერისგან მაქვს დაკანონებული. ჩემს გარდაცვლილებს პირნათლად შევხვდები. დიდება უფლის ძალას და მადლს.

ბედისწერა

(მადლობა რუსთავის ქალაქის საავადმყოფოს ტრავმატოლოგიის თანამშრომლებს)

შემოდგომის ყვითელმა ფოთლებმა სილამაზის წალკოტში მომახვედრა. მივდიოდი რუსთავის რუსთაველის ქუჩაზე და თვალით ვეფერებოდი ვალმოხდილ ჭადრებს. იშრიალეთ ფოთლებო, ზოგი ისეთი ყინვა გამძლეები ხართ ყინვასაც უძლებთ და გაზაფხულზე ახლად დაჩიტულ კვირტებსაც ხვდებით. ადამიანების ბედისწერაც ასეა. ხო, დღეს ღონისძიება მაქვს თბილისში მირზა გელოვანის ბიბლიოთეკაში. მეც ბევრ რამეს ვუძლებ. პირადულ გულის ტკივილს მაგრამ, ჩემი ვალდებულებაა ჩავიდე და ავტორებს წიგნები გადავცე. პრეზენტაციაზე მოწვეული მყავს ანსამბლი,,ლალეს" ხელმხღვანელი ნიჭერი ქალბატონი ლეილა ჭიოკაძის გუნდი. მომავალი თაობის ჭიკჭიკი გაამრავალფეროვნებს საღამოს. თიბისის ბანკში შევიარე, ჩარიცხვების ამონარიდები ამოვიღე და სწრაფი ნაბიჯით მანქანისკენ წავედი. წინ პოეტი ქალბატონები შემომეგებენ, ეთერ ჭელიძე და მალვინა ჭელიძე. წინა სკამი მალვინას დავუთმე და საპირისპირო მხარეს წავედი დასაჯდომად. მარჯვენა ფეხი გადავდგი. ჩაღრმავებულ ორმოში მოხვედრილმა ფეხმა ფუნქცია დაკარგა და ბარძაყის ძვლის მოტეხილობამ ხმაური გამოიწვია. არც დავიბენი და არც დავიყვირე, ვცდილობდი უხმაუროდ ჩემი თავისთვის დახმარება გამეწია. მეორე მხარეს მდგარ მანქანას ჩავეჭიდე. მარცხენა ფეხმა მარჯვენის მაგივრობა ვერ შეასრულა და ძირს დავენარცხე. ვცდილობდი ეთერი და მალვინა არ შემეშინებინა. მიუხედავად დიდი მცდელობისა ვერაფრით ავდექი. მარჯვენა ფეხს რეაგირება აღარ ქონდა. უცხო მანქანა გაჩერდა. კოლეჯ არსში მომუშავე ქალბატონი და მისი მეუღლე მოვარდნენ. ამდროს ეთერი და მალვინაც უკვე ჩემს გვერდით გაჩნდა. გამოუძახეს სასწრაფოს რომელიც ძალიან ჩქარე მოვიდა. სასწრაფოს ექიმი მეუბნება, ქალაქის სავადმყოფოში უნდა გადაგიყვანოთ რადგან ტერიტორიულად ქალაქის სავადმყოფს ეკუთვნით. ჩავფიქრდი... ქალაქის? ჩავილაპარაკე. გულმა ჩუმად კვნესა დაიწყო. ქალაქის სავადმყოფოში შვილი გარდამეცვალა. ესეც ბედისწერა იყო და არა ექიმების დაუდევრობა. ეს ტკივილი ისე ავიტანე რომ, ხმამაღლა არ მიტირია რადგან მეორე შვილს არაფერი დაემართოსთქო გულში ვღმუოდი. სადღაც ტრომბი მოწყდა და ასე წავიდა ჩემი უკეთილშობილესი შვილი გელა სხირტლაძე. სასწრაფომ ტრამატოლოგიის განყოფილებაში მიმიყვანა. გამოდის ექიმი.აა? თქვენ მე გიცნობთ თქვენ ჩემთან გუშინ ბავშვი გყავდათ. ბავში? რას ამბობთ მე აქ არ ვყოფილვარ უკვე თორმეტი წელიწადია გავიფიქრე გულში და ექიმს კი ხმამაღლა უთხარი, არ ვყოფილვარ შვილო და თუ ტყუილს დამაბრალებთ თქვენს ხელში ვარ-თქო. შევატყვე რომ ფსიქოლოგიურად მცდიდა. შეიყვანეთ და სურათი გადაუღეთ მოკრძალებულად თხოვა ექთნებს ჩამთვის უცნობმა ექიმმა. გადაღებულ სურათის შედეგს მოუთმენლად ველოდები. მე კი გულში კვლავ ვიმეორებდი აი, ბედისწერა. გამოვიდა ექიმი დავით ქურთიაშვილი. საოპერაციო ხართ თქვა დამაჯერებლად. რა ვქნა დე-

დი? ამბობს ეთერ ჭელიძე. ღონისხიება ჩაატარე შვილო. წადი თბილისში! მე მომაკითხავენ ოჯახის წევრები. ახლა შვილთან დავრეკე. დათო დედა გენაცვალოს ფეხი ვის არ გადაბრუნებია, სავადმყოფოში ვარ, მოდით. სასწრაფოდ გაჩნდა ცირა (რძალი) და ნანა შვილიშვილი.. ეთერი შვილო, ხალხი მელოდება, ღომისძიებას ჩაატარებ შენ. რას ამბობ დედი, სანამ შენს ამბავს არ გავიგებ არსად არ წავალ. სურათი გადამიღეს და დადგინდა ბარძაყის მოტეხილობა. შემიყვანეს პალატაში და შემოდის ექიმი საბა აბუთიძე. შვილივით საყვარელმა ექიმმა ოპერაციის ორი ვარიანტი შემომთავაზა. ადგილობრივი ანესთეზიით და ნარკოზი. ფანჯარაზე მტრედი მოფრინდა და ნისკარტით კაკუნი დაიწყო. ჩემი გელას სულია ვიფიქრე. წავედი ჩემს შვილთან. წავიდე ნარკოზით რადგან ვერაფერს გავიგებ. ეს გულში გავიფიქრე და ხმამაღლა კი საბა ექიმს ვუთხარი. ნარკოზს ავირჩევთქო. შევთანხმდით. ტელეფონი რეკავს, ქალბატონო გულნაზ, შენს გვერდში ვარ. არ შეგეშინდეს ყველანაირად დაგეხმარებით ამბობს რუსთაველის პრემიის ლაურიატი ბატონი რეზო მიშველაძე.

ეს სიტყვა სამყაროსხელა იმედი იყო ჩემთვის. ოპერაცია მეორე დღეს დაიწყო და ჩემი ნათია, მალვინა და ეთერ ჭელიძე კვლავ ჩემთან გაჩნდნენ. არ მეშინია, არ მეშინიათი ვამხნევებდი ოჯახის წევრებს. შემოდის ირინა ბერიანიძე თემურ გოგსაძე და ნორიკო ტორტით და ყვავილებით ეს ყველაფერი ღამის მორიგეებს მიარათვეს და ჩემთან შემოვიდნენ სევდანარევი ღიმილებით. საიდან გაიგეს ჩემი გელას შვილებმა. ბიძას გვერდში დაუდგნენ და ამხნევებდნენ.ჩემი თამუნა და ვახო. ნანამ კატეგორიულად მოითხოვა დამასწარით ოპერაციასო. მე გადავრჩები, ჩემი სიკეთე გადამარჩენს ამ რწმენით მივიღე ნარკოზი. როცა გავახილე თვალები, ყველაფერი დამათავრებული იყო. შემოიყვანეს ნანა და მეუბნება ბებო კარგად ხარ. მომიტანეთ ტელეფონი ვთხოვე საბა ექიმს რომელმაც სურვილი შემისრულა. მინდოდა ჩემი ხმით გამეხარებინა ოჯახის წევრები და აკადემიის წევრები სასურველი ინფორმაციით.

ხუთი დღის განმავლობაში არ წყდებოდა ნაკადი თბილისიდან. ადვოკატი თემურ გოგსაძე, ექიმი ია მოსულიშვილი, პოეტი ნორა მგრლაძე, ადვოკატი და პოეტი მაგული კორძაია, ექიმი ირინა ბერიანიძე და უამრავი სხვა. მადლობა მინდა გადავუხადო ყველას ვინაც ჩემს გადარჩენაში წვლილი შეიტანა ექიმებს: ექიმ ტრამატოლოგს დავით ქურთიაშვილს, ანეთეზიოლოგს საბა აბუთიძეს, თამუნა ექთანს რომლის გვარი აღარ მახსოვს. საოპერაციო ექთანს ირინა დგებუაძეს. პალატის ექთნებს: ირმა კურტანიძეს, ხატია კვირიკაშვილს, ირინა დგებუაძეს, თინა გოგიაშვილს, ელენე ჩოხელს, ვალიდა კახნიაშვილს. სანიტრებს: ლია ლაბაძეს, ნინო.ვარამიშვილს და ნინო გელაშვილის. ოპერაციის შემდგომი პერიოდი გაგრძელდა ჯამრთელობის ნორმალური წინსვლით. იტალიიდან შეკვეთა მისცა ბელა მოდებაძამ ჩემს თამუნას (შილიშვილს) და მან მომიტანა შვილთავილისგან ბექა მექვაბიშვილიდან მორთმეული თაუგულიმ და ბელას გამოგზავნილ თაიგულში წარწერა იყო ჩადებული.,, ჩემს სულიერ დედას". ბებო – ბებო აი ბექაც რას გწრს.,,ბებო მიყვარხარ.," თამუნამ ხელი გაშალა მაძლევს თანხას და მეუბნება ეს დედიკომ გამოგიზავნა. ცრემლები წამსკდა. გელას მეუღლე ისრაელშია. ოცდაერთში ისრაელში მიწვეული ვიყავით ბატონ აბრამ იოსებაშვილისლთან. აკადემიის ეგიდით უნდა ჩამეტარებინა საღამოები. გამოვუშვი წიგნი ბატონ აბრამ პაატაზე,,,სიკეთის ელჩი,". აი, ბედისწერა კიდევ ჩავილაპარაკე. შვიდში აკადემიაში ჩატარებულმა საღამომ. ცხრაში სევდის ზღვაში მომახვედრა. სულიერად მამხნევებდა ყველა. სიცოცხლე ერთი წამია და ხშირად გვავიწყდება ეს. არ შემიძლია მადლობის სიტყვები არ დავწერო,,,უცნობზე," რომელიც შვილის მაგივრად მომივლინა უფალმა. ვინ არის არვიცი. ვიცი რომ ჩემი შვილის ტოლია. ჩემი უცნობი თბილისიდან კითხულობდა ამბავს და აკონტროლებდა სიტუაციას. გადმოიყვანეთ თბილისში შემოთვალა, რაზეც უარი ვთქვი. რადგან მჯეროდა რუსთაველი ექიმების. მადლობა და მადობა მათ. უკვე სახლში ვარ. თავს კარგად ვგრძნობ. დიდება უფალს. და მადლობა რუსთავის ქალაქის სავადმყოფოში მედპერსონალს

ამას ქვია საქმისა და სიცოცხლის გაგრძელება

ჩემს გარეშე ჩატარებული ღონისხიება. ეთერი და მალვინა ჭელიხეებმა ჯერ მე მომხედეს და მერე კი თბილისში ღონისძიება ჩამიტარეს. გმადლობთ ეთერი, გმადლობთ მალვინა. მოვიკრებ ძალას და დამაწერინებს უფალი იმას რასაც იმსახურებთ. გმადლობთ დიდო მწერალი და დიდო ადამიანო ბატონი რეზო. რა დამავიწყებს იმ სიტყვებს,,თქვენ გვერდში ვდგავარ არ შეშინდე." გმადლობთ,,უცნობო" შვილო, ვიცოდი და მჯეროდა შენი გაიგებდი და ყველაფერს გააკეთებდი ჩემი გადარჩენისათვის. აბა რაა თქვენ ხომ ჩემი სულიერი შვილი ხართ ! გმადლობთ ქალბატონო მზია კვირიკაშვილო თქვენია,,ათინათი" აქ თქვენი ნიჭის საშუალებით ხდება ქართველი პოეტების ლექსების თარგმნა და ეს ყველაფერი ბევრს ნიშნავს. გმადლობთ ექიმო ია მოსულიშვილო, შენ სხვა სამყარო ხარ. ექიმიც და ცის ვარსკვლავების გალაქტიკაც. გმაფლობთ ანსამბლ ლალეეს ხემძღვანელო ქალბატონო ლეილა და მომღერალო მომავალო თაობავ. გმადლობთ ტელევიზიის წარმომადგენელო ლევან კაკულია. თქვენ თანხის გარეშე გადაიღეთ ღონისძიება და ჩქარე მომაწიდებთ სრულ ვერსიას გმადლობთ ქალბატონო ბიბლიოთეკის დირექტორო ქეთინო, თქვენ ჩემი ლექსების ექვსას გვერდიანი ბიბლიოგრაფია შექმენით და ჯერ პრეზენტაციაც არ ჩამიტარებია რომ მადლობა საჯაროდ გადამეხადა. გმადლობ თემური გოგსაქსაძევ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ერთგულებით დედაშვილურ ურთიერთობაში. გმადლობთ ქალბატონო მაგული კორძაია უჩურად რომ იდექი და ელოდებოდი იმ ამბავს თუ როგორ დამთავრდებოდა ურთულესი ოპერაცია. გმადლობძთ ქალბატონო ირინა ბერიანძევ, ნორიკო მგელაძევ თწვენ ის ფენომენი ხართ რომელსაც სამყარო დააქვს გულით. გმადლობთ ხათუნა ელიაშვილო, მზია ელიაძევ ჩემო თბილო და ტკბილო აკადემიის შვილებო მოკითხვისათვის. გმადლობთ ნათესავენო, გვერდში დგომისათვის. გმადლობთ შვილო და შვილიშვილებო. გმადლობთ ქართულო საზოგადოებავ, ეს უნდა მომხდარიყო რომ მე დამენახა ჩემგან გაცემული სიკეთე ჩემივე თვალით. გმადლობთ ჩემო ემიგრანტებო ჩემიოაკადემიის შვილებო, სულ ხაზზე იყავით, განიცდიდით და მლოცსვდით. გმადლბთ დაიკოებო ანერი და ეთერი.

და ბოლოს გმადლობთ ქარიშხალი ეკატერინე კილაძევ და უსაყვარლესო მარი.

გმადლობთ შვილიშვილებო ლევანი, თაკო, თეონა, ნანა და ვახტანგი. თქვენ დამანახეთ ცისხელა სიყვარული. გმადლბთ რძლებო ცირა და ეკა სიყვსრულისა და გვერდში დგომისათვის..

გმადლბთ ქეთინო მიქელაძე მძახალო ჩემო. შენ მე დასავით მივლი..

სულ ბოლოს ნანა შენ ვინ ხარ ბებო ასე ძლიერი რომ წინა დღით თავზე მედექი და მერე დღეს კატეგორიულად ითხივდი ოპერაციაზე დასწრებას.

გმადლობთ უფალო. ენით აუწერელი მადლობა შენ დამანახე გაცემული სიკეთის დაფასება ვიცი რომ იმაზე მეტს შემაძლებინებ რასაც ვაკეთებდი.

როცა შენი საქმე გიყვარს

სხვა გზა არ არის დროებით ასე გავაგრძელებ აკადემიის საქმიანობას. ხვალ ათინათს დავამთავრებ. ასე რომ საახალწლოდ უჩემოდ იზეიმეიბთ აკადემიის წევრებო 54 ნომ-რის დაბადებას!

ქალბატონ ლია მჭედლიძეს კი მიულოცეთ აკადემიაში გაწევრიანება.

წიგნი "სიკეთის ელჩი"

დღეს, 2024 წლის 21 ნოემბერს, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ორგნიზაციით დაგეგმილი ვიზიტი ისრაელში და ვიზიტის პერიოდში ჩასატარებელი ღონისძიება არასასურველი შემთხვევის გამო გადაიდო.



"დიდი სიყვარულით გამოვუშვი აკადემიის ეგიდით ბატონ აბრამ პაატა იოსებაშვილზე მიძღვნილი წიგნი ,,სიკეთის ელჩი", წერს ავარიაში დაზარალებული ქ-ნი გულნაზი ხარაიშვილი, აკადემიის პრეზიდენტი, რის გამოც დელეგაციის ვიზიტი ისრაელში დროებით გადაიდო.

"ბატონ აბრამ პაატას უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული საქრთველოში ნებისმიერ პიროვნებაზე.

წიგნი ,,სიკეთის ელჩი" ჩემი და ქალბატონი ნინო უძილაურის ინიციატივით გამოვიდა, რომელიც დააფინანსა ჩემმა შვილიშვილმა ნანა სხირტლაძემ . მადლობა ყველა იმ პიროვნებას ვინაც მასალები მომაწოდა, რომ მოვფერეობოდით ბატონ აბრამ პაატას. დარწმუნებული ვარ, ვისაც ვეტყოდი ყველა მომაწოდებდა და სამადლობელი წერილებით აივსებოდა წიგნის ფურცლები.

21 ში უნდა გავფრენილიყავით ისრაელში. ახლა უკვე იქ უნდა ვყოფილიყავით. კულტურული ღინისძიებები კი ბატონ აბრამისგან იყო დაგეგმილი.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)".

პატივცემულო მკითხველებო, მოკლედ გადმოგეცით ქალბატონი გულნაზის სულსკვეთება, მას სიურპრიზი უნდოდა გაეკეთებინა, წიგნი მოეძღვნა ჩემთვის.

მეგობრებო და ძვირფასო მკითხველებო, მეორე წიგნი დაიწერა ჩემზე საქართველოში, ამჯერად ჩემდა უნებურად, ჩემთვის სიურპრიზად, სათაურით

"ს ი კ ე თ ი ს ე ლ ჩ ი"

წიგნი ძალიან დიდი გემოვნებითაა გაკეთებული, აკადემიის ეგიდით შედგენილი ჩემზე, ჩემ ოჯახზე და ჩემ სამშობლო უსრაელზეა დაწერილი, მიძღვნილი ლექსებით და სურათებით, სქელყდიანი და ძვირფასი ქაღალდის ფურხელზე.

ზემოთ აღწერილი წიგნი "სიკეთის ელჩი" ნამდვილი საგანძურია, მშვენიერი,

ვულოცავ წიგნის რედაქტორებს, ქალბატონ გულნაზის, ქალბატონ ნინო უძილაურს, ნანა სხირტლაძეს და თითოეულ თქვენგანს, ვისაც წვლილი მიგიძღვით ამ საქმეში!

მეამაყება ამ ორი დიდებული ერის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა! ❤

* * *

ქალბატონო ქეთინო, თქვენივე გამოცემული წიგნით გილოცავთ დაბადების დღეს. თქვენ გამოეცით ბიბლიოგრაფია გულნაზი ხარაიშვილის პოეზიიდან. ხელში გეჭირათ 600 გვერდიანი წიგნი და ბოდიშს მიხდიდით რომ, სრულყოფილი მასალა კიდევ არ არისო. ახლა გულში მაქვს ბეჟან ხარაიშვილის წიგნების მიხედვით შევქმნა ბიბლიოგრაფიული წიგნი და მერე ისევ თქვენ პოეზიას მიუტრიალდებიო. გილოცავ ძვირფასო ქალბატონო, დაბადების დღეს. ბედნიერი ყავდე სრულიად საქართველოს. მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორობა უკვდავებას ნიშნავს. შენივე სიკეთიდან გამომდინარე სიცოცხლეშივე დგას ძეგლი სადაც დიდი ასოებით აწერია უკეთილშობილესი ქალბატონის ქეთევან ნიკურაძის სახელი.

საჩუქარი იტალიიდან

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს და აკადემიის წევრებს:



მიყვარხართ და მენატრებით. სადაცაა შობის ბრწყინვალე დღესასწაული შემოგვიღებს კარებს. სიშორის გამოც და დიდი სიყვარულის გამოც ცოტა ადრიანად გილოცავთ შობის დამდეგს დღესასწაულს. უკეთეს საჩუქარს მე ვერ მივიზრებდი. ვარჩიე უფალი იოსე წრისტეს მართმადიდებული ხატით დამელოცეთ რომელიც, საქართველოდან იტალიაში ჩამოვატანინე. ვიამბორე დიდი მოკრძალებით და გამოგიგზავნეთ აკადემიის სიწმინდეთა გვერდით დასავანებლად. დიდება უფალს! დაგლოცოთ უფალმა და მისი შეწევნით ყველა გისურვებთ სულიერ-ფიზიკურ და შემოქმედებით აღმასვლას.

დიდი სიყვარულით.

უფალს ვთხოვ, დაგლოცოს და დაიფაროს ჩვენი საქართველო. მშვიდობით გაიყვსნოს ამ გლობალური წაოსიგან და გააბრწყინოს ამინ!

პატივისცემით. ნანა გიგუაშვილი

7 ნოემბერი, 2024 წელი.

საჩუქარი 19 ნოემბერს ჩამოვიდა. ეს ხატი ამჟამად ჩემთანაა. როცა ფეხზე დავდგები გადაინაცვლებს აკადემიაში.

მადლობა საყვარელო ნანა. გფარავდეს უფალი. აკადემიის სახელით გიხდი მადლობას.

უსაყვარლესო ქართველო ქალბატონო, დედა პოეტი 100 წელი ბედნიერი გვყავდე.

დღეს ჩემმა ნინომ გამახარა

ჩემი კეთილი ნინო უძილაური. მეორედ ჩამოვიდა ჩემთან და ჩამოიტანა დიდი სიყვარულით გულის სითბო.

მადლობა შვილო ნინო, ამ ყველაფერს უფალი ხედავს. ჩემგანაც სიკეთე ორმაგად აგინაზღაურდება. ყველაზე დიდი მდიდარია ის ვისაც სიყვარული შეუძლია. კარგად ხნის საუბრის დროს ნინოს ვეუბნები. იცი შვილო, მე ყველა მიყვარს გულწრფელი სიყვარულით. უბრალოდ საწყენი მწყინს, მტკივა და მიხარია. მეც ასე ვარ დედიო და ლამაზ თვალებში ცრემლები აუკიაფდა. ბოლოს ბატონ აბრამ პაატა იოსებაშვილზე მიძღვნილი წიგნები ,,სიკეთის ელჩი" წაიღო. პრეზენტაცია უნდა ჩაატაროს მირზა გელოვანის ბიბლიოთეკაში შაბათს ორ საათზე. წიგნში მონაწილე ავტორებს წიგნები უფასოდ გადაეცემათ. უსაზღვროა ის სიყვარული რასაც განვიცდი თითოეული აკადემიის წევრების მიმართ! მადლობა საყვარელო ნინო!

დეზი ემანულიძე

სიყვარული ლოცვაა ღმერთთან და დედაშვილობის სიყვარული კი, ამ ლოცვის მადლით მიღებული ბედნიერება.

მოკრძალებულად, მაგრამ დიდი სიყვარულით იყო გამთბარი ჩემი სტუმრობა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილური აკადემიის პრეზიდენტთან ქ- ონ გულნაზი ხარაიშვილთან, ქალბატონი, რომელიც ყველასთვის დედად არის დედშვილობის მადლით, ბედნიერების ლოცვად უფალთან საზიაროდ.

ჩემდა მოულოდნელად იქ დამხვდნენ აკადემიის დიდებული წევრები ფრიად პატივსაცემი და განათლებული პოეტები: ხათუნა ელიაშვილი და მზია ელიაძე, ხოლო შემთხვევით გზად შემხვედრი ქ- ნი მანანა მიქაძე კი, ჩემთვის გზამკვლევი თანამგზავრი აღმოჩნდა.ასე შევიკრიბეთ ყველანი დედის მოსანახულებლად მოულოდნელი თანხვედრით.

მე, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ისიც, რომ იქ, ბედნიერების სითბოს განსაკუთრებულობა და სიყვარულის სხვა დედობრივი გრძნობაც მიმარბენინებდა, მე, იქ ჩემი დეიდა ქ- ნი ქეთევან ღონღაძე მელოდებოდა, ჩემი დეიდა ქ- ნი გულნაზის" მძახალი" - რძლის დედა გახლავთ და ჩემთვის მისი მონახულება, მასთან ჩახუტება ჩემი დედიკოს გაცოცხლებას, სიცოცხლის გაგრძელებას და უკვდავებას, მარადიულობას ნიშნავდა.

ეს იყო გატოლება ჩემი დედიკოს სიყვარულთან და მის მონატრებულ სითბოსთან.

ლამაზად გაწყობილი, კეთილშობილი და გულუხვი მასპინძლობის შემდეგ, დიდებული სუფრიდან ჩვეულებისამებრ გაიმართა აკადემიური სხდომა ლიტერატურული და მეცნიერული თვალსაზრისით და ჩვენს უნიჭიერეს პოეტს, ღირსეულ მკვლევარს და ქართული სიტყვის განმარტებების დიდოსტატს, ქ- ონ ხათუნა ელიაშვილს ჯილდოდ გადაეცა ორენოვანი სერთიფიკატი, რომლითაც დაჯილდოვდა თურქეთში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, მისი ნაშრომის "იოანე ზოსიმე- დამარხულ არს ქართული ენაი" - გამარჯვების შედეგად. იმ მიზეზით, რომ ქ- ნი გულნაზის ფიზიკური მდგომარეობა(მისი ტრამვის შედეგად) არ იძლევა შესაძლებლობას აკადემიაში მოსვლისა ეს დაჯილდოვება მასთან პირადად ოჯახში, სიყვარულის საკუთარი გულის უბეში შედგა.

მადლობა მინდა გადავუხადო ქ- ონ გულნაზი ხარაიშვილს, რომ ეს პატივი სერთიფიკატის გადაცემის მადლისა წილად მე მარგუნა და ამ დიდ პოეტს, ღირსეულ ბანოვანს, ქ- ონ ხათუნა ელიაშვილს ჩემი ხელით გადავეცი ესოდენ დიადი ღვაწლმოსილების საჩუქარი მისი ნიჭისა და გონირების აღმნიშვნელი სიმბოლო, რაც ჩემთვის საამაყოა და მოკრძალებული თავდახრაა მისადმი სიყვარულისა და დიდებულების პატივისგებად.

მადლის მადლიერება ქ- ონი გულნაზის ოჯახს, გულუხვი და თბილი მასპინძლობისთვის, ჩემს ტკბილ და მზრუნველ დეიდას, რომლის მოფერება და გულის ლოცვაც ჩემთვის წარმატებული ნაბიჯების სიკეთეთ გამომყვა მეგზურად და ჩემს დეიდაშვილს ცირას, ქ- ნი გულნაზის საყვარელ რძალს ყველასადმი ბედნიერი ღიმილის, დიადი სიყვარულის ჩუქებისა და დედა - გულნაზისადმი გაწეული მზრუნველობისთვის.

დედობა ხომ მადლია უფლისგან ბოძებული და დედაშვილობა კი, ამ მადლით მიღებული სიყვარულის ბედნიერება.

პატივისცემით, პოეტი: დეზი ემანულიძე

წერილები

ლუარა სორდია

ანა კალანდაძის პოეზიის მთავარი პრობლემებიდან

ცათა მაღალთა მადლი

იმთავითვე უაღრესად საყურადღებო იყო ანა კალანდაძის სათქმელი, რასაც განუმეორებელ ელფერს ანიჭებდა პოეტის მხატვრული სახეები და მრავალსაუკუნოვანი ქართული ენისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება.

იმ დროს, როცა მოზღვავდნენ ხელისუფლებისგან დაპროგრამებულ კალმოსანთა ასეულები, ხუთწლედების გამოგონილ წარმატებათა მეხოტბეები, რომელთა ფუჭსიტყვაობას პრემიებსა და ორდენმედლებს აგებებდა ოფიციოზი, ანა კალანდაძე ერთხელ არჩეულ, მხოლოდ რჩეულთა გასაგნებ გზას ერთგულებდა.

უკიდეგანო თვალსაწიერის შემოქმედი უზენაეს ჭეშმარიტებებს, ეროვნულ და საკაცობრიო სატკივართა განკურნების წამალს ეძებდა, რაც პიროვნულის, მიწიერ-პრაგმატული ინტერესების იგნორირების, უწმინდესი იდეალებისათვის მსხვერპლშეწირვის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. ამიტომაც ვერ იგუებდა მედროვე-მეხოტბეთა მანტიას და ნიადაგ გამორჩეული ნათლის სამოსი ემოსა.

ანა კალანდაძე გულგრილი იყო იმ წარმავალი მოვლენებისადმი, რასაც ხოტბას აღუვლენდნენ, ტაშისცემით ეგებებოდნენ უნიჭო, საეჭვო რეპუტაციის მქონე პრიმიტივები.

პოეტის უპირველესი თავისებურება იმაში გამოვლინდა, რომ იგი უზენაესის, მარადიულის, სულიერი ცხოვრების საიდუმლოებების ძიებას ჩაუღრმავდა.

ერთეულ რჩეულთა დარად, ანა კალანდაძე სულს ხედავდა, წარსულის ხატს უკვდავყოფდა, მართალ სიტყვას დანატრებულ ადამიანებს იმ დიდ წყურვილს უკლავდა, პანეგირიკული მწერლობის მიერ შექმნილი ვაკუუმით რომ იყო გამძაფრებული.

ბედის რჩეული პოეტის მისწრაფებები ეპოქისას დაემთხვა და ხალხმა იწამა მისი ზეგარდმო მადლით ცხებული სიტყვა.

უნიჭოთა ყავლგასული, გაცვეთილი, ბანალური ლექსის აპოლოგეტები პარტიულობის პრინციპს აფეტიშებდნენ, დიქტატურას აიდეალებდნენ, ფონს სოციალიზმის, ინტერნაციონალიზმის, კოსმოპოლიტიზმის ხოტბით გადიოდნენ, რწმენისა და ეროვნულობის უარმყოფელნი, პოეზიის მისიას მხოლოდ სოციალური პრობლემებით შემოფარგლავდნენ, ოდენ ამქვეყნიურ, მატერიალურ ღირებულებებზე დაჰყავდათ უკიდეგანო სამყარო.

“იმ დროს მწერლობას ენიჭებოდა სკკპ აგიტპუნქტის ფუნქცია”.

“ლენინიადა, სტალინიადა, ბრეჟნევიადა, კოლხოზიადა... ერთი მთლიანი ციკლია ერზაცლიტერატურისა” (1, 43).

ანა კალანდაძე განსხვავებული მისიით მოვიდა ქართულ პოეზიაში.

მისი პირველივე ლექსები იყო “სერიოზული სულიერი ამბოხება იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც იმ დროს

არსებობდა... გარდატეხა როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობის სულიერ ცხოვრებაში" (2,132).

ანა კალანდაძეს არასოდეს უწერია პარტიული დიქტატით, შეკვეთებით, არასოდეს გაურევია ღვინოში წყალი, არ აუმღვრევია წმინდა ზედაშე.

როგორც "სიტყვით ნათლისმცემელი", არასოდეს ქცეულა "პოეტად კარის", არც "ამა სოფლის თავადს" დამონებია, "საღვთო ცეცხლი და ჭეშმარიტება" უძღოდა ნათლის სახლში, როგორც აღნიშნავს მერაბ კოსტავა გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსში (3, 4-5).

ნიკოლოზ ბარათაშვილი "სულის წადილს" (4,110) ანიჭებდა უპირატესობას, გალაკტიონ ტაბიძე "ძეგლთა სიმაღლით, სივრცეებში" აგებდა "სულის წუხილს" (5, 99), ანა კალანდაძე "სულით დასამკვიდრებ... წყნარ სადგურს", "სულის ვანს" ეძებდა (6, 110).

შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი პოეტური ნიჭის ღვთაებრიობას აღიარებდნენ.

მაგალითისთვის მივმართოთ აკაკი წერეთელს: "უცხო ძალი ვიგრძნე რა, გულმა დამიწყო ძგერა, მაშინ აგიღე ხელში და ვიწყე საღმრთო მღერა" ("ჩანგურის ძალა") (7, 68).

ანა კალანდაძისთვის ცის მადლია პოეზია, რომელიც მიწაზე შურის, უკეთურების დასამარცხებლად, იმედის, რწმენის, სიყვარულის განსამტკიცებლად გვევლინება: "ცათა მაღალთა მადლი, შუქმოწკრიალე სიმით გარდამოხდება მიწად, გარდამოაფენს იმედს. ითინათინებს იგი შურთა ფარულთა მიღმა, რომ ზეცისა და მიწის კვლავ სიყვარული იხმოს" ("ცათა მაღალთა მადლი").

წმინდა წერილის მიხედვით, სიბრძნე, შემოქმედებითი ნიჭი, რწმენა, წინასწარმეტყველების, სასწაულმოქმედების უნარი, საერთოდ, ცოდნა სულიწმინდის მადლია.

"თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ".

"ვინაიდან ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა, მეორეს – ცოდნის სიტყვა იმავე სულით.

ზოგს რწმენა – იმავე სულით და ზოგს განკურნებათა ნიჭი იმავე სულით.

ზოგს სასწაულმოქმედება, ზოგს – წინასწარმეტყველება, ზოგს – სულების გარჩევა, ზოგს – სხვადასხვა ენები, ზოგს – ენების განმარტება" (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12, 7, 8, 9, 10) (8, 374).

მაგრამ, ამასთანავე, ახალი აღთქმა შეგვაგონებს, რომ ნიჭი სიყვარულის გარეშე არაფერია.

პავლე მოციქულმა გამოარჩია "რწმენა, იმედი, სიყვარული" და სიყვარულის უპირატესობას გაუსვა ხაზი: "მათგან სიყვარულია უმეტესი" (I კორინთელთა, 14, 13) (8, 376).

სულიწმინდის ქნარად აღიარებული პავლე მოციქული მოძღვრავს მოციქულებს: "არავითარი უშვერი სიტყვა არ დაგცდეთ პირიდან, არამედ მხოლოდ კეთილი აღსაშენებლად, რათა მადლი მიანიჭოს მსმენელებს" (ეფესელთა, 5, 29) (8, 419).

"ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნით, გალობითა და სულიერი საგალობლებით, უმღერეთ და ეფსალმუნეთ უფალს გულებში" (ეფესელთა, 5, 19) (8, 420).

მადლიანი სიტყვის აპოლოგიაა მიმართვა კოლასელთადმი: "თქვენი სიტყვა ყოველთვის მადლიანი იყოს, მარილით შეზავებული, რათა იცოდეთ, ვის რა პასუხი გასცეთ" (პავლე მოციქული, კოლასელთა, 4, 6) (8, 435).

ხორხე ლუის ბორხესი წერდა: "კაბალისტები ვარაუდობდნენ, რომ სულიწმიდის მიერ შთაგონებული წიგნი სრულყოფილ ტექსტს წარმოადგენს, ანუ ისეთნაირ ტექსტს, სადაც შემთხვევითობის ელემენტები ნულამდეა დაყვანილი" (9, 51).

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანელთა შორის ანა კალანდაძე ის განსაკუთრებული გამონაკლისთაგანია, რომელმაც პოეზიის ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებად ათეისტური ეპოქის რწმენადაკარგულ ადამიანთა ისევ უფლისკენ მიბრუნება, მაღალი იდეალების სამსახური და ხალხისთვის ტაძრისკენ სავალი გზის ჩვენება დაისახა მიზნად.

"ზეცაზე სწერია ჩემი გზა", აცხადებდა გალაკტიონი "ეფემერაში" (10, 197).

მარადიული პოეზია, ანა კალანდაძის მიხედვით, ყოველთვის შორეული ცის, შეუცნობლის მადლია, რათა ამ ნიჭით ხელდასხმული უზენაესის უცდომელ ჭეშმარიტებებს ეზიაროს: "შენს

მშფოთვარ სულში ცის შორეულის დარდი ისახვის და... რეკავს, რეკავს შეუცნობელი, გიხმობს მისაკენ! შენს მდიდარ სულში არეკლილია მთათა სილაღე... შეგაწრიალებს შეუცნობელი... ეს ხმა იცანი!" ("N-ს").

შთაგონების მოვლინება ცის გახსნას ჰგავს, ხელთუქმნელი მარგალიტის მოხელთებას: "ბაჯაღლოსავით გაიწკრიალებს გული, სული აიკრეფს თვალ-მარგალიტის მძივებს, თუ გაიხსნება ცა – სასწაულით სავსე, ააელვარებს მისთვის დანთებულ იმედს!" ("ბაჯაღლოსავით გაიწკრიალებს გული").

ზეცით მომადლებული ნიჭი აცისკროვნებს პოეტის საუფლოს, ციური ძალით ჟღერს მისი ებანი, უღრმეს საიდუმლოებებს ეზიარება და იგი ძრწის შიშით, რომ არ დაუდგეს ამ უმაღლეს ნეტარებასთან გამოთხოვების ჟამი: "...და გაცისკრდება ჩემი საუფლო მადლით და ნიჭით მაღალი ცისა, თუ.. დამტოვებენ ციურნი ძალნი, ვისგან იკვრიან მხოლოდ ებანნი, დაგმანვენ ბჭეთა საიდუმლონი და განილტვიან გრძნეულებანი? შიშით მოგელი, გრძნეულო ღამევ!" ("მოდიხარ ჩუმად, მაღალო ღამევ!").

მხოლოდ ციური მადლით მონათლული სიტყვაა გულის ნუგეში, ეს უბრალო მოხევემაც კარგად იცის: "მოხევემ სავსე ასწია თასი, მზედაკრულს ქარი უჩეჩდა ქოჩორს: ციური მადლით დალოცვილ სიტყვას მოველით მხოლოდ, გული რომ მორჩეს" ("მოხევემ სავსე ასწია თასი").

"ცის თვალი" (თვალი საღმრთო სახელია) პირდაპირ კავშირშია "გულის თვალთან": "დახუჭა თვალი ცამან ცხოველმან და დაიხუჭა გულისა თვალიც" ("შენს ყვავილობას").

დანტე ალიგიერი ბრძანებდა: "მადლი უფლისა, მოკლებული მოშურნეობას, გარს მიმოაბნევს ღვთაებრივი ცეცხლის ნაპერწკლებს, აჩენს ყოველგვარ მშვენიერ და უკვდავ ქმნილებას. რაც უშუალოდ წარმომდგარა ამ მადლისაგან, წარუვალია, – რადგან სახე მისი უკვდავი წარუხოცელად ზედ შერჩება ქმნილებას მისას" (11, 303).

ზეგარდმო ძალებთან კავშირით, წმინდა ლოცვა-კურთხევით იძენს ანა კალანდაძე ბოროტებასთან დაპირისპირების ძალას: "მხოლოდ ზეგარდმო ლოცვა-კურთხევით, მხოლოდ ზეგარდმო ძალთა ნებითა მიწირავს საღვთო წმინდა მსხვერპლითა, არა, კაენთა მე არ ვუფრთხები!" ("N-ს").

მაღალი პოეტური მისიის აღსრულებას ცხოვრების ჭუჭყისგან შეუბღალავი სული სჭირდება, შორეული ცის ჭვრეტა კი მხოლოდ სუფთა თვალს ხელეწიფება: "გვეამაყება, რომ ჩვენს მაღალ სულს ცხოვრების ჭუჭყი ვერ მოერევა... ცას სუფთა თვალით უნდა ვუმზიროთ და შორით ვჭვრეტდეთ ქართ მიმობერვას"... ("გვეამაყება").

წარუვალის, მარადიულის მსახურება დაუკისრებია მისთვის განგებას და ამიტომაც ეხსნება სიხარულთა პალატის (უზენაესის) მაღალი კარი: "მომიცავს იგი, შემიპყრობს ისევ წარუვალი და... მარად ქარული... მაღალ-მაღალნი განახვენ ბჭენი, შენთა პალატთა, ო, სიხარულო!" ("მომიცავს იგი").

წმინდა გზის ერთგულია, უზენაესი არსებების მსახურების ძალას შესთხოვს უფალს, რადგან, ჭეშმარიტი პოეზიის უპირველესი მისია ღვთის სიტყვის გავრცელება, რწმენის პრიმატის აღიარებაა: "მაღალთ მარტოდენ შარავანდედთა, სამეუფოთა ცისათა სახლის, მომეცეს ძალი, ძალი მომეცეს, ვიყო მარადის მე მათდა მსახურ!" ("მაღალთ მარტოდენ შარავანდედთა").

უზენაეს მადლსა და ძალაზე დაიმედებული, ღმერთის სამართლიანობის მიწაზე დამკვიდრებას ნატრობს: "კვლავ სასოებით მივენდო შენთა, – მწედ მესახვიან ძალნი ცათანი... ქმენ სამართალი, რომელსაც ხედავ, ო, შენეული ქმენ სამართალი" ("კვლავ სასოებით მივენდო შენთა").

უზენაესთან უმაღლესი და უმტკიცესი კავშირის გაცხადებაა სტრიქონები: "მწედ მესახვიან ძალნი ცათანი"...

აქ რუსთველისებური ინტონაციის გაჟღერებაა თითქოს, ავთანდილი ხომ ციურ ძალთა დასის მფარველობით ამარცხებდა მარტოობას: "მარტოობა ვერას მიზამს, მცავს რა ციურ ძალთა დასი"...

ზეციდან მოვლენილი, სიბრძნით, სიწმინდით, სიმართლის ერთგულებით ამაღლებული პოეტი მხოლოდ უზენაესის საკადრისი ჰანგებით გალობს: "ზეცისთვის – მაღალ-საშვენი, მხოლოდ ფიქრები საზეო"...

ანა კალანდაძის მხატვრული სიტყვა არის მორწმუნე პოეტის მადლით, კრძალვით, მოწიწებით სავსე, განრიდებული რიტორიკას, ყალბ პათეტიკას. ამ ლირიკოსის ხიბლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რელიგიურობაა, რის გარეშეც მხოლოდ ეფემერული პოპულარობა მიიღწევა.

ანას პოეზია სავსეა ბიბლიური, მარადიული ჭეშმარიტებით, ზეციური მადლით, ხელდასხმულია სულიწმინდის სიბრძნით, გაბრძნობილია უზენაესის შთაგონებით.

ანა კალანდაძეს ევლინება ღვთის სიტყვის მაცნე, ავსებს ღვთაებრივი ცეცხლი, ციური მადლი: "მოიღო ცეცხლი მან ღვთაებრივი, გადამაფარა ციური მადლი"...

ჭეშმარიტ პოეზიას ყოველთვის გამოარჩევს "ღვთივსულიერება, ღვთივშთაგონებულობა, იდუმალება"...

„არარელიგიური კულტურა ფსევდოკულტურაა. კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია, ეროვნულ-ნაციონალურია და ამდენად, საკაცობრიო, ცივილიზაცია – არარელიგიურია, ინტერნაციონალური" (12, 116).

დაიწყო ახალი გზების ძიება და გაჩნდა მოწოდება: "უნაყოფო, კულტურის საწინააღმდეგო ნიჰილისტური მორალიზმიდან პირი უნდა ვიბრუნოთ შემოქმედი, კულტურისმქნელი რელიგიური ჰუმანიზმისკენ" (სემიონ ფრანკი, "ნიჰილიზმის ესთეტიკა") (13,66).

დიდი და მარადიული პოეზიისთვის აუცილებელი მონაცემები უხვად მიუბოძებია განგებას პოეტი ქალისთვის, რადგან მისი სმენა მიპყრობილია სიბრძნის დედისკენ, ხედვა კი მარადიულისკენ აქვს მიმართული.

გვახსენდება დიდი წინასწარმეტყველი: "უფალმა ღმერთმა მომცა სწავლულთა ენა, რომ შემეძლოს დამაშვრალის სიტყვით გამხნევება. ის აღვიძებს, ყოველ დილით აღვიძებს ჩემს ყურს, რომ მესმოდეს, როგორც სწავლულებს ესმით.

"უფალმა ღმერთმა გამიხსნა სასმენელი" (ესაია წინასწარმეტყველი, 50, 4, 5) (14, 111).

პლატონის აზრით, პოეტი ღმერთის "მთარგმნელი" და განმმარტებელია: "...თვით ღმერთი მეტყველებს მათი პირით... არცერთი პოეტი სხვა არა არის რა, თუ არა ღმერთის მთარგმნელი და განმმარტებელი. თვითეული მათგანი მისი მპყრობელი ღვთაების ტყვეა და თავისი მეუფის ნებისმყოფელი" (15, 30-31).

დამოწმებანი

1. აკაკი ბაქრაძე, "მწერლობის მოთვინიერება", "სარანგი", თბ., 1990.
2. აკაკი ბაქრაძე, "სამი მწერალი", მნათობი, 2000 წ., #3-4.
3. გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ქუთაისი, მეფეთუბანი, 1966, #4(13).
4. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, "საბჭოთა საქართველო", თბ., 1968.
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, "საბჭოთა საქართველო", თბ., 1988.
6. ანა კალანდაძე, ერთტომეული, "საბჭოთა საქართველო", თბ., 1987.
7. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული 18 ტომად, ტ.I, თბ., 1991.
8. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1992.
9. ხორხე ლუის ბორხესი, "ენიგმათა სარკე", თარგმანი თამაზ ჩხენკელის, თბ., 1996.
10. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, "საბჭოთა საქართველო", თბ., 1982.
11. დანტე, "ღვთაებრივი კომედია", თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ., 1941.
12. აკაკი მინდიაშვილი, "ხელოვნების რელიგიურობისა და თანამედროვე სინამდვილის შესახებ", "ცისკარი", 1999.
13. "რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე", თბ., 1994.
14. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
15. პლატონი, "იონი, დიდი ჰიპია, მენონი", თბ., 1979.

მანანა კვატაია

"კოლექტიური ავტობიოგრაფიის" რეფლექსირება "თანამედროვის ჩანაწერების" კონტექსტით

გამოჩენილი მოაზროვნე, პუბლიცისტი, ესეისტი და კრიტიკოსი, მთარგმნელი, ფილოსოფიური, ესთეტიკური, კულტუროლოგიური კვლევების ავტორი, ეროვნული იდეოლოგიის ერთგული მცველი გერონტი ქიქოძე მისმა თანამედროვეებმა მეოცე საუკუნის ქართული ინტელექტუალური სივრცის მეტრად აღიარეს. ევროპულ უნივერსიტეტებში განსწავლული მეცნიერი შესანიშნავად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურას, ფილოსოფიას, მუსიკას, სკულპტურას, მხატვრობას. მის კალამს ეკუთვნის პირველხარისხოვანი ანალიტიკური წერილები მწერლობაზე, ხელოვნებაზე, ფილოსოფიის, ეთიკის თუ ესთეტიკის საკითხებზე. ჩგამორჩეული ღირებულებისაა ქიქოძის მემუარული ტექსტები, კერძოდ, მისი კონცეპტუალური თხზულება "თანამედროვის ჩანაწერები" – მეოცე საუკუნის მოვლენების მცირე დოკუმენტური მატიანე, რომელიც ავტორის გარდაცვალებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ იხილა მკითხველმა. ურთულესი ეპოქის რეალურ ამბებზე აგებული თხზულება პირველად 1985 წელს, მეორედ — 2003 წელს გამოქვეყნდა. ავტორის სიცოცხლეში ეს წიგნი ვერ დაიბეჭდებოდა, რადგან მასში გერონტი ქიქოძემ ობიექტურად, პირუთვნელად შეაფასა მეოცე საუკუნის საქართველოს წინააღმდეგობრივი მოვლენები – ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან იოსებ სტალინის აღსასრულამდე. ჩანაწერების ბოლოს მითითებულია წიგნის დასრულების თარიღი: 1954 წლის 12 მარტი.

მკვლევარი თამაზ ვასაძე „თანამედროვის ჩანაწერებს" დოკუმენტური პროზის ჟანრს მიაკუთვნებს. მისი აზრით, გერონტი ქიქოძის ეს ძვირფასი ტექსტი მხოლოდ მემუარები არ გახლავთ, რადგან ავტორის მიზანი ეპოქის ანალიზი იყო და არა საკუთარი ცხოვრების გადმოცემა. მკვლევარი წიგნის ღირსებად იმასაც მიიჩნევს, რომ მისივე წინააღმდეგობრივი თანამედროვეობა ქიქოძემ მწყობრად, მკაფიოდ და ადვილად აღსაქმელი ენით გადმოსცა. ამასთან, მრავალშრიანი, განტოტვილი თხრობით ავტორი მოვლენათა ურთიერთსაპირისპირო სიღრმეებს ჩაწვდა. ვასაძის დაკვირვებით, "თანამედროვის ჩანაწერები" გამოირჩევა იშვიათი ობიექტურობით, დაკვირვებისა და ანალიზის უნარით". ავტორი "სინამდვილისადმი რეალისტური ერთგულებით გვიზიარებს, რისი მოწმეც იყო და თავის დამოკიდებულებას თხრობის საგნისადმი" (ვასაძე 2010: 209).

შვედი დოკუმენტალისტი მწერლის სვენ ლინდკვისტის მოსაზრებით, "ყველაზე ავთენტურ დოკუმენტურ პროზაშიც კი არსებობს ფიქტიური პერსონაჟი — ის, ვინც ჰყვება ამბავს". მთხრობელის სტილი და პოზიცია მის ინდივიდუალობასაც გამოკვეთს. დოკუმენტური პროზის ჟანრის საუკეთესო ტექსტების ავტორები მხოლოდ საკუთარ თავზე ან განცდებზე კი არ ჰყვებიან, არამედ მანამდე უცნობი ასპექტებით გადაგვიშლიან თავიანთ თანამედროვეობას. ქრება ზღვარი ინდივიდსა და საზოგადოებას შორის, "კოლექტიური ავტობიოგრაფიის" სიღრმეებიდან ეპოქის ტკივილი იღვრება. გერმანელი პროფესორი ანდრეას ფლიჩი შენიშნავს: "ავტობიოგრაფია ფიქრიანი შესვლაა წარსულში, თუმცა ავტორს არა აქვს უფლება, მოსწყდეს აწმყოს ან დროს. ამგვარად ის დროთა შემაკავშირებელი გამოდის".

"თანამედროვის ჩანაწერებში" გერონტი ქიქოძე ფიქრიანად უბრუნდება თავის ეპოქას და აანალიზებს მას, იხსენებს მეოცე საუკუნის გამოჩენილ პიროვნებებს. კონცეპტუალური წიგნის პირველივე ფურცლებიდან ვეცნობით მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის, ნოე ჟორდანიას პორტრეტის შტრიხებს, მისი საქმიანობის ასპექტებს. ქიქოძე ჟორდანიას "საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავარ ხუროთმოძღვარს" უწოდებს, რომელიც "ზნეობრივი ოპტიმიზმის მქადაგებლად გამოდიოდა". მკვლევრის რეფლექსიით, "ის იყო ტემპერამენტიანი პოლიტიკური მოღვაწე", რომელსაც აღაფრთოვანებდა შვეიცარიის, საფრანგეთის, ინგლისის დემოკრატიული წეს-წყობილება და ოცნებობდა, რომ მისი სამშობლოც პარლამენტური დემოკრატიზაციის გზით "თანდათან უმტკივნეულოდ გადავიდოდა სოციალიზმის სამეფოში". "თანამედროვის ჩანაწერებში" ობიექტურად არის შეფასებული ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართული ნოე ჟორდანიას პოლემიკური წერილები, რომლებიც "ივერიაში" გამოქვეყნდა. ქიქოძის აზრით, "ამ პოლემიკაში მესამე დასის მეთაურმა ნაკლები სამართლიანობისა და ზომიერების გრძნობა გამოიჩინა, ვიდრე მას ჩვეულებრივ ახასიათებდა".

წიგნში მითითებულია, რომ ნოე ჟორდანიას იოსებ ჯუღაშვილიც დაუპირისპირდა. მისი იდეური მოწინააღმდეგე გახლდათ ასევე "პატრიოტულად მოაზროვნე" არჩილ ჯორჯაძე, რომელიც წიგნში ხასიათდება, როგორც "სიცოცხლის მაძიებელი ადამიანი, ფილოსოფიური ინტერესების მქონე პუბლიცისტი". ქიქოძის თქმით, "ეს უფრო აზროვნების კაცი იყო, ვიდრე მოქმედებისა... ის ოცნებობდა, რომ კაცობრიობას მშვიდობიანი ევოლუციის გზით, სისხლის დაუღვრელად დაეძლია ეროვნული და კლასობრივი შუღლი და უზნაესი ჰარმონიისათვის მიეღწია" (ქიქოძე 2003: 9).

თავის თხზულებაში გერონტი ქიქოძე იხსენებს სხვა ცნობილ მოღვაწეებს: გიორგი ლასხიშვილს, სამსონ ფირცხალავას, კიტა აბაშიძეს, ილია აგლაძეს. წიგნში სათანადოდ არიან შეფასებულნი პოლიტიკოსები: ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, აკაკი ჩხენკელი, ნიკო ნიკოლაძე, ზურაბ ავალიშვილი, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, გრიგოლ ურატაძე, "ვისრამიანის" და "სიბრძნე სიცრუისას" ქართულად მთარგმნელი ოლივერ უორდროპი, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობამ თავის წარმომადგენლად თბილისში გამოგზავნა და სხვები.

გერონტი ქიქოძე მოგვითხრობს 1919 წლის 12 მარტის დამოუკიდებლობის კრების შესახებ, რომელზეც საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შედგენა გადაწყდა. წიგნში შეფასებულია საქართველო-სომხეთის ომი. მწერალი იხსენებს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მისი მუშაობისა და გაზეთ "საქართველოს" რედაქტორობის პერიოდს და განმარტავს, რატომ ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას.

"თანამედროვის ჩანაწერები" გვიამბობს შულავერის კომიტეტის სხდომის შესახებ, რომელმაც ქართველ ხალხს მანიფესტით აუწყა, რომ წითელი არმია მის გასათავისუფლებლად მოდიოდა. ამავე დროს, ქიქოძის ხაზგასმით, გენერალმა კვინიტაძემ გადაწყვიტა, რომ "მთავარი ბრძოლა თბილისის კარიბჭესთან მიეცა". მეცნიერი იხსენებს 1921 წლის 24 თებერვლის ღამეს, რომელიც მან, ისევე, როგორც ბევრმა პატრიოტმა, თეთრად გაატარა. წიგნში მოთხრობილია თბილისის დაკავებისთანავე წითელი ჯარის ნაწილების მიერ გამართულ პარადზე, რომლის მეორე დღეს დედაქალაქის მოსახლეობამ რუსთაველის პროსპექტზე დიდი სამგლოვიარო პროცესია მოაწყო. "წინ მოჰქინდათ შავი კუბოები, რომლებშიც სანგრებიდან ჩამოტანილი ქართველ ჭაბუკთა გვამები ესვენენ, ხოლო უკან, ნელი ნაბიჯით მდუმარე და თავჩაქინდრული ხალხი მოაბიჯებდა" (ქიქოძე 2003: 52). ეს უმძიმესი სანახაობა იმდენად ტრაგიკული ყოფილა, რომ "ახალ ადმინისტრაციას აზრადაც არ მოსვლია, ამ პროცესიისათვის ხელი შეეშალა".

ქიქოძე საუბრობს 1921 წლის 25 თებერვლის შემდგომ პერიოდზე, ნოე ჟორდანიასა და საქართველოს მთავრობის უცხოეთში ემიგრირებაზე. ანალიტიკოსის დასკვნით,. როგორც არ უნდა შეაფასონ ნოე ჟორდანიას მმართველობის წლები, "უცილობელია, რომ მან ხელი შეუწყო ეროვნული მთლიანობისა და თავისუფლების იდეების აღორძინებას... ქართველობას განუმტკიცდა რწმენა, რომ მას საკუთარი სახელმწიფოს შექმნა შეუძლია ურთულეს საერთაშორისო პირობებში" (ქიქოძე 2003: 61).

დოკუმენტურ ტექსტში საუბარია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებზე. ქიქოძის შეფასებით, ახალ მთავრობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა ნოე რამიშვილი გახლდათ და "ეს გამხდარი, ფერმკრთალი მამაკაცი არავის უნახავს გაცინებული. მისი ენერგიული ხელის მოძრობა, ლაკონური, მბრძანებლური სტილი და პირქუში სახის გამომეტყველება მოწმობდნენ, რომ ის დიქტატორად იყო გაჩენილი" (ქიქოძე 2003: 17).

ჩგერონტი ქიქოძის თხზულებაში მოთხრობილია ქვეყნის გასაბჭოებისთანავე საქართველოში სტალინი ვიზიტის შესახებ. ავტორის ცნობით, ბელადი მშრომელებს შეხვდა და მათი ნეგატიური განწყობა რომ შეიგრძნო, მოსკოვში დაბრუნებისთანავე ჩვენში რეპრესიები გააძლიერა. წიგნში მოთხრობილია 1924 წლის აგვისტოს ტრაგედიაზე, ქართველი პატრიოტების სასტიკ ხვედრზე, კოტე აბხაზისა და სხვა 23 შეთქმულის დახვრეტაზე და ა.შ. მწერალი 1924 წლის აჯანყებას რეალისტურად აფასებს. მისი აზრით, მეამბოხეებმა "მეტი რომანტიზმი გამოიჩინეს, ვიდრე საღი პოლიტიკური გონიერება". გერონტი ქიქოძე იხსენებს თავის ცოლის ძმას, პოეტ შალვა ამირეჯიბს, რომელსაც, როგორც ირკვევა, ჩეკისტები დასაკავებლად ყველგან დაეძებდნენ, მათ შორის, მწერლის ბინაშიც.

გერონტი ქიქოძის წიგნი კომუნისტი მაღალჩინოსნების "მოღვაწეობის" დეტალებსაც გვაცნობს. მასში საუბარია სერგო ორჯონიკიძეზე, ლავრენტი ბერიაზე, იაგოდასა და ეჟოვზე, რომელთა ბრძანებით მილიონობით ადამიანს ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცა. "სიკვდილით დასჯის პროცესი მეტისმეტად გამარტივდა და იაფფასიანი გახდა", — წერს მეცნიერი. ის იხსენებს ბერიას უსა-

მართლო დამოკიდებულებას ქართველ შემოქმედთა მიმართ, იგონებს რეჟიმის მიერ რეპრესირებულ მიხეილ ჯავახიშვილს, დიმიტრი შევარდნაძეს, ნიკოლო მიწიშვილს, საქართველოდან ემიგრირებულ გრიგოლ რობაქიძეს, პოეტ გიორგი ლეონიძეს, რომელიც სამშობლოში დარჩა, მაგრამ "საშინელი იერიშები განიცადა ოფიციალური პირებისა და პრესის მხრიდან". ქიქოძის შეფასებით, "1937 წლის ტერორმა ერთგვარი სისხლიანი შეჯიბრის ხასიათი მიიღო". წიგნში მოთხრობილია ლავრენტი ბერიას მიერ მიხეილ ჯავახიშვილის დევნასა და მის გასამართლებაზე.

საგულისხმოა მიხეილ ჯავახიშვილის გერონტი ქიქოძისეული დახასიათება. ირკვევა, რომ მეცნიერი მწერალს 1910 წლის შემოდგომაზე მეტეხის ციხეში შეხვედრია. "ის ძალიან საინტერესო მოსაუბრე იყო: განცდილ ამბებს გადმოსცემდა, როგორც დაკვირვებული ადამიანი, რომელიც დიდი შემოქმედებითი ნიჭითაა დაჯილდოებული. ჯავახიშვილი გამხდარი იყო, გამომცდელად იცქირებოდა სათვალიდან, ნაყვავილარი სახე და მაღალი შუბლი ჰქონდა და მახვილ ჭკუასთან რაღად რაღაც ბავშვურ გულუბრყვილობას აერთებდა" (ქიქოძე 2003: 92). ჩგერონტი ქიქოძის მითითებით, 1924 წლის ამბოხებასთან დაკავშირებით მიხეილ ჯავახიშვილიც დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს.

წიგნში შეფასებულია საქართველოში კანდიდ ჩარკვიანის მმართველობის წლები და აღნიშნულია, რომ ჩარკვიანის ხელმძღვანელობით გრანდიოზული ცვლილებები დაიწყო, რომლებმაც ქვეყანას სახე შეუცვალა. „თანამედროვის ჩანაწერებში" შეფასებულია 1950-იანი წლების რეპრესიები, საუბარია მწერალ ლევან გოთუას დაპატიმრებაზე და სხვა საგულისხმო მოვლენებზე.

„თანამედროვის ჩანაწერების" ბოლო ნაწილი იოსებ სტალინის დიქტატურის სუსხიან წლებს ეძღვნება. ქიქოძის შეფასებით, სტალინი "იყო პოლიტიკური მოღვაწე, ერთნაირად ძლიერი როგორც ნგრევის, ისე შენების საქმეში". ამავე დროს, "მან სრულიად ახალი გზები უჩვენა საბჭოთა კავშირს" (ქიქოძე 2003: 128). ანალიტიკოსი ცდილობს, იოსებ სტალინის მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდი ობიექტურად შეაფასოს. მისი რეცეფციით, "ბოლო დროს სტალინის თვითგანდიდებამ ავადმყოფური და საშიში ხასიათი მიიღო... მან თავი წარმოიდგინა ზეკაცად... გულწრფელად დაიჯერა, რომ უბადლო გენიოსი იყო" (ქიქოძე 2003: 133).

წიგნში საუბარია ბელადის აღსასრულზე. ქიქოძის შეფასებით, "იოსებ სტალინის სიკვდილით დასრულდა ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი საბჭოთა კავშირის ისტორიაში". საგულისხმოა გერონტი ქიქოძის დაკვირვება, რომლის მიხედვით, სტალინი დაასაფლავეს გარდაცვალების მეოთხე დღეს, ორშაბათს, "რომელსაც ქრისტიანული ეკლესია ჩვეულებრივ არ იყენებს ამ მიზნით" (ქიქოძე 2003: 138).

"თანამედროვის ჩანაწერები" გვიამბობს ლავრენტი ბერიას შემდგომ ხვედრზე, მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებზე, გასამართლებაზე.

წიგნის დასასრულს გერონტი ქიქოძე შენიშნავს, რომ ახალგაზრდობამ გარდაცვლილ სტალინს ცოდვები ერთგვარად მიუტევა და "შეეცადა, რომანტიკული შარავანდედით შემოსილი ბელადი მითოსში გადაეყვანა". "თანამედროვის ჩანაწერები" 1954 წლის 12 მარტით თარიღდება და მასში აღარაფერია ნათქვამი თბილისში 1956 წლის მარტის სისხლიან ტრაგედიაზე, რომელმაც მრავალი ღირსეული ახალგაზრდა შეიწირა.

დამოწმებანი:

1. ვასაძე 2010: ვასაძე, თ. ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაში. თბილისი: "ლიტერატურის ინსტიტუტი", 2010.
2. ქიქოძე 2003: ქიქოძე, გ. თანამედროვის ჩანაწერები. თბილისი: "არეტე", 2003.

ხათუნა ელიაშვილი

სახე ყოველთა!

ენას! ქართულ ენას თავისი აღმავლობა და უნიკალურობა აქვს, დამოკიდებულია სამყაროზე და ერთიანია!

არ აქვს გამყოფი!
არის მზე, ერთიანი!
არის მთვარე,ერთიანი!
პლანეტები!
და დედამიწაც!
მას არ ყოფს ღმერთი!
აქ ყველაფერი ერთიანი! სრული! მთელი!
გაერთიანებულია სივრცეც!
აქ არ არსებობს გაყოფა!
ის ის არის! შენ, შენ ხარ! ქალიც და მამაკაციც!

ე ნ ა! რომელიც არ განაცალკევებს მამრს ან მდედრს, მიმართვის ფორმა ენაში არ იძლევა განცალკევებას და თვითონ ღმერთსაც კი შენობით მიმართავს!
ე. ეს სიცოცხლეა!
აქ ღრმა ცივილიზაციაა!

ალბათ ესაა ოქროს საწმისიც, სადაც ცნობიერების დონე იძლევა სრულყოფილ თასს!
გაერთიანება ანუ განუყოფლობა ბადებს სრულყოფილებას!
ანუ ქართული ენა პირმშოა! მიმართვა "შენ", "თქვენ", "ისინი" უზარმაზარი აზრის მატარებელი სიტყვებია მიმართვის ფორმაში, ესენი მეტყველებენ იმაზე რომ ეს ორი სახე, ქალი და მამაკაცი ერთიანია! თანატოლია და არ განირჩევიანისევე როგორც დანარჩენი სხვა და აქ ენა სამყაროს სრულყოფილებას შეესაბამება , ანუ განუყოფელია!

ეს ჩვენი ენა! ქართული ენა! ღრმად მოაზროვნე! მოჩუქურთმებული და უმდიდრესია!
ე ნ ა მშენებელი და შემმქმნელი!
სიცოცხლე – მარადიულობის ღირსების სხივია!
როგორც დილა მზის!
როგორც მთვარე ცის!
მეტყველია, ურთიერთობებს იწყებს გულიდან,ურთიერთგაგებას ახდენს, ცნობიერად ზრდის ადამიანს.
ბგერათა ენა გვაძლევს ველს,სრულყოფილსსა და ჯამრთელს ხდის სხეულს.

ადამიანში ენა განადიდებს ადამიანს!

ენის საფუძვლები იძლევა მის მნიშვნელობასსაუბრისას, სადაც საუბარი გვიადვილდება,ის არ ქმნის სირთულეს.
მიმართვის დროს ვინ, ვინ არის.
ამეტყველებული! დიდებული და ქებული!
ენა ქართული საიდუმლოებების ცოცხალი ხმაა!

"ასომთავრული" – სიტყვის მნიშვნელობა მის სამთავრობო, მთავრობის მოდგმის მდგომარეობას იძლევა აზრში.

მისი ჩამოყალიბება ხდება ერთობაში და ერთსულოვნებაში.გაგება კი წერისა და კითხვის დროს ერთიანია, რასაც წერ,იმასვე კითხულობ!

"ერნი სრულიად ყოვლისა შინა ივერიისა"

ქართველობა!
კავკასიელობა!
ერის სრულყოფილი სახეა!
შთამომავლობა მისი მიზანია! და აზრი მისი ქალსა და კაცს შორის "შენ" ერთია!

ღმერთიც ერთია!
"შენ ხარ ყოვლის შემქმნელი სამყაროში"
და უტოლდები უდიადესს საკუთარი მაღალი ცნობიერებით!

ქართული ენა იმყოფება და ვითარდება სულის არსში, მისი ღირებულება ჩამოყალიბებულია ღმერთში.
და თუ შენ იპოვი ამ ღვთიურ წყობას დაერთობლივობაში შევალთ ვხდებით მისი ტოლი.

ეს ცოცხალი მეტყველებაა!
მისი სამეტყველო არსი კი იძლევა სხეულს!
საკუთარი შინაგანი გარემო აქვს,
მარცვლის ძირი, ღერო და წვერი მიედინება ზეცისკენ,იზრდება.

მარცვალი არის ღია,რასაც ვმეტყველებთ და დახურული,რასაც ვდებთ მასში,რა გავიაზრეთ.
ერთობლივობა მისი შენებაშია!
შემმქმნელია!

კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა შინაგანი შთაგონებაა სულყველა.
მათმა მდიდარმა სამყარომ აამაღლა და გააძლიერა ღმერთი ენაში და ამიტომ მოხდა გაღმერთება!
ზუსტად ბგერებში და სიტყვაში გვაძლევს მის სახეს! სახელს! ხელს და ხეს!
აქ მუდმივი კავშირია ცოცხალ მეტყველებასთან,სიმდიდრე ენის აყალიბებს პიროვნებას, პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა დ!

ფორმები მისი სხვადასხვა გვარია ! მიდგომა კი უმაღლესი!

მეტყველება უახლოვდება ღმერთს ღმერთის აზრში, აქ თანაარსებობაა! თანადგომა! თანაზიარება! თაყვანისცემა! თანამშრომლობა!
თანამედროვეობა მისი დროში მოტანაა,მისი დაბადებისა და სახელისა!

თავის – უფლება არ უნდა დავუკარგოთ ენას,არ უნდა დაკნინდეს.
გამორჩეულობა გამოგვარჩევს!
ეს მუდმივობის კანონია,რაც არსად იკარგება.

დამიწება! ეს მის არსში ბრუნვას ეხება და მიზიდულობაა,რადგან დედამიწაც ღმერთია! ბუნების ერთერთი სახე!
ენა კონტაქტია! ურთიერთობაა!
ენა ტევადია და მზარდი!

წერა – ერაა! სადაც გადმოიცემა წერითი ფორმით.
მრავალსაუკუნოვანი სიბრძნე ანუ დედააზრი ენის მასში დამკვიდრდა მისივე სიღრმეებით.
უწყება! ქაღალდი სადაც წერია მისი მზა ფორმულა,რაც მოწმობს ისტორიას.

ცხოვრების ყველა სფერო ენაზეა დამოკიდებული და ენა გვაძლევს მის შინაარსს.
ენა მიზანდასახულია!
ენის საუნჯე ჩვენი საუნჯეა სიცოცხლისათვის!
უნდა დავფიქრდეთ რას ვწერთ, ჩვენი აზროვნება ჩვენივე სახეა და მისი შინაგანი არსი ჩვენივე შეხედულება.
როგორც შევქმნით აზრით ის გადმოედინება გარეთ,ანუ დონე შესაბამისობაში მოდის პიროვნებასთან.
ბუნება ღმერთის სახეა და მუდმივად ხილული.
მზე საკუთარი სახეა,ნათელი და თბილი.
მთვარე საკუთარ ძალას საკუთარ თავში პოულობს და სიბნელეშიც ნათელს ავლენს,ცდილობს გაიზარდოს და შეივსოს,როგორც კი მიაღწევს მაქსიმუმს კმაყოფილი ბრუნდება უკან და ახლის საწყისს აძლევს ასპარეზსს.

თანამედროვე ადამიანის სულიერი ცხოვრება მხოლოდ სამყაროზე და ღმერთზე უნდა იყოს ორიენტირებული!

ჩვენი ქართული პოეტური ენა სახე სახელისა და უკვდავებისა საყრდენია ოჯახის!ქვეყნის! სამყაროსი! ბუნების და " მე– სი"!
"სი" კი გულია!
ამ დროს კი "მესიაა" მოვლენილი!
ის საზრდოა! სიტყვით შექმნილი სივრცე სახეა!
სახე – სახეა ყოველთა!
სახე – სახელია უფლისა!
სახე – ხე– შია და იქაც უფალია! ანუ ხე დაუფლებას ახდენს ცისა და მიწისას!გართიანებაში მოჰყავს! ავსებს!
კულტურა და სიმბოლოა!
თვალსაზრისს ქმნის!

აქ არ არსებობს " მე"
განცალკევება, აქ არსებობს ერთიანობა! ერთობლივობა შენი, ჩვენი, თქვენი!
და არა ქალი ან კაცი!
შენ უკვე ერთობაა!
ქართული ენა მზეა მ ზ ე!
ნუ ჩავაქრობთ მზეს!

ღმერთის არსით შექმნილი და ჩემი ენით თხრობილია!

2024წ.
აგვისტო!

სერგი ლომაძე

გრანელი – გენიალური ქართველი პოეტი

ტერენტი გრანელის შესახებ დღესაც არ წყდება კამათი. რაც მას ეხება, თითქმის ყველაფერი საკამათო გახდა, ვთქვათ – დაბადების თარიღიც კი. ზოგთა ცნობით, გრანელი 1897 წლის 3 ივნისს (ან – 25 ნოემბერს) დაიბადა წალენჯიხაში, რომელიც მაშინ სოფელი იყო, ახლა კი ქალაქადაც მოიხსენიებენ ხოლმე... მაგრამ სხვანი ამბობენ, რომ გრანელი 1901 წელს დაიბადაო... შედარებით უფრო მყარად იციან მისი გარდაცვალების თარიღი – 1934 წლის 10 ოქტომბერი, ადგილი – მთავარქალაქი თბილისი, ,,არამიანცის" საავადმყოფო...

ტერენტი სამსონის ძე კვირკველია, რომელმაც პოეტურ ფსევდონიმად ,,გრანელი" აირჩია, და ეს ფსევდონიმი მას ძალიან მოუხდა, დარჩა ისტორიაში, როგორც პოეტი ტერენტი გრანელი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტრაგიკული პიროვნებაა კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში. იგი ხუთი წლისა დაობლდა, მამა სამსონი და დედინაცვალი – დარია მებონია-კვირკველია ზრდიდნენ. მშობლებს გრანელის დებიც – მაშოც და ზოზიაც ეხმარებოდნენ პატარა ტერენტის აღზრდაში. ბავშვს ყველა ესენი უყვარდა, მაგრამ მაინც, ობოლს, ძალიან მგრძნობიარეს, გაუჩნდა, თავიდანვე, მელანქოლიისკენ მიდრეკილება. ამ მიდრეკილებას, მისი სრული სიცოცხლის განმავლობაში, აძლიერებდა ცხოვრება, მთელი თავისი მუხანათობით. ტერენტის ობლობას მალე ის დაემატა, რომ ოჯახს სახლი დაეწვა, რის გამოც, ისედაც ღარიბი კვირკველიები, საშინელ სიდუღჭირეში ჩავარდნენ. ერთი კი არის, – გრანელი დადიოდა სკოლაში, სადაც ყველაფრით გამოირჩეოდა, ხოლო ეს ახარებდა. ამ უნიჭიერეს ბავშვს ჰქონდა საოცარი მიდრეკილება წიგნებისაკენ, საერთოდ – განათლებისაკენ, და მას ,,მოსწავლეთა მეფეს" ეძახდნენ. იგი წალენჯიხის სკოლაში სწავლობდა. გრანელს უყვარდა ეს სოფელი. რაც შეეხება მისი განათლების სისრულეს, ამაში იაკობ შანავას მიუძღვის დიდი წვლილი, რომლის ბიბლიოთეკაში გრანელმა უამრავი საინტერესო წიგნი მოიძია და წაიკითხა. ტერენტის უყვარდა იაკობთან საუბარი. ამ იაკობს, ზოგნი, თვით დიდ იაკობს – გოგებაშვილს ადარებდნენ.

1918 წელს გრანელი თბილისში გამოჩნდა. ის, აქ, ჯერ დებთან ერთად ჩამოვიდა, თუმცა მერე მარტო ცხოვრობდა. პოეტი, დებს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, საოცრად აფასებდა. მაშო საკმაოდ მკაცრი და მზრუნველი იყო, ზოზია – ლამაზი და ხალისიანი. ორივე იყო სიმპათიური, თბილი, მოსიყვარულე ადამიანი, თუმცა ზოზია მაინც გაცილებით უფრო გახსნილი გახლდათ ურთიერთობებში და მისი გენიალური ძმის შესახებ საუბარი განსაკუთრებით უყვარდა.

გრანელმა, თბილისში, არაერთი სამუშაო გამოიცვალა, პოლიტიკასაც კი მოკიდა ხელი, მაგრამ, საბოლოოდ, გული ვერაფერს დაუდო, დარჩა უსახსროდ. იგი, ადრე – მეგობართა მოყვარული, მარტოობას მიეჩვია და ღრმა მელანქოლიას მიეცა, საბოლოოდ – სულიერად დაავადდა... თუმცა, იქამდე, ჯერ დროა გასავლელი, დროის მანძილი. ჯერ, ვთქვათ, 1918 წელია,

გრანელი თბილისში ახალჩამოსულია, ჯერაც იმედებით სავსეა, და ხვდება, ის, ორ ფილოსოფოს-ფილოლოგს: შალვა ნუცუბიძეს და სიმონ ყაუხჩიშვილს. პოეტი დადის ნუცუბიძის ლექციებზე, სხვა პროფესორების ლექციებზეც, და, გარკვეულ ხანს, ცოდნას იღებს უნივერსიტეტისგან.

1918 წელს, ნაციონალ-ფედერალისტების გაზეთ ,,სახალხო საქმეში", ყაუხჩიშვილმა დაუბეჭდა, პოეტს, ლექსი. გრანელი, პირველად, ოფიციალურად, ასე გამოჩნდა პოეზიაში.

1920 წელს, გობრონ აგარელთან ერთად, გრანელმა გამოსცა პატარა წიგნი – ,,პანაშვიდები", ხოლო 1921 წელს, გრანელმა, ასევე პატარა წიგნი – ,,სამგლოვიარო ხაზები" გამოსცა. ამ პოეტური წიგნაკებით, მან, გარკვეული აღიარება მოიპოვა, ხოლო გობრონ აგარელთან, გიონ საგანელთან და ზოგ სხვა პოეტთან ერთად, თავისი საძმოც შეაკოწიწა.

მაშ ასე, – არის ათიანი და ოციანი წლები, – ბობოქარი დრო ქართული პოეზიისა. 1915 წელს გარდაიცვალნენ დიდი ეპიკოსები – აკაკი და ვაჟა. მათ, რა თქმა უნდა, ლირიკაშიც ჰქონდათ წარმატებები... აი, უდიდესი ქართული პოეტური ეპოსები:

1. ,,ვეფხისტყაოსანი".
2. ,,განდეგილი".

3-4. ,,ალუდა ქეთელაური".

3-4. ,,სტუმარ-მასპინძელი".

5-6. ,,გამზრდელი".

5-6. ,,გველისმჭამელი".

7. ,,თორნიკე ერისთავი".

როგორც ხედავთ, ჩემს ერთ-ერთ რეიტინგ-ლისტში ვაჟას სამი პოემა შევიდა, ხოლო სია რომ, ვთქვათ, ოცამდე გამეზარდა, იქ კიდევ არაერთი ვაჟასეული ქმნილება მოხვდებოდა, მაგალითად – ,,ბახტრიონი", ,,ნანგრევთა შორის" და ზოგი სხვაც. ვაჟა ბევრ რამეს ჩაწვდა, უპირველესად კი – რუსთველურ აზროვნებას: პოეტურს, ფილოსოფიურს, სიმბოლურს და ასე შემდეგ. გენიოსი რუსთველი უზარმაზარი გრძნობა-გონების კაცი იყო, რომელმაც მისი უსასრულოდ პოეტური ტექსტი აავსო ქვეტექსტებით, მინიშნებებით, სიმბოლოებით... მარტო ცრემლის სიმბოლო რად ღირს... და ლომი – სახება ტარიელის... ლომი – მეფობის, იმპერატორობის, თვით ღმერთობის სიმბოლო, ბრძოლა-ომის, შეუპოვრობის, ძალაუფლების, უდიადესობის სიმბოლო, უამრავი სხვა რამის დამტევი სიმბოლო... და ვეფხვი (ასევე – რომელიმე სხვა ძლიერი მხეცი კატისებრთა ოჯახისა) – სახება ნესტანის... ტარიელი, რომელიც ვეფხვის ტყავს ატარებს, ანუ – მარადნესტანით, ანუ – მარადსიყვარულით შემოსილი ტარიელი... მარადსიყვარულით აღსავსე ადამიანი, ეს ხომ – ღმერთკაცია, ღმერთია... ძმობის სიმბოლო-სამეული: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი... შევეშვათ ამ თემებს, თორემ უსასრულობაში დავიკარგებით... ვაჟა, ალბათ, ყველაზე უკეთ ჩაწვდა რუსთველურ აზროვნებას. მისი გენიალური შემოქმედება არის ნამსხვრევები ,,ვეფხისტყაოსნისა", და მაინც – ვაჟა სრულიად დამოუკიდებელი პოეტია, თავისუფალი პოეტია, გენიოსია... სიაში, დიახ, აკაკის პოემებიც არის... ხოდა ერთ წელიწადს, ერთმანეთის მიყოლებით წავიდნენ ქართული პოეზიის ეს ჩემპიონები, მეფეები, – აკაკი და ვაჟა. მათზე ადრე ტახტი სხვებს ეკავათ: რუსთველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას. კიდევ სხვებსაც ამატებენ ხოლმე ამ ჩამონათვალს (მაგალითად – ბესიკს – მეთვრამეტე საუკუნიდან, სხვებსაც – სხვადასხვა დროთაგან).

აკაკის და ვაჟას წასვლამ დააობლა ქართული პოეზია. დაიწყო ძებნა ახალი ლიდერისა, ახალი მეფისა. არ დაახანა გალაკტიონმა და ათიან წლებშივე გამოაცხადა თავი პოეზიის მეფედ. ასევე მოიქცნენ პაოლო და ტიციანი, თუმცა, მერე და მერე, პაოლომ ტიციანზე გააკეთა აქცენტი, ასე ვთქვათ, მთელი ფსონი მასზე დადო. რაც შეეხება თვითონ ტიციანს, ის ხან უმეფობის ხანაზე საუბრობდა, ხან კი გულწრფელად ეთანხმებოდა პაოლოს. მაშ ასე, – ოციანი წლების დასაწყისისთვის, მთავარ მეტოქეებად, ორი ტაბიძე გამოიკვეთა. ამას არ იზიარებდნენ ასაკით უფროსი პოეტები, – შანშიაშვილი, გრიშაშვილი, აბაშელი და სხვები. აბაშელის კერპი ნოე ჩხიკვაძე იყო, რომელიც, გარკვეულმა ძალებმა, მალევე დაღუპეს...

1921 წელს შედგა პოეზიის მეფის არჩევნები. რომელსაც, ბევრმა, ბოიკოტი გამოუცხადა, მათ შორის – ცისფერყანწელებმაც, რომელთაც თავიანთი ლიდერები ჰყავდათ. საბოლოოდ, უფ-

რო, სამი პოეტის კანდიდატურა გამოიკვეთა, – გალაკტიონის, გრიშაშვილის, შანშიაშვილის. გალაკტიონს მხარი დაუჭირა ქუჩიშვილ-იმედაშვილ-ეკალაძის ჯგუფმა, ჩიქოვანმაც, სხვებმაც მისი პოზიცია გაამაგრეს, მაგრამ მყარი გამარჯვება სახეზე ეგებ მაინც არ ყოფილიყო, საქმეში რომ გრანელი და მისი ჯგუფი არ ჩარეულიყო. მათ გალაკტიონს დაუჭირეს მხარი. კენჭისყრაში (ბიულეტენების შევსებაში) საერთოდ, ცოტამ მიიღო მონაწილეობა, მაგრამ კამათში, დისკუსიებში, სხვებიც ჩაერივნენ. საბოლოო ჯამში გამარჯვებული გალაკტიონი დარჩა. საერთოდ, უამრავი ლექსი და პოემა დაწერა გალაკტიონმა, იმ დღეს კი სულ რამდენიმე ლექსი წაიკითხა. ამბობენ, რომ ერთ-ერთი ამ ლექსთაგანი გახლდათ ,,ეფემერა", რომლის პირველი ვარიანტი უკვე მაშინ შექმნილი ჰქონდაო პოეტს...

საბოლოოდ, გალაკტიონმა და გრანელმა, ვერცერთ პოეტურ დაჯგუფებაში მოიკიდეს ფეხი. მათ, ეს, ეგებ არც სურდათ, ეგებ არც სჭირდებოდათ. მიუხედავად ამისა, ზოგ დაჯგუფებებთან მაინც ჰქონდათ ახლო ურთიერთობა, თუმცა საქმე ვერ დაალაგეს მათ შორის ყველაზე ძლიერთან – ყანწელებთან. ეს ცამეტკაციანი დაჯგუფება (იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გაფრინდაშვილი, ცირეკიძე, რობაქიძე, კარმელი, ნადირაძე, მიწიშვილი, ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, აფხაიძე, გვეტაძე, ჯაფარიძე, ხანდახან არსენიშვილს, ჭიჭინაძეს, სხვებსაც მოიხსენიებენ ხოლმე მათ რიგებში), რომელიც, მაშინ, პირველობდა დაჯგუფებებს შორის, ალმაცერად უყურებდა გალაკტიონსა და გრანელს, რადგან ეს ორი გენიოსი უშლიდა ხელს იმას, რომ მაშინდელი დრო ყანწელთა დროდ დარჩენილიყო. საბოლოო ჯამში, ის, ალბათ, გალას, გრანელის და ყანწელების დრო იყო მაინც, – ერთად შექმნეს ეპოქა ამ მეტოქეებმა. ყანწელები ვერ იმეტებდნენ გალას, – ტიციანთან ნათესავობის გამო, ხოლო გრანელთან ჰქონდათ სერიოზული შეხლა-შემოხლა, თუმცა ეს ყოველივე მათი შერიგებით დასრულდა.

1921 წელს თქვა გრანელმა, – გალაკტიონს დავუთმე მეფის გვირგვინიო. ეს მერეც არაერთხელ თქვა, თუმცა, როცა, 1924 წელს, ტერენტიმ, თავისი ლეგენდარული წიგნი – ,,მემენტო მორი" გამოაქვეყნა, გრანელსა და გალაკტიონს შორის, გალაკტიონსა და გრანელს შორის, უმძიმესი მეტოქეობა დამკვიდრდა, ალბათ – საუკუნის პოეტური მეტოქეობა (თუმცა ასეთი მეცხრამეტე საუკუნეშიც იყო – ილიასა და აკაკის შორის. მერე, ამათ, ვაჟა შეემატათ. ხოლო გალაკტიონს და გრანელს თავიდანვე არ ასვენებდნენ ყანწელები... საერთოდ, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეები ერთნაირად საინტერესოა, ძალიან საინტერესო... ძალიან საინტერესოა ოცდამეერთე საუკუნე)... გრანელმაც მეფედ გამოაცხადა თავი და, ასე, 1927 წლამდე, გალასთან ერთად, იგი იყო ერთ-ერთი ლიდერი პოეტური სივრცის. კონკრეტულად პოეტურ პაექრობებშიც ისინი უძლეველნი იყვნენ. ლექსებით შეჯიბრებებში ყველას ამარცხებდნენ. მხოლოდ რომელიმე ყანწელი თუ მიაღწევდა, მათთან, იშვიათ ყაიმს, ხოლო ერთმანეთს შორის, გალა და გრანელი, მეგობრულ ყაიმებს სჯერდებოდნენ. სხვას ყველას ამარცხებდა ეს ორი, ყანწელებიდან დაწყებული, ფუტურისტებით დასრულებული, ხოლო პროლეტარული მწერლები ხომ, მათთან, საერთოდ, ახლოსაც ვერ მივიდოდნენ... თუმცა ახალი რეჟიმი – წითელი რეჟიმი სწორედ რომ პროლეტმწერლებს (პოეზია, პროზა) უჭერდა მხარს. კრიტიკოსებიც ამათ წაახმარეს. ბესო ჟღენტი და სხვანი და სხვანი თავს ესხმოდნენ ახალმოწესეთა მოწინააღმდეგეებს (თუმცა, ბესო, არც პროლეტმწერლებს ინდობდა). პოლიტიკოსებმა თითქმის ყველა გატეხეს სულიერად, და დაიმონეს, ხოლო რომელნიც ვერ გატეხეს, ისინი მოსპეს ან გააძევეს. გალაკტიონმა დაკარგა ყველაფრის ხალისი. იგი, ოცდაათიანი წლებიდან, ასე ვთქვათ, ,,პროფესიონალ ლოთად" ჩამოყალიბდა. ისედაც უყვარდა სმა, ხოლო ახლა უკვე ხსნას პოულობდა ალკოჰოლში, არასიფხიზლეში. ოციანი წლების ბოლოს, უფრო კი – ოცდაათიან წლებში დაიწყო მისი დაცემა, თუმცა, არაერთხელ, გალა მაინც გამოანათებდა ხოლმე, და აფრთხობდა მოშურნეებს. მას, ისევე, როგორც გრანელს, სიცოცხლის ბოლომდე შეეძლო შედევრების შექმნა, თუმცა, ორივემ, ძველებური პოეტური შემართება მაინც დაკარგეს. მიუხედავად ამისა, გალამ მოასწრო და 1927 წელს გამოსცა წიგნი-შედევრი: ,,ზარნიშიანი წიგნი" (ხშირად სწორედ ასე მოიხსენიებენ ამ პოეტურ ნაშრომს)... აქვე შემოგთავაზებთ ხუთი საუკეთესო ლირიკული წიგნის რეიტინგ-ლისტს, – ესეც ჩემი ერთ-ერთი სია გახლავთ:

1.ბარათაშვილის ის კრებული, რომელშიაც ქმნილებები არაა დალაგებული ქრონოლოგიის მიხედვით. (თუმცა ასეთი კრებულებს სხვადასხვაგვარად ადგენენ სხვადასხვა ადამიანები. გამომცემლობები მაინც ცდილობენ, რომ უპირატესობა ქრონოლოგიურ კრებულებს მიანიჭონ, რაც, ამ პოეტთან მიმართებაში, წამგებიანია. თანაც, ბოლო-ბოლო, არაქრონოლოგიური თანმიმდევრობის დროსაც ხომ შეიძლება, რომ ქმნილებათა ბოლოებში დაფიქსირდეს მათი შექმნის თარიღები).

2-3. ,,ზარნიშიანი წიგნი".

2-3. ,,არტისტული ყვავილები".

4-5. ,,მემენტო მორი" – ოთხმოცდაათიანი წლების გამოშვება ანუ – განვრცობილი ვერსია.

4-5. ,,მემენტო მორი" – 1924 წლისა.

ტერენტი გრანელზე ძალიან დიდი იყო ზეწოლა რეჟიმის მიერ. გალა ხომ გაალოთეს, ყანწელთა ლიდერები ხომ დაღუპეს, ხოლო გრანელი, რომელმაც არ უღალატა თავის პოეტურ ხაზს, ფსიქიკურად შეარყიეს. დაახლოებით 1926-1928 წლებში მას, ნელ-ნელა განუვითარდა ფსიქოლოგიური პრობლემები, და ბოლოს, ამან, მძიმე ხასიათი მიიღო. გრანელმა საერთოდ დაკარგა ხალისი, შემართება. 1926 წელს გამოდის მისი ლექსების ბოლო წიგნი, ხოლო როცა, 1927 წელს, გალაკტიონის წიგნი გამოვიდა, გრანელს აღარც შეეძლო და აღარც საშუალება ჰქონდა, რომ ამ წიგნისთვის პასუხი გაეცა. ის, ფაქტიურად, უკვე ჩამოშორებული იყო პოეტურ სივრცეს. მაინც ბოლომდე წერდა. ზოგი თვლის, რომ გრანელს, ბარათაშვილის მსგავსად, ყველა პოეტური ნაწერი დიდებული აქვს, რომ ის სუსტად არასდროს წერდა. ზოგი ასევე თვლის, რომ ამ ორ პოეტს, ისევე, როგორც, ვთქვათ, გალაკტიონს და ფიროსმანს, სიცოცხლის გარკვეულ ეტაპზე განუვითარდათ შავი მელანქოლია, – სულიერი ავადმყოფობა, რომელიც შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოვლინდეს. ეს ავადმყოფობა ანადგურებს სულს (სხეულსაც). იგი იშვიათად იკურნება. მელანქოლიის ეს ფორმა გამოწვეულია მძიმე ცხოვრებისაგან. დიახ, გრანელს მძიმე ცხოვრება ჰქონდა, უმძიმესი ცხოვრება. ადამიანებმა ,,იზრუნეს" იმისათვის, რომ მას პრობლემები კი არ მოკლებოდა, არამედ – მომატებოდა. ყველამ ერთად დაღუპა გრანელი...

საქართველოს უდიადესი მეფე დავით აღმაშენებელი იყო, – საოცარი ქართველი, რომელმაც საუკუნეებს დახედა ზემოდან. სხვათა შორის, ის მრავალმხრივი ადამიანი გახლდათ, მაგალითად, – პოეზიასაც დაატყო ხელი, როცა შექმნა დიდებული ,,გალობანი სინანულისანი", – ეს თავისებური ჰიმნოგრაფიული ნიმუში, და რუსთველამდელ პოეტურ მარგალიტებს მანაც შემატა ეშხი. წერდა, პოეზიას, გრიგოლ ხანძთელიც, სხვანიც და სხვანიც.

მერე გამოჩნდა მართლაც რომ უდიადესი მეფე – ქართველი გენიოსი შოთა რუსთაველი, რომელმაც ყველა დაჩრდილა და პოეზიაში ახალი ეპოქა მან დაიწყო – როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში. რუსთველი უპირველესი ქართველია, ხოლო მისი სიდიდე, უდიადესობა, არის განუზომელი, არასდროს მბეზრდება რუსთველის ქება.

მას სხვა პოეტები მოყვნენ.

გრანელი იყო ერთ-ერთი ბოლო გენიოსი სულ ახალი დროის პოეზიამდე, იმ პოეზიამდე, იმ ხელოვნებამდე, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში მკვეთრად გამოჩნდა და დღესაც გრძელდება.

მძიმე აღმოჩნდა გრანელის ბედი. ბოლოს, იგი, თითქმის მიივიწყეს. მარტოდმარტო დარჩენილი, დახეტიალობდა თბილისის ქუჩებში ნახევრად-შეშლილი გენიოსი. შეშლილი-გენიოსის ეს ხატება ძველი თაობის ბევრ წარმომადგენელს სამუდამოდ დაამახსოვრდა და გრანელთან შეხვედრებს ისევე ხშირად იხსენებდნენ, როგორც შეხვედრებს გალაკტიონთან. მათ, ორივეს, თბილისი ყველაზე მეტად უყვარდათ, თბილისი ისე უყვარდათ, როგორც პოეზია, როგორც ქართული ენა, ის ენა, რომელზედაც დაწერეს თავიანთი წიგნი-შედევრები, ის ენა, რომელზედაც დაიწერა თვით ,,ვეფხისტყაოსანი"... ერთი-ორჯერ შეშლილთა სახლშიც მოათავსეს გრანელი, თუმცა იგი გაიქცა იქიდან და ისევ მოედო თავისი საყვარელი თბილისის ქუჩებს, თბილისის ბაღებს, უყვარდა შეხეტება ეკლესია-მონასტრებშიც... ერთხელაც, იგი, ქუჩაში იპოვეს, ეძინა, მკვდარივით ეძინა. საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ სიმპათიურმა, პოეზიის მოყვარულმა მედდამ იცნო. გრანელმა

მას რამდენიმე ლექსი წაუკითხა, რითიც ძალიან გაახარა ქალი. მერე ისევ ჩაეძინა გრანელს, ამ-ჯერად – სამუდამოდ. იგი აღარ დაბრუნებულა სიზმართა მხარიდან, ირეალობიდან... გრანელი მარადისობაში წავიდა სამოგზაუროდ... მახსენდება ვან-გოგის სიკვდილი. ის, მძიმედ დაჭრილი, მისმა ძმამ მოინახულა. ვინსენტს საოცრად უყვარდა უმცროსი ძმა. ისინი მარტო დარჩნენ ოთახში, რომელსაც საათის წიკწიკი ავსებდა. ძმა ყველაფერს დაჰპირდა ვინსენტს, ოღონდაც გენიოსი-მხატვარი არ მომკვდარიყო. ვინსენტი მშვიდად იწვა საწოლზე, ისმენდა ძმის სიტყვებს და მკრთა-ლად იღიმოდა. მერე ეს უთხრა, ძმას, მხატვარმა: ,,რა კარგია, რომ ერთად ვართ, აი, ზუსტად ისე, როგორც – ჩვენს ბავშვობაში“... შემდეგ ჩაეძინა ვინსენტს და აღარ გაუღვიძია... გარდაცვა-ლების შემდეგ, ვან-გოგი, გენიოსად აღიარა ყველამ. მან, მისმა ხელოვნებამ, შეცვალა სამყარო. გენიოსები ხომ სამყაროს ცვლიან. ვინსენტის შესახებ დაიწერა სიმღერა, რომელიც ასევე ყველამ აღიარა...

გარდაიცვალა გრანელი, მაგრამ მან მაინც გაიმარჯვა, – გავიდა წლები, იგი აღიარეს, გრა-ნელმა შეცვალა სამყარო თავისი ცხოვრებით, თავისი დიდი პოეზიით...

ბევრი სხვა პოეტის მსგავსად, გალას და გრანელს მთები უყვარდათ, განსაკუთრებით – მთაწმინდა, – თბილისის ყველაზე უფრო ლეგენდარული მთა, რომლის გალეგენდებას ჯერ კი-დევ ბარათაშვილმა ჩუყარა საფუძველი თავისი დაუვიწყარი ლექსით. ხოდა ამ სამი სუპერლირი-კოსიდან ორი სწორედ რომ მთაწმინდაზეა დასაფლავებული, გრანელს კი არც ამაში აღმოაჩნდა ბედი, – ჯერ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს, მერე დიდუბის პანთეონში გადაასვენეს, თუმცა მთაწმინდის მიწა არა და არ აღირსეს ამ გენიოს-პოეტს. არაერთხელ ველაპარაკე მისტერ ფენომენს – კახა ბაციკაძეს ამის შესახებ, მაინტერესებდა მისი აზრი. კახა საოცრად პოეტურია, რომანტიკულია, იგი ნამდვილი თბილისელია, და ვერ წარმოუდგენია მთაწმინდა ბარათაშვილის, გალაკტიონის, გრანელის გარეშე. ასევე ფიქრობს ჩემი მეორე უახლოესი მეგობარიც – გიორგი ზუხბაიაც. ზუხბას აზროვნების გიგანტად (გოლიათად) მივიჩნევ. მისი პოეტური აზ-როვნება მართლაც რომ გრანდიოზულია, ტიტანურია, და რა გასაკვირია, რომ ასეთი ადამიანი ღრმად ჩაწვდეს გრანელის ხელოვნებას. კახას და ზუხბას ჩემსავით აოცებთ ის, რომ ბარათაშ-ვილს და გალაკტიონს დღემდე დაშორებულია გრანელი. ეს ამბავი სხვებსაც აოცებთ. ნიკო ბარა-თაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, – ლირიკის ეს მეფეები, პოეზიის ეს ჯადოქრე-ბი, ერთად უნდა იყოს იქ – ქართულ გოლგოთაზე, – თბილისის წმინდა მთაზე... იქ არის ილია და აკაკი, იქ არის ვაჟა, იქ მოიაზრება რუსთველი – პოეზიის ეს ღმერთი... რაც შეეხება რუსთველის რეალურ საფლავს, – ღმერთს საფლავი არა სჭირდება... ადამიანი, რომელიც თავიდანვე ღმერ-თი იყო, საბოლოოდ განღმერთდა...

უსაზღვროა პოეტთა ძალა. რაც შეეხება თვითონ უსაზღვროებას, უამრავნაირად შეიძლება გავიაზროდ ის. ხანდახან ვამბობ: ჯგუფ ზღვარის მთელს ქმნილებებს, ერთად აღებულს, უსაზ-ღვროება ჰქვია-მეთქი. ზღვარიც, გარკვეული გაგებით, უსაზღვროება არის...

პირველ აბზაცშივე დავწერე, რომ ოცდაათიან წლებში გარდაიცვალა გრანელი. მისმა მეგო-ბარმა, გალაკტიონმა, რომელსაც ბოლომდე ახსოვდა იგი, ორმოცდაათიან წლებსაც მიაღწია. გა-ლა მოესწრო ყანწელთა ,,რეაბილიტაციას“, ხოლო ერთ-ერთი მათგანი, – გიორგი ლეონიძე, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეც კი გახდა, – მაშინ, ამ კავშირს, დიდი ძალა ჰქონდა. საქარ-თველოს მეთაური, კავშირის მეთაური და უნივერსიტეტის მეთაური ერთ-ერთ ყველაზე უფრო სა-პატიო ადამიანებად ითვლებოდნენ საქართველოში. გოგლა ლეონიძე კავშირის მეთაურობამდეც, მას მერეც, სხვადასხვა დაწესებულებას დირექტორობდა. გალაკტიონს და გოგლას დიდად ნამ-დვილად არ უყვარდათ ერთმანეთი, თუმცა ზოგჯერ მაინც უწევდათ ერთმანეთის დაცვა. ბოლოს მთაწმინდაზეც ერთად აღმოჩნდნენ, ბარათაშვილის მახლობლად. მანამდე კი, ორმოცდაათიან წლებში, გალაკტიონმა გამოსცა ერთი უსუსტესი პოეტური კრებული თუ რჩეული (ანტიკრებული თუ ანტირჩეული), და დაასრულა დიდი პოემა – ,,მშვიდობის წიგნი“, – თავისებური, უიღბლო მი-ბაძვა ,,ვეფხისტყაოსნისა“. ,,მშვიდობის წიგნს“, მან, მკვეთრი სიუჟეტიც კი ვერ შეურჩია, და, გარ-კვეული მიგნებების მიუხედავად, ეს პოემა მაინც ჩავარდა. გარკვეული გაგებით, ლექსიც პოემაა (მთელი სამყარო პოემაა), და მაინც, როგორც ჩანს, ლექსის დიდოსტატ გალაკტიონს სწორედ

პოემაში უნდოდა რუსთველთან ჭიდილი, თუმცა ორმოც-ორმოცდაათიან წლებში გალა ძველებურად ვეღარ ბრწყინავდა. საერთოდ, ზოგი სხვა დიდი პოეტის მსგავსად, გალაც არაერთხელ უბრუნდებოდა მის ნაწერებს, მითუმეტეს, – მის ზოგ ნაწერს, და ამ დამუშავებათა შედეგად, ზოგჯერ იმატებდა ნაწერთა დონე, ზოგჯერ კი – იკლებდა. ამბობენ, რომ ასაკში მყოფი გალაკტიონი თავის ახალ და ახალ წიგნებს უფრო და უფრო უგულოდ, უყურადღებოდ ექცეოდაო. მას, ისე, როგორც ახალგაზრდობაში, ახლაც სურდა რაღაცა სრულიად ახალის, სრულიად საოცრების შექმნა, და იმაზე იყო კონცენტრირებული, იმ ლექსებზე, იმ პოემებზე, რომელთაც იგი, აწი, ვეღარასდროს აზიდავდა. მიუხედავად ამისა, მან ორმოც-ორმოცდაათიან წლებშიც შექმნა არაერთი ლექსი-შედევრი...

ყანწელთაგან, ყველაზე დიდხანს, კოლაუმ იცოცხლა. ეს მეამბოხე, ეს უკანასკნელი ცისფერყანწელი, ყველას და ყველაფერს გადაურჩა. იგი ბევრ რამეს მოესწრო. როცა იპოვეს პაოლო იაშვილის აუდიოჩანაწერი, სადაც პაოლოს მტკიცე და მჟღერი ხმა ასე დასამახსოვრებლად ისმის, – იგი საკუთარ ლექსს კითხულობს, და ეს ჩანაწერი კოლაუს მოასმენინეს, მან ხმა ვერ ამოიღო, იდგა ასე, გაქვავებული, მერე კი ცრემლები ერთბაშად მოსკდა კოლაუს თვალთაგან... პაოლო, – მისი დიდი ძმა, ბოლომდე დარჩა, კოლაუსთვის, უმთავრეს ავტორიტეტად. საერთოდ, კოლაუ ბოლომდე ყანწელებთან დარჩა, ყანწელად დარჩა... კოლაუ ნადირაძე იყო დიდებული პოეტი, თუმცა გალა და გრანელი არ უყვარდა. ბევრს არ ესმის ეს. არადა, ეს ამბავი უბრალო ასახსნელია, – არც გალაკტიონს ჰქონდა ყანწელებთან მთლად დალაგებული ურთიერთობა, არც – გრანელს. ასე რომ, კოლაუს წყრომა ადრეული წლებიდან იღებდა სათავეს...

დავუბრუნდეთ კონკრეტულად გრანელის თემას. იგი, სიცოცხლეშივე, ათასჯერ მოკვდა. მთელი ცხოვრება გოლგოთაა, მაგრამ მაინც არსებობს აღდგომა...

გრანელი გარდაცვალებიდან კარგა ხნის მერე აღიარეს. მისი ,,პირველი წიგნი" მხოლოდ სამოციან წლებში გამოვიდა. ამის მერეც იყო ბრძოლა გრანელის აღიარება-არაღიარების საკითხში. ოფიციოზი ყოყმანებდა, ხალხში კი ლეგენდები დადიოდა ქუჩებში, ბაღებში, ეკლესია-მონასტრებში, სასაფლაოებზე მოხეტიალე შეშლილი გენიოსის შესახებ, რომელსაც ყოველ წამს შეეძლო შეექმნა ლექსი... ხალხს უყვარდა გრანელი, თუმცა ბევრი აღარაფერი ახსოვდა მის შესახებ... ყინული ნელ-ნელა გალღვა, ოფიციოზმაც კი უკან დაიხია, ტერენტი გრანელი უფრო და უფრო წამოვიდა წინა პლანზე, ხოლო ოთხმოცდაათიანელთაგან ზოგმა იგი გენიოსადაც კი გამოაცხადა. ასეა: გრანელი მართლაც გენიოსი იყო.

ტერენტი გრანელი, დღეს, მის პოეზიაში ცოცხლობს. დიდია, მარადიულია პოეტის სიცოცხლე.

სამყაროა სავსე იმ სტროფებით, რომელნიც გენიოსებმა შექმნეს. დიახ, მათ შეცვალეს სამყარო...

თბილისი. 2024 წელი. შემოდგომა

სიკეთის ელჩი



თემურ გოგსაძე – *აკადემიკოსი სამართალსა და ეკონომიკაში. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. საქართველოს მხატვართა შემოქმედებითი კავშირის წევრი. ილია ჭავჭავაძის პროზა-პოეზის საერთაშორისო პრემია „ივერიას“ ლაურეატი, ილია ჭავჭავაძის პრემიის და რეზო ინანიშვილის პრემიების ლაურეატი*

,,ორი სამშობლოს თანამდევი სული"!

პაატა (აბრამ) იოსებაშვილი, იმ გამორჩეულ და დიდებულ ადამიანთა გალერეას განეკუთვნება, რომლებიც თავიანთი ინტელექტის უსაზღვროებით, ადამიანურობით, საქმიანობითა და სიყვარულით-ამდიდრებენ პლანეტა დედამიწას და კაცობრიობის ყველაზე კეთილშობილური გრძნობებისადმი მსახურების – ფაქტობრივ დადასტურებას წარმოადგენენ!

ნებისმიერი ადამიანი მისი ცხოვრებისა და განვლილი გზით ფასდება.

შეუძლებელია, სრულად აღწერო, პაატა იოსებაშვილის ცხოვრებისეული მრავალფეროვნება და გაკეთებულ საქმეთა მნიშვნელობა, როგორც ისრაელში ისე საქართველოში.

ნებისმიერ შემოქმედს, ღირსებად ეყოფოდა, ისრაელის გასაოცარი ქალაქის-ხაიფის მთავარი არქიტექტორის რანგში ნამოღვაწარი და მის მიერ განხორციელებული არაერთი საქველმოქმედო პროექტი, რითაც სამართლიანად დაიმკვიდრა – გამორჩეული არქიტექტორის საზოგადო მოღვაწისა და მეცენატის სახელი.

ის გახლავთ, პროფესორი, აკადემიკოსი, არაერთი საპატიო ჯილდოსა და პრემიის ლაურეატი, მაგრამ, როგორც ნამდვილ პატრიოტს, უფრო ის ეამაყება, რომ ისრაელის ეროვნული გმირის მამაა.

ქართულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით, ხაზგასასმელია, რომ ის გახლავთ, საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში და კიდევ უფრო ამტკიცებს თითქმის ოცდაათ საუკუნოვან ქართულ-ებრაულ მეგობრობას და ორ სახელმწიფოს შორის მაღალი დონის ურთიერთობებს.

მეამაყება, რომ, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელს ჩემი მცირედი წვლილი მაქვს შეტანილი, ქართველ და ებრაელ ერთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობის – იუნესკოს მიერ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარების პროცესში,ხოლო პაატასა და მისნაირ მამულიშვილებს – ლომის წილი უდევთ ამ საქმეში!

სწორედ ამიტომ, მე მას შევარქვი – „ორი სამშობლოს თანამდევი სული“.

დიახ, ის მოგზაურობს სამშობლოდან-სამშობლოში და დააქვს სიყვარული, ერთგულება, მეგობრული სითბო და ორი ქვეყნის ტკივილი და სიხარული.

მისი განსაკუთრებული, ნიშანთვისებაა, რომ მოულოდნელად გამოგვეცხადება და უცებ გვიწყობს მეგობრობისა და სულიერების დღესასწაულებს!

ჩემს და უამრავი ადამიანის ამ დიდებულ, მეგობარს ბუნებრივია, წელთა სიმრავლესა და სიძლიერეს ვუსურვებ, თუმცა თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ პაატა (აბრაამ) იოსებაშვილმა, უკვე დატოვა – მაღალ ინტელექტუალური და მარდიული ავტოგრაფი – ქართველი და ებრაელი ერის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის თანამედროვე ისტორიაში.

გფარავდეს მამაზეციერი ყოველთა!

ლეხაიმ მეგობარო!

ირმა კეკელიძე

სიკეთისა და მშვიდობის ელჩი

მოვალეობა, ადამიანური პასუხისმგებლობა, მოყვასის, საკუთარი თავის, ორი სამშობლოს სიყვარული – არის საფუძველთა საფუძველი, მოვალეობა, რაც ბატონ პაატა (აბრამ) იოსებაშვილის ცხოვრების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს...ბატონი პაატა იოსებაშვილი არის პიროვნება, რომელიც კეთილშობილური მიზნებით, ოჯახის, ადამიანების სიყვარულით, საქართველოს და ისრაელის, ქართველი და ებრაელი ხალხის სიყვარულით საზრდოობს...

ბატონი პაატა არის პიროვნება, რომელიც ორი ქვეყნის ტრადიციის და ინოვაციის ერთიანობის შესანიშნავი გამოხატულებაა...რომელიც ფიქრობს, საზრდოობს და ამავე დროს აქტიური მონაწილეა საქართველოს და ისრაელის ცხოვრებისეული, ყოველდღიური მაჯისცემისა...ბატონ პაატას შესწევს უნარი ორგანიზებულად, ნებაყოფილებით, თავადვე უპატრონოს ადამიანს, სოფელს, ქალაქს, ქვეყანას, როდესაც ამის საჭიროოება რეალურად არსებობს...

ქვეყნის მზარდი განვითარების, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატება-წარუმატებლობის მთავარ მიზეზს, უპირველესად, ქვეყნის კულტურული ფასეულობები წარმოადგენს...ორ ისტორიულ სამშობლოს შორის, კულტურული ფასეულობების გასამყარებლად, ბატონი პაატას თაოსნობით შეიქმნა ორგანიზაცია-"მეგობრობის მერიდიანები"...ერთიანი სოლიდარობისა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, გაჯერებულია ქართული და ებრაული კულტურის სიახლეებით, ერთად თანამშრომლობით, სოლიდარობით, ერთმანეთის ნდობით და სიყვარულით...ორგანიზაცია " მეგობრობის მერიდიანების" შექმნის მიზანია, არ არსებობდეს "ისინი და ჩვენ", არ არსებობდეს დაყოფა!..აქ ვართ მხოლოდ ჩვენ-ქართველები და ქართველი ებრაელები, ვართ ორი ქვეყანა, ორი ერი!..დაყოფა მიუღებელია, აქ ვართ ჩვენ, ვისაც ერთმანეთი გვიყვარდა, გვიყვარს და გვეყვარება!..

ბატონი პაატა იოსებაშვილი პროფესიით არქიტექტორია, მაგრამ არქიტექტურის გარდა მას უყვარს ხატვა, პოეზია, მუსიკა და ა.შ...უყვარს კულტურა და თავადაც შემოქმედია. ორი ქვეყნის სიყვარულს, ბ-ნი პაატა გამოხატავს შემდეგი სიტყვებით: "ისრაელში ცხოვრება არის თავგანწირული სიყვარული სამშობლოსი...და რა სჭირდება საქართველოს დღეს?!." ვინც ბატონ პაატას იცნობს, დამეთანხმება, რომ მას არ შეუძლია ცხოვრება საქართველოს გარეშე, მასში საქართველოს სიყვარულია დავანებული, საქართველოს გასხივოსნებით და გაბრწყინებით საზრდოობს... საქართველოს გასხივოსნებით და გაბრწყინებით საზრდოობს, მის კეთილშობილ მეუღლესთან, ლამაზ ოჯახთან, ლამაზ შთამომავლობასთან ერთად!.. აქვე მინდა ავღნიშნო, ბატონი პაატას ის თვისება, რასაც ადამიანური მადლიერება ჰქვია. სულ ახლახანს, სოციალურ ქსელში წავაწყდი მის პოსტს, სადაც ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს, ქ-ნ გულნაზ ხარაიშვილს და პოეტ ნინო უძილაურს მიმართავს:

"უღრმესი მადლობა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს და ლექსების ანთოლოგიის პოეტს, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს და უბრწყინვალეს პოეტს, საყვარელ მეგობარს, ქალბატონ ნინო უძილაურს, რომლებმაც მომიძღვნეს ლექსების ილუსტრირებული კრებული,სამი წლის წინ, ჩემს დაბადების დღეზე. დღემდე არ გამომიქვეყნებია ამ კრებულის მიერ მონიჭებული სიამოვნება და სიხარული სოც.ქსელში. ვაქვეყნებ კრებულიდან სამ ლექსს.

მიყვარხართ მთელ ქართველ ხალხთან ერთად! პაატა!"

ქალბატონ გულნაზის და ქალბატონი ნინოს ლექსებიდან, რომელიც ბატონ პაატას მიუძღვნეს, მცირე ამონარიდები მინდა მოვიყვანო:

" წმინდა სანთლები მოგვართვი,
წმინდა ადგილის მიწიდან,
სიწმინდის სულის ნობათით,
თქვენს მოსვლას ყველა უცდიდა.
მოხვედი, დაგხვდა სიმშვიდე,
ჩვენც რაც შეგვეძლო გაამეთ,
სანამ გულს გადაგიშლიდეთ,
კარი წინასწარ გავაღეთ..."
("ყველა დღე უფლის დღე არის" – გულნაზ ხარაიშვილი)

***

" საქართველოს ჭირისუფალს გაუმარჯოს,
გული რომ აქვს სიყვარულით ავსილი,
მსურს კალამი კიდევ ერთხელ მოვიმარჯვო,
აბრამ, შენ ხარ, ამ სამშობლოს ნაწილი!.."
("აბრამ პაატა"– გულნაზ ხარაიშვილი)

***

"...გულში სანთლად ანთებთ ჩვენს დიდ ძმობას,
გინდათ გამოძერწოთ მარადისი,
ქართულ – ებრაული მეგობრობა,
ქართველ ებრაელმა მარად იცით!"
("ქართულ-ებრაული მეგობრობა" – ნინო უძილაური)

და ბოლოს მინდა, მადლიერება გამოვხატო ბატონ პაატა (აბრამ) იოსებაშვილის მიმართ, რომელიც უახლეს ისტორიაში, ჭეშმარიტად იყო, არის და იქნება, ორივე სამშობლოს, ქართულ-ებრაული ურთიერთობების – სიკეთისა და მშვიდობის ელჩი!

პატივისცემით, მადლიერების გრძნობით –
ირმა კეკელიძე

მზია კვირიკაშვილი-ლოურენსი – პოეტი, ფილოლოგი მთარგმნელი
Mzia Kvirikashvili-Lawrence – Philologist, poet, translator.

აბრამ პაატა იოსებ (იოსებაშვილი)

... დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო ამ დიდებულ ადამიანზე!...

ყველაზე კეთილშობილი, ალალი... ბავშვივით გულუბრყვილო და გულწრფელი... ვინც მე ოდესმე მცნობია... ამ ადამიანის ღირსებების გასაცნობად მოვლენების შორით მაყურებელი უნდა იყო... აქედან (დიდი ბრიტანეთიდან) ამ ჯადოსნური ქსელების მეშვეობით, გამჭვირვალეა თითოეული აქ მონაწილე ადამიანი...

და ძალიან დიდია ჩემი სიხარული, როცა ბატონ ი პაატა კაშკაშებს მისი პიროვნებით... ლაქების გარეშე... თუმცა ლაქებს ვერ აიკრავს მისი სულიერება... იმდენად სუფთა სულისაა იგი...

ძალიან შორს წაგვიყვანდა ბატონი პაატას პიროვნებისა და მისი საქმეების ვრცლად მიმოხილვა... მის უსაზღვრო სიკეთეებზე საუბარი...

ახლა ამის დრო არც არის და არც საშუალება ამ წიგნში...

ვიცი, რომ ბატონ პაატას ჯანმრთელობის პრობლემები აქვს... და ეს არის ამჟამად ჩვენი მთავარი სადარდებელი... მინდა აქედან ვუთხრა ამ უძვირფასეს ადამიანს, რომ ძალიან დიდი სიყვარულით მიყვარს იგი მისი ყოველგვარი ღირსების გამო... და ეს სიცოცხლეშივე მსურს რომ დავწერო... მინდა ბევრი ადამიანი არსებობდეს ასეთი... ძალიან პატივსაცემი, ძალიან შესაყვარებელი... და დასაფასებელი... მე მიყვარხართ თქვენი ადამიანობის გამო, იმის გამო, რასაც მე შორიდან ვუყურებ, თუ რაოდენ დიდ სიკეთეს თესავთ საქართველოში ხილულად და არ-ხილულად, ძვირფასო პაატა...

თუნდაც თქვენი საოცარი ყურადღებით რამდენ ადამიანს ახარებთ ყოველდღიურად... ეს ხომ უსაშველოდ დიდ ენერგიას მოითხოვს, არა?!

არ ვიცი, ეს ჩვენი ისტორიული წარსულების უკუღმართობის მიზეზითაა გამოწვეული, თუ სხვა რამ გვაკავშირებს ამ უძველეს ერთან (გამანადურებელი ომების წიაღში დაკარგული), მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდი და ვგრძნობ რომ ქართველ ებრაელებს განსაკუთრებული კავშირი აქვთ ქართულ სულიერ სამყაროსთან... თავიანთი მეობაც შეინარჩუნეს, და ქართული ენაც და კულტურაც შეისისხლხორცეს... ეს ადამიანები საიმედო დასაყრდენია ქართველი ერისთვის... ყველაზე უტყუარი მეგობარი ქვეყანა... – ასე ვიტყოდი...

მრავალჟამიერ ჩვენი მეგობრობა, ბატონო პაატა... მრავალჟამიერ ჭირში თუ ლხინში ერთმანეთოს მხოლოდ სიყვარულის გამო ამოდგომა.

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი
20.10.2024.

ABRAM PAATA JOSEPH (YOSEBASHVILI)

... I can talk endlessly about this great person!...

Mr. Paata Joseph is unique, embodying nobility, kindness, and rare sincerity. His purity of soul is evident in every action, making him the most genuine person I have ever known. To truly understand the virtues of this remarkable man, one must witness the events he is part of. Even from a distance, through the magical webs of communication, his transparency shines through.

And my joy is very significant when Mr. Paata shines with his personality... without spots... though his spirituality cannot be covered with spots... he is so pure of soul...

It would take us too long to describe Mr. Paata's personality and deeds in detail, to talk about his infinite kindnesses.

There is neither time nor opportunity for that in this book...

Despite the health challenges that Mr. Paata Joseph faces, his resilience is a testament to his strength of character. It is our main concern at the moment, but I want to assure this dear person that I love and respect him deeply for all his dignity. I wish to express these sentiments while he is still with us. The world needs more individuals like him, who are respectful, lovable, and appreciated.

Dear Paata, I love you because of your humanity and what I see from afar: how much goodness you sow in Georgia, visible and invisible.

Mr. Paata Joseph, your fantastic attention to the many people you make happy daily is admirable. Evidently, this takes a lot of energy, and I want to acknowledge and appreciate the effort you put into spreading joy.

This is likely due to the perversity of our historical past, or something else that connects us with this ancient nation (lost amid exterminating wars)... however, I always felt and still feel that Georgian Jews have a special connection with the Georgians' spiritual world... They have preserved their identity and the Georgian language at the same time. They have also assimilated the culture. These people support the Georgian nation, which is the most reliable and friendly country. I would say so.

Mr. Paata, I cherish the idea of us being friends. Let's stand by each other, not out of obligation, but out of love.

Mzia Kvirikashvili Lawrence
20.10.2024.

სიგრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

აისის აპელიოტი

აზრები

(გაგრძელება)

(დასაწყისი ათინათის 49 – 53-ე ნომრებსა
და ანთოლოგიის 13-14 ტომში)

იდეა და იდეოლოგია

***

იდეა – იარაღია, რითაც რაიმეზე მუშაობას ვაპირებთ, არათუ ეს, ზოგჯერ თავად ადამიანია იარაღი, რომლითაც იდეა მუშაობს.

***

იდეოლოგიას ერთი ცუდი თვისება აქვს – როცა იზრდება, ფუტუროვდება და ადვილად იმსხვრევა...

***

დღევანდელ ქართულ საზოგადოებას აქვს შანსი, იხილოს მომაკვდავი პოლიტიკური იდეოლოგია და მათ წარმომადგენელთა, არამარტო, იდეოლოგიური კრიზისი, არამედ ფიზიკური განლევა-გადაგვარების უცნაური კანონზომიერება, რომელიც ტელევიზიის ეკრანებიდან თვალნათლივ სჭვივის. ახლა კეთილგონიერთათვის გასაგებია: ისინი შეძლებდნენ ფენიქსივით აღდგომას იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ თავში ადამიანური განსჯისა და გონიერების შესაძლებლობებს ბოლომდე არ ამოწურავდნენ.

***

მთავარი არსის ძებნაში ადამიანები ათასი ჯურის „იდეოლოგ-ფანატიკებს“ გადაეყრებიან ხოლმე და აედევნებიან მათ, თუმცა შუა გზაში ხვდებიან, ეს მათი გზა რომ არაა. ზოგი ახერხებს მოწყდეს ამ ავანტურისტებს და მეტი გამოცდილებით აგრძელებს შეწყვეტილი გზის ძიებას.

***

იდეოლოგიის შემქმნელთ ინტუიცია სწორად განვითარებული არ აქვთ. ისინი ამ იდეოლოგიით გარკვეული ხნით მართავენ მასებს, რომელთა ინტუიცია, საბოლოო ჯამში, ამ მოძრაობის საწინააღმდეგო მოძრაობას აღძრავს.

***

საკითხავია, იდეოლოგიის ავტორები და მქადაგებლები რატომ ხდებიან არაადექვატურები თავიანთი „ნამოღვაწარის“ მიმართ?..

***

სწრაფვა იდეებისადმი, ხშირად, ადამიანს მის მორჩილებად უზის....

***

ფანტაზიებით დახუნძლული, იდეების ატაცებისაკენ მიდრეკილი ხალხთა მასა დროებით თუ ახერხებს დაშოშმინებას; დაუდგრომელი _ მშფოთვარე სული ახალ-ახალ იდეებს იკრებს და, რაც ყველაზე საოცარია, თაობათა ცვლის სპირალურ ჯაჭვში ერთსადაიმავე შეცდომებს გამოცდილებად არ იღებს..

***

„იდეად“ ქცეული შურისძიება გადამდებია და ატომურ ენერგიაზე მეტი ძალა აქვს...

***
ახალი იდეების _ შეხედულებების წარმოშობას აზროვნების სივიწროვე-სიმწირე კი არ უშლის ხელს, არამედ გაუბედაობა. მოაზროვნეები უფრო თამამად ბედავენ ისეთ საკითხებზე მსჯელობას, რომელიც სადღაც, ოდესღაც გაჟღერებული იყო ცნობილი ადამიანების შეხედულებებში. თუმცა, აზროვნებისას და მსჯელობისას მოაზროვნე ხშირად აღმოჩნდება აზროვნების ოკეანის ღრმულებში და იძულებული ხდება დამოუკიდებლად გადალახოს ის...

ძალა, სიმართლე, სამართლიანობა

***
ვინ, თუ არა ადამიანმა, თავად უწყის, რომ ის, მოცემულ მომენტში, უსამართლობას ჩადის ან უსამართლოდ განსჯის. რომ არა ბნელი და ბოროტი ძალების თანადგომა, ცალკეული ადამიანი ისეთი თავდაჯერებულიც ვერ იქნება, რომ მარტომ უსამართლობა იქადაგოს ან ჩაიდინოს.

***
სამწუხაროა, რომ ხშირად ადამიანები სარგებლის გამო სიმართლის იგნორირებას ახდენენ.

***
ქონებრივი „გათანაბრების“ მოსურნე ადამიანებმა ვერა და ვერ ისწავლეს, რომ ძალა სიმდიდრის დაგროვებას ემსახურება და მისი ტოლფასია, და მაინც, ეძებენ სამართლიანობას მასში...

***
რაგინდ იდეალური წყობა ავაშენოთ, ძალას მაინც წაცდება ხელი უსამართლობისკენ.

***
როცა ადამიანი პატივს სცემს ძალას _ ამართლებს ძალადობას, იგი ამ ძალადობის თავისებური მონაწილეცაა მანამ, ვიდრე ეს ძალა თავად მას არ შეეხება...

***
არის ადამიანების კატეგორია, რომელთაც აქვთ მოთხოვნილება _ „შეუერთდნენ“ ძალას, წარმოსახვით მაინც, და იდენტიფიცირდნენ მასთან, სამართლიანობა კი ნაკლებად აინტერესებთ...

***
რაგინდ უსამართლო იყოს, ის რაც გვაწყობს, ხშირად გადაიქცევა სამართლიანად...

***
როცა ადამიანი განზრახ თვალს იბრმავებს და რაც არ არის, იმის „სჯერა“, ეს მის `მდიდარ ფანტაზიას“ მივაწეროთ თუ უსამართლობას?..

***
მნიშვნელოვანია არა ის, თუ ცალკეული კამიკაძე რას ფიქრობს, არამედ, რა იდეოლოგია აქვთ მათ მამამთავრებს...

***
წამრთმევს, დამწიოკებელს, სხვისი ქონების უკანონოდ მიმთვისებელს, მატერორებელ ხელისუფალს ზოგიერთი ადამიანი გმირად მიიჩნევს მანამ, ვიდრე შეძლებულებისთვის წასართმევი არ შემოელევათ და მოძალადე ამ ადამიანის საკუთრებაზე არ გადაინაცვლებს...

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბიბლიური პერსონაჟების ბრალი
ა) იობის ბრალი

ბრალის თეორია

(გაგრძელება)

(დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის № 10-11-12-13-14 ტომსა
და ჟურნალ ათინათის №38 — 53-ში) NN

სხვადასხვა მოტივსა და შინაარსზე აგებული ბრალის ფორმები

(სისტემატიზირებული)

ბრალი ასკეზისისა

ეს არის ბრალი ადამიანისა ადამიანის მიმართ, რომელიც მოევლინა ქვეყნიერებას, გაიაზრა, განიცადა სიღრმე ვერაგობისა, გაუტანლობისა, ამაოებისა. მას არ სურს, შეერთოს საზოგადო ცხოვრებას; უარყოფს ადამიანურ ყოფას – რუტინას, საზრისს; გაურბის ადამიანის ნაკვალევს. ეს გააზრება იმდენად ღრმა და შთამბეჭდავია მასში (უნდა ვიფიქროთ რომ ესაა უფლის დაშვება ამ ადამიანებში), რომ ის მზადაა დაგმოს ადამიანური ყოფის ყველა წვრილმანი და ნიუანსი, განიცადოს ტანჯვა კაცთა მოდგმის ცოდვების გამო, წამებული და წვალებული შეერთოს უფალს, რადგან მისთვის ხსნის სხვა საშუალება არ არსებობს. ცხადია, ამ ადამიანს არ აქვს ბრალი უფლის მიმართ, ვინაიდან ის არის მისთვის უბიწო. მას აქვს ბრალი მხოლოდ ადამიანთა ცხოვრების წესის გამო, რომლის შეცვლა მას არ შეუძლია. მას ურჩევნია, დატოვოს ეს საზოგადოება, ჩაიკეტოს და განმარტოვდეს იქ, სადაც ხმა და დრტვინვა ცხოვრებისა არ აღწევს. ბერული ცხოვრება და ასკეზისი ამ ბრალის დადასტურებაა; სწორედ ადამიანური ბრალის გააზრებით მივიდნენ ასკეზისამდე. მათ, თავიანთ არსებაში ნაწილად მყოფი დიდი ძალა ღვთაებრიობისა, აძლევთ საშუალებას, მთელი სისრულით გაიაზრონ სამძიმო საკაცობრიო ცოდვები; აიღონ ისინი თავის თავზე; მისცენ საკუთარი გული, სხეული, სიცოცხლე, რათა ერთხელდასამუდამოდ წარიხოცოს ადამიანის შუბლიდან ბრალისა და დანაშაულის მისკვალი. ესენი არიან საზოგადოების სეგმენტური სფეროს სხივოსნური ფრთის წარმომადგენლები – განმწმენდ-განმანათლებელი ძალები, რომლებიც გამუდმებულად ახლავან კაცობრულ ცხოვრებას. ისინი თავისი ზეკაცობრული, ზოგჯერ ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი არსებობის წესით, უფლის გზას კვალავენ, მაგალითს იძლევიან, ამართლებენ ადამიანად ყოფნის აზრს და კაცში ღვთაებრივი ბუნების არსებობას ადასტურებენ.

ჩვეულებრივი ადამიანის დაუსრულებელი ბრალი იღებს სხვადასხვა ფორმას, რომელიც უმთავრესად გაუცნობიერებლობის შედეგია, და თვით გაცნობიერების შემთხვევაშიც კი, ის არაა თანახმა იცხოვროს ბრალის გარეშე, რადგან ვნებათაგან დაშრეტილი და გამოფიტული ვერ აგრძელებს დაუნდობელ სამყაროსთან ურთიერთობას (მისი ბიოლოგიური არსი არ აძლევს საშუალებას, შეცვალოს ზოგადი განწყობილება და დამოკიდებულება თავის მსგავსებთან). მათგან განსხვავებით, ბერებისა და წმინდა ადამიანების გა-

რეგნობაც, მათი ცხოვრებაც და მოღვაწეობაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი ადამიანთა მოდგმის წმინდა ხაზები არიან და ყველა დროში, რაღაც კანონზომიერებით, საზოგადოების განსაზღვრული სექტორს იკავებენ. დაშვებულია წმინდაც და არაწმინდაც, – გასაგებია, მაგრამ სადავოა, ადამიანის ბუნების მქონე, არაწმინდა გენეტიკური ხაზის მატარებელ ადამიანს, რამდენად შეუძლია დაძლიოს ვნება ბრალისა – გაუცნობიერებლად თუ გაცნობიერებულად.

ბრალით შეზღუდულობა — რელიგიური ფანატიზმი

ამ ბრალის განხილვისას დაისმის კითხვა: სწორად გაიაზრა თუ არა ადამიანმა თავისი არსება სამყაროს მიმართებაში; სამყაროს შემოსვლა მასში; ადამიანის ფორმაცვალება მის მიმართ; ხორცშესხმა, სულის ჩაბერვა, ცოდვა-დაცემის სიმძიმე, მისი ტარება; ისტორიული (ფილოგენეზური) გრადაციები; ერთი და იგივე ადამიანის შინაარსის ფორმა-ცვალება (ონტოგენეზი): ყრმობა, ახალგაზრდობა, მოწიფულობა, ხანდაზმულობა, სიბერე-გარდაცვალება; ამ მიწიერ ტანჯვაში – მიწიერ საზრუნავებში აზროვნებით თავისებურებებში უფლის გამოსახვა, – ცნობა-აღიარება. სწორედ, ამ საკითხებზე წარმოსახვა-წარმოდგენების მოუმწიფებლობის გამო, ფანატიკოსებმა განსხვავებული ინტერპრეტაციები ბრალის საგნად და მიზეზად წარმოადგინეს. სიცოცხლის მომნიჭებელი წყაროს ერთიანობის მიუხედავად, ბრალით შეზღუდულობამ და ეგოცენტრულობამ ვერ დააშვებინა ამ ადამიანებს, რომ უფალი საყოველთაოა... აიგივებს რა, ფანატიკოსი საკუთარ თავს ჭეშმარიტებასთან, მისი აზრით, „სხვა დანარჩენი“ არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტების მატარებელი – გამოდის ბრალით მათ მიმართ, ქმნის მათგან მტრის ხატს, რომელსაც, თავისი აზრით, უნდა ებრძოლოს...

ბრალი, როგორც ადამიანის დაცემული ბუნების გამოვლინება, რასაც მოჰყვა ადამიანის გამოძევება სამოთხიდან

ედემში მოარულ ადამიანს უჩნდება – აკრძალულის საპირისპირო დაშვება ანუ „არას“ საწინააღმდეგო ბრალი, რომელიც მის სულიერ დაცემაში გადაიზარდა. ეს არის მუდმივი პროცესი, რომელიც იყო, არის და იქნება. თუ სულიერი სამოთხის მქონე ადამში „დაიშვა“ ბრალი, წარმოვიდგინოთ, რა ხდება ვნებათაგან შეპყრობილ ადამიანებში, რომლებიც ბრალის ოკეანეში ცურავენ... აღმოჩენა იმისა, რომ ადამმა დაკარგა სამოთხე – ჩაიდინა ცოდვა, არის გამუდმებული განცდა, რაც აძლევს ადამიანს მუდმივი ანალიზის საშუალებას და უნარს, იწრთობოდეს საკუთარ თავთან ბრძოლაში.

„ცნობადი ხის“ ნაყოფის დაგემოვნების დაშვებამ, ადამიანის არსი საბოლოოდ გაყო უფლისმიერ და მიწიერ არსად. გაორებული ადამიანი დაეშვა დედამიწაზე, როგორც მფლობელი და განმკარგავი ბოძებული „სიმდიდრისა“, თვისტომთა და უცხოტომთა მიმართ ბრალით შეპყრობილი, რომელიც მისი ქმედების, მოღვაწეობის საფუძველთა საფუძველია; სწორედ ეს „მიწიერი“ აზროვნება აღძრავს მას სამოქმედოდ...

„ცნობადი ხის“ ნაყოფის დაგემოვნება იყო არჩევანი სამარადისო, ადამიანურობის განმსაზღვრელი და მინიჭებული შანსი – აირჩიოს უფლის სამყოფი თუ განიდევნოს იქედან. ხოლო ბრალი – სისინი გველისა, არსაიდან არ მომდინარეობს – არამედ, არის ბუნება და ხასიათი გველურისა ადამიანში, რომელიც ყოველთვის წამოყოფს თავს სხვათა დადანაშაულებისა და „განძარცვის“ მცდელობისას, (აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ წინა-შემ-

დგომი დრო უფლის განზომილებაში შესაძლოა სრულიად „სხვაგვარადაა“, ვიდრე ადამიანს ეს ჰგონია...).

ის, რომ იშვა შთამომავალი კაენი – ბრალით შეპყრობილი ძმისა და ქვეყნიერების წინაშე, ხოლო დაშვება იმისა, რომ მას ჰყავს ძმა თვინიერ და მოშიში უფლისა, ადასტურებს კაცობრულ არსში ღვთაებრივის დაშვებასაც – და რომ, ეს ორი ბუნება, როგორც დაიყო, ისევე, კვლავ ღვთაებრივ არსში გამთლიანდება.

ბრალი მითოლოგიაში

წარმოსახვა-წარმოდგენები, რომლებმაც მითოლოგიური პერსონაჟები შობეს, მოჰყვა ბრალს ღმერთის, ადამიანების, საზოგადოებების, ბუნების სტიქიონების წინაშე. დაუცველ-დაუკმაყოფილებელ, სტრესულ და, რაც მთავარია, გაუცნობიერებელ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებში შთაგონებადობა მეტი იყო. ფანტაზიას უკიდეგანო საშუალება ჰქონდა, თავისი წარმოსახვები გაეშალა. საზოგადოებრივი მორალი და ზნეობა, ჯერ კიდევ, ჩარჩოებში მოქცეული არ იყო. გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული ბრალით, მითოლოგიურ ხანაში, დაუკმაყოფილებელი სურვილების კომპენსაცია ხდებოდა... ადამიანის დედამიწაზე „დაშვების“ მომენტიდან მისმა ფანტაზიამ – წარმოსახვამ ყველა შესაძლო მოვლენის: ბუნების, სამყაროს, საზოგადოებრივი ურთიერთობის მისეული სინთეზი – მათ შორის დასაშვებიც და არადასაშვებიც მოახდინა (თუმცა ამ უკანასკნელის დასაშვებლობა სადავოა). ამ აზროვნებამ შექმნა მითოლოგიური ერა, ვიტყოდი – კაცობრიობის „ცხელი აზროვნების“ ერა. ამ მოვლენამ დასაბამი მისცა კულტურას, ხელოვნებას, მხატვრობას, პოეზიას. მითოლოგიურ ერაში ფანტაზიების შეჯვარება-გადაჯვარედინებას საზღვარი არ გააჩნდა... ამ თავისუფალ, შეუზღუდავ და ბევრჯერ აბსურდულ აზროვნებაში ყალიბდებოდა ადამიანებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ურთიერთობები... გარე სამყაროსთან დამოკიდებულებაში წარმოშობილი, უამრავ გაურკვევლობასთან და გადაულახავ სიძნელეებთან ჭიდილში და ამ ურთიერთობებისგან ნაწარმოებ-აგლუტინირებულ, გაუფილტრავ ფანტაზიებში წარმოიშვა უამრავი ბრალი. ბრალი – განსხეულებული ფანტაზიებში, წარმოსახვებში, აზროვნებაში, გახდა კიდევაც, ბუნებაში არ არსებული – ჰიბრიდული და აგრავირებული პერსონაჟების შექმნის მიზეზი.

წარმოსახვათა შეჯვარება-ჰიბრიდიზაცია დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს, შეიძლება ითქვას, რომ საზღვარი არ არსებობს მის შესაკავებლად. ამ ფანტაზიებმა წარმოშვეს კიდევაც დღევანდელი ცივილიზაცია თავისი ტექნოლოგიებით და მიღწევებით, მაგრამ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, იქნება თუ არა ეს ეგრეთ წოდებული „ცივილიზაცია“ კაცობრიობის უკეთესი მომავლის გარანტორი.

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

***

ჩემი ხმლის ამბავი იცით,
ბრძოლებში გამღებ ფხისაო;
საომრად წასვლა მიყვარდა,
აღება ბაღდადისაო;
ცხენზედ შეჯდომა, ნავარდი,
სტუმრობა ძმობილისაო,
ახალგორს სიძისა ნახვა
ანანურს _ სიმამრისაო.

მთქმელი ისიდორე ნათაძე,
ჩაიწერა ვალიკო ხერკელაძემ
1949 წელს ახალგორში

ცრემლში ნალესი ხმალი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-53-ებში
და ანთოლოგიის მე-5-14 ტომებში)

*****

მოურავი ხალხის მეხსიერებაში ხალხური ლექსები

დიდი მოურავი

რამ წაგიყვანა ალეპოში ქართველი კაცი,
თურქეთში როა... თუ ეკუთვნის ეხლა სირიას...
ისტორიანის ქორონიკონს ტკივილით ვმარცვლი,
ბედჟამუკუღმართ თარიღებად რომ მოგვტირიან...

მაგრამ აოცებთ შენი დიდი გმირობა დღესაც:
_ ,,შვილიც გაწირა?..
_ თავის თავი ჯანდაბას თუმცა...“
და იცრემლება ერთაწმინდას კვლავ ქართლის ზეცა.

ნოსტეში კოშკზე ჩამოჰკიდებს
ქონგურებს კურცხალს...
მიდი და სცადე! შენც გაწირე შენი ყმაწვილი,
თან მტრის ბანაკში იბობოქრეთ ხუთიოდ კაცმა...
მიიგრაგნება გოლგოთისკენ მამის გზაწვრილი –
საქართველოდან გადახვეწილ რაინდის ჯვარცმა...

ვაჟა ოთარაშვილი

***

სპარსთა ლაშქარმა დაფარა
არაგვის გზა-სავალია;
არშის ციხისკენ მიდიან,
უნდა გადავლონ მთანია.

ქსნის ხეობაში გიორგიმ
უკვე შაყარა ჯარია:
ლომისისკართან შემოჰკრეს
მტრის დასახვედრი ზარია.

ქარჩოხთან დღე გაუთენდათ
ყიზილბაშებსა მწარეა,
ქსნის ხეობაზე წავიდა
სპარსელთა სისხლის ღვარია.

აივსო მტრისა გვამებით
ხეობის ორივ მხარეა,
სააკაძის მარჯვენას ლოცავდა
ქართველი ხალხის გვარია.

მთქმელი ისიდორე ნათაძე სოფელი კორინთა.
ჩაიწერა გიორგი (გორა) ხერკელაძემ 1947 წ.

ესე ნათქომი გიორგის

შენ ტკბილო, მშვიდო კახეთო
ავად იყავი გნახეთო,
ირანის გზა და მინდორი
სულ ფეხით გადალახეთო.
გახსოვდეთ ენა ქართული
სულ კარგათ შეინახეთო
ვისაც სიკვდილმა გაკოცოთ
ქართულად დაიმარხეთო.
თქვენი ნაცომი ჩოხები
სახსოვრად შაინახეთო
რა ცუდ ყოფაში იყავით,
ვარამ მნახველო კახეთო,
ღმერთის შეწევნით დრო მოვა,
დაბრუნებულნიც გნახეთო.

მთქმელი შაქრო ვერელი
მცხეთის რ. სოფ. ქსოვრისი
ჩაიწერა ნიკო ხერკელაძემ
1980 წელი

ნოსტელ გიორგის!

შენი ჭირიმე ნოსტელო,
შენი ქართული გულისა
ნეტა რა დედამ გაგზარდა
ეგრე მაღალი სულისა.
ნეტაი რა წყაროსა სვამდი
ან რა მზის შუქი გეფინა,
რომელ ვარსკვლავებს უმზერდი
სამშობლოსათვის რო ეგრე გეთმინა.
ხალხისაგან შენთვის სიყვარულს
ჟანგი ვერ მაეკიდება
ჩვენი მიწა-წყლისა, მტერსა,
სულ უჟმური წაეკიდება.
შენი ჭირიმე ვაჟკაცო
ნოსტეს ვეღარ მოსულისა
ნეტაი რა დედამ გაგზარდა,
მაგრე ქართული სულისა.

მთქმელი შაქრო ვერელი
მცხეთის რ. სოფ. ქსოვრისი
ჩაიწერა ნიკო ხერკელაძემ 1980 წელს

„დიდ მოურავს“

დიდი ღმერთი იყოს შემწე
დიდი მოურავისაო,
შურმა განდევნა ქართლიდან,
ირანის გზას გაუყენა,
ისპაჰანის სასახლეში
შაჰმა გვერდით დაისვაო,
მისცა ბევრი საბოძვარი
უნდა ტახტი დამიცვაო.
ო, ვერაგო შაჰინშაჰო!
შენი ტახტი დაიწვაო.

თუ ჩემი ხმალი შევარცხვინო
ფეშქარ იყოს თავიცაო,
შვილი პაატა გაიმეტა
საქართველო დაიხსნაო.
სულ გაჟლიტა მომხვდურნი
ურჯულოთა გვარისაო,
შეხვდა წმინდა გიორგი და
მისცა ჯარი ტაძრისაო,
უთხრა მადლი შეგეწიოს,
მაღალი ღმერთის ძალისაო.

მთქმელი შაქრო ვერელი სოფ. ქსოვრისი
ჩაიწერა ნიკო ხერკელაძემ1980 წელი

***

საქმე თუ გაჭირდებოდა,
ვერ დაიჭერდეს ცხრანია.
მაგრობა გმართებს, გიორგი,
მაიგონებდე სხვანია.

არ დაგეკარგვის სახელი
ბრძოლებში ნალესავია,
ქართლისთვის სულის ჩამდგმელო
და გადამრჩენო ძალიან!

მთქმელი იასონ ხერკელაძე, დუშეთი.
ჩაიწერა ავთო მათიაშვილმა 1950 წ.

***

გიორგიმ შემოითვალა,
ამოვლა მწადის ქსანსაო,
არჩევა კარგი ვაჟების,
ქარჩოხს დახვედრა მტრისაო;

ისრითა გატუსულითა
მტერი იყროდეს ძირსაო,
იღებებოდეს წითლადა
გზა და ბილიკი მთისო.

მთქმელი ისიდორე ნათაძე, ახალგორი.
ჩაიწერა (გორა) გიორგი ხერკელაძემ. 1947 წ.

***

ოსმალთა ჯარი მოსულა,
ცხირეთთან ახლოს ვლისაო:
ბერმა თევდორემ იტვირთა,
სიმწარე სიკვდილისაო!

გზა-კვალი შეაცვლევინა,
თეძმის ხევს დაგუბდისაო,
`მეფეს არ ეღალატების~,_
თევდორე ასე სთვლისაო.
გიორგიმ უმალ შეჰყარა
მებრძოლნი ოთხასისაო,
ხეობის ირგვლივ გორებზედ
ცეცხლები ინთებისაო;
ლომისებრ დაუტრიალდა,
ოსმალნი შიშით ძრწისაო;
ტაშისკარს ოსმალთ ლაშქარი
მიწასთან გასწორდისაო,
ვინც კი გადარჩა ცოცხალი,
უკანვე გარბოდისაო.

მთქმელი ნ. ალიმბარაშვილი.
ჩაიწერა ნ. ხერკელაძემ კასპის რაიონის
სოფ. ახალქალაქში 1974 წელს.

***

წუთისოფელმა მოურავს
ნაღველი დაალევინა,
ატარა გულის კვნესითა.
ცრემლი ზღვას შაარევინა!

მთქმელი ჯ. გარაყანიძე,
ჩაიწერა გიორგი ხერკელაძემ
კასპის რაიონის სოფ. ლამისყანაში.

***

შენ, მოურავო გიორგი,
ზარის დამცემო მტრისაო,
კარგი მოსავლის მომყვანო,
მსახურო ერისთვისაო,
დარბაზიც გამართული გაქვს,
კოშკიც გიდგია ქვისაო.

***

ნოსტელსა გმირსა გიორგის,
განგმირავს ბევრი მტრისასა,
ღმერთო, უნათე გზა-კვალი,
შუქს ნუ ჩაუქრობ მზისასა!

მთქმელი შაქრო ვერელი.
ჩაიწერა ნ. ხერკელაძემ მცხეთის რაიონის
სოფ. ქსოვრისში 1985 წელს.

***

მე რომ მარტყოფში ვცემდი ყიჟინას
და მარაბდაშიც მკლავი მოვღალე,
ლისთან თათრების სული მივწნიხე,
ქსანზეც ვადინე სისხლის ღვარები;
ბევრზე ამაგი ქვად ქცეულიყო,
შენდობა რისთვის, ვისგან მეთხოვა.
დაუნახაობის ჯვარზე გაკრულსა,
მტერი ჯერ კიდევ არ დამლევია,
გმინვადქცეული ჩემი სიცოცხლე
გოლგოთის გზაზე გაგრძელებულა.
ვარამ მოვლილი წუთისოფელი,
სულში ჩემივე ხმითაც ჩამძახის,
როს სიძულვილის მახვიეს მანტია _
თორმეტწლიანი ირანში ყოფნა _
სიკვდილით, შვილის შეწირვით,
ისევ ქართველმა არ მაპატია.

მთქმელი კარლო სოლოყაშვილი.
ჩაიწერა ნ. ხერკელაძემ თბილისში 1989 წელს.

***

რომ განსრულდა ეს ცხოვრება,
მტერთან ჩემთვის განგებული, -
ნუ დამტოვებთ უცხოეთში,
ბედისწერით დაკარგული;
ქართლის მიწა ტკბილ მექნების,
ნანას მეტყვის ნაზი ქარი,
ფართან ერთად გულს დამადეთ
ნაომარი ჩემი ხმალი!

მთქმელი იორამ ღუდუშაური.
ჩაიწერა ნ. ხერკელაძემ ყაზბეგის რაიონის
სოფელ სნოში.

ბერი თევდორე

დაგსაჯეს, თავი მოგკვეთეს,
სხერტის ჭალასთან ნიაბსო;
ბულბულნი აღარ გალობენ,
მერცხალი მოგიტანს იასო.
სადაც შენ დაიმარხები,
ნეტავ იმ ეკლესიასო!

მთქმელი ყუმბარა თაგვიაშვილი.
ჩაიწერა ნ. ხერკელაძემ 1986 წელს
კასპის რაიონის სოფ. გუდალეთში.

***

ზურაბო, ერისთვის შვილო,
ეს რა ფერ დაგდებიაო,
დაგიკრეფია ხელები,
თვალებიც დაგხუჭვიანო.

ვინ გაგიმეტა სამუხთლოდ,
მარტყოფიც დავიწყნიათო.
არაგვი დამგლოვიარდა,
მტერს ვიღა მისცემს ზიანსო.
ღად მოგაშორეს სამზეოს
ხალხს ეს ვერ გაგვიგიაო.

მთქმელი ნიკო ბერიანიძე.
ჩაიწერა ილო გიგაურმა. ახალგორის
რაიონის სოფ. დადიანეთში.

***

ჩაგვიქრა იმედის სხივი,
ვადაშიც გატყდა ხმალია.
ნოსტეს მოვიდის ამბავი,
მთაში ატირდის ქსანია;
`დავკარგეთ დიდი იმედი,
ვინც ქართლს შეაბა ხმალია~;
მარტყოფში მუხას დაეცა,
მეხის გავარდნის ძალია;
სიკვდილსა ფერი არა აქვს
ატირა ყველა მხარეა.

* * *

სადაც რომ პაატა შობილა,
ის მიწა ჩვენთვის ცრემლია.

მთქმელი დათა ხიზამბარელი.
ჩაიწერა ნ. ხერკელაძემ კასპის რაიონის
სოფ. ნოსტეში 1975 წელს.

ИМПРОВИЗАЦИА „ДИДИ МОУРАВИДАН“

სად მოვთვალო ჩემი ბრძოლა
და ან ომთა ჭირნახული.
რას არგებდათ შადიმანთა
ჩემი რბევა-აღსასრული.
ბევრ ყიზილბაშთა თავები
მიწაზედ მინარცხებია.
ქვა არსად გდია ქართლშია,
ჩემი სისხლი რომ არ სცხია.
შვიდას სპარსს თავი მოვკვეთე,
გავწყვიტე მე სამოცითა,
რა გაჭირდის, უკეთ შევძელი,
ასე მქონდა ბრძოლის ჩვევა;
თავო ჩემო დარდიანო,
სევდიანო, როგორც წყლულო,
საქართველოს გულისათვის
ათასფერად წამებულო;
ვეღარ დავიშერი ცრემლი,
თვალთა ჩემგან მონაწური,
დავსთმი ყველა სიტკბოება
სულ გავიღე სული, გული
არ დავზოგე სამშობლოსათვის
ძმა, ვაჟები და ასულნი;
მეც შემეძლო მაბეზღართა,
ცუდ-მუდ კაცთა მტერობანი,
მაგრამ დავსთმი, ყველას უყვი
თავზედ ხელის ფერობანი.
ჩემთვის დარმა მოიღრუბლა
აღარ არის მზიანია,
ვისზედაც რომ კარგი ვქმენი,
მან შემიქმნა ზიანია;
მტრისგან რღვეული სამშობლო,
მე გავხადე გზიანია.

მთქმელი ჯ. ქავთარაძე.
ჩაიწერა ნ. ხერკელაძემ კასპის რაიონის
სოფ. ჩაჩუბეთში 1975 წელს.

* * *

ქართლში მოლას ხმა არ ისმის,
და კახეთში არ ჩანს ელი,
საქართველოს დგას ცისკარი,
ლომგულ სააკაძეს ელის _
მარტყოფი და ტაშისკარი.

იმპროვიზაციები გ. სააკაძის თემაზე
*პოეტი აკადემიკოსი **ვაჟა ეგრისელი***
სამშობლოს ორგულს და მოღალატეს,
ვინც რომ განაგებს მეფის პალატებს,
ზოგ ხელმწიფეს და მის ქვეშევრდომებს,
და ყველა დი კაცს ცრუს და მედროვეს, _
ერთად იყიდის ბერი თევდორე!

* * *

როს აჩრდილი გაიელვებს,
ველზე დიდი მოურავის,
მარტყოფი და ტაშისკარი
მის წინაშე ქედს კვლავ იხრის
და... დილამდე უსმენს მტკვარი
სააკაძის რაშის ჭიხვინს.

ვაჟა ეგრისელი

* * *

მიაქვს სამშობლოს ბოღმა და დარდი,
ქართული ხმალი და ჯვარი ვაზის,
მისთვის ქცეული სალოცავ ხატად.
და...
საქართველოს ისტორიის უკუღმართ გზაზე
ვით მამამისი, მარტოდმარტო მიდის პაატა.

* * *

შენს დროშისფერს, შენს სიმაღლეს,
ვით გიორგი და ვით ცოტნე,
შეეწირა სხვა ათასი.
ქართლის ცაზე რომ ჰკიდია,
მზე კი არა,
თავი გახლავთ პაატასი.

* * *

მოგონებები მიიკვამლება ერთაწმინდისკენ
მიღმა იკორთის,
სამშობლოს ცაზე, შვილო პაატა,
კარგი ჩანს დარი,
მაგრამ წარსული გულს კვლავ მიკორტნის,
როგორც ეკალი, ქუსლში ჩამტყდარი.

* * *

ოსმალეთი?
არც სპარსეთი,
საქართველო იყო შვება და იარა,
იყო მისთვის ეკალიც და ყვავილიც.
სააკაძემ შარა-გზა გაიარა.
მორჩა, იმ გზას სხვა ვერავინ გაივლის.

გოჩა ჭელიძე

საქართველოს ავი ბედისწერა! 1798 წელს თელავში ღრმად მოხუცებული ერეკლე მეფე გარდაიცვალა და ტახტზე გიორგი მეთორმეტე ავიდა. ამ დროისთვის საქართველოს მცველი აღარ ჰყავდა. ერეკლე მეფის „მორიგი ჯარი“ რუსეთის წყალობით ქვეყანას აღარ გააჩნდა. რუსეთმა 1783 წლის გეორგიევის ტრაქტატი უკვე მერამდენედ დაარღვია და იმპერატორმა პავლე პირველმა საქართველოს დასაცავი ზუბოვის რაზმები რუსეთში გაიწვია. სამეფო ხაზინა აღა მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ სრულიად დაცლილი იყო, ახტალის ვერცხლის მადნები დაქცეული.... გიორგი მეფემ დაინახა, რომ რუსეთს მამის მიერ რუსეთთან დადებული ტრაქტატის შესრულება აღარ აინტერესებდა და რუსეთი არც დაპირებულ ორ ბატალიონს, არც საჭურველს და არანაირ თანადგომას არ იჩენდა, გადაწყვიტა აღმოსავლეთისაკენ ებრუნა პირი. ამიტომ მან დესპანები გაგზავნა ოსმალეთს და სპარსეთს, რათა რუსეთის მიერ გადაკიდებულ მეზობლებთან ძველი ურთიერთობა კვლავ აღედგინა. ოსმალეთის მთავრობა სიხარულით შეხვდა გიორგის გადაწყვეტილებას და ახალციხის თემის ქართველ კათოლიკეთა არქიმანდრიტი პავლე შაჰყულიანი დანიშნა მეფე გიორგის წინაშე ოსმალური ენის მთარგმნელად და შუამდგომელადაც. 1799 წელს არქიმანდრიტი პავლე ახალციხიდან თბილისში ჩამოვიდა და წარუდგა მეფე გიორგის. მას მოახსენა ოსმალეთის სულთნის წადილი და ყველა პირობა დაწვრილებით. პირობებში ეწერა: 1) სულთნის დავალებით პირადად გადასცეს, რომ ოღონდ საქართველოს რუსეთს ნუ დაუკავშირებთ და ჩვენ გაძლევთ პირობას, რომ დღეის შემდეგ თქვენს ქვეყანას ჩვენ აღარას დავუშავებთ; 2) ოღონდ რუსებს საქართველოში ნუ შემოუშვებთ და ჩვენ დაგიბრუნებთ საქართველოს ყველა იმ წართმეულ ადგილებს, რომელნიც ჩვენს ძველებს თქვენთვის წაურთმევიათ; 3) პირობას დავსდებთ, რომ დღეის შემდეგ თქვენს ქვეყანაში ოსმალოს კაცმა ფეხი აღარ შემოდგას ვინმემ; 4) გარდა ასეთის უვნებლობის, ჩვენ ვიქნებით მომხრე ყოველთვის და მასთან კავკასიის მუსულმანებს ყველას ავუკრძალავთ თქვენზედ ნავარდობას და თავდასხმას. ხალხის ძარცვას; 5) ჩვენ დაგეხმარებით ჯარით და ჯარის შესანახი ფულით; 6) ჯარისათვის დაგეხმარებით იარაღით და ზარბაზნებით. რუსეთისათვის გახდა თუ არა ცნობილი ოსმალეთთან გიორგის მოლაპარაკებების შესახებ, ბედის ანაბარა მიტოვებული საქართველოსადმი „მინავლებული“ ინტერესი კვლავ გამოიჩინა და გიორგისთან სასწრაფოდ გამოგზავნა დავით ბატონიშვილი, რომელმაც ღრმა მორწმუნე გიორგი მეთორმეტეს ერთმაშად გაუცოცხლა იმედები საქრისტიანოს დიდ იმპერიისადმი და ოსმალეთში გაგზავნილი დესპანები უკან დააბრუნებინა. დავით ბატონიშვილმა გიორგი დაარწმუნა, რომ რუსეთი 1783 წლის ტრაქტატს ისევ ცნობდა და რუსეთი ტრაქტატის პირობების განხორციელებას შეუდგებოდა. მართლაც, 1799 წლის 16 აპრილს რუსეთმა საქართველოს „დასაცავად“ ორი ბატალიონი გამოგზავნა. გიორგის გამოუგზავნა აღქმული ინვესტიტურები და საგანგებო ღრამოტა, რომლის ძალით დავით ბატონიშვილი მემკვიდრედ ცხადდებოდა. გარეგნულად ყველაფერი საქართველოს სასარგებლოდ მიდიოდა, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. როგორც რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ ლეიტენანტი ნიკოლოზ დუბროვინი აღნიშნავდა, იმპერატორი პავლე პირველი კავკასიის ხაზის მმართველს კნორინგს სიტყვა სიტყვით ავალებდა: „საქართველოს დახმარება დაჰპირდით და თავი ისე მოაჩვენეთ, თითქოს მართლაც ვეხმარებით, მაგრამ ჩვენი ძალები შეინახეთ, მისთვის არ გასწიროთო“. იმპერიის გეგმა იყო: მათ მიერ დასუსტებული საქართველო კიდევ უფრო დაესუსტებინა; ფორმალურად გიორგისაც დახმარებას ჰპირდებოდა, სინამდვილეში მაჰმადიან მეზობლებს კიდევ უფრო აგულიანებდა. გიორგი მეთორმეტეს მიერ რუსეთისკენ შემოტრიალებამ მაჰმადიანი მეზობლები კიდევ უფ-

რო გააფთრა. შევიწროებულ საქართველოს ბაბა ხანი აოხრებით ემუქრებოდა და მძევლად დავით ბატონიშვილს ითხოვდა. არც ოსმალეთი იდგა განზე. ამ მძიმე დროში რუსეთის ორი ბატალიონი სამეფოს ვეღარაფერს არგებდა და გიორგიმ დამატებითი ჯარები და ზარბაზნების გამოგზავნა ითხოვა. რუსეთმა ზარბაზნების ნაცვლად საქართველოში გეოლოგების საფარქვეშ მზვერავების ჯგუფი გამოაგზავნა მუსინ პუშკინის ხელმძღვანელობით, რომელმაც იმპერატორს საიდუმლოდ აუწყა, რომ: საქართველოს ხელში ჩაგდება მეტად გაადვილებულია, გიორგი მეფე განუკურნებელი სნეულების გამო მალე გარდაიცვლება და საქართველოს მეზობელი ქვეყნების მუქარის ფონზე მზაკვრული გეგმის განხორციელება შესთავაზა. გეგმა, რომელიც რუსებმა წარმატებით განახორციელეს, შემდეგში მდგომარეობდა: იმპერატორი საქართველოს მეფეს ლაზარევის პირით დაემუქრა, რომ ორ ბატალიონს უკან გაიყვანდა და ირან თურქეთის წინაშე მარტო დატოვებდა თუ რუსეთის პირობებს არ დასთანხმდებოდა. სნეულსა და უძლურს, უაღრესად დასუსტებული საქართველოს მეფეს სხვა გზა აღარ დარჩენოდა და რუსეთის ნებას დაჰყვა. პეტერბურგს მეტი უფლებების დათმობა აღუთქვა. გიორგი მეფემ რუსების მითითებით შეადგინა „თხოვნითი პუნქტები“ რომლის თანახმად რუსეთის სასარგებლოდ თითქმის ყველა უფლებაზე თქვა უარი. თავი ვასალად გამოაცხადა და მხოლოდ ტახტის დატოვებას ითხოვდა. ამრიგად სუვერენობის დათმობით, მეფე რუსეთის გულის მოგებას და რუსეთიდან რეალური დახმარების მიღებას ცდილობდა. რუსეთი ყველანაირად ცდილობდა გიორგის რაც შეიძლება მალე მოეწერა ხელი ამ პუნქტებზე. იმავდროულად რუსეთის იმპერატორმა პავლემ კნორნინგს საიდუმლო ინსტრუქცია გაუგზავნა და უბრძანა: საკმაო ჯარები მიეახლოებინა საქართველოს საზღვრებისაკენ, ავადმყოფი მეფე გიორგის გარდაცვალებისთანავე ეს ჯარები სრულიად უნდა შეეყვანა საქართველოში, აეღო საქართველო და არავითარ შემთხვევაში საქართველოს ტახტზე არც დავითი და არც რომელიმე სხვა ბაგრატიონი არ უნდა აეშვა. ამ სამზადისის პარალელურად რუსეთის იმპერატორმა პეტერბურგში საქართველოს სრული შეერთების მანიფესტს 1800 წლის 18 დეკემბრის რიცხვით მოაწერა ხელი იმ იმედით, რომ გიორგი უკვე მიცვალებული უნდა ყოფილიყო და ეს მანიფესტი საიდუმლოდ გაუგზავნა კნორრინგს ინსტრუქციით: მეფის გარდაცვალებისთანავე გამოექვეყნებინა თფილისში. მაგრამ გიორგი ამ „რეცეპტით“ არ გარდაიცვალა და პეტერბურგს გეგმები აებნა. ოდნავ მოგვიანებით 1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი აღესრულა. აღესრულა ისე, რომ თხოვნით პუნქტებზე ხელი არც მოუწერია. პავლე პირველმა საქართველოში ორი მანიფესტი გამოაგზავნა. პირველი მანიფესტით ის მიმართავდა ქართველ ხალხს და მასში ეწერა: წყალობითა ღვთისათა ჩვენ პავლე პირველი იმპერატორი და თვითმპყრობელი ყოვლისა როსიისა და სხვათა. ადრის დროთაგან საქართელოისა სამეფო შეჭირვებულიყო უცხო თესლთაგან, რომელთაცა მეზობლობით განელიათ ძალი დაუცხრომელითა ბრძოლითა საკუთრითა დამცველობისა თავისა თვისისათა და განმხილველნი განულტოლველობისა შედგომილებაჲ აქვნდათ უბედურად. ამასთანავე შეერთდა უთანხმოება სახლსა შინა სამეფოსა სამუქაროჲ სრულ ყოფად დაცემისა სამეფოჲსა და ამისდა იშვა ურთიერთარს შორის ბრძოლაჲ. მეფემან გიორგი ირაკლის ძემან იხილა მოახლოვება დასასრული დღისა თვისისა. ჩინებულნი გვამნი და თვით ერი საქართველოჲსა მოლტოლვილი იქმნეს საფარველსა ქვეშე ჩვენსა და არა რაჲმე განიხილეს განრინებისათვის თვისისა დაუსრულებელისაგან წარწყმედისა და დამორჩილებისადმი მტერთა თვისთა, ითხოვეს წარმოგზავნილთა მიერ ელჩთა სხვისა ძალისა მქონებელთაგან უსაშვალოდ მონებაჲ იმპერატორისა ყოვლისა რუსეთის ტახტისა. ამისთვის ყურად-ვიღევით თხოვა მათი მოწყალებისა ჩვენისა ერთმორწმუნეთა ერთა ზედა. და სამარადისოთა ზრუნვითა სარგებელისათვის საქართველოსა ერთასა, განვსაზრეთ ჩვენ აღსრულება სურვილისა მეფისა გიორგისა ირაკლისა ძისა და ერისათვისისა. და ამისთვის ვბრძანეთ რაოდენ დაპყრობისათვის შინაურისა დაწყნარებისა, ეგოდენ გარე მოზღუდვისათვის მისივე გარეგანთაგან დაცემათა და ვუბრძანეთ შეყვანება მხედრობისა ჩვენისა საპყრობელოსა საქარ-

თველოსა და ამით გამოუცხადებთ იმპერატორულისა ჩვენისა სიტყვითა ვითარმედ შეერთებისაზე სამეფოსა ქართლოსისა საუკუნოებითითა დროჲთა, მპყრობელობასა ქვეშე ჩვენსა. არა თუ ოდენ დატყვევებულ იქმებიან (საყვარელ სიმართლესა შინა დაცვისა ჩვენისასა კანონნი მათნი) საყვარელ სარწმუნოჲთა ახალნი ყმანი ჩვენნი სამეფო ქართლოსი და სამფლობელონი მისნი; არამედ წარმატებულება და საკუთრად სჯულიერი თვითოეული შესაბამობა, რომლისაგანცა თვითოეულისა დროსა დანიშნულება შედგომილება ერისა სამფლობელოსაცა აქვს სარგებლობად ყოვლითა მით კანონითა, რომლითაცა რუსეთისა ძველნი ყმანი წყალობითა ჩენითა წინაპართათა და ჩვენითა დატკბებოდნენ თავისუფლებითა და წარმატებულებითა საფარველსა ქვეშე ჩვენსა. სხვებრ ვეგებით რწმუნებულნი, ვითარედ ესე ახალნი ყმანი ჩვენნი და შემდგომნი ძენი მათნი დაცულ იქმნებიან შეურყეველითა დარწმუნებითა ჩვენითა და მოსაყდრეთა ჩვენთაგან და ვიმედოვნებთ, რომელ იქმნებიან მცდელ ერთგულებისა ჩვენისა და სარგებლობისა იმპერიისა ჩვენისა ყოვლისა უმაღლესისა განზრახვითა და მონარქულისა კეთილმნებებელობისა ჩვენისა. გამოცხადდა სანკტ-პეტერბურღსა შინა წელსა 1801 იანვრის 18 დღესა. წელსა მეფობისა ჩვენისა 5 და დიდისა მაგისტრობისა ჩენისა წელსა 3. მეორე მანიფესტი გამოგზავნა ტახტის მემკვიდრის დავით ბატონიშვლილის სახელზე, რომელშიც წერია: უფალო ღენერალ-ლეიტენანტო, მეფის ძეო დავით! წერილნი თქვენნი ოცდა ოთხით და ოცდა რვით დეკემბრით ჩვენგან მიღებულ იქმნეს. თანა აძს უწყებად უგანათლებულესობასა თქვენსა თხოვა ნეტარხსენებულისა მამისა თქვენისა, დიდებულთა და ერთა საქართველოსათა ჩვენდამი გამოცხადებულისა მიღებისათვის სამეფოსა საქართველოსასა საუკუნოობითსა მონებასა შინა იმპერიისა ჩვენისასა, რომლისა თვისცა გამოცხადებულ იქმნების ნება ჩვენი მდებარითა ამას უკვე წერილსა შინა გამოცხადებულითა მანიფესტითა, რომელნიცა თვის ეტყვიან პატივცემულსა გვამსა თქვენსა, წარმოგზავნილითა აქადგან სრულისა ძალისა მქონებათა საქართველოსა დესპანითა ძალ-ედვათ უწყებად თქვენდა წინადადებულთათვის ჩვენთა, რომელთაცა შინა ჰპოებთ თქვენ საკუთარსა მტკიცედ დამტკიცებასა მზრუნველობისა ჩენისასა თქვენდამი. ვით თქვენთვის, ეგრეთვე საზოგადოდ კეთილობისათვის საქართველოისა განკუთვნითა მოწყალებითა, თქვენდამი კეთილმნებებელობითა. იმისათვის რომ აღნიშნული მანიფესტი საზოგადოებას უმტკივნეულოდ მიეღოთ, კნორინგს დაევალა რომ თავადაზნაურობა დაეწინაურებინათ, ზოგი ხარისხით, ზოგი მედლით, ზოგი ანაზღაურებით. ლაზარევი თავის წერილებში ასევე წერდა, რომ იმდენად გახარებული იყო ქართული საზოგადოება მანიფესტის მიღებით და თავს ისე აღიქვამდნენ რუსებადო, რომ ქართველის დაძახება მათში გულისწყრომას იწვევდაო. მანიფესტის შინაარსი ქართველმა საზოგადოებამ მის გამარჯვებად ჩათვალა და დიდი ზეიმით გამოაცხადეს კიდეც. 1801 წლის 16 თებერვალს აღნიშნული ტექსტი კარლ კნორინგის დავალებით გენერალ-მაიორმა ივანე ლაზარევმა სიონის საკათედრო ტაძარში წაუკითხა საზოგადოებას. მანიფესტის კითხვას ასევე ესწრებოდნენ: გიორგი მეფის ძეები დავით, იოანე, ბაგრატ, მიხეილ და სამეფო სარდლები და მოხელეები. თავდაპირველად ის რუსულ და ქართულ ენებზე იკითხებოდა ხოლო შემდეგ სომხური და თათრულ ენაზეც გავრცელდა თბილისში. მანიფესტის წაკითხვისთანავე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონიმ გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი. მთელი დღე გაუჩერებლივ ირეკებოდა ეკლესიის ზარები. რა თქმა უნდა რუსეთის იმპერატორის პავლე პირველის საბოლოო მიზანს საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება და რუსეთთან შეერთება წარმოადგენდა. ეს მანიფესტიც მიზნის განხორციელების გზაზე ერთ-ერთ საბოლოო ეტაპს წარმოადგენდა. ნებისმიერ შემთხვევაში ქართული სახელმწიფოს გაუქმება გარკვეული დროით უნდა გადაედო კიდეც, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. პავლე I-ის მანიფესტის სახელით შედგენილ აქტს, რომელსაც საქართველოში ასეთი შემართებით დახვდნენ, პავლე პირველის უეცარი გარდაცვალების გამო აღსრულება არ ეწერა. ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ახალი მანიფესტი გამოსცა 1801 წლის 12 სექტემბერს, მაგრამ პირვე-

ლად გამოქვეყნდა 1802 წლის 12 აპრილს რუსის ჯარით ალყაშემორტყმულ სიონის ტაძარში შეკრებილ თავად-აზნაურობის თანდასწრებით. დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრიოვის გაუქმების მოკლე და ტრაგიკული ისტორია. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა საქართველო რუსეთს შორის დადებული ყველა შეთანხმების, თვით გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების დარღვევით 1801 წლის 12 სექტემბერს გამოსცა მანიფესტი და აუწყა საქართველოს, ამ უძველესი სამეფოს გაუქმება და თვით ქართველთა „საბედნიეროდ“ მისი საბოლოოდ რუსეთის იმპერიასთან შეერთება. ქართველთა სამკვიდრო რუსეთის გუბერნიად გადაიქცა. იმპერატორის ბრძანებით რუსეთში მიიწვიეს სამეფო ოჯახის ყველა წევრი. იმპერატორის სურვილიი იყო არც ერთი ბაგრატიონი არ დარჩენილიყო საქართველოში. დასასრულს მოვიყვან დიდი ქართველის ივანე ჯავახიშვილის სიტყვას, რომელიც სრულიად ასახავს იმდროინდელი გაუბედურებული საქართველოს უსუსურ მდგომარეობას: „12 ენკენისთვეს 1801 წ. პეტერბურგში საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ ალექსანდრე I-ის მანიფესტი იყო გამოცხადებული, რომელშიაც ფარისევლურად ნათქვამი იყო, ვითომც ეს აქტი მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობის ძლიერი სურვილით ყოფილიყოს ნაკარნახევი. ლამაზ სიტყვებს რასაკვირველია არ შეეძლოთ მაინც გაექარწყლებინათ ის შთაბეჭდილება, რომ რუსეთის მთავრობის საქციელი შემაძრწუნებელი უპირობო, ფიცისა და აღთქმის დარღვევა და ძალმომრეობა იყო და სხვა არაფერი. ადვილი წარმოსადგენია, რაოდენად თავზარდამცემი უნდა ყოფილიყო ეს ამბავი ქართველ მოწინავე, შეგნებულ წრეებისა და მთავრობისათვის. რაკი რუსეთის მთავრობამ იცოდა, რომ საქართველო ამის გამო აღშფოთებული იქნებოდა, შვიდი თვის განმავლობაში ამ მანიფესტს საქართველოში არ აცხადებდა. ხოლო როდესაც მეტი დამალვა აღარ შეიძლებოდა და მისი გამოქვეყნება და ხალხის დაფიცება აუცილებელი შეიქმნა, მაშინაც გენ. კნორინგს იმედი არა ჰქონდა, რომ ქართველები ნებაყოფლობით საკუთარ დამოუკიდებლობის მოსპობაზე თანხმობას განაცხადებდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობის ფიცს მიიღებდნენ. ამიტომ გადასწყვიტა ეს საქმე მოტყუებით და მუქარით მოეხერხებინა. მან დაჰპატიჟა გავლენიანი წრეები, თავადაზნაურობა და ქ. ტფილისის მოქალაქენი და როდესაც ყველამ თავი მოიყარა, მან ბრძანება გასცა, რომ მათთვის საიერიშოდ გამზადებული (“аки штурмомъ”) რუსის ჯარი შემოერტყათ. მაშინდელი ერთი რუსული ცნობის მიხედვით “ლომების ხახასავით განხმული იყო” თურმე ის ზარბაზნების პირი. გენ. კნორინგმა ამის მნახველს ხალხს წინადადება მისცა რუსეთის ქვეშევრდომობისა და ერთგულების ფიცი მიეღოთ. ქართველობა გაოცებული და აღშფოთებული იყო ასეთი უმსგავსო საქციელით. მოწინავე წრითგან მრავალმა იმოდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ შემორტყმულ ჯარს არ შეუშინდა, ძალით ფიცი არ მიიღო და ეკლესიითგან გავიდა. მაშინვე გენ. კნორინგმა ბრძანება გასცა, რომ უკმაყოფილონი დაეჭირათ და ციხეში ჩაესვათ“. იმ დღეს ბევრი ქართველი პატრიოტი დაატუსაღეს, ბევრიც გააციმბირეს. დარჩა მცირერიცხოვანი თავადაზნაურობა, რომელმაც ფიცი დასდო მეფის რუსეთის ერთგულებაზე, მაგრამ იმ დროიდან მოყოლებული დღემდე, არ ყოფილა საქართველოს არც ერთი თაობა, რომელსაც ორჯერ ან სამჯერ მაინც არ მოეხდინოთ აჯანყებები რუსული ძალმომრეობის წინააღმდეგ. ჩვენი თაობაც ამ ძალმომრეობას ებრძვის დაუსრულებლად.

აბრამ პაატა იოსებაშვილი

შიმონ პერესის სიტყვები, რომლებმაც სამყარო შეძრა

ასე უწოდეს 92 წლის ებრაელი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ისრაელის მე-9-ე პრეზიდენტის შიმონ პერესის გამოსვლას კიევში ,,ჩვენ ვოცნებობდით ჩვენს მიწაზე, მაგრამ მიწა რომელიც ჩვენ გვერგო არ იყო საოცნებო. ეს იყო რაღაც პატარა ნაგლეჯი მიწისა... ახლო აღმოსავლეთის ერთი მეათასედი ნაწილი. ეს მიწა ჩვენ კარგად არ გვეპყრობოდა... იქ იყო ჭაობები, კოღოები, სამხრეთში უდაბნო და ქვები... არჩევანი კოღოებსა და ქვებს შორის იყო. იქ ორი ტბა იყო – ერთი მკვდარი და მეორე მომაკვდავი. იყო განთქმული მდინარე, თუმცა მასში წყალი არ იყო... წყალი სრულებით არ იყო. არანაირი ბუნებრივი რესურსი არ არსებობდა – არც ოქრო და არც ნავთობი... მაშინ ასეთი გამოთქმა იყო ,,ახლო აღმოსავლეთში არსებობს ქვეყნების ორი ტიპი: ნავთობის ქვეყნები და წმინდა ქვეყნები,, ჩვენი ქვეყანა კი – აბსოლიტურად წმინდა იყო... რამეთუ არაფერი არ ჰქონდა.

ჩვენ მარტოდმარტო ვიყავით. ჩვენ არ გვყავდა არც რელიგიური ძმები, არც ერთენოვანი დები და არც ისტორიული მეზობლები. ეს ყველაფერი ხდებოდა ჰოლოკოსტის შემდგომ... ჩვენ იქ მივედით და არ ვიცოდით რა გვექნა... ნამდვილად არ ვიცოდით.

და ჩვენ მოვიფიქრეთ: ბუნების ყველაზე დიდი სიმდიდრე – ეს არის ადამიანი. ადამიანები ამდიდრებენ მიწას და არა მიწა ადამიანებს.

ჩვენ გავხდით სწავლულები. ყოველმა ფერმერმა ისრაელში და ყოველმა გლეხმა დაიწყო ფიქრი, თუ როგორ განევითარებინა სოფლის მეურნეობა წყლისა და მიწის გარეშე... და ჩვენ განვავითარეთ ის. ეს იყო პირველი სოფლის მეურნეობა მსოფლიოში, რომელიც ჰაი-ტექზე (მაღალ ტექნოლოგიაზე რედ.) დაფუძნდა. მე თვითონ მაშინ აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი და ჩვენ ვცდილობდით ჩაგვეტარებინა ირიგაცია... ცხელი წყლით ვრწყავდით ხეებს და გვეგონა რომ ისინი ასე უკეთ გაიზრდებოდნენ. ჩვენდა გასოცრად, გაირკვა, რომ სოფლის მეურნეობა დაფუძნებული არამხოლოდ ნიადაგზე, არამედ ჰაი-ტექზე დაფუძნებულიც მუშაობს. დღეს ჩვენ საკმარისი წყალი გვაქვს... წყალს ჩვეულებრივად პოულობენ და არა მოიპოვებენ... ჩვენ კი მისი მოპოვება დავიწყეთ... და ჩვენ წინ წავედით. ჩვენ წყლის გამტკნარებაც ვისწავლეთ. ჩვენ ვეძებდით ბოსტნეულს, რომლებიც ცოტა წყალს სვამენ და დავიწყეთ სელექცია. აი თქვენ ნამდვილი საიდუმლო: მომავლისთვის უფრო მნიშვნელოვანია არა ის, რაც თქვენ აღმოაჩინეთ... არამედ ის, რასაც თქვენ აწარმოებთ.

ჩვენ არც ხალხი გვყავდა და არც იარაღი გვქონდა... ჩვენ არასდროს არ გვიომია. ჩვენ სულ 450 ათასი კაცი ვიყავით და არც გენერლები გვყავდა და არც საბრძოლო გამოცდილება გვქონდა. გაერომ გადაწყვიტა შეექმნა სახელმწიფო ისრაელი, მაგრამ ფაქტიურად ომი მიდიოდა... რა უნდა გვექნა? ორი რამ...

პირველი – ადამიანები უნდა გამხდარიყვნენ მამაცები და უშიშარნი. მათ უნდა გაეგოთ, რომ ჩვენ არჩევანი არ გვაქვს... ჩვენ მხოლოდ უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენ ერთხელაც რომ დავმარცხდეთ... მორჩა.

მეორე – იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ არაღი არ გვქონდა... ჩვენ მისი წარმოება დავიწყეთ. ჩვენ დავიწყეთ არმიის სრულყოფა და მოგვიწია განგვევითარებინა IT– სექტორი, რომელიც არმიაზე მუშაობდა... რამეთუ ვიყავით მარტონი და მტრულ გარემოცვაში.

რატომ გიყვებით ყველაფერ ამას? დღემდე ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს ვეუბნები: მეგობრებო, თქვენ გაცილებით მეტი გაქვთ ვიდრე თქვენ ფიქრობთ... ნუ იქნებით ზარმაცები! თქვენ გაქვთ გა-

ცილებით მეტი, ვიდრე მიწას შეუძლია შემოგთავაზოთ თქვენ. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ისეთი რამეები, რაც თქვენ აქამდი არ მოგცემიათ... ეს გაკვეთილია ყველასათვის.

უკრაინა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა სოფლის მეურნეობის სფეროში... თქვენ ძალიან ბევრ პროდუქტს აწვდით მსოფლიოს და სოფლის მეურნეობაზე უარი არ უნდა თქვათ... თქვენ შეგიძლიათ და ვალდებულიც ხართ ხალხის რესურსები და ტალანტი გაერთიანოთ... და ისე მოახდინოთ მოდერნიზირება.

პოტენციალი ადამიანებს ძალიან დიდი აქვთ, მაგრამ ისინი ცოტათი ზარმაცები არიან.თუ რაიმეს მიღწევა გინდათ, უნდა იმუშაოთ... ციდან არაფერი არ ცვივა. ჩვენ ისრაელში ძალიან ბევრს ვმუშაობდით... რა არის ამაში ცუდი?! არ ვიცი... ადამიანები შვებულებაში გადიან... ეს დროის ფუჭი ხარჯვაა. მე 90-ს გადავცილდი და არასდროს ვყოფილვარ შვებულებაში. მე მეუბნებიან ,,შენ რა... არანორმალური ხარ? როგორღა ისვენებ?,, მე კი ვამჯობინებ ვიმუშაო და სამუშაოსგან სიხარულს ვღებულობ. პესიმისტებიც ნუ იქნებით! ესეც დროის ფუჭი ხარჯვაა... განსაკუთრებით მაშინ, როცა დროება იცვლება.

უნდა გაჰყვეთ მეცნიერებას. მეცნიერებას არა აქვს საზღვარი, შეზღუდვა და არააქვს რეფლექსები. ნუ ცდილობთ გადაწყვიტოთ წარსულის პრობლემები... რადგან მე ვეჭვობ, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია... წარსული საერთოდ არანაირ როლს არ თამაშობს... უბრალოდ შეისწავლეთ ის, რადგან წარსულის შეცდომები არ გაიმეოროთ... წარსულში არც მომავალია და არც არანაირი იმედი.

ადამიანების უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს რაღაც ,,ახსოვდეთ,,... და არა რაღაც ,,წარმოადგინონ,, – ეს ყველაზე დიდი შეცდომაა... რა გინდათ რომ გახსოვდეთ? ის შეცდომები, რომლებიც დაშვებული იქნა? ისტორიაზე დაყრდნობა არ შეიძლება. ისტორიკოსები და მეფეები ხელისუფალთა მაცნეები იყვნენ... ისინი იმას ამბობდნენ რაც მათ აწყობდათ.

ადამიანებს ეშინიათ რაღაცის... მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის რა დაგვემართება.

ხანდახან მეკითხებიან: თუ უკან მოიხედავთ, როგორი იყო თქვენი ყველაზე დიდი შეცდომები?

მე ვპასუხობ: ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენ დიდი ოცნებები გვქონდა... ახლა კი ვხდებით, რომ ეს ოცნებები არც ისე დიდი ყოფილა... იოცნებეთ რაღაც ძალიან დიდზე! რაც უფრო დიდი იქნება თქვენი ოცნება, მით უფრო დიდს მიაღწევთ თქვენ.

თქვენი ახალი თაობა ბრწყინვალეა... მაგრამ რაც მე მაბრაზებს მათში, არის ის, რომ მათ სძულთ პოლიტიკოსები. ისინი ამბობენ: პოლიტიკა კორუმპირებულია... ის არაა ჩვენთვის. მე ვპასუხობ: თქვენ გინდათ წესიერი პოლიტიკა? წადით პოლიტიკაში და თქვენ გააკეთეთ წესიერი პოლიტიკა!

ზოგჯერ ადამიანები მეკითხებიან მე, როგორ უნდა დავრჩეთ აქტიურები? ეს ძალიან ადვილია... დაიანგარიშეთ თქვენს ტვინში მიღწევები და ოცნებები... თუ თქვენი ოცნებები უფრო მეტია ვიდრე თქვენი მიღწევები... ეს ნიშნავს, რომ თქვენ ახალგაზრდა ხართ... თუ პირიქითაა – ნიშნავს, რომ მოხუცდით.

ეს ის გაკვეთილებია, რაც მე წარსულიდან გამომყვა...

თამო ჯაფარიძე

„ხელში აგიღებ, გაკოცებ, კიდევ ჩაგკოცნი, ჩაგცქერი!"

ერთმა სვანმა კაცმა ისეთი რამ ჩაიდინა, ისე მოიქცა, ისე ამოაყირავა ისტორიული არქივები, ისე დახსნა სამეცნიერო სკივრები, გაამზეურა ეტრატები, ჩააკვდა ბილინგვებს, ისეთი ტიტანური შრომა გაიღო, რომ დაუჯერებელია, ნუთუ ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი ადამიანის ნააზრევ-ნაღვაწია?

მივატოვე ყველა საქმე, დავხურე ლეპტოპი, გამოვრთე მობილური, ჩავრთე სანათი, გავიკეთე სათვალე და დავიწყე კითხვა... გოჩა ჭელიძე- "სვანეთის ისტორია", ნაწილი პირველი!

„სვანების საიდუმლოებით მოცულ ქვეყანაში" მოგზაურობაც არის და მოგზაურობაც! რომ ჩამავლო ხელი, ამ დალოცვილმა ავტორმა, ხომ აღარ ამომასუნთქა!

ვიცოდი ბატონო, „სვანეთელები", „ამაყი და ველური შესახედაობის ხალხი" ოდითგან ძალიან მაგრები ვართ!

ვიცოდი, „ოქრო-ვერცხლის საბადოთა სამშობოლოში" რომ დავიბადე. თვალი რომ გავახილე, პირველად თეთნულდი დავინახე, სიარული ენგურის ნაპირებზე ვისწავლე, მაგრამ არაფერიც არ მცოდნია სვანეთზე ისტორიკოსების, მკვლევარების, მეცნიერების, მწერლების, ძველი გეოგრაფების, მოგზაურების უნიკალური მასალების არსებობის თაობაზე.

თურმე არაფერი მცოდნია ჩემი სვანეთის თაობაზე!

ორი ათასი წელია სვანები კავკასიის მიდამოებში ვცხოვრობთ და თურმე „ჩვენ იმდენი გვიწვალია, ჩიტიც მოგვიწველია!"

აი, ასეთი მწერლური „ხრიკებით", დახვეწილი წერის მანერით, თხრობის განსაკუთრებული კულტურით ჩაგკარგავს გოჩა ჭელიძე სვანეთის ისტორიის კუთხე-კუნჭულებში.

ოჰ, კითხვის დროს რამდენჯერ ჩამესმა „ლილე!", „თამარ დედფალ!", „კასლედილა"... ხომ წარმოუდგენელია მუდმივი ჟრუანტელით იკითხებოდეს ისტორიის წიგნი? რისი ისტორიაც არ უნდა იყოს!

ეს შეძლო ამ წიგნის ავტორმა გოჩა ჭელიძემ. ამ წიგნის უნიკალურობა განა მხოლოდ სვანეთის ნამდვილი ამბების

კრებულშია, მასში გაცოცხლებულია ჩვენს წელთა აღრიცხვამდე არსებული ცნობები, ამეტყველებულია ძველი წარწერები, გაშიშვლებულია მითები და ლეგენდები სვანეთზე...

განა არ ვიცოდი, რომ ჩემი სვანი წინაპრები ბანჯგვლიანი ტყავით ოქროს მოიპოვებდნენ, მაგრამ თურმე სრულიად ორგანულად არის დაკავშირებული „არგონავტთა ლაშქრობა" და „ოქროს საწმისი" ჩემს სვანეთთან. დიახ, „ოქროს კულულებიანი" საწმისი ენგურის ხეობის ისტორიის კუთვნილებაა.

მეგონა ყველაფერი ვიცოდი, ჩემი ახალგაზრდობის სიმბოლოდ წოდებულ თამარის კოშკის თაობაზე, რომელიც უშგულის მშვენებაა; არა, ბატონო, გოჩა ჭელიძის წიგნის ნაკვალევს გავყევი და გამადიდებელი შუშით მოძიებული ისტორიების საამაყო ამბები წავიკითხე.

ჩემი საყვარელი უძველესი სვანური ენა, კულტუროლოგიის ყველაზე საინტერესო ფენომენი, ქართველური ენების სიამაყე, შიშინა და ხორცისმიერი ბგერებით მოვარაყებული „ლუშნუ", არასდროს მოკვდება. არასდროს შეემატება მკვდარ ენებს. ამის რწმენას მიმტკიცებს ამ წიგნის ავტორი გოჩა ჭელიძე.

არ არსებობს, შეაკვდება, კარდაკარ ივლის, გააღებს სვანების სახლის კარებს და მომავალ თაობას ჩააგონებს, რატომ უნდა ისწავლონ სვანური ენა! ასე მგონია ამის ათასობით მიზეზი მხოლოდ გოჩა ჭელიძემ იცის.

წიგნის კითხვის დროს არაერთხელ დამეუფლა განცდა, რომ სვანეთი ხელახლა აღმოვაჩინე; ოღონდ აღმოვაჩინე თითქოს ახალი მეპატრონიანად. არ დაგიმალავთ, ცოტა შემშურდა, მერე შემეშინდა,- არაფერი შემეშალოს სვანეთთან...

ამ განცდების ამბავი ვუამბე მეგობარ მწერალს; ვუთხარი, ეს კაცი პროფესიით არ არის მკვლევარი, არ არის მწერალი, არც მეცნიერი... არც...

მეგობარმა გამაჩერა და მითხრა: „ნამდვილი პატრიოტისთვის პროფესია ხომ სამშობლოს სიყვარულია!

კი ბატონო, ასეა, მაგრამ გოჩა ჭელიძე ისეთ ამბავშია, თითქოს სვანეთი მხოლოდ მისია, მისი საპატრონო და მოსაფერებელია!

ჰოდა, თუ მაგრები ხართ, გაეჯიბრეთო, მიპასუხა მწერალმა.

დიახ, დიახ, როგორც სვანებისთვის მთა ბარიერი არ არის, ასევე გოჩა ჭელიძისთვის სვანეთის მეცნიერული კვლევა არანაირ ბარიერს არ წარმოადგენს. საამისო ნიჭიც აქვს და შნოც!

გამახსენდა თურქეთის სტამბიდან, სადაც დაიბეჭდა ეს უნიკალური ნაშრომი რეპორტაჟი ვნახე, ამწე სატვირთოები კონვეირებით შეფუთულ წიგნებს რომ ეზიდებოდნენ საქართველოში წამოსაღებად. მაშინ რა ვიცოდი, ამ „ტვირთებში“ სვანეთის ქვების და ლოდების სიმძიმეში ჩაკარგული ნამდვილი ისტორიები რომ იკითხებოდა.

ის სიხარულიც უნდა გაგიზიაროთ, როცა უძველეს სვანურ სახელებში ჩემი საამაყო წინაპრების სახელები აღმოვაჩინე.

მე ამაყ სვანს ესღა მაკლდა, საამაყოდ და აწ უკვე სვანეთის ისტორიით შეიარაღებულს, წინ ვინ დამიდგება!

ამ უძვირფასეს წიგნზე საუბარს ვერ დავასრულებ ისე, რომ ცრემლიანი ისტორიის ფურცელი არ გადავშალო. მამამ ეს წიგნი პატარა ივიკო ჭელიძის ხსოვნას მიუძღვნა. თავფურცელზე ბავშვის შესრულებული სასკოლო დავალების ორიგინალი წერია:

„მე მუხის ხეზე ვცხოვრობდი. ხეს პირველი მოვწყდი და ბიჭმა დამიჭირა. მან მე ერთ წიგნში შემინახა. და ორასი წელი ვიცხოვრე იქ. შემდეგ მისმა შვილთაშვილმა ამომიღო და ბაღში გადამაგდო. ველი გაზაფხულს და იმის იმედი მაქვს, რომ პირველი აღარ მოვწყდები ჩემ სახლს.“

ასეთი ძირძველი, ფესვმაგარი სვანური მუხის ნაფოტები აძლიერებს საქართველოს!

წიგნის კითხვა დავასრულე, შევინახე, როგორც „ოქროს კულულებიანი საწმისი“ და გიორგი ლეონიძის ლექსით მოვეფერე:

“ხელში აგიღებ... გაკოცებ,
კიდევ ჩაგკოცნი... ჩაგცქერი!
წიგნი კი არა, — ჟრჟოლა ხარ,
ჩამოქაფული ჩანჩქერის.
წიგნი კი არა, — ბაღი ხარ,
ოქროს ცვარჩამოწვეთილი;
გაშლილი ბაირაღი ხარ,
ლექსის ფრთა გაუცვეთელი!
წიგნი კი არა, — დილა ხარ
ქართველი ხალხის ნათელი.
გულის ფესვებში გინახავ,
გულში ხარ გამონათალი.
ქაღალდზე გწერენ... სიტყვების
ნაცვლად ლალები სხდებიან;
გბეჭდვენ — ნიშნები სტამბური
ვარდებად აყვავდებიან.
გკითხულობენ და გმღერიან
ლხენით გულ-დამარცხებული;
შენგან ჰყავს ხალხის სიცოცხლეს
სიკვდილი დამარცხებული!“

17 ნოემბერი, 2024 წელი, თბილისი

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

თათია ბილისეიშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი.
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

საბანკო მომსახურეობების ინოვაციური სახეების წარმოშობის მიზეზები და გლასსი-სტიგლიცის კანონის რეფორმიება

კონკურენციის ზრდა და ფინანსური ბაზრის არარეგულირებადობები. დღევანდელ დროში არსებობს ახალი საბანკო მომსახურეობების ფართედ გავრცელებადობის ნრავალი მრავალფეროვანი მიზეზები. ასე მაგალითად, მთავრობისმიერ ფინანსური სექტორის დერეგულირებამ ბანკების მენეჯერებს კლიენტების მოზიდვისათვის მომსახურეობების ახალი ფორმების უფრო თავისუფლად შემუშავების შესაძლელობა მისცა. სხვა ფაქტორად ბაზრის დერეგულირებასთან ერთად, რომელიც მოგებისაკენ ბანკების მისწრაფებაზე ზეწოლის შემცირებას უწყობს ხელს, წარმოადგენს ძლიერ მზარდი კონკურენცია ადგილობრივ და უცხოურ ბანკებს შორის, ასევე ბანკებსა და არასაბანკო ფინანსურ ორგანიზაციებს შორის.

კაპიტალის რეგულირების საერთაშორისო ნორმები და საბანკო მომსახურეობებიდან შემოსავლის ახალი წყაროების მოძიება. როგორც ზემოთ იკვე იყო აღნიშნული საბანკო კაპიტალისადმი ახალი საერთაშორისო მოთხოვნილებები (შესაბამისად 5 მლნ ლარი, 12 მლნ ლარი და ბოლოს 50 მლნ ლარი) იქნა დადგენილი. აღნიშნილი მოთხოვნილებების თანახმად მრავალი ბანკები იძულებულები არიან – თავიანთი კაპიტალი გაზარდონ და ამასთან ერთდროულად ბალანსში აქტივების წილი შეამცირონ (ბანკის კაპიტალი = ბანკის აქტივებს – ბანკის პასივები), ანუ, მაგალითად, შეამცირონ სესხების გაცემა. ახალი სტანდარტები აიძულებენ ბანკებს მთლიანად სამყაროში განავითარონ მომსახურეობების ახალი ფორმები, რომლთაც მოაქვთ შემოსავალი და იმავე დროს ბალანსისადმი რისკიანი აქტივების დამატების ან გაღარიბებული რესურსების გამოყენების თავიდან აცილების შესაძლებლობებს იძლევიან. სწორედ ამიტომ ასეთი საბანკო მომსახურეობები, როგორიცაა ფასიანი ქაღალდების გარანტირებული განთავსება (ანდერრაიტინგი), ფინანსური დაგეგმა, ასევე სადაზღვევო და საურთიერთობო ფონდების გაყიდვა და ა.შ. გახდნენ ბანკების მიერ ბოლო წლებში აქტიურად შეთავაზებადები და ასე მაღლად შეფასებადები ახალი მომსახურობების ჩამონათვალში.

ბანკის მენეჯერების მიზანია – ბანკის „ფინანსურ უნივერმაგად“ გარდაქმნა. მრავალი თანამედროვე ბანკები, აგრესულად იჭრებიან რა მომსახურების ახალ სფეროებში, მიისწრაფიან პირველი შესაძლებლობისთანავე გახდნენ „ფინანსური უნივერმაგი“. ითვლება, რომ კლიენტების უმეტესობა უპირატესობას ანიჭებენ განახორციელონ ყველა თავიანთი ფინანსური „შესყიდვები“ ერთ ფინანსურ მაღაზიაში, იმის მაგიერ რომ აღნიშნული განახორციელონ მრავალი საბანკო სერვისული კომპანიების მეშვეობით. რა თქმა უნდა, არსებობს საპირისპირო ქმედებების დადასტურებებაც იმისა, რომ კერძო სახლის მფლობელი კლიენტების გარკვეული ნაწილი ასეთი „შესყიდვების“ მოხერხებულობის თვალსაზრისით მრავალი საბანკო სერვისული კომპანიების მეშვეობით განხორციელებას ანიჭებენ უპირატესობას.

მნიშვნელოვანია, ამასთან, აღინიშნოს, რომ არსებობს ასევე მნიშვბელოვანი ნაწილი იმათისა, ვისაც არ სურს უშუალოდ მივიდეს „ფინანსურ უნივერმაღებში“ და სერვისული მომსახურება დისტანციურად განახორციელონ. ასევე ცნობილია დაწესებულებები სახელწოდებით „ფინანსური ფარდულები“ – ესაა ფირმები, სპეციალიზირებულები მხოლოდ ზოგიერთი შემდეგი საბანკო მომსახურეობების მიწოდებაზე: 1) კრედიტი კერძო სახლების მფლობელებს და პროგრამები საშემნახველო ანაბრების მიმართებაში; 2) კომერციული კრედიტი და ნაღდი ფულის მართვის პროგრამები მსხვილი და საშუალო ბიზნესისათვის; 3) უძრავ ქონებასთან ოპერაციებში მართვა, დაკრედიტება და საშუამავლო მომსახურეობები; 4) ბროკერული მომსახურეობები ფასიან ქაღალდებთან და ფინანსურ კონსულტაციებთან ოპერაციებში.

დივერსიფიკაციის სარგებლიანობა. ახალო მომსახურეობების განვითარების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მიზეზებს წარმოადგენს რისკის დივერსიფიკაცია, დაკავშირებული არსებული საბაკო მომსახურეობების პაკეტთან. რისკის ასეთი გადანაწილება ახალი მომსახურეობების გაყიდვის მეშვეობით, ჩვეულებრივად სამეწარმეო საქმიანობის დივერსიფიკაციით წოდებული, შეიძლება ცალკეული ბანკებისათვის შეამციროს რისკი. თუ კორელაცია ნაღდი ფულის მოძრაობასთან მიმართებაში – ახალი მომსახურეობებიდან და არსებული სამსახურებიდან ანალოგიურ ნაკადს შორის თავისთავად წარმოადგენს უარყოფით სიდიდეს, მაშინ მოცემული ბანკის ნაღდი ფულადი საერთო ნაკადისათვის რისკი დაიყვანილი უნდა იქნას მინმუმამდე იმასთან დაკავშირებით, რომ ფულადი ნაკადის შემცირება არსებული მომსახურეობების გაყიდვიდან იგივე პროპორციით გაწონასწორდება როგორც ახალი მომსახურეობების გაყიდვების მოცულობის გადიდება. მიხედავად ამისა თუნდაც დროის განმავლობაში ნაღდ ფულად ნაკადებს შორის დადებითი კორელაციის წარმოშობის შემთხვევაში რისკის გარკვეული შემცირება გაგრძელდება, რაც ნიშნავს, რომ შენარჩუნდება სარგებლიანობები საქმიანობის დივერსიფიკაციიდან იმ პირობებში, რომ მენეჯმენტი საკმარისად წინაწარ განჭვრეტადი იქნება. რა თქმა უნდა, თუ ფულადი ნაკადი ახალი მომსახურეობებიდან უფრო რისკიან ხასიათს შეიძენს წინა მომსახურეობებთან შედარების მიმართებაში, მაშინ ახალ მომსახურეობებში საბანკო სახსრების მნიშვნელოვანი წილის დაბანდებამ შეიძლება აამაღლოს ბანკის საერთო ფულადი ნაკადის არამდგრადობა.

მთლიანობაში რისკის შემცირების ხარისხი ფინანსური საქმიანობის დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით დამოკიდებულია შემდეგი ფაქტორებისაგან:

1.ნაღდი ფულის მოძრაობა ან მოგება არსებული საბანკო მომსახურეობებისაგან. 2. ნაღდი ფულის მოძრაობა ან მოგება, მოსალოდნელი ახალი საბანკო მომსახურეობების რეალიზაციიდან.

3. სტანდარტული გადახდა, დაკავშირებული ფულად ნაკადთან ან მოგებასთან არსებული საბანკო მომსახურეობებისაგან.

4. სტანდარტული გადახრაფულადი ნაკადის ან მოგების ახალი მომსახურეობებისაგან.

5. კორელაცია ახალი და უკვე არსებული საბანკო მომსახურეობებიდან ნაღდ ფულა ნაკადებს შორის.

6. საბანკო რესურსების პროპორციული მოცულობა, მოზიდვადები მომსახურეობებიდან თითოეულის წარმოებისადმი და მიწოდებებისადმი (სანამ მიწოდებად მომსახურეობებს შორის თანაფარდობა წონასწორობაში იმყოფება, ბანკს შეუძლია საკუთარი რესურსები გადაანაწილოს ახალი მომსახურეიბების წარმოებისათვის და მიწოდებებისათვის, სამეწარნეო დივერსიფიკაციისაგან სარგებლების შესაძლო შემცირებისაგან რისკის თავიდან არიდებით).

სატრასტო მომსხურეობები:

ერთ-ერთი ახალი მომსახურეობეის სახეობა, რომელიც შეიძლება პირველ რიგში მიაწოდოს ახალმა ბანკმა თავისი განვითარების შესაბამისად – არის სატრასტო მომსახურეობები. საბანკო სატრასტო ოპერაციები მოიცავენ – ბანკის კლიენტების კუთვნილებაში არსებული საკუთრების და სხვა აქტივების მართვას, ასევე მათი ფასიანი ქაღალდებისა და სესხების განკარგვას. სატრასტო მომსახურეობები წარმოადგენენ დღეს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საბაკო ოპერაციებს. სატრასტო მომსახურეობების მიწოდებით – ბანკი ხდება, საინვესტიციო და მმართველობითი

გადაწყვეტილებების თავისი კლიენტის ინტერესებში მიღებით და კლიენტის სავალო ვალდებულებების უზრინველყოფისათვის საჭიროებისას სახსრების განაწილებით, სრულუფლებიანი შუამავალი ბაზარსა და კლიენტს შორის. ბანკის სატრასტო განყოფილება უნდა აყენებდეს თავისი კლიენტების კეთილდღეობას ბანკის ინტერესებზე უფრო მაღლა, იმ დროს როგორც სხვა საბანკო მომსახურეობებისათვის ხშირად უკუ ადგილი აქვს. სატრასტო ოპერაციების განხორციელება მოითხოვს ცნობიერებადობის უფრო ფართე დიაპაზონს, ვიდრე საბანკო საქმის მრავალი სხვა სფეროები: საჭიროა კანონმდებლობების ცოდნა, საინვესტიციო საქმიანობის გამოცდილება და საკუთრების მართვაში ცნობიერადობა.

ჩვეულებრივად მიღებულია საბანკო სატრასტო ოპერაციები დაყოფილი იქნას სამ დიდ კატეგორიებად: 1) კერძო პირების სატრასტო მოსახურეობები; 2) საწარმოების (ან კომერციული ორგანიზაციების) სატრასტო ოპერაციები; 3) არაკომრციული ორგანიზაციების სატრასტოოპერაციები (უფრო დეტალურად იხილეთ ქვეთავი 7.1). აღნიშნული კატეგორიებიდან თითოეული ითვალისწინებს ბანკის როგორც კლიენტების ტრასტი-აგენტის საქმიანობას: ბანკების სატრასტო განყოფილებები მოქმედებენ თავიანთი კლიენტების ინტერესებში იმ სფეროებში, რომლებიც კონტრაქტში (სატრასტო შეთანხმებაში) ბანკსა (გარანტორი) და კლიენტს (მიმდობელი) შორის დროის გარკვეული შუალედის განმავლობაში არის გათვალისწინებული.

აქტივები, რომელთაც თავიანთი კლიენტების სასარგებლოდ განკარგავენ სატრასტო განყოფილებები, მიეკუთვნებიან არა ბანკს, არამედ მიმდობლებს. ნებისმიერ შემოსავლები ან ზარალი აქტივებისაგან, რომელთა გარანტად გამოდის ბანკი, ასევე მიეკუთვნებიან არა ბანკს, არამედ მომდობლებს ან მათ მიერ დანიშნულ ბენეფიციარებს. ამ აქტივებიდან არცერთს არ მოაქვთ პროცენტული შემოსავალი ბანკისათვის, მაგრამ მათ მიერ ტრასტის მიმართებაში მართვას ბანკისათვის მომსახურეობეზე საკომისიოები მოაქვთ.

სატრასტო მომსახურეობები კერძო პირებისათვის:

ბანკები მიაწვდიან კერძო პირებს და მათ ოჯახებს სატრასტო მომსახურეობების ფართე დიაპაზონს ანგარიშსწორებების სახით – უძრავი ქონების მიმართებაში, საკუთრების მართვა ნდობითი და საშუამავლო მომსახურეობების მიმართებაში. მცირეწლოვანი ბავშვების მყოლე მრავალი ოჯახები ხშირად მიმართავენ ბანკის მომსახურეობებს როგორც მათი საოჯახო აქტივების მეურვეს მშობლების გარდაცვალების ან მათი სერიოზული არაშრომითუნარიანობის შემთხვევაში. ასეთი მეურვეობისას ბანკი იღებს თავის თავზე ვალდებულებას აღნიშნული აქტივები შინარჩუნონ ან დაიცვან იმ დრომდე, სანამ ბავშვები არ გახდებიან სრულწლოვანები და მათ დამოუკიდებლად განკარგვას შეძლებენ. ბანკის სატრასო განყოფილება შეიძლება დანისნული იქნას სასამართლო წესით მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვის, გონივრულად არასრულფასოვნად აღიარებული მოზარდის, ან ანდერძის არ დამტოვებელი ადამიანის საკუთრების განმკარგავად და მეყრვედ. უძრავი ქონებისა და საკუთრების სატრასტო განმკარგავმა უნდა დაიცვას ამ ქონების უზრუნველმყოფელი აქტივები, გადაიხადოს მათ მიმართებაში ნებისმიერი ფინანსური პრეტენზიები და კლიენტის კაპიტალი განკარგოს მემკვიდრის უფლებებით.

მრავალი მცირე ინვესტორები ბანკის სატრასტო განყოფილებებს გადასცემენ იურიდიულ უფლებას თავიანთი ფასიანი ქაღალდების განკარგვასთან მიმართებაში. სატრასტო განყოფილებამ უნდა განახორციელოს ავტომატური რეინვესტირება მიმდობელის სახსრებისა ახალ ფასიან ქაღალდებსიწინა ქაღალდებისდაფარვის ვადის დასრულების მიხედვით, განახორციელოს ოპერაციები ჰეჯირებასთან მიმართებაში აქტივების რისკისაგან დაცვისათვის, ოროცენტებისა და დივიდენდების გადადა ან რეინვესტირება განახორციელოს, ასევე პერიოდული ანგარიშგებები წარუდგინოს მიმდობელს და საგადასახადო სამსახურს.

სატრასტო მომსახურეობები ფირმებისათვის:

ბანკის სატრასტო ქვედანაყოფები მოქმედებენ როგორც საქმიანი ფირმების აგენტები. მათი საქიანობა შეიძლება ითვალისწინებდეს – ფასიანი ქაღალდების გამოშვებას კომერციული კლიენტების ინტერესებში, დივიდენდების ან სავალო პროცენტების გადახდას ნებისმიერი ფასიანი ქა-

ღალდებისმიმართებაში, დივიდენდების რეინვესტირებას აქციონერების მოთხოვნილების მიხედვით და ფასიანი ქაღალდებისდაფარვას მათი ვადების გასვლის მიხედვით.

თანამედროვე ბანკები ხშირად მოქმედებენ როგორც მინდობილი მხარე კონტრაქტის მიხედვით, სავალო ვალდებულებების გამოშვების უზრუნველმყოფელი საკუთრებაზე ოფიციალური უფლების მიღებით; როგორც მინდობილმა მხარემ ბანკმა უნდა უზრუნველყოს კონტრაქტის მიხედვით ემიტენტის ყელა სავალო ვალდებულების შესრულება და თვალყური ადევნოს რომ მოცემული კომპანიის საკუთრებაზე ყადაღის დადების ყველა წესები შესაბამისი სახით იყოს დაცული. ბანკის სატრასტო განყოფილებას შეუძლია შექმნას საამორტიზაციო ფობდი, ამ ფონდში ემიტენტის ყველა ფულის ინვესტირებით საბოლოო ჯამში მის მიერ გამოშვებული ობლიგაციების დაფარვის მიზნით.

საერთო სატრასტო ფონდების ფორმირება და მათი მართვა:

კანონის მიხედვით ბანკებისათვის ნებადართულია ქმნან საერთო სატრასტო ფონდები და მათში კლიენტების ჯგუფების (მიმდობილების) მიერ დაბანდებული ფულის აქციონერული კაპიტალის მსხვილ პულში საგირავნო ფასიან ქაღალდებში ინვესტირების განხოეციელება. ასეთი საინვესტიციო პულები ჩვეულებრივად მოიცავენ არა მარტო ინდივიდუალურ სატრასტო ანგარიშებს, არამედ შეთანხმებებსაც პენსიების და მოგების განაწილების შესახებ.

საინვესტიციო საბანკო მომსახურეობები:

ყველაზე მეტი დისკუსიები საბანკო მომსახურეობის ახალი სახეობების წარმოშობსთან დაკავშირებით წარმოიქმნება საინვესტიციო საბანკო მომსახურეობების მიმართებაში. მათ მიეკუთვნებიან – ანდერრაიტინგი – ახალი ფასიანი ქაღალდების გარანტირებულად განთავხება ან მისი ემიტენტებისაგან გამოსყიდვა და შემდგომში მათი გაყიდვა სხვა მყიდველებზე და ყიდვა-გაყიდვის ასეთი აქტისაგან მოგების მიღების მიზნით. როგორც ქვემოთ მოყვანილი განტოლებიდან გამომდინარეობს, ანდერრაიტერი (გარანტი-თავმდები) იმედოვნებს გაყიდოს ფასიანი ქქაღალდები ღია ბაზარზე ახალი ფასის მიხედვით:

ფასი, გადახდილი საწყის ემიტენტზე + საოპერაციო ხარჯები ანდერრაიტერის +
+ სასურველი მოგება = ახალი ფასი მყიდველებისათვის ფინანსურ ბაზრებზე.

ანდერრაიტერი იმედოვნებს გაყოდოს ფასიანი ქაღალდები ახალი ფასის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს საკმარისად მაღალს იმისათვის, რომ ჩართული იქნას არა მარტო პირველსაწყისში გადახდილი ფასი, არამედ მისი ხარჯები და სასურველი მოგება. რამდენადაც ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასი ხშირად იცვლება მოთხოვნისა და მიწოდებისაგან დამოკიდებულებაში, ამდენად ფასიანი ქაღალდების ანდერრაიტინგი რისკიან ბიზნესს წარმოასგენს.

გლასსა-სტიგლიცის კანონი:

ასეთი რისკის თავიდან აცილების მიზნით აშშ-ის კონგრესმა არსებითად შეზღუდა კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობა, და 1933 წელს მიიღო კანონი ეროვნული ბანკების შესახებ (გლასსა-სტიგლიცის კანონი). აღნიშნული კანონი უკრძალავდა ბანკებს ერთდროულად კომერციული და საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებს – ანუ კომპანიების ფასიანი ქაღალდების, განსაკუთრებით აქციებისა და ობლიგაციების განთავსებაზე ხელმოწერის და ყიდვა-გაყიდვის განახორციელებას.

ძირითადი მიზნის გარდა, რომლის მიღწევას ცდილობდა კონგრესი აღნიშნული კანონის მიღებთ, იყო – კერძო ფასიან ქაღალდებთან (სამთავროებისაგან განსხვავებით) დაკავშირებული რისკების შემცირება,– მას მხედველობაში ქონდა ინტერესების შესაძლო შეჯახება, თუ მაგალითად: ა) ბანკირები შედიოდნენ იმ კომპანიების დირექტორთა საბჭოში, ვის ფასიან ქაღალდებზე სინი აკეთებდნენ ხელმოწრას; ბ) საბანკ ორგანიზაციების წევრებმა გაყიდეს ახალი ფასიანი ქაღალდები, ხოლო ბანკებმა, რომლებიც იყვნენ აღნიშნული კმპანიების წევრები, განახორციელეს

იმავე ფასიანი ქაღალდების დაფინანსეისათვის დაკრედიტება და სწორედ ამით ასეთი გარიგებისაგან გააორმაგეს რისკი საბანკო ფირმებისათვის.

გლასსი-სტიგლიცის კანონი შესაძლებლობას აძლევს ბანკებს განახორციელონ არჩეული სამთავრობო ობლიგაციების ანდერრაიტინგი. ეროვნული ბანკებისათვის ვაჭრობისა და ხელმოწერის ყველაზე უფრო მისაღებ ობიექტებს წარმოაგენენ შემდეგი სახის ფასიანი ქაღალდები:

1.მთავრობის პირდაპირი ვალდებულებები, ისეთები, როგორიცაა სახაზინო თამასუქები, ობლიგაციები და ჩასადებები.

2. მაღალხარისხიანი სამთავრობო ბლიგაციები, უზრუნველყოფილები სრული ნდობით და სამთავრობო ემიტენტის კრედიტით.

მათ საპირისპიროდ კომპანიების ჩასადებები, ობლიგაციები და აქციები კონგრესის მიერ გლასსა-სტიგალას კანონის მე-20-ე პარაგრაფში იქნა განსაზღვრული როგორც ანდერრაიტინგს არ დაქვემდებარებული ფასიანი ქაღალდები ბანკები – ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრების მიერ.

მსოფლიო ბაზარზე კონკურენციამ საშიშროების წინაშე დააყენა ამერიკული ბანკები ადგილობრივ ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ანდერრაიტინგისაგან მთლიანად გამოდევნასთან მიმართებაში, იმავე დროს კანადის, ბრიტანეთისა და იაპონიის უცხოური ბანკები-ფინანსური დაწესებულებები ფასიანი ქაღალდების ეროვნული ბაზრის მთლიანად გაკონტროლებისკენ მიისწრაფიან.

1991 წლის თებერვალში აშშ-ის ფინანსთა სამინიტრომ წინადადება შემოიტანა კანონი გლსსა-სტიგლიცის დებულების გაუქმებასთან დაკავშირებით, რომელიც კომერციულ საბანკო საქმიანობას განაცალკავებდა საინვესტიციო-სადამფუძნო საქმიანობისაგან. თუმცა ამასთან განსაკუთრებულად იყო აღნიშნული, რომ ასეთი ოპერაციების განხორციელება შეიძლებოდა საკმარისი კაპიტალის ქონე ჰოლდინგური არასაბანკო ფილიალი-კომპანიების მეშვეობით. ფინანსთა სამინისტროს აღნიშნული წინადადება არ დაამტკიცა კონგრესმა და ამიტომ აშშ-ის ბანკების უფლებების გაფართოების პროცესი ანდერრაიტინგის განხორციელებასთან დაკავშირებით ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველობითი საბჭოს ეპიზოდურ გადაწყვეტილებებამდე იქნა დაყვანილი.

სამწუხაროდ, აშშ-ის საინვესტიციო საბანკო ფირმები ჩვეულებრივ შემოსავლების რისკის მეტ ხარისხს ფლობენ, ვიდრე კომერციული ბანკები. ბანკების ფასიან ქაღალდებთან ოპერაციების სფეროში ჩართვის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების გამოვლენას მიძღვნილი კვლევების შედეგები წარმოადგენენ საკმაოდ ურთიერთსაპირისპიროებს, ამიტომ აღნიშნული საკითხის საბოლოოს გადაწყვეტისათვის დამატებითი კვლევები უნდა იქნას განხორციელებული.

ბიბლიოგრაფია

1. https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95
2. https://journals.4science.ge/index.php/IDW/article/view/2089
3. https://www.researchgate.net/profile/Shapan-Majumder/publication/354249108_2021_CEO_Proceedings_Book_Ready_to_Publish/links/612e579438818c2eaf72d485/2021-CEO-Proceedings-Book-Ready-to-Publish.pdf#page=179
4. https://ijsser.org/2024files/ijsser_09__68.pdf
5. https://ijsser.org/more2024.php?id=68

ხელოვნება

ირმა კეკელიძე

სადღაც ამერიკაში

2023 წლის 5 ნოემბერი. საღამოს 20:00 საათზე, ჩემს მეგობართან, ლალი გოცაძესთან ერთად, მარჯანიშვილის თეატრის, დიდ დარბაზში, განახლებულ პარტერში ვსხედვართ. ველოდებით სპექტაკლის დაწყებას, რომლის სახელწოდებაცაა "სადღაც ამერიკაში" და რომლის სანახავადაც, ამავე თეატრის ნიჭიერმა და მომხიბვლელმა მსახიობმა, თამუნა ბუხნიკაშვილმა, დაგვპატიჟა...

პიესის ავტორი და სპექტაკლის რეჟისორი-ქეთევან ხარშილაძე-ასსერი...

სპექტაკლი, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის განახლებულ, დიდ სცენაზე ვიხილეთ, შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიურად დამტვირთველი და სევდანარევია. სახელწოდებიდან გამომდინარე "სადღაც ამერიკაში" ლუკმა-პურის საშოვნელად, ოჯახების სარჩენად, ცხოვრების თავიდან დასაწყებად გადახვეწილი, ქართველი ქალების მძიმე ყოფა და სევდიანი განწყობაა წარმოდგენილი...ძალიან მძიმეა, როდესაც უსმენ, პიესის (სპექტაკლის) მთავარი გმირის ლიას (მსახიობი ნინო გომართელი) მონოლოგს. ისმენ, თუ რა გზა გაიარა ამერიკაში ჩასვლამდე... ისმენ, თუ როგორ გაიარა, არალეგალურად, მექსიკიდან გასასვლელი, რაღაც საშინელი, ჭუჭყიანი, ლაფით და ტალახით ამოვსებული გვირაბი, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახვედრად... და როგორც იქნა, მოხვდა სანატრელ ქვეყანაში... და რა იწყება ამის შემდეგ?.. იწყება მომვლელად მუშაობა, ჭირვეულ მოხუცთან (მსახიობი ნანი ჩიქვინიძე), რომელსაც ყოველ წუთს ეცვლება ხასიათი, წაღმა ნათქვამი უკუღმა ესმის და ა.შ... საინტერესო და განსხვავებული სახეები, არიან ოჯახში დამხვედრი ადამიანები (მსახიობები ნინო დუმბაძე, დიმა ტატიშვილი). თითოულ მათგანთან ურთიერთობისას ქართველ ქალბატონს, ბეწვის ხიდზე უწევს გავლა, რათა სამსახური შეინარჩუნოს და უცხო ქვეყანაში თავი დაიმკვიდროს.

საინტერესოა, ის სცენა, სადაც თავს იყრიან "სადღაც ამერიკაში" სამუშაოდ გადახვეწილი ქართველი ქალები (მსახიობები-ირმა ბერიანიძე, ლილე ფილფანი, თამუნა ბუხნიკაშვილი, ნინო გომართელი)...რასაც სცენიდან, მონოლოგში და დიალოგში ვისმენთ, სევდანარევი ღიმილის მომგვრელია...როგორც ყველა ემიგრანტის, მათი ყოფაც მძიმე და გაუსაძლისია...სპექტაკლში დასამახსოვრებელი, მძიმე და სევდის მომგვრელია, ის პატარა ეპიზოდი, რაც ახალგაზრდა ქალის, ქეთის (მსახიობი თამუნა ბუხნიკაშვილი) თავს ხდება. ძალიან დამთრგუნველი, დამამცირებელია, სასოწარკვეთილი ქალის ყოფა, რომელსაც სამშობლოში, შინ დარჩენილი ქმარი, განქორწინებას სთხოვს, რათა სხვაზე იქორწინოს, სხვა ქალბატონთან გააგრძელოს ცხოვრება...და ქეთი რითი იყო წლების განმავლობაში "სადღაც ამერიკაში" დაკავებული?!. რა თქმა უნდა, გაუსაძლისი შრომით, სხვის ოჯახში მსახურებით, საკუთარ ოჯახში თანხის გაგზავნით, ბანკის კრედიტის დაფარვით, უძლურებაში მყოფი დედამთილის რჩენით და ათასი წვრილმანი, თუ მსხვილმანი პრობლემების მოგვარებით, რომელიც სამშობლოში დარჩენილ მის ოჯახს სჭირდებოდა...თავს დამტყდარი უმადური ყოფის გამო, ქეთის გმირი დაუძლურებული, სასოწარკვეთილი, დადუმებული სტოვებს სცენას და სადღაც კულისებში, გაურკვეველ სივრცეში იკარგება...ეპიზოდურ სცენას,

იმდენად დიდი დამაჯერებლობით და პროფესიონალური მიდგომით, სევდანარევი მომხიბვლელობით გაართვა თავი, ქეთის პერსონაჟმა (მსახიობმა თამუნა ბუხნიკაშვილმა), რომ პარტერში მსხდომი მაყურებელიც, თავისდაუნებურად, სპექტაკლის მონაწილე და მისი სევდის მოზიარე ხდება...

სპექტაკლში აგრეთვე მონაწილეობენ მსახიობები-ონისე ონიანი, ქეთი გეგეშიძე და სხვები, რომლებმაც სახასიათო, საინტერესო სახეები შექმნეს...

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, როგორც მაყურებელს, დამრჩა განცდა იმისა, რომ პიესაში დაწერილი ამბავი ჩვენი ქვეყნის, თანამედროვე ცხოვრების სატკივარია...ქართული თეატრის, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, მთელი სიცხადით და სიმძლავრით დავინახეთ, ოჯახიდან "სადღაც ამერიკაში" და ვინ იცის კიდავ სად და სად, გადახვეწილი ადამიანების ყოფა, სევდა, ტკივილი. სცენაზე შექმნილი გარემო ემსახურება უმთავრესი აზრის თვალნათლივ წარმოჩენას...სპექტაკლში მონაწილე თითოული მსახიობი, კარგად გრძნობს, რომ უმთავრესია რეალურად წარმოჩინდეს, ემიგრაციაში მყოფი ადამიანების ბედი...ამავე დროს, თითოული ემიგრანტის ბედი კი არ არის მთავარი, არამედ ყველასი ერთად...სპეატაკლში მონაწილე მსახიობებმა, თვალნათლივ აჩვენეს, აქტიორული თამაშის მაღალი დონე...

როგორც მაყურებელი, ვულოცავ პიესის ავტორსა და რეჟისორს -ქეთევან ხარშილაძე-ასსერს, ყველა მსახიობს, შემოქმედებით ჯგუფს, წარმატებულ სპექტაკლს, მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე...

პატივისცემით, მაყურებლის პოზიციიდან – ირმა კეკელიძე

Irma Kekelidze

SOMEWHERE IN AMERICA

On November 5, 2023, at 8:00 p.m., my friend Lali Gotsadze and I eagerly awaited the start of the play 'Somewhere in America' at the Marjanishvili Theatre's newly renovated parterre, a section known for its intimate setting and excellent acoustics.

The talented and charming actress of the same theatre, Tamuna Bukhnikashvili, graciously invited us to witness this performance.

The author and director of the play is Ketevan Kharshiladze – Asser...

The performance, which we saw on the renovated, big stage of the Marjanishvili Theater, is emotionally intense, delving into the psychological burdens and profound sadness experienced by the characters. Based on the title, 'Somewhere in America' presents the problematic life and sad mood of Georgian women struggling to earn a living, support their families, and start their lives anew... It is tough to listen to the monologue of the play's central character, Lia (actress Nino Gomarteli). You hear about the way she travelled before arriving in America... you hear her sad story of how she travelled, illegally, through a terrible, dirty tunnel filled with mud and dirt from Mexico to get to the United States of America... and, at last, Lia ended up in the country she longed for ... And what happens after that? She begins to work as a carer with a grumpy older woman (actor Nani Chikvinidze), whose character changes every minute; she understands what is said backwards... Also, exciting and different faces are the people in the Family (actors Nino Dumbadze and Dima Tatishvili). In dealing with each of them, the Georgian lady must go under hell to keep her job and establish herself in a foreign country.

It is also interesting to see the scene where the Georgian women have gone to work "somewhere in America" (actors – Irma Berianidze, Lile Filfani, Tamuna

Bukhnikashvili, Nino Gomarteli...). What we hear from the scene, in the monologue and dialogue, is a mixture of sadness and makes us miserable and smile. Like all, their Existence as immigrants is hard and unbearable. In the play, the small episode story that happens to a young woman, Katie (actress Tamuna Bukhnikashvili), is memorable, challenging and sad. It is very depressing and humiliating to be a desperate woman whose husband, who stayed at home, asks for a divorce to marry someone else, to continue living with another woman...and what was Kathy busy with for years "somewhere in America"?!. Of course, with unbearable work, serving in someone else's Family, sending money to her own Family, repaying the bank loan, supporting her ill mother-in-law... and solving the thousands of little and big problems that her Family back home needed... Feeling ungrateful, Katie's hero, weakened, desperate, and silenced, stomps in anger on the stage and gets lost somewhere behind the scenes in an unknown space... The character of Katie (actress Tamuna Bukhnikashvili) handled the episodic scene with so much conviction and a professional approach, with a mixture of sadness and charm that the audience sitting in the parterre involuntarily became a participant in the performance, and it shares her sadness...

Actors Onise Oniani, Keti Gegeshidze, and others who created characteristic, attractive faces also participated in the play. Their performances were compelling and added depth to the narrative, portraying the challenges and complexities of the characters they embodied.

After the performance, as a spectator, I felt that the story written in the play is the pain of our country's modern life... On the stage of the Georgian Theatre, Marjanishvili Theatre, we saw, with all clarity and power, The Family abandoned the Georgian women "somewhere in America" and who knows where else, the Existence of sophisticated people, sadness, and pain. The environment created on the stage serves to present the most crucial idea...

Each actor participating in the play feels that the most important thing is actually representing the fate of people in emigration. At the same time, the fate of each emigrant is not the main thing, but everyone participating in the play clearly showed a high level of acting.

As an audience member, I extend my heartfelt congratulations to Ketevan Kharshiladze-Asser, the author and director of the play, and all the actors and the creative team for their exceptional performance on the grand stage of the Marjanishvili Theatre. Their unwavering dedication and undeniable talent truly brought the play 'Somewhere in America' to life. From the audience's perspective, their portrayal of the plight of emigrants was not just a performance but a powerful and moving depiction of human resilience. Sincerely, Irma Kekelidze.

nglish translation was done by Mzia Lawrence

ირმა კეკელიძე

„ვაჟიშვილი“

ქვეყნის სულიერების, მამოძრავებელ, მასულდგმულებელ საზრდოს (რაც მრავალჯერ მითქვამს) ცხადია, რომ კულტურული ფასეულობები წარმოადგენს.საზოგადოება, განსაკუთრებით ღიად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას კულტურისადმი...კულტურის ერთ-ერთი ყველაზე დინამიური, ცოცხალი, ღია ძალა საზოგადოებასთან ურთიერთობისა, არა მხოლოდ კონკრეტულად ჩვენი ან რომელიმე სხვა ქვეყნის საზოგადიებისა,



შემიძლია გაბედულად ვთქვა, პლანეტის საზოგადოებისა -იყო, არის და იქნება თ ე ა ტ რ ი... დიახ, კულტურულ ფასეულობებს შორის თეატრი არის, ერის სიცოცხლისუნარიანობის მაჩვენებელი...თეატრი არის, ერის დახვეწილობისა და უკვდავების მაჩვენებელი. კულტურულ არენაზე, მაღალ ფასეულობებს შორის, უმეტეს წილად იმარჯვებს თეატრი...თეატრი, რომელსაც აქვს უნარი ეროვნული ხასიათის (ტრადიციების) და უცხოური ყოფის ამსახველი, შემოქედებითი რეალობა, ცოცხალ სცენაზე დაგვანახოს...

დევნილობაში მყოფ, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის, სახელმწიოფო დრამატულ თეატრს, თავისი ღირსეული ადგილი უჭირავს, არა მხოლოდ ქართული თეატრის ისტორიაში, არამედ ერის ისტორიაშიც...და რა არის თეატრისთვის ღირსეული სიტყვა?..რა თქმა უნდა, თეატრისთვის ღირსეული სიტყვა, ღირსეული და ღირებული სპექტაკლის დაბადებაა...სპქტაკლი (პიესა), რომელიც უახლოეს წარსულში, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის, სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე ვიხილე, თანამედროვე ფრანგი დრამატურგის, ფლორიან ზელერის "ვაჟიშვილი" გახლავთ.

ფლორიან ზელერის პიესის, ძირითადი თემატიკა, ოჯახური პრობლემები გახლავთ...და არა მხოლოდ პრობლემები, შეიძლება ითქვას უფსკრული, რომელიც ოჯახის წევრებს შორის წარმოიშვა. ოჯახის საძირკვლის რყევა, მამის (მეუღლის) არასწორი ქმედებების შედეგად დგება, რასაც თანდათან (უბრალოდ, მარტივად) ტრაგედიამდე მივყავართ...ოჯახის დრამის საფუძველი, მამის, პიერის (მსახიობი ჯანო იზორია), სახლიდან წასვლა და სხვა ოჯახის შექმნაა...პიერის მიერ დატოვებული და ახლად შექმნილი ოჯახიც, რეალურად საზოგადოების მტკივნეული სახეა. ოჯახის უფროსი, პრიმიტიული წესებით ხსნის, ოჯახის დატოვების და სხვასთან წასვლის მიზეზს-"რა მოხდა, შეუყვარდა და მორჩა"...

პიერი თითქოსდა ყურადღებიანია ვაჟიშვილის ნიკოლას (მსახიობი ნიკა ჭკადუა) და ყოფილი მეუღლის ანას (მსახიობი მარინა სოლომონია) მიმართ...მაგრამ ფაქტია, ბოროტება, ტრაგედია, შეუმჩნევლად დარევს ხელს, მის მიერ მიტოვებულ ადამიანებს და განსაკუთრებით, მოზარდ ვაჟიშვილს, რომელსაც თავგზა აებნა და საზოგადოებაში მისი ადგილი ვეღარ უპოვნია.

სპექტაკლში პიერი, ზრუნვას იჩენს ყოფილი და ახლანდელი მეუღლის სოფიას (მსახიობი ეკა არჩაია) მიმართაც. მოკლედ, რომ ვთქვათ კეთილშობილი, ყურადღებიანი მამაკაცის როლს თამაშობს, რასაც არაჩვეულებრივი არტისტიზმით და პროფესიონალიზმით ართმევს თავს, მსახიობი– ჯანო იზორია...ტრაგიკულია, ზელერის პიესის შინაგანი ინტონაცია. დამდგმელი რეჟისორი (მერაბ ყოლბაია), პროფესიონალურად ართმევს თავს სპექტაკლში ტრაგიკული განწყობის თანდათან განვითარებას. რეჟისორს სწორედ აქვს მიგნებული და მკაფიოდ გამოვლენილი სპექტაკლის არსი, რომელიც ეტაპობრივად ამძაფრებს სპექტაკლში ტრაგიკულობის დოზას...შეიძლება

ითქვას, მაყურებელში, მთავარი პერსონაჟების პერიოდულად (შიგადაშიგ) თვითშეგნების და ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობის ატროფია, იწვევს ტრაგიკულობის განცდას.

საოცრად შთამბეჭდავი და სცენური ხიბლის მატარებელია, სპექტაკლის მთავარი გმირის, ნიკოლას სახე, რომელსაც ახალბედა მსახიობი– ნიკა ჭკადუა თამაშობს...ახალბედა მსახიობმა საოცრად დამაჯერებლად და პროფესიონალურად შეძლო თავი გაერთვა საკმაოდ რთული ამოცანისათვის. შთამბეჭდავი და დამაჯერებელია მის მიერ განხორციელებული მიზანსცენები, რომლითაც საკმაოდ დატვირთულია სპექტაკლი.

მაყურებლისათვის ფსიქოლოგიურად დამტვირთველი და შთამბეჭდავია ფსიქიატრიული საავადმყოფოს სცენა...ნიკოლას და ექიმი რამუსის (მსახიობი ჯულიეტა პაკელიანი) პაექრობის სცენა, ურთიეთდაპირისპირება...რაც საოცარი ძლიერი ენერგიით და ტრაგედიის დინამიური განვითარების სიმძაფრით, მაღალპროფესიულ დონეზე, თავს მოგვახვიეს ნიკოლამ და ექიმმა რამუსმა (ნიკა ჭკადუამ და ჯულიეტა პაკელიანმა)...როდესაც სპექტაკლის ფინალში ტრაგედიის პიკი დგება, მამის ოჯახიდან წასვლის გამო, სუიციდისადმი მიდრეკილი ნიკოლა თავს იკლავს... ერთი ტრაგედიის დასასრული მეორე ტრაგედიის დასაწყისი ხდება და ტრაგედიამ მთელი სიმძაფრით გადაინაცვლა მშობლებში– პიერსა და ანაში...სპექტაკლი ღრმა ფსიქოლოგიური ტესტებითაა წარმოდგენილი, რომლის ძირითადი თემაც მშობლებისა და მოზარდის ურთიერთობის შეცდომების შედეგებზეა გათვლილი...

ყოველ მაყურებელს თავის მკვეთრად ჩამოყალიბებული შეხედულება აქვს, ნებისმიერ სპექტაკლზე. რამდენადაც მდიდარია რეჟისორის ხედვა, იმდენად საინტერესო და მრავალფეროვანია სპექტაკლის ღირებულებებისადმი მაყურებლის აღქმა. აზრთა სხვადასხვაობა, სპექტაკლის შინაარსობრივ და შემოქმედებით სიმდიდრეზე მეტყველებს...ჩემი, როგორც მაყურებლის აზრით, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის, სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ფლორიან ზელერის პიესის მიხედვით, დადგმული სპექტაკლი "ვაჟიშვილი", მწერლის სათქმელს ზუსტად ერგება და მთელი სიცხადით წარმოაჩენს...მაყურებლის პოზიციიდან, გულწრფელად ვაღიარებ, რომ ჩემს თვალწინ, სოხუმის თეატრის სცენაზე, წარმატებული სპექტაკლი დაიბადა...

ვულოცავ დამდგმელ რეჟისორსა და მუსიკალურ გამფორმებელს– მერაბ ყოლბაიას, მხატვარს– ნინო ქუთელიას, რეჟისორის თანაშემწეს-ლეილა მურღულიას... ვულოცავ მსახიობებს– ჯანო იზორიას, მარინა სოლომონიას, ეკა არჩაიას, ნიკა ჭკადუას, ჯულიეტა პაკელიანს, მთელს შემოქმედებით ჯგუფს, სოხუმის თეატრს, წარმატებული სპექტაკლის დაბადებას, მშობლიური თეატრის სცენაზე!.. კვლავაც და კვლავაც, ვუსურვებ შემოქმედებით წარმატებებს!..

A SON

As I have often said, cultural values are the leading food for the country's development. Society openly expresses its attitude towards culture. One of the most dynamic, living, open forces of culture about society, it was and always will be theatre in the world. Yes, among the cultural values, the theatre indicates the nation's ability to live... Theatre is an indicator of the sophistication and immortality of the country. In the artistic arena, among the high values, the theatre wins for the most part...the theatre can show us on a live stage the reality that reflects the national character (traditions) and the reality of the foreign culture on the stage.

The state drama theatre of Sukhumi (in exile), named after Konstantine Gamsakhurdia, plays a significant part in Georgian theatre and the nation's history.

And what is a decent word for theatre?

Of course, a worthy word for the theatre is the birth of a worthy and valuable performance.

And I can proudly say that the performance we saw recently on the stage of the State Drama Theatre named after Konstantine Gamsakhurdia in Sukhumi is "A Son" by the modern French playwright Florian Zeller.

The play 'A Son' was recently staged in this esteemed institution, the State Drama Theatre named after Konstantine Gamsakhurdia in Sukhumi. The theatre, with its rich history and commitment to the arts, added another worthy and valuable performance to its repertoire, showcasing its continued contribution to the Georgian theatre scene.

The central theme of Florian Zeller's play is family problems, and not only problems, but we can also say the gap that arose between family members. The family's foundation is shaken due to the wrong actions of the father (husband), which gradually (just quickly) leads to tragedy... The basis of the family drama is the departure of the father, Pier (actor Gano Izoria), and the creation of another family. The left and newly created families are a painful face of society, evoking a deep sense of empathy. Using societal norms and expectations, the head of the family explains the reason for leaving the family and going to someone else – "what happened? He fell in love with another one and got married"...

In the play, Pierre shows concern for his former and current wife, Sofia (actress Eka Archaya). Actor Jano Izoria's portrayal of Pierre as a noble, considerate man is tragic,

which is the inner tone of Zeller's play. The stage director, Merab Kolbaya, impressively and skillfully handles the gradual development of the play's sombre mood. His ability to identify and amplify the essence of the play, gradually increasing the dose of tragedy, is truly engaging. The atrophy of the main characters' self-awareness and sympathy towards each other occasionally causes a feeling of tragedy in the audience, a testament to the director's skill.

The face of the play's main character, Nikolas, played by the novice actor Nika Chkadua, leaves a lasting impression with its incredible depth and scenic charm. His portrayal of Nikolas, a teenager grappling with the consequences of his father's actions, is both impressive and convincing, adding significant weight to the play.

In the play, Pierre shows concern for his former and current wife, Sofia (actress Eka Archaya). In short, actor Jano Izoria plays the role of a noble, considerate man who handles things with extraordinary artistry and professionalism. It's tragic, which is the inner intonation of Zeller's play. The stage director (Merab Kolbaya) professionally handles the gradual development of the sad mood in the play. The director has identified and revealed the essence of the play, which gradually increases the dose of tragedy in the play... it can be said that in the audience, the atrophy of the main characters' self-awareness and sympathy towards each other occasionally causes a feeling of tragedy.

The face of the play's main character, Nikolas, played by the novice actor Nika Chkadua, is incredibly impressive and carries scenic charm. His mise-en-scènesm staging is impressive and convincing, with which the play is quite loaded.

For the audience, the scene of the psychiatric hospital is psychologically burdensome and impressive... It is the scene of the confrontation between Nikolas and Dr. Ramus (Nika Chkadua and Julieta Pakelianma)...when the tragedy reaches its peak in the finale of the play because his father departs from the family, Nikola, prone to suicide, commits it... The end of one tragedy becomes the beginning of another, and the tragedy has shifted with all its intensity to the parents – Pierre and Anna...The play is a deep psychological test that presents the central theme of calculating

the consequences of mistakes in the relationship between parents and teenagers...

Each viewer has a unique perspective on any performance. As rich as the director's vision is, the audience's diverse interpretations of the play's values add an intriguing layer to the performance. This diversity of opinion speaks volumes about the content and creative depth of the play. Based on Florian Zeller's play, the play 'A Son', staged in the Konstantine Gamsakhurdia State Drama Theatre of Sukhumi, aligns perfectly with the writer's vision and effectively presents it. A compelling play unfolded before my eyes on the stage of the Sukhumi Theatre.

I extend my heartfelt congratulations to the stage director and musical artist, Merab Kolbaya, the artist, Nino Kutelia, and the assistant director, Leila Murghulia. I also commend the actors Jano Izoria, Marina Solomonia, Eka Archaia, Nika Chkadua, Julieta Pakeliani, and the entire creative group of Sukhumi Theatre for their outstanding performance. Your dedication and talent have brought this play to life on the stage of our native theatre. I wish you continued success in your creative endeavours!

Sincerely, from the viewer's point of view-Irma Kekelidze

English translation was done by Mzia Lawrence

ნორჩი ათინათელი



გიორგი ქენქაძე

ჩემი დაბადება

მე დავიბადე დეკემბრის თვეში
ძლიერ ქარბუქში და ძლიერ თქეშში,
სუსხი იყო და ძლიერ ციოდა
თუმცა ჩემს გულში სითბო იღვროდა.

....და მე დამარქვა მამამ სახელი
მაშინ გაცოცხლდა ის დიდი პაპა,
როდესაც კიდევ ერთი გიორგი
დაამშვენებდა სოფლად მის სახლ-კარს

ჩემო მამიკო ამას გპირდები
როდესაც უკვე დიდი ვიქნები,
არ მოვშლი სოფლად წინაპრების კვალს
და შენი მსგავსი ალბათ ვიქნები.

გვიანი შემოდგომა

ვფიქრობ გამიჭირდება რომ ისე ლამაზად აღვწერო ყველაფერი და გადმოგცეთ რაც ჩემი თვალით ვნახე, მაგრამ შევეცდები გიამბოთ მგზავრობის დროს ჩემი თვალით დანახული გვიანი შემოდგომის სურათი.

კახეთიდან თბილისში მივემგზავრებოდი,გზა არც ისე ცოტაა და საკმაოდ მქონდა დრო.

გვიანი შემოდგომაა,ნოემბრის დასაწყისი,გზად რამდენიმე ადგილას შეგვხვდა შირაქის ველზე თეთრი ბამბის ქულასავით შეფენილი ცხვრის ფარა,რომელსაც წინ მეცხვარის ძაღლი ამაყად ედგა და უკან დაღლილი მწყემსი მოჰყვებოდა.

რა ლამაზია შემოდგომა და რა საოცარი ბუნება,გზადაგზა ვუყურებდი და ვტკბებოდი სანახაობით,ლამაზ ჭრელა-ჭრულა ფერებშია არემარე შემოსილი.

ნელი სიო ჰქრის და გეგონებათ თითქოს ბუნება რაიმე ლამაზ მელოდიას უკრავს და ეს ხეები და ფოთლები რიტმში ცეკვას აყოლებენ.ძალიან ლამაზი სანახავია, მაგრამ მე მეშინია ქარის,ქარი ხომ სასტიკი, დაუნდობელი და გიჟია.მე მეშინია გიჟი ქარის რომ ამოვარდეს.ხის ტოტები ერთმანეთს მიახეთქოს და ლამაზი ფოთლებიდან გააშიშვლოს ხეები და გაანადგუროს ეს სილამაზე.

მაგრამ იცით რა მიყვარს?

გაშიშვლებული ხეების სიჯიუტე მიყვარს, გაშიშვლებული ხეების სიამაყე მიყვარს, გაშიშვლებული ხეების რწმენა მიყვარს, რომლებიც არ უშინდებიან მკაცრ ზამთარს, მაინც მედგრად დგანან გაზაფხულის მოლოდინში,გაზაფხულზე როდესაც ახლიდან გამოუშვებენ კვირტებს და შეიმოსებიან მწვანე ხასხასა ფოთლებით და განაგრძობენ ცხოვრებას.

ლამაზია შემოდგომა, თუმცა წელიწადის ყველა დროს თავისი სილამაზე აქვს.

მარიამ პიკავა
აბაშის სოფელ მარანის
საჯარო სკოლის მოსწავლე

„იქნებ ვაზია სამშობლო“

იქნებ ვაზია სამშობლო,
იქნებ ნაზია ვარდივით,
საქართველოა მთავარი,
ქართველი ხალხის საფარი...

სამშობლო ნაკურთხი წყალია,
მადლით, სიწმიდით მოსილი,
სამშობლო სიცოცხლის არსია,
ოქრო,ვერცხლი და ლალია...

ქართველ დედებმა აღზარდეს
თავდადებული შვილები,
მებრძოლი სულის პატრონნი,
შეუდრეკელნი გმირები..

იქნებ ვაზია სამშობლო,
სადაც დაირწა აკვანი,
სადაც ერთმუჭად შეკრულებს,
ვერას დააკლებს მავანნი!

სალომე ქომეთიანი
ცაგერის რაიონი,
ღვირიშის საჯარო სკოლის მოსწავლე
\

„იქნებ , ვაზია სამშობლო"

აბა დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაკრიფო. თუ მაღლარია- ცაში ხელაპყრობილმა. ორთავე საოცრად ჰგავს ლოცვას, ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს''.

საოცრად მიყვარს შემოდგომა, ნათელი ყვითელი ფერები, ფოთოლში გადამდნარი მზის სხივები, ქარის სასიამოვლო ქროლვა, რომელიც ჩემს თმებსა და სახის ნაკვთებს ეთამაშება. განა, რა არის ამაზე საოცარი: ფერთა პალიტრის მომხიბვლავად ერთმანეთში აღრევა. მიყვარს და მეძვირფასება შემოდგომის დღეები. თუმცა, ხიდან ჩამოვარდნილი ფოთლებივით სწრაფად ქრება ეს დღეები ჩემთვის. ასე მგონია, მე თვითონ ვარ ფოთოლი, რომელიც მალე თავის ფესვებს და სახლს მოსწყდება და მსუბუქად გაინავარდებს ჰაერში, ცოტა ხანს იფრენს და შემდეგ სად გადაიკარგება, ვინ იცის? ორი დღეა, რაც ჩემი ავადმყოფობის შესახებ გავიგე. ამ ორი დღის განმავლობაში თვალი ვერ მოვხუჭე ჩემი საყვარელი შემოდგომა, თოთქოს, მე მგავდა, მთელი ეს დღეეები ფოთლებს ვაკვირდებოდი გულმხურვალედ, გაფაციცებით. ერთი ფოთოლი ჩამოვარდებოდა თუ არა, გაშტერებით მივადევნები თვალს, მაინტერესებდა, საით წავიდოდა ის, რომელ კუთხეში დაემალებოდა ჩემს თვალებს. ამ საქმიანობით ისე ვერთობოდი, თითქოს მავიწყდებოდა კიდეც, რომ შეიძლებოდა ჩემი სიცოცხლეც, არც ისე მცირე დროში გაფანტულიყო ამ გამონაბოლქვით სავსე ჰაერში, რომელიც თვითონაც ვერ სუნთქავს. ფოთლები კი მავიწყებდნენ ავადმყოფობას. მაგრამ დედაჩემის მზერა არასდროს მასვენებდა. თითქოს ვერ მელეოდა, ან ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა ყოველ წუთს რაღაც დამმართნოდა ამ ქალაქისგან და დედის მზერიდან შორს. დედას ვეცოდებოდი და სულ ცდილობდა, ჩემთვის ხელი ისე შეეშველებინა, როგორც სულ პატარა ბავშვისთვის, რომელმაც ახლახანს ისწავლა სიარული.

სოფელში მყავდა ბიძა, ჩემი საყვარელი ბიძა, რომელიც მევენახე იყო და მე ძალიან მიყვარდა მასთან ერთად დროის გატარება. თითქოს მე, ბიძია და ვაზი ერთი მთლიანი ნაწილი ვხდებოდით. უცებ ძალიან მომინდა იქ წასვლა და ყველაფრის დავიწყება. თუნდაც იქ მოვმკვდარიყავი და ვაზის ცრემლებს დავეტირებინე, შვებით ამოვიოხრავდი ბოლოჯერ და ამ სუნთქვას დავტოვებდი ვაზების გარემოცვაში. დედას ვთხოვე, იქ გავეშვი. ეს სურვილი მალე არ ამსრულებია. დიდხანს ვევედრებოდი დედას, მაგრამ მომაკვდავ შვილს ვერ უშვებდა. უნდოდა, გულსაბნევივით მუდამ ახლოს ვყოლოდი. თუმცა, მე უკვე ვიცოდი, რაც მომელოდა და დედას პირველად და (არ მინდა ვთქვა) უკანასკნელად არ დავუჯერე. იქ მივდიოდი, სადაც თავისუფლად შევძლებდი ნავარდს და საიდანაც ცოტაოდენი სინანული გამიჩნდებოდა ამ ცხოვრებასთან გამოთხოვებისას. დედაც თან გამომყვა. რა თქმა უნდა, მარტო არ გამიშვებდა. ავტობუსის ფანჯრიდან ისევ შემოდგომის მეორე თვე მიყურებდა თავისი ყვითელი და აქა- იქ ნარინჯისფერი თვალებით. ჩემს გონებას სხვა რა უნდოდა: ფიქრები მოიხმო და ახლა იმათ მოგერიებაში ვიყავი. ბევრჯერ მიფიქრია ვაზსა და მის მნიშვნელობაზე, მაგრამ თავში სიმსივნითა და გაყვითლებული სახის ნაკვთებით პირველად მიწევდა ვაზზე ფიქრი. მე ხომ ქართველი ვარ და თურმე ქართველი სიკვდილის წინაც ვაზზე ფიქრობს. გონებაში ამომიტივტივდა ნოდარ დუმბაძის ,,სამშობლო.'' განსაკუთრებით ერთი ფრაზა ამერკვიატა: ,,იქნებ ვაზია სამშობლო?'' ახლა ამაზე ფიქრმა დამრია ხელი. ფიქრებში ისე ვიძირებოდი, როგორც ადამიანი ზღვაში, რომელმაც ცურვა არ იცის და უფრო და უფრო ღრმად მიექანება უფსკრულისკენ. მეც ბევრჯერ მიფიქრია სამშობლოზე. ჩემს გონებაშიც ბევრჯერ დატრიალებულა კითხვა: ,,ჩემთვის რა არის სამშობლო?''სამშობლო, რომლის გაგონებაზეც შიძლება სისხლი აგიდუღდეს, შენი გონება მრავალი ფიქრისა და დარდის ნაწილაკებად დაშალოს ამ ერთმა სიტყვამ. თუმცა, შეგრძნებათა ამ მრა-

ვალფეროვანი თაიგულის მიუხედავად, პასუხი მაინც ჩალის კონასავით მშრალი გამოდგეს. ,,სამშობლო... სამშობლო ადგილია, სადაც დავიბადე...'' თუმცა, ვის ადარდებს ენამ რა თქვა, როცა მთავარი ორატორი გულია. კონკრეტული პასუხი არ მაქვს ზემოთ აღნიშნულ კითხვაზე. სამშობლო უფრო ზოგად სიტუაციებში მახსენდება. ბრძოლების წინ მომავლისა და რწმენის სიმბოლოს, ვაზს, რგავდნენ იმ ადგილას, რომელიც მანამდე მათივე წინაპრების სისხლით მოირწყა.

იქნებ, მართლა ვაზია სამშობლო? დიდხანს ვფიქრობდი ამაზე და ძილიც ეცადა თავისი მომხიბვლელობის ბურანში შევეთრიე, რომელსაც მგზავრობა კიდევ უფრო ეხმარებოდა. გამოუვიდათ კიდეც.

-გაიღვიძე, ჩემო ლამაზო, მოვედით. - თავისი ტკბილი, მაგრამ სევდანარევი ხმით მითხრა დედამ.

როგორც კი თვალები გავახილე, მოჩვენებასავით გაქრა ჩემი ფიქრები. თითქოს, უეცრად ვისწავლე სუნთქვა და ზღვიდან ამოვყვინთე. ავტობუსიდან ჩამოვედი თუ არა, სუფთა ჰაერით და სიცოცხლის წყურვილით ავივსე. მე და დედა ეზოში შევედით. ბიძიას ძაღლებმა თითქოს ჩემი სუნი იცნეს და ყეფა მალევე შეწყვიტეს. ბიძაჩემი, როგორც ყოველთვის, ვენახიდან ბრუნდებოდა და ხელში ყურძნის მტევანი ეჭირა. ეტყობოდა, რომ ჩემთვის მოჰქონდა.

-ჩემო საყვარელო გოგონა, რამდენი ხანია არ მინახავხარ, გაზრდილი და გალამაზებული ხარ.

-წინანდელთან შდარებით უფრო ავადმყოფიც. - ნაღვლიანად გამეღიმა. ჩემი ხასიათი ამ ავადმყოფობას იმაზე მეტად ებრძოდა, ვიდრე ჩემი ორგანიზმი. უწყინარმა ხუმრობამ ყველა დაანაღვლიანა. თუმცა, შეეცადნენ, არ შემემჩნია. ბიძაჩემმა , ყურძენი მომაწოდა, თავისი საამაყო ყურძენი. მეც დიდი სიამოვნებით გავსინჯე. მასში იყო რაღაც მაცოცხლებელი ძალა, რომელიც სიცოცხლეს მმატებდა.

დაღლილებბა დავისვენეთ და შემდეგ ბიძიას ვენახში გავყევი. რა თქმა უნდა, დიდი დაპირებების შემდეგ, რომ თავს ძალიან არ დავიღლიდი.

-ბიძია, როგორი მოსავალია წელს? - გზაში სიჩუმისგან დაღლილმა ვიკითხე.

-არც ისე კარგი. ფინანსურადაც გაგვიჭირდა. არ მინდა, ჩემი ნაშრომი, შვილივით გაზრდილი ვაზის ნაყოფი გავყიდო, მაგრამ სხვა გზა არ არის.

მანამდე ბიძია არასდროს ყიდდა ყურძენს. ღვინოს აყენებდა, მაგრამ მის გაყიდვაზე ყოველთვის უარს ამბობდა. თითქოს, ვერ ელეოდა, ამბობდა, სამშობლოს ჩემეული განმარტება ჩემივე ვენახში მაქვს და მას როგორ გავყიდიო. ახლა კი ასეთი პასუხი გამიკვირდა და გულიც დამწყდა.

-მაგრამ ამის გაკეთება რა საჭიროა, მოსავალი ხომ იგივეა, რაც ადრე იყო. ახლა რატომ გადაწყვიტე, გთხოვ ასე არ... ბიძიამ სიტყვა გამაწყვეტინა და გამიღიმა. ვენახში ჩავედით თუ არა, ერთი ცას შეხედა და მერე რუდუნებით შეუდგა თავის საქმეს. თითქოს, ეს უხეში ხელები უეცრად სათუთი და ნაზი გაუხდა როგორც კი ვაზს შეეხო. -ცოტა სათუთად მოეპყარი ყურძენს, შვილო. ის ხომ მხოლოდ ის არ არის, რასაც ხედავ. მის უკან ისტორია დგას, ის ისტორია, რომელიც ქათველებს გამოგვივლია.

შენიშვნის მიღებით ცოტატი განაწყენებულმა, მაგრამ შემდეგი სიტყვებით დაინტერესებულმა ვიკითხე:

-რა ისტორია აქვს ასეთი? -რთველში უკვე ხელგაწაფულმა მიპასუხა, თან ისე, რომ ყურძნის კრეფა არ შეუწყვიტია:

-ჩემი აზრით, ყურძენის მტევანი სამშობლოს ჰგავს. ეს პატარა მარცვლები კი ამ სამშობლოს შემადგენელი ნაწილი ანუ ადამიანებია. თუ ყურძნის მტევანს რომელიმე მარცვალი გამოაკლდება სიცარიელის შევსება არასდროს მოხდება. თუ ჩვენს სამშობლოს შვილი გამოეცლება, მას ვერავინ ჩაანაცვლებს. ჩვენს პატარა ქვეყანას კი სად ჰყავს დასაკარგავი შვილი?-პასუხით აღვფრთოვანდი. გამიგია, სამშობლო შეედარებინოთ სიყვარულისთვის, თავდადებისთვის და მსგავსი აბსტრაქტული რამისთვის, მაგრამ სამშობლო ყურძენს გავსო და მარცვლები ამ სამშობ-

ლოს შვილები არიანო, არასდროს გამიგია. ბიძაჩემის შემყურეს, ხმამაღლა წამომცდა სიტყვები: ,,იქნებ, ვაზია სამშობლო?'' დაფიქრებულმა გამომხედა, ჯერ ყურძენს შეხედა, რომელიც ხელში მეჭირა, მერე მე. ასე გაიმეორა რამდენჯერმე და ისევ თავის საქმეს დაუბრუნდა. ამ საუბარში გართულს, ბიძას და დისშვილს შემოგვაღამდა და მთვარის შუქში ტყვეებივით მოვექეცით. ყურძენი უკვე სახლში შემოგვქონდა დასაბინავებლად.

ვერ ვიტყვი, არ მინახავს კაცი, რომელიც ბიძაჩემის მსგავსად ასეთი აღტაცებით

ეპყრობოდეს ვაზს, რადგან ვფიქრობ, ყველა ქართველისთვის საფიცარია ის, თავისი არსით და მნიშვნელობით. ყველა ქართველს მოაქვს თავი, რომ ჩვენ ვართ ვაზისა და ღვინის სამშობლო და, იქნებ, თვითონ არის ვაზი ჩვენი სამშობლო. ის, რაც ჩვენ სამშობლოს სიმბოლოდ ვაქციეთ, ვაზია. კიდევ ძალიან დიდხანს ვფიქრობდი ვაზსა და იმ სითხეზე, რომელიც მისგან მიიღება. სახლში დაღლილები შევედით, თუმცა, სასიამოვნოდ, რადგან ორივეს გვიყვარდა ეს საქმე. მე ისევ ვერ ვიშორებდი იმაზე ფიქრს, რომ ბიძაჩემს თავისი ნების საწინააღმდეგოდ უწევდა ყურძნის გაყიდვა. ყური მოვკარი , როცა დედაჩემს ეუბნედოდა დამწუხრებული თვალებით, რომელიც მანამდე არასდროს შემინიშნავს როცა ვაზზე საუბრობდა:

-მყიდველები ხვალ მოვლენ, ყურძენს შეამოწმებენ და წაიღებენ.

-ხომ იცი ჩვენს გოგოს როგორ წყდება გული. იქნებ, მის გამო მაინც... ბიძაჩემმა სიტყვა არ დაამთავრებინა. წამოდგა და თქვა: ასე რომ არ იყოს საჭირო, ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი. მე ვიცოდი რისთვის იყო საჭირო ეს, უნდოდა, დედაჩემს მცირედით მაინც დახმარებოდა და ჩემი მკურნალობის ფული მიეცა. ამან კიდევ უფრო დამამძიმა. ჩემი გული მარწუხებში მოექცა და იქედან ვერ ვათავისუფლებდი. ჩემი ბრალია, რომ ბიძია ამას აკეთებს, რაც არასდროს გაუკეთებია. მეგონა, რომ სამშობლოს ვუღალატე. მართლა, არ მქონდა სამშობლოს განმარტებისთვის არც ერთი შესაფერისი სიტყვა, თუმცა არსებობდა ვაზი, რომელიც ყველაფერს სიტყვების გარეშე ამბობდა. ამ ღამეს ჩემს დღიურში თხოვნების სიას კიდევ ერთი მიემატა: ,,ბიძია, გათხოვ, არ გაყიდო ვაზი.'' იმის იმედით, რომ ეს სიტყვები მის გულამდეც მიაღწევდა, მშვიდად დავიძინე.

-ყურძენი კარგია, კარგად მოვლილი და კარგ ფასშიც წავიღებთ. - დილით ადრე, ამ სიტყვებმა გამაღვიძა. გაბრაზებული წამოვდექი, სწრაფად ჩავიცვი და გარეთ გავედი. ბიძაჩემი იმ კაცებთან ერთად იდგა, რომლებსაც მისი შვილივით საყვარელი ვაზის ნაყოფი უნდა წაეღოთ. მასთან დალაპარაკება ვცადე, მაგრამ ვერ მოვახერხე. საბოლოოდ ყველაფრის იმედი გადამეწურა. თავსაც ვიდანაშაულებდი, რომ ჩემ გამო ბიძიას ამის გაკეთება უწევდა. უკან მივბრუნდი, რომ იქაურობას გავშორებოდი. დარდის ბურუსში ისე გავეხვიე, როგორც პატარა მწერი ობობის ქსელში. იქაურობას კარგად გამოშორებული არ ვიყავი, რომ გავიგონე: ,,იქნებ, ვაზია სამშობლო?'' ეს ყურძენი აღარ იყიდება, ბიჭებო.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ბიძიას ჩავეხუტე და დავრწმუნდი, რომ მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით შეპყრობილ რამეს შეუძლია ასეთი გადაწყვეტილება მიგაღებინოს. ჩვენი ყურძენი ჩვენთან დარჩა. ჩემი ავადმყოფობა კი იმ მომენტში ისე შემსუბუქდა, რომ ამას ფული ნამდვილად ვერ მოახერხებდა. მე უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს ავადმყოფობას ის სიყვარული და სითბო მოარჩენდა, რომელიც საყვარელი ბიძისგან და ვაზის ზვრებიდან მოდიოდა.

ჩემს დღიურში ამ შემოდგომის ბოლო აბზაცები დაიწერა: მიყვარს ჩემი სამშობლო, რომელიც ერთი სიტყვით ვერ აიხსნება, მაგრამ ჩემთვის მის მნიშვნელობას ისეთი რაღაც ხსნის, როგორიც არის ვაზი. ვაზი იმ წუთებში ჩემი გმირი იყო, როგორც სამშობლო, რომელთან ერთადაც მოდის ის და დროთა განმავლობაში ერთმანეთის განუყრელი ნაწილნი გახდნენ.

ნინი ზეინკლიშვილი

(მივუძღვენი ბებიას)

მთვარისას

საჩუქარია მაღალი ღმერთის,
თავად მუზაა პოეზიისა,
თვით შემოდგომის არის ქალღმერთი,
ის ლეგენდაა ევრაზიისა.

მისი თვალები ფიქრებიანი,
მუდამ ნათელი მზერა რომ ახლავთ,
მისი ტკბილი ხმა ალერსიანი,
ბრძნული სიტყვებით აღსავსე გახლავთ.

მისი ოქროს თმა, წარმტაცი თვალის,
მოელვარე მუდამ ლამაზად,
მისი ღიმილი მფლობელი ძალის,
ებრძვის ნეგატივს კვლავაც მამაცად.

კუთვნილი ჯვარი ზურგით ატარა
და გაუმკლავდა გამოცდას ღვთისას,
რთული ცხოვრება გადაიტანა,
დაიმსახურა სახელი მზისა.

თუმც თავმდაბალი სულის აღმოჩნდა,
მზის შესადარი დასჯერდა მთვარეს,
ჩვენს ისტორიას კვალი დააჩნდა,
გვეამაყება ქართლისა მხარეს.

სიამაყისგან მითრთოლავს გული,
მან დამანათლა გონება ბრძნული,
ის არის ჩემი ჩამდგმელი სულის,
მან ჩამინერგა პოეტის რჯული.

საჩუქარია მაღალი ღმერთის,
ოქტომბრის ღამეს მოვლენილია,
თვით შემოდგომის არის ქალღმერთი,
ის ხომ მთვარისა "ქარელელია"!

ნუციკო ელიაძე

სოფლის სახლის აივანზე ნელ-ნელა ჩამავალი მზის ფონზე, პატარა გოგონა-მაშო, ფუსფუსებდა და ბებოს გვერდით სკამზე იჯდა. ხელში ყვავილები ეკავა, რომელიც ცოტა ხნის წინ ეზოში დაკრიფა.

- ბებო!- პატარა ხმით ჩასჩურჩულა.

- რაო,შვილო?-მოხუცმა მზერა გაუსწორა და თბილად გაუღიმა.

- სიყვარული რა არის?- გაკვირვებულმა ჰკითხა.

ბებო ჩაფიქრდა.მზის სხივები მის დაბერებულ სახეს ანათებდა. თვალებში სითბო ჩაუდგა და ხმადაბლა თქვა:

- სიყვარული არა ხარ, მა რა ხარ, ბებო გენაცვალოს!

მაშომ ბებოს სიტყვებზე ჯერ გაიკვირვა, მერე კი გაეღიმა.

- აბა სიყვარული მე ვარ?-ხალისით მოიკალთა პატარა ფეხები სკამზე.

- ხო შვილო, შენა ხარ! სიყვარული ისაა როცა გულში სითბო გიდგას,სხვისი ტკივილი შენიც ხდება,როცა გულწრფელად გიხარია რომ გარშემო ყველა კარგად ცხოვრობს.

- და იცოდე,მაშო,სიყვარული ყოველთვის პატარაა, როგორიც შენ ხარ, როგორიც ეს ყვავილია. მზურველობით კი უფრო გაიზრდება და სამყარო უფრო ლამაზი გახდება.

მაშომ ყვავილი ბებოს კალთაში ჩაუდო და ჩაიხუტა.იმ წუთას თითქოს დრო გაჩერდა-აივანზე მხოლოდ სითბო,მზის ბოლო სხივები და პატარა გოგონას გულწრფელი სიყვარული ტრიალებდა.

გახსენება

დროს გაუძლებს სახელი

*

მარინა ლომიძის სახელი დროს გაუძლებს. ხაშურის რაიონ სოფელ ფლევში გაზრდილს, იმერეთში შეხვდა ბედი. სამი შვილი გაზარდა. მისი სულის კრედო სიკეთე იყო. მადლის გზაზე მოსიარულეს ქვა აღმართში მოეწია და ერთი დაძახებაც ვერ მოასწრო ისე გაფრინდა ცაში. მარინას ლამაზი სული მაშინ წაიყვანა უფალმა როცა მისი გაყვანის დრო მოვიდა. დატოვა ქმარშვილი აცრემლებულ– ატირებული. მისი გაზრდილი შვილი (ლალიკო მაჭარაშვილი) ჩემი ძმიშვილის დათო ხარაიშვილის მეუღლე არის. ლალისთვის ბევრჯერ გვითქვია გაიხაროს შენმა გამზრდელმაო. ახლა ლალის გამზრდელს შენ კარგო ქალბატონო, ცაში ნათელს შემოგითვლით. ძალიან კარგი შვილები გყავს. ეს შენი დამსახურება არის. შენ ძალიან კარგი შვილიშვილები გყავს საბა და ანა ხარაიშვილები. მათ ყოველთვის ემახსოვრებათ ბებიის სითბო და ამაგი. ჯობია იცხოვრო ცოტა ხნით და დატოვო ისეთი სიყვარული როგორიც შენ დატოვე. ვიდრე წლებს შეაბერდე და იყო ადამიანთმოძულე. ნათელში იყავი კეთილო ქალბატონო. უკვდავების გზაზე დამდგარს წინ შენი სიცოცხლეში გაცემული მადლი იავარდად დაგეფინება.

*

ბედისწერის საზღვრის კარიბჭესთან,
იქნებ დათა იდგეს ახლო-მახლო,
იქ დაგხვდება თავის ძმაბიჭებთან,
მომიკითხე დათა, როცა ნახო.

შენი კვალი. ალალი და სათნო,
ია-იით გამრავლდება ტყეში
სული შენი ახლა ზეცას ათბობს,
მოგონება თავისთავად კვნესის.

♡

გულნაზ ხარაიშვილი

დუმილი

(საყვარელ მულიშვილ კობას)

დუმილით შევხვდი გარდაცვალებას,
უსასრულრბას ცრემლი შევრკინე,
ვეღარ გიტირე ლამაზთვალება,
რადგან ძალიან მწარედ მეტკინე.
ვერ მოვაგროვე მე ის სათქმელი,
დაფანტულიყო პურის მარცვლებად,
ცაში წახვედი ნაღდი ქართველი
მზის სამოსელსაც ღმერთი გაცმევდა.
შენი სიცოცხლე ცოტა ხნისაა,
მაგარო ბიჭო, წლები ფერდება,
სული მიფრინავს რადგან ცისაა,
დედამიწაზე გული ჩერდება!

ბიძაშვილ-მამიდაშვილი

ახალი ტკივილი შეუსახლდა გულს ისედაც დასეტყვილს და დამძიმებულს. ბიძაშვილის გზა აირჩია მამიდაშვილმა და წავიდა კობა გელსთან. ჩემი მული მერვე კლასში იყო როცა მე ოჯახის რძალი გავხდი. გაკვეთილების მომზადებაშიც ვეხმარებოდი და თითქმის ერთად დავიზარდეთ. როცა ოჯახში ჩემი შვილი გაჩნდა ძმიშვილი ისე შეუყვარდა ხშირად ამბობდა ნეტა ვინ უნდა მიყვარდეს ამაზე ძალიანო. პატარა გათხოვდა თბილიში თვითონაც შვილები შეეძინა და სიყვარული და ერთიანიბა იზრდებოდა. ჩემმა შვილებმა სტუდენტობა მამიდასთან გაატარეს. არდადეგებზე ერთად იყრიდნენ თავს ბიძაშვილ - მამიდაშვილები. ლუკმა და სიყვარული თანაზიარი იყო. კობა და გელა კეთილი ცელქები იყვნენ. თავისი სიცელქით სხვას არაფერს უშავებდნენ. ახლა კი ცაში გააგრძელებენ მარადიულ მგზავრობას. ნათელში იყავი შვილოვით საყვარელო მულიშვილო კობა!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

მადლობის გარათი

იზოლდა მოშიაშვილი

მოგესალმებით ჩემო მეგობრებო, ოჯახის წევრები და კეთილის მსურველი ადამიანებო.

კიდევ ერთი წელი შეემატა ჩემი ცხოვრების დაგროვილ წლებს. დრო არ ჩერდება, გვინდა თუ არ გვინდა უნდა მივყვეთ ცხოვრების დინებას და პირნათლად მოვიხადოთ ჩვენი ამ ქვეყნიური ცხოვრების ვალი. გამონაკლისი არც მე ვარ, არ ვიცი როგორი შეფასებით ვასრულებ ჩემი მოვალეობის შესრულებას, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ვცდილობ ვიყო ის რაც ვარ. (პომენტარი თქვენთვის მომინდია ჩემო ძვირფასო მკითხველო).

ასე რომ ზურგით ვზიდე 81 წელი და ეს ლამაზი დღე თქვენც გამილამაზეთ ჩემო კეთილო ხალხო. სიტყვები არ მყოფნის, როგორ გამოვხატო ეს მადლიერება.

მ ა დ ლ ო ბ ა!!!!

ამ ერთ პატარა სიტყვას მინდა ჩავაქსოვო ულევი მადლიერება, უსაზღვრო სიყვარული, უამრავი კეთილი სურვილები და მოკრძალებული პატივისცემა ყველა თქვენგანისადმი.

უამრავი მილოცვა ტელეფონით, სოციალური ქსელით თუ პირადში, შეუფასებელი საჩუქარია ჩემთვის.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო აკადემია "გვირილას" პრეზიდენტს, ქ-ონ ერნა ციპორიას და ასოციაცია საქართველოს ქალბატონების ხელმძღვანელს ქ-ონ ნინა ჩიხლაძეს, იმ ლამაზი სიურპრიზისთვის. საფრანგეთში, ფესტივალზე, "პარიზის ვარსკვლავი" ჩემს სახელზე გაცემულ სიგელისთვის. კიდევ და კიდევ უდიდესი მადლობა თქვენ.

განსაკუთრებული მადლობა ჯუმბერ ლეჟავას მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ჟურნალ "ათინათის" მთავარ რედაქტორს, პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ქ-ონ გულნაზ ხარაიშვილს, ამ აკადემიის ყველა წევრს გულთბილი მილოცვებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა ჩემს განუყრელ მეგობარს, პაატა და ლოლა იოსებაშვილებს, ვისთან ერთადაც მრავალი სასახელო საქმე გავაკეთეთ.

განსაკუთრებული მადლობა ყველა თქვენგანს, ყველა იმ გულთბილი სიტყვისთვის, რითიც მაგრძნობინეთ, თქვენი მეგობრული სიყვარული, შეეხეთ სულის იმ მგრძნობიარე სიმებს, რომლებიც სულიერად მკვებამს და მაძლიერებს. ნუ მიწყენთ თუ ყველას სახელებს არ ვწერ, რადგან ეს შეუძლებელია.

განსაკუთრებული მადლობასაქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირს და მის თავჯდომარეს, ქ-ონ მაყვალა გონაშვილს, რომ სულ ცოტა ხნის წინ, საქართველოს მწერალთა კავშირში მიმიღეს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის, "გულთა კავშირის" პრეზიდენტს, ბ-ონ რობერტ ადარს. პოეტებს, მწერლებს, ჟურნალისტებს, ტელეწალყვანებს საქართველოდან.

განსაკუთრებული მადლობა ჩემს შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, დედმამიშვილებს და ნათესავებს, ამ უსაზღვრო სიყვარულისა და თბილი პატივისცემისთვის, განა მარტო იმ დღისა, არამედ ყოველი დღისათვის, რომ ჩემს გვერდით ხართ და ძალას მმატებთ, რათა გავაგრძელო ცხოვრება.

ღმერთს მადლობას ვწირავ, ყოველი ნაჩუქარი დღისათვის და იმ დღეებისა თუ წლებისთვის, რა ხანიც კიდევ ვიქნები ამ ქვეყნის სტუმარი.

მაპატიეთ, თუ ისე ვერ გადაგიხადეთ მადლობა, როგორც გეკუთვნით.
ეს კი იცოდეთ ყველას გაფასებთ და პატივს გცემთ.
მოგეფერებით ჩემი პატარა ლექსით.

სიყვარულით ყველას

სიყვარულით, სიხარულით,
ია-ვარდებს დავკრეფ,
ყველას გიძღვნით თაიგულს და,
ვარდს ხალიჩად გავფენ.

არ დავიღლები მე თქვენზე წერით,
რომც გადაებას დღე დღეს,
უამრავი სურვილებით,
ლამაზ შევთხავ ლექსებს,

იხარეთ და იდღეგრძელეთ,
თქვენს სურვილის დარად,
ყველას, ყველას წინსვლა გქონდეთ,
ვერც დაგძრახონ გვარად.

ერთმანეთის სიახლოვე,
ლამაზ გრძნობებს სახავს,
ალავერდი თქვენთანა ვარ,
სიყვარულით ვავსებ ბაკალს.

მუდამ თქვენი კეთილის მსურველი
იზოლდა ბენ მოშე მოშიაშვილი.

მილოცვა

გილოცავთ ათინათელებო

ბედისწერისგან გულმოკლულ ქალს უფალმა გამძლეობის სამოსელი შემომაშველა. გილოცავთ ათინათელებო 54-ე ნომრის გამოცემას! დღეიდან უკვდავების გემით უნდა გამოგზაუროთ, სადაც მხოლოდ სიყვარული და ერთმანეთის მიმართ პატივისცემაა, რადგან უფალს უბრალოება და თავმდაბლობა უყვარს. რეზო ადამიას მიერ შექმნილი წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის და დედა-ღვთისმშობლის ხატები დაგიცავთ ამ გზაზე. წმინდა გიორგის ხატის შიგა ველი დათმობილი აქვს უკვდავ ლეგენდას, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას, სადაც აკადემიის ფიცი არის ქართული და ინგლისური ვარიანტით წარმოდგენილი. ცისკარელის ალბიონის ქვეყანაში შოთა რუსთაველის პორტრეტი დაგხვდებათ, რომელიც ასევე ბატონი რეზოს მიერ არის შესრულებული. „ათინათის“ ყველა ნომერი გამოვა სქელი ყდით. სამეცნიერო შემეცნებითმა წიგნმა უნდა იმოგზაუროს მსოფლიოს გარშემო, ამ დევიზით: „ვინ მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“. მე კი დავჯექი და ამბავი გიამბეთ მომავლის სასიხარულოდ!

პატივისცემით,
რედაქტორი გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

“ATINATI” MEMBERS!

ongratulations on the publication of the 54st issue of the "Atinathi". The Lord gave me a garment of endurance for a woman heartbroken by fate! This time, I must travel with you on the ship of immortality on this long voyage. In this ship, there is only love and respect for each other. God loves simplicity and humility, so in this journey, the icons of St. Nino, St. George, and the Mother of our Lord created by Rezo Adamia will lead and protect you. The inner page of St. George's icon is dedicated to the immortal legend Mr Jumber Lezhava, where the oath of the Academy members is placed in Georgian and English versions. In the land eternal Albion of Ciskareli, you will find a portrait of Shota Rustavrli, also created by Rezo Adamia. All issues of «Atinati» will be published with a thick cover and the scientific cognitive book should travel around the world with this motto: "The one who does not look for a friend is an enemy for oneself." And I sat down and told the news, for the joy of the future! God bless you, Members of "Atinati!"

Sincerely,
editor Gulnaz Kharaishvili (Ciskareli)

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი 2
წმინდა პეტრე და პავლე 3
ხატმწერები: გიორგი და ხატია ლარიაშვილები
წმინდა იოანე ნათლისმცემელი 4
ხატმწერი: გიორგი ლარიაშვილი
წმინდა გიორგი 5
ხატმწერები: გიორგი და ხატია ლარიაშვილები, არჩილ სარჯველაძე
მამა გაბრიელი 6
უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 7
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 8
გულნაზ ხარაიშვილი 9

უცნობი პოეტი

მემ ელოუნი 10

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე 13
კახა ბაციკაძე 14
გიორგი ზუხბაია 16

პოეზია

ბერდიაკონი ნეოფიტე 18
დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი 20
ია მოსულიშვილი 22
ეთერ ჭელიძე 24
მირზა ვარძუკაშვილი 26
ნელი საგინაძე 28
მანანა სამყურაშვილი 31
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 34
მალვინა ჭელიძე 36
ბელა მოდებაძე 38
დავით იოსებაშვილი 42
მაგული კორძაია 44
ია ჯღარკავა 48
ნატალია აბდუშელიშვილი 50
თინიკო ხარიტონაშვილი 54
მარეხი რიკაძე 57
მამუკა ოჩიაური 58
ბესო ჩუბინიძე 60
მზიური შავაძე 62
თეიმურაზ კვარაცხელია 64
ცაგო აბაშმაძე 69
ლია ენისელი 70
ლია მჭედლიძე 71
ნანა გიგუაშვილი 72
ნინა გაჩეჩილაძე 76
მარინა დიერაშვილი 78
თამრო ნიუარაძე 80
ნორა მგელაძე 82
ნიკოლოზ შარიქაძე 84
მარინა მანჯგალაძე-თამაზაშვილი 86
თინათინ უზარაშვილი 88
გულიკო კაპანაძე 90
ირინა ბერიანიძე 92
ნელი ტორონჯაძე 94
ლია ალადაშვილი 99
გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული) 100
ლამზირა შეყილაძე 102
მაია ქასრაშვილი 104
ილია ჭკადუა 107
ლიანა ჯანეზაშვილი 110
დარეჯან ღონღაძე 112
ნიკოლოზ კურტანიძე 114
მზია ელიაძე 118
ირმა ტყემალაძე 120
ნინო მოსულიშვილი 122
ნელი გიუნაშვილი 125
ლიკა ქათამაძე 126
მაგული ღვინიაშვილი 128
ცისანა ხუციშვილი 130
ნინო უძილაური 132
დავით მოდებაძე 134
მზია გირგვლიანი 136
ვალია კვაშილავა 138
ლელა ფხალაძე 140
მაგული ჯინჯიხაძე-გამთენახე 142
გიგი თეთრაძე 144
ელენე ზურაბიშვილი 145
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 146

პოემა

თინათინ უზარაშვილი 153

ხსბავშვო განყოფილება

მარინა დიერაშვილი 156
ვალია კვაშილავა 158

არდავიწყება მოღვაწეთა

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 161
ბეჟან ხარაიშვილი 162
დავით გამთენაძე 163
შერმადინ ქალდანი 164

თარგმთარგმანები

მზია კვირიკაშვილი-ლოურენსი 165

პროზა

რევაზ მიშველაძე 196
მაია ტყემალაძე 204
ირმა კეკელიძე 207
ქრისტინე ხერგიანი 213
ბელა მოდებაძე 215
ნანიკო ხარძიანი 217

ლია მჭედლიძე 219
გულნაზ ხარიშვილი (ცისკარელი) 220

ჰუბლიკა

გულნაზ ხარიშვილი (ცისკარელი) 228
დეზი ემანულიძე 246

წერილები

ლუარა სორდია 247
მანანა კვატაია 251
ხათუნა ელიაშვილი 254
სერგი ლომაძე 257

სიკეთის ელჩი

თემურ გოგსაძე 263
ირმა კეკელიძე 264
მზია კვირიკაშვილი-ლოურენსი 266

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 268

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 270

ისტორია

ნიკო ხერკელაძე 273
გოჩა ჭელიძე 277
აბრამ პაატა იოსებაშვილი 281
თამო ჯაფარიძე 283

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი, თათია ბილისეიშვილი 285

ხელოვნება

ირმა კეკელიძე 290
ირმა კეკელიძე 293

ნორჩი ათინათელი

გიორგი ქენქაძე 297
მარიამ პიკავა 298
სალომე ქომეთიანი 299
ნინი ზეინკლიშვილი 302
ნუციკო ელიაძე 303

გახსენება

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 304

მადლობის ბარათი

იზოლდა მოშიაშვილი 305

მილოცვა

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 307

ავტორთა სყურადღებოდ

„ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

მასალები მიიღება ელექტრონული სახით, საბოლოო სამუშაო Word-ის გაკორექტირებული ფაილი. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორების გადმოგზავნილ მასალებზე.

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE05TB7698236080100014

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე ხატი – „წმინდა ნინო“, ბოლო გვერდზე ხატი – „წმინდა გიორგი“ და შიგნით გვერდზე შოთა რუსთველის პორტრეტი. მხატვარი რეზო ადამია.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი
რედაქტორი: ნანა სხირტლაძე

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე – ეკონომისტი

საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
აბრამ პაატა იოსებაშვილი (ისრაელი) – არქიტექტორი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები: ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.
ლიტერატურისა და პუბლიცისტიკური წერილების განყოფილების რედაქტორი: ეთერ ჭელიძე.

ხელოვნების განყოფილების რედაქტორები:
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და გულიადა სანოძე – მსახიობი.
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი),
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.
იურიდიული განყოფილების რედაქტორი ირაკლი ნადარეიშვილი — სამართალმცოდნე, პროფესორი (პოეტი).

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იზოლდა მოშიაშვილი – პოეტი
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე – პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com